[illegible] მაისურაძე



# [illegible]

# [illegible]

ზაქრი მაისურაძე



# ოდიშარიათა

# გვარის მატიანე

გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი 2021

მთავარი რედაქტორი ანზორ სიჭინავა
ტექნიკური რედაქტორი შალვა კლიმიაშვილი

ISBN 978-9941-498-55-8

## წინასიტყვაობა

დედულეთი არის ის ადგილი, საიდანაც არის დედა წარმოშობით. ჩემი დედა გახლავთ გვარად ოდიშარიას ქალბატონი ქალაქ სენაკიდან. მე სამეგრელოში არ დავბადებულვარ მაგრამ, იქ ავიდგი ფეხი, ჩემი ცხოვრების პირველი ნაბიჯები სენაკში გადავდგი. მერე იყო იქ გატარებული ბავშვობის ცხრა წელიწადი და შემდეგაც ხშირად ვსტუმრობდი იქაურობას.

ჩემი ბებია (დედის დედა) იყო გვარად გეგეჭკორის ქალბატონი მარტვილის მუნუციპალიტეტის სოფელ ინჩხურიდან, სადაც ოთხი წლის ასაკში ვისწავლე კოლხური (მეგრული) სამეტყველო ენა.

ბუნების კანონია, რომ ადამიანს ის მიწა უყვარს ყველაზე მეტად, სადაც გაიზარდა, ჰოდა აქედან შთამაგონდა მე ამ ადგილის სიყვარული. ბავშვობისდროინდელი ინჩხურის სოფლური მიწის სურნელი დღემდე მასაზრდოებს და ტკბილ მოგონებებს აღმიძრავს.

ჩემ წინ ორი ასეული წლის მსხლის ხე (ხეჭეჭური) დგას და უკან ასწლოვანი მარანი არის, რომელშიც რამდენიმე ასეულ წელზე მეტი ხნის ქვევრები მარხია... მიყვარს აქაურობა, რომელიც ინახავს ჩემი ბავშვობის მოგონებებს და... ჟამთა სვლას, რომელსაც ვერაფერი აჩერებს...

ამიტომ გადავწყვიტე დამეწერა ეს წიგნი, ოდიშარიათა და გეგეჭკორთა გვარების მატიანე. თითქმის სამ წლამდე დრო მოვუნდი საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მდებარე არქივებში, მუზეუმებში და ბიბლიოთეკებში მასალის მოძებნას და კიდევ ორ წლამდე პერიოდი შეიწირა მსოფლიოში არსებულმა კორონავირუსის პანდემიამ.

წიგნის დაწერაში დახმარებისთვის მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ისტორიკოსი ანზორ სიჭინავა, გენეალოგიის მკვლევარი ალექსანდრე ნაზღაიძე, ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მერაბ კეზევაძე, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების გამგე ციცინო მუმლაძე, ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი დალი გულუა, გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი ნანა კირთაძე და ამავე მუზეუმის თანამშრომელი ლექსო ბაჩილავა.

ამ წიგნს ვუძღვნი ყველა ოდიშარიას და ყველა გეგეჭკორს.

**ბადრი მაისურაძე**



კოლხეთის დაბლობზე, კავკასიონის ქედის მთისწინა და ნაწილობრივ მთიან ზოლში, სამეგრელოს ქედსა და შავ ზღვას, მდინარეებს: ენგურს, ცხენისწყალს, რიონს შორის მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე სამეგრელო.

სამეგრელოს აღმოსავლეთით ესაზღვრება იმერეთი, სამხრეთით-გურია, დასავლეთით-შავი ზღვა, ჩრდილოეთით-სვანეთი და ჩრდილო-დასავლეთით – აფხაზეთი. მისი ფართობი დაახლოებით 4339,2 კვადრატული კილომეტრია.

სახელწოდება "სამეგრელო", მოდის "ეგური" "ეგრი"-"ეგრისიდან". ასე ეძახდნენ ჩვენი წინაპრები უძველეს ქართულ სახელმწიფოს, რომელიც ჯერ კიდევ ძვ.წ.-ის XV-XIV საუკუნეებში ჩამოყალიბდა და ძირითადად დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. ამ სახელმწიფომ ჩვ. წ.-მდე VIII საუკუნის მეორე ნახევრამდე იარსება; მას ძველი ბერძნები, რომაელები და ბიზანტიელები თავდაპირველად კოლხიდას, იგივე კოლხეთს უწოდებდნენ, ხოლო შემდეგ ლაზიკას, იგივე ლაზეთს ეძახდნენ.

ქვეყნის სახელიდან "ეგური" – "ეგრისი" წარმოიშვა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის აღმნიშვნელი უძველესი სახელწოდება "სამეგრელო".

"სამეგრელო" პირველად ბერძნულიდან თარგმნილ XI ს-ის პირველი ნახევრის ქართული მწერლობის ძეგლებში გვხვდება. ამ დროს იგი მთელი დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით იხმარებოდა. სახელწოდება "სამეგრელო"-მ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მდგრადობა ვერ შეიძინა. მის ნაცვლად იმ პოლიტიკურ ერთეულს, რომელიც ძირითადად მეგრელებით დასახლებულ ტერიტორიას მოიცავდა, შუა საუკუნეების ქართული მწერლობის ძეგლებში, თითქმის ერთხმად, "ოდიშს" ეძახდნენ. მხოლოდ XIX საუკუნეში "ოდიში" "სამეგრელო"-თი შეიცვალა.

(თ. ბერაძე, ი. მაისაია სამეგრელო-მეგზური, 2014 წელი, გვ. 7-9).

სამეგრელო ძველად ეგრისის, კოლხეთის ხოლო XII საუკუნიდან, თამარის დროიდან, ოდიშის საერისთავოს სახელით იყო ცნობილი. სახელწოდება "ოდიში" სამეგრელოს აღსანიშნავად, როგორც ჩანს, უფრო ადრეც იხმარებოდა, მაგრამ ქართულ წყაროებში ოდიშის სახელით სამეგრელოს ხსენება შეინიშნება თამარ მეფის დროიდან ("**ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი**"). ამის შესაბამისად მის მმართველს ჯერ-ეგრისის, შემდეგ კი ოდიშის ერისთავი ეწოდებოდა. ეგრისის საერისთავოს ტერიტორია მოიცავდა სამეგრელოს საერისთავოს ტერიტორიაზე ბევრად უფრო დიდი იყო. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, როცა ფარნავაზმა საქართველო რვა ადმინისტრაციულ ერთეულად დაჰყო და თითოეული მათგანი ცალკე მმართველს ჩააბარა, ქუჯის მისცა ქვეყანა "**ეგრისის წყალსა და რიონს შუა, ზღვიდგან მთამდე, რომელსა შინა ეგრისი და სვანეთი, დაამტკიცა ერისთავად ქუჯი.**" (**ვახუშტი ბატონიშვილი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა..., ქართლის ცხოვრება ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემა, ტფილისი. 1897წ. გვ.38**).

ქუჯი ერისთავის ამ მიწა-წყლის ნაწილისაგან ჩამოყალიბდა შემდეგდროინდელი სამეგრელოს ანუ ოდიშის სამთავრო.

**(ი. ანთელავა, "მიმომხილველი," 1951 წელი, II ტ, გვ.171).**

XIII საუკუნის დასასრულისათვის საქართველო განვითარებული ფეოდალური სახელმწიფო იყო. ერთ-ერთი იმ ერისმთავართაგანი, რომლებმაც გამოავლინეს მისწრაფება, ოდიშის ერისმთავარი იყო. ეს პროცესი XVI საუკუნის II ნახევრამდე გაგრძელდა. ცნობილია, რომ XIV-XV საუკუნეებში იტალიური სავაჭრო ქალაქებს ფართო ურთიერთობა ჰქონდათ შავიზღვისპირეთის ხალხებთან; ისინი აარსებდნენ სავაჭრო ფაქტორიებს, კოლონიებს; ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გენუელები. XV საუკუნის ორ იტალიურ რუკაზე, რომლებიდანაც ერთი შედგენილია **1480** წელს, ხოლო მეორე-**1497** წელს, კოლხეთად აღნიშნულია სამეგრელოს პორტი. ზემომოყვანილი ფაქტები ადასტურებენ ვახუშტი ბატონიშვილის მონაცემებს იმის შესახებ, რომ XV საუკუნის II ნახევარში ცხუმის საერისთავო ოდიშის შემადგენლობაში შედიოდა.



XVI საუკუნიდან ოდიშის მთავრები კარგავენ ტერიტორიას კოდორის დასავლეთით. XVII საუკუნის დასაწყისში საზღვარი ოდიშსა და აფხაზეთს შორის ძირითადად მდინარე კოდორზე გადიოდა. ამ დროს ანაკოფია და ცხუმი უკვე აღარ შედიოდა ოდიშის შემადგენლობაში.

ლევან II დადიანის სიკვდილის შემდეგ ოდიშის საქმეები აირია. გაუთავებელი კონფლიქტი მეზობლებთან, შინაომი ქვეყნის მთელ ძალებს მოითხოვდა. ამით აფხაზმა ფეოდალებმა ისარგებლეს და 1763 წელს აფხაზეთის მთავარმა სორეკ შერვაშიძემ ხელში ჩაიგდო ოდიშის ნაწილი ენგურამდე. მისი სიკვდილის შემდეგ ეს მხარე აფხაზეთის შემადგენლობაში შევიდა, მაგრამ ზეგნაყ შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ სორეკის მემკვიდრეებზე დაყოფილი იყო. ჯიქეშიამ ხელში ჩაიგდო მიწები კოდორსა და ღალიძგას შორის, ხოლო ყვაფუმ-ღალიძგას და ენგურს შორის ტერიტორიას სამურზაყანო ეწოდა.

**(თ. ბერაძე - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 1964 წელი, II ტ, გვ. 115).**

## სათავადოები

**ოდიშის** სათავადოებიდან უძველესი და უდიდესი ჭილაძეთა სათავადო იყო. ისტორიული გადმოცემით, ჭილაძეთა გვარი წარჩინებულ გვარად ითვლებოდა ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს.

ჭილაძეები თავიდანვე დადიანის ვასალები ჩანან. ყოველ შემთხვევაში, ვარაზა ჭილაძე ლევან I დადიანს უდგას მხარში იმერეთის მეფის გიორგი II-ის (1549-1585 წლები ვახუშტის ქრონოლოგიით) წინააღმდეგ ბრძოლაში. ჭილაძეთა სათავადოს არსებობა უკვე ფაქტია. მისი წარმოქმნა კი XV საუკუნეში უნდა მომხდარიყო.

ჭილაძეთა სათავადოს საზღვრები მათი ძლიერების ხანაში (XV და XVI საუკუნის პირველი ნახევარი) დაახლოებით ასე წარმოგვიდგება: აღმოსავლეთით – ნაფალაურ-ნაჩხეფაური, დასავლეთით – სოფელი ზანძა თუ მდინარე ნოღელა, სამხრეთით – თავად მაჭუტაძეთა სამფლობელო ნიგოითი, ქვაიანი და გურიის საერისთაო, ჩრდილოეთით – ქოლობანი და გეგუნაყათი. მათივე უნდა ყოფილიყო სოფელი

ჩიქოვანიც.

ჭილაძეების ადგილსამყოფი ტყვირსა და გულეიკარში იყო. მათ აქ ჰქონდათ სასახლეები კარის ეკლესიებით. ჭილაძეებს საგვარეულო საძვალე, მათ მიერ აგებული ტყვირის ეკლესიაში ჰქონდათ მოწყობილი. გადმოცემითა და ზოგიერთი დოკუმენტური მონაცემის მიხედვით, ჭილაძეთა ყმა გლეხები იყვნენ: თავხელიძეები, გუნიები, **ოდიშარიები,** კალანდაძეები, სანაძეები, ბუბასკირები, ულურელიძეები, ხურცილავები, გოგეშვილები, ხონელიძეები, ძიძიგურები, ქიშმარიშვილები, ჩაჭიები, დუნდუები, ბარათელები და სხვები. ჭილაძეების აზნაურები იყვნენ: კორძაიები, ლორთქიფანიძეები, გუგუნავები, ნანაიშვილები და გურგელიშვილები.

XVI საუკუნის 70-იანი წლებიდან ჭილაძეები მნიშვნელოვნად დაქვეითდნენ, დაკარგეს თავიანთი სამფლობელოს დიდი ნაწილი – საჯავახო. ლევან II დადიანის დროს (1611-1657 წლები) ისინი რამდენადმე წინაურდებიან კიდეც. ამ დროს ჯავახ III ჭილაძეს სამეგრელოს სამთავროში მაღალი თანამდებობა უკავია: იგი დადიანის ბოქაულთუხუცესია.

XVII საუკუნეში ჭილაძეები წარმატებას აღწევენ საეკლესიო სფეროშიც: ანტონ და იერემია ჭილაძეებს ამ დროს ჭყონდიდელის ეპისკოპოსის ხარისხით ვხედავთ. ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ (1657 წელი) ჭილაძეთა საგვარეულოს ძლიერებას სავსებით მოეღო ბოლო.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში **ოდიშის** სამთავროში სასტიკი ბრძოლა დაიწყო ხელისუფლებისათვის ძველსა და ახალ დაწინაურებულ ფეოდალურ საგვარეულოებს შორის. ამ ბრძოლის ინიციატორ-მეთაურები იყვნენ ტყვეთა სყიდვითა თუ სხვა გზით გაძლიერებული აზნაური ჩიქოვანები. ჩიქოვანებმა ამოწყვიტეს დადიანთა ძველი დინასტიის წევრები და აღნიშნული საუკუნის 80-იანი წლებიდან **ოდიშის** სამთავროს ფაქტიური მმართველები გახდნენ. ჩიქოვან-დადიანებთან ბრძოლაში განადგურდნენ **ოდიშის** ძველი წარჩინებული გვარები: ჭილაძეები, გოშაძეები, ქორთოძეები, ჯაიანები და სხვები, რომლებიც ჩიქოვანთა დადიანობას არ ცნობდნენ. მათი საგვარეულო ადგილ-მამული

დადიანთა ამ ახალი სახლის დაარსება. ფეოდალებთან ბრძოლაში ჩიქოვანებს დიდი დახმარება გაუწიეს ფეოდალთა აზნაურებმა – კორძაიებმა, რომელნიც ფეოდალების ვასალობისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალებს სათავადო მიწა-წყალი უკვე აღარ გააჩნდათ. ისინი მხოლოდ სოფელ საფეოდალოში ფლობდნენ მცირეოდენ მამულს. ყმა-მამულდამცრობილი ფეოდალები ახლა აზნაურთა რიგებში ირიცხებოდნენ. ფეოდალთა ძველი სამფლობელო **ოდიშში** ახლა ჩიქოვან-დადიანებს ეპყრათ, ხოლო მათ მოურავებად ის ფეოდალთა ყოფილი აზნაურები, კორძაიები, ისხნები.

(ო. სოსელია – ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიიდან. 1973 წელი, გვ. 271).

ქართულ გვარებს, მათი წარმომავლობა-განვითარების მაჩვენებელ ოფიციალურ სიტყვებს, მრავალფეროვანი ფორმა და შინაარსი აქვთ. გვარების უმრავლესობა სრულიად გასაგებ ფუძეებს ემყარება, შედგენილია წინაპრის სახელისა და სოციალური დაბოლოებისაგან (გიორგაძე, შოთაძე, დავითაშვილი, იაშვილი, ბექაური, რაჭიანი, გრიგოლია...); ზოგი-ხელობა-პროფესიის, თანამდებობის ტერმინებს, გეოგრაფიულ სახელებს, ხალხთა, ტომთა სახელწოდებებს (ეთნონიმებს) გვიჩვენებს (ასეთივე დაბოლოებებით) და სხვ. ამათგან ერთად ხშირად ვხვდებით გვარებსაც, რომლებიც ხსენებულ წესს არ ექვემდებარებიან და არასტანდარტული, ორიგინალური სახით გამოირჩევიან.

**ოდიშარია.** ამ გვარსახელის შინაარსი მაშინვე გახდება საცნაური, როცა გავითვალისწინებთ, რომ დაბოლოება – "**არ**" მეგრულ ენაში იმავე დანიშნულებას ასრულებს, რასაც ქართულში – "**ელ**" და აჩვენებს ადამიანის სადაურობას (თბილისელი, გორელი). რაკი ვიცით, რომ სამეგრელოს ძველი სახელწოდება არის ოდიში, ცხადი ხდება, რომ ოდიშარი ოდიშელს ნიშნავს (არის გვარი ოდიშელიძეც); ანალოგიური აგებულების გვარები ძველ ქართულ წყაროებშიც გვხვდება. ცნობილი ხუროთმოძღვართა ბექასა და ბეშქენის გვარი იყო ოპიზარი. ისინი წარმოშობით იყვნენ იმ




ვახუშტი ბაგრატიონის მიერ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში
შედგენილი რუკიდან ოდიშის (სამეგრელოს) გერბი

სოფლიდან, რომელსაც ოპიზა ერქვა (ცნობილია ოპიზის სახელგანთქმული ტაძარი).

“ოდიში” წარმომდგარია წარმართული ღვთაების სახელის “ოდი”-სგან, რომელიც მიწათმოქმედებისა და მოსავლის ძლიერ მფარველად ითვლებოდა. როგორც ენათმეცნიერი ვუკოლ ბერიძე გვაუწყებს, ცნობილი მეგრული ხალხური სიმღერის “ოდოია” ამ ღვთაების სადიდებელი ჰიმნი იყო, “ოდიში” კი ოდის საკულტო ადგილზე მიუთითებდა. ჩანს, “ოდის” კულტის მსახურება საქართველოს მარტო ერთი გეოგრაფიული კუთხით არ იყო შემოსაზღვრული. მას საერთო ქართული ხასიათი ჰქონდა, რაზეც რამდენიმე ფაქტიც მეტყველებს.

ცნობილია, რომ ღვთაებათა სახელებს ადამიანებსაც არქმევდნენ. მამაკაცის სახელი ოდი ოდიშველებმა შემოგვინახეს. მისი კნინობითი ფორმებიც არის ჩაქსოვილი რამდენიმე გვარში, ესენია: ოდიკაძე (ოდიკა), ოდიშველი (ოდია), და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ოდელაძე, ოდილაძე და ოდილავაძე, რომლებშიც ფუძეებად “ოდელა” და “ოდილა” გამოიყოფა. ისინი ქართულ ხალხურ სიმღერებში დადასტურებული მისამღერი სიტყვებია, დღეს მნიშვნელობის უქონელნი, მაგრამ ოდესღაც ღვთაებისადმი მიმართვის გამომხატველნი.

თქმულის ორი ფაქტიც უნდა დავუმატოთ: პროფესორ ი. ტაბაღუას ცნობით, “ოდოია” ზანურად პატარა ღრუბელს ნიშნავს. ეს მნიშვნელობა კი უშუალოდ უკავშირდება მიწათმოქმედებისა და მოსავლის ცნებებს: ჯავახეთში სოფელ საროს (ამჟ. ასპინძის მუნიციპალიტეტი) მიდამოებში არის ნასოფლარი და მისი მიმდებარე ყანები, რომლებსაც ოდისებს უწოდებენ... ოდისი ოდიშის ქართული შესატყვისია და საფიქრებელია, ამ სიტყვით სახელდებულ ადგილზე ოდის ღვთაების სალოცავის (ტაძრის, კერპის) არსებობა იგულისხმებოდეს. **(პროფესორი, ილია მაისურაძე, გაზეთი “კომუნისტი” 1983 წელი, 17 ივლისი, № 164, გვ.4).**

**ოდიშარია.** ოდიშ-არ-ია, ოდიშ-ი (ტოპონ.) – სამეგრელოს ძველი სახელი, **არ**- ქართული **ენა** წარმომავლობის სუფიქსის ტოლფასი ბოლოსართია, **ია-ძე**, - ოდიშელია;

ამრიგად, **ოდიშარია** სიტყვასიტყვით ნიშნავს: ოდიშელიძე. ოდიში პირველად იხსენიება თამარ მეფის დროს. **ოდი** – მეგრელების სასტუმრო სახლსაც ჰქვია; **საოდიშო** – ზანათი (ამჟ. აბაშის მუნიციპალიტეტი), **ოდიში** (ამჟ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), **საოდიშარიო** (ამჟ. სენაკის მუნიციპალიტეტი).

***(ნ. ჯომიდავა – კოლხური გვარსახელები. 1996 წელი, გვ. 124).***

**ოდიშარია.** ოდიშარი ნიშნავს ოდიშელს. კოლხური – **არ** სუფიქსი, ისევე როგორც ქართული – **ელ**, აწარმოებს სადაურობა-წარმომავლობის სახელებს. მართლაც, ოდიშარიას თავდაპირველი მნიშვნელობა "ოდიშელს" შემოუნახავს.

***(პ. ცხადაია – გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. 2000 წელი, გვ. 119).***

***1616 – 1621 წლები,*** [ნუსხა ჯვარის ციხის საკათალიკოსო გამოსავლისა]

ქ. წყალობითა და შეწევნითა ღმრთისათა და შვიდ ცათა უმაღლესისა ბრწყინვალისა ღმრთის-მშობლისათა. არის საქორჩა[ი]ძეთ დადიანის ბატონის ლევანის წყალობა მამული თავს ჯვარის ციხე, სასახლე; არის ჯვარის ციხის გამოსავალი.

მართებს ჯვარის (ამჟ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) ციხის შემავალს კაცებსა ბეგარა: "38 კომლ შორის არის დასახლებულები:"**ოდიშარია ყველიანს მართებს 1 საქმელი.**"

***(ს. კაკაბაძე – აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი, 1914 წ. გვ. 43).***

***1675 – 1680 წლები,*** [შეწირულობების წიგნი ჭყონდიდელი-ცაგერელი-ბედიელი გაბრიელი ჩიქოვანისა მარგველისა და სუჯუნის ყმებისადმი]

"....მარგველის ღვთის მშობელო და წმინდაო გიორგი სუჯუნისაო (ამჟ. აბაშის მუნიციპალიტეტი) ჩვენ... ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან ჭყონდიდელი ცაგერელი ბედიელმან ჩიქოვანმან გაბრიელი..

შემოგწირეთ მცირე ეს შემოსაწირავი **ოდიშარია ხუხუ თუთარია, ხუხუშვილი გოგელია და**

ველი და წიმყა და მისმა მათის ცოლშვილითა.. ასე რომე აღვწერეთ ეს **თოდიშარია** არაფერს ფელოსაძეს შემოიწიროს თქვენთვის მისაწირველითა და მისაკითხველითა, მერმეთ ეს **ხუხუა თოდიშარია** ბანძის (ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი) იმხედ დაუკარგველიყო და კაცია ფელოსაძეს დაუხსნა. კაცია ფელოსაძე მოიკლა და მე ნიშნისათვის კარს მოვადექი და ნიშანი ვსთხოვე. ნიშანი კარგი მომცა, მან ეკადრებოდა იმისთანი, მაგრამ არ ვინდომე და ეს **ხუხუა თოდიშარია** მისი ცოლშვილითა ნიშანში გამოვართვი, ეს გლეხი ისევე გავსინჯე ხარჯს მართლა ალაგვის წესარს ეკლესიას, თავადა კაცი ყველა კაცის ფელოსაძეს მსახურებდა... მართებს ხარჯის ათი დასადასტური სანთელი, ერთი ნავთისი ზეთი, ერთი ნახევარი საკმეველი, სხვა ამის მეტი არაფერი ამას არ მართებს, არც ლაშქრობა, არც ნადობა, არც შინაყმობა, არც მოხელეობა, არც სხვა საქმობა, არაფერი სხვა ხელეობა ხარჯის სამსახურის მეტი არა მართებს რა, სხვა კაცისაგან ხელი არ ექნება. რამანც კაცმან ანუ ხელმწიფემან, დიდმან კაცმან ანუ აზნაურმან ანუ გლეხმან ეს ჩვენგან შემოწირული და გარდაწყვეტილი საქმე წმინდას ღვთისა და ანუ ამ გლეხის ანუ კაცის გაყიდვითა ანუ ქალის გაყიდვით ანუ სხვა უსამართლო წართმევით ამ **თოდიშარიას** მოიკიდოს, მასამც გაურისხდეს თავადა ღმერთი და ყოველნი მისნი ძალნი ზეცისანი.... დამწერისა სულისა ქვართასანს და მოწამეცა ვარ ამისი." ბუფალი.

(ს. კაკაბაძე – დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, 1921 წელი, I ნ. გვ. 78).

XVIII საუკუნის შუახანები

სამეგრელოს მთავარი ოტია დადიანი (მართვის წლები – 1728–1758) წყალობის წიგნს აძლევს კაცია გამსახურდიას..."მხლებელი მოვართვი ქრთამად და იმის წყალობად მივეცი თოთურიას მისი ცოლ-შვილითა." ამ საბუთის დამწერი და მოწმე კარის მწერალი **ბაბუშის თოდიშარიას.** (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქუთ) ხელნაწერთა ფონდი, საბუთი № 1116).


საქართველოს
ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები
პირობითი აღნიშვნები
საქართველოს თანამედროვე საზღვარი
დედაქალაქი
დასახლებული პუნქტი
შავი ზღვა
ჯიქეთი
აფხაზეთი
სვანეთი
სამეგრელო
ლეჩხუმი
ოდიში
რაჭა
იმერეთი
(არგვეთი)
გურია
აჭარა
სამცხე
ჯავახეთი
შავშეთი
კლარჯეთი
ტაო
ჭანეთი
სპერი
არტაანი
კოლა
ბასიანი
თორი
შიდა ქართლი
ქვემო ქართლი
დვალეთი
ხევი
მთიულეთი
ფშავი
ხევსურეთი
თუშეთი
კახეთი
ჰერეთი
საინგილო
სოხუმი
მესტია
ზუგდიდი
ონი
ქუთაისი
ფოთი
ოზურგეთი
ბათუმი
ახალციხე
ახალქალაქი
გორი
თელავი
თბილისი
კახი
სევანის ტბა
© M Shekiladze, 2003

XVIII საუკუნის შუახანები

ქაცია გამსახურდია წიგნს აძლევს თავის შვილს ზურაბს და უბოძებს ერთ ზვარს. ამ წიგნის მწერალი და მოწმე მღვდელი **გიორგი ოდიშარია.**

(ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიმ) ხელნაწერთა ფონდი, საბუთი № 1115).

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი

ნასყიდობის წიგნი: ბაბუნა გამსახურდიას მღვდელ **გიორგი ოდიშარიასათვის** მიუყიდნია ზიფი ივანიკა ფაჩულიას.

(ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიმ) ხელნაწერთა ფონდი, საბუთი № 74).

**1764** წელი ბატონიშვილი ნიკოლოზ ოტიას ძე დადიანი ერთგულობისთვის გამო ქაცია გაგუას და მის შვილებს უბოძებს წყალობის წიგნს და სიგელს.

საბუთის მწერალი და მოწმე დადიანის კარის მღვდელი ხუცესი **გიორგი ოდიშარია.**

(ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიმ) ხელნაწერთა ფონდი, საბუთი № 1237).

XVIII – XIX საუკუნეებით დათარიღებული "სადღესასწაულოს" ნუსხურით შესრულებული ხელნაწერი: "თუესა ფებერვალსა აქუს დღე კჱ; უკეთუ იყოს ნაკი, მაშინ აქუს ოცდა ცხრა. ბრწყინვალისა დღესა წინასადღესასწაულო მიგებისა უფლისა ღმრთისა მაცხოვარისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და წმიდისა მოწამისა ტრიფონისი. უფალო დაადგავსა და დასდებელი დღესასწაულისა **გ.** ხმა **დ.** მხიერი. – ბაგრატოვანი ეკკლესიაი განიმზადებინ შეწყნარებად უფლისა..."

გადამწერი: **გიორგი ოდიშარია.**

[თ ვ ე ნ ი]. "თუესა სეკდემბერსა აქუს დღე **ლ.** – ბრწყინვალისა დღესა დასაწყისი ინდიკტიონისა, ესე იგი არს ახლისა წელიწდისა, და ხსენება ღირსისა მამისა ჩუენისა

სიმეონ მესვეტისა არქიმანდრიტისა და დედისა მართასი, და კრებაჲ ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა, რომელი იყო მიასენს, და წმიდისა მოწამისა აითალასი, და წმიდათა მოწამეთა მ დედათა, და წმიდისა ამონის დიაკვნისა და მოძღვრისა ჩვილისა და წმიდათა მოწამეთა კალისტესი, ევოდი და ერმოგენისი და მოყვასთა მათთა, და ხსენებაჲ მართლისა იესუსი, ძისა ნავესი. — მერვესა ნაწილსა არს კაცი. ძ ადრისავალი. ხოლო უკეთუ არს შაბათი, წარმოვიკითხავთ კანონსა სრულიად, თ ' თ ლ' მოვიდოდეთშესვლისა ზედა ადვილებით მუხლითა ი და ვარსკვლავთა დასაწყისისა ინდიქტიონისასა ვ, ხმა ა. ზეცისა განმწესებელი. — თავადისა ქრისტეს ღმრთისა ღირსისა მოძღვრისა მიერ ლოცვით ვევედრებით ჩვენ…"

ხელნაწერს აქვს გადამწერის ანდერძ-მინაწერი:

"ადიდენ უფალმან მოწყალებითა ცხოვრებითა ღმრთივ ამაღლებული დ ა დ ი ა - ნ ი ს ტ ი ა ს ძე ყოვლადსამღვდელო მიტროპოლიტი ა ნ ტ ო ნ ი, რომლისა ბრძანებითა და საფასითა აღვწერე ეს საღმრთისმსახურო სრულიად ტიპიკონითურთ მე, ყოვლად უღირსმან მღვდელმან თ დ ი შ ა რ ი ა მ გ ი ო რ გ ი მ."

**(საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ხელნაწერების აღწერილობა, 1957 წელი, I ტ. გვ.114-115, საბუთი № 101-102).**

**1818** წლის 12 მარტს ზაქარიაშვილი გიორგი და მისი ძენი ნიკო, ლევანი, ელისაბედი, კაცია და ვამეყი თავიანთ ერთგულ კარის მღვდელს **ბასილი** დავითის შვილს **თდიშარიას**, მის შვილებს და მომავალს უწყალობენ ჯვრითდაწერილი და შეუვალი ქისიზმაისტაური მიწა ადგილს, ყორღანის ვაკეს.

"ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ესე მტკიცე და შეუცვალებელი ეს საბრძანებელი განსათავისებელი წყალობის წიგნი დავიწერე და მოგეცით მე ზაქარიამან ზაქარის შვილმან გიორგიმ და ჩემმა ძეთა ჩემთა ნიკომ, ლევანმა, ელისაბედმა, კაციამ და ვამეყმა შენ ჩვენს ერთგულს და კარის მღვდელს **თდიშარიას** დავითის შვილს **ბასილს** და თქვენთა შვილთა და მომავალთა ყოველთავე ასე და ამა ჟამსა ზედა, რომ შემოგვედრე და ვისმინე ვედრებას შენი და გიყავ წყალობას და მოგეცით ჯვრითდაწერილი და შეუვალი

ქაჩიბაიასსულნი მიწა და ადგილნი თვინიერ ყოველნის გარდა, ყოველნი ჩემთვის იყო და მიწა სამუშავებლობად შენთვის უბოძებიათ და საბოძებით მოგახსენებთ ღმერთმან ყოვლის კაცის უდავებლობად ეს ჩვენგან ბოძებული წყალობაზე თქვენთა შვილთა და მომავალთა არ მოუშალოთ თუ ჩემსა სხვა ზაქარია არ არჩიოთ არის ამისი მოწმე თავათ ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისანი ქვეყანისანი კაცთაგან მოწმე ამისი ჩიჩუა სიკო, ჩიქოვანი ზერი, ჩემი მოურავი გამსახურდია ზაქარ, ჯაიანი ზერი, ხაინდრავა ოტიას, ჩემი მაგიერი კაცი კიბირიას ვახტანგიკა და კიბირიას კუტუკუტია, ხოფერიას მღვდელი იოანე, ხელოსანი (თანამდებობა, მამასახლისი) **თადიშვილის** მათიას, ხელოსანი კიდევ ბესელიას ირიაკუ; "დამიწერია მე ზაქარიის შვილს ლევანს და მოწმეცა ვარ ამისი: წელსა **ჩ ყ ი თ** მარტის 12, ზაქარიის შვილი გიორგი."

"თუმცა ჩვენი ზოტანეზის მორჩილნი და ერთგულნი მოსამსახურენი იქმნები გიძღვნით წყალობას ამას და ვინაიდგან ამ წყალობის ძალით მამული მხოლოდ ჩვენი იყო. იმ მამულის სამაგიეროდ კორცხელიას ზიარი მამული გამოგვართვით და ეს ზემოხსენებული ადგილი თავის მამულიანად შენ დაგვასაკუთრეთ როგორც ისრე იქმნე ერთგული მსახურებული ჩვენი. სამეგრელოსა სარდალი და ბოქაულთუხუცესი ნიკოლოზის დადიანი."

"რომელთაც ამ წყალობას მიწის წერილს ამჟამად არც მამული იყო ის მამული ჩვენი იყო და მისდა სამაგიეროთ კორცხელიას ზიარი მამული გამოართვა და იმ ჩვენს ნაწილზე მიწაში მამული იყო ის შენ არ გისაკუთრებთ: ღმერთმან გაგახაროს ჩვენს ერთგულებაში: ელიზბარ დადიანისა." (ცსსა. ფონდი 1448, საქმე № 3184).

**1822** წლის 1 ოქტომბერს ზაქარიაშვილი დადიანისა ნიკოლოზის ძე მისი ძმანი ნიკო, ელიზბარი, ბაბია და ვამეყი თავადნი ერთგულ მოსამსახურეს კარის მღვდელს **ბასილი თადიშვილს,** მის შვილებს და მომავალს უწყალობებენ სოფელ სუჯუნაში (სოფ. სუჯუნა, ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი) მცხოვრებ ორ ძმას წულაიას გიორგის და მამუკას.

"ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ესე მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი დავწერე და გიბოძე მე შენ ზაქარიის შვილმან გიორგიმ და იოანემ ნიკოლოზის ძემან



ოდიშარიათა გვარის განსახლება საქართველოში

და [illegible] ძემან ჩემმან ნიკომ, ელიზბარმან, კაციამ და ვამეყმან შენ ჩემს ერთგულს მოსამსახურეს კარის მღვდელს **ოდიშარიას ბასილეს** და მეცა შენთა და მომავალთა ესე და ამა წიგნს შენ, რომ დამეკარგე და ვისმენი ორთავ ვედრებისა შენისა ყველასაც სოფელი გამოვართვით ორივეთაც გული შემიწყალებინოდას და გიბოძე საყდრებს მცხოვრები ორი ძმა წელისის გიორგიძე და მამუკა ბუაძეს და გიზელანიერეს ღმერთმან ჩემს მსახურებას და მორჩილებას ქვეშ და თუ შენ ჩემი ერთგული და მოსამსახურე იქნები ასეც ეს ჩემი მიერი ნაბოძები წყალობა შენ არ შეგეშალოს და თუ ვინმემ შეეცადოს ამისა ხელი ყოს ისიც შერისხოს მეუფის ქრისტიანობისათვის და შერისხული იქნების თვისის წყალობისათვის და წმინდათა მოციქულთათვის. ამისა და შენ საყდრისაც ხელით და მოძღვრებელი ამისი იყურთხილოს ორნივე შენი ცხოვრებისა. ხელით მოწმენი არიან ამა ჩემ მიერ წყალობისა ყმა ჩემი ჩიჩუა სიკო, ჩიქოვანი ბერი, ჯოლობა სიმონ, შავლია დავით, შავლია ზაქარია, მღვდელი ხოფერია იოანე და მისი ძმა, მღვდელი დიმიტრი ბერიძე, ნიკოლოზ ჯაიანი, ბერი ჩემი მაზნიო კაცი, ძიძიგური გიორგილობა, დადიანის მე მღვდელს ქვემოთაძეს იოანეს მისის ყვარყვარესწყალობისთვის წინაშე მთელის გიორგი დადიანისთვის ბრძანებით და მოწმეც ვარ ამისი: წელსა ჩ ყ ჳ ბ ქორონიკონს ს წინაშე მთელის გიორგი."

"ვამოწმებ წყალობას მამისა ჩემისასა მე ძე მისი უფროსი ნიკო დადიანი."

"ვამოწმებ წყალობას მამისა ჩემისასა მე ძე მისი ელიზბარ დადიანი."

"ვამტკიცებ და ვამოწმებ წყალობას მამიჩემისასა მე ძე მისი კაცია დადიანი."

"ვამტკიცებ წყალობას მამისა ჩემისასა და ვამოწმებ მე ძე მისი ვამეყ."

**(ცსსა. ფონდი 1448, საქმე № 5052).**

**1826** წელი, **12** ივნისი, სამართლის წიგნი; ორ ძმას, სვიმონს და ზაქარიას ქორთიებს მღვდელი **იოანე ოდიშარიასთვის** მიუციათ მღვდელი იოანე ქორთიებს მამის ფული, თამასუქი ქონიათ. **ოდიშარიას** თამასუქში ცხენი მიუცია, მაგრამ ჟუჟუნი ქორთიებს ვერ უნახავთ, რომ **ოდიშარიასთვის** დაუბრუნებიათ და ეს წიგნი მიუციათ

ვექსილის მაგიერ. (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიმ) ხელნაწერთა ფონდი, საბუთი № 191).

**1832** წელი, **14** ნოემბერი, წყალობის წერილი: თავადი ნიკოლოზ გიორგის ძე დადიანოვი **აზნაურს,** მღვდელ **იოანე** გიორგის ძე **ოდიშარიას** და მის შვილს, მღვდელ **ტიმოთეს** აძლევს ბიჭს შინაყმად.

საბუთის მოწმეთა შორის არიან დადიანის კარის მღვდელი **ვასილ** დავითის ძე **ოდიშარია,** ხელოსანი (მთავრის მოხელე, მამასახლისი) **სოფრომია** **ოდიშარია.**

(ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიმ) ხელნაწერთა ფონდი, საბუთი № 190).

**1848** წელი, **29** ოქტომბერი, მღვდელ **ტიმოთე** **ოდიშარიას** თხოვნა სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისადმი ნასყიდობის ქაღალდით.

დავით დადიანი მღვდელ **ტიმოთე** **ოდიშარიას** თხოვნის სიმართლით განიხილავს ავალებს სუჯუნის მაზრის (ამჟ. აბაშის მუნიციპალიტეტი) მდივანბეგ ვამეყ დადიანს.

(ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიმ) ხელნაწერთა ფონდი, საბუთი № 177).

**1848** წელი, **10** ნოემბერი. ნასყიდობის წიგნი: მღვდელ **ტიმოთე** **ოდიშარიას** თავისი ნასყიდი ყმა **უტუა** მიქაელის ძე **ოდიშარიასთვის** მიუყიდნია მიწის ნაკვეთი.

(ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიმ) ხელნაწერთა ფონდი, საბუთი № 176).

**1853** წელი, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცულია მღვდელ **გიორგი** **ოდიშარიას** ნაქონი ხელნაწერი წიგნი, XIX საუკუნის II ნახევარში შესრულებული ( “ყოვლისა საზოგადო ისტორია. წიგნი პირველი”.) – “შესავალი

ისტორიისა მისა. – 1. ისტორია ეს-ვარი ზედა წიგნების შორისა დაცულისავან, რომელიც აღნიშნავს ხელოვანდ ამადა, ვითარცა მას მისა წარმოებანი წიგნი იდიების რეცადის თუ წიგნში თუალთა..."

მინაწერები: 1. "მის ლოცვებსა უმაღლესს მეუღლეს, გ ი ო რ გ ი   ო დ ი შ ა რ ი ა ს მეორისას საჩქაროდ ს ო რ გ ა ს (ამჟ. ხობის მუნიციპალიტეტი) ჩუბე-სა (1853 წ.) ნიკოწმინდის კდ-სა (24)."

3. "წიგნი ესე მეწოსა შეკრების დ ა ვ ი თ   დ ა დ ი ა ნ ი ს ა გ ა ნ ჩუბე-სა წელსა, იანვარს კდ-სა, მინასა მისსა გიორგი ს ხ ვ ი ტ ა-რ ი ა ს. ესე იგი წიგნი არის გ ი ო რ გ ი   ო დ ი შ ა რ ი ა ს ი. ილოცეთ."

(ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1969 წელი, VI ტ. გვ.43, საბუთი № 4612).

**1860** წელი, ძლევაკი და გაბრიელი ფეოდალების ანორების წიგნი ფეოდალის სიმონისადმი, **ოდიშარიას** თქვენის ამოწყვეტის და მისი შვილების მოსავლელად გადაცემის შესახებ.

"ქ. ესე საუდლოთ წიგნი მოგვეცით შენ ჩვენს ძმის წულს გაოიჩქინდის შვილს სიმონს ჩვენ შენმა შოიბმან ფეოდალმა გაბრიელმან და ძლევაკიმ ასე რომ **ოდიშარია** გვყავდა და დავმტკიცეთ იმავ წელიწადშიდ შემოგვეწ სული ეგზეს შეკრებისას და მის ძმას ჩვენ გვითხარით თუ რამ მოგვეძლოს ეგადა და ეგებ სული შეიჩის თქვა, მოგვეცემა თქვა. ასე რომ კაცი არ გვყავს შენ ეგადა სული შეარჩინე არც გიმზადობიერს ლომიერმან. ფასიც გამოვართვი უდავებლად მოგვეცემა ამის მიდავე შენ არავინ მოვადგეს. არის ამის მოწმე თავად ლომიერი და ყოველი მისი წმინდანი ზეციერი და ქვეყნიერი. კაცთაგან არის ამისი მოწმე ჩვენი დის წული ფართულისავე გიორგი ხუცესი და მისი ძმა ზურაბ სხვა მისი კაცნი ერთობით ჩვენი კაცი სურამავა ძიძიელის მისი შვილი ასული, სხვა ჩვენი კაცები ვინც არის. ხელიც მართლის გულით ჩავწერთავს ოთხივე ძმებს."

ზურაბი +++



*1860 წელი*

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი,
ხელნაწერთა ფონდი, საბუთი № ა-400

იოსებიძე სვიმონის შვილი ფუხაშვილია

არშიაზე მიაწერია: "ერთობით გახდეს ყოვლის კაცის შეუცილებლად. მე ასათიანი გიორგის დამიწერია ჯილოთას და ძლევაკის სიტყვით."

ეს საქმე სამეგრელოს მმართველის საბჭოში წარადგინა აზნაურმა დიონისე ფუხაშვილმა 1860 წელს.

(მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, საქმე №ა- 400).

XIX საუკუნის საარქივო და სტატისტიკური აღწერილობების მასალები სამეგრელოს ეკლესიებში.

**1864** წელი, ნახუნაოს (ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი) წმიდა გიორგის ეკლესია, მღვდელი **ანტონ ოდიშარია**, "პრიჩეტნიკი" (მედავითნე) **ნიკოლოზ ოდიშარია**.

(ცსა. ფონდი 489, აღწერა 6, საქმე № 1715).

**1864** წელი, თეკლათის (ამჟ. სენაკის მუნიციპალიტეტი) წმიდა გიორგის ეკლესია, მღვდელი **იოანე ოდიშარია**, დიაკონი ბესარიონ ელიავა.

(ცსსა. ფონდი 489, აღწერა 6, საქმე № 1719).

**1864** წელი, ნოსირის (ამჟ. სენაკის მუნიციპალიტეტი) წმიდა გიორგის ეკლესია, მღვდელი **ტიმოთე ოდიშარია**, "პრიჩეტნიკები" **დიომიდე ოდიშარია** და ბესა გეგენავა.

ზანათის (ამჟ. აბაშის მუნიციპალიტეტი) მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი **ლაზარე ოდიშარია**, პრიჩეტნიკი კოცია უკანიშვილი.

(ცსსა. ფონდი 489, აღწერა 6, საქმე № 1721).

XVIII საუკუნეში ნოსირში ჩამოსულან **ოდიშარიები**. გადმოცემით, აქ მათ დახვდათ ძველი მოსახლეები გოშუები და ფილიაძეები (ზოგიერთი გადმოცემით, ისინი შელიები ყოფილან და არა ფილიაიები), რომელთანაც მიწაზე და წყალზე დავა მოუვიდათ. ისინი ერთმანეთს დაერივნენ და ამ ბრძოლაში ორივე გვარი ამოწყვეტილა. ისინი ძველი

სამღვდელო გვარები იყვნენ. ეს ასევე ცხოვრობდნენ მღვდლები ნინუები და კორცხალიები. XIX საუკუნის ბოლოს **საოდიშარიოს** უბანში, სოფლის სასაფლაოსთან **ოდიშარიებს** აუშენებიათ წმიდა სტეფანეს სახელობის ქვის ან სავარაუდოდ აგურის ეკლესია, რომელიც ამჟამად დანგრეულია. ეს არის ერთ-ერთი მღვდლის, 1830 წლის დაბადებული **ლაზარე ოდიშარიას** საფლავი, რომელიც 1905 წელს გარდაიცვალა.

***(დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, 2010 წელი. გვ. 69, 72, 395).***

**1873** წელი, სენაკის მაზრის დროებით-ვალდებული გლეხთა კამერალური აღწერილობა

სოფელ ნოსირის სასოფლო საზოგადოება (ამჟ. სენაკის მუნიციპალიტეტი)

**ოდიშარია ლევანი**, 1 კომლი, 5 სული

**ოდიშარია ჯაჯუა**, 1 კომლი, 4 სული

**ოდიშარია ივანე**, 1 კომლი, 3 სული

**ოდიშარია სიკოია**, 1 კომლი, 5 სული

**ოდიშარია თემურყვა**, 1 კომლი, 3 სული

**ოდიშარია დომენტი**, 1 კომლი, 5 სული

**ოდიშარია ლაზარე**, 1 კომლი, 3 სული

**ოდიშარია მარკოზია**, 1 კომლი, 8 სული

**ოდიშარია როსტოია**, 1 კომლი, 4 სული

სოფელ ონოღიის სასოფლო საზოგადოება (ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი)

**ოდიშარია ეგნატე**, 1 კომლი, 9 სული

სოფელ ზოზოთის სასოფლო საზოგადოება (ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი)

**ოდიშარია ჭიჭე**, 1 კომლი, 3 სული

**ოდიშარია ნიკო**, 1 კომლი, 7 სული

**ოდიშარია მიქე**, 1 კომლი, 7 სული

სოფელი ჩინჩინის სასოფლო საზოგადოება (ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი)

**ოდიშარია საბიას**, 1 კომლი, 9 სული

**ოდიშარია ბატიას**, 1 კომლი, 9 სული

**ოდიშარია თედო**, 1 კომლი, 10 სული

**ოდიშარია მიქე**, 1 კომლი, 5 სული

**ოდიშარია ბეთიკას**, 1 კომლი, 8 სული

**ოდიშარია გეორგელას**, 1 კომლი, 5 სული

**ოდიშარია სესი**, 1 კომლი, 5 სული

**ოდიშარია სვიმონიკას**, 1 კომლი, 7 სული

სალხინოს საზოგადოება, სოფელი საჯორღი (ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი)

**ოდიშარია კაცას**, 1 კომლი, 2 სული

**ოდიშარია დუტუ**, 1 კომლი, 13 სული

**ოდიშარია ისე**, 1 კომლი, 8 სული

(ქუთაისის ცენტრალური არქივი (ქცა), ფონდი 8, აღწერა 1, საქმის № 813).

**საოდიშარიო.** სოფელია ტეხურის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 30 მეტრის სიმაღლეზე, სენაკს დაშორებულია 5 კილომეტრით, თემის ცენტრს (კარიეთი), ნოსირს – 1,5 კილომეტრით.

**საოდიშარიო** ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარის – **ოდიშარიას** ძირძველი საბუდარია. 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით **საოდიშარიო** სოფელია ნოსირის სასოფლო საბჭოში, სადაც 121 კომლი 534 სული მოსახლეობს.

გვარი **ოდიშარია** მოხსენიებულია გვიანი შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში. **ოდიშარიები** მოსახლეობენ აგრეთვე მარტვილის მუნიციპალიტეტში; სოფელ ჩინჩინის ერთ-ერთ უბანს "ფაბურიაში," რომელიც მდინარე ისკრის ორივე ნაპირზეა, **ოდიშარიო** II**საოდიშარიო** ეწოდება. ადრე **ოდიშარიების** წინაპრები ნოსირიდან ჩამოსახლებულან



180 წლის 16 ჭადრის ულამაზესი და უნიკალური ხეივანი
სოფელ ნოსირში ოდიშარიების ძირძველი ოჯახის მშვენებაა

და დამკვიდრებულან მდინარე ისკრისა და მდინარე ზერქურს შუა ვაკეზე, რომელსაც ნაოდიშარ(ი) ეწოდება.

(ი. ჯიქია, დ. ოდიშარია – სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი. 2012 წელი, გვ. 63).

**საოდიშარიო** – სოფელი სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის სოფლის საბჭოში, ოდიშის დაბლობზე, მდინარე ჭყიშურის ხეობაში. მდინარე ჭყიშურს აქ მონაკვეთზე ხიდია არ მოეწყობა. **საოდიშარიო** გაშლილია მდინარე მარცვანის ორივე ნაპირას, საკილასონიისა და ზანათს შუა აღმოსავლეთით ესაზღვრება ზანათი (აბაშ. აბაშის მუნიციპალიტეტი), ჩრდილოეთით – საწისელიო და შუა ნოსირი. მთელი სოფელი გორაკებზე (ბორცვებზე) დადიოდა სუჯუნისკარში. **საოდიშარიოს** თავისი სალოცავიც ჰქონდა – ჭმუნდა ყდუფანი (მარცვანის მარჯვენა ნაპირზე).


შალვა ოდიშარია

**საოდიშარიო** ეტიმოლოგიურად და ამოსავალი ფუძის სემანტიკით მიანიშნებს, რომ იგი **ოდიშარიების** სამოსახლოა. **ოდიშარია** ერთ-ერთი უძველესი გვარია. **ოდიშარი** ნიშნავს **ოდიშელს**. მაშასადამე, ეს ტოპოსი ოდიშის გარეთ დამკვიდრებული სადაურობა-წარმომავლობის სახელია. გვარ **ოდიშარიების** უძველეს სამკვიდროდ ითვლება ნოსირი, მაგრამ ინფორმატორი **შალვა ანდროს ძე ოდიშარია** (82 წლის) გადმოგვცემს: "ჩვენი ძველები მოსულან **ოდიშიდან**, გორებზე კი დასახლებულან სუჯუნისკარში"...(სოფლის ქრონიკიდან ალიონის 1984 წლის ივნისში). მართლაც, **ოდიშარიები** აქ ჩამოსულან XVIII საუკუნეში და აუშენებიათ ქვის ეკლესია XIX საუკუნეში.

2002 წლის ერთიანი საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, **საოდიშარიოში** ცხოვრობს 790 მუდმივი მოსახლე 364 კაცი და 426 ქალი.

(პ. ცხადაია – სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი,2013 წელი, გვ. 90).

# ოდიშარიათა გვარი ქართულ ჟურნალ - გაზეთებში XIX – XX სს.



ჟურნალი "მწყემსი", 1885 წელი, 1-15 მაისი, № 9, გვ. 15.

საეჭვო კითხვების განმარტება.

ჩვენი მრევლი შესდგება 260 კომლისაგან. ეკლესია არის ორშტატიანი და ორი მღვდელი ვართ. ამ სამრევლოში არის ერთი ზედა-მიწერიელი ეკლესია, რომელიც სამი ვერსით შორავს შტატის ეკლესიას. ამ ზედა-მიწერიელ ეკლესიას ჰყავს თავისი საკუთარი მრევლი. დიდათ დაშორებულნი ვართ, ვინაიდგან მარტო ერთს ეკლესიის სახელზედ გვაქვს დავთრები. შეიძლება თუ არა, რომ ზედა-მიწერიელი ეკლესიისათვის მოვითხოვოთ ცალკე დავთრები და ორივე მღვდელმა ზედა-მიწერიელ და შტატის ეკლესიაზედ ვიქონიოთ ცალკე დავთრები და ცალკე ვაწარმოოთ ისინი? ზოგიერთები ამბობენ, რომ ზედა-მიწერიელი ეკლესიისათვის მეორე დავთრების გამართვა არ შეიძლებაო. მართალია ეს თუ არა?

მღვდელი ლ. **ოდიშარია.**

ვაცნობებთ პატივცემულს მამა **ოდიშარიას,** რომ ამისთანა თხოვნის აღსრულება შესაძლებელიც არის და კანტორას ადვილად შეუძლია ამ თხოვნის აღსრულება, თუ კი ადგილობრივი ბლაგოჩინი მოითხოვს ცალკე საეკლესიო დავთრებს ზედა-მიწერიელი ეკლესიისათვის. წლის გათავების შემდეგ ერთად უნდა მიაკეროთ შტატის და ზედა-მიწერიელის ეკლესიის დავთრები და წარადგინოთ კანტორაში. ჩვენ ძალიან გვიკვირს, რომ ზოგიერთი ბლაგოჩინები ამას შეუძლებელ საქმედ რაცხავენ, როდესაც ესე ადვილი შესასრულებელია.

რედაქცია.

გაზეთი "ივერია", 1889 წელი, 29 ივნისი, № 135, გვ. 2.

რუბრიკა: დაბა და სოფელი

სამეგრელო. არსად საქართველოში არა მგონია იყოს იმდენი ნაკურთხი და უკურთხი მონაზონი, რამდენიც სამეგრელოში. თითქმის ყოველს ეკლესიაში შეხვდებით 2-5

სასენაკოს, სადაც მონაზვნები ცხოვრობენ; ზოგან იმათი რიცხვი 10-15-მდე ადის. ამის მიზეზის გამოკვლევას აქ არ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ხშირად 15-16 წლის ქალი იცვამს შავ კაბას, არ ათხოვდება და ბინავდება ეკლესიის ეზოში. ხანდახან მშობლები 9-10 წლიდანვე აირჩევენ ხოლომე რომელსამე ქალიშვილს, ნამეტნავ თუ ბევრი ჰყავთ, იქნება იმიტომ-რომ გათხოვება ეძნელებათ და მონაზონს უნდობენ. რასაკვირველია, ამ ნაირად გამონაზვნებული ქალი, თუნდ თავისი ნებითაც დადგეს საცხოვრებლად ეკლესიის ეზოში, უმეტეს ნაწილად ბოლომდე ვერ ერთგულებს თავის წოდებას და ურჩობს მოხდება ხოლომე, ასე რომ ხშირად გაფრინდებიან სამღვდელოში: ამა-და-ამ ეკლესიის ეზოში მონაზონს შვილი ეყოლიათ. ამ ურჩობისათვის მიუქცევია ყურადღება სასულიერო მთავრობას. ეხლახან მოსვლიათ ადგილობრივ ბლაღოჩინებს ბრძანება კანცელარიისაგან: აეკრძალოთ ყველა მონაზონად წოდებულ ქალებს ეკლესიის ეზოში ცხოვრება და დანიშნულ ვადაზე ყველანი განდევნილ იქმნან იქიდგან. ეს ძლიერ კარგი განკარგულებაა, ხოლო ჩვენ, როგორც საქმის მცოდნენი, გვინდა ერთს გარემოებას მივაქციოთ, ვისაც ჯერ არს, იმისი ყურადღება. საქმე ის გახლავთ, რომ მონაზონთა შორის ბევრი არ მეტად მოხუცებულია, არა დაკუჭებული-ხელ-ფეხ მოკლებული, რომელთაც აღარაფერი აღარ გააჩნიათ, გარდა თავიანთის სასენაკოებისა და არც ვინმე ჰყავთ, რომ თავი შეაფარონ და რასაკვირველია, ურჩობასაც აღარ სჩადიოდნენ. კარგი იქნებოდა, ამისთანებისათვის მიექციათ ყურადღება და სხვა შავ-კაბა, შავ-თავსაფრიანი მეგრელი მონაზონთ გროვაში არ გაერიათ. მონაზვნებს თუმცა, წლოვანების განურჩევლად, განზრახვა აქვთ მთავრობას მიეშველოთ და სთხოვონ, ხსენებული განკარგულება გააუქმოს. რასაკვირველია, ეს ყოვლად შეუძლებელი იქნება, თუ ივი განკარგულება უწმინდესის სინოდისაგან არის, ხოლო ეს-კი შესაძლებელია, რომ ადგილობრივ ბლაღოჩინებს დაავალებენ მარტო ღირსეულთა გამორჩევას და ამით ღმერთის ანაბარას არ დასტოვებენ იმათ, ვისაც თითონვე ქრისტე ეუბნება: "მოვედით ჩემდა, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე განგისვენოთ თქვენ."

ოდიშარა

გაზეთი "ივერია", 1890 წელი, 23 ივნისი, № 132, გვ. 2.

რუბრიკა: წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით ამასთანავე მოგროვილს მარიამ ხახულის ასულის აბაშიძისეულ ოცს მანეთს განსვენებული დიმიტრი ყიფიანის ფონდისათვის და ოცდა თოთხმეტს მანეთს – წინამძღვრიანთკარის (მცხეთის მუხრანბატონეულში) სკოლის სასარგებლოდ და გთხოვთ დაბეჭდოთ "ივერიაში" სია შემომწირველთა; სულ იყო 29 შემომწირველი, მათ შორის: **კირილე ოდიშარია** – სამი მანეთი; **ალექსანდრა ოდიშარია** – 1 მანეთი და 70 კაპიკი.

1890 წლისა, მაისის 27 დღესა, დაბა საჩხერე. **კირილე ოდიშარია**

გაზეთი "ცნობის ფურცელი", 1896 წელი, 29 ოქტომბერი, № 10, გვ. 3.

რუბრიკა: წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულის გაზეთ "ცნობის ფურცლის" საშუალებით უგულითადესი მადლობა ვუძღვნათ ქვემო აღნიშნულ პირთა და იმათში განსაკუთრებით მთავარ-დიაკონს გიორგი გვეფკოს და დავით ასათიანს, რომლებმაც შეკრიბეს ფული და წიგნები მარტვილის ახლად დაარსებული უფასო წიგნთ-საცავ და სამკითხველოს სასარგებლოდ.

სულ ფულად შეკრებილია 89 მანეთი და 44 კაპიკი 42 პირისაგან, მათ შორის **გიორგი ოდიშარიამ** 1 მანეთი, უცხო პირთაგან კი 18 მანეთი და 44 კაპიკი. ხოლო წიგნებად შემოსწირეს 438 ცალი წიგნი 28 პირისგან, მათ შორის "წერა კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" 58 ქართული წიგნი.

ყველას ამათ წიგნთ საცავის და სამკითხველოს გამგე კომიტეტის წევრნი დიდს და გულითადს მადლობას უცხადებს. ღმერთსა ვთხოვთ მიმბაძავნი ამათნი კიდევ მრავალნი გამოჩნდნენ და თავიანთი წვლილი არ დაიშურონ ხსენებული სამკითხველოს სასარგებლოდ.

გამგე მარტვილის ახლად დაარსებული წიგნთ-საცავ სამკითხველოისა.

20 ოქტომბერს 1896 წელსა. სოფელი მარტვილი.

## გაზეთი "ივერია", 1897 წელი, 30 აპრილი, № 82, გვ. 4.

რუბრიკა: წერილები რედაქციის მიმართ

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ჩემის მოსწავლეებითურთ დროებით ბათუმში მცხოვრებს ნიკო გიგოს ძე ცეცხლაძეს, რომელმაც კეთილი ინება და გამოუგზავნა ჩემ მოსწავლეებს 50 ცალი ქართული სახარება და შარმადინ სალუქვაძეს, რომელმაც აჩუქა ჩემს მოსწავლეებს მთელის წლისათვის სამყოფი კარანდაში (ფანქარი), რიცხვით 300. ვისურვებ, რომ სხვებმაც გაიხსენონ ჩემი ღარიბი მოსწავლეები და დახმარება აღმოუჩინონ.

ლიისუფის სკოლის მასწავლებელი ა. ლდიშარია

## გაზეთი "ცნობის ფურცელი", 1897 წელი, 3 ივლისი, № 243, გვ. 3-4.

რუბრიკა: ახალი ამბავი

ქ. ბათუმი. კაცის გატაცება. აი, ერთი ამბავი, რომელიც მოხდა 25 ივნისს, შუადღის 12 საათზედ: აქ ერთი ყმაწვილი კაცი, ივანე გეგეჭკორი, ჩამოსულა ქალაქ ქუთაისიდან და სდომებია სოხუმში წასვლა, მაგრამ გაუგია გემი არ მიდის ხვალამდისაო. ამას მაინც არ დაუჯერებია და წასულა ზღვის ნაპირას, რუსის საზოგადოების გემის სადგურთან. უკითხნია იქაც და გაუგია, რომ ხვალამდის არ წავაო. იქიდამ მობრუნებულა ეს ყმაწვილი და სდომებია სადმე ღამის გათევა; ამ დროს ყავახანიდან გამოსულა ერთი იმერელი კაცი (როგორც ნიშნებით ამბობენ, ნ. რ-ძე), რომელიც ქაღალდს თამაშობდა ყავახანაში, მისულა ამ ყმაწვილთან და უთქვამს: ყმაწვილო! მე შენ საიდამღაც მეცნობები; ყმაწვილს წამოუდგენია ნაცნობი კაცის სახე და უთქვამს: მე მგონი, ქუთაისში მინახავხართ და არ ვიცი ნამდვილად, თქვენი ხართ თუ არა! ამ ავაზაკს უთქვამს: მართლა, ახლა-კი მომაგონდა, რომ ქუთაისში გინახეთ და თანაც შეეკითხება: კარგი და შენ აქ რისთვის ჩამოდით. მე ვიფიქრე, რომ წერილი მომივიდა სოხუმიდან და იქ მივდივარო. კარგი და ეხლა სადაური ქუთაისიდამ მოდიხარო? შეეკითხება ავაზაკი. არა, სოფელში ვიყავი და ახლა ქუთაისიდამ მივდივარო.

ავაზაკს უთქვამს, აქ სად გაქვს შენ მოსასვენებელი ადგილი? მე ჯერ არსად, მინდა სადმე ვნახო და მოვისვენოთ? ასე როგორც შენ ნაცნობი ქართველისათვის ჩვევაა, წამოდი და ჩემს ოთახში მოისვენე. ყმაწვილს მადლობაზე უთქვამს და წაჰყოლია. თითქმის ქალაქის მოშორებულან და იქ, ქალაქის განაპირას, უკანასკნელი სახლები უჩვენებია და უთქვამს: აი ეგერ ფანჯრებში რომ სინათლის შუქი გამოსჭვივის, ის არის ჩვენი ოთახიო. როდესაც ყმაწვილს შეშინებია უთქვამს: კაცო, ამ სიშორეს სად მიდიხართ, თითქოს ტყეში უვლიდითო. ამ ლაპარაკით მისულან იმ სახლის ალაყაფის კარებთან, რომელიც დაკეტილი დახვდომიათ. ავაზაკს უთქვამს: ეს ორივე დაუკაკუნეთ და იქით შევიდეთ, მერე შესავალითგანიათ და წასულან. მისულან ტყეში და ავაზაკს საცვეთიდან ხანჯალი ამოუღია და იმ ყმაწვილისთვის გულზე დაუბჯენია შემდეგის სიტყვით: მალე რაც ფულები გაქვს ამოიღე და მომეცი, თუ არა, ეს არის მოგკლავთ! ყმაწვილს შეშინებია, მაგრამ გრძნობა მოუკრებია და შებრძოლებია თავის მოსისხლე მტერს. მაგრამ, საუბედუროდ, ავაზაკს დაუძლევია და დაუჭრია სამი ალაგას ხანჯლით და ყმაწვილის უბიდან ამოუღია ქისა, რომელშიაც ყოფილა 10 მან. და 50 კაპ. აგრეთვე ბილეთის წიგნი № 35, აღებული 95 წლის. ყმაწვილს თურმე ბევრი უყვირია, მაგრამ, საუბედუროდ, არავინ არ გამოჩენილა, არც პოლიციელები და არც სხვა ვინმე. შემდეგ გასისხლიანებულს ყმაწვილს მოუმართავს მეორე განყოფილების ბოქაულისათვის, ბატონ ჩიქვაიძისათვის, მაგრამ ნათქვამია: **"სიკვდილის მერე სინანული გვიანი არისო,"** სწორედ ასეა იმ ყმაწვილის საქმე. ყმაწვილს დაწვრილებით უხსნია ბოქაულისთვის თავისი თავგადასავალი. ბოქაულს უძებნია დესეტნიკები, მაგრამ



ვერაფერი უპოვნიათ. აი, ასეთი საცოდაობაზე მიხდა მაგისთანა ხალხისგან. რასაკვირველია იზამენ, თუ ყურადღებას არ მიაქცევენ ასეთი პოლიციის მოხელეები. ეხლა დროა, რათა ამისთანა კაცებს აუკრძალონ აქ ცხოვრება, თუ არა, მგონი, არამც-თუ ახლოსაც ჩამოსვლის კაცებს, არამედ აქაურ მცხოვრებლებს გაუჭირდებათ

დამე სადმე სხვა ქუჩებში წავიდეს, რადგანაც ამისთანა კაცები აქ ბევრია ახლა.

კ. ოდიშარია

## გაზეთი "ცნობის ფურცელი", 1897 წელი, 10 ივლისი, № 250, გვ. 3.

რუბრიკა: ახალი ამბავი

ქ. ბათუმი. ქუჩაში რევოლვერის სროლა. აი კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც მოხდა 6 ივლისს, ღამით. აქ ყავახანის წინ შეგროვდნენ რამოდენიმე ყმაწვილი-კაცები და ყავას სვამდნენ. ქუჩა თითქმის სრულებით იყო სავსე, რადგანაც ლაპარაკი მოსწონდათ ამ ყმაწვილ-კაცებს. სხვათა შორის ამ ქუჩაზედ გამოიარა ერთმა მანდილოსანმა, რომელიც ჩქარა სიარულით მიდიოდა. ამ მანდილოსანის დანახვაზედ ერთმა ყმაწვილმა კაცმა (რომელსაც ამბობენ ვ. გ-ბ-ამ), ამოიღო რევოლვერი და გაისროლა ორჯერ, საიდაც მანდილოსანი მიდიოდა. ტყვია ამ მანდილოსანს ერთი არშინის სიმაღლეზედ ასცდა. მანდილოსანმა ტყვიის ზუზუნი რომ გაიგო, თითქმის გული წაუვიდა, მაგრამ გონს მალე მოიკრიბა და მიმართა პოლიციელს, რომელიც იქვე ახლოს იდგა, შემდეგის სიტყვით: თქვენ რისთვის დგახართ აქ, თუ ამისთანა კაცებს ყურადღებას არ მიაქცევთ. გთხოვთ, ეხლავე პოლიციაში წაიყვანოთ, თუ არა პოლიცმეისტერს შევატყობინებ, რომ თქვენ ამისთანა კაცებს ყურადღებას არ აქცევთო. პოლიციელმა მაშინვე მიმართა იმ ვაჟბატონს, რომელმაც რევოლვერი გაისროლა, მაგრამ ის პოლიციელის ნაცნობი გამოდგა. ეხლა ნაცნობს კაცს როგორ წაიყვანდა პოლიციაში? მხოლოდ ეს უთხრა პოლიციელმა: ძმაო, როგორ შეიძლება შუა ქუჩაში რევოლვერის გასროლა. ხომ ხედავდი შენი თვალით, რა უთხრა მანდილოსანმაო. მე აბა, როგორ უნდა წამეყვანე პოლიციაში, რადგანაც ერთად პურ-მარილი ბევრჯერ გვიჭამიათ! კარგი და პურ-მარილი რომ არ გვეჭამა, მაშინ შეგეძლო შენ ჩემი წაყვანა პოლიციაშიო? – შეეკითხა რევოლვერის გამსროლელი. რასაკვირველია, შემეძლო, უთხრა პოლიციელმა. ამ დროს ერთბაშად იელვა ხანჯალმა და ის იყო უნდა გამოესალმებინა ის პოლიციელი ამ წუთისოფლისათვის. რაკი დაინახეს ამხანაგებმა ხანჯალ-ამოღებული, მაშინვე ეცნენ,

სტაცეს ხელი ხანჯალს და უნდოდათ წაერთმიათ ხანჯალი, მაგრამ იმან ჩასჭიდა მაგრა ხელი ხანჯალს და არავის დაანება. იმათში ერთი ყმაწვილი კაცი თავ-გამეტებულად მივიდა და შეეხვეწა: დაიცათ! შენი ჭირიმე, შეინახე ეს ხანჯალი, თუ, არა პოლიციაში წაგიყვანენ და მაშინ ვინ გამოგიხსნის. შენ არხეინად იყავი, მე ვერავინ ვერ დამიჭერს, რადგანაც ყველა პოლიციელები მიცნობენ, უთხრა ხანჯლიანმა და კინაღამ გამოსტაცა. ეს ასეთი ამბავი ხშირად ხდება ჩვენში. ვინ იცის, რამდენი ცუდი კაცები ცხოვრობენ ყავახანებში: კაცის მკვლელი, ქურდი, ყაჩაღი და სხვა რამდენი-ვინ ჩამოთვლის...

სასურველია, რომ სასტიკი ყურადღება მიაქციოს პოლიციამ ამ ყოველგვარ სიბოროტის ბუდეებს-ყავახანებს-და ცოტათი მაინც უსაფრთხოს აქაურ მკვიდრთ...

კ. ოდიშარია

### გაზეთი "ცნობის ფურცელი", 1897 წელი, 12 აგვისტო, № 281, გვ. 2.

რუბრიკა: ახალი ამბავი

ქ. ბათომი. სამარცხვინო და საზიზღარი მაჭანკლობა. ბათომელები სხვა გარყვნილობას არ ვიყავით მოკლებულნი და ეხლა-ხანს თავი იჩინა კიდევ ერთმა ზნეობრივად გახრწნილობის ბუდემ. მე მოგახსენებთ სამარცხვინო და საზიზღარ მაჭანკლობაზე; ბათომში ცხოვრობს ცოლ-ქმარი X. ; ეგ ვაჟბატონები გურულები არიან, გურიაში ნაცნობ ნათესავები ჰყავთ და ამით რიგიანათ სარგებლობენ; გაემგზავრებიან სოფლად, ვითომდა თავიანთ ეკლესიაში სალოცავად და ნათესავების სანახავად, შევლენ ვისმე ღარიბი გლეხის ოჯახში, სადაც ახალგაზრდა ქალები ეგულებათ და ოჯახის მამას, ვითომდა გულ-შემატკივრობით ურჩევენ: გაგვაყოლე შენი ქალი ბათომში, გამოვზრდით, ალაგზე დავაყენებთ, საქმეს აუჩენთ და შენთვისაც სასარგებლო იქნება, თორემ რას გააკეთებს სახლში რომ ზის და ფუჭად დროს ატარებს. გახარებული მამა სიამოვნებით და დიდის მადლობისაც ეუბნება ამ ციდამ მოვლინებულს კაცს, უკრავენ ბარგს ქალს და ისტუმრებენ ქალაქში, ხოლო საცოდავმა

მამამ რა იცის, თუ რა უბედურება მოაქვს მის ვაჟკაცობითა და გაფრთხილებით აღზრდილი ქალის. ცოლ-ქმარი X. მოუთმენლად მიეშურებიან ზესთაფონისკენ და თან მოჰყავთ ის სასიამოვნო და სახიერი საქორწილო. ზესთაფონშიაც გულის ფანცქალით მოელიან ამათ ამაყი რაინდები; ზამთრის მოსვლის კიდეც ზესთაფონში X. მეუღლე გადაიხდის საღამოს ქალის კარებს წინადის თქმით: მერმე მოიწვევს ერთ ამაყს ... მერე მეორეს ... მესამეს და ამნაირად რყვნის და სამუდამოდ აუბედურებს საწყალ ქალს.

ეს ცოლ-ქმარი კარგა ხანია ამ სამარცხვინო და საზიზღარ ხელობას ეწევიან და ბევრი გაუბედურებია კიდეც, მაგრამ ვინ არის მოცლილი რომ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს?

მასწავლებელი კ. ლოლომარია

გაზეთი "ცნობის ფურცელი", 1897 წელი, 21 აგვისტო, № 289, გვ. 2.

რუბრიკა: ახალი ამბავი

ზესთაფონი. უშიშარი და უმართებულო რაინდი. 13 აგვისტოს, ასე დილის რვა საათი იქნებოდა, ზესთაფონის სადგურიდან გამსვლელი სახალხო მატარებელი იდგა. სადგურში მოგზაურნი დასეირნობდნენ, ის იყო პირველიც დარეკეს, როცა მატარებლის მესამე კლასის ვაგონიდან ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, ნ. უ-შვილი თავით ფეხამდე შეიარაღებული შურდულებით გადმოიჭრა და წინ შეეჩეხა იქვე მახლობლად მოსეირნე ახალგაზრდა ყმაწვილს და ძალზე აღელვებული და წარბშეკრულით მიმართა შემდეგის სიტყვით: ყმაწვილო, თქვენ ზრდილობიანი ზესთაფონელი კორესპონდენტი ხარ? რომ საზიზღარ-სამარცხვინო ცნობებს გზავნი გაზეთში, რომლებშიაც რაღაც ფორმებს და ლანძღვა-გინებას იწერთ და მასთან გაბიაბრუებით მთელ გვარეულობს სახელს გვიფუჭებ და მიწასთან გვასწორებ?... ამ სიტყვებზე ცოტა არ იყოს შეკრთა მეორე ახალგაზრდა კაცი და თრთოლვით სიტყვით უპასუხა უშიშარ რაინდს: – ყმაწვილო, მე სრულებით კორესპონდენტი არა ვარო! – როგორ არა, განა თქვენ არა ხართ **კ. ლოლომარია**, ე. ი. "მასწავლებელი", რომელმაც რაღაც მოფერებული ცოლის წერილებით გაზეთ "ცნობის ფურცელი"-ს 281



ნომერში საზოგადოდ გურულებზე ერთობ სამარე გავუთხარეთ? ბ-ნ მარტვილელმა ისევ გულ-გრილად მიმართა იმ რაინდს შემდეგის სიტყვებით: - მოითმინეთ, ყმაწვილებო, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ; მართალია, მე გახლავართ "მარტვილელი", ე. ი. იგივე კ. **ოდიშარია**, მაგრამ მე არავისთვის უსაბუთოდ შეურაცყოფა არ მიმიყენებია და რაც შეეხება, შეძლებისდა გვარად ვეცდებით, რომ ჩემ მიერ გავლილი გზაზე ჭეშმარიტების ხაზი დაიჭიროს. რაც შეეხება, ჩემს კორესპონდენციას, შესახებ იმ ამბისა, რომელზედაც, როგორც თქვენ ამბობთ, გაზეთი "ცნობის ფურცლის" რედაქციაში მოჭორებული ცილის წამება გამოგზავნის, ეგ ყოველი შემთხვევაში თქვენ არ გეკითხებათ და მაინც და მაინც თუ საჭირო იქნება შემიძლიან დავამტკიცო, რომ ჩემი ნაამბობი სრული ჭეშმარიტებაა იყო და არა ცილის წამება. ეს იყო, ეს სიტყვები დაასრულა ბ-ნ მარტვილელმა, რომ უშიშარ და უმართებულო რაინდმა უ-შაძემ ცოტა არ იყო ხანჯალზედ მოისვა ხელი, მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ზედიზედ, მესამე დარეკეს, უ-შაძემ მიატოვა ბ-ნ მარტვილელი და შურდულივით გაიქანა მატარებლისაკენ და შევიდა მესამე კლასის ვაგონში, გამხეცებულმა მოსძახა: "რა დღეს და რა ხვალო, ჩემს ხელიდგან ვერ წახვალო". მატარებელიც დაიძრა.

მხოლოდ რაც შეეხება ბ-ნ "მარტვილელის" წერილის სიმართლეს, - რომელიც გაზეთ "ცნობის ფურცლის" 281 ნომერშია დაბეჭდილი, თამამად შემიძლიან მეც და სხვებმა დავამტკიცოთ იგი უფრო მეტის გამოაშკარავებით და ბ-ნ მარტვილელს სრულს ჩვენ თანაგრძნობას ვუცხადებთ.

კ-ნი ნოდია

გაზეთი "ცნობის ფურცელი", 1898 წელი, 12 თებერვალი, № 454, გვ.3.

რუბრიკა: ახალი ამბავი

სოფ. ლიხაური, (გურია). მადლობა შემოწირულობისათვის

ბატონო რედაქტორო! ჩვენ მხრით თქვენის გაზეთის. "ცნობის ფურცელის" საშუალებით გამოუცხადეთ მადლობა ჩემი მოწაფეებითურთ ბატონ ალექსანდრე ლევანის ძე თოიძეს, რომელმაც კეთილი ინება და გამოუგზავნა ჩემს მოწაფეებს 200-მდე ქართული წიგნაკები, გამოუწერა ჩემს შკოლას მთელის 1898 წლის საყმაწვილო ჟურნალი "ჯეჯილი" და გაზეთი "ივერია" ერთი წლისა, 1896 წლიდან დაწყებული წარსულის წლის 1-ლი სექტემბრიდან ყველა ნომერი.

ვისურვებთ ბატონ თოიძის კეთილ მაგალითს სხვებმაც მიჰბაძონ და არ დაივიწყონ ლატარიზი ჩემი სკოლა და ბავშვები.

ლეიხოურის სკოლის მასწავლებელი ა. თოდიშარია

## გაზეთი "ცნობის ფურცელი", 1898 წელი, 13 თებერვალი, № 532, გვ. 2.

რუბრიკა: ახალი ამბავი

მადლობის გამოცხადება. ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ "კვალის " რედაქტორს, რომელმაც უფასოდ დაგვითმო თავის გამოცემა, როგორც ჩვენ სამოც-და-თხუთმეტამდე ქართველ ჯარის-კაცთ მეორე კავკასიის მსროლელი რაზმისას და მით გაგვიმსუბუქოს ჩვენი მძიმე ყოფნა.

ჯარის-კაცი კონსტანტინე თოდიშარია

## გაზეთი "ცნობის ფურცელი", 1898 წელი, 23 აპრილი, № 613, გვ. 2.

რუბრიკა: ახალი ამბავი

მადლობის გამოცხადება. ბატონო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ჩვენ მხრით თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ ჩვენს დაუღალავ მუშაკს ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელმაც დაგვითმო ყოველ-ნაირი ქართული წიგნები სახსოვრად ჩვენ მეორე კავკასიის მსროლელი რაზმის ჯარის-კაცებს.

კონსტანტინე თოდიშარია

გაზეთი "ივერია", 1898 წელი, 22 სექტემბერი, № 203, გვ. 4.

რუბრიკა: წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ჩემის მხრივ და აგრეთვე ჩემის 15 ამხანაგის მონდობილობით იმათ, რომლებმაც წიგნებით შემწეობა აღმოგვიჩინეს, სახელდობრ: ქალბატონ ანასტასია წერეთლისას, რომელმაც შემოგვწირა ერთი წიგნი "ჩვენი ძველი გმირები" და 10 ცალი ერეკლე-ყმაწვილის სურათი, ღირებული 70 კაპიკი; ბატონ ივანე მაჭავარიანს – სამი წიგნი, ღირებული 1 მანეთი და ერთი აბაზი; ბატონ თედო სახოკიას – თავის გამოცემა "ამირანის შვილები," ღირებული 1 მანეთად და ბატონ იოსებ იმედაშვილს – თავის გამოცემები: დიდი მოურავიანი, ევდოშვილის ლექსები, ბატონიანი, ორმა ვაჟა ფშაველასი, ასის ხარკი, ზურაბის კოშკი და სალხინო ართვის, კონფეკლუკელი წერილი ბატონ მახარაძისა. სულ ღირებული 1 მანეთი და 5 კაპიკი.

კონსტანტინე ოდიშარია

გაზეთი "ივერია", 1898 წელი, 5 ოქტომბერი, № 213, გვ. 4.

რუბრიკა: წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ჩემსა და 75 ჩემის ამხანაგების მაგიერად ღრმად პატივცემულ მოძღვარს ბატონ იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილს, რომელმაც უსასყიდლოდ დაგვირიგა მის მიერ შედგენილი "კოკორი" 40 ცალი.

კონსტანტინე ოდიშარია

გაზეთი "ივერია", 1899 წელი, 4 აპრილი, № 73, გვ. 3-4.

რუბრიკა: დაბა და სოფელი

სოფ. ნოსირი, (სენაკის მაზრა). ამბავის პოლიციელი ბოქაული ბ-ნი ა. კ. თოფურიძე თავ-განწირულად იბრძვის ქურდობის მოსასპობად, მაგრამ ნოსირში ქურდობამ თუ არ იმატა, არ შემცირებულა. ადგილი მამასახლისი თავისის მოხელეებით ხან ერთ ქურდს ეცემა თავზედ და ხან მეორეს და კვალდაც მოპარულია საქონელია

ზოგიერთ ვაჭრების სახლში შეიჭრა, რომელთაც ოქმი შეუდგინა მამასახლისმა, მაგრამ ისინი მაინც არ შეშინდნენ. საქონლის გარდა აქაური ქურდები იპარავენ სიმინდს და ლობიოს.

24 მარტს აქ მოვიდა ბ-ნი ბოქაული, შეჰყარა გლეხები და თავად-აზნაურები და წინადადება მისცა ქურდობის მოსასპობად ლონისძიება რამ ემართათ. ხალხმა ხევისთავებად აირჩია რამდენიმე კეთილშობილი, მაგრამ ქურდები მაინც არ ისვენებენ და ღამ-ღამობით სხვის სახლებში ისე დანავარდობენ, თითქოს მათი იყოს. 28 მარტს ისევ მოხდა ყრილობა, რადგან პირველს კრებას ბევრი დააკლდა, ბ-ნი ბოქაული სხვა უფრო მძიმე საქმისა გამო ვერ მოვიდა ამ კრებაზედ. ყრილობას დაესწრო თავად-აზნაურობაც. მამასახლისმა გ. კილოსანიძემ წინადადება მისცა გლეხებს, რომ დაესახელებინათ ქურდი და მავნებელი კაცები და საუკუნოდ ანუ დროებით გადაესახლებინათ საზოგადოებიდგანათ. ამასთანავე მამასახლისმა განუმარტა კრებას ცირკულიარული მოწერილობა კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინის, რომ უკეთუ ქურდობა არ მოისპო ნოსირში, გლეხების ხმა ეკარგებათ ყრილობებზედ და მთავრობისგან დაინიშნება მამასახლისი, რომელსაც ჯამაგირი უნდა აძლიოს სოფელმა. ყრილობამ მოლაპარაკების შემდეგ, **მიხეილ თოდიშარიას** მეთაურობით, მიმართა თავად-აზნაურობას და სთხოვა, რომ ამათაც დაესახელებინათ თავის მხრივ მავნე კაცები. ამ სიტყვებმა დიდი თათბირი გამოიწვია კეთილშობილთა და გლეხთა შორის. ბოლოს გადასწყვიტეს – როგორც წესდებამ აირჩიოს ოცი კეთილი საიმედო კაცი, რომლებიც უნდა მიემატონ ბოქაულისაგან წინად არჩეულ დარაჯთ და მიენდოთ მათ დაესახელებინათ ორივ წოდებისგან მავნე კაცები, რომელთაც გადაასახლებენ ნებს სხვა ქვეყნებში იმათ მოინდომებთ, საზოგადოების დაუკითხავად. დაადგინა-რა სოფელმა ასეთი განაჩენი, წარუდგინა დასამტკიცებლად ბ-ნ ბოქაულს. ასეთი დადგენილება პირველი მაგალითია სამეგრელოში და ვუსურვებთ ახალ არჩეულ კაცებს გულმოდგინედ და სინდისიერად აღასრულებინოთ თავიანთი მძიმე მოვალეობა.

დამსწრე

## გაზეთი "ისარი", 1907 წელი, 8 მარტი, № 51, გვ.4

### მოუსავლიანობით დაზარალებული მეგრელთა სასარგებლოდ

გიგზავნით რა ამასთან ერთად ორმოცდა თვრამეტ მანეთს და 98 კაპიკს (58 მან. და98 კაპ) ჩემ მიერ შეგროვებული მოუსავლიანობის გამო გაჭირვებული მეგრელთასასარგებლოდ, ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემული გაზეთი "ისარის" საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო იმ დიდად პატივცემულ პირთა, რომელთაც სიხარულით შემოსწირეს უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილ ჩვენ მოძმე მეგრელთა სასარგებლოდ თავიანთი წვლილი; სულ 46 შემომწირველი: მათ შორის **კონსტანტინე დუმბაძე** – 1 მანეთი და **ეფროსინე** მიხეილის ასული **დუმბაძისა** – 50 კაპიკი; სულ 59 მანეთი და 30 კაპიკი. აქედან დაიხარჯა ფულის გამოსაგზავნად 25 მან. და 7 კაპ.

კ. დუმბაძე

## გაზეთი "ისარი", 1907 წელი, 6 ივლისი, № 145, გვ. 3.

### რუჩიკა: დაზარალებულთა სასარგებლოდ

გიგზავნით ამასთან ერთად, ფოსტის ხარჯის ორი აბაზის გამოკლებით, ორმოც მანეთ-ნახევარს ქ. განჯაში (ელიზავეტპოლი) მოგროვილს მოუსავლიანობით დაზარალებული მეგრელთა სასარგებლოდ. ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლობა გამოუცხადო ქველმოქმედ აღნიშნულ პირებს, რომელთაც სიამოვნებით გაიღეს თავიანთი წვლილი დამშეულ მოძმეთა სასარგებლოდ.



**კონსტანტინე დუმბაძე**

გაზეთი "ახალი გზა", 1907 წელი, 31 აგვისტო, № 60, გვ. 4.

რუბრიკა: წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ იმ პირებს, რომლებმაც სოფელ ნოსირში კოოპერატიული საზოგადოების დუქანს შემწეობა აღმოუჩინეს უპროცენტო ფულის სესხით. აქაური მცხოვრებს **ალექსი, იოსებ** (ფოთის მოვაჭრეს) **ჯუღაშვილებს** და მღვდელ ხარიტონ ნინუას. პირველმა 200 მანეთი ნახევარი წლით, მეორემ 50 მანეთი.

ახალ არჩეული გამგეობის წევრები: ზაქარია, ფილიპე, ვასილი, ვლადიმერ და დიანოზ.

საყურადღებოა მაშინ მომუშავე **ჯუღაშვილი** სამძიმრის წერილს გზავნის ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

(ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება. 1907 წელი, გვ. 271).

გაზეთი "ისარი", 1907 წელი, 30 ოქტომბერი, № 238, გვ. 3.

რუბრიკა: ახალი ამბავი

28 ოქტომბერს რიყის ქუჩაზე, პოლიციის გამოძიებით, ახალციხის მცხოვრების ერზინკიანცის საწვრილმანო დუქანში შესული სიღნაღის მაზრის მცხოვრები **პავლე ჯუღაშვილი** და მოუთხოვია ფული. რადგან უარი მიიღო, **ჯუღაშვილმა** ერზინკიანცი დანით ხელში დაჭრა. **ჯუღაშვილი** იქვე დააპატიმრეს.

გაზეთი "ისარი", 1908 წელი, 29 იანვარი, № 23, გვ. 3.

რუბრიკა: ქუთაისის ქრონიკა

ნაცვლად ვ. პეტრიაშვილისა, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, ქალაქის პირველი სასწავლებლის გამგედ დაინიშნა **ჯუღაშვილი,** ხოლო უკანასკნელის ნაცვლად მოიწვიეს მასწავლებლად მ. კაკაბაძე.

## ჟურნალი "ნიშადური", 1908 წელი, 10 თებერვალი, № 26.

რუბრიკა: წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს მცირე პასუხს; ამას წინად "ეშმაკის მათრახის" ავტორს, რომელიც, თურმე განურჩევლად სწორ-მართლისა, ყველას უსირცხვილოთ სწიხლავს, – ჩემკენაც იერიშით წამოსულა, მაგრამ მე, როგორც შორს მყოფს ეშმაკთა გუნდიდან, ვერ მომაწვდის და ვერც როდისმე მომაწვდება... ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ "ნიშადურის" შემწეობით ეშმაკეთის შევუთვალო ზოგიერთი გამოსადეგი საჭირო რჩევა-დარიგებანი: 1. ხელის აღება ყოველივე ბოროტ სიტყვასა და საქმეზე; 2. არ გადასხვაფერება სიმართლისა; 3. არ შეურაცყოფა პიროვნებისა; 4. სიარული სწორე გზით; 5. გამჟღავნება საზოგადოებრივის პირით და არა პირად ანგარიშებით და კინკლაობით და 6. უმთავრესად შეგნება და შემეცნება მოვალეობისა ქვეყნისა და ერთობისადმი, რადგანაც "ხეხილი შტოებით მოივლება, მხოლოდ სახელი და პატიოსნება კაცისა-კი წინაპართაგან მომდინარეობს. და, თუ ყველა ამას მტკიცედ და წმინდად ასრულებთ, მაშინ უეჭველია სრულიად განიკურნებით იმ მრავალ ცოდვებისაგან, რომლებიც ჯოჯოხეთის კერძათ გელით, თორემ, ერთი ბრძენისა არ იყოს, "სიკვდილი უფრო საკეთილოა ადამიანისთვის, ვიდრე ცოდვით დამძიმება სულისა" და თქვენც ნუ ჩადიხართ ცოდვებს.

განჯელი **ოდიშარია** (ივანე კ. მარღველაშვილი).

## გაზეთი "ცხოვრების სარკე", 1908 წელი, 17 მაისი, № 21, გვ. 2.

რუბრიკა: ახალი ამბები

ამ დღეებში უდროოთ გარდაიცვალა სადგურ ევლახის (აზერბაიჯანი) ბუფეტის მოსამსახურე სიცოცხლით სავსე **ილარიონ ოდიშარია.** განსვენებული ეკუთვნოდა იმ პატიოსან ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც საზოგადო ინტერესებს ყოველთვის კერძო ინტერესებზე წინ აყენებენ. ამიტომ **ილარიონ ოდიშარიას** სახელს მუდამ პატივისცემით მოიხსენიებდნენ ამხანაგები და ნაცნობები.

გაზეთი „ხომლი", 1908 წელი, 12 აგვისტო, № 25, გვ. 3.

რუბრიკა: ახალციხის ქრონიკა

დაბა ახალ-სენაკი. მახლობელ სოფელ ნოსირში 29 ივლისს საღამოს 8-9 საათზე ადგილობრივ მცხოვრებთ **იოსებ და ალექსი ოდიშარიებს** დაეცნენ რამდენიმე ბოროტ-განმზრახველნი, წაიღეს ტანისამოსები, ცხენის სამკაულობა, სხვადასხვა ოქრო-ვერცხლის ნივთეულობას და ფულადა ფულიც როგორც მასპინძლიდან ისე მისული სტუმართაგან. წაღებულის ღირებულება ათას მანეთს აღემატება. ბოლოს მასპინძლები და სტუმრები გარეკეს ეზოდან და რამდენიმე ვერსის მანძილზე გზადაგზა თან წაიყოლიეს; შემდეგ მიიმალნენ.

ეს ამბავი მეორე დღესვე ეცნობა მაზრის უფროსს, რომელიც დაუყოვნებლივ მოვიდა ადგილობრივი სოფლის სამმართველოში და დაატყვევა მთელი საზოგადოება, ვიდრე ბოროტ განმზრახველთ არ წარადგენენ. საზოგადოებამ ვერას გზით ვერ მიაგნო და ესმეექვე დღეა, რაც დატყვევებულნი არიან.

მეორე მახლობელ სოფელ შხეფში 4 აგვისტოს ღამით ძველი-სენაკის იარმუკაში მომავალ ვაჭრებს დაუხვდნენ კიდევ რამდენიმე ბოროტ მოქმედნი, რომლებმაც იმათ წაართვეს რაც კი ებადათ. ისინივე იქვე იმავე საათში დაუხვდნენ ქუთაისის გუბერნიის სახაზინო მეტყევის გამგეს გ. ჩიჩუას და მოვაჭრე გ. ქავთარაძეს, მაგრამ ესენი მამაცათ დაუხვდნენ და ვერაფერი წაართვეს; ატყდა სროლა ორივე მხრიდან, მაგრამ მაინც ვერაფერი წაიღეს და მიიმალნენ. უკანასკნელნი ამბობენ, ერთი დამცველთაგანი დაჭრილი უნდა იყოსო.. ადმინისტრაცია შეუდგა საქმის გამოძიებას.

ამ დაბაში ქუთაისის სხვა და სხვა ქალაქებიდან ჩამოიყვანეს 1200 ჯარის კაცი, რომლებიც აქ ბინავდებიან მუდმივ.

ჯაფა.



**გაზეთი "ეკალი", 1908 წელი, 4 ოქტომბერი, № 28, გვ.3-4.**

რუბრიკა: ქრონიკა

სამეგრელო. სოფელი ნოსირი. ამ დღეებში გვეწვია მთავრობის მიერ დანიშნული მამასახლისი ზაქრო დადიანი ექვსი სტრაჟნიკით. მათ შესანახად ყოველ თვე საზოგადოებას უნდა გადაიხადოს 200 მანეთი. ხალხმა შეუძლებლობის უარი ამდენი ფულის გადახდაზე და თხოვნით მიმართა ქუთაისის გუბერნატორს, სადაც უჩივლეს მათი (გლეხების) გაძარცვულ მდგომარეობას და სთხოვდნენ გაეყვანათ სოფლიდან მთავრობის მამასახლისი სტრაჟნიკებით. გუბერნატორმა უყურადღებოდ არ დასტოვა გლეხების თხოვნა და აღუთქვა, როცა ყაჩაღებს აიღებთ, მამასახლისს გავიყვანთ. მანამდის კი საფოსტოთ უარი მათი დარჩენა სოფელში იმ მოსაზრებით, რომ მავანი კაცები ყაჩაღებში იმალებიანო; უკანასკნელ ხანებში აქ ძლიერ გახშირდა დაცემა და ძარცვა-გლეჯა. ამ წლის მაისის შუა რიცხვებში, მდინარე ჭურიის გამოღმა, ნოსირსა და სენაკს შუა, ლიამი, საქონლის მაჩვარებიდან ჩამოყრილი ერთი ვაჟკაცი შეუკრავთ. ხალხს მოსვლისთვის წინასწარმეტყველებს აღმოაჩინეს. გამოძიების შემდეგ დაასაფლავეს რამდენიმე პირი.

მარიამობისთვის ამ რიცხვებში ექვსი შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაესხა ამავე სოფლის მცხოვრებთ: **ალექსი და ოსიე ოდიშარიებს**, საიდანაც გაიტაცეს 150 მანეთი ფული და ორასი მანეთის სხვადასხვა ნივთეულობა; მეორე დღეს საზოგადოებამ ყოველი მოახდინა და ზოგი მაჭელიძის შემდეგ ქონებაც აღმოაჩინეს.

ლოანდი

**გაზეთი "მომავალი", 1909 წელი, 28 აგვისტო, № 3, გვ. 4.**

რუბრიკა: "ე. ნინოშვილის ფონდი"

ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ასაგებად "ჯეჯილის" რედაქციამ მიიღო ვანო გოგოძისგან

შეგროვილი ზაქო-მაჭავარიანის სადღეობაზე 23 მანეთი და 15 კაპიკი.

შემომწირველთა მორისა კ. დღიშარია.

### გაზეთი „ ახალი სხივი", 1910 წელი, 20 თებერვალი, № 15, გვ. 4.

რუბრიკა: პროვინცია

ზემო ქართლი. დაბა მიხაილოვოში (ამჟ. ქალაქი ხაშური) კაი ხანია არსებობს ერთი წოდებრივი ზემო ქართლის შკოლა, რომელსაც ინახავს სამი სოფელი: ხაშური, ქართა და ცხრამუხა. აღნიშნულმა სოფლებმა მისცა შკოლას "სასწორი" და "სასაკლაო", რომელიც იძლევიან წელიწადში არა ნაკლებ ორას თუმნისა. მიუხედავად ამისა, ხაზინაც კიდევ შემწეობას აძლევს წელიწადში ას თუმნამდე. ასე რომ, სულ შემოსავალი უდრის სამას თუმანს. ეს ამდენი ფული შეინახავს არამც თუ ორ-კლასიან სასწავლებლებს, არამედ ოთხ-კლასიან სასწავლებელსაც. 1906 წლამდე ამ სასწავლებელში ზედამხედველად იყო ზ. მუჭიანი, რომელმაც შკოლის საქმე ძალიან კარგად დააყენა. გახსნა საქსოვი განყოფილება, სადაც შეგირდები მშვენივრად ქსოვდნენ ხალიჩებს, ფარდებს და სხვას. რეაქცია დაიწყო თუ არა, დაბა მიხაილოვოში გახშირდა უსახელო წერილების გზავნა, რომლითაც აშინებდნენ ზოგიერთ პირებს. ას დაიჭირეს ერთი ამისთანა წერილი ბაჭიოსან მუშაკზე. წერილის მიღებისთანავე ზ. მუჭიანმა მიატოვა შკოლა და წავიდა სამშობლოში. მის შემდეგ შკოლის ზედამხედველად იყო დანიშნული განსვენებული ანანი ხაჭისკაცი. მან დახურა საქსოვი განყოფილება. ხშირად განსვენებული თითონ თვითონვე სტოვებდა შკოლას.

ასე მდგომარეობაში გაატარა ოთხი წელიწადი და როგორც ჩანს ზემოაღნიშნულიდან შკოლისთვის იმის დიდი სარგებლობა არ მოუტანია. ბოლოს იქამდე მივიდა, რომ თავის სიკვდილი გადასწყვიტა, კიდევაც სისრულეში მოიყვანა 1909 წელს. შკოლას ჰქონდა ბავშვების და მასწავლებლების მდიდარი სამკითხველო, რომელიც ისე გაპარტახდა, რომ ერთი წიგნიც არ მოიპოვება, გარდა ცირკულიარებისა.

ხაჭისკაცის შემდეგ შკოლების ინსპექტორმა ამ შკოლის ზედამხედველად დანიშნა

ბატონი **ოდიშარია.** ამის ზედამხედველათ დანიშვნა არ ესიამოვნათ ზოგიერთი ჯგუფის მასწავლებლებს, რომლებმაც მოაწყვეს თავისი ქამანჩა სულ სხვა სმენაზე და მოიყვანეს სხვადასხვა ფორიაქობას. ხალხს ძალიან გაეხარდა **ოდიშარიას** დანიშვნა და მისგან მოელოდნენ შკოლის საქმის კარგათ დაყენებას, რაშიაც ისინი არც მოტყუებულან. ის ენერგიულათ შეუდგა სკოლის საქმეების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას და მისმა ცდამ კიდევაც შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო. შკოლამ სული მოითქვა და თუ ასე გაგრძელდა ეჭვი, არაა, შკოლა თავის სიმაღლეზე დადგება და მით შესძლებს თავის დანიშნულების პირნათლათ შესრულებას.

გულშემატკივარი

### გაზეთი "სახალხო გაზეთი", 1910 წელი, 20 ივნისი, № 37, გვ. 1.

იარმუკა (ბაზრობა) დაბა ახალ-სენაკს

პეტრე-პავლობის შვიდი დღის იარმუკაში, რომელიც იწყება 23 ამა ივნისიდან, სხვათა შორის, გაიმართება ვაჭრობა სოფლის ხორაგეულობისა და პირუტყვთა და აგრეთვე ცალკე დანიშნული ადგილებზე-კარვებში-ფარდულის და სხვა ხორაგეულობათა, ხოლო 29 ივნისს მოხდება ცხენების მარულა (დოღი) შვიდი ვერსის მანძილზე. პრემიები დანიშნულია: პირველისათვის ორმოცდაათი მანეთი (50 მან.), მეორისათვის – ორმოცი მანეთი (40 მან.) და მესამისათვის ოცდაათი მანეთი (30 მან.). მთელი იარმუკის განმავლობაში დაუკრავს მუსიკა.

დეპუტატი მელიტონ **ოდიშარია**

### გაზეთი "ახალი გზა", 1910 წელი, 31 აგვისტო, № 60, გვ. 4.

რუბრიკა: პროვინციალი

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირებს, რომლებმაც სოფელ ნოსირში კოოპერატიული მომხმარებელი საზოგადოების დუქანს შეწირეს ალმოუჩინეს უპროცენტო

ფულის სესხით. აქაურ მცხოვრებს ძმებს **ალექსი, იოსებ** (ფოთის მოვაჭრეს) **ოდიშარიებს** და მოვალეებს ხორბლით ნისიად. აძლევდა 200 მანეთი ნახევარი წლით, მეორეს 50 მანეთი.

ახალი არჩეული გამგეობის წევრები: ზაქარია, ფილიპე, ვასილი, ვლადიმერ და დიანოზ.

### გაზეთი "შინაური საქმეები", 1912 წელი, 3 ივნისი, № 21, გვ.15.

ერთი წევრი მოაკლდა ჩვენ სასიქადულო "ძველმოძღვრები"-ს რიცხვს; კიდევ ერთიც მოშორდა ახლანდელი სარწმუნოებრივი გულცივობის დროს და თან წაიღო შემაძრწუნებელი ამბავი ამ დროინდელი სარწმუნოებრივი გულცივობისა. საბრალო თავის სიცოცხლის ბოლო ჟამში მუდამ გულმოწყვეტილად იყო, მწარედ გოდებდა სარწმუნოების მხრივ დროების უარესობაზე და ამბობდა: "რათ მოვესწარი ამდენ "ანტიქრისტეს" მოციქულებსა; ვაი თუ ცოდვა ისე გაგვიდიდდეს, რომ ღმერთმა ჩვენგან ხელი აიღოს და სოდომისებურად ალყვას გვეპყრობოდეს." მღვდელი მამა **ანტონ ოდიშარია**, რომელზედაც ჩვენ მოვახსენებთ, იყო 48 წლის ნამსახური მოძღვარი, განისვენა 15 გასულს თიბერვალს. ამ ხნის განმავლობაში მას დიდი ღვაწლი დასდო თავის სამწყსოს, როგორც ზნეობრივ-სარწმუნოების მხრივ ისე ნივთიერადაც. ის სკოლებში არ იყო ნასწავლი. მან სწავლა განათლება მიიღო მარტვილის მონასტერში ნეტარ-ხსენებულის ჭყონდიდელის ტარასის სულიმძღვანელობით, რომელმაც აირჩია შეაბერა მას ბერობის სული და გამოუჭრია მისგან მღვდელ-ბერი. მისი გრძნობიერი და სასიებიანი ღვთის მსახურება სწორედ რომ ძველმორწმუნე მამებს მოაგონებდა კაცს, როცა ის საღმრთო ლიტურგიას ასრულებდა, მხოლოდ მისი აჩრდილიღა-ღა იყო ქვეყანაზე.

ყოველ დილა-საღამოს, მიუხედავად იმისა იყო თუ არა მწირველი, ასრულებდა ხოლმე მწუხრ-ცისკარ-პარაკლისს. ამითი იმან დაიმსახურა სამწყსოს თვალში ნამდვილი მოძღვრის პატივი და სახელი. კიდევაც ამიტომ ეპატიჟებოდნენ იმას არა მარტო თავისი სამწყსო, რომელსაც იგი მამის-მამათ ჰყავდა, პატივს სცემდა და "ჯეროვანად ისმენდა მისსა," არამედ გარეშე სამწყსოებიც. ლოცვისად ჩავარდნის უმალ მან სიზმარში ნახა,

რომ ზეცისკენ ისწრაფოდნენ. მისი სიკვდილი ნამდვილი მართლის სიკვდილი იყო, ნეტარხსენებულმა ღიმილით განუტევა სული. სიკვდილის წინ მან თავისი შვილი, შვილიშვილები და მის სანახავად მოსული მოწაფეები აკურთხა და უანდერძა, რომ არავითარმა განსაცდელმა არ შეაფერხოს იმათი ღვთისადმი ერთგულება.

საუკუნოდ იყოს მისი ხსენება შენი, დაუღალავო ქრისტეს ყანის მუშაკო, მამაო ანტონ!

მღვდელი კ. დანელია

გაზეთი "სახალხო გაზეთი", 1913 წელი, 15 თებერვალი, № 824, გვ.4.

თეატრი და ხელოვნება

ხაშური. ადგილობრივმა დასმა წარმოადგინა 4 მოქმედებიანი დრამა "ქრისტინე" ა. ირეთელისა (ნინოშვილის მოთხრობა), რომლის შემოსავალი შესწირეს ღარიბ შეგირდებს სოფ. ზემო ფალის (ამჟ. ქ. ხაშურის ერთ-ერთი უბანი) ორკლასიან სასწავლებლისას. შემოსავალი იყო 118 მან. 18 კაპ. აქედან 1 მანეთი შემოსწირა პროვიზორმა ზ. კოსაჩევსკიმ და წარმოდგენის მეორე დღეს, რაკი წარმოდგენას ვერ დაესწრო სხვა და სხვა მიზეზის გამო შესწირა 1 მან. 50 კაპ. ზ. გ. ჩიქოვანმა, რისთვისაც ორივე არის დიდ მადლობას ვუძღვნი. გასავალი-60 მან. 50 კაპ. დარჩა წმინდა შემოსავალი 57 მან. 68 კაპ. საყოველთაოდ ამ დრამის წარმოდგენას ბლომად სჭირდება ხარჯი, მაგრამ ამდენი გასავალი რომ იყო, აიხსნება შემდეგ მოსაზრებებისგან: ჩვენი ხაშურის განათლებული ქართველი ქალები ძალიან გულგრილად ეპყრობიან სცენას. ერთი თვე უნდა ეხვეწო, რომ რომელიმე ქალმა მიიღოს მონაწილეობა წარმოდგენაში. ხაშურში არის მეორე (ლიკანის გზის) კლუბი, სადაც სდგამენ წარმოდგენებს რუსები. აქ ქალები მხოლოდ მონაწილეობას ღებულობენ. კარგი იქნება, რომ ჩვენმა განათლებულმა ქალბატონებმაც, მათ მიჰბაძონ. ხან ერთი ქალს შეეხვეწები, ხან მეორეს, მესამეს, მაგრამ არც ერთი არ დათანხმდება. ამ



ქალბატონებმა წამოაყენეს სულ სხვა და სხვა მიზეზები. მეტი ღონე არ იყო მსახიობი ქალები ქუთაისიდან მოიწვიეს. ადგილობრივ ქალებიდან მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ქ-მა კამკამიძემ. ეს ქ-ნი ღებულობს მონაწილეობას სხვა და სხვა წარმოდგენებში და კარგადაც თამაშობს.

უღრმეს მადლობას ვუძღვნი ყველას იმ პირთ, რომლებმაც კეთილი ინებეს და მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ წარმოდგენებში.

ზემო ფალეთის სკოლის ზედამხედველი ა. მ. [illegible]

გაზეთი "ჩვენი მეგობარი", 1916 წელი, 20 აგვისტო, №138, გვ. 3.

რუბრიკა: პროვინცია

სოფელ ნოსირის (სენაკის მაზრა) მცხოვრებლებმა **ლავრენტი [illegible]**, ლავრენტი [illegible] და **ხარიტონ [illegible]** შუამდგომლობენ ოლქის ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, ნება დართოს მათ, აღნიშნულ სოფელში დაარსონ მომხმარებელთა საზოგადოება "მომავალი".

ჟურნალი "თეატრი და ცხოვრება", 1916 წელი, ენკენისთვის 11, № 37, გვ. 12-13.

ხონის თეატრის მოკლე ისტორია (ათი წლის იუბილეის გამო)

ხონში პირველი წარმოდგენა გაუმართავთ 1865 წლის იანვრის 24-ში. უთამაშნიათ დ. ერისთავის პიესა "გაყრა." სხვა წყაროებიდან ვიცით, რომ აღნიშნული წლის შემდეგ ხონში დრო გამოშვებით მოუწყვიათ წარმოდგენები, ხოლო 1897 წლიდან წარმოდგენების მართვა მოუხშირებიათ. წარმოდგენებში მონაწილეობა მიუღია 10 პიროვნებას. მართალია ხსენებული წარმოდგენები ზემოთ დასახელებული პირთ უმართავთ დრო-გამოშვებით, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ამ წარმოდგენებმა ნიადაგი მოუმზადეს იმ ჯგუფს, რომელმაც მოქმედება დაიწყო ამ ათი წლის წინად.

1907 წელს რაჟდენ წივწივაძემ ააშენა თავის ხარჯით ხის თეატრი, რომელსაც მაშინ ზოგიერთები დაცინვით "ბალაგანს" ეძახდნენ. ამავე დროს თავი მოიყარა სცენის

მოყვარეთა ჯგუფმა 18 კაცის შემადგენლობით. ამათ თავიანთ შორის აირჩიეს გამგეობა, რომელმაც მოიწვია რეჟისორად ნიკო გვარაძე, რომელიც დიდი სიყვარულით მოეკიდა საქმეს. ის არა თუ რეჟისორობდა და თამაშობდა, არამედ აწყობდა სცენას, დაეძებდა სცენის მოყვარეთ და ყოველი მხრივ ხელს უწყობდა ახლად დაწყებულ საქმეს. პირველი წარმოდგენა ამ ჯგუფმა გამართა 1907 წლის 19 მაისს. წარმოადგინეს “ცხოვრების გზით.” ამ წარმოდგენის შემოსავალი იყო 33 მანეთი და 90 კაპიკი.

საქმის დაწყების შემდეგ სცენის მოყვარეთა ჯგუფი გადიდდა. დამხმარე წევრთა რიცხვიც გამრავლდა. მოიმატეს 31 ადამიანი, მათ შორის იყო **გიორგი თედიშარია.**

უმეტესობა ზემოაღნიშნული პირებისა დღემდის თავს დასტრიალებენ ჩვენს თეატრს და მის აყვავებას სწირავენ დროს და ამათში ისეთნიც, რომლებიც ყოველი წლივ მუშაობენ დღეიდან თეატრის დაარსებისა. ხსენებულ ჯგუფს გაუმართავს 135 წარმოდგენა. შემოსავალი ქონია 6750 მანეთი. ხოლო ამ ჯგუფს მოუწვევია თითქმის ყველა, ჩვენში ცნობილი მსახიობი, ზოგი რეჟისორად, ზოგი მსახიობად.

წლევანდელ მეათე სეზონს ხელმძღვანელობდა ახლად დაარსებული დროებითი საზოგადოების გამგეობა. დღეიდან ხონის თეატრის სვე-ბედი დროებითი საზოგადოების ხელშია. ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოების გამგეობა ენერგიულად გააგრძელებს მუშაობას და მოახერხებს სახალხო სახლის საძირკვლის ჩაყრას მაინც, რომლის საჭიროებას მწვავედ გრძნობს ყველა ხონელი.

ილია რუხაძე

**გაზეთი “ჩვენი მეგობარი“, 1916 წელი, 15 ნოემბერი, №208, გვ. 3.**

**თედორე (გუსარა) თედიშარიას ხსოვნას**

ავგისტოს უკანასკნელ რიცხვებში დიდი გული შემზარავი ამბავი მოგვივიდა გერმანიის ფრონტიდან: “მოგვიკლეს თედორე”. ამ ამბავმა თავზარი დასცა როგორც მის ამხანაგებს ისე მთელი მარტვილის საზოგადოებას. ვინც იცნობდა განსვენებულ თედორეს, როგორც მოწინავე საზოგადო ელემენტს, ის უცილობლად დაინტერესდება მისი

ბიოლოგიით. **თედორე** (გესარა) სტეფანეს ძე **ოდიშარია** იყო ერთი ღარიბი გლეხის შვილი, პირველად სწავლა მიიღო მან მარტვილის ორკლასიან სასწავლებელში, შემდეგ სწავლის გაგრძელებაში დახმარებას უწევს მას ზემო მოხსენიებული სკოლის მასწავლებელი ა. ზ. სანაძე. იმ დროს როდესაც ის სწავლის გაგრძელებაზე ფიქრობს, უკვდება მამა, მიუხედავად ამისა ის მიდის ქ. ქუთაისში სამეურნეო სკოლაში, სადაც იჭერს ეგზამენს ნახევარ სახელმწიფო ხარჯზე 1903 წელს.

1907 წელს მან პირველი მოწაფედ დაამთავრა სკოლა. შემდეგ განსვენებულმა ცხოვრების უკუღმართ პირობებში მყოფმა დაიწყო ენერგიით მუშაობა ხალხის საკეთილდღეოდ. 1909 წელს თედორე გაიწვიეს სახელმწიფო ჯარის მოსახდელად, სადაც დაჰყო ოთხი წელი. 1913 წელს დაინიშნა აბედათის (ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი) ორ კლასიან (სამეურნეო განყოფილებით) სასწავლებელში აგრონომად. ამავე წელში ივლისში ის მიიწვიეს ქ. ფოთში პედაგოგიურ კურსებზე ხელმძღვანელად, სადაც მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მისი ლექცია დაბეჭდილია რუსულ ჟურნალში “Известия по народному образованию”, (“სახალხო განათლების მოამბე”). 1914 წელს თედორე იქნა გადაყვანილი ქ. პიატიგორსკში (რუსეთის ფედერაცია) კალათების წნვის კურსებზე. ომის გამოცხადებისას დაბრუნდა სამშობლოში და გაიგზავნა ის 2-ე კავკასიის საპიორო ბატალიონში როგორც მასწავლებელი სამხედრო სამსახურისა. ამის შემდეგ როგორც ხედავთ დიდი სახიფათო ჭაპანს უძლებს. უკანასკნელად იგი სამუდამოდ ჩამოვიდა სამშობლოში და გვიამბო დაწვრილებით იქაური ამბავი. დაჯილდოებული იყო 2, 3, 4-ის ხარისხის გიორგის ჯვრებით და 4-ის ხარისხის მედლებით. მტრის ტყვიამ მას უდროვოდ გული გაუგმირა, მოკვდა უდანაშაულოდ, ახალგაზრდა ენერგიით სავსე ადამიანი. შენ მოკვდი, მაგრამ შენი ამხანაგების გულში შენ უკვდავი დარჩები.

გ. გაბისონია



გაზეთი "სახალხო ფურცელი", 1917 წელი,
9 თებერვალი, № 791, გვ. 1.

2 თებერვალს სოფელ ნოსირში (სენაკის მაზრა) გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სტუდენტი კიევის (უკრაინა) უნივერსიტეტისა **კალინიკე** (ფიფიკო) ბესარიონის ძე **ოდიშარია**, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გულდათუთქულნი: მამა ბესარიონი, ბაბუა, მღვდელი სიმონ ჩარგეიშვილი, მღვდლები კოწია და რაჟდენ ჩარგეიშვილები (ძმები), დეიდები დომინიკე ჭაჭავასი, მართა ფარცხალაიასი, ნუცა და ოლინკა ჩარგეიშვილები, მამიდა ელისაბედ თოფურიძისა შვილებითურთ: ვლადიმერ თოფურიძე, ეკატერინე ავალიანისა და ცაცია ლოლუასი, მამიდა ზარზარი ფარცხალაიასი, ბიძა **კირილე** ლაზარის ძე **ოდიშარია** და **ერმილე** ბასილის ძე **ოდიშარია**. გასვენების დღე დანიშნულია 9 თებერვალს, დასაფლავება დღის 3 საათზე, სოფელ ნოსირში, წმინდა სტეფანეს ეკლესიის გალავანში.

გაზეთი "საქართველო", 1917 წელი, მკათათვის 8, № 147, გვ. 3-4.

"ართვინიდან თორთუმამდე"

დიდი ხანია თორთუმელ ქართველ-მაჰმადიანების ცხოვრების გაცნობა მსურდა, ვერ ვახერხებდი. ართვინის ოლქში, განსაკუთრებით, დიდი ზამთარი იცის, რომელიც აპრილის შუა რიცხვამდე გასტანს ხოლმე. (ზოგჯერ მაგალითი ყოფილა, რომ ზამთარს მაისის შუა რიცხვებამდე გაუტანია). მაისის 11-ს, ოლთისის ოლქში მომიხდა წასვლა სამსახურის გამო. თორთუმი ოლთისის ოლქის მოსაზღვრეა და თვით მისი საზღვარი დაბა ოლთისს 7 ვერსით ახლავს. ოლთისისაკენ გზას გავუდექი. ართვინიდან ორთამდე მშვენიერი გზატკეცილია. ეს ის გზა გახლავთ, რომელზედაც სულთანმა, ჩვენს სიამაყეს თამარ მეფეს ქართველთა ლაშქარი რომ დაჰყავდა ოსმალეთისაკენ საბრძოლველად ბასიანის ხეობიდან თორთუმის და ისპირის გავლით.

სოფელ ალუნდირში წინ ათამდე სოფლიდან ტიტველ-შიშველნი ქალები და ბავშვები გადამეღობნენ. – ეფენდი, სენ გურჯი? (გადათარგმნილი, შენ ქართველი ხარ?) – შემეკითხნენ ტიტველ-შიშველნი. – ბალი (დიახ), – ვუპასუხე მე და გავკვირდი, ნეტავი რად მეკითხებიან მეთქი. – ისმი ეფენდი, ისმი (კარგი გადათარგმნილი, კარგი) – მისტირის ისეთის აღტაცებულის კილოთი, რომ გეგონებოდათ დიდი ხნის დაკარგული ძმა ან ვინმე ახლობელი ნათესავს შეხვდნენო.

– ჩვენ თორთუმელი ქართველი მაჰმადიანები ვართ, გაგვეხარდა რომ ვნახეთ ქართველი; ამბობენ ქართველები ძალიან შველიან ჩვენზე – ქართველ მაჰმადიანებზე. ჩვენ ძალიან გაჭირვებული ვართ ეფენდი, ამ ბრძოლამ დაგვღუპა და ამოგვწყვიტა, ჩვენი ქმრები, მამები, შვილები, რუსებმა ტყვედ წაასხეს სადღაც, დავრჩით მხოლოდ ქალები, ბავშვები, ზოგან მოხუცი კაცებიც არიან. თუ რამ პირუტყვი გვყავდა ჯერედ სომხებმა და მერე ჯარმა წაასხეს, ქონებაც მოგვპარეს წაგვართვეს და ვართ ასე საცოდავად, დავდივართ და ვმათხოვრობთ.

– ყურსალ ფერფალ (სიმშილით არაქათი გამომელია) – დუქნიდან გამოსული პატარა გოგოს დანახვისთანავე, რომელსაც ხელში პურის ნაჭერი ეჭირა და თანაც მადიანად ილუკმებოდა, შემოძახილა ერთმა თორთუმელმა 5-6 წლის პატარა ბიჭმა, რომელსაც ზურგზე დაკონკილ-დაძონძილი ცარიელი ტომარა ეკიდა და თვალებიდან ნაკადულივით ცრემლები ჩამოჰყარა და პურიან ბავშვს ხარბად თვალი გააყოლა. ამ სურათმა ჩემზე დიდი გავლენა იქონია, შევედი დუქანში და სამიოდე გირვანქა პური ვიყიდე და ბავშვებს გადავეცი.

– ჩოხ-საღოლ ეფენდი (დიდად გმადლობთ გადათარგმნილი), – სიხარულის ცრემლ-მორევით მითხრა ბავშვმა პურის დანახვისთანავე და პურიან ხელზე მაკოცა, ფიცხლად გამომართვა პური და პირში დიდი ლუკმის დება ხარბად დაიწყო. მას დანარჩენი ბავშვები მოვარდნენ და პურის მოტეხვას ეხვეწებოდნენ, მაგრამ ის ყურს უგდებდა.

– ჰმ! ოხ – (არა), – თავის განზე გადაწევით – ეუბნებოდა იგი. გული – დამწყვეტელი ბავშვები შემომეხვივნენ: ეფენდი, ჩვენც მოგვეცი პური და ცრემლმორეული თვალებს

ტორიან წამლებს ამზადებდნენ. მე გულმა ვერ გამიძლო, შევედი დუქანში და ვთხოვე მედუქნეს: რამდენიც გინდოდეთ ფული გამომართვით და ხუთიოდე გირვანქა ტორი მომეცი მეთქი.

- ტორი ძალიან ცოტა მაქვს ბატონო, თორემ უარს არ გეტყოდით, სოფელშიც არავის აქვს, რომ ვიყიდოთ, თანაგრძნობის კილოთი მითხრა მედუქნემ.

- ასე რა ვქნა, ტორის მთხოვენ, ცოდვილია, შვილები არიან, მძიმე ამოოხვრით ვუთხარი და გადავხედე წამლებს, რომლებიც ტორის შიგნის იმედით თაროებში ჩამცქეროდნენ.

- თქვენ ბავშვზე ნუ სწუხართ ბატონო, ეგენი ძალიან რთულებიანი არიან, წამალს ისე ჭამენ, როგორც ლოთები, სიმშილით არ მოკვდებიან, ირონიული სიცილით მითხრა მედუქნემ და ჩემთან მდგომს შეხედა. - დაიჯერეთ აქედან თქვენ ძალიან შველებოთ და ისინიც დამფრთხალნი აქეთ-იქით დაიფანტნენ. ასეთი საქციელი მედუქნისა მე ძალიან მეწყინა. ამჟამად სამი მარილი და ერთი მათგანი უფროს ქალს გადავუგდე. ის იყო გულნატკენი ცხენზე უნდა შევმჯდარიყავი, რომ მედუქნემ ერთი მოზრდილი ტორი გამომიტანა, რომელიც 7 გირვანქამდე იქნებოდა და ზრდილობისა და თანაც ხვეწნის კილოთი გადმომცა. - უკაცრავად ბატონო, არ მეგონა თუ თქვენ ეგზომ გეწყინებოდათ, თორემ როგორ ღმერთი გამიწყრებოდეს და გაგიჯავრდებოდი. მიირთვით ტორი და გთხოვთ მაპატიოთ ჩემი საქციელი.

- გმადლობთ, გმადლობთ, ტორის დანახვისათვის, სიამოვნებით ვუთხარი მედუქნეს, ვიყავი ჯიბეში ხელი, ამჟამად საფულიდან ერთი მარილი და გადავეცი, ის თუმცა ფულს არ იღებდა, მაგრამ მეც უთუოდ ტორის გამორთმევაზე უარს ვიყავი. ჩემთვის ის ტორი 10 მარილი ღირს, დიდი მადლობელი ვიქნები თუ ფულს გამომართმევთ, შეიძლება გეცოდებავით, კიდევ მოვალთ, დაგჭირდე მე და ხელი ჯიბისკენ წავიღე.

- არა ბატონო, რასა ბრძანებთ, მე უფულოდ მინდოდა მომერთმია თქვენთვის, თორემ ამ ტორმა მარილის მეტი რა იცის, ზრდილობისა და თანაც დარცხვენის კილოთი მიპასუხა მედუქნემ და გამომართვა ფული.

კოსოროსაკენ გავწიე. გზა და გზა აქა-იქ გვხვდებოდნენ მაწანწალა გადმოვარდნილები

თორთუმელი ქართველი მაჰმადიანები. ზოგი მათგანი პირდაპირ აჩრდილები იყვნენ ადამიანისა ტიტველ-შიშველნი, მშიერ-მწყურვალნი, ყველას ამათ რაღაც არა ადამიანური ელ-ფერი ედოთ, მათი დანახვა ადამიანს უფრო შიშს ჰგვრიდა, ვიდრე სიბრალულს. ჩემს დანახვაზე ყველა ერთ და იმავეს გაიძახოდა: ყურბალ ფარაფალ ეფენდი, რუჰიქ დავაით, მან თორთუმ გურჯი - მუსულმანი და ჩხირივით გამხმარ ხელებს, რომლის ძვლებს თითოეულად დაითვლიდით, ჩემსკენ აშვერდნენ;

მე ვიწოდი მათის ცოდვით, პურის უქონლობის გამო თითოს ორ-ორ და სამ-სამ შაურს ვურიგებდი დაჩქარებით და ამნაირად თავიდან ვიშორებდი ომიანობის საცოდავთ მხვეწნელთ. მალე სოფელ კისორშიაც მივედი, აქაც იგივე სურათი დამხვდა! გულმა ვეღარ გამიძლო, სწრაფად გავშორდი. ექვსი ვერსის გავლის შემდეგ კისორიდან, ხედოთან-წყლის გამოღმა, ძველი თამარისეული გზაჯვარედინით გაუდექი სოფელ ფენაკისაკენ. ეს ის ფენაკია, რომლის შესახებ მრავალი ქება-დიდება დაუწერიათ ჩვენს ისტორიკოსებს ქართული ისტორიის ფურცლებზე. აქ ოდესღაც ქართველების დიდი ქალაქი ყოფილა, რომლის ნიშნი დღესაც ამაყად დგას, მაგრამ თვით ნაქალაქევი ადგილი-ფენაკი კი დღეს, ამ ომიანობის შემდეგ მხოლოდ ერთ ტაძარს, მაგრამ ისიც დანგრეული გაპარტახებული ორმოციოდე სახლს წარმოადგენს. აქვე სოფლის თავზე სდგას ერთი უზარ-მაზარი, ბიზანტიური ჩუქურთმიანი ეკლესია, რომელიც ძველად ქართველთა საპატრიარქო ეკლესია ყოფილა; ამ ეკლესიიდან შიგნით გაყვანილია მღვიმე ოლთისის ციხეში (სოფელ ფენაკიდან ოლთისამდე პირდაპირ ალბათ 30 ვერსია). მისი თავი დღესაც ამაყად სდგას. 1915 წლის რუსის ჯარისკაცებს მღვიმეში ძაღლი ჩაუშვიათ, შემდეგ დაუფრთხობიათ და ძაღლს ოლთისის ციხეში ამოუყვია თავი. ეკლესიას შიგნით საიდუმლო სარდაფები ჰქონია, სადაც მთელი პოლკი მოთავსდებოდა; თვით ეკლესია უშვენიერესი ხელოვნებისა, მისი თაღური სახე, ვეებერთელა სამ-სამი და ოთხ-ოთხი საჟენის მარმარილოს მრავალი სვეტები, მარმარილოს ქვაში გამოყვანილი მშვენიერი ფოთლები, ყვავილები, ყურძნის მტევნები, ადამიანები და სხვა მრავალი, ადამიანის ჰხიბლავს. ეკლესიის ის კედლები, მისი სიმშვენიერე, მარმარილოს ქვის ვეებერთელა

ფიცრები, მათზე გამოყვანილი ცოცხალი სურათები ადამიანს ჰხიბლავს. აქვე ახლო-მახლოს ოცდახუთი ეკლესიების ნანგრევებია, რაც ფენიქსის დიდ ქალაქობას ამტკიცებს. ამბობენ ამ ფენიქსს ქართულად სხვა სახელი ჰქვიაო, მაგრამ აქ მცხოვრებლებისთვისაც არავინ იცის. გზამდე, ოლთისისამდე მრავალი ძველი ქართული ნაშთებია ეკლესიისა და ციხეებისა, მაგრამ ფენიქსისთანა არტაან-ოლთისის ოლქებში არა მოიპოვება რა. ამბობენ თორთუმისა და ისპირის ოლქებში სამი ეკლესიაა, რომელნიც ფენიქსის ეკლესიას სიდიდით, სილამაზით და ხუროთმოძღვრული ხელოვნებით გადააჭარბებენ.

მალე ფენიქსიდან უკან დავბრუნდი, რადგანაც მდინარე, რომელიც ფენიქსს გვერდით უვლის, ადიდებული იყო და მასზე გასვლა საშიში იყო და ახლო გზაჩაქცეულით ოლთისისაკენ გავუდექი გზას. გზაზე მრავალი თორთუმელი ქალები და კაცები დაძრწოდნენ, რომელნიც მგზავრთა თავიანთ უმწეო მდგომარეობას შესჩიოდნენ და თვალცრემლიანები შველასა სთხოვდნენ. მარილის მადანთან ბევრ სხვა თორთუმელ ქალებთა შორის ერთი ლამაზად მოხუცი ქართველი მანდილოსანი ვნახე. მესიამოვნა, ვიფიქრე თორთუმის შესახებ ალბათ რამე ეცოდინება და მეტყვის მეთქი და მის წინ ცხენი შევაჩერე, ჩამოვხტი, ალვირი ხელში დავიჭირე და მოხუცს მიახლოებისთანავე თათრულად სალამი მივეცი.

- ღმერთმა გაგიმარჯოს ჩემო ბატონო, ძველი ქართული დარბაისლური კილოთი მიპასუხა მოხუცმა ქართულად და სწრაფად ფეხზე წამოდგა, ჩემს ყურს არ ვუჯერებდი, მაგრამ როცა მოხუცმა თავისი მზისაგან გამშავებული და სრულიად გაძვალ-ტყავებული ხელი გამომიწოდა და თანაც მითხრა, მადლობაზე ღმერთს ჩემო ბატონო ბრძანდებოდეთ, დავრწმუნდი ქართული სცოდნია მეთქი და მეც სიხარულით აღფრთოვანებულმა მსწრაფლ ხელი გავუწოდე.



- თქვენ ქართული გცოდნიათ? ალბათ აჭარიდან უნდა იყოთ? – შევეკითხე.

- არა, მე თორთუმის სოფლიდან ვარ, ქართველი

მაჰმადიანი, აჭარაში ქალი მყავს გათხოვილი და იქ ვისწავლე ქართული.

- როგორ?! გავიკვირვე მე, თორთუმი განა ერთი სოფელი არ არის?

- არა ჩემო ბატონო, თორთუმი დიდი ქვეყანაა — 280 სოფელს მოიცავს და დაიწყო სოფლების ჩამოთვლა: თორ-თიხა, ხარ-თიხა, ხარისი და სხვა მრავალი.

- თორთუმში მცხოვრები ყველა ქართველი მაჰმადიანები არიან, თუ აქა-იქ გირევიათ როგორც არტაან-ოლთისის ოლქებში, ქურთები, თურქმანები და სხვა ? დავეკითხე ისევ ცნობისმოყვარეობით მოხუცს.

- არა , სულ ქართველი მაჰმადიანები ვართ.

- ყველა თქვენგანმა იცის თუ არა, რომ ისინი ქართველი მაჰმადიანები არიან ?

- როგორ არა იციან.

- თავიანთი ქართული გვარი ხომ არ ახსოვთ ვინმე თქვენთაგანს?

- გვარი არავის ახსოვს, რადგანაც ჩვენ აქ თამარ მეფის დროიდან ვართ დასახლებულნი, არტაანი, ოლთისი, თორთუმი, ადირბეჯანი და სხვა სულ საქართველო იყო, ყველგან ქართველები ცხოვრობდნენ, მაგრამ როცა ოსმალომ წაართვა ქართველებს, ყველა აქ მცხოვრებნი გაამაჰმადიანეს, მაგრამ ეს სულერთია, ჩვენ რჯულით ვართ თათრები, თორემ გულით კი ქართველები ვართ. ჩვენ ძალიან გვიყვარს ქართველები, ისინი კეთილი ადამიანები არიან. აი ჩვენი პატარები და ქალებიც სათხოვნელად რომ დადიან ძალიან უმადლიან ქართველებს. ისე მიეჩვივნენ ქართველების სახეს, რომ დაინახავენ თუ არა ქართველ ადამიანს სიხარულით გაიძახიან "ქართველია, ქართველიო" და გარბიან მათკენ, რადგანაც იციან, რომ ქართველი მათ დაუსაჩუქრებლად არ გაუშვებს. ბოლოს, მოხუცმა ძალიან ბევრი და ფრიად გულის ამაღელვებელი საყვედურები მითხრა სომხების საქციელზე. ისე გულდაწყვეტილად ამბობდა მოხუცი სომხების მიერ მხეცურად ჩადენილ ამბებს, რომ თვითონაც ტიროდა და მეც ამატირა. მე არ მეგონა, თუ ადამიანს, თუნდაც სრულიად გამხეცებულს, შეეძლო ისეთი საშინელებების ჩადენა, რაც მიამბო მოხუცმა. ველარ გავუძელი, მოხუცს ხუთი მანეთი ჩაუდე ხელში და გული დაკოდილი ოლთისისაკენ გზას გავუდექი. ოლთისში ერთ

ჩემ მეგობარ მოხუც ბოროჩიკ დავანაძესთან ჩამოვხდი, რომელსაც გავუზიარე მოხუცის სიტყვები. თოროთუმში გამგზავრების ნაცვლად დილით არტაანისკენ გავუყევით გზას. გზაზე 7–8 წლის ბავშვები და ქალები ნამოწყალებით დატვირთულნი უკან თოროთუმისაკენ მიდიოდნენ. ალბათ ეგენი ის არ იყვნენ, რომლებიც მე გზათ მეყურებოდნენ. მოხუცი კი მარილის მადნიდან 4 ვერსის მოშორებით ვნახე მიწაზე დაწოლილი. სახე რაღაც გაწითლებოდა, თვალები წინ წამოწეოდნენ, თითქოს გადმოცვივნას ლამობდნენ. მოხუცი ცახცახებდა. გვერდზე 8 წლის ობოლი შვილიშვილი ეჯდა, რომელიც რაღაცას ეჩიჩინებოდა და თანაც ბაბუისაკენ გაშვერილ ხელში სადილობის შავი პურის კანი ეჭირა, ალბათ სთავაზობდა მოხუცს. მე მისმა დანახვამ გამახსენა მისი სიტყვები, გული ამიჩუყდა, თვალებზე მომდგარი ცრემლები დარცხვენით და თანაც ქურდულად ამოვიწმინდე, თავი შევიმაგრე, მივუახლოვდი მოხუცს, დავუკარი თავი, გამარჯობა ვუთხარი, მაგრამ მან ნაცვლად სალმისა თვალები ისეთნაირად შემომაჩერა, რომ მაშინ ნამდვილი სიბრალული და ღრმა ტანჯვა გამოიხატებოდა. მე მაშინვე მივხვდი, რომ მოხუცს რაღაც გაჭირვება დადგომია, ჩამოვხდი ცხენიდან, მივუახლოვდი, მუხლებზე ხელი დავადევი, მუხლი ცხელი ჰქონდა, მაჯაც დაჩქარებით უცემდა. მოხუცი ავად გამხდარიყო.

მე ცხენი შევთავაზე, კოსორამდე წამოდი, მე ფეხით წამოვალ, არა მიშავს, ახალგაზრდა ვარ მეთქი, მაგრამ უარი მითხრა. ამ დროს ვიღაც ცხენოსანმა თათარმა გამოიარა, მისი ნაცნობი გამოდგა, მიესალმნენ ერთმანეთს. მგზავრმა მოხუცი ცხენზე შეისვა და გზას გაუდგნენ. მალე მეც კოსოროსაკენ გამოვექანე ცხენით. მოხუცის სახელი და გვარი ვიცოდი, სოფლის სახელიც მითხრა, ქალაქიდან ნახევარზე დავიწყე, მაგრამ სამწუხაროდ დამავიწყდა. შემდეგ ამის მოხუცისა არა ვიცი რა. თებერვლის 18-ს გავემგზავრე ოლთისში ხარჯის ამკრეფ ინსპექტორ ვებნეროთან ერთად, მაგრამ თოროთუმელი ბავშვები, ქალები და კაცები ნაკლებს ვხვდებოდით და აქა-იქ შევხვდებოდით ისიც ზურგით, მხრებით, ფიჩხით დატვირთულნი; ყველას ამას სოფლებში ფქვილში ცვლიდნენ. ვკითხე კიდევაც, თოროთუმელებთ, მიზეზი რა არის რომ თქვენები სათხოვნელად არ დაიარებიან მეთქი. -ეხლა ხელი ჩვარია, სიმშილს არა ვუძლებთ, მთელი თოროთუმის ოლქი ბალნარია, ვკრეფთ

ხილეულობას, გაგვაქვს სოფლისად, ვცვლით ფქვილზე, პურზე, ერბოზე, ყველზე, კვერცხზე, რაც შეგვხვდება ყველაფერზე, მიტანისას. თბილისში ჩვეულებრივ ჩემ მეგობარ თათრუჩას დევანაძეთან ჩამოვხვდი, გეგნერიც მივიყვანე. მერე დღეს ვსტუმრდები გეგნერს თათრუხში გადავსულიყავით, მერე არ ისურვა და მარტო მე წავედი ვერ გავიწიე, რადგან თათრების გზებზე ყაჩაღები დაძრწიან. მერე თათრებისაგან გავიგე და ჩემს ნანახ-გაგონილს გადმოგცემთ. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე რიცხვს 170 000 (ას-სამოცდა-ათი ათასი) მეტი გაუსახლებიათ თათრებიდან ქართველები.

კ. ლომიძე (მარჯვენელი).

გაზეთი “საქართველო”, 1917 წელი, გიორგობისთვის 7, № 246, გვ. 4.

რუბრიკა: წერილები რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო პატივცემულ იმ ქველმოქმედ აღნიშნულ პირებს, რომლებმაც აჭარის, თბილისის, ისპირის და თათრების თემებში ჩემს მოგზაურობის დროს გადმომცეს ქართული საქველმოქმედო საზოგადოების აჭარის განყოფილების სასარგებლოდ თავიანთი წვლილი, სახელდობრ: ი. გ. ალექსიძეს 50 მან, ივ. ვ. გეგნიძეს 6 მან, ვ. ა. ანჯაფარიძეს 5 მან, თავად ჩერქეზიშვილს 12 მან, ნ. ს. ფანიაშვილს 17 მან, და სახელმწიფო კონტროლიორს იასონ გიორგის ძე ხახუტაშვილს 50 მან, სულ 640 მანეთი. ეს ფული ჩამოსვლისთანავე აჭარაში გადავეცი ამავე განყოფილების თავმჯდომარეს ზ. სალარიძეს.

მასთან ერთად ჩემ გულითადს მადლობას ვუძღვნი თანამემამულე ინჟინერ ლევან კონსტანტინეს ძე თავად აბაშიძეს, რომელმაც ჩემი თბილისში ჩასვლისთანავე, გარდა სახლში მიწვევისა და პატივისცემისა, თავისი ჯიბით გამომყვა შიდა ოსმალეთში ქართული სოფლებისა და ქართველთა ისტორიული სიძველეთა დასათვალიერებლად და მით გამიადვილა ჩემ მიერ ნაკისრი ძნელი საქმის შესრულება, აგრეთვე მადლობას ვწირავ ზ. ზ. ქართველ ისტორიკოსს დიმიტრი ზაქარაძეს, ყოფილი გზის მაჩვენებელს სიმონ (სიკო)



გიორგის ძე ქორო?ინა დავანაძის, სახელმწიფო კონტროლიორის იასონ გიორგის ძე ხახუტაშვილის და ხარჯთამკრეფი ინსპექტორის ივ. გეტნერის, რომლებიც არ დაიზარეს და წამომყვანი ისტორიის და თოროთუმის ფურცლებში დასამახსოვრებლად.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების არქივის განყოფილების რწმუნებული და მდივანი

კ. ლოიშარია (მარტვილელი).

გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 12 იანვარი, № 8, გვ. 4.

რუბრიკა: ქრონიკა

სოფელი ვანი (გურია). 28 დეკემბერს ადგილობრივი მღვდლის მოწოდებით მოხდა ამავე სოფლის (ამჟ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) ქარხნის წევრთა კრება. კრების გახსნისას **გიორგი ლოიშარიას** წინადადებით, კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ტრაგიკულად გარდაცვალებული ხონის მილიციის უფროსის კიკნაძის ხსოვნას, შემდეგ მოისმინეს გაკეთის მან. გააცნო კრებას თუ რა ხდება დღეს რუსეთში და აგრეთვე ამიერ კავკასიაში, აღინიშნა ის საშინელი მოვლენები, რომლებსაც ამ დღეებში ადგილი ჰქონდა ქალაქ ქუთაისში, ხონში და ყვირილაში და აგრეთვე სხვა ადგილებში და მოუწოდა დამსწრეთ, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექციათ, რომ ასეთი საშინელი ამბები გურიაშიც არ მოხდეს. სურსათის შესახებ ილაპარაკა საბჭოს წევრმა გრიშა მახარაძემ. აღინიშნა ის საშინელი მოვლენა, რომელიც ამ ბოლო ხანში მოელის ხალხს სიმინდის უქონლობით და მოუწოდა ხალხს ეხლავე მიიღონ საჭირო ზომები ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად. კრებამ ამის შესახებ დაადგინა: ეხლავე დაევალოს სასურსათო კომიტეტის წევრს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეს სიმინდის ადრიანად შეძენას, როგორც ადგილობრივად, ისე სხვა კუთხეებიდან, სადაც კი აღმოჩნდება სიმინდი და მოსახმარებელი იქნება შეძენის. ამასთანავე კრება ავალებს, როგორც სასურსათო კომიტეტის

ჩვენს ისე კოოპერატივის წარმომადგენლებს, რომ საჭიროა თვალყური ადევნოს იმ ადგილის წასასვლელი ჩაბარებებს, რომლებიც ქურდულად ეწევიან სიმინდის ვაჭრობას და 8 მანეთად ნაცვლად სიმინდის დაუშვებელი ხალხს 20 და 25 მანეთად აძლევენ. დასასრული ფარული კვირის ყოფით კრებამ აირჩია თვალთვალისთვის გასაგზავნი რაზმელები.

ს. წაბლიანელი.

**გაზეთი "ერთობა", 1918 წელი 17 იანვარი, № 12, გვ. 4.**

რუბრიკა: ქრონიკა

სოფელი ზომლეთი (გურია). ეს სოფელი (ამჟ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) ისედაქანცული და დასნეულებული აღარ არის როგორიც წინეთ იყო, კულტურული დაწესებულებების საქმეში ხელოსნი უკვე შეერთდა და მის დასასრულებლად ერთი თვალსაჩინო ადგილი მიიჩნიეს; საქმე ასე თუ ისე მოგვარებულია. სამკითხველოსთვის მოგროვილია 1000 მანეთამდე. ადგილობრივ შკოლასთან და კოოპერატივთან დაარსებულია სათემო განყოფილებები, რომლებსაც კავშირი აქვს მეზობელ სოფელ ვანთან; ასე რომ, ამ სოფლის კულტურულად დაკავშირებას ეხლაც ეტყობა საძირკველი და ჯერ კიდევ ბევრი თვალსაჩინო ნაკლი აქვს. ეს ნაკლი უმთავრესად გამოიხატება იმაში, რომ ის ჯერ არის ორგანიზაციულად შეუკავშირებელი, განელებულია პარტიული და დემოკრატიული და არ გასაკვირველია, რომ ათასნაირ ბოროტებას ჰქონდეს აქ ადგილი, როგორიცაა მაგალითად: სხვის დაჭრა, ქურდობა საზოგადოების დაწესებულებებში, ე. ი. კოოპერატივში მუშაობის დროს კაცის დაჭრა და სხვა. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ზოგიერთმა მოწინავე პირებმა და 9 იანვარს მოწვეული იქმნა მთელი სოფლის საერთო კრება, რომლის უმთავრეს მიზანს შეადგენდა მიმდინარე გათვალისწინება, სასურსათო საკითხის გარჩევა და სხვა; მიმდინარე მომენტზე ლაპარაკობს ვინმე მახარაძე. მოკლედ ითვალისწინებს კრებას ჩვენს გარშემო შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობას, უთითებს სხვა და სხვა ფაქტებზე, რომლებიც ნათელჰყოფს შეუფერებელ მოქმედებას და აცნობს კრებას ჩვენი ორგანიზაციების სხვა და სხვა რეზოლუციებს. შემდეგ მოისმინეს აქტებს **გოროვა**

**ოდიშარია**, ის ეხება საერთოდ ტერიტორიულ ავტონომიის საკითხს, არკვევს ბოლშევიკურ-მენშევიკური ფრაქციის ორივე მიმართულების და მისი გაყოფის უმთავრეს მიზეზს, მოუწოდებს კრებას ორგანიზაციულად შეკავშირებისაკენ და ურჩევს საერთო ანარქიის მსხვერპლნი არ გახდნენ. სასურსათო საკითხზე ლაპარაკობს დიომიდე მგელაძე, რომელიც სურვილს გამოთქვამს და ურჩევს კრებას ხელოვნურად ნუ გაამწვავებენ განსაკუთრებულად სიმინდის საკითხს და ვისაც გასაყიდი აქვს დაუთმოს თავის მშიერ მეზობლებს, მაგრამ რადგანაც ამ სოფლებში არავის აქვს სიმინდი, ისევ ავალებს კრება სასურსათო კომიტეტს, ყოველივე ღონე იხმაროს სიმინდის შესაძენათ, სანამ კითხვა გამწვავდებოდეს, მომხსენებლების შემდეგ ლაპარაკობენ სხვა ორატორებიც, გარდა მცირე გამონაკლისისა, ერთხმად ღებულობენ რეზოლუციას, რომ შესდგეს საიმედო ჯარისკაცებისაგან სამხედრო კომისია, რომლის მოვალეობას შეადგენს სოფლად თვალყური ადევნოს იარაღით სახლში დაბრუნებულ ჯარისკაცებს, ჩამოართვას იარაღი და გადასცეს სადაც ჯერ არს, აგრეთვე მათ ევალებათ ყოველი საჭიროების დროს გამოუცხადონ ყველას იმ პირებს, ვისაც კვლავ ჯარში გაიწვევენ ან ვის უწევს სამსახური, კრება ასეთ კომისიაში ირჩევს 5 კაცისაგან შემდგარ პირებს. ვიმედოვნებთ, რომ ისინი პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას. კრება აგრეთვე სხვა საკითხებსაც შეეხო.

დორებით წასული.

გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 20 იანვარი, № 15, გვ. 2.

რუბრიკა: პროვინციის ქრონიკა

ბათუმი. მოხდა ს-დ მასწავლებლების კრება, სადაც გადაწყდა დაარსებულ იქნას ბათუმის ოლქის მასწავლებელთა კავშირში ცალკე სოც-დემოკრატიული ფრაქცია. აირჩიეს გამგეობა, რომელშიაც შედიან: ალ. მგელაძე, ეკ. **ოდიშარია**, შ. წულაძე, ილ. სიხარულიძე და თინა სიხარულიძე.

## გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 31 იანვარი, № 24, გვ. 4.

რუბრიკა: ქრონიკა

აკეთი (გურია). (ამჟ. არის თემი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში) 25 იანვარს აქ გაიმართა შეერთებული კრება გლეხთა დეპუტატების საბჭოს, აღმასრულებელი კომიტეტის და რ. ს. დ. მ. პ. აკეთის კოლექტივის წევრებისა. კრებას დაესწრო თითქმის ყველა წევრი. კრებამ გაიხილა შემდეგი კითხვები: მობილიზაცია, მოხსენებები სარაიონო საბჭოების დეპუტატების კომიტეტის, აღმასრულებელი კომიტეტების და კოლექტივის დელეგატებისა, ზავი და დამოკიდებულება. პირველი კითხვის შესახებ კრებამ დაადგინა, მხურვალე მონაწილეობა მის განხორციელებაში, ვინაიდან მხოლოდ მას (მობილიზაციას) შეუძლია იხსნას სამშობლო და რევოლუცია სრული განადგურებისგან, როგორც შინაური მტრისგან, ისე გარეშე. ამ საკითხის გარჩევის დროს ლუკა ცინცაბაძემ (კომისარმა) განაცხადა კრებას, რომ ადგილობრივი მღვდლები არიან და საშუალებს ცნობები შეკრიბონ ჯარში გასაწვევ პირების შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა: წინადადება მიეცეს ყველა ადგილობრივ მღვდლებს, რათა დაუყოვნებლივ მიაწოდონ კომისარს საჭირო ცნობები, უკიდურეს შემთხვევაში ძალით იქნება ცნობები ჩამორთმეული.

შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება გლეხთა დეპუტატების საბჭოს წევრის დიომიდე მგელაძის. უკანასკნელმა დამსწრეთ ვრცლად გააცნო, თუ რა საფრთხეებს შეადგენს სამხედრო კომისარის (შტაბის) შედგენა ადგილობრივათ, თუ როგორ შეიძლება ამ მიზნის პრაქტიკულათ ცხოვრებაში გატარება. კრებამ თანახმათ მოხსენებისა, ამოირჩია სამხედრო კომისია ექვსი კაცისაგან შემდგარი და დაავალა მას დაუყოვნებლივ შეუდგეს საქმეს, ე. ი. შეადგინოს საჭირო სიები იმ პირთა, ვინც ვალდებული არიან ჩაწერის სახალხო მილიციაში (18 – 45 წლამდის), მასთან მან ცხოვრებაში გაატაროს ყველა მუხლები დებულებებისა, რომლებიც ამ დღეებში იყო გამოქვეყნებული კომისარიატის მიერ სახალხო მილიციის შესახებ. აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მოხსენებას აკეთებს ივ. მგელაძე. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ამ დღეებში ქ. ოზურგეთში შეიკრიბება სამაზრო სამიწათმოქმედო კომიტეტი, ამ კომიტეტის კრებაზე გაირჩევა საკითხი მიწების გაცემის და

რეკვიზიციის შესახებ. სარაიონო კომისიებს დაურიგებია ყველა საზოგადოებებში ბლანკები, რომლებიც უნდა შეივსოს ცნობებით, ვის რამდენი მიწა აქვს (15 დესეტინაზე ნაკლები მიწები აქვს, იმის შესახებ ცნობებს არ კრებენ), შემდეგ სამაზრო სამიწათმოქმედო კომისიები გადასწყვეტს ვის უნდა ჩამოერთვას მიწები და რამდენი იქნება დადებული მიწაზე ღალა. კრებამ დაადგინა დაემორჩილოს სამაზრო კომისიის დადგენილებას და გაატაროს უკანასკნელი ცხოვრებაში.

ს. დ. კოლექტივის სახელით მოხსენებას აკეთებს გრიშა მახარაძე. ორატორი მეტად სამწუხარო სურათს უხატავს კრებას "იაჩეიკების" (უჯრედები) მდგომარეობის შესახებ. ის ამბობს, რომ კოლექტივის წევრებმა არც კი იციან თუ რამდენი წევრია ამა თუ იმ "იაჩეიკაში", რამდენი ფული არის შემოსული და სხვა. დასასრულს იგი მოუწოდებს მათ უფრო ენერგიულათ მოეკიდონ თავთავიანთ მოვალეობის შესრულებას და მიაწოდონ კოლექტივს დაწვრილებითი ცნობები "იაჩეიკების" მდგომარეობის შესახებ, რათა საშუალება მოგვეცეს ჩვენც სწორი ცნობები მივაწოდოთ ცენტრალურ კომიტეტს. კრებამ მიიღო მხედველობაში მოხსენება და დაადგინა: 26 იანვარს მოიწვიოს კოლექტივის კრება და გამოარკვიოს "იაჩეიკების" მდგომარეობა.

ზავის შემდეგ ცხარე კამათის შემდეგ მიღებული იქნა **ვ. თოდიშარიას** წინადადება: იმის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია ჩვენთვის, ვინაიდან მისთვის ყოველივე ნიადაგი გამოცლილია, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ოსმალეთთან შეკრული ზავი, თუნდაც სეპარატული, უანექსიოთ, უკონტრიბუციოთ და ერების თვითგამორკვევის პრინციპზე აგებული. თუ ზავის ჩამოგდებას ვერ შევძლებთ და დარღვეული იქნა ზემო მოყვანილი პრინციპები, ჩვენ მზად ვართ ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.



ზოგიერთები მომხრე იყვნენ იმ მოსაზრებისა, რომ კიდევ გამოენახა რაიმე შემაერთებელი გზა, რათა თავიდან აეცილებინათ ძმათა შორის სისხლის ღვრა. მაგრამ უმრავლესობამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: ვინაიდან ჩვენ

(მენშევიკებმა და ესერებმა) ყველა საშუალებანი ვცადეთ შესარიგებლათ და ამ საშუალებებმა არაფერი ნაყოფი არ გამოიღეს, პირიქით, ამით წავათამამეთ ისინი, ჩვენ მზათ უნდა ვიყოთ მათთან საბრძოლველათ, ძალას ძალა უნდა დაუპირისპიროთ, არა თავდასასხმელათ, არამედ თავდაცვისათვის. ჯარებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს წინადადებას მიესალმნენ ამიერ კავკასიის სეიმს და უსურვეს მას ნაყოფიერი მუშაობა.

გ. ხონელი

## გაზეთი “საქართველო”, 1918 წელი, 30 იანვარი, № 24, გვ. 1.

ცოლი ეფროსინე, შვილები: შალვა, მიხეილი, ნიკოლოზი, მოხსენებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი მამის **ნიკოლოზ** ვასილის ძის **თოდიშარიას** გარდაცვალებას. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

## გაზეთი “ალიონი“, 1918 წელი, 8 თებერვალი,№ 10, გვ. 1.

**კონსტანტინე** ნიკოს ძე **თოდიშარია** (კ. მარტვილელი), მეუღლე მისი ეფროსინე მიხეილის ასული, შვილები მისნი: შალვა, მიშა და ნიკუშა და ქვრივი რძალი კონსტანტინესი აგრაფინე ვაჩის ასული **თოდიშარიასი** გულითადი მადლობას უცხადებენ ფრიად პატივცემულ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობებს მთელ ქალაქ ხონისა და დაბა მარტვილის საზოგადოებას, რომლებმაც კეთილ ინებეს და 28 ამა იანვარს დაესწრნენ პირველის საყვარელის მამისა, მეორისა და უკანასკნელის სიმამრის და დასაფლავებას ბაბუა ნიკო ვასისძე **თოდიშარიასი** ქალაქ ხონიდან დაბა მარტვილში საფლავადმდე სობოროის სასაფლაოზე დაკრძალვას და მით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას, აგრეთვე გულითადი მადლობას უცხადებენ გიორგი ნიკოლოზის ძე ბ-ნ სარალიძეს (გ. ახალციხელი) და არქაანის სათანადო დახმარებისათვის უფროსს ბ-ნ ხოსიაშვილს, რომლებმაც, მიუხედავად სიძნელისა, სწრაფი დახმარება აღმოუჩინეს განსვენებულის შვილს კონსტანტინეს არქაანიდან ხონში, საყვარელი მამის დასაფლავებაზე დასასწრებად წამოსვლის დროს მარხილის შორისში.

გაზეთი „საქართველო", 1918 წელი, 16 თებერვალი, № 38, გვ. 1.

კონსტანტინე ნიკოს ძე **ფალიაშვილი**, მეუღლე მისი ეფროსინე მიხეილის ასული, შვილები მათი: შალვა, მიშა და ნიკუშა და ქვრივი რძალი კონსტანტინესი აგრაფინა გვაჩიას ასული **ფალიაშვილისა** გულითად მადლობას უცხადებენ ფრიად პატივცემულ მათ ნათესავთ და ნაცნობთ, აგრეთვე მთელი ქალაქის ხონისა და დაბის მარტვილის საზოგადოებას, რომლებმაც კეთილი ინებეს და 28 ამა თებერვალს დაესწრნენ ძვირფასის საყვარელის მამისა, მეორე და უკანასკნელის სიმამრისა და [illegible] ბაბუა ნიკო ბასას ძე **ფალიაშვილისა** ქ. ხონიდან მარტვილში, მარტვილის საჭყონდიდელო ტაძრის სასაფლაოზე დაკრძალვას და მით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება", 1919 წელი, 20 აპრილი, № 4, გვ. 15.

ეროვნული მოხელე

აქციზის მოხელე და მწიგნობარი, თითქმის 18 წელი სააქციზო უწყებას ემსახურება და ამავე დროს სამშობლო მწიგნობრობაში მონაწილეობს. მას დაუღალავად ბევრი საყურადღებო კორესპონდენცია სამუსლიმანო საქართველოზე, განსაკუთრებით ჩვენი ისტორიული ნიმუშების შესახებ, რაიც თვალსაჩინო საისტორიო მასალას წარმოადგენს.

კ. **ფალიაშვილი** კიდევ უფრო ცნობილია როგორც დაუცხრომელი მამულიშვილი და რესპუბლიკის ეროვნული მოხელე, მისი ინტერესების ფხიზელი დარაჯი, მიუხედავად იმისა რომ ამ ნიადაგზე ბევრი უსიამოვნება შეხვედრია.

მისი მუყაითი მუშაობით აღმოჩენილ იქნა მრავალი სათამბაქო თუ მაგარ სასმელთა საიდუმლო საწარმო-ქარხანა, უმეტესად უცხო ტომის, რომლებიც ჩვენს ხაზინას სრულიად არავითარ შემოსავალს აძლევდნენ, პირიქით აზარალებდნენ. ამ მხრივ კ. **ფალიაშვილმა** ჩვენს ხაზინას რამდენიმე ათი მილიონი შემოსავალი მისცა.

იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე და მამულის ეროვნული სამსახურით გატაცებული. ვუსურვებთ დღეგრძელობას და მრავალ მიმბაძველები გაუჩნდეს ჩვენს

რესპუბლიკის საბედნიეროდ, ვინაიდან დღეს ასეთები გვჭირია.

ი - ი

### გაზეთი "ახალი საქართველო", 1919 წელი, 4 ივლისი, № 1, გვ. 2.

რუბრიკა: ქრონიკა

საქართველოს ფონდის სასარგებლოდ ჟ. მარჯველელის (**ლადიშარია**) ხელით საქართველო"-ს სასარგებლოდ შემოსწირეს: 1) გ. ს. სულხანიშვილმა 50 მან., 2) მ. ს. ისნარაშვილმა 50 მან., 3) ზ. ა. აჯამამედოვმა 100 მან., რედაქცია მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

### გაზეთი "საქართველო", 1919 წელი, 5 ენკენისთვე, № 191, გვ. 4.

"მოვიგონებს ქართველი მაჰმადიანთა ყრილობის გზა."

26 თებერვალს 1918 წელს. ხელმეორედ არტანიდან სოფელ ხახოში (თორთუმის ოლქი, შიდა ოსმალეთიდან საქართველოში ერზრუმის გზაჯვარედინზე ბაიბურთის მხრივ) გავემგზავრე ქართული ციხე ეკლესიებისა და სოფლების დასათვალიერებლად და ისტორიული მასალების ასაკრეფად. სოფელი ხახო დგას ოლთისს 99 ვერსით აშორავს, ამ სოფელში საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასლიანს ექვსი ეკლესია გაუშენებია, ამათში ერთი, სახელდობრ: "ხახულის ღმრთისმშობლისა" დიდია და უძვირფასესი ჩუქურთმული ხელოვნებით. ეკლესიის გარედან კედლებზე აურაცხელი ქვის ქანდაკებებია გამოჭრილი წმინდანებისა, ცხოველებისა, ფრინველთა და სხვათა. მისი სიდიდე ჩემ მიერ გაზომით აღმოჩნდა: სიგრძე 17 საჟენი და 1 არშინი, განი 11 საჟენი, ორი არშინი და სამი გოჯი, სიმაღლე ჯვარამდე 10 საჟენი და 9 გოჯი. ერთის სიტყვით ამ ეკლესიის და წმიდა ხელოვნებას შემდეგ უზარმაზარი ოშკის ეკლესიისა (ხახოს 30 ვერსით აშორავს, ლაზისტანის მხრით) ადამიანს ხიბლავს. ამ ეკლესიის დაწვრილებით აღწერას სიდიდისა გამო აქ არ შევუდგები, ვინაიდან უკვე წელიწად ნახევარია რომ ვწერ მთელი შიდა ოსმალეთის საქართველოს მთელ ისტორიულ მასალებს, სოფლებს, მათ სახელებს, ხალხის ზნე



ჩვეულებებს და ყოველნაირად მათ მიერ ზეპირ გადმოცემებს, რომლებიც შორის დიდის შინაარსით ჯერ ოშკისა და ხახულის ეკლესიების, როგორც უდიდეს განძებს საქართველოს სიძველეებისა და კულტურულად აყვავებისა. სწორედ იმ დროს როცა შემოვედი სოფელში, ვისაუზმე ჩემს და ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის ძველი ნაცნობი ქართველი მაჰმადიანის სახლში და მივედი ხახის ეკლესიასთან დასათვალიერებლად, რომ სოფელში შეიქნა სიხარულის ყიჟინი: თათრის ჯარი მოდის, მე შემეშინდა, მაგრამ შიში აბა რას მიშველიდა? ისევ ბედს დავემორჩილე. ჩემი მეგობარი მანუგეშებდა, რომ არას გვავნებენ არხეინად იყავი, ნუ გეშინიათ. უკვე მზე მთას ეფარებოდა, რომ მართლაც სოფელში შემოვიდა 800 კაცისაგან შემდგარი თათრის ჯარი, იარაღით, მოწყობილობებით. ჯარს წინ თათრის პოლკოვნიკი მიუძღვებოდა, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიზიდა, ვინაიდან სახე წმინდა ქართველის ჰქონდა. მცხოვრებლები პურ-მარილით შეხვდნენ, მეც მათთან ვიყავი. პურ-მარილის მიღების შემდეგ პოლკოვნიკი მე დამაკვირდა დიდ ხანს მათვალიერა და ბოლოს რუსულად დამეკითხა: “Выдолжно-быть грузинь?” ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ვფიქრე რუსული ცოდნის, შეიძლება შემიბრალონ, არ მომკლან მეთქი, ვფიქრობდი გულში, სული კბილებით, სიცოცხლე მე კი არა ასი წლის მოხუცსაც სწყურია.

- დიახ ბატონო პოლკოვნიკო, აღტაცებით მიუგე და ზრდილობიანად ქუდი მოვიხადე, პოლკოვნიკი მომიახლოვდა.

- მაშ თქვენ ქართველი ხართ? სასიამოვნოა, სიცილით და თანაც სიამოვნებით გამომეტყველების კილოთი შემომეკითხა ის ქართულად და ხელი ჩამომართვა. ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, სიხარულის ცრემლები თვალებზე ვეღარ შევიკავე.

-ბატონო პოლკოვნიკო, ქართული სად გისწავლიათ, აკანკალებული ხმით შევეკითხე მას.

- მე აჭარელი ქართველი მაჰმადიანი ვარ, გვარად ჩხეიძე, ათი წლის ვიყავი, რომ აჭარიდან ჩემმა მამამ სტამბოლში გადამიყვანა, სწავლა იქ მივიღე.

- კარგია ბატონო, ქართული არ დაგვავიწყდებათ? შევეკითხე მე.

- სამშობლო ენის დავიწყება აბა როგორ შეიძლება?! ცოდვა არ იყოს წყენის კილოთი მიპასუხა და შემომეკითხა.

- თქვენ რისთვის ჩამოსულხართ აქ?

- ქართული ისტორიის მასალების აღსაწერად, მოკლედ უპასუხე.

- თქვენ მწერალი ხართ! შემომეკითხა ალექსანდრე და სიამოვნებით ხელი გამომიწოდა.

– ალბათ იცნობთ მამედ აბაშიძეს? ისევ მწერალმა.

- კი ბატონო, როგორ არა, ვიცნობ, დიდი მეგობარია ქართველებისა. ის ჩვენ შეერთების საქმეში დიდ როლს თამაშობს, ვუპასუხე.

- მართალია, თუ ოდესმე ჩვენ შევერთდებით უეჭველად მისის წყალობით, დამემოწმა ალექსანდრე და საქართველოს სამომავლო ბედ-იღბლის შესახებ ბაასზე გადავედით. ამ საგანზე ბაასმა დიდი ხანი გასტანა; ის დიდად დაინტერესებული იყო საქართველოს ბედ-იღბლით, ქართველთა ცხოვრებით.

- თუ ქართველები რუსეთს არ ჩამოშორდნენ ცხოვრება გაუძნელდებათ, ვერ გაიხარებენ, ვინაიდან რუსები ბნელი და დათვი ხალხია, რუსის გლეხის ქოხში ძნელად თუ კულტურას შეხვდეს. მაგრამ ეხლა ამ რევოლუციამ მთლად მოუღო ბოლო რუსებს, ორასი წლით უკან დასწია, დააქცია.

უკვე ღამის 10 საათი იყო. ამ დროს ჩინებული მასპინძლობისთვის ვამადლობე, დილის ოთხზე მობატონისაკენ წავედით. ალექსანდრეს ძლიერ მოეწონა ხახულის ეკლესია, გაახსენდა თავისი სამშობლო-საქართველო, მამა-პაპა, თვალებზე ცრემლი მოადგა, თავი განზე გადაწია, თითქო შერცხვა ცრემლი არ შეემჩნია, თვალები ქურდულად ამოიწმინდა და დაიწყო თავის ადათზე ლოცვა. ის დიდხანს ლოცულობდა, ავედრებდა ალბათ ღმერთს საქართველოს.

- ამათი ჩამოშორება, სულ რუსების ბრალია, მაგრამ დიდი დრო არ გაივლის, რომ ესენი ხელახლა შეუერთდებიან თავიანთ ძმებს, დაასრულა სიტყვა ალექსანდრემ. მზე უკვე მაღლა იყო ამოსული, როცა ჩვენ საუზმეს შევექეცით. ჩვენთვის ცხენი უკვე მზად იყო.

პოლკოვნიკს ქაღალდი დამიწერა და გადმომცა, თუ ვინმე გზაზე შეგხვდებათ ის აჩვენეთ და გავემგზავრეთ. მე მაღლობზე გადავხედე, გამოვემშვიდობე ყველა იქ მყოფთ და ცხენით თბილისისაკენ გამოვქუსლე. მეორე დღის 12 საათზე თბილისში ჩამოვედი. აქ ხალხი ყალყზე იდგა. გაშინებული თბილისის მცხოვრებელი სომხები, დღის შიშით კრთოდნენ, გასაქცევ გზას ეძებდნენ, მაგრამ ადგილობრივი თათრები, რომლებიც თბილისს გარშემო შემოერტყმოდნენ, სომხებს თბილისიდან გარეთ არ უშვებდნენ და თვითონაც შემოსევას უცდიდნენ, რომ მთელი სომხობა ერთად ამოეწყვიტათ. მალე არტაანისაკენ გავემგზავრე, გზაზე მარტოკა მივდიოდი. ყველგან სიწყნარე იყო, სოფლები კარსის ბერძნებს დაეცალათ და საკომენდანტო პუნქტი იარაღით ხელში ჩაეგდოთ. ახლო-მახლო სოფლელი თათრები ღელავდნენ, ადვილად შეტევას დაიწყებდნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ, მაჰმადიანებმაც არეულობაზე იყო, სომხები და ბერძნები ბარგ-ბარხანიანად გამოეცხადებინათ თავი და თათრებს სოფლებში ცხოვრების ნებას არ აძლევდნენ, სოფლის უბანშიც სომხებს ორი თათარი მოეკლათ, დასასჯელებისთვის ქონება წაერთმიათ და სოფლიდან გაერეკათ. ახლო-მახლო სოფლის თათრებს წარმომადგენლები გამოეგზავნათ, მაგრამ სომხები ახლოსაც არ იკარებდნენ, შეიარაღებულები სოფლის საზღვარზე იდგნენ, თათრის წარმომადგენლებმა თავიანთი გულის მწუხარება შემომჩივლეს: ჩვენ არ გვინდა სისხლი დავღვაროთ, თორემ ამათ ერთ საათს გავჟლეტავთ. ამ დროს თოფი გავარდა, ტყვიამ ყურის ძირს გამიარა, სომხები გვესროდნენ. ჩვენ შეგვეშინდა და ცხენებით სწრაფად სოფელ თიკორისაკენ გავქუსლეთ. აქ ყველანი ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. იმ ღამეს სოფელ თიკორში დავრჩი, დილით სამი კაცი გამაყოლეს, რომ სომხებს გზაზე არ მოვეკალი, მაშინ სომხები თათრებსა და ქართველებს აღარ ინდობდნენ, თქვენ მათ ეხმარებით, გვეუბნებოდნენ და თუ კი შემოხვდება ხელს შეუწყობდა სიცოცხლეს დიდი სიამოვნებით მოუსპობდნენ; უკვე საღამო იყო რომ ჩავედი არტაანში. დილით ქართველმა მაჰმადიანებმა, მე როგორც ქართველი საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებულს წარმომადგენლები გამომიგზავნეს, რომ ქართველებს დაეჭირებინათ არტაანი, ვინაიდან ორ-სამ დღეში თათრებს სომხები უნდა ამოეწყვიტათ. მე ეს ამბავი ფიცხლავ ვაცნობე

ჩემს მეგობარს გიორგი სალუქვაძეს და სხვებს, მაგრამ არ დამიჯერეს, ტყუილიაო, თათრებს შეუშინდებიათო. სომხებმა, რომ გაიგეს "ტრიპოლიელი" მოდიოდა. მე შევამჩნიე; მეორე დღეს დილით ადრე მალულად მიდიოდნენ ჯგუფებად ყარსში, გაეპარნენ და ყარსისკენ გაუდგნენ გზას. სოფელ ხევის-კარში და ხარკეთში თათრებს დაეწყოთ სომხების ძარცვა, საზარელი სურათი იყო, ნამდვილი ჯოჯოხეთი. შეიარაღებული თათრები გზაზე რიგ-რიგ დარაზმულნი იდგნენ, სომხებს დაარბევდნენ, სხვა ეროვნებას არას ერჩოდნენ რას. მე ყველაფერი მივაწოდე, ეფენდი კიდევ მოესწრნენ. საღამოს 10 საათი იყო, რომ ყარსში ჩამოვედი; აქაც დიდი შიში და მღელვარება იყო. თათრებს ქალაქში არ უშვებდნენ, ვინც იყო იმას იჭერდნენ და კომენდანტის ციხეში აგზავნიდნენ. მთელი ძალა ყარსისა სომხების ხელში იყო, ხმა დადიოდა: თათრები ყარსის ახლოს ემზადებიანო. დილით ხმა გავრცელდა, თათრებმა არტაანში დაიჭირეს სომხების ქონებაო. მალე ყარსის ახლო-მახლო სოფლებიდან სომხის ლტოლვილებიც გამოჩნდნენ. იმ დღეს წითელჯვარელების ეშელონი გამოდიოდა, მეც გამოვყევი თბილისში.

კ. ლომაძე (მარტვილელი).

გაზეთი "ივერია", 1919 წელი, ოქტომბრისთვის 20, № 32, გვ. 4.

კორესპონდენციები

მარტვილის მონასტერი. მარტვილის მონასტერს ძველი საეკლესიო ჩვენთა ქრისტეს მოციქულთა ანდრია ძველმოღვაწეობა და იქვე აღმართა ჯვარი თვისი ძველი ქრისტიანობისა. ახლა წმ. მონაზონნი ხელმძღვანელი მეორე საუკუნის დასასრულის ადრე ეკლესია, რომლის სიმშვენიერე და მაღალი ხელოვნება აღმართა ახლა. მარტვილის მონასტრის ლოცვა მოყვარეების, ხელოვნების, კარვების ყველაფერი მარმარილოს მოხატული სვეტები და საოცარი გამოყვანილი ცოცხალი ფიგურები, ყვავილები, ყურძნის მტევნები, კომპოზიციები და სხვა. ეკლესიის კედლები, მისი სიმშვენიერე, ძველისავე აღმართა, სისასტიკის ცეცხლის ქვეშ ის უძველესი ხოტბა-მოძღვრული ხელოვნება.

ხალხი უძველესი კედლებიდან და წმინდა კარზე ჩამოვარდნილი ყველაფერი

მარმარილოს სვეტები და ოქრო კი სასახლის ინტერიერისა გამო გაზზიარული გუმბათი, რომლებიდან ჩამოსული ჭერმა მთელი შენობას დაამშვენებს ქალის, გულს გვიკლავს.

დღეს უკვე სრულიად მივიწყებული მარტვილი, განთქმული იყო საქართველოში თავისი ძვირფასი სამკაულებით, როგორიცაა იყო, მსხვილი ზურმუხტები და სხვა ძვირფასი თვალ-მარგალიტებით მოჭედილი ხატებით, ჯვრებით, სახარებებით, მოხატული ომფორიონ-კათალიკოსის ოქრო-ვერცხლით მოქსოვილი და ზურმუხტით მოჭედილი შესამოსლებით, ასევე მიტრებით, კვერთხებით და სხვა მღვდელთა შესამოსელ-სამკაულებით, მაგრამ დღეს მონასტერს ამათი ხსოვნილაღა დარჩა, ვინაიდან ზოგის მთავრობამ, ზოგი ქურდულად და ზოგიც მონასტრის ზედა-ილეთების გამგე მღვდელ მთავრების "გულკეთილობით" ზოგიერთ გადაიხადა; ზოგებს აგრეთვე ზოგიერთი ჩვენი მღვდელ-მთავრები ჩამორჩნენ და რაც მონასტრებიდან თვითონ ითვისებდნენ. ამ საქმეში ბრალეული ადგილი ეჭირა სულ-მნათი მარტვილის ეპისკოპოსს გრიგოლს და მის კარისკაცებს ძმებს ლოლუას და დიდმამა მასხულიებს, რომლებმაც, როგორც მიწა-მამული, აგრეთვე სამკაულებიც მიითვისეს მონასტრისა. შემდეგ ამ 118 წლიანწლოში მარტვილის მონასტერს სულ სამი ეპისკოპოსიდან ჰყავდა გულ-შემატკივარი: სულ-მნათი გაბრიელი, მერე ფილადელფოსი ამბროსი და მესამე ყოვლად უსამღვდელოესი კათალიკოსი ლეონიდე, ეპისკოპოსობისას 1904 წელს, მამა კალინიკე გაწმენდის დახმარებით, შეაგროვა მარტვილის სხვა და სხვა საკუთრებულებში დარჩენილი 7 ოქროს ვერცხლით მოქსოვილი და ზურმუხტით მოჭედილი შესამოსლები, მიტრები და სხვა ძვირფასი საეკლესიონი, რომლებიც ზემოხსენებული ბერების ხელებს გადაურჩენიათ და მონასტრის მერე სათავსოს სალაროში შეინახა, რომლის გასაღები, შემდეგ კანონიერ სიის შედგენისა დეკანოზ კალინიკე გაწმენდის ჩააბარა. ხოლო მარტვილის მონასტრის გუმბათი, რომელიც უხსოვარ დროიდან სულ სპილენძით იყო გადახურული და რომელიც თავის სასარგებლოდ მოახმარეს სულ-მნათი ეპისკოპოსი გრიგოლმა და ხსენებულმა მასხულიებმა, ამა



წელიწადს ეპისკოპოსი ლეონიდემ თავისი ხარჯით გადაახურა თხელი თეთრი თუნუქით, რომლებმაც დროთა განმავლობაში ვერ გაუძლეს, დაიმტვრა, სახურავიდან ჩამოსულმა წვიმამ გუმბათი დააზიანა, რომლიდანაც ჩამომავალი წვიმამ, როგორც მისი პატივცემული დეკანოზი გიორგი გეგეჭკორი, კედლებსაც საშიშ მდგომარეობას უქადის. მიხედვით ამისა, გულის ტკივილით ნამდვილი შვილების, ქართველების და არა იმ ადგილობრივ ადმინისტრაციის, რომლებმაც, ამ ეკლესიის ძველის ქართველთა ამაყობისას, უკანასკნელი წისქვილებიც კი ჩამოართვა და მით სიმშილით შეწუხებული ბერები სოფლად კარი და კარ მათხოვრად გაუშვა მღვდელ-მსახურების სახით, ყურადღებას მიაქციონ მარჩენელის მინისტრს, ხოლო ბატონებს ივანე გომართელს და თევზიას, რომლებიც შეპირდნენ მამა კაპიტონ გაწირულის და მარჩენელის ბერებს, ეკლესიის შეკვეთების თანხის გადადებისათვის შუამდგომლობას მთავრობასთან, განახორციელონ თავიანთი დაპირება.

კ. ოდიშარია

## გაზეთი "ერთობა", 1920 წელი, 8 ივლისი, № 152, გვ. 4.

რუბრიკა: პროვინცია

ნოსირი. (სამეგრელო). 27 ივნისს საღამო ჟამს, როდესაც ის იყო მოსეირნე ხალხი დაშლას აპირებდა, კომუნისტების ორი პროპაგანდისტები გამოცხადდნენ და განაცხადეს, რომ სურთ ელაპარაკონ და აგრეთვე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარონ მენშევიკების პროგრამა. მიუხედავად იმისა, რომ საშინელი წვიმის შხუილი მოისმოდა, ხალხი არ დაიშალა და გაემართა ადგილობრივ სკოლისკენ კომუნისტური პროგრამის გასაცნობად. კრებას ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი კომუნისტები: ზ. ბესელია, დავით კილასონია და მათი ხუთიოდე თანამოაზრე. ხალხი არც-კი იყო სკოლის დარბაზში დალაგებული, როდესაც დაიწყო კომუნისტმა: "ამხანაგებო, მე უნდა დავიწყო მსოფლიო ბურჟუაზიიდან!.." ამ დროს ხელი შეუშალეს ორატორს და მოუთითეს, კრებისთვის საჭირო იყო თავმჯდომარე. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეული იქნა ერასტო ბესელია. თავმჯდომარემ მოკლედ გააცნო დამსწრეთ კრების დანიშნულება და მოუწოდა ორატორს

ჩასაწერად. კომუნისტებმა პროგრამულ კითხვებზე უარი განაცხადეს და აგრეთვე ბოდიშით ამბობდნენ: შეცდომით მოვიწვიეთო, რამაც თვით მათი თანამოაზრეთა შორისაც კი გამოიწვია უკმაყოფილება. კრება დაჟინებით მოითხოვდა, რომ მენშევიკებსაც და კომუნისტებსაც განემარტათ თავიანთი პროგრამები, მაგრამ კომუნისტებმა ერთხელ კიდევ განაცხადეს, რომ ისინი მოდიან სხვისი დირექტივებით და არა აქვთ უფლება პროგრამის ილაპარაკონ, მხოლოდ მსურველებს ჩასწერავენ თავიანთ პარტიაში. რადგანაც ამხ. ერ. წერეთლის შეკითხვას: „მაგალითად მე თუ გეწყვით თქვენ, კომუნისტებმა გაანადგურეთ რუსეთი და აგრეთვე საწყალი ამიერკავკასიაც, მაშინაც არ გაქვთ პასუხის მოცემის უფლებათ?" კომუნისტები გაჩუმდნენ. დასასრულს ადგილობრივ ერობის გამგეობას მოაქვს გაზეთი „კომუნისტის" მეორე ნომერი, სადაც მოთავსებულია ყოვლად უსაფუძვლო და სიმართლის მოკლებული ყალბი ცნობა ხსენებული გამგეობის მიმართ. გამგეობა აცხადებს, რომ გაირკვეს წერილის სინამდვილე, რისთვის კიდეც მოითხოვს ყველასათვის გასაგონად იქნას გაზეთი წაკითხული. გაზეთს კითხულობს ამხ. **ოდიშარია** და ხაზს უსვამს იმ ადგილზე, სადაც ნათქვამია ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ კომუნისტების დატყვევებაზე. ამ ცნობამ განცვიფრებაში მოიყვანა დამსწრენი, ვინაიდან ასეთი რამ გარდა „კომუნისტისა," არავის დასიზმრებია. კიდევ პროტესტს აცხადებს ასეთი ცნობებისთვის და გმობს ამ სიყალბით გაჟღენთილ გაზეთსაც.

ყარამან ოდიშარია

### გაზეთი „მუშა", 1926 წელი, 11 მაისი, № 1039, გვ. 8.

გულდამწვარნი და პელაგია, სიძე მამია ლოლონძი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს მათი ძვირფასი და დაუვიწყარი თამრო (თებრო) ოდიშარია-ჩიჩუას უდროოდ გარდაცვალებას.

გამოსვენება ბაზრის ქუჩა № 22, სამშაბათს, 11 მაისს 4 საათზე. დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

გაზეთი "საბჭოთა აფხაზეთი", 1951 წელი, 2 თებერვალი, № 22, გვ. 2.



**თამარ** ათანასეს ასული **ოდიშარია** დაიბადა 1922 წელს სოხუმის რაიონის სოფელ ნოსირში. თ. ა. **ოდიშარიამ** დაამთავრა ქალაქ სოხუმის პედაგოგიური სასწავლებელი. მან პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო 1940 წლიდან. შოთა რუსთაველის სახელობის სოხუმის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში **თამარ ოდიშარიამ** თავი გამოიჩინა, როგორც ენერგიულმა პედაგოგმა, რომელიც თავის ცოდნას ახმარს ახალგაზრდა თაობის აღზრდას.

1950 წლის დეკემბერში თ. **ოდიშარია** არჩეულ იქნა სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივნად და სოხუმის ქალაქკომის ბიუროს წევრად.

**თამარ ოდიშარია** აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატია ქალაქ სოხუმის სოჭის № 8 საარჩევნო ოლქიდან.

გაზეთი "საბჭოთა აჭარა", 1957 წელი, 13 აგვისტო, № 159, გვ. 4.

**არსენ** ფარნაოზის ძე **ოდიშარია** დაიბადა 1903 წელს გლეხის ოჯახში. იგი მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში და არმიაში ეკავა მთელი რიგი პასუხსაგები თანამდებობები, იყო ჯარის ერთ-ერთი მეთაური, რომლის რიგებშიც იმყოფებოდა 1921 წლიდან. იყო პატიოსანი, კეთილსინდისიერი და გულისხმიერი თადარიგის პოლკოვნიკი. დაჯილდოებული იყო მედლებით და ორდენებით. გარდაიცვალა 1957 წელს 54 წლის ასაკში.

ამხანაგების ჯგუფი

გაზეთი "სახალხო განათლება", 1957 წელი, 11 სექტემბერი, № 37, გვ. 1.

სასკოლო ინტერნატები მეტ ყურადღებას საჭიროებენ საქართველოში 136 შვიდწლიან და საშუალო სკოლასთან მოწყობილია სასკოლო ინტერნატები, რომლებშიც 6000-მდე



მოსწავლეს. ისინი მთავარი რაიონების იმ ადგილებიდან არიან ჩამოსულნი, სადაც მოსწავლეთა სიმცირის გამო ჯერ შეუძლებელია შვიდწლიანი და საშუალო სკოლების გახსნა.

აღსაზრდელთა ერთი ნაწილი 2000-მდე მოსწავლე სახელმწიფოს ხარჯზე იკვებება. ხუთასზე მეტი პედაგოგი და ტექნიკური მუშაკი ემსახურება ინტერნატში მყოფ ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეს.

მიუხედავად ასეთი დიდი ზრუნვისა, საბჭოთა ინტერნატების მუშაობაში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლოვანებაა, რაც დაკავშირებულია სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და მატერიალური ბაზის საკითხთან. ასე, მაგალითად, საბჭოთა ინტერნატების უმრავლესობას საკუთარი შენობები არა აქვს, ამიტომ აღსაზრდელები მოთავსებული არიან კერძო შენობებში (ხშირად სხვადასხვა სოფლებშიც). ამის გამო მოსწავლეები ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული არიან ტერიტორიულად; ეს კი დიდ უხერხულობას და სიძნელეს ქმნის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში. აღსანიშნავია, რომ ამ არცთუ ისე კეთილმოწყობილი შენობების დასაქირავებლად სახელმწიფო ყოველწლიურად დიდძალ თანხას ხარჯავს. უკვე დროა ვიზრუნოთ საბჭოთა ინტერნატებისათვის შესაფერისი ტიპის შენობების ასაშენებლად.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საბჭოთა ინტერნატების აღსაზრდელთა კვება ამჟამად მოუწესრიგებელია, საბჭოთა ინტერნატების დირექტორები სოფლის მეურნეობებსა და ინიციატივას ვერ იჩენენ ამ საკითხის მოსაგვარებლად, თუმცა ყველა პირობა არსებობს ბავშვთა კვების გაუმჯობესებისათვის.

სახალხო განათლების სამინისტრომ სათანადო მითითება მისცეს განათლების განყოფილებებსა და საბჭოთა ინტერნატის გამგეებს აღსაზრდელებსა და მათ მშობლებთან შეთანხმებით ინტერნატში მოაწყონ ბავშვთა კვება საერთო ქვაბიდან. ეს ღონისძიება პირველ რიგში უნდა გატარდეს იმ საბჭოთა ინტერნატებში, სადაც ამჟამად

ასეთი ფაქტები არსებობს.

ძალიან სუსტია სასკოლო ინტერნატების დირექტორთა და სასწავლო ნაწილის გამგეთა ხელმძღვანელობა და კონტროლი აღმზრდელთა მუშაობაზე. ეს საქმე თითქმის თავის დინებაზეა მიშვებული. ზოგ ინტერნატში აღსაზრდელები არ არიან დაკომპლექტებული სააღმზრდელო ჯგუფებად, ჯგუფებზე არ არიან გაპიროვნებული აღმზრდელები – ყველა აღმზრდელი "მუშაობს ყველა აღსაზრდელთან," რაც ცხადია, დაუშვებელია.

აღმზრდელთა სამუშაო საათების ცხრილის შედგენისას ირღვევა დადგენილი ყოველკვირეული წესი და ნორმა. ზოგ ინტერნატში აღმზრდელები არ ადგენენ დღიური ან კვირეული მუშაობის გეგმას. მოუწესრიგებელია აღმზრდელის მუშაობის აღრიცხვა.

სასკოლო ინტერნატების აღმზრდელებს უმოკლეს ვადაში უნდა დავუგზავნოთ ლიტერატურა, კრებულები, რომლებშიც თავმოყრილი იქნება სხვადასხვა დროს გამოცემული და ამჟამად მოქმედი ყველა ოფიციალური დოკუმენტი ინტერნატების შესახებ და აგრეთვე საინსტრუქციო მეთოდური წერილები ინტერნატული ტიპის სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ძირითად საკითხებზე. გარდა ამისა, უნდა მოეწყოს სასკოლო ინტერნატების დირექტორთა და აღმზრდელთა კურსები. სასკოლო ინტერნატებს სოფლად, რომლებშიც აღსაზრდელთა უმეტესობას V-XI კლასების მოსწავლეები შეადგენენ, უსათუოდ უნდა ჰქონდეთ თავიანთი დამხმარე მეურნეობა.

დასასრულს ერთ საკითხზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება. განათლების სამინისტრო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ზოგ რაიონში, განსაკუთრებით ჯერ კიდევ ნაკლებად დასახლებულ მთიან რაიონებში, შეუძლებელია საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელება სასკოლო ინტერნატების ფართო ქსელის გარეშე და ამიტომ სათანადო თანხებს აძლევს რაიონის განათლების განყოფილებებს. მაგრამ ეს უკანასკნელნი ყველგან ერთნაირი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ამ საქმეს. სასკოლო ინტერნატების მიერ აუთვისებელი თანხები ჩამოწერილია და სულ სხვა დანიშნულებითაა გამოყენებული.

სასკოლო ინტერნატები იმდენად დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს

ემსახურებიან, რომ დასაქმებულად უნდა ჩაითვალოს მათი ქცევის თვითორგანიზებულად შეძლება, დამშვენებული თანხების დაფლანგვითა არადანიშნულებისამებრ გამოყენებით.

ე. ლომარია

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების კაბინეტის გამგე.

გაზეთი "სახალხო განათლება", 1957 წელი, 18 სექტემბერი, № 38, გვ. 1.

გუმათში გაიხსნა ახალი სკოლა-ინტერნატი

ჩვენი რესპუბლიკის სკოლებს წელს 3 ახალი სკოლა-ინტერნატი შეემატა. ერთ-ერთი მათგანი გაიხსნა გუმათში (ამჟ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), ქუთაისიდან 6 კილომეტრის დაშორებით.

გუმათის სკოლა-ინტერნატს სავსებით ნორმალური პირობები აქვს იმისათვის, რომ უახლოეს ხანში იგი ერთ-ერთ მოწინავე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებად გადაიქცეს. მის განკარგულებაშია 8 ორ-ორ-სართულიანი შენობა, თითო 24 ოთახით, კეთილმოწყობილი აბანო, სამზარეულო, სასადილო და სხვა სათავსები. ინტერნატი ძირითადად უზრუნველყოფილია რბილი და მაგარი ინვენტარით.

ეს ახალი სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება დაკომპლექტებულია მოწინავე აღმზრდელ-მასწავლებლებით. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაკებმა კონსულტაციებითა და სემინარებით დახმარება გაუწიეს ინტერნატის მასწავლებლებს. დამუშავდა შემდეგი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის თავისებურებანი სკოლა-ინტერნატში; რეჟიმი, როგორც აღმზრდელობითი ფაქტორი და მისი ორგანიზაცია სკოლა-ინტერნატში; აღსაზრდელთა მიღების ორგანიზაცია და პირველ დღეებში მათთან მუშაობის შინაარსი და ფორმები.

ინტერნატს დიდ დახმარებას უწევენ რაიონული ორგანიზაციები, რომელთა უშუალო დახმარებით საფუძვლიანად გაფართოვდა სკოლა ინტერნატის ეზო, ბინის ფასადები. ქუთაის-გუმათჰესის შრომის მოწინავე აქტივისტების მაგალითით გავრცელდა სკოლა-

ინტერნატამდე. პოლიტექნიკური შრომითი აღზრდისა და სრულყოფისათვის ძლიერი ბაზის შექმნა კაბინეტ-ლაბორატორიების, სასწავლო სახელოსნოების, შრომის ოთახების, სასწავლო-საცდელი ნაკვეთების, დამხმარე მეურნეობების და სხვათა სახით – აი რა არის ამჟამად გუმათის სკოლა-ინტერნატის ერთ-ერთი მთავარი საბრძოლო ამოცანა, რომელიც წარმატებით უნდა გადაწყვიტოს მისმა პედაგოგიურმა კოლექტივმა.

ე. ოდიშარია

**გაზეთი "შრომის დროშა", 1966 წელი, 9 მაისი, № 52, გვ. 2.**

ცეცხლში გამოვლილი გული



მკითხველი თვალი კარგად შეიცნობს ქართველი ჯარის ლეიტენანტს **რაჟდენ ოდიშარიას.** 1941 წელს დაადგა იგი საბრძოლო დიდების გზას. პირველი საბრძოლო ნათლობა გროზნოში (ჩეჩნეთი) მიიღო 26 წლის ვაჟკაცმა, აქ ნახა პირველად ომის საშინელება. შემდეგ იყო მოზდოკი (ოსეთი), პროხლადნი (ყაბარდო-ბალყარეთი), მინვოდი, ესენტუკი, პიატიგორსკი, კისლოვოდსკი და ნოვოროსიისკი (რუსეთის ფედერაცია). მრავალი მტრის სისხლით შეღებეს მდინარე დნესტრისა (უკრაინა) და პრუტის (მოლდავეთი) წყლები, მონაწილეობდა ბუქარესტის (რუმინეთი) განთავისუფლებაში... ომის დასასრულის 9 მაისმა ბუდაპეშტში (უნგრეთი) მოუსწრო...

...1946 წლის დაბრუნდა შინ ნაიარევი ვაჟკაცი და ხელი მიჰყო ომის შემდეგ შეწყვეტილ საქმეს – პედაგოგობას.

ხედავთ დღეს **რაჟდენ ოდიშარიას,** უყურებთ მისი და ზოგჯერ გიკვირთ კიდეც: ნუთუ მისი გზის გამვლელი კაცი მაინც შეიძლება ასე ტკბილი და უწყინარი იყოს?

რომ შეიძლება, განა ამის მაგალითს თვით არ იძლევა? ასეთი ყოფილა ცეცხლში გამოვლილი გული.

ა. კირთაძე

## გაზეთი "კოლხეთი", 1967 წელი, 12 ოქტომბერი, № 122, გვ. 2.

### ნაომარი კაცი



მაშინ ის ბელორუსიაში, გერმანიის საზღვართან ახლოს, ქალაქ ბელოსტოკში, არმიის ერთ-ერთ ნაწილში იხდიდა თავის მხედრულ ვალს.

...შემდეგ სწრაფად გადიოდნენ ომის დღეები. მოაგონდა თავის ცხოვრებაში ყველაზე საშინელი მომენტი, როცა ის ხოხვით წინ მიიწევდა მტრის საცეცხლე წერტილისაკენ და მოქნეული მარჯვენა ხელით ნაღმი სტყორცნა მიზანს. ჯერ ხელი დაზიანდა დაჭრილი არ ეგონა, როცა ფეხში საშინელი წვა იგრძნო. ეს იყო მძიმე ჭრილობები გამოწვეული ზედამიანური ტყვიებით. ამ მომენტიდან მას არაფერი ახსოვს. გონზე მაშინ დაუბრუნდა, როცა საველე ჰოსპიტალში ექიმები ყველაფერს მორჩენის. ძნელი შეიქნა ერთი ფეხის საბოლოოდ მოშორებაზე (ამპუტაცია). მან მხოლოდ მაშინ შეიგრძნო თუ რა საშინელი იყო ომი. მძიმე იყო ბედი ფეხდაკლებული კაცისა.

ფაშიზმზე გამარჯვება ახლოს იყო, როცა **ვაჟა** ფარნაოზის ძე **ოდიშარია**, როგორც ვალმოხდილი ხალხის წინაშე დაბრუნდა მშობლიურ ნოსირში (ამჟ. სენაკის მუნიციპალიტეტი). ვაჟამ ჯერ კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა მოანგარიშედ, ხოლო კავშირგაბმულობის ექვსთვიანი კურსები დაასრულა, რის შემდეგ სოფელში დანიშნეს საფოსტო განყოფილების ხელმძღვანელად.

**ვ. ოდიშარიას** მშობლიურ სოფელში მასზე მხოლოდ ასეთ სიტყვებს გაიგონებთ: "იგი პატიოსანი ადამიანი, უანგარო მუშაკია."

ი. გვასალია

## გაზეთი "შრომის დროშა", 1968 წელი, 6 იანვარი, № 3, გვ. 2.

### ვალმოხდილი

ომის პირველი დღეიდანვე ჩაება საძულველი მტრის განადგურებაში უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე ოდიშარიაც.



პირველი საბრძოლო ნათლობა ბელორუსიის მინსკ-ბრესტზე, მინსკთან წარმატებულ ბრძოლებში მიიღო. აქედან უკრაინაში გადაიყვანეს. აქ გამოჩენილი მამაცობისათვის უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა და ორდენი მიიღო. ოცეული რომელსაც **ა. ოდიშარია** მეთაურობდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბულგარეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამისათვის დაიმსახურა სარდლობის მადლობა და კიდევ ერთი ორდენი მიიღო.

ვალმოხდილი დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს და მშვიდობიანი შრომის სამსახურში ჩადგა. **ალექსანდრე ოდიშარიასათვისაც** დაუვიწყარია ომით განვლილი მძიმე წლები. სამშობლოს თვითეული მიწის განთავისუფლებისათვის გამოჩენილი თავდადება.

ლ. ელიავა

### გაზეთი "კომუნისტი", 1968 წელი, 28 მაისი, № 122, გვ. 2.

### ვეტერანი

სოფელი ნოსირი (ამჟ. სენაკის მუნიციპალიტეტი), დასავლეთ საქართველოში, მერცხლის ბუდესავით მიჰკვრია მთის დაქანებულ ფერდობს. მისი მცხოვრებნი ოდითვე ყველაზე მშვიდობიან შრომას ეწეოდნენ: თესავდნენ პურს და სიმინდს, ზრდიდნენ პირუტყვს და ფრინველს. მძიმე იყო გლეხების ცხოვრება. ადგილობრივი თავადაზნაურობა, მეფის მოხელეები ულმობლად ძარცვავდნენ უბრალო ხალხს.

**დავით** (დათიკო) **ოდიშარია,** შთამომავლობით მხვნელ-მთესველისა და მევენახის **კონსტანტინე** ნიკოლოზის ძე **ოდიშარიას** შვილი, იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე წიგნიერი კაცი იყო სოფელში. იგი ნებაყოფლობით შევიდა არმიის რიგებში, შემდეგ კი მსახურობდა მე-6 ქართულ პოლკში, დაამთავრა უმცროს მეთაურთა შემადგენლობის სკოლა, ხოლო შემდეგ დავითი სამხედრო-პოლიტიკურ სკოლაში შევიდა და მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი კადრის სამხედრო პირი გამხდარიყო.

უმაღლესი-პოლიტიკური სკოლის დამთავრების შემდეგ წინადადება მისცეს

მესაზღვრეთა სკოლისათვის დარჩენილიყო. მაგრამ მას საზღვრის საბრძოლო ცხოვრების რომანტიკაც იზიდავდა. ასე აღმოჩნდა **დ. ოდიშარია** (პირველი მესაზღვრე ქართველი ოფიცერი) სასაზღვრო რაზმში და დაინიშნა ერთ მაღალმთიანი საგუშაგოს უფროსის თანაშემწედ. დაჯილდოებული და მოხსენიებული იყო მაშინ ცხოვრებას საზღვარზე. ასეთ დროს ადამიანები როგორღაც უფრო მალე ვაჟკაცდებოდნენ, იძენდნენ გამოცდილებას. ასე იყო **დავით ოდიშარიას** საქმეც. სულ რამდენიმე თვეში უფრო მაღალ თანამდებობაზე გადაიყვანეს და საგუშაგოს უფროსი გახდა. 30 წელიწადზე მეტ ხანს იმსახურა **დავით ოდიშარიამ** უშუალოდ საზღვარზე. ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ შეხვედრია და მონაწილეობა მიუღია საბრძოლო შეტაკებებში.

ბ. კისელიოვი

### გაზეთი "საბჭოთა აფხაზეთი", 1968 წელი, 19 სექტემბერი, № 183, გვ. 4.

ცამეტი წლის შემდეგ

ეს იყო ცამეტი წლის წინათ. **ტერენტი ოდიშარია** გულრიფშის რაიონის სოფელ განახლების საშუალო სკოლის დირექტორად დაინიშნა. ცოდნისა და ენერგიასთან ერთად არც გამოცდილებას აკლდა ტერენტის – წლების განმავლობაში ჯერ მასწავლებლად, ხოლო შემდეგ დირექტორად მუშაობდა სოხუმის რაიონის სოფელ ნოსირის საშუალო სკოლაში.



განახლების საშუალო სკოლაში მოსვლისთანავე **ტერენტი ოდიშარიამ** ენერგიულად დაიწყო ბრძოლა მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის, სანიმუშო წესრიგისათვის, მოსწავლეთა შრომის სიყვარულის და პატრიოტიზმის გამომუშავებისათვის.

... და აი, ყველაფერი მზად იყო. საგულდაგულოდ დამუშავებულ ნიადაგში მანდარინისა და ფორთოხლის პირველი ნერგები, მსხლისა და ატმის პაწაწკინტელა

ნერგებს რგავდნენ მოსწავლეები. თესდნენ სიმინდს, ლობიოს, სოიოს და სხვა კულტურებს, უვლიდნენ ვაზს. დირექტორი ხან ერთ ჯგუფს მიუსხდებოდა, ხან მეორეს, რჩევა-დარიგებებს აძლევდა, ფიზიკურად მუშაობდა [illegible].

განახლების საშუალო სკოლის სასწავლო ნაკვეთი, რომელიც 2 ჰექტარ ფართობზეა გაშენებული, ავ თვალს არ დაენახვება! ეზოს მანდარინისა და ფორთოხლის ნერგები ჩამწკრივებულია. ხეზე გასხლული ვაზი გაზულუქებულია, მზისკენ მოუშვერია მძიმე მტევნები, დაბრაწულია ატამი, დამწიფებულა ვაშლი და მსხალი, ერთი-ორი ძირი დაუსხამს სიმინდს. წელს 6000 მანეთამდე შემოსავალს ელიან საცდელი ნაკვეთიდან. შემოსავლის უმეტესი ნაწილი სკოლის მშენებლობასა და რემონტს მოხმარდება. დანარჩენი – ეზოს კეთილმოწყობას და სხვა.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ საცდელ ნაკვეთზე იზრდება ჩვენი მომავალი თაობა. გარდა იმისა, რომ სკოლაში მიღებულ თეორიულ ცოდნას მოსწავლეები ნაკვეთზე პრაქტიკულად იყენებენ, ისინი აქ ეჩვევიან ადრიდანვე სიძნელეების დაძლევას, კოლექტივთან ერთად იწრთობენ ხასიათსაც. შრომას შეჩვეული ადამიანი ცხოვრებაში იშვიათად დაიხევს უკან! ამიტომ არის, რომ განახლებელი ახალგაზრდები საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მტკიცე ნაბიჯებით შედიან ცხოვრებაში.

კიდევ ერთი ფაქტია საინტერესო. საცდელი ნაკვეთი დაყოფილია კლასების მიხედვით. კლასები შეჯიბრებაში იწვევენ ერთმანეთს, რაც წარმატებათა კარგი საწინდარია. ყველაფერი ეს იმის საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეები სკოლაშივე ეჩვევიან შრომას...

ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე **ფერიდე ლოდიმარიას**. იგი ამაყად დაატარებდა სტუმრებს მოვლილ საცდელ ნაკვეთში და თვალწინ ედგა 13 წლის წინანდელი დღე – პირველი დღე განახლების სკოლაში...

ზ. ბერაია, დ. გვიბერია.

## გაზეთი „შრომის დროშა", 1969 წელი, 28 აგვისტო, № 100, გვ. 3.

### შეწირული ხელი



სოფელ სურევის (ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი) მკვიდრმა **ვლადიმერ ოდიშარიამ** სამხედრო – სადაზვერვო სამსახურში თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა ორგანიზატორმა და მივლინებული იყო ბელორუსიაში, მინსკის სამხედრო სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1939 წელს.

...და აი, ლეიტენანტი **ვ. ოდიშარია** თავის ნაწილთან ერთად ჩაება იაპონიის წინააღმდეგ ხალხინგოლის (მონღოლეთი) ბრძოლებში. იაპონელი ოკუპანტები სასტიკად იქნენ დამარცხებულნი. **ვ. ოდიშარია** კი თავის ნაწილთან ერთად გადმოყვანილ იქნა ჩიტის ოლქის დაბა სოლოვიოვკაში (რუსეთის ფედერაცია). აქ მოუსწრო მას მრისხანე 1941 წელმა.

...მძიმე გაჭირვებით მიიწევდა სტალინგრადისაკენ. **ვ. ოდიშარია** დაინიშნა მოტომსროლელ-მოტოციკლეტთა ასეულის მეთაურად და მიიღო უფროსი ლეიტენანტის წოდება. ამ უთანასწორო ბრძოლებში ჩაება სხვებთან ერთად **ვ. ოდიშარიას** ასეული, სადაც მძიმედ დაიჭრა თვით ასეულის მეთაური, იგი სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც დაჰყო 1942 წლის ოქტომბრამდე.

...გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ გაიგზავნა ნაწილში. ამჟამად **ვ. ოდიშარია** დანიშნული იყო 180-ე სატანკო ბატალიონის მეთაურად და მიიღო კაპიტნის სამხედრო წოდება. ისევ ფრონტი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა... ისევ სტალინგრადი... სადღაც ვიაზმა... ქალაქი რჟევი... (რუსეთის ფედერაცია), მისი გმირული დაცვა. ეს ხომ არასოდეს არ დაავიწყდება კაპიტან **ოდიშარიას**. და აი, საშინელი შეტაკება: მტრის ყუმბარამ ფეხი ცეცხლის ალში გახვია, კაპიტანს მარცხენა ხელი მოგლიჯა...

**ვლადიმერ ოდიშარია** 1943 წლის დაბრუნდა არმიის რიგებიდან, მაგრამ ჯარისკაცული ცხოვრების შეჩვეული მუშაობას იწყებს ქალაქ ოჩამჩირის სამხედრო კომისარიატში. იგი აქ 1946 წლის მაისამდე მუშაობდა, ხოლო შემდეგ მუშაობა გააგრძელა მარტვილის

საკოლმეურნეო ბაზრის დარეგულირებად.

მ. სილოვაძე

გაზეთი "კომუნისტი", 1971 წელი, 12 თებერვალი, № 235, გვ. 4.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ბოტანიკური ბაღის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა **კონსტანტინე** ივანეს ძე **ხოშტარიამ** სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: "უმთავრესი ეთერზეთოვანი მარადმწვანე მცენარეები და მათი კულტურის დანერგვა საქართველოში".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა კ. **ხოშტარიასათვის** ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

გაზეთი "სახალხო განათლება", 1974 წელი, 10 აპრილი, № 29, გვ. 4.



**ევგენი** ნიკოლოზის ძე **ხოშტარია** დაიბადა 1886 წელს სენაკის მაზრის სოფელ ნოსირში, გლეხის ოჯახში. 1905 წელს დაამთავრა ხონის სასულიერო სასწავლებელი და იმავე წელს დაინიშნა ოზურგეთის მაზრაში დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად. 1907 წელს გადაიყვანეს სოფელ დიდი ნეძის (ამჟ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ორკლასიან სასწავლებელში. სხვადასხვა დროს მუშაობდა ახალ-სენაკის ორკლასიან სასწავლებელში, სოფელ ფარცხანაყანევის (ამჟ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი) სკოლის გამგე-მასწავლებლად, სუფსის (ამჟ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) უმაღლეს-დაწყებით სასწავლებელში ინსპექტორ-მასწავლებლად,

თბილისის რკინიგზის მე-4 სასწავლებლის გამგე-მასწავლებლად, თბილისის კ. მარქსის სახელობის საბავშვო ბაღის გამგედ, თბილისის „ქუჩის ბავშვთა სახლის" სასწავლო-აღმზრდელობითი ნაწილის გამგედ, ე. ნინოშვილის სახელობის მეორე საცდელ-საჩვენებელი სახლის გამგედ. 1930 წლიდან 1932 წლამდე მუშაობდა საქართველოს განსახკომში (განათლების სახალხო კომისარიატი) სასკოლო განყოფილების ინსპექტორ-მეთოდისტად, შემდეგ ქ. თბილისის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ და სხვ. 1952 წლიდან, გარდაცვალებამდე, მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროს – მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მეთოდური კაბინეტის გამგედ.

ვ. **ოდიშარია** იყო რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, განათლების წარჩინებული მუშაკი, ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 1974 წელს 88 წლის ასაკში.

საქართველოს განათლების სამინისტრო;

საქართველოს პედაგოგიური საზოგადოება;

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო

დაწესებულებების რესპუბლიკური კომიტეტი;

საქართველოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი.

**გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი", 1975 წელი, 18 იანვარი, № 8, გვ. 4.**

სიკვდილზე ძლიერი



**ვლადიმერ** რაჟდენის ძე **ოდიშარია** ან როგორც მას შინაურები ეძახდნენ – ბოჩია, სამხედრო სავალდებულო სამსახურს უკრაინაში იხდიდა. თვალად-ტანადი ჭაბუკი კავალერისტი იყო და თავისი საქმით ამაყობდა კიდეც, მათი დივიზია მაშინ სლავუტაში (ამჟ. ხმელნიცკის ოლქი, შეპეტოვკის რაიონი, ქალაქი სლავუტა) იდგა. ბანაკს მდინარე ჩაუდიოდა, ამღვრეული და მდორეტალღებიანი ჰორინი. მაგრამ ბოჩიას [illegible] ენატრებოდა. მოკრძალებულ კარავში რომ მოიწყენდა

ჯამჯამა და ახლობლებს მონატრებულის გული სოფლისკენ მიუწევდა, მაგრამ სოფელი შორს იყო. ახლოს ჰყავდა ახალშეძენილი მეგობრები და ჰყავდა აგრეთვე ბედაური, უკრაინის სტეპებში ქარივით რომ დააქროლებდა. "ყველაფერში მონაწილე ვარ, ყველაფერში ფრიადოსანი" – ვამშვიდებდი ბიძას – **ათანასე ოდიშარიას** ჯარისკაცული ფეხისხმისა და წინამძღვრებს აწყობინებდა, ბედაურითაც ამაყობდა. ჩემი "ქარფეხა" ვარსკვლავს ეთამაშება." და, მართლაც, პირველი მალოროსიაში ეს "ქარფეხა" დიდების ვარსკვლავად იქცა. თავის მხედარს ჯილდოსაც მოუტანს, სახელსაც. ამით გაიხარა ბიჭიამ. ან რა ვისაყვედურო? მას მხოლოდ 20 წელი უსრულდებოდა, ამიტომაც ასე ძალუმად უცემდა უხინჯო გული. თავს ზემოთაც ცა უღრუბლო ჰქონდა და რას წარმოიდგენდა ნათელ ცაზე თუ მეხი გავარდებოდა?

მერე მსოფლიო ომის გამოცხადებამ შეაკრთო და შეაცბუნა ვლადიმერი და მისი ამხანაგები, მაგრამ შიში არავის უგრძნია. მტერს საზღვართან შეეგებნენ, დაიწყო ბრძოლა, სისხლი, უთანასწორო ბრძოლა. მონაწილეთა რიცხვში იყო ვ. **ოდიშარიაც**. იგი მოეფერებოდა თავის ბედაურს.

ერთ-ერთ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი უგონოდ დავარდა. ცეცხლის ხაზზე ძლივს უკან გადმოიტანეს. ქალაქ დონიროსტოვსა და სოფელ შევკენის მკვდარი დააფიქსირეს. გვიან ღამით გაახილა ბიჭიამ თვალი. დამძიმებული ტანი სისხლის გუბიდან ძლივს წამოსწია. მოკლულთა გვამებით მოფენილ ველზე სიჩუმე იდგა. ხრჩოლავდნენ დამწვარი ტანკები, სისხლისა და ნახანძრალის სუნი ყოველივეს შხამავდა. ძალთა მთელი დაძაბვით ფეხზე წამოდგა, ბინდადაკარგული სიკვდილის მდუმარებაში სოფლისაკენ წალასლასდა. მუხლები დამძიმებული ჰქონდა, გულიც ხელით ეჭირა სისხლით დაცლილს. ასე მიდიოდა ყუმბარებით გადაჩიჩქნილ მიწაზე. როგორც იქნა სიბნელეში სახლების სილუეტები გამოჩნდნენ. გულის ხმას აყვა და ალალბედზე ერთ-ერთ კარზე დააკაკუნა. მოხუც სავიჩს თითქოს თავისიანის ხმა ეცნაურა. დაჭრილს ხელი შეაშველეს და სახლში შეიყვანეს. შემდეგ ბიჭიას მფარველ ანგელოზად სავიჩის ქალიშვილი ნინა მოევლინა. მან ფრთხილად მოუარა და შეუხვია ჭრილობები. მაღალი სიცხისაგან დაუძლურებული ბორგავდა

ბოჩია, შუბლებზე სველ ტილოს აფენდა ქალიშვილი, როცა სიცხე განელდა და თავლებიდანაც ბურუსი გადაიწმინდა, ერთმანეთს შესცინეს ახალგაზრდებმა. ორი მოსიყვარულე გულიც შეერთდა.

შემდეგ **ვლადიმერ ოდიშარიას** არ შეეძლო მტრებით გარემოცულ სოფელში გულხელდაკრეფილს ეცხოვრა; ვერც საყვარელი ადამიანის გვერდით ინებივრებდა, რადგანაც ირგვლივ ომის ხანძარი მძვინვარებდა და სისხლხორცეული საქმე საბრძოლველად ეძახდა მეომარს.

იგი ზამთრის ბნელ ღამეს შურისმაძიებელთა კვალს უღრან ტყეში შეჰყვა. ზარდამცემი იყო **ოდიშარიას** რაზმის გამოჩენა გერმანელებისთვის. მათ ეშინოდათ პარტიზანებისა. სს-ელი ავაზაკები სულ უფრო ცოფდებოდნენ და დაგეშილი მძებრებივით დაეძებდნენ იმათ კვალს.

იმ საბედისწერო დღეს ტყიდან გამოვიდა გამოვიდა ვლადიმერი. მეუღლე ნინას შეხვდა, მორიგე დავალებაც გადასცა და თავის გზაზე წასვლას დააპირა, მაგრამ მტერმა შენიშნა, თუმცა არ ესროლა, რადგან მისი ცოცხლად ხელში ჩაგდება უნდოდათ, მაგრამ ისინი ვარაუდში მოტყუვდნენ. ის იყო სამი ახმახი გერმანელი მოულოდნელად თავს დაესხა, რომ ბოჩიამ უცებ დანა იძრო, დატრიალდა და აკუწ-აჩეხა ისინი. ეს ისე სწრაფად, ისე თავბრუდამხვევად მოხდა, რომ ძირს უკვე სამი გვამი ეგდო. ბოჩიას ტყისკენ გაქანდა, მაგრამ გზა მოჭრილი აღმოჩნდა, ბედიც გადაწყვეტილი. ავტომატების ლულებს ცეცხლის ნაღვარი მოწყდა და ვაჟკაცს ღელის პირას დაეწია. იგი მოცელილი დაეცა. წაქცეულთან უკვე თამამად გაბედეს მისვლა და 18 ტყვიით დაცხრილულს დანებით ჭრილობები გაუმრავლეს, შემდეგ ხევში გადააგდეს და ყარაულად დაუდგნენ. მხოლოდ მესამე დღეს მიატოვეს იქაურებმა.

ნინა მიჩისოვამ მაშინვე შესძლო საყვარელი ადამიანის სხეულის მოპარვა და ქალების დახმარებით ტყის პირას დაკრძალეს. გაზაფხულზე, ფაშისტების სახსენებელი მოისპო იმ არემარეზე და მიჩისოვებმა თავზარდამცემი ამბავი ვლადიმერის ოჯახს აცნობეს... სოფლის თავის ტიროდა და გლოვობდა მთელი ნისიტი. ამ სამგლოვიარო

რაიონზე ამაღელვებლად მოუთხრობდა მკითხველებს გაზეთი "კომუნისტი" (1944 წ. 5 დეკემბერი, № 244, გვ. 2).

ის, ვლადიმერის ძიძაშვილი და ზოიკას ბიძა **ანასტასე თოდიშარიაძე** ითითი ჩამოიყვანა უკრაინიდან. ის არის დიდი სიცოცხლის გამომხატველი და სამამულო ქვეყნად გაშლილი ლამაზი სიცოცხლე.

ლამარა გვაზავა-სანაძე

გაზეთი "შრომის დროშა", 1975 წელი, 4 სექტემბერი, № 106, გვ. 4.

ვერა მასწავლებელი



ხალხმრავლობა იყო იმ დღეს მუხურის (ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი) საშუალო სკოლაში – თავი მოეყარათ მასწავლებლებს–ახალგაზრდობას, სოფლის მშრომელებს. მოისურვეს, რომ საზეიმო გაცილებაზე მიეწვიათ ღვაწლმოსილი პედაგოგი – მადლობა ეთქვათ გაწეული ამაგისათვის – თან გაეყოლებინათ დიდი რწმენა მშობლიური ადამიანის, რომ აღზრდილები ასახელებენ უფროსებს. მოსწავლეებს ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შეემკოთ წინა ხედი, საზეიმოდ მოერთოთ სკოლა.

ორმოცი წელი ცოტა ხანი როდია. დიახ, ორმოცი წელი გულდადებულად, უანგაროდ ემსახურა **ვერა** იუანეს ასული **თოდიშარია**-ნაკაშიძე ახალი თაობის აღზრდის დიდ და კეთილშობილურ საქმეს. აუმღელვებლად თავისი გზაზე. თავში დაათავა ვერას, მხოლოდ სიმძიმე დაადგა, მხოლოც არ ეშინის ძველებურად. ბედის, სამშობლოს წინაში ვალმოხდილი ადამიანს გადაუწყვეტია ძირითი გასვლა. და უმძიმს, ძალიან უმძიმს ვერა მასწავლებელს საყვარელი სკოლის დატოვება, მეგობრებთან დაცილება... და ეს ასახავდეს უმძიმს მეორე მხარესაც...

გულთბილად ესალმებიან ამაგდარ სკოლის დირექტორი, ყოფილი მოსწავლეები, უკვე ცხოვრების სარბიელზე გამოსულები, ლექსებით მიმართავენ მშობლიური სკოლის მოსწავლეები. დიახ, მადლობას უცხადებენ ღვაწლმოსილ ქალბატონს ხანგრძლივი და

ნაყოფიერი მუშაობისათვის. ამ საზეიმო გაცილებებზე აღმზრდელებისგან ბევრი მადლობის სერთიფიკატი მიიღო ასწავლებლობამ ვერამ. ემადლიერებიან მას გაწეული ჯაფისათვის, სწორი რჩევისათვის. ბევრი მათგანი თვითონ მისულა და როგორც შვილი მოსამაგე, საყვარელი დედის წინაშე, თავს მოწიწებით ხრის ღვაწლმოსილი ადამიანის წინაშე. და ეს უსაზღვრო გამოხატული მადლობისა, პედაგოგიური წვის გამარჯვებისა, ეს ყველაფერია... სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებს სათნო ადამიანი...

ოცი წლის იყო მაშინ ნოსირელი (ამჟ. სენაკის მუნიციპალიტეტი) ქალიშვილი, თავისი ბედი სამუდამოდ რომ დაუკავშირა მუხურელ პედაგოგს კ. ესვანჯიას. ეს იყო 1928 წელს. 1941-ში კი მოხალისედ წავიდა სამშობლოს დასაცავად. მაგრამ ბედმა უმუხთლა ორივეს – ომმა შეიწირა ვაჟკაცის სიცოცხლე და ოთხი შვილი დარჩა დედას აღსაზრდელად. კარგი პედაგოგი სახელოვანი, ბედნიერი დედაცაა. მისი ოთხი სიხარული, ოთხი იმედი დღეს შუბლგახსნილი დგას ცხოვრების სხვადასხვა უბანზე. სამი მათგანი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა, ერთიც სამხედრო კომისარია თბილისში.

ვერა მოსავლიშვილს არის არჩეული სასოფლო საბჭოს დეპუტატად. მიღებული აქვს მთავრობის არაერთი ჯილდო.

ადამიანი, რომელმაც ექვსი ათეული წელი უკან მოიტოვა, ოთხი ათეული წლის მანძილზე მთელი გატაცებით და გზნებით ემსახურა მომავალ თაობებს.

... და აი, მოდის სექტემბერი. მალე აწკრიალდება სკოლებში ზარი, ისევ გაჩაღდება პედაგოგიურ ფრონტზე ბობოქარი ბრძოლა. და მის მოახლოებას ჩვეული მღელვარებით, სულის ფორიაქით ეგებება პენსიონერი-მასწავლებელი. როგორც ყოველთვის, ფაცა-ფუცით მიუჯდება სახლში ნაჩვევ მაგიდას, სადაც დასტები თითქოს ელოდება მოსწავლეთა ნაშრომების გასწორებაში, გაკვეთილების გეგმის შედგენაში.. მაგრამ არა, მართლაც... ეს რომ არა აქვს გასაკეთებელი?! თავზე ხელმოცარული თავიდან იხსენებს პირველ გაკვეთილს, პირველ ნათლობას, და ასევე თვალნათლივ იხსენებს შემდეგ ჩატარებულ 40 ათასზე მეტ გაკვეთილს. არა, მას არ უხმობს სკოლის ზარი. მაგრამ სხვა საქმე აქვს, არანაკლებ ლამაზი და მიმზიდველი, და მოსიყვარულე ბებია შვილიშვილებს

ჩემთან, სათითაოდ მოუყოლიებს.

ტ. მინდელაძე

გაზეთი "ახალი ცხოვრება", 1976 წელი, 26 აგვისტო, № 102, გვ. 3.

მამაცურად შეწირული სიცოცხლე



მოკრძალებულად და უშფოთველად ცხოვრობდა **შალვა და ტასო ლომიშვილების** ოჯახი. ტანაისანი, ალალი შრომა იყო მათი ბედნიერების საფუძველი. იზრდებოდნენ ბავშვები. მშობლები ათასი მოწიწებული ფერით ხატავდნენ მათ მომავალს. უფროსი ვაჟი გიორგი, უზვერელად გულისხმიერი და დედ-მამის მოსიყვარულე, ფერის ტანით-მუსიკალური კულტურაში სწავლობდა, მომდევნო – სერგო ცქვიტი, ზრდილი და თავმდაბალი ბიჭი, ფერის ტოლების სკოლის მოსწავლე იყო. სხვებიც ჯერ პატარა და მოწაფეები, იმედის ვარსკვლავებად ენთნენ.

ცხოვრობდა ასე **ლომიშვილების** ოჯახი, სიხარულით და მომავლის რწმენით აღსავსე. მაგრამ ერთ დღეს **ლომიშვილებისთვის,** როგორც მრავალათასობით სხვა ოჯახისთვის, ცამ რისხვით დაიქუხა: დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ფაშიზმის მოთარეშე ურდოსთან საბრძოლველად გიორგი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა, ხოლო უმცროსი ძმა სერგო და მამა შალვა თითქმის ერთდროულად, 1943 წელს, გაიწვიეს ჯარში.

გადიოდა მძიმე განსაცდელით და მოლოდინით აღსავსე დღეები. მამა და შვილები სხვადასხვა ფრონტებზე იბრძოდნენ. ომი დასასრულს უახლოვდებოდა. სერგო ვერ მოესწრო გამარჯვებას, სულ ორიოდე თვე აკლდა მტრის საბოლოო განადგურებას, როცა ქართველი ვაჟკაცი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. არც გიორგისგან მოდიოდა ამბავი. წუხდა ოჯახი, დარდობდა. და აი, დიადი გამარჯვების შემდეგ მხოლოდ მამა – **შალვა ლომიშვილი** დაუბრუნდა ოჯახს მძიმე დაჭრილი, მაგრამ მხნე და ჯანმრთელი. დედას კი, ძალით შემოსილი უდრტვინველად შეეძლო სხვისი ვარამის მძიმე ტვირთის.

**შალვა და ტასო ლომიშვილებმა** შვიდი შვილი გაზარდეს, რომელთაგან ორი – გიორგი და

სერგო – მსხვერპლად შეწირულ სამშობლოს. დიდება მათ დაუვიწყარ სახელებს!

ი. სვანიძე

გაზეთი "შრომის დროშა", 1978 წელი, 3 აგვისტო, № 94, გვ. 4.

მოულოდნელად გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი **ბიძინა** ამბროსის ძე **ოდიშარია.**

**ბ. ა. ოდიშარია** დაიბადა 1925 წელს სოფელ ზანძაში (სენაკის მაზრა). 1940 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და შრომითი საქმიანობა დაიწყო მარტვილის სამანქანო-ტრაქტორების სადგურის (მტს) განყოფილებებში მექანიკოსად. შემდეგ კი პედაგოგიურ ფრონტზე იწყებს მოღვაწეობას – სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფელ მუხურის და სოფელ ონოღიის (ახლ. მარტვილის მუნიციპალიტეტი) საშუალო სკოლების დირექტორად. 1950 წელს **ბ. ოდიშარია** აირჩიეს ზანძის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ, სადაც მან თავისი მუშაობით ხალხის სიყვარული დაიმსახურა. უკანასკნელი წლების მანძილზე იგი კვლავ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს ემსახურებოდა.

**ბ. ოდიშარია** სოფელში მექანიზაციის დანერგვის და პირველი ტრაქტორის შემოყვანის ინიციატორი იყო. იგი მრავალგზის არჩეული გახლდათ სასოფლო საბჭოს დეპუტატად. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

გაზეთი "მებრძოლი", 1978 წელი, 9 დეკემბერი, № 146, გვ. 4.



**სერგო** მიხეილის ძე **ოდიშარია** დაიბადა 1909 წელს სოფელ კოჩში (ახლ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). ექვსწლიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1931 წელს მუშაობას იწყებს სოფელ კორთის (სოფლის ძველი ისტორიული სახელწოდება არის "მერი", ახლ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) დაწყებითი სკოლის გამგე-

მასწავლებლად. შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას აგრძელებს ახალკახათის (ამჟ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) საშუალო სკოლაში. იგი მთელი თავის ცოდნას და გამოცდილებას ახმარდა ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს.

ს. **ოდიშარია** არაერთხელ იყო არჩეული ზუგდიდის რაისაბჭოსა და სასოფლო საბჭოს დეპუტატად. სოფლის სახალხო სასამართლოს მრავალგზის მსაჯულის დამსახურებული ქონდა დიდი პატივისცემა. უმწიკვლო და ნაყოფიერი მუშაობისთვის დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით. 1975 წლიდან იყო პენსიაზე. გარდაიცვალა 1978 წელს 69 წლის ასაკში.

გაზეთი "კოლხეთი", 1978 წელი, 14 დეკემბერი, № 147, გვ. 4.



**შოთა** (კოკი) ანტონის ძე **ოდიშარია** დაიბადა 1916 წელს სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში. არასრული საშუალო განათლების შემდეგ იგი ეუფლება აგროსაქმეს. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა აგრომეურნეობებს. 1941-1944 წლებში მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში.

სავაჭრო კურსების დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა საკვების დარგში, სხვა სავაჭრო დაწესებულებებში. ხანგრძლივად ქალაქვაჭრობის მაღაზია "ჭიხურის" დირექტორი იყო. შ. **ოდიშარია** სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. იყო ქალაქვაჭრობის პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე.

შ. **ოდიშარია** ნაყოფიერად მუშაობდა ახალგაზრდობაში ფიზკულტურული და სპორტის მხატვრული თვითმოქმედებისადმი სიყვარულის გაღვივებისათვის, ახალგაზრდა სპორტსმენების აღზრდისათვის. მისი ხელმძღვანელობით ქალაქვაჭრობის კოლექტივს არაერთხელ უსახელებია თავი სპორტულ შეჯიბრებებში, მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებებში. შ. **ოდიშარია** დაჯილდოებული იყო მეორე მსოფლიო ომში გერმანიაზე გამარჯვების მედლით; ვაჭრობის დარგის ღვაწლმოსილი მუშაკს

მიკუთვნებული ჰქონდა ვაჭრობის წარჩინებულის სამკერდე ნიშანი და სიგელები. გარდაიცვალა 1978 წელს 62 წლის ასაკში.

ამხანაგების ჯგუფი

## გაზეთი "ქუთაისი", 1982 წელი, 18 მაისი, № 96, გვ. 3.

მოგონება



მე და **ავთანდილ ოდიშარია** განუყრელი მეგობრები ვიყავით, ჩვენ ერთმანეთს ჯერ კიდევ 1940 წელს, ფინეთის ფრონტზე გავეცანით. მახსოვს 1940 წლის იანვარში, პირველად ქალაქ ტერიოკის (ამჟ. ქალაქი ზელენოგორსკი, ლენინგრადის ოლქი, რუსეთის ფედერაცია) მისადგომებთან როგორ ჩავებით ბრძოლაში და ვმონაწილეობდით მარშალ კარლ მანერჰეიმის ხაზის გარღვევისა და ქალაქ ვიბორგის (ლენინგრადის ოლქი, რუსეთის ფედერაცია) იერიშში. გავიდა დრო, ფინეთთან ომი დამთავრდა და ჩვენ ლენინგრადში (ამჟ. სანქტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია) დავბრუნდით. სწორედ აქ ამ ქალაქში უფრო გავიცანი **ავთანდილ** გიორგის ძე **ოდიშარია.** იგი ქუთაისელი იყო, ომამდე სალოკომოტივო დეპოში მუშაობდა მემანქანის თანაშემწედ, მე კი – ქალაქ კონოტოპის (სუმის ოლქი, უკრაინა) სალოკომოტივო დეპოს მემანქანის თანაშემწე ვიყავი. ალბათ ერთნაირმა პროფესიამ უფრო დაგვაახლოვა და დაგვამეგობრა.

მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო მაშინ ჩამოყალიბდა მე-8 განსაკუთრებული მსროლელი ბრიგადა, რომელიც ნახევარკუნძულ განგუთზე (ამჟ. ნახევარკუნძული ხანკო, ფინეთი) განლაგდა გარნიზონი, ამასთანავე კუნძულ ეზელზე (ამჟ. კუნძული საარემაა, ესტონეთი) და დაგოზე (ამჟ. კუნძული ხიიუმაა, ესტონეთი) გამაგრდა ფინეთის ყურის გასასვლელი, სადაც სხვებთან ერთად, მე და **ავთანდილ ოდიშარია** ჩაგვრიცხეს. განსაკუთრებით მხნედ იყო ა. **ოდიშარია,** რომელიც იმედიანად შეჰყურებდა მომავალს, ხშირად ღიღინებდა ქართულ სიმღერებს. მე ყველაზე უფრო მომწონდა "სულიკო."

ხოლო შემდეგ ბრძოლებში, რა თქმა უნდა **ოდიშარიასაც** მონაწილეობდა. ნაწილში მან ყველას დაამახსოვრა თავი როგორც მამაცმა და გულადმა ვაჟკაცმა. ჩვენს მრავალეროვან ოცეულში იყვნენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, **ავთანდილ ოდიშარია** კი ერთადერთი ქართველი იყო და განუყრელები 164 დღის ვიცავდით ლენინგრადის შორეულ მისადგომებს. არცერთ ჩვენთაგანს დიდებაზე არ უფიქრია, მაგრამ გმირულ საქმეებს მაინც ჩავდიოდით. მტერს უმაგალითო გმირობისა და მამაცობის მაგალითებს ვუჩვენებდით.

ჩვენი ოცეული გადაისროლეს კუნძულ რუსაზე (ამჟ. კუნძული მოშნი (ძლიერი) კინგისეპის რაიონი ლენინგრადის ოლქში, რუსეთის ფედერაცია), სადაც უნდა დაგვეცვა ხომალდით მოცურავე ჩვენი ჯარები. ღია ზღვაში გავედით, მტრის მოგერიება კვლავ ბრძოლით გვიხდებოდა და კუნძულ გოგლანდამდე (ამჟ. კუნძული გოგლანდი, კინგისეპის რაიონი ლენინგრადის ოლქში) მივაღწიეთ. აქ ნაღმსაზიდის შემწეობით კრონშტადტში (ამჟ. ქალაქი კუნძულ კოტლინზე, სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთი რაიონი) ჩავედით, აქედან კი ყინული ფეხით გადავიარეთ და ლენინგრადს მივაღწიეთ. აქედან ჯერეთ წინდებულ სესტრორეცკის (ამჟ. ქალაქი სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთი რაიონი) მიმართულებით გაგვგზავნეს. 1942 წლის ზამთარს ჩვენი ნაწილი პლაცდარმზე გადაისროლეს. ძალზე მკაცრი და სუსხიანი ზამთარი იდგა. მდინარე ნევის მარცხენა ნაპირის ასაღებად გამართული ბრძოლების დროს მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა მოგვიხდა და ამაში გამარჯვების რწმენაც დიდად გვეხმარებოდა.

**ავთანდილ ოდიშარია** მეტყვიამფრქვევე იყო, მტრის მიმართ ისეთი დიდი სიძულვილი ჰქონდა, რომ დაუნდობლად ანადგურებდა მათ. არმიაში **ა. ოდიშარია** აბსოლუტურად ჯანმრთელი, ჯანღონით სავსე ჭაბუკი მოვიდა, მაგრამ ომის მოისხნებმა, მკაცრმა ზამთარმა, თოვლში, მიწურსა და სანგრებში ყოფნამ საშინელი ზიანი ჯანმრთელობას შეარყია, ფილტვები დაუზიანდა. ავადმყოფობა სულ უფრო მწვავდა და ტუბერკულოზის მძიმე ფორმაში გადაიზარდა. სამხედრო საექიმო კომისიის მიერ ავთანდილი დემობილიზებული იქნა არმიის რიგებიდან და იგი საცხოვრებლად მშობლიურ ქალაქ

ქუთაისს დაუბრუნდა. 1950 წელს მძიმე სენისგან გარდაიცვალა.

... რამდენიმე ათეული წელი დავეძებდი ჩემს ფრონტელ მეგობარს, მის ნათესავებს. ქუთაისის საზოგადოებრიობის დიდის მეშვეობით გავიგე, რომ ავთანდილს ჰყოლია ორი ძმა – ისარიონი და ანტონი. ისინი ქუთაისში ძერჟინსკის ქუჩის მე-15 შესახვევის № 9 სახლში ცხოვრობენ. ორივე ძმა ყოფილი რკინიგზელია. 40 წლის მანძილზე ვერ ამოვიგდე გულიდან ჩემი ფრონტელი მეგობარი, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი **ავთანდილ ოდიშარია**, რომლის სახელი არ უნდა წაიშალოს მისი თანაქალაქელების, ქუთათურთა თაობების ხსოვნაში.

ნიკოლოზ კიჩა, მზვერავთა ასეულის ზემდეგი, ქალაქი კონოტოპი.

გაზეთი "თბილისი", 1984 წელი, 14 მარტი, № 61, გვ. 4.



**მედეა** კირილეს ასული **ოდიშარია** დაიბადა 1911 წელს. 1936 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ინჟინრად, სამგზავრო სამსახურის მთავარ ინჟინრად, მთავარ ინჟინერ-ეკონომისტად, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სატვირთო სამსახურის კომერციული ჯგუფის უფროსად, თბილისის სამგზავრო სადგურის უფროსის მოადგილედ და რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროს ინჟინრად, საიდანაც დაჰყო პენსიაზე გასვლამდე.

**მ. ოდიშარიას** მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება და მთავრობის მრავალი ჯილდო.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილება

გაზეთი "სახალხო განათლება", 1984 წელი, 31 ოქტომბერი, № 87, გვ. 4.

**ფრიდონ** აპოლონის ძე **ოდიშარია** დაიბადა 1915 წელს სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში. დაამთავრა სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო სოფელ ეკის



(ამჟ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი) დაწყებითი სკოლის მასწავლებლად, 1934 წელს გადაიყვანეს ნოსირის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად.

პედაგოგიური მუშაობის შეუწყვეტლად 1945 წელს დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. 1936-დან 1943 წლამდე იყო ნოსირის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე; 1943 წელს ინიშნება ამავე სკოლის დირექტორად. 1951 წელს აირჩიეს სოფელ ნოსირის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ.

1952 წელს იგი სამუშაოდ გადმოდის სოხუმში. ერთდროულად მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად პირველ სკოლაში, საფეიქრო და ინდუსტრიულ ტექნიკუმებში. ჯ. **ოდიშარია** სხვადასხვა დროს გულრიფშის რაიონის სოფელ განახლებისა და სოფელ მერხეულის მ.ა. ლაკობა-ს სახელობის საშუალო სკოლებში დირექტორად, სასწავლო ნაწილის გამგედ. 1978 წლიდან პენსიონერია, მაგრამ პედაგოგიური მოღვაწეობა არ შეუწყვეტია. დაჯილდოებული იყო მრავალი მედლით, "სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით. გარდაიცვალა 1984 წელს 69 წლის ასაკში.

საქართველოს განათლების სამინისტრო

**გაზეთი "წიგნის სამყარო", 1986 წელი, 12 თებერვალი, № 3, გვ. 7.**

წიგნის მოყვარულთა საზოგადოება



**მამლიდ ოდიშარიას** ცხოვრებაში უჩვეულო მართლაც არაფერია, სოფელში დაიბადა და გაიზარდა. სიღნაღის რაიონის სოფელ ნოსირის საშუალო სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. დამთავრებისთანავე სწავლა ისტორიის ფაკულტეტზე გააგრძელა დაუსწრებლად. ახალბედა სპეციალისტი

ჩაება სამეცნიერო საქმიანობაში ჰიდრომელიორაციულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. ხოლო შემდეგ დაუსწრებელი სწავლება დაამთავრა.

– როდის შემოვიდა წიგნი თქვენს ცხოვრებაში? – ვეკითხები ბატონ მამუკას.

– ბიძას, **ტერენტი ოდიშარიას**, ნოსირის საშუალო სკოლის დირექტორს, მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ბავშვობაში ამ ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი ვიყავი. ბიძაჩემის დარიგებით ორი-სამი საათი ვიჯექი და ვკითხულობდი საინტერესო წიგნებს, ამან კი ჩემზე დიდი ზეგავლენა მოახდინა და მაშინ მე გადავწყვიტე ასეთივე მდიდარი ბიბლიოთეკა მქონოდა.

**მამუკა ოდიშარიას** პირადი ბიბლიოთეკა 2000-ზე მეტ წიგნს ითვლის. უმეტესად პოლიტიკური, მხატვრული ლიტერატურა, კლასიკოსთა ტომეულები, ისტორიული, ფილოსოფიური ლიტერატურა სპეციალურ თაროებზე, რომლებიც მზრუნველი კაცის ხელი აწყვია ამ საგანძურს, ხოლო წიგნის დამფასებლებისთვის მისი ბიბლიოთეკის კარი მუდამ ღიაა. მისი ბიბლიოთეკა მუდამ კითხვა-შესწავლაში, აქტიურ გამოყენებაშია.

საინტერესოა **მ. ოდიშარიას**, როგორც წიგნის მოყვარულთა გულდანის რაიონული ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის საქმიანობა. მის მიერ შესწავლილ საკითხებს მუდამ აწყვია სიზუსტის, კვალიფიციური ცოდნის, პრინციპულობის კვალი. **მამუკა ოდიშარიას** ცხოვრებას შინაარსი განსაზღვრავს, მიზნის სიცხადით დამშვენებული.

ველა ებანოიძე

გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 2012 წელი, 7 აპრილი, № 67, გვ. 11.

ქალბატონმა **თამარ ოდიშარიამ** დაუდო სათავე აფხაზეთში, სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის № 1 საშუალო სკოლის, ამ უპირველესი ქართული სკოლის უმდიდრეს საგანმანათლებლო ტრადიციებს. ის იყო სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის უბადლო ორგანიზატორი, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება-გაფართოების თაოსანი, კოლეგების თანამდგომი და აღსაზრდელთა საყვარელი პედაგოგი, გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული

მასწავლებელი, ლენინის ორდენის კავალერი.

ჟურნალი "ისტორიანი", 2015 წელი, № 7, გვ. 56-60.

სინდისგომის ეკლესია არტაანში

1913-1918 წლებში კოლა-არტაანის სოფლებში იმოგზაურა **კონსტანტინე ოდიშარია-**მარტვილელიძემ. ეთნოგრაფიული მასალებთან ერთად, დღიურებში მკვლევარი-ავტორი დეტალურად აღწერს მოგზაურობის მარშრუტს, სოფლების თანამიმდევრობასა და იმ დროისთვის არსებულ კულტურის ძეგლებს. დღეისთვის მოხერხდა **კონსტანტინე ოდიშარია**-მარტვილელიძის მიერ დასახელებული სოფლების უმრავლესობის გაიგივება გურჯისტანის ვილაიეთის სოფლებთან და თანამედროვე თურქული სახელწოდებების დადგენა, მათ შორის, სინდისგომისაც. აღსანიშნავია, რომ სოფლების ძველი სახელწოდებების ერთი ნაწილი ისევ ახსოვთ ადგილობრივ მოსახლეობაშიც.

სინდისგომის ტაძრის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენიებულია და რუკაზე დატანილია სოფლები – ახალშენი და ზეზერული. ზეზერული ამჟამად სოფელ ჩაინუხს შეესაბამება, რომელიც მტკვრის მარცხენა სანაპიროზეა. ახალშენი კი მარჯვენა სანაპიროზეა და ამჟამად ნისოფლარდას ჰქვია. ამ სოფლების ტერიტორია კარგად ჩანს სინდისგომის ტაძრის შემოგარენიდან. ისინი მდებარეობენ ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეებზე.

ეს ორი სოფელი მოხსენიებულია ყვარყვარე ათაბაგის შთამომავლების შეწირულობებშიც. ამბავი მოთხრობილია XVI საუკუნის დასაწყისის ხელნაწერთა მინაწერებში. ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ორი მინაწერიანი ოთხთავი, რომლებიც შექმნილა სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II დროის შთამომავლებს უკავშირდება. ერთ ხელნაწერს დართული აქვს 1502 წლით დათარიღებული ანდერძი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ "1492 წელს, ყვარყვარე II-ს და მის ძეებს, ქაიხოსროსა და მზეჭაბუკს, საათაბაგოში ჩასული ზერების თიხვანი, ტორტაჭის ღვთისმშობლისთვის შეუვალად შეუწირავთ არტაანში მდებარე ორი სოფელი –

ბებერანი და ახალშენი."

ცნობილია, რომ ბერძენი სასულიერო პირები, მათ შორის მაღალი იერარქიის წარმომადგენლები, სამხრეთ საქართველოში ხშირად ჩამოდიოდნენ და დახმარებას ითხოვდნენ. ჩანს, ბერების ეს ვიზიტიც ერთ-ერთი ამათთაგანია. რაც შეეხება საქართველოში ბერძენთა დამკვიდრებას, ეს გამოწვეული იყო რამდენიმე მიზეზით. ერთი იყო ტრაპიზონის თურქებისგან დევნა, რის შედეგადაც ქრისტიანი მოსახლეობა საქართველოში გადმოდიოდა. ყვარყვარეს შთამომავალთა მმართველობის წლებში ბერძნები დაუბრკოლებლად სახლდებოდნენ საქართველოში, რასაც განაპირობებდა ყვარყვარე II-ის, განსაკუთრებით კი ქაიხოსროს და მზეჭაბუკის მიერ გამოჩენილი მფარველობა და ხელშეწყობაც. ამ ყველაფერმა საქართველოში ბერძენთა დიდი რაოდენობით ჩამოსახლება გამოიწვია, რაც, ბუნებრივია, ტოპონიმიკაზეც აისახა. სახელწოდება სინდიგოში ბერძნულად გამოითქმის როგორც "სინტისკომ" და ქართულად ნიშნავს "ღმრთისმშობლის ამაღლებას" (იგივეა, რაც "ღმრთისმშობლის მიძინების" დღესასწაული).

"ისტორიანი"

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები 1909-1919 წლებში სხვებთან ერთად იყვნენ:

**ოდიშარია ევგენი** ნიკოს ძე, საზოგადოების სენაკის განყოფილების წევრი 1909 წლიდან.
საზოგადოების ლანჩხუთი განყოფილების ნამდვილი წევრი 1917 წლიდან.
საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრი 1918 წლიდან.
საზოგადოების თბილისის განყოფილების მუდმივი წევრი 1921 წლიდან.

**ოდიშარია მელიტონ**, საზოგადოების სენაკის განყოფილების წევრი 1910 წლიდან.

**ოდიშარია იოსებ**, საზოგადოების წევრი 1913 წლიდან.

**ოდიშარია ი. ი.** საზოგადოების ფოთის განყოფილების ნამდვილი წევრი 1915 წლიდან.

**ოდიშარია აკაკი** სილოვანის ძე, საზოგადოების ერევანის (სომხეთი) განყოფილების ნამდვილი წევრი 1916 წლიდან.

**ოდიშარია ამბროსი**, მღვდელი, საზოგადოების სენაკის განყოფილების ნამდვილი წევრი 1917 წლიდან.

**ოდიშარია ანატოლი** ალექსანდრეს ძე, საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრი 1917 წლიდან.

**ოდიშარია კოლია**, საზოგადოების ნამდვილი წევრი 1917 წლიდან.

**ოდიშარია ლევანი** ვასოს ძე, საზოგადოების სენაკის განყოფილების ნამდვილი წევრი 1917 წლიდან.

**ოდიშარია ქონია** ისიდორეს ასული, საზოგადოების სენაკის განყოფილების ნამდვილიწევრი 1917 წლიდან.

**ოდიშარია კონსტანტინე**, საზოგადოების თბილისის განყოფილების ნამდვილი წევრი 1918 წლიდან.

**ოდიშარია ლიდია**, საზოგადოების ფოთის განყოფილების ნამდვილი წევრი 1918წლიდან.

**ოდიშარია ერასტო**, საზოგადოების სენაკის განყოფილების ნამდვილი წევრი 1919 წლიდან.

## ქართველები უცხოეთში



შალვა ოდიშარია

სამხედრო პირი, **შალვა** კონსტანტინეს ძე **ოდიშარია** დაიბადა 1903 წელს ხონში (ქუთაისის გუბერნია). სპეცსამსახურების ისტორიის განმავლობაში მრავლად ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი რამდენიმე ქვეყნის სპეცსამსახურთან თანამშრომლობდა და ერთდროულად იყო რამდენიმე ქვეყნის დაზვერვის თანამშრომელი, ამას დიდი ნიჭი და ძალისხმევა სჭირდება. სპეცსამსახურებთან მოღვაწეების ფარული ურთიერთობების საინტერესო მაგალითია ემიგრანტი **შალვა ოდიშარია.** საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იგი ხონის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციის მდივანი იყო. ემიგრაციაში წასვლის შემდეგ ცხოვრობდა პარიზში (საფრანგეთი), მოგვიანებით საცხოვრებლად გადავიდა გერმანიაში, შემდეგ კი - ავსტრიაში.

თავის მოღვაწეობრივ და მოღვაწეობასთან საქმიანობაზე ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში, **ოდიშარია** ამბობს, რომ მას მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. მისი მთავარი მიზანი საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფა და ქვეყნის გათავისუფლება იყო.

**შალვა ოდიშარიამ** სამშობლო მხოლოდ იმიტომ დატოვა, რომ, მისი აზრით, აქ არ იყო სათანადო შესაძლებლობები დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც მთავარია მენშევიკური მთავრობის ძირითადი ბირთვი საზღვარგარეთ იმყოფებოდა, დასახელებული მიზნის მისაღწევად კი აუცილებელი იყო მასთან შეთანხმებული მოქმედება.

1925 წლის აგვისტოში **შალვა ოდიშარიამ** კონტრაბანდისტების დახმარებით სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთა და თურქეთში გადავიდა. გადასვლისთანავე მას საქართველოს მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელმა კაფახიძემ თურქეთის პასპორტი გადასცა, რომლის საშუალებითაც იგი სტამბოლში ჩავიდა და იქ მიიღო ვიზა საფრანგეთში გასამგზავრებლად.

პარიზში ჩასვლისთანავე **შალვა ლეონიძემ** მჭიდრო კონტაქტი დაამყარა ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთან, გიორგი გვაზავასთან და მალევე ჩაერთო პარტიის შიდა პოლიტიკურ საქმიანობაში.

1925–1927 წლებში ემიგრაციაში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს შორის შიდა პოლიტიკური დაძაბულობა შეიმჩნეოდა. ნაციონალურ-დემოკრატიულ პარტიაში შედიოდა სამი ფრაქცია, გიორგი გვაზავას, სპირიდონ კედიას და ასათიანის ხელმძღვანელობით, რომლებსაც განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ მენშევიკურ მთავრობასთან თანამშრომლობაზე.

**შალვა ლეონიძისთვის** მოულოდნელი აღმოჩნდა შიდა პარტიული დაპირისპირებები, ამბიციები და ურთიერთქიშპობა. მას სურდა, საქართველოში დაბრუნებულიყო და არალეგალური საქმიანობით დაკავებულიყო. ამ მიზნის განსახორციელებლად მან ოფიციალურად მიმართა საზღვარგარეთის ნაციონალურ-დემოკრატიულ კომიტეტს, რომელმაც დააკმაყოფილა **ლეონიძის** თხოვნა, მაგრამ მოუხედავად ამისა, მენშევიკური მთავრობა აფერხებდა მის საქართველოში გამომგზავრებას. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით **შალვა ლეონიძე** პირადად შეხვდა ნოე ჟორდანიას და დეტალურად მოახსენა თავისი გეგმების შესახებ; მისი აზრით, სამშობლოში აქტიური ქმედებები უკეთეს შედეგს გამოიღებდა; ჟორდანია მას არ დაეთანხმა. იგი თვლიდა, რომ **ლეონიძე** საჭირო იყო პარტიაში და მისი საქართველოში დაბრუნება აუცილებელი არ იყო. ამის შემდეგ **შალვა ლეონიძე** ჩამოშორდა პოლიტიკას და ჟურნალისტურ საქმიანობას მიჰყო ხელი, თუმცა გიორგი გვაზავასთან კონტაქტი არ გაუწყვეტია.

ამ პერიოდში **ლეონიძე** დაუკავშირდა გერმანელებს, რომლებმაც შესთავაზეს გარკვეული სამუშაოს შესრულება. დავალება ასეთი იყო: ის უნდა დაახლოებოდა პოლონეთის არმიაში მომსახურე ქართველ ოფიცრებს, რომლებიც დაეხმარებოდნენ მას პოლონეთის არმიაზე ინფორმაციის მოპოვებაში. ამ დავალების შესრულების შემდეგ გერმანული დაზვერვის წარმომადგენლები მას მისცემდნენ შესაბამის სახსრებს, ფულს და გაამგზავრებდნენ საქართველოში.

გიორგი გვაზავასთან კონსულტაციის შემდეგ **ოდიშარიამ** უარი თქვა დავალების შესრულებაზე, რადგან ამით ქართველ ოფიცრებს "ჩაუშვებდა." იგი დაუკავშირდა საფრანგეთის უსაფრთხოების სამსახურს –"სიურტე ნაციონალს" და გახდა ორმაგი აგენტი. 1935 წლის **ოდიშარიამ** გერმანელი ოფიცრის, ბერგერისგან მიიღო გერმანიაში წასასვლელი ვიზა. გამგზავრების წინ მან დავალება მიიღო საფრანგეთის მე-5 განყოფილებისგან – დაადგინოს, ჰქონდათ თუ არა გერმანელებს საბჭოთა კავშირთან კონტაქტები და გერმანიაში მყოფი ქართველი ემიგრანტებიდან ვის ჰქონდა გერმანიის მთავრობის მხარდაჭერა.

გერმანიაში ჩასული **ოდიშარია** ბერგერმა გესტაპოში მიიყვანა, სადაც დეტალური ანკეტა შეავსეს მისი ნათესავების შესახებ. ბერგერის მეშვეობით მან კონტაქტი დაამყარა როზენბერგის ბიუროსთან. ბიუროს წარმომადგენლებმა – ცელერმა და შუმანმა ის, როგორც თანამშრომელი, ძალიან კარგად მიიღეს. ამ უკანასკნელებისგან **ოდიშარიას** აინტერესებდა, როგორ უყურებდნენ ისინი საქართველოს გამოსვლას საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. გერმანელებმა სრული მხარდაჭერა გამოთქვეს ამ საკითხთან დაკავშირებით და **ოდიშარიას** სთხოვეს, დაეწყო ინფორმაციული მიმოხილვა ქართულ ემიგრაციაზე, მათ საქმიანობაზე საფრანგეთში და ასევე საქართველოში არსებულ ინფორმაციულ მდგომარეობაზე. **ოდიშარიას** მიმოხილვა წერილობითი სახით თავად როზენბერგს გადაეცა.

ცელერმა და შუმანმა **ოდიშარიას** ისიც მოახსენეს, რომ როზენბერგის ბიუროში იგეგმებოდა კავკასიის დეპარტამენტის შექმნა, რომლის ხელმძღვანელობაც მას შესთავაზეს.

პარიზში დაბრუნებულმა **ოდიშარიამ** მე-5 განყოფილებას, გიორგი გვაზავას და ნოე ჟორდანიას დაწვრილებით მოახსენა გერმანიაში ვიზიტის შესახებ. მისი განცხადებით, როზენბერგის ბიუროში მოწადინებულები არიან, რომ საქართველო გამოეყოს საბჭოთა კავშირს და სრული მხარდაჭერასაც უცხადებენ. აღნიშნული ინფორმაციის გადასამოწმებლად "ინფორმაციის ცენტრმა" ბერლინში გიორგი გვაზავა გაგზავნა. მან დაადასტურა **ოდიშარიას** მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

**ოდიშელიძის** ავანტიურული საქმიანობიდან აღსანიშნავია თანამშრომლობაც იაპონიის დაზვერვასთან. იაპონელებმა იგი დაუკავშირეს ნოე ჟორდანიას პირადი მცველის შოთა ქარცივაძის მეშვეობით. **ოდიშელიძემ** პარიზში იაპონიის სამხედრო ატაშეს, გენერალ-მაიორ იამაცუ ცუცუაკის მოახსენა, რომ საბჭოთა კავშირის შორეული აღმოსავლეთის შესახებ საინტერესო და იაპონიისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა, გააცნო მას თავისი მიზნები საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ასევე, გადასცა მემორანდუმი, ჟორდანიას, გვაზავას და თავად მისი ხელმოწერით, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ იმ შემთხვევაში, თუ იაპონია საქართველოს მენშევიკურ მთავრობას მხარს დაუჭერდა, გამარჯვების შემდეგ საქართველოში იაპონიის ინტერესები გატარდებოდა და ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე იაპონია სრულ უფლებებს მიიღებდა. იამაცუ ცუცუაკი დახმარებას დაჰპირდა და მემორანდუმი ტოკიოში გადააგზავნა.

**შალვა ოდიშელიძე** წარმატებით თანამშრომლობდა სხვადასხვა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებთან და გასამრჯელოსაც ხშირად იღებდა, მაგრამ ქართული ემიგრაციის დაფინანსების პირობები არც ერთმა ქვეყანამ არ შეასრულა.

1938 წლის მიწურულს ევროპაში სიტუაცია ძალიან დაიძაბა – ევროპა ომის ზღვარზე იყო. **ოდიშელიძემ** გადაწყვიტა ადგილმდებარეობის შეცვლა, უფრო ადვილად რომ შეძლებოდა საქართველოში დაბრუნება. 1939 წლის მარტში საფრანგეთის სამხედრო ავიაციის მე-2 განყოფილების დახმარებით ლუქსემბურგელი "შარლ ბერაჟეს" სახელზე გაცემული პასპორტით მან შეძლო თურქეთში გამგზავრება. შემდეგ ის ბეირუთში (ლიბანის დედაქალაქი) ჩავიდა და ყველგან კრებდა ინფორმაციას ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებისა და საბჭოთა კავშირის საჯარისო ნაწილების რაოდენობაზე თურქეთ-ირანის საზღვარზე. შ. **ოდიშელიძის** კოდური სახელი იყო – "მაქსი."

ირანში **ოდიშელიძემ** შეიტყო, რომ სიტუაცია შეიცვალა და ძირითადი სადაზვერვო სამუშაოებს ახლო აღმოსავლეთში, უკვე, გერმანია აწარმოებდა. საჭირო გახდა კონტაქტის დამყარება გერმანიის დაზვერვასთან, რაც მან მოახერხა მიხეილ კედიას დახმარებით.

1942 წლის მას მიანიჭეს კოდური სახელი "№ 341."

1943 წლის **ოდიშარიამ** პარიზში შესყიდვების სამსახურში დაიწყო მუშაობა. მას უმოკლეს დროში 30 მილიონი ფრანკის გამომუშავება მოასწრო; ამ თანხით გახსნა კომერციული ბიურო და დაზვერვის სამსახურის დავალებებსაც ასრულებდა – ჩამოაყალიბა დაზვერვის ჯგუფი "№ 341." ჯგუფში 40-მდე წევრი იყო. მათ გესტაპო აფინანსებდა. დაჯგუფება **ოდიშარიას** ხელმძღვანელობით მოქმედებდა. მოპოვებული ინფორმაცია დაზვერვის სამსახურს "(CD)" გადაეცემოდა.

საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახურის მიერ დაპატიმრებულ **შალვა ოდიშარიას** ბრალად წაუყენეს ანტისაბჭოთა საქმიანობა და სამშობლოს ღალატი. მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს **ოდიშარია** არ უარყოფდა. მიზეზი ცხადი იყო: საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფა და მისი დამოუკიდებლობა.

საბჭოთა სასამართლომ **შალვა ოდიშარიას** მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, ქონების სრული კონფისკაციით. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1947 წლის 14 იანვრის ღამეს. (ე. კაციტაძე – ჯგუფი № 341, /საარქივო მოამბე/ შსს აკადემია. 2017 წელი, № 17, გვ. 107-117).

## 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში

1924 წლის 3 და 13 სექტემბერს სენაკის მაზრის საინფორმაციო ცნობით 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით და აჯანყებასთან კავშირისთვის გაუსამართლებლად დახვრიტეს 144 კაცი, რომელთა შორისაც იყვნენ:

**ოდიშარია ხარლამპი** იოსების ძე (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

**ოდიშარია ავაკუმ** მარკოზის ძე (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

**ოდიშარია დარისპან** ანდროს ძე (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

**ოდიშარია ბარნაბა** დიანოზის ძე (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

**ოდიშარია ნოე** გიორგის ძე (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

(ლ. ჯიქია – 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში. 2011 წელი. გვ. 421-430).

წავიდოთ საქვეყნოდ

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდში დაცულია კ. **მარტვილელის (ოდიშარია)** დოკუმენტი-განცხადება, რომელიც გაგზავნილია 1935 წელს "ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავის მომწყობი საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარისადმი. ამ წერილში აღნიშნულია, რომ დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებ შარვაშიძეების ოჯახში ინახება ეტრატზე 1436 წლის გადაწერილი "ვეფხისტყაოსანი."

ვ. გურგენიძე.

ვაქვეყნებთ აღნიშნულ დოკუმენტს:

**შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს.**



კონსტანტინე ოდიშარია (მარტვილელი). დაიბადა XIX საუკუნეში, ქართველი მწიგნობარი და მეცნიერი. გარდაიცვალა 1939 წელს.

თანახმად თქვენი პირადი ბრძანებისა აქვე გაახლებთ სიას, ამოწერილს ჩემს მიერ 1914-15 წლებში შედგენილ „შიდა ოსმალეთის საქართველოს ისტორიულ და გეოგრაფიული მასალებიდან," იმ სიძველეთა რომლებიც ლეგენდების და კითხვების დროს მაჩვენეს ადგილობრივმა ქართველ მაჰმადიანებმა, სახელდობრ:

1. სოფელ ორკიზში ოთარ-ბეგ შარვაშიძემ (მისი თათრული გვარი არ მახსოვს) „ვეფხისტყაოსანი," დაწერილი პერგამენტზე **ჩ უ ლ ვ** (**1436**) წელს. მარშრუტი: ქალაქი არტაანი, ნასოფლარები: კარგი სოფელი, ქვაბის ციხე, ოქროს ქოთანი და სოფლები: ვარდ-ციხე (სომხების მიერ თარგმნილია „გიულა-ბერთა"-თ), ოჯახი, დუდუნა, თამამი, ურჩი და თვით ორ-კიზი.

**2.** სოფელი გუგუბა, თემურ ყადირ-ოღლი წითლანაძემ დედანი ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორიისა. მარშრუტი: ქალაქ არტაანიდან აქეთ, მდინარე მტკვრის გასწვრივ, ს. ს. მაღარო, ველის-ციხე და თვით გუგუბა.

**3.** მტკვრის გაღმა, ქ. არტაანში, მარჯვნით, სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიის ეზოში აწყვია მაღალი ხარისხის, ძველი ქართველთა სასაფლაოს ქვები ქართულის წარწერებით და სხვათა სახეებით: ანგელოზებისა, ცხენებისა, ლომებისა, ხარებისა და ერთიც შეიარაღებული ქართველ მეომრისა; ხოლო ეკლესიის დერეფანში აწყვია ქართულ-ხუცურის წარწერებით შემკული ძვირფასი მარმარილოს ქვები სხვა და სხვა ზომისა და სახისა, სახელდობრ: დაფები ძვირფასი ჩუქურთმებით შემკული და ზოგიც მწიფე ყურძენ შესხმული თავისი ფოთლებით შეხლართული სვეტები სხვა და სხვა ზომისა, აგრეთვე ჯვრები, წმინდანების სახეები და ერთი დაფაც ქართველ ლაშქართა გამოქანდაკება ზომით 2+1 (1/2 კვ.) ფართობის მარმარილოს დაფა. ეკლესიის შიგნით, კედელზე, შესავალ კართნ, მარცხნივ ჰკიდია ვერცხლის ღმრთისმშობლის ხატი, შეწირული 1225 წელს ორბელიანის მიერ არტაანის ტაძარს წარწერით ქართულ-მხედრულის ასოების, ხოლო მარჯვნით ორ დიდ ლურსმანებთა ჩადებულია ფერადი მარმარილოს ქვის ჯვარი, ზომით 31/2+2 გოჯი, რომელზედაც ამობურთულია მაცხოვარი, რომლის ყოველი სხეული და კუნთებიც კი ისეთი ძვირფასი და დაკვირვებულის

ხელოვნურათაა შესრულებული, ჰგონიათ ცოცხალი არსებააო, ხოლო თმა და წვერ-ულვაშებს, რომ უყურებთ, თუ სიო დაიქროლებს, დაირხევაო. ლურსმნების დანაკრავიდან ქვეშ წითლად ჩამოსული ხაზი ემჩნევა. მასზე ქართულ-ხუცური ასოები ისეა ამოჭრილი, როგორც ქაღალდზე.

ის იყო უკანასკნელ ვწერდი უბის წიგნაკში, რომ ქზენსმა თვალი მომკრა, შეწყვიტა ლოცვა, მოვიდა ჩემთან, ფანქარი და წიგნაკი ჩამომართვა და ფანქარი ჯიბეში ჩაიდო, ხოლო წიგნაკიდან ამოხია დაწერილი ფურცლები და ცარიელი წიგნაკი უკან დამიბრუნა შემდეი სიტყვებით: „ჩვენ არავის ნებას არ ვაძლევთ აქედან ცნობები წაიღოს და თუ თქვენ გნებავთ ლოცვა მოისმინოთ შეგიძლიათ დარჩეთ და თუ არა, გთხოვთ წახვიდეთ!“

მე მგონია, ყველა ეს ქვები იქვე იქნება და კარგს იზამთ გადმოატანინებდეთ ტფილისში. ესენი საუკეთესო ნიმუშებია ქართული ხელოვნებისა.

1914 წელს, როგორც ქართველმა ფრანგმა კათოლიკე იოსებ ივანეს ძე ხარიშჩაროვმა მიამბო, სომხის მღვდლებს არტაანის ტაძრის ნანგრევების ქვეშ გაუთხრიათ მიწა და უპოვნიათ ჩამარხული ზანდუკი (სკივრი) უძველესი ხელთნაწერი ქართული სახარება ძვირფას ოქროს ყდაში და სხვა განძეულობა, რომლებიც გადაუგზავნიათ ეჩმიაძინის (სომხეთი) მონასტერში, მაგრამ ამის დამტკიცების პასუხისგებას მე აღარ ვკისრულობ, ვინაიდან ჩემ მიერ გაგონილია და არა ნანახი.

ხარიშჩაროვი, მგონი, ტფილისში ცხოვრობს და კარგია ვინმე გამოკითხავდეს ამის შესახებ მას.

**4.** სოფელი სარძევე მდებარეობს აღმოსავლეთიდან 10 ვერსზე ქალაქ არტაანიდან და როგორც ქართველ მაჰმადიანებმა დაჟინებით მითხრეს, 1882 წელს პიატიგორსკის (რუსეთის ფედერაცია) ჯარისკაცები სთხრიდნენ ამ რაზმის საჭიროებისათვის სოფელ სარძევეს მოშორებით მტკვრის პირას, ასე წოდებულ „მდევთა საჭურჭლეს“ გვირაბის თავზე, ორმოს მეორე საჟენზე მიწა ჩანგრეულა, ჩაცვენილან ჯარისკაცები და მათ ამოსაყვანად რომ ჩასულან ამხანაგები უპოვნიათ დიდი მუხის ზანდუკი ხელთნაწერებითა და საეკლესიო განძით სავსე შენახული მიწაში. სპარსალარს ეს განძები პეტერბურგში (რუსეთის ფედერაცია) გადაუგზავნია. კარგი იქნება იქაც მოახდენდნენ ცნობას.

14 დეკემბერი 1935 წელი, ქალაქი ტფილისი. **კ. მარტვილელი (ოდიშარია).**

## *რეპრესირებული ოდიშარიები*

***დაბადების თარიღი და ადგილი:*** *ოდიშარია სერგო კირილეს ძე დაიბადა 1895 წელს ქუთაისში.*

***ოჯახური მდგომარეობა და განათლება:*** *ცოლშვილიანი; უმაღლესი.*

***სოციალური წარმომავლობა:*** *მესაკუთრე; უპარტიო; მამა იყო სასამართლოს მოხელე და მემამულე.*

***სამუშაო ადგილი და თანამდებობა;*** *დოცენტი. ამიერკავკასიის რკინიგზის მიმოსვლის საგზაო-საექსპლოატაციო განყოფილების საგზაო სანიმუშო სარემონტო განყოფილების გამგე.*

***შენიშვნა:*** *ჰყავდა ნათესავები საზღვარგარეთ, რომლებთანაც ჰქონდა კავშირი; 1925*

წლის იყო პარიზში (საფრანგეთი), ბერლინში (გერმანია) და რიგაში (ლატვია).

გაასამართლა: შინსახკომის სამეულმა.

სასჯელის ზომა: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია.

დაპატიმრების თარიღი: 03. 28. 1938წ.

დახვრეტის თარიღი: 06. 22. 1938წ.

დაბადების თარიღი და ადგილი: ლეიტენანტი აკაკი ბესარიონის ძე დაიბადა 1906 წელს ხონში.

სამუშაო ადგილი და თანამდებობა: საქართველოს ავიაციისა და ქიმიური მშენებლობის ხელშემწყობი საზოგადოების ავიაციის ხელმძღვანელი.

გამასამართლებელი ორგანო: შინსახკომის მე-5 განყოფილება. შინსახკომის სამეული.

სასჯელის ზომა: მუხლი: 58-7, 58-11. დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია.

სხდომის თარიღი: 04. 28. 1938წ.

დახვრეტის თარიღი: 04. 30. 1938წ.

მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ლეიტენანტები:

სენაკის რაიონი



**ლეიტენანტი მირიან** ლევანის ძე დაიბადა 1902 წელს სოფელ ნოსირში. ნოსირის სკოლის 4-კლასის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ახალსენაკში. 1923 წელს არმიის რიგებში გაიწვიეს, თბილისის ქართული მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში, შემდეგ ამიერკავკასიის სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა, რომელიც 1925 წელს წარჩინებით დაამთავრა.

ხვადასხვა დროს ასეულის, ათასეულის და ლეგიონის კომისრად მუშაობდა და სწავლობდა ლენინგრადის (ამჟ. სანქტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია) სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ (1935 წელი) მიხეილ ფრუნზის სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის კომისარი იყო და ბოლოს ვალერიან

კუიბიშევის სამხედროების ოლქში (ახლ. სამარის ოლქი. რუსეთის ფედერაცია) მსროლელი დივიზიის კომისრად იყო გამწესებული.

იგი სამხედრო-პოლიტიკურ მუშაობასთან ერთად საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იყო კუიბიშევის საოლქო საბჭოს დეპუტატი. ჰქონდა აქ მოყვანილი ოჯახი ქალიშვილიანად.

მეორე მსოფლიო ომის დროს 1941 წლის აგვისტოში მისი დივიზია იბრძოდა ბელორუსიაში და ქალაქ კრიჩევიდან (მოგილიოვის ოლქი) 20-25 კილომეტრის დაშორებით მდინარე სოჟის აღმოსავლეთით ხიდთან მოხვდა შეტაკებაში მტრის მოტორიზებულ ჯართან.



2015 წელს გერმანიაში გამოიცა გერმანელის, ვერმახტის 3-ე სატანკო დივიზიის სამხედრო ექიმის გერმან ტურკის წიგნი (დღიური) მე-2 მსოფლიო ომზე. ამ წიგნში დაბეჭდილია საბჭოთა კავშირის პოლკოვნიკის , 148-ე დივიზიის კომისრის, 39 წლის ქართველის, **მიხაილ ლობჟანიძის** ფოტოსურათი, რომელიც გადაღებულია 1941 წლის 2 აგვისტოს **მიხაილ ლობჟანიძის** დახვრეტამდე 10-ოდე წუთით ადრე გერმან ტურკის მიერ.

უწყვეტი ბრძოლების 40 დღიანი შეტევის შემდეგ **მიხაილ ლობჟანიძე** უკანასკნელად სწორედ მისი დახვრეტის ადგილის სიახლოვეს იბრძოდა. "როდესაც დაიღუპა მეტყვიამფრქვევე, ტყვიამფრქვევიდან სროლა გააგრძელა **მიხაილ ლობჟანიძემ.** შემდეგ მძიმედ დაჭრილი კონტუზიებული, გონებადაკარგული მტერს ჩაუვარდა ხელში. იგი შეიპყრეს და ტყვედ აიყვანეს. შემდეგ სადღაც ხიდს გადაღმა მდინარე ტყვეთა საველე ბანაკში მიიყვანეს გორნიცაში. გერმანელებმა ვერ გაიგეს **მ. ლობჟანიძის** სახით თუ ვისთან ჰქონდათ საქმე. იგი მათ სამხედრო ნიშნების მიხედვით უბრალო პოლკოვნიკად ჩათვალეს და მეორე დღეს დახვრიტეს.

**მ. ლობჟანიძე,** შიშველი და ფეხშიშველი დაიყვანეს კოლმეურნეობის კომბოსტოს სოფელ

ზვენჩატკაში." (148-ე დივიზიის მეთაურის გენერალ-ლეიტენანტ ფილიპე ჩერნიახოვსკის მოგონებიდან).

**(ფ. კუპრაშვილი - გაზეთი "საბჭოთა აფხაზეთი", 1975 წელი, 12 თებერვალი, № 30, გვ. 3).**



**ნიკანდრო** პორფირეს ძე **ოდიშარია** დაიბადა სოფელ ნოსირში (სენაკის რაიონი) 1919 წელს, რკინიგზელი მუშის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ ნოსირში. ქალაქ ფოთში დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. 1939 წლის შემოდგომაზე ნ. ოდიშარია არმიის რიგებში გაიწვიეს. მეთაურთა და მებრძოლთა შორის ის სარგებლობდა ავტორიტეტით, წარჩინებით ეუფლებოდა სამხედრო ცოდნას და ტექნიკას.

მეორე მსოფლიო ომმა მას მოუსწრო ქალაქ სტერლიტამაკში (ბაშკირეთი, რუსეთის ფედერაცია), საიდანაც ის მალე გაიწვიეს ჯერ სმოლენსკისა და შემდეგ ლენინგრადის ფრონტზე. ერთ-ერთ გადამწყვეტ ბრძოლაში ნ. **ოდიშარია** გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. მეთაურებმა და მებრძოლებმა სახელოვანი ქართველი მებრძოლი ჩრდილოეთის მიწას მიაბარეს.

**(ფ. გვინჩია - გაზეთი "კომუნიზმი" 1942 წელი, 13 დეკემბერი, № 294, გვ. 2).**

**ოდიშარია ვარლამ** სიმონის ძე – სოფელ ნოსირში დაბადებული, დაიღუპა 11. 12 1942 წელს, სტანიცა იშჩერსკაიასთან, ნაურის რაიონი, ჩეჩნეთი, რუსეთის ფედერაცია.

**ოდიშარია სამო** ერმილეს ძე – დაიბადა 1920 წელს. უმცროსი სერჟანტი – დაიღუპა 1943 წლის პირველ აგვისტოს, ქალაქ გელენჯიკთან, კრასნოდარის მხარე, რუსეთის ფედერაცია.



**ვლადიმერ (ბოჩია) ოდიშარია**, ნოსირელი ჭაბუკი ცხოვრობდა სენაკში და შემდეგ რამის ქარხანაში მოანგარიშედ მუშაობდა. არმიაში ვლადიმერი კავალერისტი გახდა. ცხენი მოუკლეს ბოჩიას ბრძოლაში, თვითონაც დაჭრილი დარჩა ბრძოლის ველზე.

უკრაინაში, კიროვოგრადის ოლქის, დოლინსკის რაიონის შევჩენკოს სასოფლო საბჭოში არის მეფარხლეების მეურნეობა. აქ ცხოვრობდა მოხუცი სავიჩ მიჩისოვი. მან შეიფარა და გადაარჩინა სიკვდილს **ოდიშარია**, დაჭრილი მებრძოლის ჭრილობებიც მოურჩინა.

გერმანელთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დარჩენილი მებრძოლის გზა მხოლოდ ერთი იყო – პარტიზანებთან წასვლა. პარტიზანულ რაზმში მალე გაითქვა სახელი **ვლადიმერ ოდიშარიამ**, ყველა საშიშ და პასუხსაგებ დავალებებს მას აძლევდნენ. დიდხანს უთვალთვალებდნენ გერმანელები, უნდოდათ მისი ხელში ჩაგდება. ზამთრის პირის სუსხიანი დილა იყო. ცას რუხი ღრუბლები გადაეკრა. ჩასაფრებულებმა თვალი მოჰკრეს **ოდიშარიას** და სამი გერმანელი ჯარისკაცი თავს დაესხა, რათა უნდოდათ ცოცხლად ჩაეგდოთ ხელში. ბოჩია არ დაიბნა. მან იძრო დანა და დაერია მტერს. ერთი მოჰკლა, მესამე დაჭრა და იარაღი აჰყარა. აქეთ-იქიდან უკვე მორბოდნენ შეიარაღებული გერმანელები ვ. **ოდიშარიას** შესაპყრობად. იგი ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა მათ და სოფლით გარბოდა ტყისკენ. მტერი არ ცხრებოდა, ერთს, თითქმის უიარაღო კაცს, აყრიდნენ ავტომატების, ტყვიამფრქვევების ჯერებს. 18 ტყვიით განგმირული დაეცა **ოდიშარია**. ჯალათები მისცვივდნენ მას და კვლავ ესროდნენ, დანებით სჩხვლეტდნენ, ფეხით სთელავდნენ, შემდეგ იგი ხიდიდან წყალში გადაისროლეს.

სამ დღეს ეგდო ნახევრად წყალში, ტალახით და სისხლით მოსვრილი **ბოჩია ოდიშარია**. მტარვალები დარაჯად ედგნენ, რომ ახლო არავინ მიჰკარებოდა და როდესაც პირსისხლიანებს მოსწყინდათ მისი დარაჯობა, უკრაინელმა ქალებმა მალულად გაიტაცეს ქართველი ჭაბუკის გვამი და უკრაინის მიწას მიაბარეს, როდესაც მტარვალთა

ფეხის ხმა მისწვდა იმ არემარეში, მათ უღრანი ადგილებიდან გადმოასვენეს ოდიშარიას ნეშტი და თავიანთ ბაღში დაასაფლავეს სურნელოვანი ცაცხვებისა და აკაციების ქვეშ.

(ნ. მშველიძე - გაზეთი "კომუნისტი", 1944 წელი, 5 დეკემბერი, № 244, გვ. 2).

**ოდიშარია შალვა** ნექტარის ძე – დაიბადა 1917 წლის – დაიღუპა ქალაქ მახაჩყალასთან, დაღესტანი, რუსეთის ფედერაცია. /სოფელი ნოსირიდან/.

**ოდიშარია შოთა** ალექსანდრეს ძე – უფროსი სერჟანტი – დაიღუპა 31. 03. 1944 წლის, ქალაქ გომელში (ბელორუსია)./სოფელი ნოსირიდან/.

**ოდიშარია ე. ე.**– დაიღუპა ქალაქ აბინსკთან, კრასნოდარის მხარე, რუსეთის ფედერაცია.

**ოდიშარია ვ.** – გმირულად იბრძოდა უკრაინის მიწაზე პარტიზანულ რაზმებში.

**ოდიშარია ა.** –თავი გამოიჩინა ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში.

## მარტვილის რაიონი

**ოდიშარია ვლადიმერ** ნიკოლოზის ძე – დაიბადა 1909 წლის – დაიღუპა 1942 წლის.

**ოდიშარია ნიკოლოზ** ვლადიმერის ძე – დაიბადა 1911 წლის – დაიღუპა 1942 წლის.

**ოდიშარია მაკარ** ლევანის ძე – დაიბადა 1914 წლის – დაიღუპა 1942 წლის.

**ოდიშარია ნიკოლოზ** თემურაზის ძე – დაიბადა 1915 წლის – დაიღუპა 1942 წლის.

**ოდიშარია ნიკოლოზ** ტარიელის ძე – დაიბადა 1915 წლის – დაიღუპა 1942 წლის.

**ოდიშარია რაჟდენ** ალექსანდრეს ძე – დაიბადა 1916 წლის სოფელი ნახუნავოში – დაიღუპა 1942 წლის.

**ოდიშარია ხარიტონ** პლატონის ძე – დაიბადა 1908 წლის – დაიღუპა 1943 წლის.

**ოდიშარია ნიკოლოზ** ნიკოლოზის ძე – დაიბადა 1909 წლის – დაიღუპა 1943 წლის.

**ოდიშარია ალექსანდრე** ლევანის ძე – დაიბადა 1910 წლის – დაიღუპა 1943 წლის.

**ოდიშარია რაჟდენ** პლატონის ძე – დაიბადა 1918 წლის – დაიღუპა 1943 წლის.

**ოდიშარია ივლიანე** თედორეს ძე – დაიბადა 1922 წლის – დაიღუპა 1943 წლის.

**ოდიშარია დომენტი** კონსტანტინეს ძე – დაიბადა 1898 წლის ფაზურთაში (სოფელი

ნახუნაოს ერთ-ერთი უბანია) – დაიღუპა 1944 წელს.

**ოდიშარია რაჟდენ** ფილონის ძე – დაიბადა 1915 წელს – დაიღუპა 1944 წელს.

**ოდიშარია ანტონ** ბესარიონის ძე დაიბადა 1902 წელს ბობოთში (ამჟ. ქ. მარტვილის ერთ-ერთი უბანია), უმცროსი სერჟანტი – დაიღუპა 1944 წელს ბელორუსიაში (ქ.სევას-ტოპოლის ნაპირები, ყირიმი, უკრაინა).

ქალაქ სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის დაცემული 414-ე ქართული დივიზიის მებრძოლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ძმათა სასაფლაოზე, მთა "საპუნ-გორა"-ს რაიონში (ყირიმი, უკრაინა), აგებულია გრანდიოზული მონუმენტური ძეგლი, რომელიც გაიხსნა 1961 წლის 21 ივნისს.

ძეგლის პროექტის ავტორია სამხედრო-საზღვაო ფლოტის კაპიტანი, ინჟინერ-არქიტექტორი ალექსი გოქაძე. ძეგლი წარმოადგენს 12,5 მეტრის სიმაღლის ობელისკს, რომელიც ბაზალტის განიერ კვარცხლბეკზე დგას და მოპირკეთებულია ქართული ტუფის ფილებით. ობელისკის თაღის წინ დადგმულია ფარაჯიანი ქართველი მეომრის ბრინჯაოს შესანიშნავი ფიგურა (ავტორი, მოქანდაკე ტიტე სიხარულიძე). ობელისკის ორივე თაღში ჩასმულია მემორიალური დაფები ქართულ და რუსულ ენებზე წარწერით: "სამარადისო დიდება ანაპის 414-ე მსროლელთა წითელდროშოვანი ქართული დივიზიის გმირებს, რომლებიც დაეცნენ ქალაქ სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის 1944 წლის 7-12 მაისის ბრძოლებში." მათ შორისაა **ანტონ** ბესარიონის ძე **ოდიშარია.**

**(ვ. ჯანჯღავა, 414-ე წითელდროშოვანი. 1977 წელი. გვ. 573, 577).**

**ქ. თბილისი**

**ოდიშარია აკაკი** ბესარიონის ძე – დაიღუპა 1942 წელს.

**ოდიშარია ვასილი** ვასილის ძე – დაიღუპა 1943 წელს.

**ოდიშარია ო.** ბესარიონის ძე – დაიღუპა 1944 წელს.

**ოდიშარია მირონ** ლევანის ძე.




НАДИРАШВИЛИ Д  ЕСАРТИЯ Н.  ХАВТАСИ С
ДЖАВАХИШВИЛИ  ВАШАКИДЗЕ  МАГЛА-
КЕЛИДЗЕ  ЗААЛИШВИЛИ  ОДИШАРИЯ
ТАТАРИШВИЛИ М  КРАВЧЕНКО  ГОЦИРИДЗЕ
КИРИЯ  БАТРАКОВА Р  КВАВАДЗЕ
ШВАНГИРАДЗЕ Г.  ЦУЛУКИДЗЕ  КИКНАДЗЕ
БАКУРАДЗЕ  ГВЕТАДЗЕ Н  АБАИШВИЛИ А

## ქ. ქუთაისი

ოდიშარია ვარლამ ბესარიონის ძე – დაიბადა 1904 წელს. – დაიღუპა 22. 03. 1943 წელს, სტანიცა ჩერნოერკოვსკაიასთან, სლავიანსკის რაიონი, კრასნოდარის მხარე, რუსეთის ფედერაცია. (ქუთაისიდან).

## სოხუმის რაიონი

ოდიშარია მიხეილ ბეჟუს ძე – დაიბადა 1902 წელს – დაიღუპა 1943 წელს.

ოდიშარია ძუკუ ამბაკოს ძე – დაიბადა 1926 წელს – დაიღუპა 1945 წელს.

## ვანის რაიონი

ოდიშარია კიტი მარკოზის ძე.

## დაჯილდოებული ოდიშარიები



ოდიშარია სიმონ კირილეს ძე დაიბადა 1907 წელს ქალაქ ქუთაისში. 1930 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი და ამ ხნიდან ენერგიულად მუშაობს გზების მშენებლობის სხვადასხვა უბანზე. 1938-1941 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გზატკეცილთა სამმართველოში მშენებლობის უფროს ინჟინრად. 1941-1945 წლებში წარმატებით ასრულებდა დავალებებს თავდაცვითი ობიექტების მშენებლობის დარგში. 1945 წელს დაინიშნა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობის უფროსად.

ს. ოდიშარია დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და "საპატიო ნიშნის" ორდენებით და ორი მედლით.

ს. ოდიშარია 1947 წლის 9 თებერვლის არჩევნებში არჩეულ იქნა საქართველოს II მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად წყალტუბოს № 135 ოლქიდან.

(გაზეთი "კომუნისტი", 1947 წელი, 30 იანვარი, № 23, გვ. 2).



**ოდიშარია არჩილი** დაიბადა 1938 წლის 27 ივლისს. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1962 წლიდან იყო საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კირიაკ ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. არის ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

1989 წლიდან იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი კავშირის გამგეობის წევრი.

1990-1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი პარტიული სიით საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოსთვის", ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).



**ოდიშარია გურამი** დაიბადა 1951 წლის 24 სექტემბერს ქალაქ სოხუმში. მწერალი.

1975 წელს დაამთავრა მაქსიმ გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა სოხუმის რადიომაუწყებლობის კორესპონდენტად, აფხაზეთის საოლქო გაზეთ "საბჭოთა აფხაზეთის" კორესპონდენტად, აფხაზეთის მწერალთა კავშირის ლიტერატურული კონსულტანტად, ჟურნალ "რიწის" მთავარ რედაქტორად, გამომცემლობა "მერანის" აფხაზეთის ფილიალის დირექტორად. 1969 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი. არის 9 პოეტური კრებულის და 5 პროზაული წიგნის ავტორი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, რუსულ, უკრაინულ, აფხაზურ, თურქულ, სომხურ, იტალიურ ენებზე. ის სისტემატურად მონაწილეობს სახალხო დიპლომატიის ეგიდით წარმართულ ქართულ-აფხაზურ შეხვედრებში (სოჭი, მოსკოვი, ნალჩიკი, კონობეევო-რუსეთის ფედერაცია, წახკაძორი-სომხეთი) და სხვა.

**გ. ოდიშარია** არის გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კულტურის და ხელოვნების ასოციაცია "ახალი ხედვის" პროექტების კოორდინატორი; გამომცემლობა "ლომისის" დირექტორი. მას მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია. 2012 წლის 21 ოქტომბრიდან 7 ნოემბრამდე იყო საქართველოს VIII მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით საარჩევნო ბლოკი "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო", შემდეგ დანიშნული იქნა საქართველოს კულტურის მინისტრად, სადაც მუშაობდა 2014 წლის 21 ივლისამდე.

## წიგნიდან უნებლიე ვედრებანი

*****

იელვე კაცში, სინანულო, და
გაახევე გზაზე,
მერე წარსულში გადახიზნე,
ქარიშხალს მიეც ფოთლად.

შემისმინე მე, მდინარეო, და
განუდექი მას, მწყურვალს,
წვიმებით აღარ წაშალო, ცაო,
მისი გნიასი გვალვის.

შენია იგი, სიყვარულო, და
აღარ გაიკარო ახლოს,
შენი სიმღერებში აგალობე,
მარად აქებინე თავი.

ცოდვაა იგი, იასამანო, და
მოანაცრე ზეცა,
სევდის თვალებში მალანდე –
შენი სიმშვიდით სავსე.

ისევ მიხედე მარცოსულს, დედაო, და
ისევ მიუმაცე ზღვის დროს,

ცრემლთა ჭეჭერი მოსავალი
ისევ დაადინე ლანდზე.

ასე თუ იხსნით მას, ძვირფასებო, და
ასე გამოგლიჯავთ ყივილს,
რომელიც მიწის ცოლია, იავ, და
მსგავსი მომაკვდავ ჭალის.

**გურამ ოდიშარია.** 1984 წელი.



**ოდიშარია ბექა** დაიბადა 1974 წლის 2 სექტემბერს ქალაქ თბილისში. 1998 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. შემდეგ-თბილისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტი იურისტ-ეკონომისტის სპეციალობით. არის საქართველოს პარლამენტის წევრი 2016 წლიდან. პარტიული სიით საარჩევნო ბლოკი "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო".

სოციალისტური შრომის გმირი **ოდიშარია**

| გვარი, სახელი, მამის სახელი | დაბადების წელი | საქმიანობა | დაჯილდოების თარიღი |
|---|---|---|---|
| ოდიშარია ლენა ერმილეს ასული | 1930 წელი | საქართველოს სსრ, გეგეჭკორის რაიონი, ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე | **01.09.1951** წელი |



**საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი** (ენციკლოპედია)

**ოდიშარია სიმონი** დაიბადა 1909 წლის 10 იანვარს სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში, ინჟინერი. 1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტი.

მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გზათა სამმართველოში სამუშაოთა მწარმოებლად, სამმართველოს უფროსად; 1931-1941 წლებში იყო ამიერკავკასიის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გზების და ხიდების კათედრის დოცენტი; 1941-1945 წლებში-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული მშენებლობათა სამმართველოს უფროსი; 1945-1951 წლებში-ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობის უფროსად; 1951 წელს დაინიშნა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტ “საქწყალპროექტის“ დირექტორად; ხელმძღვანელობდა

“ზუგდიდი-მესტიის,” “ზესტაფონი-საირმის,” “ლანჩხუთი-ქობულეთის,” “სურამი-ძირულას” საავტომობილო გზების, ქობულეთის სამხედრო აეროდრომის, “სოხუმი-ტყვარჩელის “ (ქლუხორის უღელტეხილზე), “გაგრა-განთიადის“ (გაგრის ზონაში) და “ადლერი-ხოსტის“ (რუსეთის ფედერაცია) საავტომობილო გზების მშენებლობას; მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები. ს. **ჩლოიშარია** გარდაიცვალა 1985 წელს.

(ა. მამინაშვილი – ქედუხრელი ამაგდარნი, 2010 წელი, გვ. 201 – 2002. საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია, 2017 წელი, გვ. 466).



**ჩლოიშარია** – ქსენია **ფუფლავა** ათანასეს ასული დაიბადა 1920 წელს სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში. მას ჰყავდა 7 და.

ზოგადი საშუალო განათლება მიიღო სენაკის რაიონის სოფელ ნოსირის სკოლაში, ხოლო შემდეგ სწავლობდა ქალაქ სოხუმში. დაოჯახების შემდეგ მისი მუდმივი საცხოვრებელი გახდა აბაშა, სადაც იგი სიცოცხლის დასასრულამდე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო უაღრესად ნაკითხი, წიგნით ნასაზრდოები, ფიზიკურად და სულიერად უმშვენიერესი ქალბატონი, მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში მოღვაწეობდა არა მარტო საკუთარი შვილების, არამედ აბაშის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოფელ კვაუთანის ბავშვების ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდისათვის. იგი იყო სოფელ კვაუთანში სასწავლო წლის

დამაარსებელი, ათეული წლობით მუდმივი და უცვლელი ხელმძღვანელი. მის ბიოგრაფიას ამშვენებს სამთავრობო ჯილდოები – მედლები, სიგელები, მადლობები.

(ენციკლოპედია "ანშმ." 2010 წელი. გვ. 315).



**თეიმურაზ დიმიტრი** დაიბადა 1938 წელს ქალაქ თბილისში. არქიტექტორი. 1962 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი არქიტექტურის სპეციალობით.

1963-1964 წლებში მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტ "საქგიპროშახტ"-ში არქიტექტორად; 1964 წლიდან თბილისის ზონალური ტიპიური და ექსპერიმენტული პროექტების ინსტიტუტში ("თბილზნიიეპი") არქიტექტორად, პროექტის მთავარ არქიტექტორად, სახელოსნოს ხელმძღვანელად; იყო მრავალი ექსპერიმენტული და ინდივიდუალური პროექტის ავტორი და თანაავტორი; მათ შორის: ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის (თბილისში), ორდარბაზიანი დრამატული თეატრის-ქალაქ მახაჭყალაში (დაღესტანი, რუსეთის ფედერაცია), სამხარეო მუზეუმის-ქალაქ მაიკოპში (ადიღეის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია), 2000-ადგილიანი პანსიონატის-ქალაქ ნებუგში (ტუაფსეს რაიონი, კრასნოდარის მხარე, რუსეთის ფედერაცია), უნივერმაღის-ქალაქ კასპიისკში (დაღესტანი, რუსეთის ფედერაცია), 506-ადგილიანი სასტუმროს-ქალაქ ნოვოროსიისკში (კრასნოდარის მხარე, რუსეთის ფედერაცია), 818 და 824 ადგილიანი სასტუმროების-ქალაქ თბილისში (ვ. ბაგრატიონის ქუჩაზე და თემქის დასახლებაში), ქალაქ ქუთაისის ცენტრის რეკონსტრუქციის საკონკურსო პროექტის (აღინიშნა პრემიით) და სხვა. იყო საქართველოს და სსრ კავშირის არქიტექტორთა შემოქმედებითი კავშირების წევრი. **დ. თეიმურაზ** გარდაიცვალა 1994 წელს.

(საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია. 2017 წელი, გვ. 465).



**თედიაშვილი რაული** დაიბადა 1939 წლის 14 იანვარს, სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში; ინჟინერი. 1964 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

1964-1966 წლებში შრომითი საქმიანობა დაიწყო დონის როსტოვში (რუსეთის ფედერაცია), სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტ "რუსტალკონსტრუქციის" სამონტაჟო სამმართველოში; მუშაობდა ქალაქ ტაგანროგში (როსტოვის ოლქი, რუსეთის ფედერაცია), საავიაციო ქარხნის და ქარხანა "კრასნი კოტელშიკის" მშენებლობებზე; 1966-1970 წლებში როსტოვის № 469 საკავშირო ხიდმშენ მატარებელში, როსტოვის და ბატაისკის (როსტოვის ოლქი, რუსეთის ფედერაცია) ხიდების მშენებლობებზე ოსტატად, საქმის მწარმოებლად, უბნის სამუშაოთა მწარმოებლად, უბნის უფროსად; 1974-1977 წლებში ხელმძღვანელობდა "პიატიგორსკ-ესენტუკი-კისლოვოდსკის" (ქალაქები სტავროპოლის მხარეში, რუსეთის ფედერაცია), საავტომობილო გზის მონაკვეთზე გზაგამტარისა და ხიდების მშენებლობას; 1977-1980 წლებში იყო კისლოვოდსკის № 6 სამშენებლო სამმართველოს უფროსი; ამ დროს მისი ხელმძღვანელობით აიგო კისლოვოდსკში შემავალი ყველა ახალი საავტომობილო გზა და მთავარი ხიდი, შეკეთდა და ჩაბარდა კისლოვოდსკის სახელმწიფო თეატრის შენობის რეკონსტრუქცია.

**რ. თედიაშვილი** 1983 წელს გადმოიყვანეს საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროში განყოფილების უფროსად; მის მიერ აშენებულ-რეკონსტრუირებული ობიექტებს შორისაა: მდინარე ცხენისწყალზე აშენებული ხიდი (მის ზომებში, პირველად საქართველოში, 1,6-მეტრიანი მრგვალი მილები გამოიყენეს), სიღნაღის მექანიკური ქარხანა, საქართველოს რიგი სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტები; მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით სოფელ ნუკრიანში აშენდა კულტურის სახლი და სასოფლო საბჭოს შენობები, (სამრეწველო ზონასთან), გაიყვანეს სატელეფონო ქსელი, დამონტაჟდა მიწისქვეშა გასასვლელი რკინიგზის ბაქანთან, აიგო

ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი და სპორტული კომპლექსი აუზით. 2015 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

(საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის ენციკლოპედია. 2017 წელი, გვ. 465-466).



**ოდიშარია სვეტლანა** (სვეტა) დავითის ასული დაიბადა 1950 წელს სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში. 1967 წელს დაამთავრა ნოსირის საშუალო სკოლა. 1972 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე საზღვარგარეთის ეკონომიური გეოგრაფიის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1977 წელს.

სტუდენტობის პერიოდიდან მუშაობს უნივერსიტეტში, ჯერ-კანცელარიაში საქმის მწარმოებლად, შემდეგ-გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მუზეუმში ლაბორანტად, ხოლო 1989 წლიდან-ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმში მეცნიერ მუშაკად; არის მუზეუმის ფონდის ხელმძღვანელი.

## თ ს უ-ს ისტორიის მუზეუმი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი დაარსდა 1988 წელს ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილის ქალბატონ დალი გორსამიას მეშვეობით.

მუზეუმში დაცულია სახელოვანი მეცნიერების , თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლების პირადი ნივთები, მიმოწერა, სამეცნიერო ნაშრომები, ხელნაწერები, ნაბეჭდი მასალები, ფოტოები, აგრეთვე დაცულია საიუბილეო საჩუქრები, ადრესები და უამრავი ხელოვნების ნიმუში.

დროთა განმავლობაში ისტორიის მუზეუმის ქუდქვეშ გაერთიანდა თ ს უ-ში არსებული შემდეგი მუზეუმები: პალეონტოლოგიის მუზეუმი, მდებარეობს უნივერსიტეტის

ქუჩა № 13, უნივერსიტეტის XI კორპუსში (ბიოლოგიის კორპუსი).

ზოომუზეუმი, რომელიც გამოირჩეოდა და ყოფილი საბჭოთა კავშირში მე-3 ადგილზე იყო თავისი მრავალფეროვნებით და უნიკალურობით. ეს მუზეუმიც განთავსებულია ბიოლოგიის კორპუსში.

არქეოლოგიის მუზეუმი, გეოგრაფიის მუზეუმი, ვაჟა-ფშაველას კაბინეტი განთავსებულია ილია ჭავჭავაძის გამზირი № 1-ში მდებარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (უნივერსიტეტის I კორპუსი); ამავე შენობის გუმბათში გამოფენილია სურათები და ხელოვნების ნიმუშები; აქვე არის ისტორიის მუზეუმის ფონდი.

მაქვს ბედნიერება და ჩემთვის დიდი პატივია ვიცნობდე და ვამეგობრებდე არაერთ უდიდეს მეცნიერებს: ივანე ჯავახიშვილის, გიორგი ახვლედიანის, აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ილია ვეკუას, ვარლამ თოფურიას და სხვათა და სხვათა.

**ვლადიმერ სვეჯა**



**ვლადიმერ გივი (ბესო)** დაიბადა 1951 წლის 20 სექტემბერს ქალაქ თბილისში. არის რეჟისორი, სცენარისტი. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი 1973 წელს; თბილისის საერთაშორისო მეცნიერებათა უნივერსიტეტი 1975 წელს.

გ. **ვლადიმერ** დადგმული რეჟისორის ფილმები: “დღესასწაული” (1988 წელი), “თბილისობა 2005” (დოკუმენტური, 2005 წელი); სცენარის ავტორის ფილმები: “კარიერა” (1979 წელი), “3-1 “(1983 წელი), “ჩიორა” (1984 წელი), “მორიგე” (2005 წელი); მემორიალური ფილმის: “მე მესიზმრება თბილისი” (დოკუმენტური, 2005 წელი). ის არის საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.



**ოდიშარია ბესიკ** თენგიზის ძე დაიბადა 1961 წლის 4 იანვარს ქალაქ სოხუმში.

1977 წელს სოხუმის რაიონის სოფელ აჩადარის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობდა ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის საწარმოო კომბინატის აფხაზეთის ფილიალში.

1979 წელს ჩაირიცხა სოხუმის მაქსიმ გორკის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტზე, რომელიც "ისტორიის" სპეციალობით წარჩინებით დაამთავრა 1984 წელს და განაწილებით მუშაობდა სოხუმის რაიონის სოფელ ზემო კელასურის საშუალო სკოლაში ისტორიისა და სამართალმცოდნეობის მასწავლებლად.

1985 წლიდან მუშაობდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მსოფლიო ისტორიის კათედრაზე ლაბორანტად. 1989წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში, საქართველოს ისტორიის კათედრის მასწავლებლად, ხოლო 1991 წლიდან უფროს მასწავლებლად.

1996-1997 წლებში ეკავა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობა. 1996 წლიდან ასევე სწავლობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ დიპლომატიურ აკადემიაში.

2005 წლიდან დაინიშნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო 2006 წლიდან მოადგილედ.

2009 წლიდან დაინიშნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის აპარატის უფროსად, ხოლო 2021 წლიდან იკავებს მინისტრის თანაშემწის თანამდებობას.



**ოდიშარია ვლადიმერი** – 1980-1985 წწ. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი მათემატიკოსის სპეციალობით.

1990-1992 წწ. სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში და დამთავრების შემდეგ გახდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

1992-1999 წლებში მუშაობდა აღნიშნულ უნივერსიტეტში უფროს მასწავლებლად;

1999-2011 წლებში იყო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის კათედრის დოცენტი.

2011 წლიდან ამ უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორია.

## საქართველოს ექიმები

**ოდიშარია სერგი** კირილეს ძე დაიბადა 1890 წელს ქალაქ ქუთაისში. რადიოლოგი. 1916 წელს დაამთავრა პეტერბურგის (ამჟ. სანქტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია) სამხედრო-სამედიცინო აკადემია.

ის იყო ცნობილი რენტგენოლოგი, დოცენტი; დახელოვნდა გერმანიის სხვადასხვა ქალაქის სპეციალიზებულ დაწესებულებებში, იყო თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რენტგენოლოგიის კათედრის გამგე. მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები კონტრასტული რენტგენოდიაგნოსტიკის საკითხებში.

**ს. ოდიშარია** გარდაიცვალა 1937 წელს.

## მიღწევები რენტგენოდიაგნოსტიკის და რენტგენოთერაპიის დარგში

1895 წელს გერმანელმა მეცნიერმა Rontgen-მა აღმოაჩინა სხივები, რომლებიც, მათი ბუნების გამოურკვევლობის გამო, უწოდა X-ს სხივების სახელი. ფრანგები მათ დღესაც ამ სახელს (Rayon-X) უწოდებენ, გერმანელებმა კი შემდეგ დაარქვეს აღმომჩენის სახელი – რენტგენის სხივები.

ამ აღმოჩენის მნიშვნელობა მეცნიერებაში, სახელდობრ ფიზიკაში დიდია, მაგრამ, გარეშე ამისა, მედიცინაში იგი მიიღეს თვალსაჩინო და ფასდაუდებელი, რომ მან ჩაუყარა საფუძველი ცალკე დარგს-რენტგენოლოგიას, როგორც განსაკუთრებულ სამეცნიერო დისციპლინას.

რენტგენოლოგია უახალგაზრდესი სამეცნიერო დარგია, მაგრამ მიუხედავად ამისა ასეთ მოკლე ხანში მეცნიერების არც ერთი დარგი არ წასულა მასავით სწრაფად და დიდი ნაბიჯებით წინ დიაგნოსტიკისა და თერაპიის მხრივ და არც ასე მჭიდროდ შეკავშირებია სამკურნალო მეცნიერების ყველა დარგს.

დღეს უკვე არ მოიპოვება არც ერთი მეტნაკლებად წესიერად მოწყობილი საავადმყოფო, რომ მას არ ჰქონდეს თავისი რენტგენის კაბინეტი, დიდ ცენტრებში ხომ ლაბორატორიაც მეტია: ეს კაბინეტები დიდ სამეცნიერო ინსტიტუტებად გარდაიქმნენ. მედიცინამ რენტგენის სხივები აღმოჩენისთანავე გამოიყენა როგორც ერთადერთი სწორი და საიმედო გამოკვლევის მეთოდი.

რენტგენოლოგია მედიცინას ისე მჭიდროდ დაუკავშირდა, რომ დღეს ვერც ერთი ექიმი მას ვერ აუვლის გვერდს და ვიტყვი გამოჩენილი ინგლისელი კლინიცისტის Dock-ს სიტყვებით: "რენტგენოლოგია კლინიცისტისთვის წარმოადგენს ისეთსავე საჭიროებას, როგორც სტეტოსკოპისა და მიკროსკოპი."

ევროპაში უკანასკნელად სამეცნიერო მივლინების დროს მე ევროპის სხვა დასხვა ინსტიტუტებში, ბერლინი, დრეზდენი (გერმანია), ვენა (ავსტრია), პარიზი (საფრანგეთი), გავეცანი ამ დარგის დღევანდელ მდგომარეობას და მინდა მოვახსენოთ ის ახალი, რაც კი მე ვნახე ამ დარგში და რაც ეხლა უკვე შემოღებული გვაქვს ჩვენს განყოფილებაში.

ექიმი ს. ოდიშარია

თბილისის რკინის გზის მთავარი საავადმყოფოს რენტგენოლოგიური განყოფილების გამგე.

(ჟურნალი "თანამედროვე მედიცინა", 1929 წელი, № 3, გვ. 225).

# ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აცრა

ტუბერკულოზური დაავადება დიდი ხნიდან არის ცნობილი. ჩვენამდე მოღწეული ძეგლების, ოთხი ათასი წლის წინანდელ ხელნაწერებში არის ცნობები, სადაც ითქმება, რომ ამ პერიოდში მოსახლეობის მიერ ხანგრძლივი დაკვირვებების შედეგად შემჩნეული ყოფილა ამ დაავადების ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი (სიგამხდრე, ძლიერი ხველა, ხანგრძლივი სიცხიანობა, ოფლიანობა და სხვა.).

როგორც ჩანს, ამ დროს ფილტვის ტუბერკულოზის მხოლოდ ხანგრძლივად მიმდინარე მძიმე ფორმებს იცნობდნენ, რაც ხშირად ორგანიზმის ძლიერ სიგამხდრეს იწვევდა; აქედან წარმოიშვა ამ დაავადების ძველებური ხალხური სახელწოდებები (ჭლექი – მჭლე, ЧАХОТКА – ЧАХНУТЬ და სხვა.); ფილტვის ტუბერკულოზის შედარებით მსუბუქ ფორმებს ან სხვადასხვა ორგანოების (ძვლის, კანის და სხვა.) ტუბერკულოზურ დაავადებას დიდი ხნის განმავლობაში სრულიად არ იცნობდნენ.

რასაკვირველია, ეს იმის შედეგი იყო, რომ საუკუნეების მანძილზე გაბატონებული რელიგიური – დოგმატური მსოფლმხედველობა ხელს უშლიდა მეცნიერული აზროვნების განვითარებას და ბუნების მოვლენების შესწავლას. ბოლო საუკუნეებში მეცნიერული აზროვნების განვითარებას, კერძოდ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებების შესწავლას, განსაკუთრებით ხელი შეუწყო გვამების გაკვეთის შემოღებამ და ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებამ, რის შედეგადაც ბევრი საიდუმლოება ნათელი და შეცნობილი გახდა. ტუბერკულოზის საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლაც ამ პერიოდიდან იწყება.

ადამიანის გვამის გაკვეთის დროს შინაგან ორგანოებში (ფილტვებში, ღვიძლში და სხვა.) ამჩნევდნენ ხორბლის მარცვლისოდენა, ზოგჯერ უფრო წვრილი ხორკლიან წარმონაქმნებს. მკვლევარებს საშუალება მიეცათ ჭლექით დაავადებაზე ეჭვი გვამის გაკვეთისა და მისი შესწავლით დაედასტურებინათ. მრავალრიცხოვანი დაკვირვებების შედეგად ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აღნიშნული ავადმყოფობისათვის დამახასიათებელია ორგანოებში ხორკლიანი წარმონაქმნები, რომლებსაც მათ

"ტუბერკულუმი" (Tuberculum (ლათ.) – ბორცვი) უწოდეს. აქედან წარმოიშვა ამ დაავადების სახელწოდებაც "ტუბერკულოზი".

ტუბერკულოზის შესწავლისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანელი მეცნიერის რ. კოხის მიერ 1882 წელს ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერიების აღმოჩენას, რომაც ახალი მიმართულება მისცა ამ დარგში მეცნიერულ გამოკვლევებს. ეს დიდი აღმოჩენა საფუძვლად დაედო ტუბერკულოზის ყოველმხრივ შესწავლას. ტუბერკულოზური ბაქტერიების აღმოჩენამ საშუალება მისცა მეცნიერებს ზუსტად გაერკვიათ ტუბერკულოზური დაავადებების ბუნება, შეესწავლათ მისი მიმდინარეობის ფორმები, გამოეკვლიათ სხვადასხვა ორგანოების (ფილტვების, ძვლის, სახსრების, კანის, თირკმლების და სხვა) ტუბერკულოზური ცვლილებები, გაეგოთ მოსახლეობაში დაავადების გავრცელების მასშტაბი და სხვა.

ტუბერკულოზური ბაქტერიების აღმოჩენა და დაავადების ინფექციური (ე. ი. გადამდები) ბუნების საბოლოო დამტკიცება მკვლევარებისაგან მოითხოვდა ტუბერკულოზის დროს ორგანიზმის იმუნოლოგიური ცვლილებების შესწავლას, ვინაიდან ამ დროს ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის მეტად ეფექტური იმუნოლოგიური საშუალებები – ვაქცინები, შრატები და სხვა.

ცნობილი იყო, რომ ყველა ინფექციური დაავადება მისთვის დამახასიათებელ იმუნოლოგიურ ცვლილებებს იწვევს, რაც იმავე ბაქტერიებით განმეორებით დაავადებისაგან ორგანიზმის თავდაცვის უნარიანობის გამომუშავებაში ვლინდება. მაგალითად, წითელას, ყვავილის, ქუნთრუშას და ზოგიერთი სხვა ინფექციური დაავადების გადატანის შემდეგ ადამიანი თითქოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინარჩუნებს წინააღმდეგობის უნარს ამ დაავადების მიმართ. დაავადების გადატანის ან აცრის შედეგად ორგანიზმის მიერ გამომუშავებულ თავდაცვით თვისებებს იმუნიტეტი ეწოდება.

ექიმი ბ. ოდიშარია

(ს. ოდიშარია – ფსიქონევროლოგიის სანიტარულ-განმანათლებლო ავტ. 1961 წელი).

ასევე აღსანიშნავია ს. ოდიშარიას მიერ გამოქვეყნებული სხვადასხვა სტატიები გაზეთებში და წიგნებში: (ს. ოდიშარია - ანტიალკოჰოლიზმი, მისი გავრცელება და მკურნალობა, გაზეთი “კომუნისტი,” 1929 წელი, 1 სექტემბერი, № 201, გვ. 5).
(ს. ოდიშარია – ფსიქიკური სნეულებანი, 1931 წელი).



**თამარ ოდიშარია** დაიბადა 1902 წელს; მუშაობს სოხუმის ცენტრალური საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების უფროს მედდად და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

სოხუმის მოსახლეობის ფართო წრე კარგად იცნობს **თამარ** თეოდორეს ასულ **ოდიშარიას,** როგორც გამოცდილ მედიცინის დას. თავისი მუყაითი მუშაობით მან არაერთხელ გამოიჩინა კარგი ინიციატივა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

თამარის ასეთი ენერგიული და დაუზარებელი მუშაობა ქონდათ მხედველობაში საავადმყოფოს თანამშრომლებს, როცა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე ის სოხუმის ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს და რეგისტრირებულია № 27 საარჩევნო ოლქში.

(გაზეთი “საბჭოთა აფხაზეთი”, 1939 წელი, 14 დეკემბერი, № 284, გვ. 2).

ხელმადლიანი, ღვაწლმოსილი დასტაქარი



**ოდიშარია გივი ამბროსის ძე** დაიბადა 1917 წლის 10 მარტს მარტვილის რაიონის სოფელ ზანაში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, რომელიც მისივე ბაბუის, მღვდელ ანტონ კეკელიას მიერ იყო აშენებული (დეკანოზმა ანტონმა XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოში 15 სკოლა აშენა, სადაც სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა); **გ. ოდიშარია** 1935 წელს თბილისის სახელმწიფო

სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

„ბაბუაჩემს ბავშვობიდან მათემატიკა და მათემატიკოსობა ჰქონია განზრახული, – იხსენებს **გივი ოდიშარიას** შვილიშვილი, ქირურგიის ეროვნული ცენტრის ანგიოლოგიის, რეკონსტრუქციული ქირურგიის, სისხლძარღვთა ქირურგიისა და ესთეტიკური ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი ფერაძე, ექიმობა მის ძმას ჰქონდა, მაგრამ ბედმა სხვაგვარად განსაჯა: ბაბუამ მათემატიკის ფაკულტეტზეც ჩააბარა მისაღები გამოცდები და სამედიცინო ინსტიტუტშიც ძმის მაგივრად (იმხანად, საბუთების მოუწესრიგებლობის გამო, ასეთი რამ შესაძლებელი იყო), მერე კი ბაბუას საბუთები სამედიცინოში მოხვდა, ხოლო მისი ძმისა – მათემატიკურზე. ეს შემთხვევა გახდა **გივი ოდიშარიას** სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, მაგრამ თუ მის ბიოგრაფიას გადავავლებთ თვალს, ვერაფრით იფიქრებთ, რომ მედიცინა მის ცხოვრებაში შემთხვევით შემოვიდა – მთელი ცხოვრება, მთელი ძალა და ენერგია მან სნეული ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვას შეალია."

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1940 წელს გაანაწილეს ერევანში (სომხეთი) საევაკუაციო ლაზარეთის უფროს ქირურგად.

1941 წელს **გივი ოდიშარია** მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს; როგორც ექიმი ფრონტისთვის სრულიად ახალგაზრდა იყო, მაგრამ თავიდანვე იმყოფებოდა წინა ხაზზე და ურთულეს ოპერაციებს ატარებდა. მომდევნო წლებში ის გახდა საევაკუაციო ჰოსპიტალის მთავარი ქირურგი. – ძალიან მძიმე პირობებში უწევდა მუშაობა, – იხსენებს ექიმის ვაჟი **მიხეილ ოდიშარია**, – უმეტესად – მიწურებში. ლაზარეთი ტყეში იყო გაშლილი, ზოგჯერ – ჭაობიან ადგილასაც. ელექტროენერგია არ ჰქონდათ. განათებისთვის გენერატორს იყენებდნენ, რომელსაც ჯარისკაცი ხელით ატრიალებდა.

ომის დამთავრებამდე **გივი ოდიშარია** მონაწილეობდა კრასნოდარის, ქერჩის, ყირიმის, სტალინგრადის, ვორონეჟის, კურსკის რკალის (ორიოლის ფედერაცია) დაცვასა და განთავისუფლებაში, აგრეთვე – პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბერლინის აღებისთვის, ავსტრიის განთავისუფლებისთვის ბრძოლებში. მან

პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება მიენიჭა და ომის დამთავრებამ ქალაქ ვენაში (ავსტრია) მოუსწრო. იგი ამ დროის უკვე გარნიზონის ლაზარეთის უფროსი ქირურგი იყო. შემდეგ **გივი ოდიშარია** ავსტრიაში, ინსბრუკის კლინიკაში მუშაობდა, სადაც 1947 წლამდე დაჰყო. უცხოეთში უზრუნველ ცხოვრებას სამშობლოში მძიმე პირობებში მუშაობა არჩია. იგი ამბობდა: "ომი დამთავრდა და უცხოეთში რაღა გამაჩერებდა, როცა შემეძლო, ამხელა ცოდნა და გამოცდილება ჩემი ხალხისთვის მომეხმარა."

1948 წელს საქართველოში დაბრუნებულს ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილედ ნიშნავდნენ, მაგრამ ის თანამდებობებზე ქირურგიულ საქმეს გამოარჩევდა. **გივი ოდიშარიასთვის** წარმოუდგენელი იყო აქტიური ქირურგიის გარეშე ცხოვრება, ამიტომ წინადადებაზე უარი თქვა. მაშინ თბილისის ახლოს მეტალურგთა ქალაქი რუსთავი შენდებოდა და სურვილი გამოთქვა ამ ახალგაზრდა ინდუსტრიულ ქალაქში ემუშავა. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საავადმყოფო მაშინ ბარაკის ტიპის სახლებში იყო მოთავსებული. მის პირველ უფროს ექიმად **გ. ოდიშარია** დაინიშნა. რუსთავში დაიწყო **გივი ოდიშარიას** ცხოვრების ახალი ეტაპი, რომელმაც სიცოცხლის ბოლომდე გასტანა. მეტალურგიული ქალაქთან ერთად შენდებოდა მისი სამედიცინო სამსახურიც. ამ ყველაფრის ორგანიზატორი **გივი ოდიშარია** გახლდათ. მისი უშუალო მონაწილეობით აშენდა ქალაქის მთავარი პოლიკლინიკა, მერე კი, 1954 წელს-ქალაქის პირველი საავადმყოფო და იქ გადავიდა ქირურგიული განყოფილების უფროსად. **გივი ოდიშარიას** მუშაობის წლებში რუსთავის კლინიკა ქირურგიული კადრების სამჭედლო იყო.

გივი ოდიშარია იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვისაც რუსთავის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. ახლაც ამ ქალაქს მისი სახელობის ქუჩა ამშვენებს.

*(გაზეთი "სოციალისტური რუსთავი", 1966 წელი, 11 იანვარი, № 7, გვ. 3.*

*გაზეთი "სოციალისტური რუსთავი", 1977 წელი, 10 მარტი, № 48, გვ. 3.*

*გ. გოგოლაძე – ჟურნალი "ავერსი", 2017 წელი,№ 8, გვ. 64-66).*



**ოდიშარია ნიკოლოზ** (ნიკო) კონსტანტინეს ძე ქართველი საბჭოთა ექიმი, მოღვაწეობდა ქალაქ ვენტსპილსში, ლატვია.

სურათის ვერსოზე მინაწერი:





**ოდიშარია მანანა** დაიბადა 1952 წლის 17 ოქტომბერს. 1958-1968 წლებში სწავლობდა ქალაქ სოხუმის პირველ საშუალო სკოლაში. 1977 წელს ჩაირიცხა ქალაქ სარატოვის (რუსეთის ფედერაცია) სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1978 წელს ქალაქ სარატოვის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში გაიარა სუბორდინატურა სპეციალობით მეან-გინეკოლოგია. 1979 წელს დაინიშნა ქალაქ ტამბოვის (რუსეთის ფედერაცია) № 1 სამშობიარო სახლის ექიმ-ინტერნ მეან-გინეკოლოგიის თანამდებობაზე ერთწლიანი ინტერ-ტურის გასავლელად.

1979-1992 წლებში მუშაობდა ქალაქ გაგრის ცენტრალურ საქალაქო საავადმყოფოში ექიმ მეან-გინეკოლოგის პოზიციაზე. 1999-2000 წლებში მსახურობდა ქალაქ მოსკოვის (რუსეთის ფედერაცია) იანუსის სამედიცინო ცენტრში მთავარ ექიმად და ექიმ მეან-გინეკოლოგად.

2007 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში მიიღო სახელმწიფო სერთიფიკატი № 006547. იმავე წლიდან მუშაობს შპს “აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ქალთა კონსულტაციაში” ექიმ გინეკოლოგად და საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრში ექთან-მასწავლებლად.



**ოდიშარია ვეფხია** დაიბადა 1974 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. აქვს თბილისის პოლიტექნიკური აკადემიის საერთაშორისო სამართლის

ფაკულტეტი. 2004 წლის მას მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი. გააჩნია სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება და გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ჟურნალებში. 2012 წლიდან არის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის დირექტორი სამართლისა და მედიცინის დარგში; ასევე, ფონდი "გაამწვანე საქართველო"-ს "საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამსახურის უფროსი.

## საქართველოს მეღვინე



**თეიმურაზ აბესალომიძე**-მეღვინე. 1961 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი მეღვინის კვალიფიკაციით.

1961 წლის იწყებს მუშაობას თბილისში "სამტრესტის" ღვინის ქარხანა № 3-ში. 1974 წლიდან ქარხანას შეუერთდა თბილისის № 1 და № 4 ღვინის ქარხნები და ეწოდა საწარმოო გაერთიანება "თბილღვინო."

**აბესალომიძე თეიმურაზი** ერთ-ერთი ის ერთადერთი მეღვინეა, რომელმაც მთელი თავისი კარიერა ერთ საწარმოში გაატარა. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა მეღვინე-ტექნოლოგად სხვადასხვა საამქროში, ხოლო ბოლო 15 წელი იყო წარმოების უფროსი. იგი ერთ საწარმოში განუწყვეტლივ 43 წელი მუშაობდა.

**(ზ. კალანდაძე- ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მატიანე, 2008 წელი, გვ. 550. ზ. კალანდაძე – სამტრესტი და სამტრესტელები, 2014 წელი, გვ. 358).**

## ქართველი სპორტსმენები

**თეიმურაზ ველადიძე:** კლასიკური ჭიდაობა. საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი 1976 წლიდან. ორგანიზაციას "ბურევესტნიკი" თბილისი.



**მიხეილ (რეზო) ოლოიშარია** მძლეოსნობას ყმაწვილობიდან იწყებს. საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი მძლეოსნობის განხრით დაამთავრა. 1957-1962 წლებში მუშაობდა განათლების სამინისტროს სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატში მწვრთნელად. 1963 წელს მიიწვიეს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში, სადაც 1976 წლამდე მუშაობდა ჯერ მწვრთნელად, შემდეგ-მთავარ მწვრთნელად და გუნდის უფროსად.

მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტმა ორგანიზატორული ნიჭიც გამოავლინა და 1976-2007 წლებში საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების მძლეოსნობის რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორის თანამდებობა ეკავა.

ნაკრებ გუნდში და სპორტული სკოლის დირექტორად მუშაობისას, მისი უშუალო ხელმძღვანელობის ფრთებში აღიზარდა მრავალი ქართველი ცნობილი მძლეოსანი: – სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი 4 X 100 მეტრზე ესტაფეტაში – მაია აზარაშვილი; საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონები ათჭიდში – ელგუჯა ქართველი; საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის შუბის ტყორცნაში – ამბროსი მაჭიაშვილი; ბირთვის კვრაში ევროპის ჩემპიონები ახალგაზრდებში – მამუკა ტულუში, მარიამ ქევხიშვილი; სამხტომში ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი სერგო ახვლედიანი და სხვები.

1972 წელს ქ. კიევში (უკრაინა) საკავშირო სპარტაკიადაზე, საქართველოს მოსწავლე მძლეოსანთა ნაკრებმა გუნდმა სწორედ მისი მუშაობის დროს დაიკავა გუნდური მე-3 საპრიზო ადგილი.

**რეზო ოლოიშარიას** მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება, იყო სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

(საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია. გაზეთი "ლელო", 2015 წელი, 18 მარტი,№ 52, გვ. 12).

# ნოსირი და ნოსირელები




სოფელ ნოსირის ცენტრს კარიეთი ჰქვია. სოფლის ეს სახელწოდებაც ძველ წარსულზე ლაღადებს.

სოფელში ყოფილა მებატონე ასლან იოსების ძე ფილია; მას უბრძანებია სოფლის ამ ნაწილის, რომელიც მისი საკუთრების შემოღობვა-შემოკავება. აი დაამთავრა ხალხმა შემოკავება, მაგრამ ხომ საფიქრი იყო კარი სად და რამდენი? - ზაფხულით, კარი რამდენი გავაკეთოთო? - მორიდებით, მოწიწებით ჰკითხა გლეხმა მებატონეს. ნარდის, ბანქოს თუ ჭადრაკის თამაშში გართული მებატონე გაბრაზდა – ეს რა უდროო დროს შემაწუხეს?! არც მიხედა გლეხს, მკვახედ ესროლა, კარი ერთი.

შემოკავებულ ტერიტორიას გაუკეთეს ერთი კარი იქ, სადაც ამჟამად სოფლის ცენტრია. ეს ორი სიტყვა ხალხის მეტყველებაში გაერთიანდა და მივიღეთ კარიეთი - კარი ერთი.

მებატონე ასლან იოსების ძე ფილიას სასახლე ჰქონია დალეჩხის ხიდის მიდამოებში. ქვითკირის შენობის ნაშთი დაუნგრევიათ რკინიგზის მშენებლობის დროს – 1872 წელს. შენობის საძირკვლის ნაწილი კი დღემდე არსებობდა და დაანგრიეს დალეჩხზე ახალი სამანქანო ხიდის აგებისას, 1966 წელს.

ფილიას ნამოსახლარ მიდამოებში ახლაც მოედინება დალეჩხი, რომელზედაც 3 ხიდია აგებული (2 სამანქანო, 1 რკინიგზის). მაშინ მებატონის მამულში წყალი არ ქონია და მდინარე ტეხურიდან გამოუყვანინებია მილით, რომელიც ყოფილა თიხისა, კირით მოპირკეთებული, 30 სმ დიამეტრის (მილის ნარჩენები არის ამჟამადაც). (მებატონე ფილიას შესახებ ცნობები მოგვაწოდა სოფელ ნოსირის მკვიდრმა, ისტორიის-გეოგრაფიის მასწავლებელმა ვალერიან ალექსის ძე გეგენავამ).

ნოსირი სენაკის რაიონში შემავალ სოფლებთა შორის ერთ-ერთი დიდი სოფელია. მისი ფართობი გაშლილია.

სოფელი ნოსირი მდებარეობს სენაკის რაიონის ცენტრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მისი საზღვრებია: აღმოსავლეთით-სოფლები, გეჯეთი (სენაკის რაიონი) და

წყემი (აბაშის რაიონი) დასავლეთით-მდინარე ტეხური, სამხრეთით-სოფელი ზანათი (აბაშის რაიონი), ჩრდილოეთით-მდინარე ტეხური.

რადგან სოფელი დიდი იყო ოდითგანვე დაუნაწილებიათ უბნებად: პირველი ნოსირი, შუა ნოსირი, II ნოსირი, III ნოსირი, **სათდომშარო**, საზესლეთი, სასიროთ-საბოხური (1962 წლიდან II და III ნოსირის ტერიტორია შეუერთეს სოფელ ძველი სენაკის საბჭოს). სოფლის ფლორა და ფაუნა დღეისათვის ღარიბია; ბუნებრივი ტყე უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს, გაიჩეხა. (მხოლოდ სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში, სოფელ ძიგურის (აბაშის რაიონი) მიდამოებში შემორჩენილია უნაყოფო ბუჩქნარები). სოფლის მთელი ტერიტორია სამოსახლო და სახნავ-სათეს ფართობს უკავია. უხვადაა მრავალწლიანი კულტურული მცენარეების ნარგავები, ხეხილის ბაღები, სუბტროპიკული კულტურების პლანტაციები.

ბუნებრივი ტყეების გაჩეხვის შედეგად მთლიანად მოისპო ველური ცხოველები: მგელი, მელა, გარეული კატა, ტყის ღორი, კურდღელი, ხოხობიც ბევრი ყოფილა. მხოლოდ ტეხურის პირას შემორჩენილია თევზის მოყვარული წავი, ყანჩა, პატარა ფრინველები: შაშვი, ბელურა, სკვინჩა. გაზაფხულზე თბილი ქვეყნიდან მოფრინდებიან გადამფრენი ფრინველები. ზოგჯერ გადაიფრენენ გარეული ბატები, იხვები, მწყერი. მდინარე და გუბეები საკმაოდ მდიდარია თევზით: კობრი, ფარგა, ლოქო, ღორჯო, წვერა, მცირე რაოდენობით კალმახიც. სოფელში არის ნაყოფიერი მიწები; მოიპოვება სამშენებლო მნიშვნელობის ქვიშა-ქვები (მდინარე ტეხურის პირას), რომლებიც სენაკის რაიონის კომუნალურ მშენებლობებში გარკვეულ როლს ასრულებს.

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ბევრია ყვითელი სააგურე-საკრამიტე მიწა, რომლის ბაზაზე რამდენიმე ათეული წელია მუშაობს რესპუბლიკური მნიშვნელობის ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანა.

სოფელმა სახელი გაითქვა ძვირფასი სასმელი წყლით. ნოსირის წყალსადენი ამარაგებს არა მარტო სენაკის, არამედ ქ. ფოთის, ხობის, აბაშის მოსახლეობას და წარმოება-დაწესებულებებს. პირველი წყალსადენი ნოსირში ამუშავდა 1939 წელს. მეორე

წყალსადენი ამოქმედდა 1969 წლის აგვისტოში, რომელიც ძირითადად მარტო სენაკის რაიონს უწევს მომსახურებას. წყალსადენს უკავია 12 ჰა ფართობი.

ნოსირის ტერიტორიაზე მდინარეთა ქსელი საკმაოდ ხშირია, სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მთელ სიგრძეზე მოედინება მდინარე ტეხური (ტეხური რიონის შენაკადია). სოფლის ცენტრში გაედინება მდინარე ლასლუჩა, მდინარეთა შორის ყველაზე სუფთა წყლის მარაგით. მდინარე ლასლუჩა 3 კილომეტრის გავლის შემდეგ ერთვის მდინარე ტეხურს მარცხენა მხარეზე. ტეხურის უფრო დიდი შენაკადია მდინარე სკური. მისი სიგრძე სოფლის ტერიტორიაზე 9 კილომეტრია. ისიც ტეხურის მარცხენა შენაკადია. 1921 წელს მდინარე სკურზე აგეს სახერხის ქარხანა. ლებარდედან (მარტვილის რაიონი) დაცურებით მდინარე ტეხურით მოჰქონდათ ხეები-სამშენი მასალები და მუშავდებოდა ამ ქარხანაში; იგი მომსახურებას უწევდა მეზობელ სოფლებსაც. აქვე აშენებული იყო ელექტროსადგური, რომლის ძალით განათებული იყო II ნოსირი. ქარხანაში იმართებოდა კრებები, წარმოდგენები, კინო სეანსები. ელექტროსადგურს დიდხანს არ უმუშავია. ხერხის ქარხანა კი 1959 დაანგრია ძველი სენაკის საბჭოთა მეურნეობამ. წყალვარდნილი და სხვადასხვა ნაგებობები დღესაც შემორჩენილია. (ამის შესახებ ცნობები მოგვაწოდა II ნოსირის მკვიდრმა **გ. ი. თოდიშარაძე**).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მიუშვეს ტეხურის წყალი და რამდენიმე ჰექტარზე გააკეთეს ხელოვნური წყალსაცავი, სადაც უხვად აშენებენ სარკისებურ კობრს.

1873 წლის აღწერის მონაცემებიდან ირკვევა, რომ ნოსირში უცხოვრიათ აზნაურ გამსახურდიებს, დგებუაძეებს, ესაკიებს, კიზირიებს, ჯაიანებს, ფალავებსა და თავად ნორაკიძეებს.

XIX საუკუნის სტატისტიკური აღწერილობების მასალებით, საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სოფელ ნოსირში ფიქსირებულია ორი ეკლესია: **სათოდიშაროს** წმიდა სტეფანეს სახელობის და კარიეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიები. ტარდებოდა საეკლესიო დღესასწაულები: შობა, წყალკურთხევა ("წყაკურთხაი"), აღდგომა, ელიაობა,

ფერისცვალებას ("ფერიცვალობას"), მარიამობას, გიორგობას და სხვა. განსაკუთრებით ემზადებოდა ხალხი აღდგომის დღესასწაულისათვის. აღდგომას წინ უძღოდა 49 დღიანი დიდმარხვა. როგორც მღვდელი აზიარებდა მხოლოდ ნამარხულევს, "დღესასწაულზე" ხალხს მოუხაროდა, რაც მთავარია დიდი ხნის ნამარხულევს ზიარების შემდეგ შინ ტკბილი სუფრა ელოდათ, უფლება ჰქონდათ "პირი გაეხსნათ." თუ ვინმე მძიმე ავად გახდებოდა მოუყვანდნენ მღვდელს; იგი ჩაიბარებდა ავადმყოფისგან აღსარებას და შემდეგ აძლევდა ზიარებას. თუ გარდაიცვლებოდა ვინმე, მღვდელს უნდა აეგო მიცვალებულისთვის "წესი." დასაფლავების დღეს ეწყობოდა ქელეხი-სუფრა, ლობიო, მაკარონი, მწნილი, მწვანილი, ზეთისხილი, ღვინო. ზეთისხილი შემოჰქონდათ ვაჭრებს საზღვარგარეთიდან (თურქეთი, საბერძნეთი, იტალია) და ჰყიდდნენ ძალიან ძვირად. ქელეხის სუფრაზე მთელი სოფელი მხოლოდ შავში გამოწყობილნი დაჯდებოდნენ, ვინც თავის წილს ვერ დაამთავრებდა, შინ უნდა წაეღო. მიცვალებულს სასაფლაომდე აცილებდნენ საეკლესიო დროშებით. დროშებზე გამოსახული იყო წმიდა გიორგი და ანგელოზები. ყველგან და ყველა საქმეში მკვეთრად განსხვავდებოდნენ გლეხობა და "დიდკაცობა." ქელეხში თავად-აზნაურებს თეფშით მიართმევდნენ ფლავს და ლობიოს, გლეხებს ხის ჯამით "ხორცით" მისცემდნენ. აი, ერთ-ერთი ქელეხზე მასპინძელი აცხადებს: როგორც თავში ადგილი არ ყოფნის, აქ დაბრძანდებიან მხოლოდ თავად-აზნაურები, გლეხები კი მინდორში დასხდებიან. პაპანაქება სიცხეა, ღია ცის ქვეშ ჯდომა შეუძლებელია და შეურაცხმყოფელიც... აჰყვა დავა, გაბრაზებულმა მასპინძელ-ჭირისუფალმა ღვინიანი კოკები დაამტვრია, როდის... როდის თითქოს გაყავს გლეხობა და დიდკაცობა, მაგრამ გლეხის ქალთა ერთი თავმომწონე ნაწილი მაინც დარჩენილა თავში... გლეხის ქალი სოფიო მელოთრავა ზის აზნაურის ქვრივის ქალბატონის გვერდით; მოძღვარმა ქალბატონს თეფშით მიართვა, მოძღვრისაც უნდა მიაწოდონ თეფშით ლობიო, მაგრამ ლობიო შეიცნო, რომ სოფიოს, თეფში დაასწრო და ლობიო "ხორცით" მოუთხოვია. მოძღვარს, დადგა "ხორცი" მოძღვარმა და სოფიოს ზურგი აქცია; ნაჭრის გადადებაც ვერ მოასწრო, რომ სოფიომ "ხორცი" ზურგში მიაყოლა... აიღო სუფრა, ეზოში გაიტანა გლეხებიც

დაერივნენ თავად-აზნაურებს და მიცვალებული ჭირისუფალსაც დაავიწყდა.

ის იყო და ის, ყოველი ჭირისუფალი ცდილობდა ქელეხზე სუფრა ყველასათვის ერთნაირად გაეწყო.

II ნორიოს სასაფლაოზე განისვენებს აკადემიკოს ავლიპ დავითის ძე ზურაბაშვილის ბებია (მამის დედა). ზურაბაშვილის ოჯახს II ნორიოში უცხოვრია 16 წელიწადს; ავლიპს ბავშვობის წლების ერთი ნაწილი ამ სოფელში გაუტარებია, რისაც დიდი კმაყოფილებით იგონებს აკადემიკოსი: "XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში დიდად განათლებული ბერი გრიგოლ დადიანი თურმე მოღვაწეობდა ქიზიყში (სიღნაღის რაიონი, სოფელი ბოდბე). მამაჩემს, მამა ორი წლის ასაკში გარდაცვლია და ამიტომ ძალიან ადრე დაობლებულა. მამაჩემის დედა, ე. ი. ჩემი ბებია მარინე დემეტრაშვილი ძალიან გონიერი და ენერგიული ყოფილა. მას უთქვამს, ჩემს შვილს წერა-კითხვა უნდა ვასწავლოო. თავისი აქტიურობით ბებიას მოუხერხებია პატარა დავითის გრიგოლ დადიანთან მსახურ ბიჭად მიეყვანა და მიებარებია. დადიანი ძალიან მოძრავი და ცქვიტი ყოფილა; დადიანს ახალგაზრდა ძალიან მოსწონებია და შვილად აუყვანია.

შემდეგომ გრიგოლ დადიანი ფოთში დაუნიშნავთ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად და დავითიც თან სამეგრელოში წაუყვანია ცოდნის გაღრმავების მიზნით.

მამაჩემი მადლიერების გრძნობით იგონებდა დადიანის ამაგს, რომელსაც დავითი დაუბრუნებია სოფელ ნორიოში.

მამაჩემს ქიზიყელი, ბოდბელი ქალი მარიამი შეურთავს. იგი ნორიოში ცხოვრობდა და მუშაობდა 16 წლის განმავლობაში. ბავშვობაში დედაჩემი მასწავლიდა მეგრულ ლექსებს, რომლებიც ეხლაც მახსოვს, აგრეთვე პატარაობისას გამიგონია მეგრული გვარები, მაგ: **ოდიშარია**, ადამია, კიზირია, კორძაია, სიხორდია და ასე შემდეგ.

ოთხმოცდაათიან წლებში ჩემი საყვარელი ბებია გარდაიცვალა. ამ დროისათვის ქოლერიანობა იყო, ამასთან ერთად ტრანსპორტის სიძნელეებიც და ბებიის ქიზიყში გასვენება ვერ მოხერხდა და ამიტომ დაასაფლავეს II ნორიოს სასაფლაოზე.

შემდეგომ სამეგრელოში მძვინვარებდა მალარია. მამაჩემმა, როგორც მშრალი კუთხის

წარმომადგენლობა, მაღლარიის მეჯინიბერ ტირიოდი ვერ ადგება; ის თავისი ოჯახით დაბრუნდა ქიზიყში და დასახლდა თავის მშობლიურ სოფელ ზედაზენისხევში." (გაზეთი "კოლხეთი" 1977 წელი, 22 თებერვალი, გვ. 3).

ძველი ჭურჭლეულობიდან ხელოს დღემდის შემორჩა ნივთები. მოხუცებულს ეძლეოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, თუ ვინმე მოკვდებოდა ოჯახში, მის დაკრძალვამდე სამზარეულო-სახაზინოში მოუხიცნავდა არავინ ჯინდა დაარჩენილიყო, ამიტომ ხშირი იყო ნივთებზე ზავშვების მიკუთვნებულობისთვის წლის ავზის წინ.

სოფელში ოდითგანვე ხარობდა კულტურული მცენარეები: ღომი, მჭადი, სოია, ლობიო, სიმინდი, ბარდა, ვაზი, ბამბა, ჩაი, ლუფა, მიწისთხილი.

მიწას ამუშავებდნენ კავით, რომელსაც ეძახდნენ "ქუსლი" (ქვეყნები "ქონს "ეძახდნენ). წელში მიმავლობელი ეძახდნენ ოქინის სახნისი. კავი ართეობდა 1926 წლამდე. ეძახდნენ ხის თარლსი. საერთოდ თესავდნენ გათანაწილებად (მეჩხერად თესვა შემოღებული იყო 1930 წლის). კულტივაციის მავალად ნიადაგზე გადადიოდნენ ხის კავით მიწის გასაფხვიერებლად, ეს იარაღი იხმარებოდა განსაკუთრებით ვაკეზის დროს. კავით მოლიანად კეთდებოდა ხისგან. კავში თუ კავში შეაბამდნენ ხარებს. ცხენი სამეურნეო საქმიანობაში იშვიათად გამოიყენებოდა.

ღომი მცენარეა წვრილი ღეროთი, ტოტის თავთავის მსგავსი თავებით, მხოლოდ ერთი მსხვილი მარცვლებით, მისგან დამზადებულ ღომს ეძახდნენ ღომის ღომი (ღუმღუმ-ღუმღუ).

მჭადა მცენარეა წვრილი ღეროთი გამხმარი თავებით, წვრილი და მოწითალო მარცვლებით, მისგან დამზადებულ მჭადს ეძახდნენ მჭადის მჭადს ("ჭყიდიმ ჭყიდი").

მჭადა ღომზე ერთი მაღალი იზრდება. ორივე მცენარის დამზადება დაფქვამდე ძნელი საქმე იყო-განსაკუთრებით ღომის; მზადდებოდა წნელისაგან დაწნული კალათი, რომელსაც თოკით ჩამოკიდებდნენ მაღლიდან. ზედ დაალაგებდნენ ღომის თავთავებს, ქვეშ დაანთებდნენ ნელ ცეცხლს და ასე ამოაშრობდნენ. გამხმარ თავთავს ჩამოაძრობდნენ "ჩამურში" – დიდი ხე ამოკვეთილი, რომელშიაც ბევრი ჭურჭელი მასალა (ფრთხილი "ჩამური"

ახლაცაა შემორჩენილი "ჩამორევით") და ზედ არტყამენ "კაკუჩს," ხისგან გაკეთებული უროსმაგვარს იარაღს გაბრტყელებული თავით. ურტყამდნენ მანამ, სანამ მარცვალი ჩენჩოს არ გამოცალკევებოდა და შემდეგ გაანიავებდნენ. მჭადასაც ასევე ამუშავებდნენ, მაგრამ შედარებით ადვილად სცილდებოდა მარცვალი ჩენჩოს. მჭადის უფრო ფქვავდნენ სამჭადოდ. ღერღილს იყენებდნენ ფაფისათვის, დაუფქვავ მარცვალს მოხარშავდნენ, შეაზავებდნენ თაფლითა და შაქრით და ასე მზადდებოდა "წანდილი" (მიცვალებულთა სულის მოსახსენიებლად). "წანდილის" დამზადება დღესაც შემორჩენილია მხოლოდ ხორბლის მარცვლისაგან. მჭადის მჭადსა და ღომის ღომის დამზადებას ახლაც სიამოვნებით იგონებენ ვისაც ახსოვს.

ძველად იყო და ახლაც არის სხვადასხვა ჯიშის ლობიო და სოიო. იყო ბამბის მცენარე, ითესებოდა ქვიან ადგილებში, საკუთარ ეზოებში. ბამბას ახლა აღარ თესავენ, ალბათ, იმიტომ, რომ აღარ არის საამისო გასაქანი.

კოლმეურნეობა მისდევდა რამის კულტურას (ჩინური ჭინჭარი). მთავარი გზის ნაპირზე იყო რამის გადამამუშავებელი ქარხანა, ამუშავებდნენ ძაფად. ამჟამად ამ კულტურას აღარ მისდევენ. იყო მიწავაშლა, მიწის თხილი (არახისი)., ფეიხოა. ბოლო დროს ეთერზეთოვანი კულტურებიდან მომრავლდა ბაზილიკი, რომელიც დღესაც მოჰყავთ; მოჰყავდათ ბარდა (გერანი), ამჟამად აღარაა. მოჰყავდათ ლოურა ("მაჩადაკა"), ახლა იშვიათადაა.

ვაზის ჯიშებიდან გავრცელებული იყო მაღლის ხეზე მაღლარები, იზაბელა, ნოვა, კაჭიჭი ფრანგულა, ოჯალეში, თემყვა. ამჟამად გავრცელებულია ნამყენი ცოლიკაური, შემორჩენილია კაჭიჭი, ფრანგულა, ადესა. ხარობდა ხეები: თხმელა, წიფელი, რცხილა, ალვის ხე, თეთრი ხე, ცაცხვი, მუხა, ჭადარი, თუთა (ბჟოლა)... ხშირი იყო მწარე ხაპი (კოლოჭურა), რომლისაც იყენებდნენ წყლის დოქად, ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად (ხორკე).

მე-19 საუკუნის დასასრულამდე სოფელი ნოსირი შედიოდა სუჯუნის მაზრაში, მაზრის უფროსი იყო მდივანბეგი (1880 წლის ახლო ხანებში დაბადებულთა მეგოიკული

ამონაწერები გაცემულია სუჯუნის მაზრის სასახლეში).

1917 წლამდე სოფელს მართავდა მამასახლისი, მას ეხმარებოდნენ ხალხის მიერ არჩეული რწმუნებულები, რომლებიც უწოდებოდნენ კეთილსინდისიერებს. ისინი არჩევდნენ გლეხთა წვრილმან საქმეებს, აზნაურთა საქმეებში კი ვერ ჩაერეოდნენ. აზნაურთა საქმეებს მართავდა პრისტავები (ბოქაული). პრისტავთა ადგილ სამყოფელი იყო აბაშა. ნოსირი აბაშის საპრისტავოში შედიოდა. პრისტავები იყვნენ აგრეთვე ძველ სენაკში, მარტვილში. მენშევიკების დროს სოფლის მმართველს ეწოდებოდა კომისარი. მაზრის უფროსს კი — სამაზრო კომისარი. კომისარს ჰყავდა თანაშემწეები: ასისთავი, ათისთავი. ასისთაობა იყო 1925 წლამდე; გადასახადებს კრეფდნენ “ზბორჩიკები,”რომლებიც თავიანთი უსამართლობა-სისასტიკის გამო, ისედაც მძიმე გადასახადებით შეწუხებულ ხალხს სასტიკად სძულდა.

ხშირი იყო უსაფუძვლო ჩხუბი-აყალმაყალი, რაც ხშირად მარცხით მთავრდებოდა. გამკითხავი წესრიგის დამცველი აღარავინ იყო...

აი, “ელიობა”-ს კარეთში თავს იყრის დიდძალი ხალხი — ჯარობა, საფიდაო დაუკრეს... ახალგაზდა გლეხმა ანდრო უჩანეიშვილმა დასცა გიორგი ალექსანდრეს ძე ჩიქოვანი. — რა ვუყოთ, სპორტია.- გიორგიმ ბოღმა გულში ჩაიკლა, მაგრამ საქმეში ჩაერია ბატონი — გიორგი, თუმცა მისი ძუძუმტე ყოფილა და სადღაც შეილახა ბატონის თავმოყვარეობა. როგორ ბიჭო, უზრდელი გლეხის ბიჭმა გაჯობოს? გვერდიდან დაუსისინა მან და ღვარძლიან გიორგის ცეცხლზე დაასხა... შეჯიბრი მჭიდროებში გადავიდა. ვერავინ შეძლო გიორგის შეკავება, გლეხი ამ უბედური გამარჯვების მსხვერპლი გახდა, მოკლეს ისე, როგორც ბევრი სხვა, მებატონის ღირსებისათვის.

სოფელ ნოსირში მთავარი მემამულე ყოფილა ივანე დადიანი — ივანე პატონიკუა. აი, რას წერს მერი ადამია ამის შესახებ: “ანკარა წყაროს წყალი, გამჭვირვალე ველი, მუხის ტყით დაბურული მიდამო, მდინარე ტეხურის ლამაზი ნაპირები, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ ქალაქის გასაშენებლად იქ, სადაც ახლა სოფელი ნოსირი მდებარეობს, მაგრამ ამ საქმეს წინააღუდგა აქაური მემამულე ივანე დადიანი. რკინიგზა და ქალაქი

ჭკუაში არ დაუჯდა მემამულეს, ისე კარჩაკეტილი და ერთფეროვანი ცხოვრება არჩია და ამით ნოსირს აეცდინა ქალაქად გახდომა. ქალაქი შეიქმნა ნოსირის დასავლეთით 4,5 კილომეტრის დაშორებით. მდინარე ტეხურის გაღმა, იქ, სადაც ახლა ქალაქი სენაკი მდებარეობს.”

– ივანე დადიანს უშვილობის თავისი ძმისშვილი კოკი დადიანი, მათ სასახლე ქონდათ დღევანდელი დაფნის საბჭოთა მეურნეობის დირექციის ეზოში. საუკეთესო წყალი, მუდამ სავსე სასიმინდე, მარანი, რჩეული ჯიშის ცხენები, მებატონური თავმოყვარეობა, სიამაყე და განცხრომა არ აკლდა დადიანების ოჯახს. მათ ეკუთვნოდათ 100 ჰექტარი მიწა; ბეღლები, გომური და სხვა ადგილები. ივანე დადიანს სხვა მებატონეებთან შედარებით დღესაც სიყვარულით მოიხსენიებს ხალხი. არ ყოფილა ზედმეტად მკაცრი, სცოდნია გაჭირვებაში მყოფის დახმარება. მაგალითად: გლეხი გაბისონის გარდაცვლილის, დარჩენია 5 ობოლი. ქვრივ ოხუნდას არავინ ჰყოლია ხელშემწყობი. თავისი 5 ერთმანეთზე მომდევნო ბავშვებით ივანე ბატონთან უთხოვას მისულა. პირველ სართულზე აყეფებულა მოურავი, ბატონს ნუ შეაწუხებ, გასწი დედაკაცო აქედანო, – ხმაურზე თვითონ ივანეს გამოუხედავს მეორე სართულიდან; მოხუცს შებრალებია ქვრივი; ამოვიდეს, ბიჭო გამოუშვით!

ქვრივს ცრემლით შეუბრალებია მისთვის ობლები, მარჩენელი აღარავინ მყავს ბატონო, მიშველე რამეო. ივანეს უბრძანებია: ქვრივის ეზოს გვერდით უახლოესი წისქვილიდან (ლაღლუჩაზე აგებული) ყოველ თვეს ობლების გამოზრდამდე მიეცათ 5 ფუთი სიმინდი. როცა ობლები წამოზრდილან – უფროსები, ივანე და ალექსი თავის მამულში დაუყენებია მევენახეებად.

ივანეს ჰყოლია 2 ძმა, ნიკოლოზი და ოტია. ნიკოლოზი (კოკის მამა) ბატონობდა წყემში. ის კარგ განწყობილებაში ყოფილა ნოსირელ ხალხთან. შხეფის მებატონე ყოფილა ოტია. ივანე და კოკი რას შეავიწროვებდნენ ამდენს, რამდენსაც შხეფიდანაც გვჭირდებოდა ოტიას მოურავი, ეჭყოდა თურმე ხალხი.

ოტიას სასახლე ქონია მდინარე ტეხურის ნაპირზე, ზურგით ნოსირისკენ. უკან უვლიდა

მდინარე ქვეყანა. ოქროს სახელის უკან ქვეყანა ძალიან ლამაზ ყოფილა, თითქოს ოქროს მოიხსენიებს მდინარის ფსკერიდან ჩამორეცხილი; "ოქრო" – ოქროვის ხელში და ასევე გადაუხადებლობს; ის იყო ყოველთვიური ვაჭრობის წილი... რამდენიმე ოქროს დამატებით მდინარე უფრო იშლებოდა და ფერი იყო, რომლისთვის გადაუხადავთ ამ ფერში ნაწილების საქონელი – ნაქონდარი. ოქროს მოპოვების წესებით ძებნის, მიუხედავად ვერავინ ბედავდა, როდესაც "ოქროს" სიტყვა წყალ უხვს ფარავდა, ყლაპავდა და გლეხებს სიცოცხლისათვის – ვაჭრობის ართმევდა. თვითონ ოქრო ყოფილა მეფის ოჯახის ჯავრის მხლებლებისა; ის მეფისთვის თავისუფლად შეზღუდულობდა ხელში. ერთი მოსავლის საშუალებით ივლიდა ხელში; ადგილობრივი წყაროდა ცოცხალი სიმაღ. ოქროს მისთვის უზრუნველობის: ჩემი მამულის გადაწყვეტის უფლებას არ მოგცემთ და ხაზინას ჩამოართმევს. უმეტესად ოჯახში მოთქმა ოქროთი, არც იცოდა, არ რა სიმძიმილისა ექსპედიცია ხელიდან მისი მოპოვება.

კიდე ღალიანის შემოსავლები ამყარებდა ცხოვრობდნენ ოჩამჩირეში, ქუთაისში.

დღევანდელი სვანეთის უბნის მიწები მთლიანად ეკუთვნოდათ ჩიქოვანებს. ჩიქოვანების ნამოსახლარის დღევანდელი ბაღები წყალსადენის ქვაბულისა და მის წინ მდებარე ფართობზე. მიწის როგორც უმნიშვნელო ნაწილი ეკუთვნოდათ გლეხებს. მეფუტკრეები მიწებს გლეხები ამუშავებდნენ. შემოსავლის ნახევარი მეფუტკრეს ეკუთვნოდა, ნაწილს იხარჯებოდნენ მოსავლები, რომლებიც მეფუტკრეზე უფრო გულუხვები, შეუძლებლობები იყვნენ. ხშირად იყო უკმაყოფილება, ჩხუბი გლეხებსა და მოსავლის შორის. აი ერთი მაგალითი: ერთხელ შემოდგომა წვიმიანი დადგა, წყალსაწრეტებს მიუხედავად დაზიანებ ყანებში წყალი დადგა. ნაყოფებში ტკბილი გემო შეიძლებოდა ყოფილიყო. გლეხს გადაუწყვეტია ვისი გაყოფილი. ვინ ნაწილი ნაწილი არის, გადაუხადავს და იცის, როგორც მოისმინა, მაგრამ ეს მიწა მაინც მეფუტკრისაა? ვინ გადაწყვეტს მასზე გლეხს უფლება, რა ვიცით რომ მეფუტკრის ნაწილი უნდა გადაეცა გლეხმა. თუ ძალიან ფიქრობდა – ძალიანობს, ჰქონდა ამფუტკრეზე არის იგივე და ვისაც უნდოდეს მოისმენენ... აი, სადაც არ ვიცოდი, ის გაჩნდება მასასხელის. ვიცოდი გადასახადისთვის

ცალკე დააწესეს გადასახადი, თითო ურმის გავლისათვის – თითო გოდორი სიმინდი. გლეხი იძულებულია გადაიხადოს, მოურავი მკაცრობს, ყვირის მუქარებით, გულში კი ფიქრობს, ეხლა ოჯახებში შემოსავალი, თანაც ის რაღაც დროის, გლეხებმა რომ გადაიხადონ – თავისი ძალა ავტორიტეტისა. ბევრმა გაიგო, დაილაპარაკეს მოურავი ნებით ქორქიას გოდორების თვლით. – ბიჭებო ცოდვას რომ გავიღებით, შეგვიწყალეთ; ჩვენს უკან კაცის მეზობლის ურემი მიდის და ვისხდით, რას იზამს კაცის; – რა უნდა ქნას, ძალა აღმართს ხნავს – ბატონობს მეთქი. კაცის შორიდანაც წყალობლობებული წამოწყებულია, – აზა, დამშვიდი, თუ კაცი ხარ, ქორქია! თუ შენი ქერქი არ გაუხადო შენს ბატონს საქმეთი. კაცის აღარ ხუმრობდა, ქორქიამ იკადრა გაქცევა; კაცის დაეძებს, შეაჩერებს, შეახურა, დაავლეურა, ავტორიტეტის სიმართლის ძალა. საქმეში ხელიხი ჩარეულია, კაცის დაუმშვიდობდება. ქორქიას უარი უთქვამს თავის უსამართლო მოთხოვნაზე. კაცის, ბიძია, ბატონიან რა გიჭირდება? ვერ გამიგია, ბატონმა არაკი იცის, როგორ გვაწამებს, გაიგოს, რომ ჩვენც კაცები ვართ.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მეფემ გამოგზავნა ალიხანოვის დაქირავებული კაზაკთა რაზმი, აოხრებდნენ სენაკს. ნოსირში თითო ოჯახზე საშუალოდ გაანაწილეს 25 კაზაკი. **ალექსანდრე და ფაინა დადიანების**, როგორც შეძლებულების ოჯახში ჩააყენეს 200 კაზაკი. კაზაკები ხოცავდნენ პირუტყვს, ნამუსს ხდიდნენ ქალებს; ალიხანოვი ითხოვდა სამი წლის გადასახადს ოქროს ფულით; დააპატიმრა მძევლები. სოფელი მოელოდა რომ არ აოხრებულიყო, მთელი სოფლის გადასახადი 9070 მანეთი, ოქროს კურსით გაიღო **ალექსი დადიანმა.** ალიხანოვი აიბარგა, სოფლის საზღვრებს გადააცილეს სოფლის თავკაცებმა, რომ კაზაკებს არაფერი დაეშავებინათ სოფლელებისთვის.

სოფლის უხუცეს ადამიანის გადმოცემით სოფელ ნოსირში რევოლუციური იდეები შემოიტანეს ბათუმის რკინიგზის ქარხნის მუშებმა. მათ შემოიტანეს სოციალისტური იდეები, პროკლამაციები, მაგრამ ასეთ შორ მანძილზე პროკლამაციების მოტანა ძნელი იყო, საშიში იყო ცხენების აღვირებში მოჰქონდათ. ნოსირელი რევოლუციონერები

სარგებლობდნენ იმ სტამბით, რომელიც ყოფილა სენაკში. რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება სოფლის მცხოვრებთა გარკვეული ნაწილი. პროკლამაციებს ავრცელებდნენ მახლობელ სოფლებშიც: ეკი, ფოცხო, ხუშაფათი, ზანა. ერთხელ ბათუმიდან ჩამოიყვანეს “როტატორი”– ავტოროტატორი; საჭირო იყო ხალხის თავმოყრა, კრების ჩატარება. კრება მოიწყო, მაგრამ იგი გაცემული იყო და დაიჭირეს მისი მოთავენი. ისინი დაამწყვდიეს ქუთაისის ციხეში და დახვრეტით ემუქრებოდნენ. აწიოკდა ხალხი, ვერ შეძლეს ვერაფერი. მაშინ დახმარებას სთხოვეს კოკი დადიანს, ქუთაისის მაზრის თავადთა მარშალს. კოკიმ დაიცვა სოფლის მცხოვრებლები: ააცილებს იმათ დახვრეტას, თუკი სოფლიდან 20 კაცი წამოვა და ხატზე დაიფიცებს, რომ კრება კი არ იყო, არამედ ოჯახში მოუკვდათ უღელი კამეჩი და მის დასამარხავში ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ხალხმა ირჩია ხატთან სიცრუე, მაგრამ რაკი ხედავდნენ, რომ კოკისას ძალა ეკარგებოდა, წავიდნენ და დაიფიცეს. პატიმრებს აცილეს დახვრეტა, მაგრამ როგორც ეჭვმიტანილებს მაინც მიუსაჯეს 10 წელი. 7 წელი გაატარეს ციხეში. შემდეგ მოუსწრო მანიფესტმა და გაათავისუფლეს.

1917 წლიდან 1921 წლამდე ხანაში ბატონობდნენ მენშევიკები. დამარცხებული მენშევიკები გადავიდნენ ბათუმში და იქიდან-საზღვარგარეთ. მათ გაჰყვა ჩვენი სოფლის მებატონე კოკი დადიანი.

1921 წელს სოფელში შემოვიდა რევოლუციური კომიტეტი (რევკომი). რევკომის წევრების (მათ შორის იყვნენ: **ლევან და ფარნა ოდიშარიები**) მიერ დანგრეული იქნა II ნოსირის ეკლესია და დარჩა ცარიელი მინდორი. ამავე წლიდან სხვებთან ერთად ჩაებნენ საზოგადოებრივ მუშაობაში **მიშა და ვანო ოდიშარიები**.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სოფელ ნოსირში ცხოვრობდა 1000-მდე სული მცხოვრები, 300-დე კომლით.

გლეხებს ედგათ გამჭვარტლული ფიცრული, ზოგიერთს-ჯარგვალი, ფაცხა, სახლის ერთ კუთხეში კი ბუხარი მთელი ჯალაბობით, შუაცეცხლი კერიაზე ზემოდან ჩამოკიდებული ჯაჭვით (ნაჭა) ქვაბის ჩამოსაკიდებლად; დიდი ქვის კეცი. ბევრი ავეჯის ბოლოწინიც ვის ექნებოდა.

მებატონეთა ხელში გლეხისათვის ალბათ არსებობდა არავითარი შეღავათი გადასახადისა; გადაუხდელობის შემთხვევაში ოჯახიდან მიჰყავდათ უკანასკნელი მარჩენალი პირუტყვი. მოსახლეობის უმრავლესობას არ ჰქონდა საშუალება, [illegible] ტომრით მებატონის კარებთან, ბატონი თუ გუნებაზე იყო, ასესხებდა სიმინდს, რომელიც გლეხისაგან ოფლით იყო მოწეული და მებატონის სასიმინდეში ჩალაგებული.

სოფელში დღესაცაა შემორჩენილი თქმულება ანდაზასავით: "კოჭლასა და მისი ჯორივით დაიკარგოთ" – იტყვიან როცა ვინმეს რაიმე საქმე გაუფუჭდება; დაკარგვის საქმე შეექმნება. თურმე **კოჭლა ოდიშარია** ცხოვრობდა სოფლის ცენტრში. ის ხშირად არ ემორჩილებოდა მებატონეს; მოურავს ეშინოდა მისი მწარე შენიშვნებისა. ერთხელ [illegible] დადიანს [illegible]: ან გადასახადს გადაიხდი, ან შენი დავალებით [illegible] სამუშაოდ, თავლაში [illegible] თუ როგორაა საქმე? იცოდე მეც შენისთანა კაცი ვარ, შენ არაფერს გიხდი, ჩემი ნაშრომი ჩემთვის მინდაო; მებატონეს კოჭლასთვის [illegible] მოუსპია. [illegible] [illegible] შემდეგ [illegible] [illegible] კოჭლას და [illegible] [illegible]. კოჭლა ამხედრებულა თავის საყვარელ ერთადერთ თეთრ ჯორზე, მის გასაცილებლად გამოსული [illegible] გლეხობას დაუბარებია: კარგად იყავით ძმებო, ნუ გეშინიათ, ასეთი უსამართლო ბატონის სამსახურში უარესი რა იქნება, მე ისევ ცოცხალი დავბრუნდებიო. მართლაც დაბრუნებულა კოჭლა, ჯორი კი არ დაკარგვია.

[illegible] გლეხის ავეჯი იყო: სკივრი (ზანდუკი) ფიცრის თუნუქით მოჭედილი, რაც ძვირფას სამზითვოდ ითვლებოდა; კამოდი – თეთრეულისთვის, საკერავი მანქანა მდიდარ ოჯახებში, კედელზე მიჭედილი ხის გრძელი ტახტი, რომელზეც რამდენიმე ადამიანი უნდა დამჯდარიყო; კუთხის კარადა უბრალო ფიცრით მოჭედილი, რათა არ მხარეზე სახლის კედელი გამოეყენებინათ; რკინის ჯაჭვის საკიდი (ნაფა), სამფეხა, ხის და თიხის [illegible], გობი, ქოთნები, [illegible] მარცვლის დასამუშავებლად, სპილენძის ქვაბი, ქვის კეცი, [illegible] ურო, [illegible], ლოგინი მდიდარ ოჯახებში. ძველად სავარცხლები საქსოვი იარაღი. ძველად სავარცხლით ქალები ოჯახებში ქსოვდნენ შალს, ფარდას; ძაფიან უხეში იყო. მაგრამ, სადა იყო უკეთესი. ჩითებით ქსოვდნენ წინდებს,

ხელთათმანებს, კაბებს.

მე-XIX საუკუნის 80-იან წლებში უთოდ ხმარობდნენ ძველს – გარეული ღორის იმჯს. ფლოსველის იოსელიანი კერავდა ჩოხა-ახალუხს, უძიროებს, ნაკერს ურჩევნოდა ასეთი უთოთი. შემდეგ შემოვიდა ჩუგუნის უთო, რომელსაც ცეცხლზე მიაფიცხებდნენ და ისე უნდა გახურებულიყო. შემდეგომი დროისა ნახშირის უთო.

საპონს მე-19 საუკუნეში აკეთებდნენ ძვლისაგან. ძვალს დაფქვავდნენ, დაუმატებდნენ სოდას, დაშლილი მასას ადუღებდნენ სოდასთან ერთად, გააციებდნენ და დაჭრიდნენ. შემდეგომ ადუღებდნენ ღორის ქონს, უმარილოს, სოდასთან ერთად სოდის ფქვილშერეულს; გააციებდნენ და დაჭრიდნენ. დიასახლისს თავი მოჰქონდა ძვირფასი საპნით. ოჯახობის ღორის ქონი მოსადუღებლადაც კი არა, საჭმელადაც არ იყო; მაშინ აგროვებდნენ ნაცარს, ჩაყრიდნენ დიდ ქვაბში, დაასხამდნენ ცხელ წყალს და ადუღებდნენ ერთ საათს, გააციებდნენ, რაც სუფთა წყალი გადაიწურებოდა, მშვენიერი სარეცხი საშუალება იყო,"ანკარას" ეძახდნენ.

1925 წელს გაიხსნა "სახალხო ბიბლიოთეკა." ბიბლიოთეკის ძირითადი ფონდს შეადგენდა ხალხის ქონება და გამდიდრდა ბიბლიოთეკაც. 1926 წლიდან აქტიურად მუშაობდა ბიბლიოთეკასთან არსებული დრამწრე.

გასაბჭოებამდე სოფელში საყოფაცხოვრებო ობიექტებიდან იყო წისქვილი, სამჭედლო, მაღაზია, ფურნე, თონე. ყველაზე მრავალი იყო წისქვილი, თითქმის ყველა უბანში (კერძო ოჯახებსაც ჰქონდათ საკუთარი წისქვილი). ძირითადი კულტურა სიმინდი იყო და უწისქვილოდ როგორ იცხოვრებდნენ, თანაც წყლის წისქვილი ნელა მუშაობდა. ამ ნელა მუშაობას ჰქონდა თავისი დადებითი მხარე – ფქვილი არ გადახურდებოდა. უკეთესი ხარისხი იყო და დიდხანსაც ინახებოდა. წისქვილში ურმით მოსული ხალხი ლამის ათენებდა, მით უმეტეს თუ გვალვა იყო და წყალი ცოტა მოდიოდა. ოჯახებში ჰქონდათ ხელის საფქვავებელი ანუ "წისქვილი" – საკიბო.

მეწვრილმანეების ღორის კერძო ფერმები ხშირდებოდა დუქნებს. ბევრმა მათგანმა გასაბჭოების შემდეგაც გააგრძელა ვაჭრობა გარკვეულ ბაზრობებში ("ნიჟის" ბაზრობა). საკუთარ უბნებში

დუქნებთან ერთად ჰქონდათ: თონე, სამჭედლო და სხვა. არ იყო სოფლად საპარიკმახერო, აბანო, რაც ზედმეტ ფუფუნებად მიაჩნდათ; სოფელში არ იშოვებოდა საფეიქრო ნაწარმი; კერძო ვაჭრებს შემოჰქონდათ შორეული ქალაქებიდან, ყიდდნენ ძვირად. ამის შესაძლებლობა არ ჰქონდათ სოფლის მცხოვრებთ და გლეხის ქალები ქსოვდნენ შინ ("ზეზე" და სავარცხლით). გლეხის სამოსი უმეტესად შინ ნაქსოვისგან იკერებოდა, იკერებოდა ხელით, [illegible], ყველას როდი ჰქონდა საკერავი მანქანა. მამაკაცები ატარებდნენ ნაცრისფერ ჩოხა-ახალუხს; წელზე-ქამარ-ხანჯალი, თავზე-ბოხოხი ან ყაბალახი, ფეხზე-პაიჭები.

ღარიბ გლეხებს ფეხზე ეცვათ ქალამნები – შინ შეკერილი, შინაურულად დამზადებული ტყავისგან. საქალამნე ტყავი გლეხებში ერთ-ერთი კარგი საჩუქარი იყო. ატარებდნენ ქალამნებთან პაჭიჭებს, მატყლის ძაფისგან მოქსოვილ სქელი და გრძელი წინდის ზედა სამაგრით. ზამთარში იხურავდნენ ნაბადსა და ყაბალახს.

ქალებს ეცვათ გრძელი "კუდიანი" კაბები, "ხაბალდები," წელის ზევით ვიწრო და მჭიდროდ დაკერებული, წელისქვევით-ნაოჭებიანი; განიერი, სახელო იდაყვამდე ვიწრო. იდაყვს ზევით "ზბორიანი". ქალი მთელი წლის მანძილზე ზრუნავდა, რომ სადღესასწაულოდ მოესწრო ახალი დარაიის მოქსოვა და კაბის შეკერვა. საცვლები იკერებოდა შინ ნაქსოვი ქსოვილისგან. ქსოვდნენ "ჩულქებს," წინდებს; აუცილებელი იყო კაბის შიგნით "ზბორიანი" "იუბკა". აბრეშუმის პარკისგან ამზადებდნენ ძაფს და [illegible] ძაფისგან ქსოვდნენ თავსაფრებს, ყაბალახებს. ქალებს ფეხზე ეცვათ მაღალყელიანი, წინსაწვრიანი ფეხსაცმელები ("პოლუსაპოჟკები"). შინ, სახლში ატარებდნენ ქოშებს, უბრალო ხისგან გამოთლილებს, რომლებსაც მაღლა წინა მხარეს გადაეკვრებოდა ტყავი ან სქელი ნაქსოვი. უფრო გვიან შემოვიდა "ჩუსტები" ("ჩაფლუს"), რაც იკერებოდა ძალიან უხეში რეზინისგან, იშვიათად-ტყავისგანაც. ქსოვდა ყველა ქალი, მაგრამ გამოირჩეოდნენ კარგი მქსოველები: **ბეფუცა და ნინო ლომშარიები.** დღეს ზოგიერთებს შემორჩათ ჩოხა-ახალუხი, ქამარ-ხანჯალი, პაიჭები, ყველაფერი-უმაღლესი ხარისხის.

გასაბჭოებამდე ერთადერთი საიმედო ტრანსპორტი იყო ურემი. შეძლებული გლეხი კარგ

ხარებს შეაბამდა და თავს იწონებდა. ხარებს განსაკუთრებით პატივს სცემდნენ, რომ პატრონი არ შეერცხვინა. რქები დიდი და ლამაზი უნდა ჰქონოდა. მეტად ფასობდა ლამაზრქებიანი (საყარე) წითელი ან ღვინისფერი ხარი. თუ გლეხი მუშაობისგან მოიცლიდა, შეაბამდა ხარებს, დაჯდებოდა ურემზე და მიღიღინებდა. ამით ხაზს უსვამდა, რომ მისი პატრონი, მფარველი, საკუთარი თავის მეტი ბატონი იყო.

სოფლის მთავარ გზაზე ზოგჯერ გამოივლიდა ქალაქიდან ეტლი, რაც დიდად აკვირვებდა გლეხებს. ვაჭართა მოხშირების შემდეგ მოხშირდა ეტლიც. მასპინძელს თავი მოსწონდა, თუ მის ოჯახში სტუმარი ეტლით მობრძანდებოდა. რაკი ეტლით მგზავრობა სასახელო იყო, ზოგიერთი მდიდარი ვაჭარი შეზარხოშდებოდა, ორ ეტლს დაიქირავებდა, ერთში თვითონ იჯდა, მეორეში-მარტო ქუდი ედო, რომ უფრო ესახელებინა თავი, "მიყურეთ რა დიდი კაცი ვარო."

ძველი გადმოცემით გზა, რომელიც გადის II სასაფლაოსთან, სამხრეთის უბნის მიმართულებით (ზოგან მოშლილია და ყანებისთვის შეერთებული), გაკეთებული უნდა იყოს მე-6 საუკუნეში. ეს ყოფილა მთავარი საქარავნო გზა, რომელიც აკავშირებდა საქართველოს გარეშე ქვეყნებთან: სპარსეთთან, ოსმალეთთან, ინდოეთთან, ჩინეთთან. თბილისისაკენ (ფოთი) მავალი ვაჭრები ამ გზით დადიოდნენ. ტეხურზე ხიდი არ იყო და ფონზე უნდა გადასულიყვნენ. XII საუკუნეში – თამარის მეფობის დროს ეს გზა შეუკეთებიათ. იმ დროის ხიდ-ნაგებობები ნამყოფილია ამ გზაზე და ახლაც მოქმედებს. სერგი ჭილაიას თავის წიგნში "ეკატერინე ჭავჭავაძე" მოხსენიებული აქვს ეს გზა. ამ გზაზე ეტლით გაუვლია მაყრიონს, რომელიც სამეგრელოს დედოფალს, ჭავჭავაძის ასულს მიაცილებდა; გასულან მდინარე ტეხურზე, მისულან ოტია დადიანის სასახლეში, ქორწილი იქ გადაუხდიათ და იქიდან ძველი სენაკით მარტვილს წასულან. ამ გზას "ნაოხი"-ს ეძახიან.

1872 წლიდან სოფლის ცენტრში გადის ფოთი-თბილისის რკინიგზა. აქვეს ხიდი მდინარე ტეხურზე, რომელიც იყო ერთადერთი სამოძრაო ხიდი 1929 წლამდე. 1916 წელს ეს ხიდი შეანგრია წყალდიდობამ, რომელიც მოყვა დიდთოვლიანობას. თოვა დაუწყია

19 იანვარს ძველი სტილით და თოვლი 2 მეტრზე მეტი ყოფილა. მარჯვე მამაკაცებმა ისინი ოჯახები დაასაფლავეს. 1915-1916 წლებში ყოფილა წყალდიდობები. მდინარე ჭიხური ადიდებულა და სოფლის ცენტრამდე მიუღწევია.

1921 წელს მენშევიკებმა ეს ერთადერთი ხიდი ამოიღეს მიზანში და ააფეთქეს, რომელიც დაზიანდა. შემდეგ შეაკეთეს და იმუშავა 1929 წლამდე. 1928-29 წლებში გაკეთდა რკინიგზა და ძველი ხიდის გვერდით გააკეთეს ახალი ხიდი. ძველი ხიდის საძირკველი დაეთმო სამანქანო გზას, მაგრამ ეს ხიდი მაინც კეთილმოუწყობელი იყო და საჭირო გახდა ახლის აშენება. 1970 წელს ხიდის ბურჯმა ჩაიწია და საჭიროდ ცნეს ადგილის გადანაცვლება. შეუდგნენ ახალი ორსართულიანი ხიდის მშენებლობას. ერთი – ქალაქ სენაკს უკავშირდება, მეორე – რკინიგზაზე გადადის. რკინიგზის გვერდით მიდის მთავარი გზატკეცილი. ამ მშენებლობაში სხვებთან ერთად მონაწილეობდა **ნიკო ოდიშარია**.

ძველად სოფლად საძებარი იყო წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი. ათ კაცში ერთმა თუ იცოდა, დიდი ამბავი იყო. ეკლესიასთან ყოფილა დაწყებითი სკოლა, სადაც მასწავლებლობდა მღვდელი; სწავლობდნენ მდიდართა შვილები. სკოლაში ასწავლიდნენ საღვთო წიგნებს, აზეპირებდნენ სახარებას, უნერგავდნენ მეფისა და ბატონისადმი მორჩილებას. 1910 წელს სკოლის დირექტორმა გასწია აგიტაცია სკოლის ახალი შენობის ასაგებად. შეიქმნა სპეციალური ჯგუფი **ალექსი ოდიშარიას** მეთაურობით.

1917 წელს გაიხსნა სამინისტროს დაწყებითი სკოლა (III კლასი), რომელიც ერთგანყოფილებიანი იყო - ერთი კლასი 15 მოსწავლით. 1925 წელს ხალხის სახსრებით და შრომით აშენეს ორკლასიანი სკოლა, რომელიც მალე ოთხკლასიან სასწავლებლად იქცა, შემდეგ კი - გადაკეთდა შვიდწლიან შრომის სკოლად. 1937 წელს აშენდა ამჟამად არსებული სკოლის კაპიტალური შენობა და 1937-38 სასწავლო წელს გადაკეთდა საშუალო სკოლად. გაუმჯობესდა სკოლის მატერიალური ბაზა. სკოლას მიემატა ხუთი კლასი და ასე შეიქმნა II და III კლასის 8 წლიანი სკოლა.

1944 წელს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე **ნადეჟდა ილარიონის ასული**

**ოდიშარია.** 1947 წლის გაუმჯობესდა სკოლის მატერიალური ბაზა, გამოიყო სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, სპორტული მოედანი და კაბინეტები. 1955 წლის სკოლას მიუშენდა 4 ოთახი, სკოლა გადავიდა ერთცვლიან მეცადინეობაზე, გამოიყო ცალკე კლას-კაბინეტები.

სოფლის მებატონე ნიკო დადიანის ცოლი ყოფილა აკაკი წერეთლის ბიძაშვილი, მერი სიმონის ასული წერეთელი. აკაკი ჩამოდიოდა ამ ბიძაშვილთან, თავის ნათელ მზიას არ აკლებდა ნოსირის სკოლასაც. მას 1910-11 წლებში ახალი აშენებული სკოლა ძალიან მოსწონებია.

საბჭოთა პერიოდამდე ნოსირში არ არსებობდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, გარდა ეკლესიისა. 1966 წლის II და III ნოსირის მცხოვრებლებმა მიიღეს კულტურის სახლ-კლუბი-ბიბლიოთეკა.

ვიდრე სამედიცინო დახმარება სოფელში, მოსახლეობას ეხმარებოდნენ სასულიერო პირები. დროთა განმავლობაში ხალხმა ისწავლა წამლების გაკეთება ბალახეულისგან. ამჟამად სოფელს ემსახურება მედპუნქტი 12 თანამშრომლით.

1870-75 წლებში სოფლის სიახლოვეს არ იყო ბაზარი. ძველ სენაკში წელიწადში 3-ჯერ იმართებოდა ბაზრობა "იარმუკობა" – პირუტყვით ვაჭრობა. "იარმუკობა"-ზე არა მარტო ახლო სოფლებიდან, არამედ იმერეთ-გურიიდანაც მოდიოდა ხალხი. 1872 წლის შემდეგ გაიხსნა ბაზარი ახალსენაკში. რკინიგზის გაყვანის შემდეგ ნოსირელები არა მარტო სენაკის, არამედ ქალაქ ფოთის ბაზრითაც სარგებლობდნენ. გლეხის ფულადი შემოსავლის წყარო მთლიანად ბაზარზე გატანილი ფრინველი და პირუტყვი იყო. ყოველთვის იაფად იყიდებოდა და გლეხს ფული მუდამ ესაჭიროებოდა, რასაც ბაზრიდან მოიტანდა მებატონისა და მოხელეთა ვალებს ვერ აუდიოდა.

1928 წლის შეიქმნა მიწის საერთო დამუშავების ამხანაგობა "ჯგუფი" (ასე უწოდებდნენ) ხუთ-ხუთი ოჯახის შემადგენლობით. I ჯგუფში სხვებთან ერთად შედიოდა **ილარიონ ოდიშარია.** მოგვიანებით მიიღეს კრედიტი და შეიძინეს ხარები – გამწევი ძალა და სასოფლო იარაღები, რომელიც საერთო სარგებლობაში იყო.

[illegible] 1929 წელს. 1929-30 წლებში [illegible] იყო **[illegible]**.

1929-32 წლებში II და III [illegible] “[illegible]”. ([illegible]); [illegible] და [illegible]. [illegible] იყო **[illegible]**.

[illegible] 1937 წლის [illegible] და [illegible], [illegible] იყო **[illegible]**. 1940 წელს [illegible] – [illegible].

[illegible] და [illegible], 2-3 [illegible] და [illegible]. [illegible] იყო **[illegible]**.

[illegible] და [illegible]... [illegible]; [illegible], [illegible] და [illegible]. [illegible] “[illegible]” [illegible], [illegible]. [illegible]; [illegible] და [illegible]; – [illegible] და [illegible] – [illegible], [illegible].

[illegible], [illegible]: [illegible], [illegible]

სამოსახლოდ. სოფლის თავკაცები არ დაბრუნებულან, დაუდგომიათ ფუძეში რაიონის ხელმძღვანელობას რჩევა და ის ადგილი სანერგედ გადაუქცევიათ. 1961 წლამდე აქ იყო სანერგე-საცდელი სადგური.

მეურნეობას გააჩნია საკმაო რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. მეურნეობის ძირითადი დარგია დაფნა, არის სიმინდი, სოიო.

მეურნეობის ტერიტორიაზე აშენებულია: მეურნეობის დირექციის ორსართულიანი შენობა, კეთილმოწყობილი სასტუმრო მუშების და სპეციალისტების საცხოვრებელი სახლი. საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა, აბანო, ავტოსადგომი, სასადილო, მაღაზია, ფარეხი, დაფნის საშრობი ფარდულები, სამჭედლო და სამეურნეო დანიშნულების შენობები.

1927 წელს ნოსირის ტერიტორიის აღმოსავლეთ საზღვართან, სანესელოს უბანთან აშენდა აგურ-კრამიტის ქარხანა. პირველი აგური სხვებთან ერთად მიიღო **ონისე თოდუაშვილმა.** თავდაპირველად ქარხანაში ყოფილა კუსტარული განყოფილებაც – ამზადებდნენ დოქებს, ქოთნებს... პირველ 15-20 წლის მანძილზე ქარხნის მუშაობა იყო პრიმიტიული. 1962 წლიდან ქარხანა შეუერთდა სენაკის კირის ქარხანას და შეიქმნა სამშენ მასალათა კომბინატი.

1959 წელს **სათოდუაშვილოს** უბანში დაარსდა სასელექციო სადგური – საქართველოს სასელექციო სადგურის კოლხეთის ფილიალი. აქ მეცნიერული დაკვირვებების შედეგად გამოყვანილია სიმინდის ჯიშები, რომლებიც ფართოდაა დანერგილი შუა აზიის რესპუბლიკებში. გამოყვანილია სოიოს ახალი ჯიშებიც.

სასიოს უბანში, მდინარე ტეხურის მარცხენა მხარეს, გაშლილ ფართო მინდორზე, გაშენებულია რამდენიმე წარმოება-დაწესებულება: საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმა, სენაკის ინკუბატორის ფრინველთა გამოსაზრდელი განყოფილება, საკოლმეურნეობათაშორისო მეღორეობის მეურნეობა, სენაკის საკოლმეურნეო სამშენებლო ორგანიზაცია "სსო."

სოფლის ცენტრიდან ორასიოდე მეტრის დაშორებით, მდინარე ლაღიჩის ნაპირზე, 1969 წლიდან მუშაობს ლიმონათის საამქრო.

ტელეფონის ხაზი ნოსირში პირველად გაიყვანეს 1928 წელს. სოფლის ცენტრშია კულტურის სახლი. ორგანიზებულად, მოწესრიგებულად ტარდება მასობრივი ღონისძიებები. სოფელში არის: მაღაზია, სასოფლო საბჭოს შენობა, რკინიგზის ბაქანი, სავაჭრო ფარდული, სასადილო, ბიბლიოთეკა, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ფოსტა, ოთხსართულიანი საშუალო სკოლის შენობა და სხვა.


ტატიანა ოდიშარია

P.S. ზემოთმოყვანილი ნარკვევი, სოფელ ნოსირის შესახებ, დაწერილია ქალბატონ ტატიანა ოდიშარიას მიერ 1977 წელს და ასახავს იმდროინდელი ნოსირისა და ნოსირელების ცხოვრებას. ავტორისეული სტილი შენარჩუნებულია და ნარკვევსაც გთავაზობთ უცვლელად.

(გაზეთი “მახარია”, 2000 წელი, № 3-4, გვ. 10).

## სამარგალო

სამარგალო-გურიშ კილა,
ღორონთიში კართეშ ორო.
ლურჯულანა მარგალეფი,
ჯიმალეფიწყუმა-წორო.

ჩქიმი სკვამი სამარგალო
ოხვამურ ჯაში ელნარღირე,
გაფურინანს მაფშალია –
ოშ ხონარშა ელმაჭირე.

ვოი ნანა გოლვაფირო,
სქანი მანგი მითინ ვარე:
მა ვორექუ, ჯიჯე ჯუიში,
მასქურ წყუმა მიღგუ კარე.

სქან სანთელო, სქან გოლყა,
სამარგალო, ჩქიმი დიდა,
მა ვამოკო, მა ვამოკო,
უსკანეთუ წუმოძინა.

სამარგალო-გურიშ კილა,
ლორონთიში კართეშ ორო.
ლურჯულანა მარგალეფი,
ჯიმალეფიწყუმა-წორო.

(ლია ნაროუშვილი – ენციკლოპედია "აბაშა." 2010 წელი).

საქართველოში **ოდიშარიათა** დიდ-პატარის, ქალისა-მამაკაცების საერთო რაოდენობა ათას ორას ორმოცდათექვსმეტს (1256 სული) აღწევს, აქედან: [illegible] ყველაზე დიდი და ძირძველი სამკვიდროა ნოსირის თემი, ძირითადად **საოდიშარიო**.

საქართველოში **ოდიშარიები** ცხოვრობენ:

**სამეგრელოში სულ – 603 სული.** მათ შორის: სენაკი – 327 სული, მარტვილი – 161 სული, ფოთი – 58 სული, ზუგდიდი – 30 სული, აბაშა – 25 სული, ჩხოროწყუ – 1 სული, წალენჯიხა – 1 სული.

**თბილისში – 303 სული.**

**აფხაზეთში სულ – 177 სული.** მათ შორის: სოხუმი – 127 სული, გალი – 30 სული, ოჩამჩირე – 9 სული, გულრიფში – 6 სული, გაგრა – 5 სული.

**იმერეთში სულ – 80 სული.** მათ შორის: ქუთაისი – 59 სული, ხონი – 8 სული, ვანი – 6 სული, ტყიბული – 2 სული, წყალტუბო – 2 სული, სამტრედია – 1 სული, საჩხერე – 1სული, ბაღდათი – 1 სული.

**აჭარაში სულ – 42 სული.** მათ შორის: ბათუმი – 41 სული, ქობულეთი – 1 სული.

**ქვემო ქართლში სულ – 29 სული.** მათ შორის: რუსთავი – 27 სული, ბოლნისი – 1 სული, გარდაბანი – 1 სული.

**გურიაში სულ – 10 სული.** მათ შორის: ოზურგეთი – 9 სული, ჩოხატაური – 1 სული.

მცხეთაში – 2 სული.

კახეთში – 1 სული. გურჯაანი – 1 სული.

ლეჩხუმში – 1 სული. ცაგერი – 1 სული.

სამცხეში – 1 სული. დმანისი – 1 სული.

საზღვარგარეთ სულ – 2 სული.

(კ. კვაჭანტირაძე – ქართული და ქართულ-ებრაული გვარ-სახელები. 2017 წელი, გვ.386.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირი "გვარი და გვარიშვილობა" – გვარსახელები საქართველოში. 2018 წელი, გვ. 675).



ღმერთმა ამრავლოს ოდიშარიათა გვარი!

ნადარი მაისურაძე



# [illegible]

თბილისი

2021



სამეგრელოს აღმოსავლეთი ნაწილი გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაახლოებით 85 კილომეტრის მანძილზე, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ – 35 კმ-ზე. მთელი მხარე რელიეფურად შეიძლება გაიყოს სამ ნაწილად: ჩრდილოეთი-მთიანი, შუა-ცენტრალური-გორაკ-ბორცვიანი და ვაკე, სამხრეთი-ვაკე-დაბლობი.

მხარის ფარგლებში მოქცეულია სამეგრელოს ქედის ცენტრალური ნაწილის სამხრეთი ფერდობი მისი გვერდითი განშტოებებით.

სამეგრელოს ქედისა და მისი გვერდითი განშტოებების ერთიმეორისაკენ მიქცეული დანაწევრებული ფერდობები ქმნიან ამ რაიონის ჩრდილო მთიან ნაწილს, რომელიც მთა-ხეობიანი, საკმაოდ ძნელად გასავლელი რელიეფით ხასიათდება.

მხარის ცენტრალურ ნაწილში განედურად გადაჭიმულია შედარებით ნაზი ზედაპირის მქონე ბორცვიანი წინა მთების ზონა, რომელიც მკვეთრადაა დანაწევრებული მხარის ფარგლებში მოქცეულ მდინარე ტეხურისა და მდინარე აბაშის შემდინარეებით.

XVII საუკუნის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც 16 წელი გაატარა სამეგრელოში, მიმზიდველად აღწერს სამეგრელოს ბუნებას. იგი წერს: "ბუნებას უხვად დაუბერტყია სამეგრელოსთვის თავისი კალთა და მიუცია მოხერხებული და მშვენიერი მდებარეობა. სამეგრელო მდიდარია ამწვანებული გორაკებით, ვრცელი ველებით, კეკლუცი ჭალაკებით, მდინარეებით, ღელეებით და წყაროებით, რომელიც ყოველის მხრით ჩამოდის."

ვახუშტის აღწერა უფრო კონკრეტულია: **"არს ჰავითა ესე ოდიში მშვენი. ზაფხულის ზღვის პირნი და ვაკენი, ცხელი და არა გაუძლისი, მთის კერძონი გრილნი, აგარაკოვანნი, კეთილნი, ზამთარ თბილი. არამედ ზაფხულიცა სველი. და ნამიანი და ნოტიონი. გარნა უწყინარ-უვნო. უქარო და უყინვო. დიდ თოვლიანნი."**

ცნობილი პუბლიცისტი არტურ ლაისტი წერს, რომ სამეგრელო არის უმშვენიერეს მცენარეთა სამყაროსგან დაფარული ქვეყანა, რომლის ქვემო ნაწილი შესანიშნავ ბაღს ემსგავსება, ხოლო ზემო ნაწილი მოიცავს სამხრეთის მთიან პეიზაჟის მრავალფეროვან მშვენებას; ბუნება ლამაზია ამ ქვეყანაში, მისი ზედაპირის ყოველი მტკაველი მწვანეა და გაზაფხულზე იშვიათ სილამაზეს ქმნის. ყოველ სოფელს გარს არტყია ხეხილის ბაღი, რომელიც ჩინარით, მუხით, მჟავე კენკრის ხით და აკაციებით არის დაფარული. ტყეებში დგანან მუხები, თელა, წიფელა და ნეკერჩხალი. სამეგრელოს საერთო სურათი

წარმოადგენს მრავალფეროვან მშვენებას და ვინც ის არ ნახა მარტვილის მონასტრის სამრეკლოდან მუდამ სიამოვნებით მოიგონებს მას – ჩრდილოეთით გადაჭიმულია მდინარე აბაშის ხეობა; აღმოსავლეთით – მწვანე იმერეთი; დასავლეთით ჰორიზონტზე ზღვა ლივლივებს; სამხრეთით გადაჭიმულია ახალციხის მთები თავისი თოვლიანი მწვერვალებით. ამ შესანიშნავ ჩარჩოებს შორის ყველაზე მწვანე სამეგრელოა თავისი ტყეებითა სიმინდის ველებით, სოფლებითა და ბაღებით, მზეზე მოციმციმე ჩანჩქერებითა და მდინარეებით.

სამეგრელოს აღმოსავლეთი მხარის მთიანეთი განთქმული იყო თავისი სალი ჰაერით და მინერალური წყლებით. აქ მრავლად ჰქონდათ მთავრებს სააგარაკო ადგილები. ერთ ასეთი ადგილია მთიანი მხარის ცენტრი სალხინო, რომელიც თავიდანვე მთავრების დროის სატარებელი, სალხინო ადგილად იყო მიჩნეული და სახელწოდებადაც დაიმკვიდრა იგი.

უკიდურეს აღმოსავლეთით, მდინარე ცხენის-წყლის სანაპიროზე არის სააგარაკო ადგილი გორდი, სადაც მთავრებს გაშენებული ჰქონდათ საზაფხულო სასახლე და წელიწადის თბილ დროს აქ ატარებდნენ.

დიდებულ ადგილს წარმოადგენდა ჭყონდიდი, სადაც აშენებულია მარტვილის მონასტერი. ეს ადგილი იმდენად მოსწონებია ქრისტიანულ აღმოსავლეთში სახელგანთქმულ სასულიერო მოღვაწეს გიორგი მთაწმინდელს, რომ მეფე ბაგრატ მეოთხესთან ერთად აფხაზეთში მიმავალს, ზამთარი აქ გაუტარებია. **"ზამთარი მუნ დავყავითო."**

უკიდურეს ჩრდილოეთით, მდინარე ტეხურის ხეობაში მრავლადაა აღმოჩენილი მინერალური წყლები; აქ ყველაზე მნიშვნელოვანი კურორტია ლებარდე.

მხარის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მდინარე ტეხურის ხეობას უჭირავს. იგი იწყება მთა ტეხურას-ღელის სამხრეთ ფერდობზე, 3000 მეტრის სიმაღლეზე, ერთვის მდინარე რიონს ისულასთან. ვახუშტი წერს, რომ ტეხურად **"იწოდა ჩქარად დინებისაგან, რამეთუ შემუსრავს და მტეხარე ჰყოფს ხიდსა თუ სხვასა რაის."** მისი სიგრძე 109 კილომეტრია.

მეორე მნიშვნელოვანი მდინარეა აბაშა, რომელიც გამომდინარეობს ასხის მთიანი მასივის სამხრეთ ნაწილში; სოფელ ბალდაში, ადგილ რაჩხადან; სიგრძე შეადგენს 71 კილომეტრს; ერთვის მდინარე ტეხურას სოფელ ისულეთის ზემოთ.

მესამე მდინარე-ცხენის-წყალი აღმოსავლეთ საზღვარზე მიედინება; იწყება კავკასიონის ქედის მუდმივი თოვლისა და მყინვარების ზონიდან, დაახლოებით 2708 მეტრის სიმაღლიდან. მდინარე ცხენის-წყალი გამომდინარეობს ცენის მთებიდან. იქაა სოფელი ცენი და ცენის წყალი.

მხარის ჩრდილოეთით გადაჭიმულია ხე-ტყითა და საძოვრებით მდიდარი ასხის მთა. იგი ლეჩხუმისა და სამეგრელოს საზღვარზე მდებარეობს. ეს არის მდინარე ჯონოულის

დასავლეთით მდებარე ვრცელი მაღლობი. ამ საბალახოებს დასავლეთისაკენ წაგრძელებული სამკუთხედის ფორმა აქვთ. ასხის შუა ნაწილი ან მაიდანი წარმოადგენს ვრცელ დავაკებას... აბსოლუტური სიმაღლე 2 100 მეტრს აღემატება.

ასხის მთის კომპლექსში ყველაზე მნიშვნელოვანია ქვიბიის მთა, რომელიც უშუალოდ ეკვრის მხარეს ჩრდილოეთით და მთა ტურჩუ.

**ჭყონდიდი** – სახელია იმ ადგილისა, სადაც, ჭვენიას მთაზე აშენებული ტაძარი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ატარებდა მარტვილთა (ქრისტესათვის წამებულთა) სახელს. ეს სახელწოდება წარმართული საწმუნოების დროინდელია, როდესაც თაყვანს სცემდნენ ხეს-ჭყონს, მუხას. ვახუშტი ბაგრატიონი ამის შესახებ წერს: **"ბანძას ზეით და ცხენისწყლის დასავლით, და მისი მჭვრეტი მაღალს ადგილზედ არს ჭყონდიდი. ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, მარტვირისა. ეს აღაშენა... მეფემან აფხაზთამან გიორგიმ და შეამკო ყოვლითა შემკობილებითა საეკლესიოსათა. დაფლული არს მეფე ბაგრატ. მანვე დასვა მუნ ეპისკოპოზი, და აწცა არს მწყემსი უნაგირას აღმოსავლეთისა ცხენისწყლამდე."** (ვახუშტი, 1997წ. გვ. 167).

მთავარეპისკოპოსი ჭყონდიდელი, რომელსაც ახასიათებდა მეფის ხელისუფლებისადმი ერთგულების ორსაუკუნოვანი ტრადიცია, დავით აღმაშენებელმა გახადა მწიგნობართ უხუცესად, პირველ ვაზირად. ჭყონდიდელის ხელში გაერთიანდა უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლება. ასეთი დიდი პირის საეპისკოპოსო დიდებული უნდა ყოფილიყო; მის ხელში დიდძალი ადგილ-მამული იქნებოდა თავმოყრილი.

XIX საუკუნეში რუსეთის მეფის მიერ წარმოგზავნილი კორნელი ბოროზდინი თავის წიგნში "სამეგრელო და სვანეთი. მოგონებანი" წერს, რომ: "ჭყონდიდელი იყო მწყემსი ეკლესიისა, ამავე დროს იყო პატრონი უზარმაზარი საეკლესიო მამულისა, რომელზედაც ესახლნენ აზნაურნი და გლეხები, მისი ქვეშევრდომნი; ეს მამულია "საჭყონდიდლოდ" წოდებული."

უფრო ადრე XVIII საუკუნეში პეტერბურგის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის მიერ 1771-1772 წლებში ჩატარებული ექსპედიციის სახით მოვლინებული იოჰან-ანტონ გიულდენშტედტი თავის წიგნში "მოგზაურობა საქართველოში" წერს, რომ: "საჭყონდიდლო დიდი სოფელია 1500 ოჯახით."

თვით მარტვილის ტაძრის გარშემო მდებარე სოფლები ჭყონდიდელის საეკლესიო მამულს შეადგენდა, 1871 წლის აღწერის წიგნიდან: "აღწერილობანი ადგილმამულთა, რომელიც შედიან სამაიორატო მამულსა შინა მისი უგანათლებულესობის კნიაზის მენგრელიისა სენაკის მაზრაში,"


საქართველოს სამოციქულო
ავტოკეფალური მართლმადიდებელი
ეკლესიის ეპარქიების რუკა

ჩანს, რომ ეს სოფლები იყო: მარტვილი, **ინჩხური**, საელიავო, ნახარებოუ, ნაგვაზაუ; ამ მხარეს „საჭყონდიდელო“-ს (საჭყოინდელო) ეძახდნენ და გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა. ამრიგად, სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილში ჭყონდიდის ეპისკოპოსს ჰქონდა დიდი მამული – „საჭყონდიდელო.“

**(შ. ჯღარკავა – თსუ შრომები. 1965 წელი. № 113 ტ. გვ.269).**

**გეგე** – იგივე წმინდა გიორგია. **ჭყორი** მეგრულში აღნიშნავს მონას. მაშასადამე, **გეგეჭყორი** წმიდა გიორგის ეკლესიის ყმაა (როგავა, 1955წ).

ბატონიშვილი იოანე ბაგრატიონი ოდიშის აზნაურთა შორის ასახელებს **გეგეჭყორს**: „გეგენა ჭყორელი იყო და ამან გეგენამ მიიღო აზნაურობა სამსახურისა გამო მეფისა და მიუბოძა **გეგეჭყორობა** გვარად და გაუყვარდა ესე“ (ი. ბაგრატიონი, 1997 წელი, გვ. 133). ამასაც უბნობენ, მამა-პაპით მოყოლითი ეკლესიის სამსახური **გეგეჭყორებს.**

როგორც ცნობილია, **გეგეჭყორები** მოიაზრებიან მარტვილის წმინდა გიორგის მონასტრის მსახურებად. ამ გვარის ისტორიას კი ლეგენდის სახე აქვს: ერთ სვან თავადს, დადეშქელიანს, დანიშნული ქალი მოუტაცებია და მარტვილში გამოქცეულა. შეყვარებულები ერთ ოჯახს შეუფარებია. ახალგაზრდებს ჯვარი წმინდა გიორგის ტაძარში დაუწერიათ. მეგრელებს მოუთხოვიათ, ცოდვისაგან განსაწმენდად თქვენი შთამომავლობის ყოველ თაობაში ერთი ვაჟი სასულიერო პირი უნდა გახდესო. ეს პირობა არ დარღვეულა. დადეშქელიანს, როგორც წმინდა გიორგის შეფარებულს, გვარად მიანიჭეს **გეგეჭყორი**, რაც წმინდა გიორგის ყმას ნიშნავს.

**(დ. შალვაშვილი – საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სარეზერვო განყოფილების მთავარი სპეციალისტი, გაზეთი „კვირის პალიტრა,“ 2016 წელი, 6-12 ივნისი. № 23. გვ. 13).**

ქართულ საისტორიო საბუთებში **გეგეჭყორთა** გვარი XVII საუკუნიდან იხსენიება.

ღმრთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, **გეგეჭყორთა** გვარის მეომრები ქუდზე კაცად გამოდიოდნენ იმერეთის სამეფო ლაშქარში, მთავარ დადიანთა დროშის ქვეშ.

**ეგე(გე)ჭყორი//საგე(გე)ჭყორო** – უბანია მთა ტაბაკოლას კალთის ძირას, სოფელ პატარა ინჩხურში (ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი).

**ეგეგეჭყორე–გეგეჭყორების** უბანია ბოგაშში; დღევანდელი აკაკი წერეთლის ქუჩა ქალაქ

მარტვილში, სადაც 30 კომლი დაფიქსირდა.

საგეგეჯკორო – უბანია სოფელ ცაიშში (ამჟ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). აქაური გეგეჯკორები მოსულან ინჩხურიდან.

1843 წლის აღწერის მასალებით, ინჩხურში, ნალეფსაოში, მარტვილში, ნაგვაზაოში და ნოჯიხევში (ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი), ონტოფოში და მაცხოვრისკარში (ამჟ. აბაშის მუნიციპალიტეტი), სუხჩეში (ამჟ. ხობის მუნიციპალიტეტი) მცხოვრები გეგეჯკორები აზნაურები იყვნენ.

(პ. ცხადაია – გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. 2000 წელი. გვ. 64).

1696–1706 წლები. შეწირულობის წიგნი ხახუ ჩიჩუასი, ბიჭვინტის საბუთთაგან № 42. კათალიკოზის გრიგოლის თხოვნით სწირავს ბიჭვინტის ტაძარს წყალგზელ ბიჭს იოანე ლუხავას.

ქ: თავად მპყრობელისა ღთისა და ყოვლითა მისთა წმიდათა ნებითა და ჯერჩინებითა ესე წიგნი მოგართვი თავს ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს და შენგან და ძისა შენსა იესო ქრისტეს მიერ პირმეტყველთა ცხოვართა მწყსად ჩინებულს კ'ზს ბატონს გრიგოლს ჩუენ ჩიჩუამ ხახუამ, ასე რომე ერთი წყალიგზელი ბიჭი იოანე ლუხავა ცაიშელისთვის მიგეცეს და ცაიშელს დედა ჩემისვის მოეცა. მერმე ისევ მოინდომე და გთხოვეთ და მოგვირთმევია თავს შენი ბიჭვინტისა ღმრთისმშობელისათვის და თქვენთვის მოგვირთმევია და შეგვიწირავს კურთხეულის მამისა და დედისა ჩემის სახსრად და საოხად და ჩვენდა სადღეგრძელოთ და მშვიდობით და ყოველთა ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად. აწ ამის თავსმდებად მომიცემია თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი, კაცთაგან თავად ბატონი დადიანი და ბუჭუ აფაქიძე, დადიანის მაგიერი კაცი გაბუ გეგეჯკორი, ჩუენი კაცი გიორგი გვალია და ხარაძია მაცახერია. ვინც ეს მოშალოს, მასამც რისხავს უხრწნელი ღ'თის მშობელი და მისგან უთესლოდ განხორციელებული იესო ქრისტე ღმერთი ჩუენი და ამაზედ მოწერილთ მადლმა ხელით მართლის გულით ჩამირთავს. ჯვარი

(ს. კაკაბაძე – დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, 1921 წელი. I წიგნი. გვ. 99.
ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1954 წელი, A კოლექცია.
ტომი IV, საბუთების პირები № 1122. გვ. 135).

1700 წელი. როგორც ვხედავთ, ჭილაძეთა ყოფილი მამული ანუ აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, მარტვილის ღმრთისმშობლის და სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიების საკუთრებად იქცა. ფიზიკური პირი, ვინც ამას ფლობდა და განაგებდა,

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი იყო. ამ დროიდან მოყოლებული სუჯუნა ჭყონდიდელთა ერთ-ერთი რეზიდენცია გახდა.

ამ მხარეში ბატონობისა და კონტროლის უზრუნველსაყოფად ჭყონდიდელი მიტროპოლიტები განსაკუთრებით ზრუნავდნენ. რათა სუჯუნის ეკლესია შეემკოთ და გაემშვენიერებინათ ძვირფასი ხატებით, ჯვრებით და წმინდა ნაწილებით.

ამ განსაკუთრებულ მზრუნველობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ისინი მრავალ ყმა-მამულს სუჯუნის ეკლესიის სახელზე სწირავდნენ, რათა ეს ეკლესია სულიერ სიძლიერესთან ერთად მატერიალურადაც გაძლიერებულიყო. ამის დასტურია ჩვენამდე მოღწეული სიგელის შინაარსი:

"ქ. ნებითა ღმრთისათა ესე წყალობისა წიგნი მტკიცე და საბოლოოდ გასათავებელი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ დადიანის ბეჟანის ძემან ჭყონდიდელმან მიტროპოლიტმან გრიგოლ, შენ ჩვენს ყმას **გეგეჭკორის იოანეს** და შენს შვილებს, რომ გვეაჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი. ჩვენი საყდრისა მამული იყო შვაქალაქს (ამჟ. სოფელი ნაესაკოვი, აბაშის მუნიციპალიტეტი) შენ იქ გადაგასახლეთ, მოგაბარეთ ასე რომ პუმპულა (ყურძნის ჯიშია) რაც ამის ის კარგად აშენე და ჩვენთვის იყოს და სხვა რაც ყურძენი იყოს შენვის მომიცემია."

ჭყონდიდელ ეპისკოპოსთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ანტონ ჭყონდიდელი, რომელსაც დიდად უღვწია სუჯუნის ეკლესიისა და თვით დაბა სუჯუნის აღორძინებისათვის. ანტონ ჭყონდიდელი XVIII საუკუნის მიწურულს ცხოვრობდა (1754-1804). იგი სამეგრელოს მთავრის კარზე ოჯახის წევრი გახლდათ. განათლება ჯერ შინ, სამეგრელოს მთავრის კარზე, შემდეგ კი-ერეკლე II-ის მიერ დაარსებულ თელავის სასწავლებელში მიუღია. ანტონ ჭყონდიდელი თავისი დროის გამოჩენილი პიროვნება, უდიდესი სასულიერო მოღვაწე, მოქადაგე, ფილოსოფოსი, მთარგმნელი, სამშობლოსა და ერის მოჭირნახულე მამულიშვილი იყო. შესაძლებელია, რომ ხის ტაძრის ნაცვლად სუჯუნაში ქვითკირის ლამაზი საყდრის აგება მართლაც მის ჩანაფიქრს წარმოადგენდეს. მაგრამ XIX საუკუნის საეკლესიო აღწერილობიდან ირკვევა, რომ სუჯუნის ეკლესია 1845 წელს აუგიათ.

რასაკვირველია, იმხანად ამდენი ნაგებობა უცებ ვერ აშენდებოდა, ამიტომაც სავსებით შესაძლებელია სუჯუნის ტაძრის აგება XIX საუკუნის დასაწყისში ანუ ანტონ ჭყონდიდელის დროს დაწყებულიყო და 1845 წლისათვის დამთავრებულიყო.

ანტონ ჭყონდიდელს ტაძრის გარდა სხვა მრავალი სასიკეთო საქმეც უკეთებია სუჯუნაში. მუხუცთა თქმით სწორედ მისი მითითებით გაითხარა არხი "ცუდლარი," რომელსაც

# გეგეჭკორთა გვარის განსახლება საქართველოში




შემდგენელ-კარტოგრაფი ალექსანდრე ნაზღაიძე

უწინ "ჭყოინდაროიში ღალი" ანუ ჭყონდიდლის არხი რქმევია.

ეს არხი არა მარტო ჭაობიანი ადგილის ამოსაშრობად იყო გამიზნული, არამედ სანაოსნოდაც, რამაც სუჯუნა საფოსტო-სანაოსნო მაგისტრალს, რიონს, დაუკავშირა და მეტად დაწინაურებულ დაბად აქცია. ანტონ ჭყონდიდელს სუჯუნაში საკმაოდ დიდი საცხოვრებელი სახლი, ეპისკოპოსის რეზიდენცია ჰქონია. ეს სასახლე ალბათ სადმე ეკლესიის ეზოში იდგა. სამწუხაროდ, ამ სასახლის კვალი ჯერჯერობით არ ჩანს, სამაგიეროდ შემორჩენილია ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი:

სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს (1812-1853) ხობის მონასტრის იღუმენისათვის დაუვალებია გარდაცვლილი ეპისკოპოსის, ანტონ ჭყონდიდელის ქონების აღწერა. აღწერილობაში მარტვილისა და ნახარებაოს შემდეგ მოცემულია სუჯუნის სასახლის აღწერა. ჩამონათვალში სულ 182 დასახელების საგანია.

ამას გარდა მოცემულია იმ თანხის რაოდენობა თუ ვის რამდენი მანეთი გადაეცა გარდაცვლილის ანტონ ჭყონდიდელის ქონებიდან.

ამ აღწერილობას თან ერთვის აგრეთვე თამასუქების ნუსხაც, სადაც იმ მოვალეთა სახელებია ვისაც ანტონ ჭყონდიდელისაგან ფული უსესხნია. მოვალეებში არიან თავადები, აზნაურები, ვაჭრები, გლეხები. მათ შორის **ბეჟან გეგეჭკორს** აუღია სესხად 200 მანეთი.

დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა

**(ჟურნალი "სამეგრელო" 2014 წელი. "სუჯუნა საჭყონდიდლოს ცენტრი. "№ 4, გვ. 30-32).**

**XVIII საუკუნის I ნახევარი.** ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და ყოვლთა მისთა წმიდათა ესე საბოლოვოდ გასათავებელი სა[ა]ზატო წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხეულით კურთხეულმან ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან, დადიანის ბეჟანის ძემან გრიგოლ შენ ჩვენს ყმას **გეგეჭკორს მახარობელას**, შვილებს მიქელას და იესელას თქვენთა შვილთა და მომავალთა ასრე რომ ბიძა ჩვენს ჭყონდიდელს გაბრიელს თქვენი პაპისა და ბაბუისათვის სააზატო წიგნი მიეცა და კიდეც გქონდათ. აწ ჩვენ კიდე ხელახლავ გაგვიახლებია, შეგვიწევია: ნადობა, ყოვლისფერი ბეგარა და ცვრითობა ასრე, რომ შენს კარზედ ლაშქრობისა და ბატონის შინაყმობისა და სამსახურის მეტი არა მოდგებოდეს რა, ისე ყოვლისფერი შეგვიწევია.

აწ ამისად გასათავებლად მომიცემია თავად ღმერთი და ყოვლნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორცონი; კაცთაგან ამისი მოწამე ჩვენი წინამძღვარი დოლვაბერიძე სოფრონ, იესელიანი მთავარდიაკონი სვიმონ, მოურავი გლიავა წუწუ, მთავარდიაკონი გლიავა ნიკოლოზ, ჩვენ მაგიერი კაცი თევდორაშვილი სვიმონიკა.

დამიწერია მე, მღვდელ-მონაზონს ელიავას გერმანეს და მოწამეც ვარ ამისა.

ან, ვინცა და რამანც ძემან კაცისამან ეს ჩვენგან ბოძებული წიგნი შეეშალოს ან ჭყონდიდელმან, ერისკაცმან, ან ვინც ადამის შვილმან, მასამც რისხავს თავად დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანნი და ჩვენგან და ჩვენის ეკლესიისაგან წყეულ, შეჩვენებულიც იქმნება და მეორედ მოსვლას ჩვენის ცოდვის მუქაფალ განიკითხვის მართლმსაჯულის ღმრთისაგან, ამინ.

ბეჭედი: გრიგოლ*

(ი. დოლიძე – ქართული სამართლის ძეგლები, 1970 წელი, III ტომი, გვ. 815).

**1732-1788 წლები.** აქ მოხსენებული დადიანის შვილი გრიგოლი, უნდა იყოს კაცია II-ის ძე. წერილი დაწერილია კაცია დადიანის გარდაცვალებამდე – 1888 წლამდე.

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ ჯორჯიკიებმა თქვენ ბატონს კათალიკოზს: თუ რაც შენ პირობა მოგართვით, ეს გაუტეხოთ შენი ბიჭვინტისა ღვთის-მშობლის გამტეხი ვყოფილვართ და თქვენი დადიანის მოლალატე, მისი გრიგოლის მკვლელი, არის ამის მოწამე სიონის დეკანოზი იასე, დადიანის მაგიორი **გეგეჭკორი გაბუ**, ხობის კანდელაკი ბასილ ბერიძე, მაქსიმე ერისთავის შვილი პაპუნა. მე ამათ ყოველთა დამამტკიცებელმა კოზმა დავსწერე და მოწამეცა ვარ ამისა. ++

**(საქართველოს სიძველენი, 1920 წელი, I ტომი, გვ. 48).**

**1750 წელი.** გაბრიელ ჭყონდიდელის მიერ მღვდელ გიორგი ბერიძისადმი 1750 წელს ბოძებული წყალობის წიგნის მოწმეთა შორის არიან **გულა და ბუჟუ გეგეჭკორები.**

**(ი. დოლიძე – ქართული სამართლის ძეგლები, 1970 წელი, III ტომი, გვ. 816-817).**

**1760-1765 წლები.** დედოფალ დარეჯან შარვაშიძის ასულის მიერ ბეჟანიკა ჩიქვანისთვის მიცემული წყალობის სიგელში მოწმეთა შორისაა **გეგეჭკორი შავარდენა.**

**(ცსსა. ფონდი 1448, საბუთი № 3341).**

**1760-1774 წლები.** ჭყონდიდელი მიტროპოლიტი დადიანი ბეჟანის ძე გრიგოლი თავისი ყმის შვილებს მიქელას და იესეს უბოძებს წყალობის წიგნს. მანამდე ჭყონდიდელ გაბრიელს **გეგეჭკორების** პაპისა და ბაბუისთვის სააზატო წიგნი მიუცია, რომელსაც გრიგოლ ჭყონდიდელი განუახლებს **გეგეჭკორებს**. ის მათ ათავისუფლებს ლაშქრობის, ბატონის

შინაყმობის და სამსახურის გარდა სხვა ვალდებულებებისგან.

(ცსსა. ფონდი 1448, საბუთი № 8738).

**1745 წელი.** სამეგრელოს მთავარ კაცია დადიანის მიერ გიორგი ნეფსაძის, მისი ძმისა და ძმისწულისთვის ბოძებული 1745 წლის წყალობის წიგნის მოწმეთა შორისაა **გეგეჭკორი.** (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიემ), ხელნაწერთა განყოფილება, საბუთი № 1205).

**1779 წელს** ოსმალეთი შეეცადა იმერეთისთვის ჩამოეშორებინა მისი მოკავშირე ოდიშის სამთავრო და აფხაზეთის ტერიტორიიდან ოდიშზე გაილაშქრა. ოსმალთა მოკავშირეებად გამოვიდნენ აფსუები, ჯიქები, ოსები, ჩერქეზები, ბალყარელები, ყირიმელი თათრები და შერვაშიძეების ნაწილი. დიდი მეფე სოლომონი იმერეთ-გურიის ლაშქრით მეგრელებს მიეშველა. ბრძოლა, რომელიც რუხის ციხესა და ზუგდიდს შორის ტერიტორიაზე გაიმართა, 1780 წლის მარტში ქართველების გამარჯვებით დამთავრდა.

**წელსა ჩღპ (1780 წ.)** ჩვენ ყოვლითა საიმერეთოსა მეფე სოლომონ დავითიანი ზუგდიდს რომ აფხაზთ ჯიქთ ალანთ შევებენით მაშინ ღვთის შეწევნით ვძლიეთ ათორმეტ ათასს კაცსა და ეს ზარბაზანი და მეორე ამის ტოლი მისის ჯაბახანით განწყობილი თვით ჩემის ხელით მე ვიშოვნე და "მო-დი-ნახის" ციხეს ვუძღვნი. აღიწერა მარტის: კ(20): წელსა ჩღპ. ეს წარწერა გ. წერეთელს გადმოუწერია ზარბაზნიდამ, რომელიც ალ, წერეთლისას ეგდებულა. რუხის ომი უ[ნ]და ყოფილიყოს 1779 წელს. ეს ომი აღწერილია ლექსად **გეგეჭკორისაგან.** **(თ. ჟორდანია – ქრონიკები, 1967 წელი, III წიგნი, გვ. 367).**

**1800 წელი.** სახლთავანი ხელმწიფის კაცია დადიანის ძის, ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ბესარიონის მიერ საეკლესიო ყმის, მოურავ ბერი თოფურიასა და მისი შვილებისთვის ჩყ (1800) წლის თ (9) მარტს ბოძებული წყალობის წიგნის მოწმე ეკლესიის მსახურ სასულიერო და საერო წარჩინებულთა შორისაა **გიორგი გეგეჭკორი.**

(ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიემ), ხელნაწერთა განყოფილება, საბუთი № 1245).

**1813 წელი.** მღვდელ-მონაზონ მიხაილ ჭალაგანიძესა და მისი ძმის, მღვდელ ვასილის მიერ 1813 წლის 18 სექტემბერს კეთილშობილ უფალ პაქიძ იოანესა და მისი ვაჟიშვილების, გრიგოლისა და პავლესთვის ონტოფოში (ამჟ. სოფელი ბარბალესკარი, აბაშის



*1823 წელი*

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი,
ხელნაწერთა განყოფილება, საბუთი № 1214

მუნიციპალიტეტი) ადგილ-მამულების ბოძების წიგნების მოწმეთა შორისაა **იესე გეგეჭკორი.**

**(ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიემ), ხელნაწერთა განყოფილება, საქმე № 1474).**

**1818 წლის 5 ნოემბერი.** გარჩინება ბეჟან ბერიძისა და ზურაბ თავზარაშვილის საქმეზე.

ჩყი(ჰ)-სა წელსა, ნოემბრის ე-სა დღესა ბეჟან ბერიძე და ზურაბა თავზარაშვილი გავაბჭეთ.

თავზარაშვილმა უჩივლა: **გეგეჭკორის** კაცი ჩემს სიმამრს მიენდო. ჩემ[მ]ა სიმამრმა **გეგეჭკორს** შეაბარა. მერმედ კიდევ გამოიქცა და მიენდო ისევე და **გეგეჭკორმა** მიჰყიდა ჩემს სიმამრს და ჩემ[მ]ა სიმამრმა მე მომყიდა და ამ კაცმა წამართვა, გამიყიდა; და რას მემართლებოდა, არ ვიცი. ბეჟან ბერიძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავარჩიეთ: წამოაყენოს ბერიძემ ოცდაოთხი გლეხი ანუ აზნაური სხვა კაცი და ასე შეაფიცოს: "შენ რომ კაცს მედავები, არც ის კაცი შენ რომ წიგნში გიწერია, ის იყოს, ა[რ]ც ის კაცი შენ გეყიდოს და არც **გეგეჭკორს,** არც შენს სიმამრს და არც შენ არასდროს ის კაცი არ გყოლებოდეს." თუმც ასე უფიცოს, სიტყვა არ ექმნება ზურაბს. და თუმც ვერ უფიცოს, რომელსაც გამოსდავებია თავზარაშვილი, მას მერმენდელის ნაცთურით მისცეს ის კაცი ბერიძემ.

**(ი.დოლიძე – ქართული სამართლის ძეგლები, 1977 წელი, VI ტომი, გვ. 553).**

**1823 წელი.** მგალობელ როსტომ დიმიტრის ძე ჯალაღანიძის მიერ თავისი სახლიკაცის, მღვდელ აზნაურ ვასილ ჯალაღანიძისა და მისი შვილებისთვის ჩყკგ (1823) წლის კდ (24) იანვარს ბოძებული უდაობის წიგნის მოწმეთა შორისაა ბატონის მაგიერი კაცი **იესე გეგეჭკორი.**

**(ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიემ), ხელნაწერთა განყოფილება, საქმე № 1373).**

**1823 წელი.** მაისის 7. "სრულიად ოდიშის ლეჩხუმის და ნაწილთა აფხაზეთისა და სვანეთისა მფლობელი დიდი რუსეთის ტახტის გენერალ ლეიტენანტი და სხვათა და სხვათა ორდენთა კავალერი, სამეგრელოს მთავარი ლევან გრიგოლის ძე დადიანი, დედოფალი მართა წერეთლის ასული, მათი ძენი დავითი გრიგოლ და კონსტანტინე თავიანთ სამთავრო **აზნაურ სვიმონ** დავითის ძე **გეგეჭკორს,** მის შვილს იესეს, მათ ძესა და მომავალს უბოძებენ სუჯუნას (ამჟ. აბაშის მუნიციპალიტეტი) მცხოვრებ მათეია და შაქარია ხოშტარიებს, მათი

შვილებით, ყოველის თავის საცხოვრებლით რისაც მქონებელი იყო.“

**აზნაურ გეგეჭკორს** პირველად ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ანტონისგან ჰქონია წყალობის წიგნი. შემდეგ მისთვის ასეთივე სიგელი მიუცია ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ბესარიონს, რაც სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანს დაუმტკიცებია.

**(ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიემ), ხელნაწერთა განყოფილება, საბუთი № 1189).**

**1823 წელი.** ჩყკგ (1823) წლის პირველ აპრილს სამეგრელოს მთავარი ლევან გრიგოლის ძე დადიანი თავის ერთგულებით მომსახურე **აზნაურ** **იესე** სიმონის ძე **გეგეჭკორს** უმტკიცებს ყოველ სიგელს და წყალობის წიგნს მისთვის გლეხებისა და მამულების ბოძებაზე, მიყიდვაზე. **(ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიემ), ხელნაწერთა განყოფილება, საბუთი № 1383).**

**1823 წელი.** ჩყკგ (1823) წლის ია (11) სეკდემბერს ჭყონდიდის ეკლესიის საჭეთმპყრობელი, სახელოვანი მთავრის, კაცია დადიანის ძე, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ბესარიონი „შეწყალების“ წიგნს უბოძებს ამ ეკლესიის ყმებს, **ინჩხურში** მცხოვრებ **გეგეჭკორებს,** ერთი მამის შვილებს, ძმებს დავითს და სვიმონს, მათი ძმის ძეს გიორგის, მათ ძესა და მომავალს.

ჭყონდიდელი ამ **გეგეჭკორებს,** ეკლესიისათვის ერთგულად მსახურების პირობით ათავისუფლებს ყოველი საგლეხო გადასახადისა და სამსახურისგან და დაადგენს თავისუფალ აზნაურებად ეკლესიის ყმა სხვა აზნაურების მსგავსად. ამის მოწმე საეკლესიო და საერო წარჩინებულთა შორის არიან ჭყონდიდელის მაგიერი **გეგეჭკორი იესე**, **გეგეჭკორი გულა** და სხვანი ყმანი ეკლესიისანი.

საბუთს ბეჭდების დასმით და ხელმოწერებით ამტკიცებენ გრიგოლ ცაიშელი მიტროპოლიტი, სამეგრელოს მდივანბეგი გიორგი გელოვანი, სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი, მთავრის მეუღლე მართა, ზურაბ წერეთლის ასული.

**(ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიემ), ხელნაწერთა განყოფილება, საბუთი № 1214).**

**1832 წელი.** ჭყონდიდელი მიტროპოლიტის სრულიად სამეგრელოს მწყემსმთავრის დავითის მიერ როსტომია ცომაისთვის ბოძებული წყალობის წიგნის მოწმე კეთიშობილთა შორის არიან **გულა** და **სიკო** **გეგეჭკორები**. **(ცსსა, ფონდი 1448, საბუთი № 1314).**

[იოანე მემეჯკორი. რუხის ბრძოლა]. "ცხოვრება დიდისა მეფის სოლომ[ო]ნისა. – დავითის ნათესავთაგან ფლობდა იმერეთს ცხებული..."

**შენიშვნა:** "რუხის ბრძოლა. აღწერილი იოანე მემეჯკორისაგან (!) მეოცესა წელსა თვისისა ცხოვრებისასა, ჩყლვ-სა წელსა, მარტის 18, სამეგრელოსა შინა, სამთავროსა სასახლესა ზუგდიდსა..."

**P. S.** ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ გრიგოლ დადიანმა, სამეგრელოს მთავრის ლევან V-ის ძემ, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავითის ძმამ, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალმა (გენერალ-ლეიტენანტი) და შემდეგში გენერალ - ადიუტანტმა, 22 წლის ასაკში დაწერა ისტორიული პოემა "რუხის ბრძოლა" "**იოანე მემეჯკორი**"-ს ფსევდონიმით. მწერლობაში ცნობილი იყო "კოლხიდელი"-ს ფსევდონიმითაც.

**(ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1964 წელი,**
**(S) კოლექცია, ტომი V, კრებული 3423, გვ. 224).**

1836 წელი. მემეჯკორი იოანე – რუხის ბრძოლა.

"აქა ცხოვრება დიდისა მეფისა სოლომონისა. –

დავითის ნათესავთაგან ფლობდა იმერეთს ცხებული
სოლომონ მეფე, მამაცი, გმირი პომპეიდ გებული,
ზარმცემი, მტერთა მომსვრელი, სიმართლით ღვთაებრ ქებული,
და ქუეშევრდომთ მამა მფარველი, სიბრძნე-სიმდაბლით შუებული."

**შენიშვნა:** უძღვის: 1. თავფურცელი: "წიგნსა ეწოდების რუხის ბრძოლა: – აღწერილ იქმნა **იოანე მემეჯკორისაგან** მეოცესა წელსა თვისისა ცხოვრებისასა. ჩყლვ-სა წელსა. მარტის ივ-სა, სამეგრელოსა შინა, სამთავრო სასახლესა ზუგდიდს.

"რათა მიიღოს ნაყოფმან ედემს რგულმან,
მშვიდმან ტარიგმან ივრდივ სიმართლე ცმულმან,
მემკვიდრემ დავით, კოლხიდის მთავრის წულმან,
მეგრელთ ცისკარმან, ჩრდილოს ვარსკვლავით მკულმან,
რა ეს იშრომა მონამან ზემო თქმულმან."

2. წინასიტყვაობა წარმკითხელთათვის მთხზუელისაგან. –

# გეგეჭკორი

1873 წლის აღწერის თანახმად ინჩხურში, ნალეფსაოში, მარტვილში, ონტოფოში, ნოჯიხევში, მაცხოვრისკარში და სუხჩეში მცხოვრები გეგეჭკორები აზნაურები იყვნენ. 1601 გეგეჭკორია საქართველოში.

პატივცემულმან მხცოვანმან ასის წლის ტვირთად მქონემან,
ლომ-კაცი ქელბაქიანმა, ოჯოლას სოფლის მცხოვრებმან,
მიანბო რუხის ბრძოლაი დაწვრილებითა მცოდნემან,
და ან თქუენ მოგითხრობთ, მკითხულნო, ვითა შეიძლო ღონემან,

თუმც ვიცოდი, ბრძოლის წერის სხუა ხამდა გამოცდილება,
კალმის ჭექითა მელნისა მჩქეფარე სისხლად ცულილება,
ღელვა ლექსებთა ცხოველთა, ცეცხლის ვარსკულავთა ვლილება,
და მთათა, ვაკეთა და ტყეთა ლმობიერებით ვსილება.

მაგრამ თქუენც იცით, მოყუასნო, გრძნობა ჭაბუკთა მცხარია,
აღატყდა ჩემშიდ ვით ცეცხლი, რა ესმა გასახარია,
მისცა ხელს ძალად კალამი, უთხრა მეგრულად: “ჭარია”!
და მან სუსტმან წერად მყის იწყო, გრძნობას ვერ უთხრა ვარია.

აღწერა გამოუცდელმან ამბავი ასე მდებარე,
ხედავთ, მჭვირვალებს ამბავი, სუსტის შაირით მყეფარე,
მაგრამ მე ან ვსთხოვ, თუ არის, შოთასებრ ვინმე მქებარე,
და აღწეროს, ამარგარიტოს, მე არ ვიქმნები მეზებარე.”

**(ხელნაწერთა აღწერილობა, 1948 წელი, კოლექცია (H), ტომი V, № 2223, გვ. 158).**

**1836 წელი.** სამეგრელოს ეპისკოპოს გიორგი (კუხალაშვილი) ჭყონდიდელის მიერ საეკლესიო გლეხების ტომაიებისთვის ადგილ-მამულის ბოძების 1836 წლის წერილის მოწმეთა შორისაა მესტუმრე (თანამდებობა) **გეგეჭკორი გულა.**

**(ცსსა, ფონდი 1448, საბუთი № 1299).**

**1839 წელი.** ჭყონდიდელი ეპისკოპოსი გიორგი სამეგრელოს მთავრის ნებით და ბრძანებით მარტვილში მცხოვრებ **გულა** ოქროპირის ძე **გეგეჭკორს** და მისი შვილებს ალექსის, ფარნაოზს, სიჩინოს და სხვებს გადაშენებული **იოანე გეგეჭკორის** ყმის გეგენავას ნაცვლად უბოძებს მაცხოვრისკარის (ამჟ. აბაშის მუნიციპალიტეტი) სოფელში მცხოვრებ თოფურიებს. **(ცსსა, ფონდი 1448, საბუთი № 7149).**

**1840 წელი.** ჭყონდიდელი ეპისკოპოსის გიორგის მიერ სოფელ ორქაში (ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი) მცხოვრებ საეკლესიო ყმების რურუებისთვის ბოძებული წყალობის წერილის მოწმეთა შორისაა **ჟულა გეგეჭკორი.** **(ცსსა, ფონდი 1448, საბუთი № 1300).**

**1844 წელი.** "ჩყმდ-სა წელსა ოკდომბერის გ-სა გოგია ჩიქოვანი და მისი ძე ელახუვა და მერაბ ჩიქოვანი და ხუცულა ჩიქოვანი, ბერუკა დგებუაძე და **ანტონია გეგეჭკორი** და ამასთან ხუთი სხვა გლეხი-კაცი, რომელნიცა დაფიცებულ იქმნენ ჩემ მიერ შორის ჩვენსა სადაოსა კაცის ს[ვ]ლისა გამო; ესე იგი ამ ფიცის ძლით მან, გოგია ჩიქოვანმან მიიღო ჩვენგანით ერთი გოგო ციცია, ერთის უკანონო შობილი გოგო ჩუჩა, შობილამ აქუს წელი სამი..." "მსასოებელი და მავედრებელი ოქონის წმიდის ეკლესი[ი]სა გვაჩი კეიდია."

**(ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1954 წელი,**
**(A) კოლექცია, ტომი IV, დავთარი 1366, გვ. 453).**

"გ ე გ ე ნ ჭ კ ო რ ი ს ა გ ა ნ (!) მიწერილი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს თ ა ნ (დ.1786–გ.1846წწ), ოდეს სთხოვა მან შეწევნა ვეფხისტყაოსნის თარგმანში. – ხელოვნებით ნახელოვნევი ოქროსა როგო(!) ძმისგან მომეცა..."

**P. S.** იოანე **გეგეჭკორს** დიდი ამაგი დასდო და წვლილი მიუძღვის იპოლიტ ბარტდინსკის მიერ "ვეფხისტყაოსნის" რუსული თარგმანის საქმეში.

**(ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1967 წელი,**
**(S) კოლექცია, ტომი V, კრებული № 3723, გვ. 223).**

საქართველოს მეისტორიე მ ა რ ი ბ რ ო ს ს ე, რომელიც ესტუმრა მთავარ დავით დადიანს 1848 წელს, აი როგორად აღწერს სამეგრელოს მთავარს და მის საქმეებს:

"დავით დადიანს ორი კანცელარია ჰქონდა: ქართული და რუსული. ქართული კანცელარიის მდივანი იყო იეროდიაკონი ივანე ხოშთარია, ივა-ბერად წოდებული. მთავრის რუსულს კანცელარიას განაგებდა დეკაბრისტი პ ო ტ ო ც კ ი, ბ ე ს ტ უ ჟ ე ვ ი ს ამხანაგი, რომელიც ციმბირიდან იყო დაბრუნებული. რუსულ კანცელარიაში მწერლებად იყვნენ ა ნ დ რ ი **გ ე გ ე ჭ კ ო რ ი** და ე ვ გ ე ნ ი დ გ ე ბ უ ა ძ ე.

იმ დროებში, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, **ანდრი გეგეჭკორი** იყო, თუ არა ერთადერთი, იშვიათი მეგრელი, რომელმაც რუსული წერა-კითხვა იცოდა. ამის გამო ამ საჩინო კაცის თავ-გადასავალი დღემდის არ დავიწყნია სამეგრელოს. დავით დადიანმა

რაღაც შემთხვევისა გამო ის გალახა, გაროზგა. საზოგადოდ დავით დადიანი ყოველ ხელობას და სწავლას დიდად აფასებდა თავის სამთავროში და რა იყო მიზეზი მთავრის ამ ზომამდის გულის წყრომისა ვერ შევიტყე. თუ მიდგომაში არ ჩამოერთმევა მის ძმას გრიგოლ დადიანს, იმან მიამბო: "**ანდრია გეგეჭკორი** წაეკიდა ერთს მწერალს, მის ამხანაგს და დავითმა ამის გამო ის დატუქსა. ამან თურმე იუკადრისა შენიშვნა და სიტყვა შეუბრუნა მთავარს, "დედა შეაგინაო" და მთავარმა ამის გამო ის დასაჯაო."

ბესარიონ ხოფერიას, **გეგეჭკორის** დასჯის მიზეზად ის გაუგონია, რომ ის გაარშიყებია მთავრის ადიუტანტის არლოვის ცოლს, რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი **გეგეჭკორის** დასჯისა. **ანდრია გეგეჭკორი** იმდენად შეაძრწუნა მთავრის ძალადობამ, რომ ის ჭკუიდამ შეირყა, რომ დადიანი გონს მოეყვანა, როზგის ქვეშ მწოლარე ანდრიამ დაუძახა თურმე მთავარს:

– ვისა სცემ, დავით?

– ანდრიასო, დაუძახა თურმე გულმოჯერებულმა, მაგრამ შეუბრალებელმა მთავარმა.

**(ი. მეუნარგია – სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, 1939 წელი, გვ. 29-33).**

**1850 წელი.** [-1-] მარტვილის მაზრის მცხოვრებთ თავადთა, აზნაურთა, სამთავრო, საეკლესიო და საბატონოთა რიცხვნი და გვაროვნებანი მათნი, ქვემოთ ამისა აღიწერებიან ჩყნ-ს (=1850) წლისა დეკენბრის ი10-სა დღესა

საეკლესიო აზნაურნი

აზნაური **ალექსი, ფარნაოზ** და **საჩინო** გულაიას ძე **გეგეჭკორნი.**

აზნაური **იესე** სიმონის ძე **გეგეჭკორი.**

აზნაური **ივანე** და **იესებ** გიორგის ძე **გეგეჭკორნი.**

აზნაური **მარკოზ, კოსტა, გლახუა** და **ივანე** ბეჟანის ძე **გეგეჭკორნი.**

აზნაური **მერაბ** ნიკოლოზის ძე **გეგეჭკორი.**

აზნაური **ეგნატე** ნიკოლოზის ძე **გეგეჭკორი.**

აზნაური **დუტუ** ხუხიას ძე **გეგეჭკორი.**

სია საბუთის მექონეთა

**დავითია** გიორგის ძე და ძმისწულნი მისნი **გეგეჭკორნი**

მარტვილის მაზრის [მე-] 2 კლასის მდივანბეგი თავადი მაქსიმე ქოჩაქიძე

**(ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები – გამოსცეს ზ. ჭუმბურიძემ, ი. ჩიქოვანმა და ა. სიჭინავამ, 2013 წელი, გვ. 341-342).**



ეს 160 წლის ხეჭეჭური (მსხალი) და 140 წლის წინანდელი,
მდინარე ინჩხიაზე ყოფილი წისქვილის ქვა,
სოფელ ინჩხურში გეგეჭკორების პირველი ოჯახის მშვენებაა

ი. მ ე მ ე ტ კ ო რ ი. – "ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი. – ქორსიკანელი მამაცი სფერას რაცხს დამცირებულად…"

ლექსი: ქ ო რ ს ი კ ა ნ ე ლ ი

ქორსიკანელი მამაცი, სფერას სტურეცს დამცირებულად,
ფრანცის საზღვარს ჩრდილომდე, იგი რაცხს შეინებულად,
იბძარვის მეხი მეფეთა, პსწერს არწივს აღშფოთებულად:
პოლშით აღფრინდი თორე მას ცეცხლით ვპყოფ მითვისებულად.

ორთავიანი არწივი, პსწერს პასუხისა მგებელი,
უსამართლოდ გვირგვინისა, არ მიყვარს დამჩემებელი,
პოლშა მიპყრიეს მახვილით, ვინ არის მიმცაცებელი,
ცეცხლითა რადგან მუქარობ, წყალია დამავსებელი.

როს ესმა ესე სასციკსა, ცეცხლისა დროშა გაშალა,
მოენთო მთასა, ვაკესა, ქუეყანისა ძალნი დაშალა,
გზაზედ მეფენი მონაქმნა, გვირგვინისაგან გასცალა;
ჩრდილოს არწივსა მოადგა, პოლშა რუსეთით განწვალა.

ვით მნათმან ცეცხლის მშობელმან, აღმოსპო წინა მდგომელი,
შეავიწროვა ყოველი, ძალი ცის ქუეშე მშრომელი,
ასეცყყა ცეცხლი, აღმოსწვა მოსკოვი რუსთამშობელი,
არ დარჩა სიბრძნე, არც ძალი, წინა-მეუწყ ჯარით მწყობილი.

განაგრძო ესრეთ სიმძაფრე, და მწყელობაი ჩრდილოზედ,
ორ-თავიანის არწივს იგულვა ჯდომა ცილოზედ,
გარნა საზომი სიბრძნისა, გარდვიდა სიბრძნის კილოზედ,
გარდაწყდა ცაშიდ ესრეთ პსჯა… "ველარ იმეფოს ჩრდილოეთზედ."

ამის თვის ჩრდილოს არწივმან, განდევნა მრავალ-ყმიანი,
სპანი აღუსპო, დაშრიცნა დროშანი ცეცხლის ფრთიანი,
დააცხრო გული სახმილსა, და თავი ძლევით რქიანი,
კუნძულშიდ მისცა სამეფოდ, ბოსცანი მწყანილიანი.

ესრეთ დაეცა მკითხველო, ქვეყნის ღმერთობის მძებნელი,
მეფე, მეფეთა მამონე, სიმხნითა განყლეველი,
სამაგალითო ყოველთა, საფლავით მქადაგებელი,
რომელ: სიმაღლე დაცემის, ნაყოფად არის მცენელი!

**შენიშვნა:** 1. ლექსში გადმოცემულია ნაპოლეონის რუსეთზე ლაშქრობის (1812 წელი) ამბავი, მოსკოვის აღება, დაწვა და შემდეგ ნაპოლეონის დამარცხება, რომელსაც მისი დაღუპვა მოჰყვა.

2. ტექსტის ბოლოს: "ი. გეგეჭკორი."

**(ჟურნალი "ცისკარი" 1857 წელი, № 7, გვ. 6–8. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1954 წელი, (A) კოლექცია, ტომი IV, კრებული 1278, გვ. 354).**

“ნ ა ც ვ რ ა გ ე გ ე ნ ჭ კ ო რ ი ს ა.–

ლექსი: წ ა დ ი ლ ი

წალკოტი მომცა ყვავილით სავსე და შადრევანი ტურფა, მდიდარი.
არ იყოს სიცხე, არცა სიცივე, არც წვიმა თოვლი, არც სცემდეს ქარი.
შიგან კეკლუცი შუქ-მოიეფე, ხარობდეს ვით ზაფხულის დარი.
გულისა დარდის მეიარაკე, ახლდეს წყობილი ინდოთა ჯარი!
იქა მონანი ათასი ყრმანი მახლდნენ, მკერდ სირმა კაბიანნი.
კოლხიდის კრავნი, ოქრო-თმიანნი, ბრჩხილნი და რქანი, ფირუზიანნი.
კეკლუცნი ქალნი, მორთულ ძვირფასნი, პირ მზე მცინარნი ალმასიანნი.
მოთამაშენი, მოკამათენი, მეწინწილენი, კეთილ-ხმიანნი! — რა გამოვა?
წყალი დამარჩობს, ცეცხლიცა დამწვავს,გზა დამღალავს და ტყვია გაბარავს.
ჰაერი მარჩობს, ხრმალი შუა მჭრის, ისარი მამკლავს, ქვა გამიტეხს თავს.
სიცხე ცივებას, სიცივე ვნებას, ნელ-ნელა წუთის სიცოცხლეს მპარავს.
მატლიც ხომ შემჭამს, რას ვიგდებ მე თავს?
ღმერთო შეგცოდე, დუმილი ჰსჯობს თქმას!

იოანე გეგეჭკორი, "კოლხიდელი"

**(ჟურნალი "ცისკარი" 1859 წელი, № 1, გვ. 7. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1967 წელი, (S) კოლექცია, ტომი V, კრებული №3723, გვ. 224).**

1864 წელი, ინჩხურის (ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი) წმიდა გიორგის ეკლესია მღვდელი გიორგი გეგეჭკორი და მღვდელი თევდორე ფირცხალავა, "პრიჩეტნიკი" (მედავითნე) დიმიტრი გეგეჭკორი. **(ცსსა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე № 1721).**

1873 წელი. სენაკის მაზრის დროებით-ვალდებულ გლეხთა კამერალური აღწერილობა

სოფელ თეკლათის სასოფლო საზოგადოება (ამჟ. სენაკის მუნიციპალიტეტი).

გეგეჭკორი ივანე, 1 კომლი, 4 სული.

მარტვილის სასოფლო საზოგადოება,

სოფელი მარტვილი

აზნაური გეგეჭკორი გიორგი, 1 კომლი.

აზნაური გეგეჭკორი ალექსი, 1 კომლი.

აზნაური გეგეჭკორი ფარნაოზი, 1 კომლი.

აზნაური გეგეჭკორი საჩინო, 1 კომლი.

აზნაური გეგეჭკორი სიკო, 1 კომლი.

აზნაური გეგეჭკორი ელისაბედი, (ქვრივი), 1კომლი.

აზნაური გეგეჭკორი ანდრია, 1 კომლი.

აზნაური გეგეჭკორი მარკოზი, 1 კომლი.

აზნაური გეგეჭკორი პეტრე, 1 კომლი.

აზნაური გეგეჭკორი ივანე, 1 კომლი.

სოფელი ინჩხური

აზნაური გეგეჭკორი სიკო, 1 კომლი.

სოფელი ნალეფსაო

აზნაური გეგეჭკორი გლახუა, 1 კომლი.

ნაქვაზაოს სასოფლო საზოგადოება

სოფელი ნოჯიხევი

აზნაური გეგეჭკორი ალექსი, 1 კომლი.

აზნაური გეგეჭკორი ფარნაოზი, 1 კომლი.

აზნაური გეგეჭკორი ანდრია, 1 კომლი.

აზნაური გეგეჭკორი პეტრე, 1 კომლი.

სოფელი ნაქვაზაო

აზნაური გეგეჭკორი ალექსი, 1 კომლი.

აზნაური გეგეჭკორი საჩინო, 1 კომლი.

აზნაური გეგეჭკორი ივანე, 1 კომლი.

**(ქუთაისის ცენტრალური არქივი (ქცა), ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე № 813).**

**1883 წლის** 11 თებერვალს სოფელ **ინჩხურში** მცხოვრებ **დიმიტრი** დავითის ძე **გეგეჭკორს** აზნაურ მანუჩარ გაბრიელის ძე ჩიქოვანისგან სამი თვის ვადით, უსარგებლოდ აუღია ვალი ორი მანეთი ვერცხლისა.

ამ ვადის გასვლის შემდეგ ის ვალდებული იყო და ჩიქოვანის მოთხოვნისას მისთვის თავნი და სარგებელი ერთად მიეცა.

საქმის ხელმოწერით და ბეჭდის დასმით ამოწმებს მარტვილის საზოგადოების მამასახლისი გოგი კვეკვეცია.

**(მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი № ა-2742).**

სოფელ ოხვამეკარში (ამჟ. ხეთის თემი, ხობის მუნიციპალიტეტი), მდებარე წმიდა მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის I მეოთხედში მსახურობდა მღვდელი **გიორგი გეგეჭკორი**.

**1907 წლის** 21 ოქტომბერს სენაკის მაზრის სოფელ მარტვილში მცხოვრებმა **მართა გეგეჭკორისა**-გიგინეიშვილის ასული და მატრონა დავით **გეგეჭკორის** ასული ადგილის ნასყიდობის ხელწერილს აძლევენ აქვე მცხოვრებ სამსონ საბას ძე კვესელავას და მიყიდიან მამაპაპეულ **1** ქცევა ადგილს, სახელწოდებით "ეზო," რომელიც მდებარეობდა კვესელავას, რუხაიების, ბირკაიას და მარტვილის მონასტერში მიმავალი გზის მოსაზღვრედ, რისთვისაც მიუღიათ ფასი 200 მანეთი ნაღდი.

ნასყიდობის წერილზე ხელმოწერების ნამდვილობას ადასტურებს მარტვილის საზოგადოების მამასახლისი ბეკო გაბისონია.

**(მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი № ა-443).**

**1909 წელი.** ჩხოროწყუს მუზეუმში დაცულია სოფელ გარახის (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი) ორშტატიანი წმინდა გიორგის ეკლესიის 1883-1911 წლების მეტრიკული წიგნები. ამ ჩანაწერებში დაფიქსირებულია მონაცემები იმ დროინდელი სასულიერო და საერო პირების შესახებ. მეტრიკულ წიგნში 1901 წლის 8 სექტემბერს მინაწერი გაუკეთებია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე), რომელშიც აღნიშნულია, რომ მეტრიკული წიგნი კარგად არის ნაწარმოები. 1886 წლის მონაცემებით გარახის წმინდა

გიორგის ეკლესია შედიოდა მოიდანახის (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი) საბლაღოჩინო (სამთავრხუცესი) ოლქში.

ამავე მეტრიკული ჩანაწერებით ჩანს, რომ აქ ცალკეულ შემთხვევებში მღვდელმოქმედებას ასრულებდნენ სხვა ეკლესიების მსახური სასულიერო პირები: 1909 წელს მღვდელმსახურებას ასრულებდა მღვდელი **გიორგი გეგეჭკორი.**

**(ჩხოროწყუს ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო-შემოქმედებითი ჟურნალი "მოამბე" 2014 წელი, ტ. III, გვ. 21-22).**



# გეგეჭკორის გვარი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში XIX – XX სს.

ჟურნალი “ცისკარი” 1858 წელი, № 6, გვ. 57–59).

## სოფელი *

(*) ამ ლექსსა კოლხედელისასა ვბეჭდავთ, როგორც იშვიათსა თხზულებასა. რედ.

ვსჭურეტ სოფელს დაფიქრებული მე მისგან განკვირვებული!

ვინ იცნოს ძვალნი მუყუასნო, ცეცხლითა ძალთა დამწველის,
სასტიკის მეხთა მებრძოლთა, მეფეთა კვერთხის მტურეველის,
დესპოტის, გმირის, ამაყის, სიმხნითა სიმხნით მლეველის,
საძრწუნო ნაპოლეონის, დიდთა მეფეთა მძლეველის?

ვსჭურეტ სოფელს დაფიქრებული, ვარ მისგან განკვირვებული!

ვნახე მე ძვალნი ვერ ვიცან, პომპეის დამამხობელის,
ძლიერის გმირის კეისრის, რომის ბრჭყალს შიგან მპყრობელის,
სახმილის სასტიკ დამწუელის, თავის გვირგვინით მკობელის,
ამპარტავანის, მამაცის, ბედნიერების მფლობელის.

ვსჭურეტ სოფელს დაფიქრებული, ვარ მისგან განკვირვებული!

ვინ იცნოს ძუალნი გამრცვილნი, ციცერონ მჭერმეტყველისა
ალკივიადის ლამაზის, სოკრატის გრძნობის მწუელისა,
ლუკულლოს ვერცხლით მდიდრისა, ოქრო სამოსლით მლუცლისა,
მილტიოს მოხუცებულის, მშობლის ათინის მცუელისა.

ვსჭურეტ სოფელს დაფიქრებული, ვარ მისგან ატირებული!

ვინ იცნოს ძვალნი შიშველნი, დიდ ალექსანდრე შუებულის
სპარსეთის ძალთა დამლეწის, პორფირით განშვენებულის,
ობოლთა ქვრივთა შემწყნარის, სიგმირით გაელვებულის,
თავის მოყუარის მამაცის, ძედ ზევსის სახელდებულის.

ვსჭურეტ სოფელს დაფიქრებული, ვარ მისგან განცვიფრებული!

ვერ ვიცან ძვალნი გამხმარნი, კლეოპატრ განმმართველისა,
კორნელიაი ქურივისა, პომპეის გულის მწყვლელისა,
ასპაზიაი ოსტატის პერიკლის გულს მიმკურნელისა,

პომპიას ცოლის კესარის, კლოდიას მაწვეველისა.
სადა არს ეს ოდენნი, გმირნი და მეფე ცხებულნი,
მდიდარნი, ბრძენნი, მოხუცნი, კეკლუცნი გალევებულნი?
ვინ იცნოს ძვალნი მოყვასნო, მატლთაგან განშიშვლებულნი?
ერთია ყველა საფლავშიდ, სოფელსა დაბადებულნი.

იოანე გეგეჭკორი. კოლხიდელი.

## გაზეთი "შრომა," 1882 წელი, 3 მარტი, № 9, გვ. 3.

რუბრიკა: "წერილი რედაქციასთან"

"შრომის" ამ წლის № 3-ში იყო ლაილაშელის წერილი, რომელშიაც ლეჩხუმის პირველ-დაწყებითის სასწავლებლის თაობაზედ, ცუდი და ყალბი ამბები ამოვიკითხეთ, შევწუხდით. სიმართლის ასასაბუთებლად გთხოვთ, ამ ჩემს პასუხს მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში. საჭიროდ არ ვრაცხ ამ სკოლის უწინდელს მასწავლებელზედ რამე ვსთქვა, თუმცაღა მე მათ ძალიან კარგად ვიცნობ, მე მხოლოდ ეხლანდელს მასწავლებელს ახვლედიანზედ მოგახსენებთ. ამ ახვლედიანის დროს რამდენჯერმე დაესწრნენ ეკზამენებზედ ადგილობრივი მაზრის უფროსი და მომრიგებელი მსაჯული და ყოველთვის კმაყოფილნი დარჩნენ. ამას გარდა წარსულს 1880 წელში ბატონმა სარაჯოვმა, რომელიც უმაღლესის მთავრობისაგან რევიზორად იყო გამოგზავნილი, სკოლა წარმატებაში ნახა და მადლობა უთხრა მასწავლებელს და შეგირდებს ყველა დააჯილდოვა. ამას გარდა ჩვენ ცხადად ვხედავთ, რომ ახვლედიანი გულს მოდგინედ და სინიდისიერად ასწავლის რწმუნებულს მისადმი სკოლაში. რამდენიმე ყმაწვილი აქ სწავლის შესრულების შემდეგ ქუთაისის სასწავლებელში იყვნენ მიღებული, რომელნიმე მსახურებენ ადგილობრივ მაზრის სამმართველოში და მომრიგებელს სამსაჯულოში, სადაც დანიშნული აქვთ შესაფერისი ჯამაგირები თვეში რვა მანეთიდგან თხუთმეტამდის. აგრეთვე ამ შაგირდთაგანი მამასახლის მწერლებათაც არიან და 150 თუ 200 მანეთს ჯამაგირს იღებენ წელიწადში. ჩვენ არ ვიცით, რა უნდა მოვსთხოვოთ მეტი ლეჩხუმის პირველ-დაწყებით სასწავლებელს. უფ. ლაილაშელი სწერს: ახვლედიანი შვიდი საათიდგან სამ საათამდის ასწავლისო შეგირდებს. ეს ჭეშმარიტი არის და სწავლის ნაყოფს კიდევაც ვხედავთ, როგორც ზევით ამიწერია. უფ. ახვლედიანი გორში ეკზამენის დასაჭერად რომ წავიდა, დირეკტორის ნება დართვით დაიქირავა დიაკონი განქახიანი მასწავლებლად, ამაზე მოწერილობა მე თვითონ ვნახე. მე როგორც ვიცი, ჩემის პირ-და-პირის რამდენჯერმე ნახვით და შეგირდების პირადის ლაპარაკისაგან მათ წარსულის წლის ოკტომბრიდგან ცეცხლი უნთიათ, სტოროჟი ჰყავთ, მათ

მასწავლებელი არ სცემს. ჩვენ არასოდეს გაგვიგონია შეგირდებისგან, რომ ახვლედიანი გვცემსო. ჩინოვნიკობაში სინდისიანი კაცი ვერ იტყვის იმას, რომ ახვლედიანი კარტის თამაშის მოყვარული იყოს, ან ის ერთხელ თვეში კარტის მოთამაშე ენახოსთ.

ლაილაში 15 ფებერვალს. **ც. გეგეჭკორი.**

## გაზეთი "ივერია," 1892 წელი, 24 დეკემბერი, № 274, გვ. 3.

რუბრიკა: "წერილი რედაქციის მიმართ"

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო მათ, ვინც შემოსწირეს ქართული და რუსული წიგნები ქართულ წიგნთსაცავის სასარგებლოდ, რომელიც უკვე ამ ჟამად გაიმართა მარტვილის ორ-კლასიან სამრევლო შკოლასთან. შემომწირველთა შორის არის **მიტროფანე გეგეჭკორი.** შემოწირულია სულ ას ათი წიგნი.

სამღვდელო დიაკონი ფოთის საკათედრო სობოროსი **გიორგი გეგეჭკორი.**

20-ს დეკემბერს 1892 წელსა, ქ. ფოთი.

## გაზეთი "ივერია," 1893 წელი, 4 ივნისი, № 115, გვ. 2.

რუბრიკა: "დაბა და სოფელი"

მარტვილი (სამეგრელო). წინა წერილში ვსთქვით, რომ მარტვილში ბრძანდებოდა ბატონი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი. მარტვილელების თხოვნის გასარჩევად იყო მისული. ამათ ითხოვეს: ფოსტა-ტელეგრაფის გამართვა, სოფლის დაბად გადაკეთება, ჯარის-კაცთა გამოსაწვევად ხალხის აქ შეყრა: ავადმყოფთა თავ-შესაყარი (Приемный покой), ეზოების გაუმჯობესება და სხვა ამგვარები. მარტვილში, ანუ ნოღალევში (ასე ეძახიან იმ ადგილს, სადაც ბაზარია) არის მომრიგებელი მოსამართლე, გამომძიებელი და ბოქაული. გუბერნატორმა მიიღო თხოვნა და აღუთქვა ყოველივეს შესრულება. ხალხმა, სხვათა შორის, პირადად საჩივარი განაცხადა ბოქაულზედ: იგი დაუდევარია, ქურდები გვიკლებენ და ყურადღებას არ აქცევს, საჩივრით მივდივართ და არაფერს გვისრულებს, არ გვიღებს და ამ გვარები. როდესაც გუბერნატორმა მოსთხოვა საბუთები, ფაქტები, მაშინ ყველა უკან ჩამოდგა, ვერ დაუმტკიცეს; საზოგადოდ აქაურ ხალხს ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი ვინმეზე საჩივარი. რასაკვირველია, საჩივარიც არის საჩივარიც: დასაბუთებული საჩივარი პატივსადებია მაგრამ როდესაც საჩივარს სარჩულად უდევს ჯავრის ამოყრა, პირადი, ერთობ წვრილმანი ანგარიშები, მაშინ საძრახისი და მეტი არ იქნება, რომ ვსთქვათ,



სამარცხვინო არის, როდესაც მარტვილელი ნაოდალეველეში სჩივოდნენ. ამ დროს ვიღაცამ გუბერნატორის მოსამსახურეს გულიდამ საათი ააძრო: აქედან ეცნენ, იქით ეცნენ ვეღარსად იპოვნეს; ხელდახელ დაგვიმტკიცეს თავიანთი დახელოვნება ქურდობაში; ყველამ ჯიბეზედ და საათებზედ იტაცეს ხელი. მაგრამ, მადლობა ღმერთსა, ერთის საათის აწაპვნას გადავურჩით ქურდ-ბაცაცასა. ხალხი ამ გარემოებამ ძალიან შეაწუხა და შეაშფოთა. ყოვლად-სამღვდელომ გრიგოლმა გაუგზავნა ბაზარში კაცი, ვიღაცას საათები ჰქონიყო გასაყიდი და თავის ფულით უყიდა გუბერნატორის მოსამსახურეს საათი, რომელშიაც ცხრამეტი მანეთი მისცა. ვერც ბოქაული, ვერც ვინმე სხვა აღმოფხვრის ქურდობას იმ ხალხში, სადაც ზნეობა ჯერ განტკიცებული არ არის; ქურდებს ისევ ხალხი უფრო იცნობს; თუ გული ეწვით, თვით უნდა აღმოაჩინონ ხოლმე თავისის საკუთრების მტერნი და მისცემენ სამართალს: ჯიბგირს, მგონი ის უფრო მალე დაიჭერს, ვის ჯიბეშიც ხელებს აფათურებს და ის უფრო იცნობს, ვისიმც წრიდამ არის გამოსული.

მარტვილს ჩამოუდის საკმაოდ მოზრდილი წმინდა და ანკარა მდინარე აბაშა, რომელიც ძალიან თევზიანი ყოფილა, მარტვილს ზემოდ-კი კალმახი ხვდება. აბაშის კალმახი შესანიშნავია, როგორც გემოთი, ისე სიდიდით, ზოგი თითქმის ორაგულის ოდენა ხვდება უფრო იქ, სადაც ჩანჩქერი გამოქუხს "ბროილ-წყლიანი." ეს ჩანჩქერი, ანუ წყალვარდნილი მდებარეობს მარტვილიდამ ოთხს-ხუთ ვერსზედ. მთელი მდინარე აბაშა მაღალ კლდიდან ვარდება ძირს რამდენიმე ალაგას, რამდენსამე საჟენის სიღრმეზედ; ანკარა მდინარე ძირს ჩახეთქილების გამო მტვრად არის ქცეული და ჰაერი ამ დაკინიებულის წინწკლებისგან, რომელიც მტვერს მოგაგონებთ, დაბურულია მთლად. მდინარე ამ ადგილიდან ვიწროდ მიდის, ღრმაა და ავსებით ავსებულია კალმახითა; რამდენიმე ქცევა ამ ჩანჩქერის გარშემო შეუყიდნია ადრევ ქუთაისის გუბერნატორად ნამყოფს ცნობილს ლევაშოვს, რომელსაც გაუკეთებინებია ბილიკები ჩანჩქერის გარშემო, ჩაუყვანია ქვის თლილი კიბეები. ზაფხულობით ბ-ნი ლევაშოვი მოდიოდა ხოლმე აქ რამდენსამე დღე მუსიკით, სტუმარ ქალაქელებითა და კაცებით და იყო ერთი ქეიფი, შექცევა და ნადიმი. დღესაც ჩანჩქერის გარემო ადგილები ეკუთვნის ლევაშოვს და აბარია ერთს აქაურს მცხოვრებს.

დასასრულ, არ შემიძლიან ისევ მარტვილს არ დავუბრუნდე და რამდენიმე სიტყვა

კიდევ არა ვსთქვა მისის მნიშვნელობის შესახებ სამეგრელოსთვის. მარტვილი იმყოფება სენაკის მაზრაში, ჩრდილოეთით ზედ აკრავს ლეჩხუმის მხარე და დასავლეთით ზუგდიდისა, სამ ვერსზედ ჩამოუდის ცხენის წყალი, საიდამაც იწყება იმერეთის ეპარქია, როგორც ჰხედავთ, მარტვილი თითქმის სამეგრელოს გულშია მოქცეული და კიდეც ამიტომ ყოფილა აქ მუდამ საეპისკოპოსო კათედრა, კიდეც ამიტომ არ შორდებოდნენ ამ ადგილს ჭყონდიდლები. დღეს-კი, როდესაც სამეგრელოს გურია შემოუერთეს და გაკეთდა ეგრედწოდებული გურია-სამეგრელოს ეპარქია, კათედრა გადაიტანეს ფოთში, რომელიც დაშორებულია, როგორც სამეგრელოზედ, ისევე გურიაზედ (ისევ გურიაზედ უფრო ახლოა). სამღვდელოება ორთავე მხარისა დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი; მიდის მღვდელი, ცხენს სტოვებს რომელიმე რკინის სადგურზედ, რჩება ფოთში რამდენიმე დღე და ორმაგის ხარჯს ვერ ამოსდის-ფოთში თავისას და სადგურზედ ცხენ-ჯორისას. ხელ-მოკლე სამღვდელო ხომ სულ მოკლებულია ფოთში ჩასვლას რაიმე საჭირო საქმისთვის. სასულიერო სასწავლებლები ამა ეპარქიისა ერთი ოზურგეთშია და მეორე ახალ-სენაკში; ერთ-ერთი სასწავლებელი ხომ მაინც იყოს ფოთში, მაშინ კიდევ კათედრას არა უშავდა რა: მოსწავლეებიდან ხოროს შეადგენდნენ ქართულ-რუსულ მგალობელთა და ეკლესიაში ხალხი დასტკბებოდა სამშობლო ხმების მოსმენითა. დღეს-კი მწუხარს, ტკბილს და სასიამოვნო გალობას ფოთის ტაძარი მოკლებულია, რადგან მგალობლებს ვერ შოულობენ, ჰყავთ ლოტბარიც, მაგრამ რა ჰქნას ლოტბარმა, როდესაც ხმები არ არის, როდესაც ვერ ვისა შოულობენ. არა მარტო ამ მხრივ, სხვა მხრივაც უხერხულია ფოთი საკათედროდ. მაგრამ აქ მისი დასახელება მეტად მიმაჩნია, თითქმის ყველამ იცის და განმეორება რაღა საჭიროა.

მარტვილში, სანამ ეპისკოპოზი იქ ბრძანდებოდა, წირვა-ლოცვაზედ საუცხოოდ გალობდნენ ორი გუნდი მგალობელთა ქართველ-გურული დ. ჭალაგანიძის ლოტბარობით და სამაგალითო სამრევლო შკოლის მოწაფენი ქართულ-რუსულად ბ-ნ **გეგეჭკორის** ლოტბარობითა. სამრევლო შკოლაში რუსულ გალობას ასწავლის ბ-ნი გ-რი და ქართულ-გურულს გაბრიელ ბერი გურული. საუცხოვო იყო ქართული გალობა დ. ჭალაგანიძის ლოტბარობით, რომელსაც ისეთივე სახელი აქვს აქ, როგორც ბ-ნ ა. დუმბაძეს გურიაში. ჩვენ ვიცით, რომ ანტონ დუმბაძე სულითა და გულით ავრცელებს ყველგან გურულ გალობას. არ დაეცეს, არ დაეკარგოს ქართველებს ეს მშვენიერი სამშობლო ხმები და ამიტომაც იგი არა ვითარს ღონეს არ ზოგავს, რომ გაავრცელოს. ასევე იქცევა სამეგრელოში ბ-ნი დ. ჭალაგანიძე; ამისი გალობაც ისევე გურულია შეუცვლელად; რამდენჯერმე ყოფილა ესეც მისწვეული ჩვენ გალობის მცოდნე ქართველთაგან გალობის

ნოტებზედ გადასაღებად, როგორც დუმბაძე, ისე ჯალაგანიძე, ერის კაცნი არიან. საკვირველია, ღმერთმანი, რომ ყველანი მცოდნენი გალობისა, ყველანი გამავრცელებელნი დღეს გალობისა გურია-სამეგრელოში ერის კაცნი არიან. რასაკვირველია, სამღვდელოთა შორისაც მოიპოვებიან კარგი მგალობელნი, მაგრამ რომ ყველა საგალობელი იცოდნენ ისე ზედ მიწევნით და სავსებით, როგორც დუმბაძემ, ან ჯალაგანიძემ, ასეთი სამღვდელო არ მოიძებნება. ამიტომ ძალიან სასურველია, რომ ბ-ნმა ა. დუმბაძემ, როგორც ხმა ისმის, ნოტებზედ გადაალებინოს თვისი გალობა და მით ქართველობას შესწიროს განძი, რომელიც მისთვისაც უკვდავად სახსენებელი იქნება და მთლად ქართველებისთვისაც. ამისთანა სამაგალითო საქმით ქართველობის გულს დააჩნევს ღრმად სიკეთის კვალს და ისიც მას არ დაივიწყებს, ნათქვამია პოეტისაგან: "რაც ერთხელ ცხოველად სულს დააჩნდების, საშვილი-შვილოდ გარდაიცემის."

ამერ-იმერელი

## გაზეთი "ივერია," 1894 წელი, 29 მარტი, № 64, გვ. 2.

რუბრიკა: "ახალი ამბავი"

ს. მარტვილი (სამეგრელო): 23 მარტს მობრძანდა აქ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ. მეორე დღეს მღვდელ-მთავარმა დაათვალიერა აქაური ორკლასიანი სამრევლო სკოლა, სადაც დაჰყო მთელი სამი საათი; თვითონ ჰკითხავდა შეგირდებს და სცდიდა, რა იცოდნენ ამა საგნისა: მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა, რომ შეგირდები თამამად და დაუბრკოლებლად მაძლევენ პასუხსა; ასე ნასიამოვნები მღვდელ-მთავარი დაჰპირდა სკოლას ყოველს გვარს დახმარებას.

ხარებობა დღეს ეპისკოპოსმა სწირა: წირვაზედ გალობდა ორი გუნდი მგალობლებისა რუსული და ქართული. რუსული ხორო აქაურ სკოლის შეგირდებისა იყო და გალობდა **ვ. გეგეჭკორის** ლოტბარობით. წირვას ხალხი მრავალი დაესწრო. ქადაგება სთქვა სკოლის მასწავლებელმა რ. ჯალაგანიძემ და განუმარტა ხალხს ცხოვრება ყოვლად წმიდა ღმრთის-მშობლისა. ნაწირვევს ეპისკოპოსმა ზოგიერთი საპატიო კაცნი ჩაიზედ მიიწვია და გამოუცხადა, რომ შემდეგში ხშირად ვიცხოვრებ აქაო. ამასთანავე ახარა სასიამოვნო ამბავი, მოვიდა ნებართვა სინოდისა საარქიელო სახლის აშენებისა მარტვილში, რისთვის მღვდელ-მთავარს მადლობა შესწირეს.

## გაზეთი "ივერია," 1894 წელი, 29 სექტემბერი, № 206, გვ. 2-3.

რუბრიკა: კორესპონდენცია

ს. აკეთი (გურია): (ამჟ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი). დიდი ხანია სოფელ აკეთში ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა არსებობს. როდესაც ეს სკოლა ახალი გახსნილი იყო, თუ ძალით მიაბარებინებდით გლეხის ბავშვს, თორემ თავისი ნებით არავის მიჰყავდა შვილი. მერე, როდესაც გაიგეს რა სარგებლობა მოაქვს სკოლას, რიცხვი მოსწავლეებისა თან-და-თან გამრავლდა; ბოლოს იქამდის მიაღწია, რომ სკოლაში მისაღებად მოყვანილ ბავშვების რიცხვის ნახევარზედ მეტი შინ უნდა დაბრუნებულიყო, რადგან ყველასათვის სკოლაში ადგილი აღარ იყო მოსწავლეების სიმრავლის გამო. ყველა ჰგრძნობდა, რომ საჭირო იყო მეორე მასწავლებლის მოწვევა და სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთება, მაგრამ აკეთის საზოგადოება იმდენად ღარიბია, რომ ვერ გაბედა ამ აზრის განხორციელება ხარჯის შიშის გამო. წელს ორ-სამჯერ მოხდა აკეთში სასოფლო კრება ამ საგნის შესახებ, მაგრამ გლეხებმა ყოველთვის ყური განაცხადეს: ჩვენ სახელმწიფო ბეგარის გადასახადსაც ვერ ვუძლებთ და ეს კიდევ რომ მოვიმატოთ, რაღა გვეშველებაო? წელს აკეთის სკოლაში იყო 25 თავისუფალი ადგილი, მსურველები-კი 80-ზედ მეტიც აღმოჩნდა. ამიტომ განვიზრახეთ კიდევ კრება მოგვეხდინა; დავისწარით ქუთაისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორი და როგორც იყო, 4 სექტემბერს ამა 1894 წლისას დიდის ჩაგონების შემდეგ ხალხს მოვაწერინეთ განაჩენზედ ხელი. მაგრამ თუ ამ ღარიბ საზოგადოებას შემწეობა რომ არ აღმოუჩნდა, იძულებული იქნება ისეთ შენობაში მოათავსოს სასწავლებელი, რომელიც მავნებელი იქნება ბავშვების ჯანმრთელობისთვისაც და სწავლის წარმატებისათვისაც. ზოგს ხაზინა გვეწევა და ზოგსაც, იმედია, შეგვეწევიან ისინი, რომლებიც პატივს სცემენ სწავლა-განათლებას და გულში ულვივით ჩვენის ქვეყნის კეთილდღეობის სურვილი.

აკეთის სკოლის მასწავლებელი ა. **გეგეჭკორი**

## გაზეთი "ივერია," 1895 წელი, 11 მარტი, № 54, გვ. 4.

რუბრიკა: "წერილები რედაქციის მიმართ"

ჩვენ განვიზრახეთ, ყოველ ორის თვის განმავლობაში ვაძლიოთ ანგარიში საზოგადოებას, თუ რამდენი სოფელი და კაცი სარგებლობს გურიის სახალხო წიგნთ-საცავიდგან, რომელიც სოფელს აკეთშია. ჩვენ ამით ვიცილებდით იმ მითქმა-მოთქმას, რომელიც შარშანდელ ივერიის №№-ში იყო: "ვითომც აკეთი მოუხერხებელი ადგილი იყოს წიგნთ-საცავისათვის და უგზოობის მიზეზით ვერავინ სარგებლობდეს წიგნთ-საცავით. თუ-კი

ამ ზამთარში, როცა გზები, საზოგადოდ, ტალახიანია, (როგორც დაინახავთ ქვემდეგ ანგარიშიდან) ამდენს კაცს და საქონელს უსარგებლნია. ზაფხულში, რასაკვირველია, მეტი ისარგებლებს. როგორც წიგნთ-საცავის დავთრიდგან ჩანს, ორის თვის განმავლობაში იანვარში და თებერვალში ამა 1895 წლის წიგნთ-საცავისაგან გაუტანიათ 300 კაცს 700 წიგნი და ჟურნალ-გაზეთი. (აქ შემდეგიც უნდა დავუმატოთ; ერთი კაცი რომ წაიღებს წიგნს, იმას უთუოდ წაიკითხავს 3-4 ადამიანი და ზოგჯერ მეტიც).

წიგნ-საცავიდგან უსარგებლნია 21 დაბა-ქალაქებს და სოფლებს მაგალითად: ქ. ბათუმს, ოზურგეთს, დაბა ჩოხატაურს, სოფ. ხიდის-თავს, ნაგომარს, ნიგოითს, ძიმითს, უნაგირას (სუფსა), ერკეთს, სურებს, ამაღლებას, სამებას და სხვ.

აკეთის სკოლის მასწავლებელი ა. გეგეჭკორი

## გაზეთი "კვალი," 1895 წელი, № 9, გვ. 7-8.

### რუხის ბრძოლის გამო

მოსე ჯანაშვილისგან ახლად გამოცემულის "საქართველოს ისტორიაში," სხვათა მწერალთა და პოეტთა შორის, დასახელებულია **იოანე გეგეჭკორი**, პოეტი, დამწერი "რუხის ბრძოლისა." ეს პოემა, დაწერილია 1836 წელს, პირველად დაისტამბა დავით ჩუბინაშვილისგან გამოცემულს ქრესტომათიაში და ამ ახლო ხანს წიგნაკად გამოიცა ზ. ჭიჭინაძისგან.

**იოანე გეგეჭკორი** დიდი ხანია, რაც გარდაიცვალა, გარნა "რუხის ბრძოლის" დამწერი ჯერაც ცოცხალია და ისევ ისე ერთგული ქართული სიტყვიერებისა, როგორც ამ ნახევარის საუკუნის წინათ. **იოანე გეგეჭკორი** არის ფსევდონიმი მოხუცის მოშაირის სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის ძის გრიგოლისა, რომელიც ჩვენს მწერლობაში ცნობილია კიდევ მეორე ფსევდონიმით-კოლხიდელით. როგორც მე გამიგონია მისგან, "რუხის ბრძოლა" დაუწერია მას, როდესაც იგი იყო ოცი წლის ჭაბუკი, ვიღაც ლომ-კაცი ქელბაქიანის ნაამბობიდან. მოშაირე წერს პოემის შესავალში:

"ეს ამბავი მიამბო ასი წლის ტვირთით მქონემან
ლომკაცმა, ქელბაქიანმა, თერჯოლას სოფლის მცხოვრებმან,
გამზრდელმან ჩემის გამზრდელის, ამა ბრძოლაში დამწრემან
და ან თქვენ მოგითხრობთ, მკითხველნო, ვითა შეიძლო ლონემან."

ეს ხანა, არ ვიცი, რისთვის გამოურიცხავს ჩუბინაშვილს ქრესტომათიიდან. ახალგაზრდა პოეტს ვერ გაუბედია თავისი სახელის მიწერა და პოემის ქვეშ დაუსვამს სახელი და გვარი მისი ძმის დავით დადიანის მსახურის **იოანე** გულას ძე **გეგეჭკორისა**.

თეიმურაზ ბაგრატიონიშვილს, რომლის თვალწინაც იყო თურმე დაწერილი ის პოემა, მიუწერია ავტორისთვის შემდეგი გასამხნევებელი ლექსი:

„კოლხთ ასპარეზის ახალო
გმირო შიართ ზღვას მცურავო,
ღირსის სახსოვართა ბრძოლათა
ჯილდოთ მამაცო გულთ მჭურავო,
ცნობა მსურს, ამად სალამს გძღვნი,
ომერის ბაძვის მწყურავო,
ღირსი ხარ კარგთა პოეტ გერქვან
ურაო, გეგეჭკურაო!"

რუსის ბრძოლას ზედაც აცვია გამოუცდელი მარჯვენა ყმაწვილის კალისა. სამწუხაროდ, არც ჩუბინაშვილს და არც ზ. ჭიჭინაძეს არ დაუსტამბავთ ეს პოემა ისე, როგორც არის დაწერილი ავტორისგან.

იონა მეუნარგია

გაზეთი „კვალი," 1895 წელი, № 9, გვ. 18.

საქველმოქმედო საქმე

თქვენი პატივცემულის გაზეთის საშუალებით მადლობას ვუცხადებთ მასწავლებელს სპირიდონ აბესალაშვილს ცხრამეტი სხვა და სხვა ქართული წიგნების შემოწირვისთვის; წერეთლის მასწავლებელს ბ-ნ კიკიანს წლიურად ხუთი მანეთის შემოწირვისთვის, ქ-ნ ბაისო მჭავანაძისას თორმეტი წიგნისთვის, აგრეთვე ბ-ნ ბეწურიშვილს, **აკაკი გეგეჭკორს** და კოწია ჭეიშვილს, რომელთაც გამოუწერეს წიგნთ-საცავს „ნოვოსტი ინოსტრანოი ლიტერატური." ეს **გეგეჭკორი** უამისოდაც ღირსია, რადგანაც მისი შკოლიდან მოდის და ყოველ მოცლილ დროს წიგნთ-საცავის სამსახურს ანდომებს.

წიგნთ-საცავის დამაარსებელთაგანი ვისია თავდგირიძე



გაზეთი „ივერია," 1896 წელი, 9 მარტი, № 55, გვ. 2.

რუბრიკა: „კორესპონდეცია"

ს. მარტვილი. (სენაკის მაზრა). ამ წელიწადმა მარტვილელებში ერთი სასიხარულო სასარგებლო საქმე მოგვიტანა და დიდის ხნის სურვილი შეგვისრულდა; წარსულს იანვარს საბოლოვოდ გარდაწყდა ბედი ქართულ

წიგნთ-საცავ-სამკითხველოსა, რომლის შესახებ კარგა ხანია აღძრულ იყო კითხვა. განხორციელებას დღემდის ხელს უშლიდა სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზთა შორის ნამდვილის საქმისადმი გულშემატკივარის კაცის უყოლობა, რომელსაც შესძლებოდა და თავს ედვა მეთაურობა ამ საქმისა. დღეს, ჩვენდა სასიხარულოდ, თანაგრძნობა ამ საქმისა გამოუცხადა პატივცემულმა ლიუბოვ გიორგის ასულმა გაწერელიასამ და ამის მოწოდებით სამკითხველოს დაარსება სცნეს-რა აუცილებელ საჭიროებად; იგი ერთ ხმად ამოირჩიეს ამ საქმის გამგედ; ამ პატივცემულმა მანდილოსანმა საკმაოდ ბევრი შესწირა საჭირო ნივთნი სამკითხველოს და ზედ დაურთო მეთაურობა წინამძღოლობა ამ საქმეში, ნებართვაც უკვე გამოიტანა გუბერნატორისგან ამა მდგომარე წლის 19 თებერვალს, რისთვისაც განუსაზღვრელ მადლობას ვსწირავთ ქ. ლიუბოვ გაწერელიასას და ვინატრით საქმე კარგად წაიყვანოს.

ამასთანავე დიდს მადლობას ვუცხადებთ "მწყემსის" გაზეთის რედაქტორს, ბ. ილია ჭყონიას და ფოთის ქალაქის მცხოვრებს **მიტროფანე** ივანეს ძეს **გეგეჭკორს,** რომელთაც ამა წლის განმავლობაში პირველმა მუქთად დაუთმო სამკითხველოს თავისი გამოცემა "მწყემსი" ხოლო უკანასკნელმა თავისი საფასით გაზეთი "კვალი" გამოუწერა. აგრეთვე დიდად ვმადლობთ ყველა დამხმარე პირთ, რომელთაც ხსენებულ სამკითხველოს დახმარება და შემწეობა აღმოუჩინეს.

ამ ცოტა-ოდენი საშუალებით, რომელიც დღეს ხელთა გვაქვს, განვიზრახეთ გამოვიწეროთ რამდენიმე ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთი და ვსთხოვთ ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს ამისთანა კეთილ საქმეს, შეძლებისა და გვარად შემწეობა აღმოუჩინოს, თუ წიგნებითა და თუ სხვა შემოწირულობით; დარწმუნებული ვართ მოგვეხმარებიან, რადგან ჩვენ, მეგრელებს საქმეში, როგორც ქართულის ენის მტკიცედ შენახვაა განსაკუთრებული ყურადღება გვჭირია რედაქციებისა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, წიგნების გამომცემელ ამხანაგობათა და საზოგადოდ საქართველოს ყველა შვილთაგან.

5 მარტს, 1896 წელსა, სოფელი მარტვილი. **გიორგი გეგეჭკორი**

### გაზეთი "ცნობის ფურცელი," 1896 წელი, 29 ოქტომბერი, № 10, გვ. 3.

რუბრიკა: "წერილი რედაქციის მიმართ"

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ თქვენის პატივცემულის გაზეთ "ცნობის ფურცელის" საშუალებით უგულითადესი მადლობა ვუძღვნათ ქვემო აღნიშნულ პირთა და იმათში განსაკუთრებით მთავარ-დიაკონს **გიორგი გეგეჭკორს** და ასათიანს, რომლებმაც შეკრიბეს ფული და წიგნები მარტვილის ახლად დაარსებულ უფასო წიგნთ-საცავ და სამკითხველოს სასარგებლოდ.

სულ ფულად შეკრებილია 89 მანეთი და 44 კაპიკი 42 პირისაგან, მათ შორის **ქრისტინა გეგეჭკორისამ, ვალერიანე გეგეჭკორმა, თეიმურაზ გეგეჭკორმა** და ბესარიონ წოწორიამ შესწირეს თითო მანეთი, სხვა პირთაგან კი-18 მანეთი და 44 კაპიკი; ხოლო წიგნებად შემოსწირეს 438 ცალი წიგნი 28 პირისგან, მათ შორის "წერა კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" 58 ქართული წიგნი.

ყველას ამათ წიგნთ საცავის და სამკითხველოს გამგე კომიტეტის წევრნი დიდს და გულითადს მადლობას უცხადებს.

ღმერთსა ვთხოვთ მიმბაძავნი ამათნი კიდევ მრავალნი გამოჩნდნენ და თავიანთი წვლილი არ დაიშურონ ხსენებულ სამკითხველოს სასარგებლოდ.

გამგე მარცვილის ახალ დაარსებულ წიგნთ-საცავ სამკითხველოსა 20 ოქტომბერს,

1896 წელსა. ს. მარცვილი.

### გაზეთი "ცნობის ფურცელი," 1897 წელი, 13 აპრილი, № 282, გვ. 3.

რუბრიკა: "ახალი ამბავი"

ს. მარცვილი. (სამეგრელო). წიგნთ საცავის და სამკითხველოს საქმე. როგორც უკვე მოეხსენება მკითხველებს, შარშან მთავრობის ნებართვით ჩვენში დაარსდა სახალხო წიგნთ-საცავი უფასო სამკითხველოთი; ასე კეთილ საქმისთვის ყოველ მხრიდან მივიღეთ ცოტა ოდენ შეწირულობა, თუ ფულით, თუ წიგნებითა. ამ ნაირად ფული შეგროვდა თითქმის ორას მანეთამდე, ხოლო ქართულ-რუსული წიგნები კი ხუთასამდე, რომლებთაც შემომწირველების სიაც მადლობით უკვე გამოაცხადა 1896 წელს გაზეთ "ივერიის" № 86 და 55 და გაზეთ "ცნობის ფურცელში" № 10, როგორც საზოგადოთ ხდება, თავდაპირველად იმედები ბევრი იყო, მაგრამ საქმე რომ საქმეზე მიდგა, მაშინ კი ეს იმედები გაგვიცრუვდნენ და უმეცრობა განზე გადგა, ამ ნაირად საქმე იქამდის მივიდა, რომ წიგნთ-საცავი უნდა დაკეტილიყო, და ეს ერთად ერთი წყარო ჩვენის დედა-ენისა მაგივრად ფესვის გადგმისა და ჩვენში ქართული ენის გამაგრებისა უნდა მოსპობილიყო ჩვენის გულ ცივობით. ამისათვის გულ მხურვალე მოთავემ ამ საქმისამ და გამგემ სამკითხველოისამ ქ. ლიუბოვ გაწერელიასამ 8-ს წარსულს ივნისს გამართა წლიური კრება. სამკითხველოს წევრთა კრებას დაესწრო მრავალი ხალხი. გამგემ წარუდგინა კრებას სრული წლიური ანგარიში შემოსავალ გასავლისა, – აუხსნა საზოგადოებას, რომ თუ სამკითხველოს შემწეობა არ აღმოუჩინეთ, იგი უეჭველად დაიხურება და სირცხვილის გარდა დიდი დანაკლისი იქნება ჩვენთვისო და სთხოვა ყველას შეძლებისდა გვარად შემწეობა. კრებამ დიდი თანაგრძნობით მიიღო წინადადება გამგესი და აღუთქვა შემწეობა – წევრებად

ჩაწერით საწევრო ფულის შემოტანით. წევრებად ჩაწერის სურვილი განაცხადეს გარდა იმათი, ვინც წარსულ წელს ითვლებოდნენ კიდევ აქაურ მომრიგებელ მოსამართლემ ვ. ი. ცაციშვილმან, ქ-ნ ქ. ექიმმა ი. ხოფერიამ, მდივანმა ა. აბაშიძემ, მასწავლებელმა ი. ცხაკაიამ და კიდევ რიცხვით 34. ამ ჟამად ითვლება სულ 58 წევრი, მათ შორის საპატიო 10 (ხუთ ხუთი მანეთის შემომტანი). შემდეგ ამისა კრება შეუდგა სამკითხველოს ქაღალდების გარჩევას და შემდეგომ დიდის სჯისა კრებამ ერთ ხმად დაადგინა: **1)** ეხლა რაც სამკითხველოს 48 მანეთი აქვს, ის ინახებოდეს ხაზინადარის ხელში და მიემატოს ოცი პროცენტი ყოველ წლივ შემოსულ ფულებიდან მანამდის, სანამ 48 მან. არ შეივსებოდეს ათ თუმნამდე და ინახებოდეს ხელ-უხლებლად სამკითხველოს ფონდათ. **2)** გაეგზავნოს წერილები ყველა იმ პირთ, რომელთაც გული შესტკივათ ხალხთა შორის წერა-კითხვის გავრცელებაზე და რომელთაც ქონიათ და აქვთ სოფ. მარტვილთან დამოკიდებულება და ეთხოვოს მათაც დაიშურონ თავიანთი წვლილი ასეთ კეთილ საქმისთვის, როგორიც არის უფასო სახალხო სამკითხველო სამეგრელოში. **3)** ეთხოვოს ჟურნალ-გაზეთ "მოამბის," "კვალის," "ცნობის ფურცლის," "ჯეჯილის," "მეურნის," და "მწყემსის" რედაქციებთ, რომ თავიანთი გამოცემანი დაუთმონ სამკითხველოს იმ ფასად, რა ფასადაც უთმობენ "ივერიის" და "ახალი მიმოხილვის" რედაქციებს. **4)** გამოეცხადოთ მადლობა: **1)** ქ-ნ პარასკევა ნესტორის ასულს ჯალაგანიძეს, რომელმაც სამკითხველოს სასარგებლო ლატარიაში ჩააგდო თავისი კუთვნილი ნივთი, რომლიდან სამკითხველოს შემოუვიდა ათი მანეთი და თოთხმეტი შაური. **2)** კლ. ჟორდანიასას, რომელმაც სამკითხველოს მის მიერ ქ. ქუთაისში შეგროვილი თორმეტი მანეთი და ექვსი შაური. **3)** მინადორა იმედაძისას, რომელმაც სამკითხველოს გამოუგზავნა წარსული 1896 წლის ჟურნალ-გაზეთი "родина"-ს რამოდენიმე წიგნები. **4)** ირინე თურქიას, რომელმაც შესწირა საყმაწვილო ჟურნალი "ჯეჯილი"-ს 12 წიგნი წარსულის 1896 წლიდან. **5)** **პეტრე** კონსტანტინეს ძე **გეგეჭკორს,** რომელმაც შესწირა რამოდენიმე საყმაწვილო საკითხავი ქართულ-რუსული წიგნები. თანახმად მეორე მუხლისა კრების დადგენილებისა წერილები სამკითხველოს გამგეს მიერ ყველასთან გაგზავნილ იქმნა და სამკითხველო ყველასაგან მოელის შემწეობის პასუხს.

სამკითხველოს კომიტეტის წევრი სამღვდელო დიაკონი **გ. გეგეჭკორი**

**გაზეთი "ივერია," 1897 წელი, 21 ნოემბერი, № 242, გვ. 3.**

რუბრიკა: "დაბა და სოფელი"

სოფელი აკეთი. 1 ნოემბრიდგან აკეთში და მახლობელ სოფლებში ყოველდღე წვიმს და

თოვს, რის გამოც მეტად შეწუხებულნი არიან მცხოვრებნი, რადგან ზამთრისათვის მოუმზადებელნი არიან. ყველაზედ ცუდ მდგომარეობაში არიან აკეთის ორ-კლასიანი შკოლის მასწავლებლები მოსწავლეებითურთ: აკეთის საზოგადოებაში არის პატარა მდინარეები, რომლებიც ცუდ ამინდში ისე ადიდდება, რომ არა თუ მოსწავლე პატარა ბავშვებს, დიდებსაც უჭირთ უცხენოდ გადასვლა. 15 დღეზე მეტია, რაც აკეთის ორ-კლასიან შკოლაში იმ 150 ბავშვს შორის, რომელიც შკოლაში ირიცხება, 40–50 მოსწავლის მეტი არა ყოფილა. იმედია, აკეთის მამასახლისი, რომელიც შკოლის მზრუნველად ითვლება, ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და გააკეთებინებს მცხოვრებთ ბოგირებს; მცხოვრებნი დიდის სიამოვნებით გააკეთებენ ხიდებს მხოლოდ საჭიროა მამასახლისმა საქმე ითაოს?

შესაბრალის მდგომარეობაში არიან აგრეთვე აჭარის სასწავლებლის მოსწავლენი სიღარიბისა და უქმობის გამო. რა ცოდნა უნდა მოსთხოვოს სოფლის მასწავლებელმა თავის მოსწავლეებს, რომლებსაც იმათ წიგნები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები არა აქვთ, ზამთარში ფეხზედ არ აცვიათ (ზაფხულში ხომ მაგალითიც არ ყოფილა, რომ ფეხზედ ჩაცმული მოსწავლე მენახოს), ტანზედ დაკონკილ-დაგლეჯილ ტილოს, ანუ ჩითის ტანისამოსის ამარა დაგდაგობენ შკოლაში, გულმოსაკლავ სურათს წარმოადგენენ წელამდის დასველებული მოსწავლეები, რომლებიც ადიდებულ მდინარეებში გამოსულან და რომლებსაც შკოლაში ცეცხლიც არ უხვდებათ, რომ გათბნენ და გაიმშრალონ ტანისამოსი.

მასწავლებელი **ა. გეგეჭკორი**

**სოფელ აკეთის (გურია) წიგნთ საცავის მდგომარეობა.**

1893 წლიდან სოფ. აკეთში არსებობს გურიის სახალხო წიგნთ-საცავი; როგორც მისი სახელი ამტკიცებს, ამ წიგნთ-საცავის დამაარსებელთ აზრად ჰქონდათ ეს წიგნთ-საცავი ყოფილიყო უმთავრესი მთელს გურიაში, ხოლო სხვა-და-სხვა სოფლებში უნდა ჰქონოდა განყოფილებანი. ამ აზრის მისაღწევად საჭირო იყო წიგნთ-საცავის გამდიდრება, რომ შესძლებოდა განყოფილებათა გამართვა, მაგრამ წიგნთ-საცავის საქმე უკუღმა დატრიალდა: ყოველმა სოფელში მოინდომა თავისათვის საკუთარის წიგნთ-საცავის დაარსება; ამ მიზეზით გურიის სახალხო წიგნთ-საცავს წევრები შემოაკლდა. რაკი საქმე ასე წავიდა, ერთად-ერთი საშუალება ის-და იყო, რომ აკეთელებს შეენახათ წიგნთ-საცავი. ამის გამო კრება მოხდა. კრებაზედ დამსწრეთ და ზოგმა არა-დამსწრეთაც სიამოვნებით მოაწერეს ხელი საწევრო სიას: მათ შორის მასწავლებელმა ა. **გეგეჭკორმა** გადაიხადა— 5 მანეთი. ეს ფული უნდა მოეხმარა წიგნთ-საცავს ამ 1897 წელში, მაგრამ წიგნთ-საცავს შემოუვიდა სულ 19 მანეთი და 17 კაპიკი, იმედია, დანარჩენებიც არ იკმარებენ მხოლოდ ხელის მოწერას და



გარდაიხდიან რაც აღუთქვეს წიგნთ-საცავს.

ამ ანგარიშიდგან ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს ეს გურიაში პირველად დაარსებული წიგნთ-საცავი. ამიტომ ვსთხოვ ყველა ქველმოქმედთ და განსაკუთრებით იმ აკეთელებს, რომლებიც სხვა-და-სხვა ქალაქში იმყოფებიან, წიგნით თუ ფულით შეეწეობა აღმოუჩინონ ამ სულთ-მობრძავს წიგნთ-საცავს, რომლის დღენიც დათვლილია, თუ ასე უყურადღებოდ დარჩა. ამასთანავე ვთხოვ იმათ, რომლებსაც გურიის სახალხო წიგნთ-საცავიდგან რამდენიმე წელიწადია წიგნები წაუღიათ, უკანვე დაუბრუნონ წიგნთ-საცავს.

ა. გეგეჭკორი

გაზეთი "ცნობის ფურცელი," 1898 წელი, 1 მარტი, № 469, გვ. 2.

რუბრიკა: ახალი ამბავი

სოფელი აკეთი. (გურია). პანაშვიდი მეფე ერეკლეზე. კვირას 22 თებერვალს, სოფ. აკეთში მაცხოვრის ეკლესიაში წირვის შემდეგ მღვდელ ბესარიონ თოხაძისგან გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის მეფე ერეკლე მეორის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო და აგრეთვე აკეთის ორ-კლასიანი სკოლის მასწავლებლები მოსწავლეებითურთ. პანაშვიდის შემდეგ მასწავლებელმა ა. **გეგეჭკორმა** წაიკითხა ვრცელი ბიოგრაფია მეფის ერეკლე მეორისა: ხალხი გულმოდგინედ უსმენდა და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა.

**– სკოლასთან ბაღის გაშენება.**

როგორც შევიტყვე ბატონ ა. **გეგეჭკორს** გამოუწერია სოხუმიდამ 30 მანეთის მცენარეები, მაგრამ სამწუხაროდ, აკეთის ორ-კლასიანი სკოლის ეზო ჯერ შეუღობავია. იმედია, აკეთის მამასახლისი, პ. თოხაძე ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და მცენარეების მიღებამდის ეზოს შემოაღობინებს. ამ საგნისათვის ბატონ ა. **გეგეჭკორს** უკვე გადაუცია 8 მანეთი, მაგრამ თუ მამასახლისმა რაიმე სხვა წყარო არ აღმოაჩინა, ეს მცირეოდენი ფული არ ეყოფა ეზოს შესაღობად.

ლავრენტი

გაზეთი "ივერია," 1898 წელი, 5 აპრილი, № 73, გვ. 4.

რუბრიკა: "ახალი ამბავი"

მდიდარი და ლამაზი სოფელი ლ. მხიარულობს, რადგან ხვალ აღდგომაა. ყველა დიდ სამზადისშია იმის მისაგებებლად: ასუფთავებენ სახლებს, ჰხვეტენ ეზოებს, ჰკვლენ პირუტყვებს, მოაქვთ მახლობელ ქალაქიდგან სასმელები, პასქები და სხვა. აი შუაღამეც; სოფლის ეკლესია გაბრწყინდა სანთლებით, ხალხი მიეშურება საყდრისაკენ, ისმის მხიარული საუბარი და ამ საუბარს უერთდება ზარების გრიალი. განსაკუთრებული მხიარულებაა ეკლესიასა და იმის ეზოში: ყველა იქ მყოფი გატაცებულია რაღაც მაღალის გრძნობით, რომელიც ამ ჟამად ყველას ერთმანეთთან აკავშირებს; ყველა აღტაცებით მოელის იმ წამს, რომელსაც მღვდლისაგან გაიგონებენ "ქრისტე აღდგა"-ს. ვნების კვირის მაგივრად დგება დიდი აღდგომის კვირა წყვდიადზედ ნათლის გამარჯვებისა. დგება დღესასწაული, ცხოვრებისა და ბედნიერების მომნიჭებელი.

სოფელ ლ. ეკლესია აგებულია მდინარის ერთ ნაპირას, ხოლო მეორე ნაპირს ამშვენებს დიდი ხის შენობა, ყვითლად შეღებილი, რომელშიაც მოთავსებულია სოფლის შკოლა. ამ შენობის ერთ პატარა ოთახში, ლოგინში წევს ავადმყოფი. მისი დასუსტებული სხეული და გამხდარი ხელ-ფეხი თითქმის აღარ მოძრაობს, მწუხარებით მოცული სახე თაფლის სანთელსავით გაყვითლებია; მხოლოდ დიდრონი შავი თვალები კიდევ მოძრაობს და ამით ამტკიცებს, რომ იმათი პატრონი ჯერ ისევ ცოცხალია. ეს ავადმყოფი არის ადგილობრივი მასწავლებელი მ. ფ. ლუნინი, 28 წლისა, რომელმაც სამი წელწადია, რაც ცოლად შეირთო მახლობელ სოფლის მასწავლებელი ქალი, ობოლი ევგენია პ. ლოზოვა. ეს მასწავლებელი (ლუნინი) მეტად შრომის მოყვარე კაცი იყო და მთავრობა საუკეთესო მასწავლებლად სთვლიდა. ბოლოს დროს იმისი ავადმყოფობისა გამო შკოლაში ევგენია შრომობდა. ახალ-გაზრდა ცოლ-ქმართ მეტად უყვარდათ ერთმანეთი, იმათი გამამხიარულებელი და ნუგეში ბავშვი, რომელიც ორის წლის შემდეგ მიეცათ, მალე გამოესალმა წუთი-სოფელს და დიდად დაალონა ახალ-გაზრდა დედ-მამა. ამ საერთო მხიარულების დროს ავადმყოფის ოთახში მწუხარება გამეფებულა: პატარა ლამპარი, რომელიც სდგას ხის მაგიდაზედ, მკრთალად ანათებს ოთახის სადა მორთულობას: უბრალო ტახტს, რამდენსავე შავს სკამს, პატარა კედლის სარკეს, სამ ოთხ სურათს და წიგნთ-საწყობს, რომელზედაც რამოდენიმე წიგნი ალაგია. ერთ კუთხეში მაცხოვრის ხატის წინ ანთებულია ლამპარი; იქვე მაგიდასთან სდგას დიდად მოწყენილის სახით ახალ-გაზრდა, მეტად ლამაზი ქალი. წინა ოთახიდგან ხშირად მოისმის კარის ჭრიალი და ხმაურობა...

ჯერ კიდევ არა სძინავს შკოლის დარაჯს, მოხუცებულ კ-ს. ყოველივე მხიარულობს და სიცოცხლეს ჰგრძნობს, ყმაწვილის ქალის თვალებში კი მაინც სევდა ცრემლებით, რაღაც ცუდი გრძნობა მძიმე ლოდსავით აწევს გულზედ და მომავალ საერთო მხიარულებას არ ძალუძს დასძლიოს ქალის მწუხარება. აგერ დაჰკრეს ცისკრის ზარს, დაჰკრეს მეორეს, მესამეც და ზარის ხმა მოედო მთელს არე მარეს... "ფენია!" (ასე ეძახოდა მასწავლებელი თავის მეუღლეს) კვნესით, მისუსტებულის ხმით დაიძახა ავადმყოფმა: "ხომ გესმის ზარების რეკა, ამისრულე თხოვნა, წადი ეკლესიაში და შეევედრე ღმერთს. ვგრძნობ, რომ დღეს უკეთა ვარ; შეიძლება ღმერთმა ისმინოს ჩემი ვედრება და მოვრჩე კიდეც"... ავადმყოფს ხანგრძლივმა ხველამ ლაპარაკი გააწყვეტინა.

– ძალიან კარგი, ჩემო სიცოცხლევ, მაგრამ შენ ვინ გიგდებს ყურს, წამალს, ან წყალს ვინ მოგაწოდებს?

– ნუ წუხხარ, ჩემო კარგო, წყალი ჭიქით აქვე სკამზე მიდგას, წამალიც ზედვე არის, მე თითონ მივწვდები, თუ საჭირო იქნება; თუ ისეთი რამ დამჭირდა, რომ ვერ შევძლებ იმის ასრულებას, დარაჯს დავუძახებ, ის აქ დარჩეს, შენ-კი მარტო წადი ეკლესიაში, წადი, წადი ნუ იგვიანებ!...

ფენიამ აასრულა ქმრის თხოვნა. თუმცა არ ესიამოვნა ქმრის მარტოდ დატოვება და ეკლესიაში წასვლით, მაგრამ მწუხარება გულშივე ჩაიმარხა, მოიკაზმა და გაეჩქარა ცისკარზედ; დარაჯს-კი დაუბარა, შკოლას არ მოშორებოდა და პირველ დაძახებისთანავე მიშასთან მისულიყო. როგორც-კი გამოვიდა ფენია, დარაჯმა კარები დაკეტა და იქვე წინა ოთახში მიწვა. ავადმყოფის ოთახში სამარისებური სიჩუმე გამეფდა; მხოლოდ ხანდის ხან ავადმყოფის ხანგრძლივი ხველა ისმოდა. ავადმყოფი ფანჯრიდგან უმზერდა გაბრწყინვებულს ეკლესიას, მისი თვალები ხარბად მისჩერებოდა იქაურობას.

– ეკლესია ჰბრწყინავს... ყველა მხიარულობს... ცისკრის ლოცვაა... "ქრისტე აღსდგა" ისმის... ერთმანეთს აღდგომას ულოცავენ, ემბორებიან... მე-კი... მე მარტოდ ვწევარ... ყველასაგან დავიწყებული, უსარგებლო, გამოუსადეგარი, ვუყვარვარ და ვახსოვარ მხოლოდ ჩემს ძვირფასს, ჩემს მოტრფიალე ფენიას. ოჰ! რა რიგად უნდოდა საბრალოს ეკლესიაში წასვლა, მაგრამ ვებრალებოდი, ეშინოდა, რომ მარტოდ დავრჩებოდი... ძლივს არ გავაბედვინე წასვლა?! ეკლესია ხომ ასე ახლოა... რა უყოთ, რომ ავადა ვარ? მე ხომ დიდი ხანია ერთსა და იმავე მდგომარეობაში ვიმყოფები; დღეს უკეთაცა ვარ...

და ავადმყოფი ჩაფიქრდა. მოაგონდა თავისი წარსული და გაუხშირდა გულის ცემა; გაახსენდა, რომ ოთხი წლის წინად იმავე ეკლესიაში ცისკრის ლოცვაზედ იყო; ეკლესია

ხალხით სავსე იყო, ამ დიდძალს ხალხში იმისი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მეტად ლამაზმა, ახალგაზრდა ქალმა, თეთრის ტანისამოსით მორთულმა. მიშას ჰხიბლავდა იმ ქალის შავი თვალები, ალის ფერი ლოყები, სქელი და გრძელი შავი თმა და მრგვალი პირის სახე. ოხ! რა ბედნიერი იყო მაშინ და როგორ მხიარულობდა?! ის ყმაწვილი ქალი გახლდათ მისი ძვირფასი ჟენია. მიშამ პირველად დაინახა ჟენია იმ დილას და პირველად გაეცნო იმავე დღეს მამა ნიკოლოზის ოჯახში. ამის შემდეგ მიშა ხშირად ჰხედავდა ჟენიას მღვდლის ოჯახში, სადაც იგი თავის ამხანაგ ქალებთან, მღვდლის ქალიშვილებთან დადიოდა. ჟენია და მიშა ერთმანეთს მალე დაუახლოვდნენ, მიწერ მოწერაც გამართეს და ცოლ-ქმრობაც აღთქვეს. მასწავლებლობის დროს ევგენიას ბევრი მწუხარება უნახავს სოფელ ც-ს. გაუთლელ და უმეცარ მამასახლისის მიზეზით. მამასახლისი ნათესავი იყო ერობის ერთის ხმოსნისა. უსაქმო, მუდამ მთვრალი მამასახლისი აღიჭურვა პირუტყვულის გრძნობით ახალგაზრდა ლამაზ ქალის მიმართ და სხვა-და-სხვა საშუალებით უცხადებდა ჟენიას თავის უმსგავს სიყვარულს, მაგრამ საზოგადო სამსახურით გატაცებულმა ქალმა უარყო იგი. ოჰ! რამდენი შეურაცყოფა მიაყენა მამასახლისმა ჟენიას, ამის შემდეგ, აღივსო ბოროტებით და გარდასწყვიტა აღეგავოს იგი დედამიწის ზურგიდან. დაბეზღების ქაღალდების წერა ვერ მოახერხა: მიზეზი ვერაფერი ჰქონდა ყმაწვილ მასწავლებელს. მაგრამ სხვა გვარად მოინდომა თავისის ბოროტის განზრახვის ასრულება: მამასახლისს დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაში, განსაკუთრებით ისეთებზედ, ვისაც მისი ფული ემართათ, ან ვინც მისგან დავალებული იყო სხვა-და-სხვა საქმის უკუღმართად ასრულებისათვის. შეადგინა განაჩენი, ვითომ ხალხს არა ჰსურდა მასწავლებლად ევგენია, რადგან უხეიროდ ასწავლის ბავშვებს, სცემს და სხვა. მამასახლისი ისე დარწმუნებული იყო სურვილი ასრულდებოდა, რომ თამამად მოაწერა ხელი განაჩენზედ იმათ მაგივრადაც, რომლებიც არა ყოფილან განაჩენის შედგენის დროს და არც იცოდნენ მამასახლისის უმსგავსი განზრახვა. მოვიდა სახალხო შკოლების ინსპექტორი, მოახდინა სასტიკი გამოძიება და შეიტყო ყოველივე. აღიძვრებოდა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ახალგაზრდა ქალმა ამ საქმის მოსპობა ისურვა, რითაც დაანახვა თავის მოსწავლეებს დიდი მაგალითი დიდსულოვნებისა და გულ კეთილობისა.

ყოველივე ეს უნებლიედ მოაგონდა ავადმყოფს... მაგრამ მან გამოიხსნა ქალი უგუნურის მამასახლისისგან. აი, ის ეკლესია, რომლის ფანჯრებიდგან შემოდის არყის ხის ნორჩის ფოთლების სუნი და უერთდება საკმევლის სუნს; მიშა სდგას შუა ეკლესიაში თავისის ძვირფასს ჟენიათი; იქვეა მამა ნიკოლოზი დაასრულებს ქორწინების საიდუმლოს...

ღმერთო ჩემო! რა ცოტა ხანია მას შემდეგ... როგორ მალე გაფრინდა ნეტარი სამი წელიწადი! ნუ თუ ყოველივე გათავდა... ოჰა, რა, არა! მე ჯერ კიდევ სიცოცხლე მინდა, გაზაფხული დადგა, ყოველივე მწვანდება, ყოველივე ცოცხლდება, მეც სიცოცხლეს ვნატრობ... მალე ბავშვების გამოცდაც იქნება და დაისვენებ ხანგრძლივის ჯაფის შემდეგ. უეცრად ავადმყოფის თვალები კუთხეში მაცხოვრის ხატს მიაჩერდა.

– ღმერთო, მიშველე! ჩურჩულებდა ავადმყოფის ბაგენი, ნუ მომაშორებ ასე უდროვოდ ქვეყნიერებას! მომანიჭე ერთი წვეთი სიცოცხლე... მაგრამ ეს რას ნიშნავს? რა მახრჩობს? მესმის "ქრისტე აღსდგა"-ს და "წმიდაო ღმერთო"-ს გალობა?... ვკვდები?... არა, არ მინდა სიკვდილი... სიცოცხლე მინდა, სიცოცხლე, სიცოცხლე... ფენია, ფენია! მოდი ჩქარა, ძალდატანებით წამოილაპარაკა ავადმყოფმა, მაგრამ ფენიას პასუხის მაგივრად მხოლოდ დარაჯის ხვრინვა მოესმა: – ფენია! გელი... სადა ხარ ჩემო სიცოცხლევ?... სული მეხუთება... ვკვდები... მშვიდობით, მშვიდობით. ჩემო მტრედო, ჩემო ფე-ნ...

ცისკრის ლოცვა გათავდა თუ არა, ფენიამ აღარ დაუცადა წირვას და გაეშურა შინისაკენ. დარაჯმა კარები გაუღო და შევიდა ოთახში.

– მიშა არ გამოეხმაურებია? ჰკითხა დარაჯს,

– არა, ქალბატონო.

ფენია ოთახში მიესალმა ქმარს. "მიშა, ქრისტე აღდგა"!

მაგრამ პასუხი არავინ მისცა. მიშა, ქრისტე აღსდგა! განიმეორა ქალმა. პასუხი მაინც არ ისმოდა. მიშა რა დაგემართა, ჩემო სიცოცხლევ? ქრისტე აღსდგა! კიდევ განიმეორა ქალმა და ხელი მოჰკიდა ქმარს, რომ გადაჰხვეოდა. მაგრამ სახეზე სიკვდილის ბეჭედი შეამჩნია. ქმრის თვალები უძრავად მისჩერებოდა მაცხოვრის ხატს. საწყალი ქალი უგრძნობლად დაეცა ჯერ კიდევ თბილ ქმრის სხეულზე და გაისმა საზარელი კივილი. შემოვარდა მოხუცებული დარაჯი. გაფითრებულმა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, მხოლოდ ესღა წაილაპარაკა:

– ეჰ, სიცოცხლევ! სიცოცხლევ!

– ჰაერში კი ისევ ზარის ხმა გრგვინავდა. წირვა გათავებულიყო და გლეხები მხიარულის ბაასით მიეშურებოდნენ თავიანთი სახლებისაკენ. აღმოსავლეთი დილის ცისკარს ალის ფრად შეეღება...

ა. გეგეჭკორი

## გაზეთი "ცნობის ფურცელი," 1898 წელი, 7 ივნისი, № 552, გვ. 3.

რუბრიკა: "ახალი ამბავი"

...მარტვილი (სამეგრელო). მადლობა შემოწირულებისთვის. ამას წინად ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გრიგოლიმ გადმოსცა მე მარტვილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შესაძენად ერთი სურათი ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძისა და მასთან სამოცი ქართულ-რუსული წიგნები, ამასთანავე მარტვილის ორ-კლასიან სამრევლო შკოლის წიგნთ-საცავის შესაწევნად ოცდა ათი ქართულ-რუსული წიგნები. ეს ხსენებულნი კუთვნილებისაებრ გადავეცი გამგეთა, რომლებმაც მადლობა მოახსენეს ეგეთი შემწეობისათვის ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსს გრიგოლის.

დიაკონი გრიგოლი გეგეჭკორი

## გაზეთი "ცნობის ფურცელი," 1898 წელი, 7 ოქტომბერი, № 647, გვ. 3.

რუბრიკა: "ახალი ამბავი"

სოფელი აკეთი (გურია). მადლობის გამოცხადება. გულითადს მადლობას ვუძღვნი პატარა თავადს ალიკო ნესტორის ძე თავდგირიძეს, რომელმაც ერთ ღარიბ მოსწავლეს აკეთის ორ-კლასიანის სასწავლებლისას საჩუქრად გამოუგზავნა ოთხი სახელმძღვანელო წიგნი. ვუსურვებ გულკეთილ ბავშვს ასეთი მისი სიბრალული ღარიბებისადმი გაასკეცებულიყოს და ეხლა პატარა გულკეთილი ალიკო გამომდგარიყოს დიდი ქველმოქმედი თავისი სამშობლო ქვეყნის საკეთილ დღეოდ.

მასწავლებელი ზედამხედველი ა. გეგეჭკორი

## გაზეთი "ცნობის ფურცელი," 1898 წელი, 1 ნოემბერი, № 668, გვ. 2.

რუბრიკა: "ახალი ამბავი"



მადლობის გამოცხადება. თქვენის გაზეთის საშუალებით გამგეობა მარტვილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი მადლობას სწირავს ბ. ლუკა თათეიშვილს, რომელმაც ხსენებულ სამკითხველოს შემოსწირა ორი ქართული წიგნი, ღირებული მანეთ ნახევრად.

ამასთანავე იგივე გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველა იმ პირთ, რომელნიც ითვლებიან ხსენებულ სამკითხველოს წევრებად, წარმოადგინონ მათი ამა 1898 წლის ხვედრი საწევრო ფული სამკითხველოს გამგის

სახელზე, რადგან ამ ჟამად სამკითხველოს ძლიერ ესაჭიროება ფული.

მარტვილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საქმეთა მწარმოებელი **გიორგი გეგეჭკორი.**

## გაზეთი "ცნობის ფურცელი," 1898 წელი, 6 დეკემბერი, № 697, გვ. 2.

რუბრიკა: "ახალი ამბავი"

ს. აკეთი (გურია). ბიბლიოთეკა-კაპიკი. დღეს გურია არ სტოვებს დაუფასებლად აღარც ერთს სასარგებლო დაწესებულებას. აი ერთიც ახალი, ძლიერ სასარგებლო და სხვებისაგან მისაბაძი დაწესებულება, რომელსაც აარსებენ სოფ. აკეთში. მოგეხსენებათ, ყოველ მოსწავლეს თვეში რამოდენიმე კაპიკი თავისუფალი ფული აქვს, რომელიც რჩება მას სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთის ყიდვის შემდეგ. ხშირად ისეც მოხდება, რომ ბავშვს რომელიმე ნათესავთაგანი აჩუქებს ორიოდ გროშს, რომელსაც ის ხარჯავს უსარგებლოთ. აი ამ თავისუფალს ფულიდამ ადვილად შეუძლია ყოველ მოსწავლეს თვეში თითო კაპიკი შეიწიროს მოხსენებულ დაწესებულებას, რომელსაც ამის გამო დაერქმევა "ბიბლიოთეკა-კაპიკი." თვეში კაპიკის გადახდა, როგორც ვთქვით, არც ერთ მოსწავლეს არ გაუჭირდება და ამით ერთი წლის განმავლობაში 8-10 მანეთი შესდგება, რითაც შეიძლება შეიძინონ ბავშვებმა რამოდენიმე იაფფასიანი საყმაწვილო წიგნაკი და აგრეთვე საბავშვო ჟურნალიც. ამ ჟურნალისა და წიგნაკების რიცხვი წლიწადში 30-მდე აღწევს; ასე რომ 10 წლის განმავლობაში ბავშვებისთვის იქმნება მათივე მონარჩენი ფულით 300 წიგნის ბიბლიოთეკა. გარდა ამისა, ბავშვები პატარაობიდანვე მიეჩვევიან ყოველივე საზოგადოებრივი დაწესებულების თანაგრძნობას.

აკეთის ორ-კლასიანი შკოლის ზედამხედველმა ბ-ნმა ა. **გეგეჭკორმა** განიზრახა დააარსოს აკეთის სკოლაში "ბიბლიოთეკა-კაპიკი." ამ განზრახვას მოსწავლეები სიხარულით მიეგებნენ, განაცხადეს სურვილი შეედგინათ ხელ-მოსაწერი სია და ამოერჩიათ ამხანაგებისაგან კეთილ-საიმედო მოსწავლე, რომელიც ყოველ თვის დამლევს ჩააბარებს მასწავლებელს მოკრებილ კაპიკებს. ასე რომ ერთი წლის შემდეგ აკეთის სკოლის მოსწავლეებს ექნებათ პატარა ბიბლიოთეკა, რომლის საქმესაც ბ-ნი ა. **გეგეჭკორი**, იმედია, შესაფერისად დააბოლოვებს და მით უჩვენებს მაგალითს სხვა სკოლებსაც.

გუგუ

## გაზეთი "კვალი," 1898 წელი, 13 დეკემბერი, № 51, გვ. 853.

რუბრიკა: "წერილი რედაქციის მიმართ"

ერთი უსარგებლო ჩვეულება გვაქვს, საზოგადოთ ყველას და განსაკუთრებით ხონელებს; ღარიბი თუ მდიდარი ახალწელიწადს მოვალეა გამართოს "სტოლი," რომელზედაც იხარჯება არა ნაკლებ 15 მანეთისა, 1000 მოსახლეზე, რომ ვიანგარიშოთ წელიწადში 15 000 მანეთი შეადგება და რამდენი კეთილი საქმე გაკეთდებოდა, ეს ყველასთვის ცხადია – (ხონელებს ერთი წიგნთ-საცავიც არა გვაქვს). სხვებს რა ძალა მაქვს ვაიძულო და მე კი ჩემდა თავათ ვსპობ ამ ჩვეულებას და როგორც ღარიბი კაცი, ახალწელიწადს "სტოლის" მაგიერათ გაახლებთ ხუთ მანეთს და უმორჩილესათ გთხოვთ 1 იანვრიდან ჟურნალი "ჯეჯილი" უგზავნოთ მარტვილის სამკითხველოს. თუ მიმბაძველები გამოჩნდებიან დიდათ ბედნიერათ ჩავთვლი ჩემ თავს. თქვენ კი ბ-ნო რედაქტორო, უმორჩილესათ გთხოვთ გამოაქვეყნოთ ეს ჩემი წერილი, რადგან ახალ წელიწადი მოახლოებულია და მსურს უზრუნველ ყოფილი ვიყო იმ დღეს ამ ძალაობით სტუმრობისაგან.

მასწავლებელი ა. გეგეჩკორი

## გაზეთი "ცნობის ფურცელი," 1898 წელი, 22 დეკემბერი, № 710, გვ. 3.

რუბრიკა: "ახალი ამბავი"

ს. მარტვილი. მადლობის გამოცხადება. როგორც მკითხველებმა იციან, შარშან ამ დროს ბ. თეიმურაზ ივანეს ძე თოფურიაძე ზოგი სხვისგან შეწირული და ზოგიც კერძო პირებთაგან მის მიერ შეკრებილი ასი მანეთი ფული წარმოუგზავნა ჩვენს მარტვილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შესაწირად. ამ პატივ-ცემულმა პირმა ამ შეწირვას არ აკმარა და ეხლაც ამა-წლის საწევრო ხუთი მანეთი ფული და რვა ყველა ახალ ყდიანი ქართველ გამოჩენილ მწერლებთა შემდგარი წიგნებიც, ღირებული თორმეტი მანეთის, სამკითხველოს წარმოუგზავნა. ამასთან მის საშუალებითვე კიდევ მივიღეთ თორმეტი ქართული წიგნები ღირებული მანეთ ნახევრად ხსენებულ სამკითხველოს საპატიო წევრის კონსტანტინე თავართქილაძისაგან წარმოგზავნილი. გამგეობა სამკითხველოსი დიდს მადლობას უცხადებს ორთავე საპატიო წევრს და განსაკუთრებით ბ. თეიმურაზ თოფურიას, რომელიც სამკითხველოს წევრთა შორის ასე სამაგალითოდ იქცევა. ღმერთმან ინებოს სხვებმაც მიბაძონ ამ მოღვაწე პირს. გამგეობა სამკითხველოსი თქვენი გაზეთის საშუალებით ბ. რედაქტორო! განმეორებით უმორჩილესაც სთხოვს ყველა წევრს ხსენებული სამკითხველოსას ამა მდგომარე წლის საწევრო ფული დაუყოვნებლივ წარმოუგზავნონ სამკითხველოს გამგის სახელზე, რადგან ამ ჟამად სამკითხველოს დიდად ესაჭიროება ფული.

მარტვილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს წევრი და საქმეთა მწარმოებელი

გიორგი გეგეჭკორი

### გაზეთი "ცნობის ფურცელი," 1899 წელი, 6 იანვარი, № 719, გვ. 2.

რუბრიკა: ახალი ამბავი

სამართლის აღდგენა. ბ-ნო რედაქტორო! "ცნობის ფურცლის" № 691-ში აკეთიდამ იყო შენიშვნა, რომლითაც ზოგიერთი ქალბატონ-ვაჟბატონები გალანძღულად თვლიან თავის-თავს, რადგან შენიშვნის ავტორად მე მასახელებენ, უმორჩილესად გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ, რომ ის შენიშვნა მე არ მეკუთვნის.

მასწავლებელი ა. გეგეჭკორი

### გაზეთი "ცნობის ფურცელი," 1899 წელი, 22 იანვარი, № 731, გვ. 2.

რუბრიკა: "ხალი ამბავი"

მადლობის გამოცხადება. გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ქ-ნი ეფროსინე ივანეს ასული კანდელაკისას მიმავალი წლის "ცნობის ფურცლის" თავის ხარჯით გამოწერისათვის ჩემდამი რწმუნებული უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ. აგრეთვე მადლობას ვუძღვნი გაზეთ "ცნობის ფურცლის" რედაქციას ამ ორი წლის გაზეთის დაკლებულ ფასად დათმობისათვის.

ოქუმის (გალის რაიონი. 1840 წლიდან ოქუმი ისტორიული სამურზაყანოს ცენტრი იყო. 1906 წლიდან ცენტრი გადაიტანეს გალში).

უფასო სამკითხველოს დამაარსებელი **ივანე გეგეჭკორი.**

### გაზეთი "ცნობის ფურცელი," 1899 წელი, 9 თებერვალი, № 745, გვ. 2.

რუბრიკა: ახალი ამბავი

საჭირო განმარტება. დიდ ბოდიშს მოვითხოვ მკითხველთან, რომ ისეთ იგავ-არაკს განვუმეორებ რომელიც მას არა ერთჯერ და ორჯერ წაუკითხავს, ანუ გაუგონია; შეიძლება ზეპირადაც ესწავლოს ქართულად თუ არა, რუსულად ხომ მაინც.

პაპანაქებაში, სიცხეში კრავი ჩავიდა წყალზე, რადგან მას ძალზე სწყუროდა... უეცრად გამოჩნდა ცხვართ-სისხლის მსმელი მგელი და ცხვარს შემოუძახა:

"შენ რას მიჰქარავ, რომ მე წყალს მიმღვრევ? მაგისთვის იცი? გვერდებს დაგამტვრევ!" კრავი ძალზე შეშინდა და კრძალვით მიუგო: ძლიერო და დიდებულო, ჩემო ბატონო! თქვენ

ბრძანდებით ზევით, მე კი წყალს ვსვამ ქვევით და ამ ნაბიჯს დაბლა მე რას დაგიშლით?

მელამ ცხვარს შეუძახა: როგორ მიბედავ ამ თავხედობას? გახსოვს შარშანწინაც რომ გამლანძღე?

– მე ერთი წლისაც არა ვარო, მიუგო ცხვარმა და შარშანწინ როგორ გაგლანძღავდიო?

– მაშ ის ძმა იქნებოდა შენი ან დედაო, უთხრა მელამ.

– მე არც დედა მყავს, არც ძმაო, მიუგო კრავმა... მაგრამ მელამ ბევრი ალაგ ალაპარაკა ცხვარი, რადგან მისი მიზანი იყო ცხვარი შეეჭამა და დაუყვირა:

„გაჩუმდი, კმარა!. მე გავათავე... შენ ხარ შემცოდე მით, რომ მე მშიანო... და მოუღო ბოლო უმანკო არსებას. სწორედ ამ იგავ-არაკს მოგვაგონებს ჩვენი საქმეც.

გასული წლის „ცნობის ფურცლის" ერთ-ერთ ნომერში ვიღაც „შავ-ყვითელმა" ცუდად მოიხსენია აკეთის ზოგნი ქალბატონ-ვაჟბატონები. „შავ-ყვითლობა" მე შემწამეს, მაგრამ „ცნობის ფურცლის" № 719-ში თავი გავიმართლე. არ გეგონოს მკითხველო, რომ ამას შემდეგ მოვისვენე. სრულებითაც არა! იმისი არ იყოს, რომ მელამ უთხრა ცხვარს: „შენ ხარ შემცოდე მით, რომ მე მშიანო!" ეხლა სხვა ხრიკებს მომდევს: „ცნობის ფურცლის" № 718-ში ვიღაც კორესპონდენტის შენიშვნა იყო გურიაში ქალების მოტაცების გახშირებაზე და სხვათა შორის შეცდომით მოხსენებულია ერთი პატივცემული ქალის მოტაცებაც აი ამ ამბის შეთხზვაც მე შემწამეს. იმედია ბ-ნი რედაქტორი „ცნობის ფურცლისა" ამ ცილის-წამებიდანაც მიხსნის, რითაც დიდი დავალებული ვიქნები. ვიცი კიდევ ბევრს რამეს შემწამებენ, რადგან მე დამნაშავე ვარ მით, რომ მათ შიანთ! მაგრამ პატივცემულ რედაქციას მეც ალაგ შევაწუხებ იმ ანდაზის მიხედვით, რომ „ყბედი რამ მოლალა და მუნჯმაო". როგორც ეტყობა ისეთი ცილი შემწამონ **(*)**.

მასწავლებელი ა. **გეგეჭკორი**

**(*)** რედაქცია ემოწმება ბ-ნ **გეგეჭკორს**, რომ ხსენებული ცრუ ამბავის ავტორი სრულებით **გეგეჭკორი** არ არის. **რედ.**

## გაზეთი „ცნობის ფურცელი," 1899 წელი, 13 თებერვალი, № 749, გვ. 1-2.

რუბრიკა: ახალი ამბავი

გურია. სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობა. მსურს ოროოდე სიტყვა გავუზიარო პატივცემულ მკითხველთ შესახებ აკეთის მასწავლებლისა. აკეთის საზოგადოება შესდგება სულ შვიდი სოფლისაგან. ამ საზოგადოებაში ოთხი სასწავლებელია: ერთი ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა სამი მასწავლებლით და სამი სამრევლო. მეტად სასიხარულო და



სასიამოვნოა ორ-კლასიანი სკოლის მასწავლებლის ბატონ ა. **გეგეჭკორის** მოქმედება ამ საზოგადოებაში. ბატონ **გეგეჭკორის** დაუღალავი შრომით და მეცადინეობით არა ერთი კეთილი საქმე გაკეთებულა სოფელ აკეთში. ძნელი წარმოსადგენია იმ კაცისათვის, რომელიც მასწავლებლად არა ყოფილა, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან სოფლის სკოლების მოსწავლეები სხვა და სხვა სასწავლო ნივთების უქონლობისა გამო. ქალაქი სკოლაზე 20-25 ვერსზე არის მოშორებული. აბა, საიდგან შეუძლიან მოსწავლეს რვეულისათვის 25 ვერსი გაიაროს. იცყვით, მასწავლებელმა უნდა იყიდოს სასწავლო ნივთები თავისი ფულით და მერმე მოსწავლეებზედ ჰყიდოს. კარგი და კეთილი! მაგრამ, საიდგან რა ვიყიდოთ, როდესაც ჩვენი ღარიბი ქისა ჩვენს მოთხოვნილებების უმცირეს ნაწილს თუ დააკმაყოფილებს. აი, ამ გარემოებით სარგებლობენ ზოგიერთ სოფლებში სოფლის მოვაჭრენი და სამ კაპეიკად ნაყიდ რვეულს 5-6 კაპეიკად ჰყიდიან და ზოგან მეტადაც. მოსწავლე ვალდებულია, ძალა-უნებურად გადაიხადოს რვეულში 5-6 კაპეიკი ან მეტი. გადიხდის კიდეც თუ კი აქვს ფული, ან ყოველ დროს თვით მედუქნეებს თუ ექნებათ რვეულები, მაგრამ აქაც კიდევ ახალი უბედურებაა: ხშირად მოსწავლეს 5-6 კაპეიკის შოვნა უძნელდება და მოვაჭრეებში რვეულს ვერ უნახავენ.

ამ ევარის გარემოების ასაცილებლად ბატონმა ა. **გეგეჭკორმა** თავის ფულით, ეს რამდენიმე თვე იქნება, იყიდა სხვა და სხვა სასწავლო ნივთები და რაც შეიძლება იაფ ფასებში ანვდის მოსწავლეებს, რის გამოც მოსწავლე ურვეულოდ და სხვა სასწავლო ნივთების უქონლად არ რჩება.

იმ უმცირეს მოგებას, რომელიც რჩება სასწავლო ნივთების გაყიდვის შემდეგ, ა. **გეგეჭკორი** უნახავს სკოლას. ბატონ **გეგეჭკორს** სურს მოგებიდგან შეადგინოს თანხა 40 მანეთი, რომლითაც სკოლას შეძლება ექნება ყოველთვის იქონიოს სხვა და სხვა სასწავლო ნივთები. ამის შემდეგ კი რაც მოგება დარჩება სასწავლო ნივთებისაგან, სულ მოახმაროს სხვა რაიმე საქველ-მოქმედო საქმეს. დღეს მოგებიდგან სკოლას აქვს 14 მანეთი 50 კაპ.

სოფლის მასწავლებელი კონია ჭეიშვილი

გაზეთი "ცნობის ფურცელი," 1899 წელი, 17 თებერვალი, № 752, გვ. 2.

რუბრიკა: "ახალი ამბავი"

ხონიდან ქუთაისამდე. ვისაც ქუთაისიდამ ხონამდი უმგზავრნია, ის თვითონაც მიხვდება,

თუ არა სასიამოვნო ამბის წაიკითხავს ამ მცირე შენიშვნაში. ამას წინად ქართულ გაზეთში წავიკითხე: გუჭის წყალზე ჭოროხიდან ეტლი გადავარდა და მგზავრების ტანსაცმელი მოუყოლათ, რომ იქვე ხიდის მკეთებელი მუშები არ ყოფილიყვნენო.

ახლა ჭოროხიდან ეტლი არ გადავარდება და მგზავრებიც ამ მხრივ უზრუნველყოფილნი არიან, რადგან ღირსი გავხდით გუჭის წყალზე ახალი ხიდისა, რომლის გაკეთებაც მაშინ დაიწყეს, როდესაც ნიუ-იორკში (ამერიკის შეერთებული შტატები) იმ უზარ-მაზარი შენობის საფუძველი ჩაყარეს, რომელიც სიმაღლით 72 საჟენია (27 სართულიანია) და რომელიც ამ ხიდის გაკეთებამდე უკვე ზედ იყო. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა: "გინდ მგელს შევუჭამივარ, გინდ მელიისფერ ძაღლსაო;" გუჭის წყალში აღარ დავიხრჩობით, ქუთაისიდამ მაღლაკიძის (ამჟ. ხონის მუნიციპალიტეტი) რომ არ დავიხრჩობოდეთ თვითონ გზაზე დამდგარ წყალში. იმედია, ვისაც ჯერ არს, მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას და ააცდენს ხიფათს იმ აურაცხელ მგზავრებს, რომლებიც ხონიდან ქუთაისამდე დადიან, რადგან ცოტა გულგატეხილი გახლავარ ამ გვარი საქმეების თავის დროზედ გაკეთებაზედ, ვურჩევ ყველა მგზავრებს, ამ მიმომსვლელთ, ნუ დაივიწყებთ, რომ "სიფრთხილეს თავი არ ტკივა"; ამიტომ ჯერ მღვდელს აღსარება უთხრან, ეზიარონ, გამოეთხოვონ თავიანთ ცოლ-შვილ-ნათესავებს და მერე სცადონ ბედი ამ გზაზედ მგზავრობაში.

ა. გეგეჭკორი.

## გაზეთი "ივერია," 1899 წელი, 4 მაისი, № 47, გვ. 3.

რუბრიკა: "ნარკვევი" (ჟურნალ-გაზეთებიდან).

ამ წლის "კვალის" მე-9 ნომერში საყურადღებო კორესპონდენციაა დაბეჭდილი, რომელიც თვალსაჩინოდ გვიხასიათებს სოფ. აკეთის (გურია) აღვირ-წაშვებულ მკლავაძეებს. კორესპონდენტის ბ-ნ მკვიდრის სიტყვით, წარსულის წლის 21 დეკემბერს სოფ. აკეთში, აქაურ წიგნთ-საცავის წინ, სრულიად უმიზეზოდ და უდანაშაულოდ აზ. ვალერიან შალიკაშვილმა სიტყვითა და მოქმედებით შეურაცხყო აკეთის ორ-კლასიანი სკოლის ზედამხედველი **არკადი გეგეჭკორი**, რომელსაც აგრეთვე დაემუქრა, რომ უფრო დიდ საზოგადოებაში გაგლახავო!... ეს საქმე ბრალდებულის დაუსწრებლად პირველ თებერვალს ამ წლისას გაარჩია ჩოხატაურის სასამართლო ნაწილის გამგემ ბ-ნმა პეკარსკიმ და შალიკაშვილს მიუსაჯა სამი თვით დაპატიმრება...

სასამართლოში მოწმეების ჩვენებიდგან დამტკიცდა, რომ შალიკაშვილი წინათვე მოფიქრებულის განზრახვით შეხვედრია წიგნთ-საცავის წინ **არკადი გეგეჭკორს**, შემოუკრავს მისთვის სახეში სილა, შემდეგ წაუქცევია, დაუგორებია იქვე თავდაღმართზე და წიხლითაც

უცემია; ხოლო ბოლოს დაუჯერებია, რომ ასეთი გალახვა რა უნდა იყოს, უფრო დიდ საზოგადოებაში უნდა ეცემოთ. უგინებია დედ-მამა და სხვა უწმინდური სიტყვებითაც მოუხსენებია. საბუთად ამ შეუსაბამო საქციელისა შალიკაშვილს ის მოუმიზეზებია, რომ ვითომ **გეგეჭკორს** გაზეთის საშუალებით ცუდად მოეხსენებინოს ბიბლიოთეკის გამგე ჯამულეთ ბაჟუნაიშვილი, ნიკო თავდგირიძე, მთელი აკეთის საზოგადოება. ბ-ნმა **გეგეჭკორმა** მოსამართლეს წარუდგინა "ცნობის ფურცლის" ნომერი, რომელშიაც ვიღაც "შავყვითელის" შენიშვნა ამის დაბეჭდილი აკეთიდგან და რომელშიაც ნათქვამია, რომ აკეთში უკეთუ ზოგიერთი ქალი და კაცი არ იყვნენ, უფრო კარგი იქნებოდა. წარუდგინა აგრეთვე ის სადაც ხსენებული გაზეთის რედაქცია ამოწმებს, რომ ზემო თქმულის ავტორი **არკადი გეგეჭკორი** არ არისო. საყურადღებო და საგულისხმიერო იყო მოწმეთა ჩვენების ის ადგილი, რომლიდგანაც გამოჩნდა, რომ იმ დღეს, რა დღესაც ეს სასიამოვნო ამბავი მოხდა, ბიბლიოთეკის გამგე ჯამულეთ ბაჟუნაიშვილს დაუბარებია ბიბლიოთეკაში **არკადი გეგეჭკორი** და ერთის მანდილოსანის წერილი გადაუცია!... ეს წერილი მუქარის კილოთი ყოფილა დაწერილი, ხოლო ბაჟუნაიშვილი როცა განშორდა **გეგეჭკორს**, იქვე მახლობელ დუქანში შესულა და სამაგიეროთ იმავე დუქნიდან აზ. შალიკაშვილი გამობრძანებულა ამ საგმირო საქმის ჩასადენად... ყოველივე ეს აფიქრებინებს კაცს, რომ ამ შემთხვევაში შალიკაშვილს შემგულიანებელი ჰყოლია და იმის ბრძანებით უმოქმედნია!

ამ შინაარსის წერილი ჩვენს რედაქციასაც მოუვიდა აკეთიდგან. ჯერჯერობით უნდა ვანუგეშოთ კორესპონდენტები და აკეთის საზოგადოება შემდეგის სიტყვებით: **"კარგი რამ გვჭირდეს გვიკვირდეს, ავი რა საკვირველია!"**

ამასთანავე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბ-ნ შალიკაშვილისებურ რაინდების რიცხვი თანდათან მცირდება ჩვენში; ზოგნი იმათგანი ძალით აკვლევინებს სხვას თავს, ზოგნი მიემგზავრებიან იქ, საცა მათი ადგილია. ასე რომ ახლოს მომავალში შეიძლება სრულიად გაიწმინდოს იმათგან ქვეყანა.

### გაზეთი "ივერია," 1899 წელი, 9 აპრილი, № 77, გვ. 1–2.

რუბრიკა: "ფელეტონი"

არ მინდოდა იმ ფრიად უსიამოვნო ამბავთა შესახებ, რაც ამ ბოლო ხანებში გურიის ერთ საზოგადოებას, სახელდობრ აკეთს შეემთხვა, ხმის ამოღება, მაგრამ ვინაიდგან ეს თავისთავად სამწუხარო ინციდენტი ინციდენტისა და ინტრიგის მოყვარულთა და მოტრფიალეთ თავისებურად ახსნეს და გაარკვიეს, ვინაიდგან რაც ნამდვილი და ჭეშმარიტი იყო ნისლ-ბურუსში გაახვიეს, ხოლო თაღლითი და ყალბი მზეზედ გამოჰფინეს და მათი მწუხარება

გაგვიორკეცეს-მეტი რა ღონეა, რომ სათქმელი არა ვსთქვა. ხოლო ვიდრე ამის თქმას შევუდგებოდე, ნება უნდა დამრთოს მკითხველმა, რომ თავდაპირველად ვაუწყო, თუ რის შესახებ განმიზრახავს მასთან საუბარი.

უეჭველია, გაიგონებდით ან ადგილობრივ გაზეთებში ამოიკითხავდით, რომ წარსულის წლის 21 ქრისტეშობისთვის აკეთის წიგნთ-საცავის წინ აქაურის ორ-კლასიან სკოლის ზედამხედველს ბ-ნ **გეგეჭკორს** სცემეს. ცემის მიზეზი, როგორც თითონ მცემელმა განმარტა, თურმე ის იყო, რომ თითქო ცემულსა და გვემულს **გეგეჭკორს** საზოგადოდ აკეთის საზოგადოება და კერძოდ რამდენიმე წევრი ამ საზოგადოებისა ცუდად მოეხსენებინოს გაზეთში... გადავჩხრიკე მაშინვე საუნჯე ჩემის მეხსიერებისა და აღმოჩნდა, რომ "ცნობის ფურცლის" ერთ-ერთ №-ში ოქტომბრის გასულსა თუ ნოემბრის დასაწყისში ვიღაც "შავყვითელის" ბაწაწკინტელა შენიშვნა იყო დაბეჭდილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ აკეთში უკეთუ ზოგიერთი უზნეო ქალი და კაცი არ იყვნენ, ამ საზოგადოების საქმე უფრო კარგად მოეწყობოდაო. ამ შენიშვნის ავტორობა დააბრალეს ალბად საბრალო **გეგეჭკორს** და ვითომ ბრალი აიხადეს, რომ სცემეს. Опровержение-უარყოფაც ასეთი უნდა განა!

ამის შემდეგ გავიდა ორი თვე, არც "ცნობის ფურცელში," არც სხვა გაზეთში აკეთის აუგისა და სიდუხჭირის შესახებ არავითარი ცნობა არ ყოფილა დაბეჭდილი, მაგრამ 19 თებერვალს, ღამით, როცა ბ-ნი **გეგეჭკორი** რვეულებს უჯდა გასასწორებლად, თავს დაესხნენ ვიღაც ბოროტ-მოქმედნი და კიდევ მიაყენეს უპატიურება მიზეზის განუმარტებლად. ამას როგორც მოსალოდნელი იყო, საზოგადოება აღელდა, აჩოჩქოლდა და აბობოქრდა. მამასახლისს სთხოვა, მაზრის უფროსი მოიწოდე, რომ ეს საქმე ადგილობრივ იქმნას გამორკვეულიო. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ისე იქმნა საქმე გამორკვეული, რომ სრულიადაც ის არ იყო მოსალოდნელი.

28 თებერვალს მობრძანდა მაზრის უფროსი, ხოლო ამის წინა დღითა და ღამით ფეხმარდი და ენა-მახვილი შიკრიკები არა ნაკლებ ფეხმარდისა, ენა მახვილისა და გავლენიანის მომავლინებელი დარბოდნენ სოფლად და ცრუ-მეტყველებდნენ იმის შესახებ, თუ მეორე დღეს მაზრის უფროსისათვის რა პასუხი უნდა გაეცათ. "რა გენაღვლება შენ, სულელი თუ არ ხარ, ვინცხა ხონელ კამახს სცემეს? მამიდაშვილი არ არის შენი და დეიდაშვილი. იგი წავა, სხვა მოვა. უჩიტელოდ კლასს დატოვებენ, ფინთი რომ ყოფილიყო, არც ქე გალახავდნენ, ხმის გულობიზა მეზობელს რავა მიიმდურებს კაცი. საყანეს ალაო მოგცემს და საბახჩეს, საბალახოს ალაო დაგანებებს, მერე და უყარე კაკალი"!... გასჭრა ამ

ხერხმა. მეორე დღეს საზოგადოებამ მაზრის უფროსის წინაშე სულ სხვა ჰანგზე დაიწყო ლაპარაკი და უიმისოდაც ცემულ-გვემული და ტანჯულ-ვნებული **გეგეჭკორი** თითქმის გაამტყუნა.

გაგიკვირდა განა, მკითხველო, მთელის საზოგადოების ასეთი გალაჩრება, ასეთი მოდუნება და ქედის მოხრა, თქმა და გადათქმა! სჩანს არ იცი, რაც არის თანამედროვე ცხოვრების ქადილი და კნავილი! არ იცი, რომ ამ დროში კაცური კაცობა, ნამუსი, მოვალეობა ორ-შაურიანსავით ადვილად დასახურდავებელი გახდა და ვისაც როგორც მოესურვება და მოექეიფება, ისე ახურდავებს. არ უწყი, სადაც კუჭის ინტერესი ხმას აიმაღლებს, იქ ყოველგვარი ზნეობრივი მოვალეობანი ადამიანისა და ჰუმანური მოსაზრებანი უნდა დადუმდეს! კუჭი და მისი ანგარიშები — ეს ისითი ძლიერი ალალია, რომ ვისაც დაუქროლებს, თუნდ მთელი საზოგადოებაც იყოს, ძველ სიმღერა-გალობებს სულ დაგავიწყებს. თქვენ არ გცოდნიათ ეს, ხოლო იმათ, ვინც ელეხებს საყან-საბალახე ადგილებისა და საბალახოების შესახებ ეთათბირებოდნენ, ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მხოლოდ ასეთის თათბირით გამოვიდოდნენ ფონს. აკი გავიდნენ კიდეც და ძლევა-მოსილადაც გავიდნენ და ამ დიდ-მარხვაში, ამ სინანულისა და აღსარების დროს უკუღმართ ძლევა-მოსილებას დღესასწაულობენ.

აღსრულდა მათი სწადილი. **გეგეჭკორი** აღარ არის აკეთში. მან განიყარა ფეხთაგან თვისთა აკეთის მტვერი და წარვიდა. კარგადაც ჰქმნა. **“სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან.”**

მდევნელთა მისთა ამის მეტი არა უნდოდათ რა, ე. ი. არ უნდოდათ, რომ **გეგეჭკორი** აკეთში ყოფილიყო. რატომა? იკითხავთ თქვენ. იმიტომ, ბატონო ჩემო, რომ ადამიანთა კრებულში ხშირად გამოერევა ისეთი გვამი, რომელიც მხოლოდ ნიადაგ იმის ფიქრსა და ცდაშია, გაიგოს იმის შესახებ ვინ რას ლაპარაკობს, ვინ რა აზრისაა. განდიდებისა და აღმატების მადა ნიშანდობლივი თვისებაა ადამიანთა. ისინი ყოველთვის მოწყურებულნი და მონატრებულნი არიან გარეშეთაგან ქებისა და მკობისა, თუნდაც რომ არის მრავალი თავიანთის ყოფა-ქცევით სრულიადაც არ ჰქონდეთ დამსახურებული. ეშმაკთა ადამიანთა შესახებ არა იფიქრო რა, არცა სთქვარა, რომ მათგან ათვალისწუნებული გახდეთ. ათვალისწუნება ცოტა ხნის შემდეგომ მტრობად გადაიქცევა და მტრობა-კი ამ შემთხვევაში იმდენად საშიში და სახიფათოა, რამდენადაც ასეთის სენით შეპყრობილი ადამიანი ასე თუ ისე გავლენიანია. “არავერს ამბობს ჩემს შესახებ, სჩანს ცუდი რამ უდევს გულში,” იფიქრებს ის და დაიწყებს დევნას.

ეს იყო და ეს დასაბამი აკეთის ინციდენტისა, თორემ რა უშავდა ქ-ნს **გეგეჭკორს!** როგორც მასწავლებელი მუყაითი და კეთილ-სინდისიერი იყო. ადგილობრივ წიგნთ-საცავის ხელის შემწყობი და გულშემატკივარი იყო. მან ითავა დაქირავება ფოსტის წამღებ-მომტანისა აკეთსა და ლანჩხუთს შუა. შაურობით და ორ-შაურობით აგროვებდა ფოსტის დამტარებლისთვის ქირას, რის მეოხებითაც აკეთელებს საშუალება ჰქონდათ კვირაში ორჯერ ახალი ჟურნალ-გაზეთები მიეღოთ და ეკითხათ. რწმუნებულ მისდამი სკოლაში საფუძველი დაუდო ეგრეთ წოდებულ "ბიბლიოთეკა-კაბინის" დაარსებისა. ერთის სიტყვით, ყოველ საზოგადო და საწინმსვლელო საქმეს ეხმარებოდა და თანაუგრძნობდა.

იმისი ერთად-ერთი ნაკლი ის იყო, რომ ვერ მოახერხა ხოტბა და ქება ეძღვნა ზოგიერთ განდიდების სენით დასნეულებულ ადამიანთათვის. ვერ მოახერხა თაყვანი ეცა, გუნდრუკი ეკმია და ფეხქვეშ ფიანდაზად დაგებოდა ადამიანებს. ამაგებისათვის ალბად არც მოცალეობა ჰქონდა და არც სურვილი. ძაღლის თავიც სწორედ ამ ალაგას არის დამარხული. "ცნობის ფურცელში" დაბეჭდილი შენიშვნა აქ რა შუაშია! ის უბრალო მომიზეზება იყო და სხვა არაფერი. "ცნობის ფურცელი," "კვალი," "ივერია" და სხვა ჟურნალ-გაზეთი თუნდაც სულ არ არსებულიყო, **გეგეჭკორს** გარდასახდელი მაინც გარდახდებოდა. ეს რომ ასე იყო, ძალიან ადვილად სავარაუდო და მისახვედრია. ჯერ ერთი, რომ დანამდვილებით არავინ იცოდა, თუ იმ შენიშვნის ავტორი **გეგეჭკორი** იყო. მეორეც ისა, რომ უკეთუ დასახელებულის შენიშვნით ვინმე განაწყენდა, ამ წყენამ რატომ მაშინვე არ იჩინა თავი და არა ორის თვის შემდეგ? რატომ მაინცა და მაინც 21 ქრისტეშობისთვე დანიშნეს **გეგეჭკორის** სასჯელის დღე, მაშინ, როდესაც შენიშვნა დაბეჭდილი იყო ოქტომბრის თუ ნოემბრის პირველ რიცხვებში? ვიმეორებ, უამ შენიშვნოდაც **გეგეჭკორი** ნიშანში ამორჩეული ყოფილა. "ეგზეკუციის" მე-2 დღეს, ე. ი. 22 ქრისტეშობისთვეს, **გეგეჭკორს** შეგირდები უნდა დაეთხოვა და სახლში უნდა გამგზავრებულიყო; იფიქრეს, მოდი ერთი გავბრიყოთ ეს არა ჩვენის ქუდის კაცი, მიზეზი ხომ გვაქვს: "ცნობის ფურცელში" ვიღაცამ ცუდად მოგვიხსენია, ეს ვიღაც ვითომც **გეგეჭკორი** ყოფილა. გავბრიყავთ, შეშინდება ნაახალწლევს აღარ დაბრუნდება; ჩვენი აზიზი თვალები იმის საძაგელ სახეს ვეღარ იხილვენო. ამ მოსაზრებას, სხვათაშორის, ისიც ამტკიცებს, რომ დღესასწაულებზედ სახლში ყოფნის დროს **გეგეჭკორს** აკეთიდამ უსახელო



უსტარი მიუღია: არ დაბრუდე აკეთში, თორემ გლეხებს შორის შეთქმულობაა და ცუდი დღე დაგადგებათ. **გეგეჭკორმა** ამ წერილს ყურადღება არ მიაქცია, დაბრუნდა აკეთში და თავის საქმეს შეუდგა. ხოლო, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მის წინააღმდეგ შეთქმულობა ნამდვილი იყო, მაგრამ არა გლეხებს შორის, არამედ სხვაგან. 19 თებერვალს, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ღვთის რისხვა ავდარში მიუხდნენ და კინაღამ წუთის-სოფელს გამოასალმეს.

საზოგადოებამ იცოდა, ვისი ბძანებითაც მოხდა ყოველივე ეს. იცოდა, ვინც იყვნენ ამ ბრძანების აღმასრულებელნი. მაგრამ მოთათბირებულ და მონადირებულ იქმნა და საქმის ნამდვილ ვითარების გამოაშკარავების მიფუჩეჩება არჩია. **გეგეჭკორი** თუმცა კარგი მასწავლებელია, გარნა ჩვენი უყან-უბახჩოდ და უსაბალახოდ დარჩენა არ არის კარგიო. ამას გარდა, თუ **გეგეჭკორს**, საზოგადო სამსახურში მყოფ კაცს და შედარებით ჩვენზედ უფრო ძლიერს, ასეთი საქმე დამართეს, ჩვენ რომ ამაზედ ხმა ამოვიღოთ, უარესი დღე დაგვადგებათ.

ამ ნაირად იყო ეს ამბავი და დიდი ბოდიში, დიდი უკაცრავობა მკითხველთან, რომ ცოტა არ იყოს კანტი-კუნტად მოხდა ლაპარაკი,რის თქმაც გავბედე, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მეჩვენებინა ერთი ნიმუში იმისა, თუ რა ზნეობრივ ხრწნისა და რყვნის დროს გვარგუნა ბედმა ცხოვრება. თურმე შესაძლებელი ყოფილა, უკეთუ ცოტაოდენი გავლენა გაქვთ, სრულიად უდანაშაულო ადამიანი აითვალისწუნოთ და თქვენს სიახლოვეს არ აბოგინოთ. თუ გინდათ მოჰკლათ კიდეც და თქვენის დანაშაულობის კვალი ისე მიჩქმალოთ, რომ მართლ-მსაჯულებმა გზა-კვალი დაჰკარგონ, შიშით იქნება თუ რიდით, დაყვავებით თუ მუქარით (საყან-საბახჩისა და საბალახოს შესახებ არაფერს ვიტყვი), იშოვით თურმე ჭირ-მეტყველთა მთელს კრებულს, რომელიც ზეგარდმო მინიჭებულს ნიჭს მეტყველებისას ისე აამეტყველებენ, როგორც თქვენი ნება-სურვილი იქნება. ბ-ნ **გეგეჭკორის** თავგადასავალი სწორედ ამ მხრივ არის საყურადღები და აკეთელთა საქციელშიაც ეს მხარეა სამწუხარო. ადვილად მოსალოდნელია, თქვენი უმორჩილესი მონაც, ქვემორე ამისა ხელის-მომწერი, ამ წერილის ავტორებისათვის **გეგეჭკორსავით** სადევნელ და საყვედრელ გახდეს. მაგრამ ვსასოებ ყოველთა შემოქმედის მიმართ, რომ **"დამიფარავს მე ამბოხისაგან უკეთურთასა და სიმრავლისაგან მოქმედთა უსჯულოებისათა, რომელთა აღილესნეს, ვითარცა მახვილნი ენანი მათნი, გარდააცვეს მშვილდსა მათსა საქმე სიმწარისა."**

კნინი

გაზეთი "კვალი," 1899 წელი, 20 ივნისი, № 25, გვ. 408.

რუბრიკა: "კვალის კორესპონდენციები"

აკეთის წიგნთსაცავის ბატონ-პატრონი, რაღაც მოსაზრებით მე მაბრალებს წიგნთ- საცავის უკან დახევას და თვითონ წყლიდან მშრალი გამოდის (იხ. "ივერია" № 93). ის ამბობს ვითომ მე საზოგადო კრების მიერ მინდობილი მქონდეს წიგნთსაცავის მოვლა-პატრონობა. ასეთი გარდაწყვეტილება საზოგადო კრებისა არა-ოდეს არ ყოფილა. ან როგორ იქნებოდა გარდაწყვეტილება, როცა საზოგადო კრება არ მომხდარა. ეს კი მართალია, რომ მე, როგორც მასწავლებელი, ვალდებულად ვთვლიდი ჩემს თავს ბიბლიოთეკას დავხმარებოდი და მართლაც შეძლებისდაგვარათ ვშრომობდი წიგნთ-საცავში, რამდენათაც თავისუფალი დრო ნებას მაძლევდა, მაშინდელი ანგარიშებიც გამოცხადებულია ქართულ გაზეთებში, თუ რამდენი წიგნი გაჰქონდათ წიგნთ-საცავიდან იმ დროებში, როცა წიგნთსაცავი შკოლის ეზოში იყო.

მერე კი, როცა ბიბლიოთეკა ბ. გამგემ თავისი განკარგულებით კანცელარიასა და დუქნებს შუა ჩაასკუპა, მე აღარ შემეძლო ძველებურათ ყური მეგდო წიგნთ-საცავისთვის, განსაკუთრებით ზამთრობით, რადგან შკოლას დააშორა იგი და შიგაც ცეცხლს არ ანთებდა, რის გამო წიგნებსაც ობი მოეკიდა. ბ. გამგე ბრძანებს: წიგნთ-საცავამდის აღმართი იყო და მისვლა მიჭირდაო, ეს ვერაფერი საბუთია თავის გასამართლებლათ. ბ. გამგეს სასახლიდან დუქნებამდის გაცილებით მეტი აღმართი და უსწორმასწორო გზაა, ვინემ შკოლამდის და თუ კი დუქნებში სიარული ეადვილება ბ. გამგეს, რისთვის, შკოლამდის უძნელდებოდა მისვლა. თუმცა ძველებურათ ვერ ვეხმარებოდი წიგნთ-საცავს, მას შემდეგ, რაც ის დუქნებს და კანცელარიას დაუმეგობრეს, მაგრამ გულშემატკივრობა მისი ყოველთვის მქონდა. მაგალითათ: წიგნთ-საცავის მიზეზით უფრო იყო, რომ აკეთიდან ლანჩხუთამდის ფოსტის წამღებ-მომღებში კაცი დავიქირავე, რომელსაც წიგნთ-საცავისათვის კვირაში ორჯერ ჟურნალ-გაზეთები დაჰქონდა. წარმოდგენებსაც ვმართავდით წიგნთ-საცავის სასარგებლოთ და სხვ. რაც შეეხება წიგნების დაკარგვას, მართლაც დაიკარგა რამდენიმე წიგნი, მაგრამ ათი იმდენი დაიკარგებოდა, ჩემ მოწაფეებს რომ არ ჰქონდათ ჩემგან დავალებული წიგნების შეგროვება.

მასწავლებელი ა. გეგეჭკორი

## გაზეთი "ცნობის ფურცელი," 1899 წელი, 29 ივლისი, № 878, გვ. 2.

რუბრიკა: "ახალი ამბავი"

ს. მარტვილი (სამეგრელო). ბოროტი მტრობა. ამ სოფელს პირველი ადგილი უჭირავს სენაკის მაზრაში, როგორც ადგილმდებარეობით და ჰავით, აგრეთვე შკოლებით და სამკითხველოთურთ. ამასთანავე აქ არის ფერშლები და ერთი უფროსი ექიმი. საზოგადოთ ყველა სოფლის მეთაურათ მღვდელს და მამასახლისს თვლიან ყოველგან, აქაც არა ვართ მოკლებულნი მათ და ბევრს სოფლებს კიდევაც ვჯობივართ მღვდელ-მამასახლისის სიკარგით. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ეს მეტის-მეტი ქონებაც კინალამ გამოუსადეგარი დარჩა. ამა წლის 3 ივლისს გარდაიცვალა აქ ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ ერთი ახალგაზრდა აქაური მკვიდრი, რომელიც რაღაც მტრობით კინალამ სახლში გაიხრწნა და მიცვალებულის დედა და ცოლშვილი ჯავრით ლამის ჭკუაზე შეიშალნენ, რომ ბლაღოჩინ მღვდელ კ. გაწერელიას და მამასახლის თ. მარკოზიას არ მოეხდინათ განკარგულება მიცვალებულის დასაფლავებაზე. რა იყო ამის მიზეზით? იკითხავს მკითხველი. აი მიზეზიც. მიცვალებულს პატარაობიდანვე დაეხოცა თურმე დედ-მამა; სოფელმა ობოლს ბიძა დაუყენა "აპეკუნად." ყმაწვილი კაცი; როცა წლოვანი შეიქმნა, მოსთხოვა ოპეკუნ ბიძას მამისეულის ანგარიში; ბიძას არაფრად ეპიტნავა ძმის შვილის ასეთი თავხედობა და ცარიელ-ცარიელს უპირებდა გასტუმრებას, მაგრამ ალბად ბიძას დაავიწყდა, რომ რაც ზნეობრივი კაცი ვერას ხდება, მაშინ იურიდიულს ძალას მიმართავენ ხოლმე და კანონის ძალით იკმაყოფილებენ თავს; ამ უკანასკნელმა გარემოებამ მტრებად შექმნა ბიძა და ძმის შვილი, ნათქვამია "მობარებული მგელმა შეინახაო," მაგრამ კაცი მგელზე უარესი შეიქმნა. ამაზე გადაემტერნენ ერთმანეთს. ბოლოს დროს ბიძამ ცოცხალს რომ ვერაფერი დააკლო, სიკვდილის შემდეგ უშოვნა დრო და არც თვითონ იტირა არც სხვა ატირა; მოიგონა რომ ვითომც სახადით (ტიფით) მომკვდარიყოს მისი ძმისწული და არავის ჩაუშვა ეზოში გადაგედებათო. ხალხი ხომ ადვილი წარმოსადგენია რა თვალით შეხედავდა ბიძის სიტყვებს ძმის შვილზე. ხალხი უსიტყვოდ მოშორდა უკან და გაუდგა თავ-თავის გზას. კიდევ კარგი, რომ დროზე გაიგო ბლაღოჩინმა მამა კარტონ გაწერელიამ თორემ ხომ გაგიჟდებოდა ჯავრით უპატრონოდ დაყრილი მიცვალებულის დედამთილ-ქალი და ბავშვი!... იმათ მაინც რა დანაშაული ჰქონდათ ვინმესთან? ვინ იცის, ერთ დროს მოხუც ბიძას იქნება მოსთხოვონ ანგარიში საიქიოს წარმომადგენლებმა. ნუ თუ არც მაშინ შეაწუხებს სინდისი, ასეთი მტრობისა და ბოროტებისათვის...

– **გზის შესახებ.** დ. ნაოლალევის მახლობლათ ს. ბოგაშში ხომ ყველაზით სული

შეწყნარებული აქვს გამვლელ-გამომვლელს, თითქმის კარგ დარშიაც. მამასახლის თ. მარკოზიას განუზრახავს ამ გზის შეკეთება. იმედია ბ. მარკოზია ენერგიულად მოკიდებს საქმეს ხელს და ხერხიანად დააგვირგვინებს მის წამოწყებულ საქმეს, რითაც მოგვცემს საშუალებას მიმოსვლისას.

ტიმოთე გეგეჭკორი

## გაზეთი "ივერია," 1899 წელი, 20 ოქტომბერი, № 226, გვ. 2.

რუბრიკა: "დაბა და სოფელი" (მოწერილი ამბავი).

სოფ. აკეთი (გურია). არა ერთხელ და ორჯელ დაწერილა ამ სოფლის შესახებ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და არა ერთხელ და ორჯერ წაუკითხავთ ჩვენს მკითხველებს აკეთის ავ-კარგიანობის ამბავი. აქ არსებობს ერთი ორ-კლასიანი სამინისტრო შკოლა, უფასო სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველო და სასოფლო ფოსტა, ბ-ნ ა. **გეგეჭკორის** თაოსნობით დაარსებული. ვგონებ, უადგილო არ იქნება, ორიოდე სიტყვა ვთქვა წიგნთ-საცავის უწინდელ და ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ. ეს სამკითხველო დაარსებული იყო აქაურ ორ-კლასიან სამინისტრო შკოლასთან, რომელსაც დიდ ყურადღებას აქცევდა როგორც აქაური შკოლის ზედამხედველი ბ-ნ ა. **გეგეჭკორი**, ისე ამ შკოლის მოსწავლეები, რომელნიც, სწავლის განახლების შემდეგ, საღამომდის რიგ-რიგად იცვლიდნენ სამკითხველოში და წიგნებს აწვდიდნენ მსურველთ. ერთხანს მართლაც რომ საქმე სასურველად მიდიოდა, მიჰქონდათ წიგნები, იმართებოდა ყოველ კვირა უქმე დღეს სახალხო კითხვები, რომელსაც ესწრებოდა აქაური გლეხ კაცობა და ყველანი ნასიამოვნებნი ჰბრუნდებოდნენ სახლში.

მაგრამ მერე ამ სამკითხველოს გამგემ არ მოისურვა სამკითხველოს აქ ყოფნა (არ ვიცი რა იყო მიზეზი) და გადაიტანა იქ, სადაც უფრო საარშიყო და სამიჯნურო ადგილია, ვიდრე წიგნების საკითხავი. მის შემდეგ ბევრი ის წიგნი, რომელნიც ამ ერთი წლის წინად იყო, დაიკარგა; სამკითხველოს პატრონი არა ჰყავს, რომ მოსძებნოს ეს დაკარგული წიგნები და სახალხო კითხვები გამართოს.

? ივანიძე

## გაზეთი "ივერია," 1900 წელი, 6 სექტემბერი, № 194, გვ. 4.

რუბრიკა: "წერილი რედაქციის მიმართ"

ულრმეს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნს **ტიმოთე** პეტრეს ძე **გეგეჭკორს**, რომელმაც კეთილ-ინება და ქ. ბათუმში თავის ნაცნობ-ამხანაგთა შორის მარტვილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ შეაგროვა და გადმოგვცა ორმოც-და-ორიმანეთი და ორი აბაზი



(42 მან. და 40 კაპ.) და ამასთანავე 143 ცალი წიგნი, მადლობას ვუცხადებთ აგრეთვე თ. დ. **გეგეჭკორს**, ი. ჭ. **გეგეჭკორს**, ლ. კ. წოწორიას, მ. ჭ. წოწორიას და ყველა იმათ, რომელთაც ამ კეთილ საქმისათვის არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და ხსენებულ სამკითხველოს შემდეგის არსებობისათვის სული ჩაუდგეს.

გამგე მარცვილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი ლიუბოვ გაწერელიასი

## გაზეთი "კვალი," 1900 წელი, 10 სექტემბერი, № 37, გვ. 596.

საქველ-მოქმედო საქმე

ქ-ნო რედაქტორო გთხოვთ, თქვენ პატივცემული გაზეთ "კვალის" უახლოეს №-ში ადგილი მისცეთ ამ წერილს. მე ჩემ ნაცნობთა შორის ქ. ბათუმში, მოვაგროვეთ მარცვილის (სენაკის მაზრა) უფასო სახალხო ბიბლიოთეკა- სამკითხველოს სასარგებლო ფულად 42 მან. 40 კაპ. და სხვა და სხვა წიგნები 143 ცალი, რაც უკვე გადავეცი ხსენებულ სამკითხველოს გამგეს ქ-ნ ლ. გ. გაწერელიასას, – უგულითადეს მადლობას ვწირავ იმ პატივცემულ პირთ, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ისეთი სიმპატიური საქმისათვის, როგორიც არის ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ტიმოთე პეტრეს ძე გეგეჭკორი

## გაზეთი "ივერია," 1900 წელი, 5 დეკემბერი, № 264, გვ. 4.

რუბრიკა: "წერილი რედაქციის მიმართ"

ვინც სოფლის სკოლაში მასწავლებლად არა ყოფილა, ვისაც სოფლის სკოლა დაახლოვებით არ გაუცვნია, მისთვის ძნელი წარმოსადგენია, თუ რა გაჭირვებას იტანენ როგორც სოფლის მასწავლებლები, ისე მათი მოწაფეები. სოფლის სკოლების გაჭირვება მრავალგვარია; მე-კი მხოლოდ ერთი მათგანი უნდა დავასახელო. ეს გახლავთ სოფლის სკოლაში სასწავლო ნივთების უქონლობა. ყოველივე სასწავლო ნივთი სოფლის მოსწავლემ სოფლის დუქანში უნდა იყიდოს, სადაც ჩარჩ-ბაცაცაები სრულიად უვარგის ნივთებს მამასისხლად ასაღებენ. უფრო ხშირად-კი არც ასეთები მოიპოვება სოფლის დუქანში და მოსწავლემ ან 15-20 ვერსით დაშორებულ დაბა ქალაქს უნდა მიჰმართოს, ან-და უწიგნო და ურვეულოდ უნდა იჯდეს სკოლაში. ასეთი გაჭირვება ბევრი გამოვცადე ჩემის მოწაფეებითურთ აკეთის სკოლაში და ამიტომ განვიზრახე ჩემის სკოლისათვის მცირე თანხა

გამეჩინა, რომლითაც შესაძლებელი შეიქნებოდა შკოლის სასწავლო ნივთები თავისს მოწაფეებისათვის თითონ ჰქონოდა. ამისათვის ბ-ნის წერეთლის წიგნის მაღაზიიდგან ვიყიდე 60-70 მანეთის სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთები. ის ნივთები მივყიდე მოწაფეებს რაც შეიძლებოდა დაკლებულ ფასებში, მხოლოდ განზრახულ თანხის შესადგენად ცოტა მოგებაც დავანარჩუნე. როდესაც ეს ნივთები გავყიდე, მოგებიდან მცირე თანხა შესდგა და ისევ სასწავლო ნივთები მოვიტანე. ამგვარად შევადგინე 14 მან. 50 კაპ. როდესაც იძულებული გავხდი აქეთის შკოლისათვის თავი დამენებებინა, სკოლაში 14 მან. და 40 კაპ. სასწავლო ნივთები დავუტოვე მღვდელ ლ. წულაძეს და ვთხოვე ახალის ზედამხედველისათვის გადაეცა და ჩემი განზრახვაც ეცნობებინა. მე სრულიად დარწმუნებული ვარ, ამ ნივთებს პატივცემული მღვდელი ლ. წულაძე ახალს ზედამხედველს გადასცემდა, რომელსაც ვთხოვ ან კერძო წერილით, ან გაზეთის საშუალებით მაცნობოს, თუ როგორ გადიდდა ეს თანხა; ამავე აქეთის შკოლაში მე და ჩემმა მოწაფეებმა დავაარსეთ ეგრედ წოდებული "ბიბლიოთეკა-კაბინეტი," რომელშიაც 24 წიგნაკი იყო და რამოდენიმე მანეთიც ჰქონდა.

სასურველია ვიცოდეთ ამ უკანასკნელის ბედ-იღბალიც.

ს. ავჭალა. 1900 წელი, 29 ნოემბერი. მასწავლებელი ა. **გეგეჭკორი**

## ჟურნალი "მწყემსი," 1900 წელი, 15-30 დეკემბერი, № 23-24, გვ. 15.

რუბრიკა: "მწყემსის" კორესპონდენცია

ქ. ფოთი. 5 ნოემბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ ფოთის საკათედრო სობოროს მღვდლად აკურთხა იმავე სობოროს პირველი დიაკონი **გიორგი გეგეჭკორი**, რომელიც მსახურებდა ამ საკათედრო სობოროში ოცდაექვსი წელიწადი. მამა გიორგი მსახურებდა ოთხი მღვდელ-მთავრის ხელში: ნეტარ ხსენებულ გაბრიელთან, ბესარიონთან, გრიგოლთან და ან ალექსანდრესთან. თვისი კაი მსახურებით გიორგიმ დაიმსახურა ხსენებულ მღვდელ-მთავრებთან ყურადღება და ერთგულება. ფოთის მართლმადიდებელმა საზოგადოებამ მამა გიორგის უძღვნა მკერდის ჯვარი ვერცხლისა და შემდეგი სიტყვა უთხრა მამა გიორგის:

"მამაო გიორგი! დღევანდელი დღე დიდს სასიხარულო ყველა ჩვენთვის, რადგან თქვენ ჩვენ შორის იმსახურეთ თხუთმეტი წლის განმავლობაში დიაკვნად და დღეს დაინიშნეთ სულიერ მწყემსად. თქვენ ჩვენ შორის დღემდის მსახურებდით დიაკვნად, უმდაბლესად ვმადლობთ მათ მეუფებას ყოვლად სამღვდელოს ალექსანდრეს, რომ ისეთი ყურადღება მიიღო ჩვენზე და თქვენ დაგენიშნათ ჩვენ სულიერ მწყემსად. ჩვენც წმინდად ჩვენი თქვენდამი დიდმა სიყვარულის და პატივისცემისა გილოცავთ ვერცხლის მკერდის ჯვარს, რათა

მადლი ჯვარისა გიძღოდეთ თქვენ ამ ახალ სამსახურში."

საზოგადოებას მამა გიორგიმ მადლობა გადაუხადა და შემდეგი სიტყვა უთხრა: "ამ თქვენი ჩემდამი ბოძებულ ჯილდოთი თქვენ წამაქეზეთ და გამაფრთხილეთ მომავალში თქვენს წინაშე კეთილ და სასარგებლო მსახურებაზედ. იმედი მაქვს, რომ თქვენ ყველანი მოძღვრებისა და დარიგებასა ჩემსა ყველა თქვენთაგანი მიიღებთ ჩემგან სიყვარულითა და აღასრულებთ სათნოებით ღვთისათა მასთანვე გთხოვთ ილოცოთ ყველამ, რომ ჯვარი ესე რომელიც გარეგანად ყელზე დასაკიდებელია ისე მნიშვნელობა მისი შინაგანათაც გულსა ჩემსა მყარად იყოს განმსჭვალული, რათა ძლიერებითა მისითა განვატარო მძიმე ტვირთი მსახურებისა ჩემისა წინაშე თქვენსა სათნოდ ღვთისა და სასარგებლოდ ქრისტეს ეკლესიისა."

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ მადლობა გადაუხადა საზოგადოებას, რომელმაც წარსული დროს გატარებული სამსახური მამა გიორგისა ჯეროვნად დააფასა. შემდეგ ყოვლად სამღვდელომაც მიმართა მამა გიორგის სიტყვით და უსურვა, რომ იგი მომავალშიაც იქმნება მხნე მსახურად ქრისტეს ყანაში. მამა გიორგიმ ყოვლად სამღვდელოს პასუხად მოახსენა შემდეგი: "ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო უმოწყალესო მწყემს-მთავარო! შთამომავლობით კეთილ-შობილი და ერის კაცის ოჯახში აღზრდილი სიყრმიდანვე ვხედავთ მშობელთა მყარად ღვთისადმი ლოცვა-ვედრებასა. მეცა გული აღმივსო სათნოებით და სიყვარულით ღვთისათა და გავხდი მოშურნე სასულიერო წოდებისა. მსურს ვყოფილიყავი ქრისტეს ყანაში მწყემსად მისი ეკლესიისა. თავიდანვე სასულიერო უწყებასა შინა სამსახური ვიწყე მარტვილის საკათედრო სობოროსა შინა. განუსვენოს ღმერთმან ნეტარ ხსენებულთა გაბრიელ და ბესარიონ ეპისკოპოსთა, რომელთაც მე წამახალისეს ეკლესიის მსახურებისადმი. აცოცხლოს და აღეგრძელოს ღმერთმან ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გრიგოლი, რომელმანც მე დიაკვნად ხელი დამასხა, მარტვილის საკათედრო სობოროდგან გამომიყვანა აქ ფოთის საკათედრო სობოროსა შინა და აგერ თხუთმეტი წელი მიმდინარეობს, რაც აქ ვმსახურებ. დიდიან დიაკვნად კურთხევისა ვცდილობდი მღვდლად კურთხევასა და დღეს ვეღირსე სურვილის აღსრულებასა. დღეს, თქვენო მეუფებავ, აღმიყვანეთ თქვენ მღვდლობის ხარისხზედ. საკათედრო სობოროში ოცდაექვსი წლის სამსახურით დამაშვრალი, შემთხვევით შვილების მძიმე ავადმყოფობით მეტის მეტი დასჯილის და მორჩენის უიმედობისა გამო თითქმის ხორციელი ძალაგამოლეული მდგომარეობასა შინა მყოფი ამა წარსულის 22-ს სეკდემბრის თვისას თქვენ, მეუფეო, უეცრად გამომიხმეთ მე და დანახვისთანავე თქვენ თქვენის ოქროს პირითვან სიტყვებით, მსგავსად ანგელოზის გაბრიელისა, მახარეთ ღვთისა მიერ თქვენი მოსაზრება, მიბრძანეთ:

თქვენ გსურთ მაკურთხოთ მე დრომდი ფოთის კათედრის მღვდელად? ადვილად წარმოიდგინეთ თქვენ, მეუფეო და აქ მსმენელნო, თუ ესრეთ მნებლობა და ალორჩევა თქვენისთანა კეთილი მღვდელ-მთავრისაგან რა სულიერი სიხარულის გრძნობებს დაბადებდა ჩემში, განა ესრეთ მოულოდნელი მოვლენისათვის მადლობელ ღვთისა და თქვენის მეუფების სიმდაბლით მივიღე გამოცხადება იგი და დღეს კიდევაც განახორციელეთ. უმდაბლესად გმადლობთ, მეუფეო, ამ ყურადღებისათვის, ღმერთმან ორთავე ცხოვრებასა შინა მოგაგოსთ ყოველივე კეთილი. რასაკვირველია მანამდისაც კრძალვით და სიმდაბლით მიეგებებულ ვიყავ, მაგრამ ეხლა მაინც, შემდგომ თქვენ მიერ ჩემზედ სულის წმიდის გადმოწვევა უმეტესად ვშიშობ და ვძრწი, მეუფეო, ამ მძიმე მოვლენებისადმი: რაღაც ძალა მხილებას მიყოფს და აჩრდილივით წინ წარმომიდგებიან და მეუბნებიან: შენთვის ცა და ქვეყანა ახალიაო, ძრწოდე და ეშინოდეს მძიმე მწყემსებრივ მოვალეობასა!

მასთანვე სიტყვა მოციქულისა: “ეკრძალენით თავთა თქვენთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელი ეგე დაგადგინა თქვენ სულმან წმიდამან მოღვაწედ და მწყემსად ქრისტეს ეკლესიათა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა” ამით არ უნდა განვეკრძალო თავსა თვისსა სიტყვითა და საქმითა სულ სხვა უნდა ვიქმნე, სიფრთხილით უნდა დავმწყსო ქრისტეს სისხლით გამოხსნილი ქრისტეს ეკლესიის-სამწყსონი ჩემნი ისე, რომ თუ არ შევმატებ სიკეთეს და მადლსა, ის დამწყსილი მაინც არ წარუწყმიდო და ისე წარვუდგინო მეორედ მოსვლის დროს მაცხოვარსა ჩვენსა. უძლურება ჩემი, ყველა სამწყსოთა კეთილ მიმართულება და კეთილ ზნეობასა უნდა შევუფარდო (შეუთვისო) ე. ი. მწუხარეთა და მგლოვიარეთა ნუგეშინის მცემელ ვიქმნე, მოლხინეთა ულხინო, ქვრივ-ობოლთა და გაჭირვებულთა მივსცე ხელი შეწევნისა, უსწავლელთა და უვიცთა უნდა ვასწავლო და მრავალი მსგავსი ამისი...

თქვენო მეუფებავ, რომ ესენი ჭეშმარიტად გავამართლო, მე უნდა ვიყო უმაღლესად საღვთისმეტყველო საგნებში განვითარებული დახელოვნებული, უმაღლესად ჭკვიანი, გონიერი და შორს გამჭვრეტი, უმაღლესად ჯანმრთელობის მქონე და გადამეტებულად ნივთიერი საშუალებებით განმტკიცებული... მე თითქმის ყველა ამათგან ჩამოქვეითებულსა ვითარ ძალ-მიძს გამართლება ესრეთი მძიმე საპასუხისმგებლო დანიშნულებისა, ამისათვის მოვიქცევი ისევ თქვენი მეუფების წინაშე, უმდაბლესი თხოვნით, მეუფეო ჩემო და მწყემსო ჩემო, აწცა მოიღებდეთ ჩემს უღირსებაზედ თქვენსა უხვსა ყურადღებასა. სიტყვითა და საქმით თუ ნივთიერებით აღმომიჩნდეთ ამ მოვალეობისადმი თვენგან მოსალოდნელსა დახმარებას და შემწეობასა მამხელდეთ ნაკლულევანებათა ჩემთა და განმამტკიცებდეთ მოვალეობასა შინა ჩემსა. ილოცვიდეთ ჩემს უღირსობაზედ, რათა გარდამატებულმან

მადლმან და ლოცვამან თქვენის მეუფებისაგან გადაემატოს ჩვენთა ნაკლულევანებითა და უღირსობითა, რომ მსახურება ჩვენი იქნეს სათნოდ ღვთისა და სასარგებლოდ ქრისტეს ეკლესიისა ისე, რომ მერმეთ მოსვლის დროს შემეძლოს მაცხოვრის წინაშე თამამად წარსდგომა და თქმა: აჰა! მე და სამწყსონი ჩემნი, რომელნი მომცა მე ღმერთმანა.

საზოგადოება ძლიერ მოხარული იყო, რომ მამა გიორგი მათ მწყემსად დაინიშნა. მამა გიორგის ამ დღეს მოსკოვიდან (რუსეთის ფედერაცია) ერთერთი ეპისკოპოსისგან და სხვებისგანაც მრავალი მისალოცი დეპეშები მოუვიდა.

დამსწრე

### გაზეთი “ცნობის ფურცელი,” 1901 წელი, 28 სექტემბერი, № 1595, გვ. 4.

რუბრიკა: “წერილი რედაქციის მიმართ”

ბ. რედაქტორო! გაზეთ “ცნობის ფურცელის” მე-1536 ნომერში დაბეჭდილია ბ. დამსწრეს წერილი ფოთიდან; ბ. დამსწრე მე მეხება და ამბობს, რომ ბერძნული წირვა-ლოცვა შემოიღე ფოთის საკრებულო ტაძარში, რისთვისაც ძალიან მკიცხავს, მკითხველს ეგონება, რომ მე გავაუქმე რუსული და ქართული წირვა-ლოცვა და ეს განზრახ მოვიმოქმედე, ნამდვილად-კი საქმე ასე არ არის.

ფოთში, როგორც მოეხსენებათ, დიდ-ძალი ბერძენი სცხოვრობს; მათ საკუთარი ეკლესია არ აქვთ და მოკლებულნი არიან ღვთის მსახურების მოსმენას თავის ენაზე, ამიტომ მე ხან და ხან ნებას ვაძლევ ჩემს თავს ბერძნული ლოცვები გავურიო წირვაში, ან რომელიმე ღვთის მსახურება აღვასრულო ბერძნულად. ეს გარემოება სრულიად საწყენად არ რჩებათ რუსსა და ქართველ მლოცველთ და გასაკიცხიც აქ არ არის-რა.

ფოთის საკრებულო ტაძრის მღვდელი **გიორგი გეგეჭკორი**

### გაზეთი “ცნობის ფურცელი,” 1903 წელი, 6 დეკემბერი, № 2344, გვ. 4.

რუბრიკა: “დაბა-სოფლებში”

ს. მარტვილი (სამეგრელო). 29 ნოემბერს, ღამის თორმეტ საათზედ, ცეცხლი წაეკიდა მღვდელ **მელიტონ გეგეჭკორის** ბოსელსა და სამზარეულოს. ცეცხლის გაჩენა გვიან გაიგეს. ამისთვის ვერაფერი უშველეს შიგ დაბმულ საქონელს. დაიწვა ცხენი, ძროხა, ღორი, ქათმები და საოჯახო მოწყობილობები. აქედან ცეცხლი გადავიდა სასიმინდეზედ და დაიწვა სამასი ფუთი სიმინდი, მთელი წლის სარჩო; ერთი ცალი სიმინდიც არ დარჩენია პატრონს.

– ძე.

## გაზეთი "ცნობის ფურცელი," 1904 წელი, 22 მაისი, № 2501, გვ. 3.

რუბრიკა: "წერილები"

**ახალ-სენაკი.** 11 მაისს აქაურ სამრევლო-საეკლესიო ორ-კლასიან სკოლაში გაიმართა სალიტერატურო საღამო. მონაწილეობას იღებდნენ ამავე სკოლის მოსწავლენი. საღამო შესდგებოდა რამდენიმე განყოფილებისგან და რიგიანად იყო მოწყობილი. სანაქებოდ წაიკითხეს მოსწავლე ქალებმა რუსულ-ქართული ლექსები, რამაც საზოგადოებაში დიდი ვაშას ძახილი გამოიწვია. გალობდა და მღეროდა ისევ ამავე სკოლის მოსწავლე ქალთა ხორო, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის ბ-ნ **ვალერიან გეგეჭკორის** ლოტბარობით. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ საღამომ ერთობ კარგად ჩაიარა დიდად ასიამოვნა როგორც მოსწავლენი, ისე დამსწრე საზოგადოებაც. ვეებერთელა სკოლის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები დაბრუნდა სკოლიდან. დიდის მადლობის ღირსნი არიან აქ საქმის მოთავენი. ეს მეორედ გაიმართა ხსენებულ სკოლაში სალიტერატურო საღამო. საპეტრე-პავლობო დღესასწაულისათვის ახალ-სენაკელები ეხლავე შეუდგნენ თადარიგის მიცემას. წელსაც კვლავინდებურად მარული (დოლი) გაიმართება.

გაიმართება აგრეთვე ქართული წარმოდგენები. მოწვეულ იქმნება რამდენისამე დღით მუსიკაც. ერთის სიტყვით, დიდი ფაცა-ფუცია ეხლავე. ეს მეოთხე წელიწადია, რაც აქ იმართება პეტრე-პავლობის იარმუკობა (ბაზრობა), მაგრამ, საუბედუროდ, ჯერ-ჯერობით ვერ მიიზიდა ხალხი სავაჭროდ. იარმუკობის მაგიერ ნამდვილი დღეობაა. ადგილობრივი ნაწარმოებში იშვიათად მოაქვთ გასასყიდლად. ხალხი-კი, როგორც სამეგრელოდან, ისე სხვა-და-სხვა კუთხიდან აყარებული იყრის თავს და იმართება "კუჭის" იარმუკობა.

ტრიფონ კალანდარიშვილი

## გაზეთი "ცნობის ფურცელი," 1906 წელი, 19 იანვარი, № 2982, გვ. 1.

ტფილისის მოსამსახურეთა ბიურო აუწყებს კავშირის წევრებს უდროვოთ გარდაცვალებას კავშირის წევრის **მიხეილ** იოსების ძე **გეგეჭკორისას**, რომელსაც ვასაფლავებთ 19 იანვარს, ხუთშაბათს, დილის 9 საათზე. ვთხოვთ გასვენებას დაესწროს ყველა ამხანაგები მიხეილის საავათმყოფოში.

## გაზეთი "ცისკარი," 1907 წელი, 21 ოქტომბერი, № 6, გვ. 3.

ქართველი დეპუტატები

11 ოქტომბერს სახელმწიფო დუმის (სათათბირო) დეპუტატებად ამოირჩიეს: თფილისის გუბერნიაში ნიკოლოზ (იგივე კარლო) სიმონის ძე ჩხეიძე, ქუთაისისაში – **ევგენი** პეტრეს

ძე გეგეჭკორი და ჭათუმის, სოხუმის და ყარსის ოლქების წარმომადგენლათ აირჩიეს თავადი პროკოფი შერვაშიძე; იგი გენერალია, მოხუცებული და ერთობ დიდი მემამულე, რომელიც პირველ დუმაშიც იყო დეპუტატად.

ევგენი გეგეჭკორი, სენაკის მაზრიდან, 27 წლის ახალგაზრდაა. მან მიმდინარე წელს დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი მოსკოვის ( რუსეთის ფედერაცია) უნივერსიტეტში, როგორც სტუდენტობის დროს, ისე შემდეგაც მუშაობდა პარტიაში; 1904 წელს დაპატიმრებული იყო მოსკოვში სტუდენტობის მოძრაობაში მონაწილეობისათვის. განვითარებული, დინჯი და კაი მოლაპარაკე ყმაწვილია.

## გაზეთი “ამირანი,” 1908 წელი, 19 ივლისი, № 112, გვ. 3.

რუბრიკა: მოწერილი ამბები

სამეგრელო. გაჭირვებულია სამეგრელოს ცხოვრება: სიღარიბე შიმშილი პოლიციური სიბეჩავე და სხვა. მთელ სამეგრელოში არ მოიპოვება ხეირიანი სასწავლებელი. თვალით ვერავინ ნახავს სამკითხველოს, სულ არ არის ჟურნალ-გაზეთები, თავში არავის მოსდის წარმოდგენები. რა თქმა უნდა, ხალხისთვის უპირველესად საჭიროა პირველ-დაწყებითი სასწავლებლები, რომ დაბეჭდილის წაკითხვა მაინც შეიძლონ, მაგრამ სად არის სასწავლებლები? ან თუ არის, არსებობენ თავიანთ დანიშნულებას? არა თუ ახალს სასწავლებლებს, აღარ ხსნიან, ძველებსაც უსპობენ არსებობის სახსარს. სიდუხჭირეს ზედ ერთვის სოფლის მასწავლებელთა უმოქმედობაც! ადვილად შეუძლიან მასწავლებელს და მოვალეთაც უნდა რაცხდეს თავის თავს, რომ ხალხში, სკოლის გარედ, გაავრცელოს წიგნები, უკითხონ ჟურნალ-გაზეთები (იშვიათად ნახავთ მასწავლებელს, რომ გაზეთი ჰქონდეს გამოწერილი).

შარშანდელ მოუსავლობის გამო წელს გლეხები შიმშილის განიცდიან. ეხლა ფუთი სიმინდი მანეთად, ექვს აბაზად ფასობს. უნუგეშოა გლეხთა მდგომარეობა, მაგრამ წელს მოსავალი უკეთესია, ამინდიც ჯერ-ჯერობით კარგი უდგას და იქნებ მომავლისათვის ბედმა გაუღიმოს.

ლ. გეგეჭკორი

## გაზეთი “ალი,” 1908 წელი, 14 აგვისტო, № 11, გვ. 3-4.

აკაკის იუბილე

მიმართვა ხელზე მომუშავეებისადმი. ახლოვდება დღე, როდესაც მთელი საქართველო, განურჩევლად წოდებისა, იდღესასწაულებს დიდებულ პოეტის, აკაკის 50 წლის იუბილეს.

სამშობლო ემზადება ღირსეულად დააფასოს აკაკის ღვაწლი და სამსახური. სხვადასხვა კუთხიდან იტყობინებიან, რომ შესდგა ადგილობრივი კომიტეტები.

მივმართავთ ხელზე მოსამსახურეებს და მზარეულებს მიიღონ მონაწილეობა აკაკის იუბილეში. ამისთვის საჭიროა შევადგინოთ შეგნებულ ამხანაგებისგან საიუბილეო კომიტეტი, საჭიროა შევიკრიბოთ და მოვილაპარაკოთ იმაზე, თუ რითი უნდა აღვნიშნოთ დღესასწაული, როგორ დავაფასოთ დიდებული პოეტის 50 წლის ღვაწლი. კომიტეტი დამოუკიდებლობას იქონიებს მთავარ კომიტეტთან და ასე ჩვენ შეძლება გვექნება არ ჩამოვრჩეთ დანარჩენ ქართველებს. ვთხოვთ სხვა გაზეთებს დაბეჭდონ ეს წერილი.

ამხანაგების მინდობილობით ექვთიმე აბაშიძე და **ირაკლი გეგეჭკორი.**

ჟურნალი „ნიშადური," 1908 წელი, 31 აგვისტო, № 59, გვ. 4.

## ბ უ ლ ბ უ ლ ი

(ვუძღვნი დიდებულ ილია ჭავჭავაძის ხსოვნას)




ბულბული ნაზი და ტკბილ-ხმოვანი,
მოვლინებოდა დაღვრემილ არეს;
დაკვნესდა მწარედ ნუგეშ მოკლებულთ
და თან აფრქვევდა ცრემლსა მდუღარეს!

ხან ძირს დაჰფრენდა და მდელო-ჩირგვებს
ის საამურად დაამღერებდა;
ხანაც-კი ციურ უსაზღვრო სივრცეს
თვის სტვენა-ჭიკჭიკს შეუერთებდა!

მინამ დაფრენდა ის თავისუფლად-
ასე თანაბრად ყველას ამკობდა;
ტანჯულთ თვის სტვენით ნუგეშსა სცემდა
და განამხნევად კვლავ უგალობდა!

მაგრამ ვერაგმა, მხეც მონადირემ,
განგმირა იგი, დაუხშო ენა;
და მით მოაკლო ტანჯულ ქვეყნას
იმედიანი მედგარი სტვენა!

ლადო გეგეჭკორი

## გაზეთი "დროება," 1909 წელი, 11 თებერვალი, № 31, გვ. 3.

### ეპისკოპოსი კირიონი

როგორც უკვე ვწერდით, სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ეპისკოპოს კირიონს სამართალში აძლევენ. ეპისკოპოს კირიონს აბრალებენ თურმე საქართველოს ეგზარხოსის ნიკონის მკვლელობის შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებას. ავრცელებენ ხმას მეორე ეპისკოპოსის, ლეონიდის, სამართალში მიცემის შესახებაც. იმდენად მოულოდნელი იყო ეს ხმები მოხუც ეპისკოპოსის სამართალში მიცემის შესახებ, რომ გაზეთების წარმომადგენლებმა საჭიროდ დაინახეს შეჰკითხოდნენ ქართულ საქმეებთან გაცნობილ პირებს საჭირო განმარტების მისაღებად. სხვათ შორის გაზეთი "სლოვო" წარმომადგენელი ამ საქმის გამო დეპუტატ **ევგენი გეგეჭკორს** შეეკითხა. ე. **გეგეჭკორმა** აი რა უთხრა ამაზე:

"ეს სასტიკი და უმართებულო ბრალდებაა!" კირიონის სპეტაკი და უმწიკვლო პიროვნება სრულიად წარმოუდგენელია რაიმე შეთქმულებასთან. მხოლოდ იმის მტრების თავდაუჭერელ მისწრაფებას, რომ რამეში ბრალი დასდონ და ჩირქი მოსცხონ კირიონს, შეეძლო ასეთის ბრალდების წამოყენება. აშკარაა, რამაც გამოიწვია ეს ბრალდება. კირიონი ერთი შესანიშნავი პიროვნებაა ქართველ სამღვდელოებაში; ის მედგარი დამცველი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და ამასვე იცავდა სინოდშიაც. კირიონს ამას არ აპატიებენ, ვერ დაივიწყებენ. არც ეხლა დაიწყო მისი დევნა. კირიონმა ბევრი დამცირება გადიტანა, ხოლო ეხლა ყოველსავე საზღვარს გადასცილეს და ვგონებ, ამ საშინელ ბრალდების უსაფუძვლობა მალე დამტკიცდება და გამოაშკარავდება."

გაზეთ "რეჩ"-ში არის ცნობა მოთავსებული კირიონის პასუხის გებაში მიცემის შესახებ. გაზეთში ვკითხულობთ: "საეკლესიო წრეებში ძლიერ აღელვებულნი არიან იმ სენსაციურ ხმით, რომ ცნობილი ქართველი ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც, როგორც ვიცით, მოსკოვის (რუსეთის ფედერაცია) საავადმყოფოდან გადაასახლეს, სამართალში იქნება მიცემული. აბრალებენ, რომ საქართველოს ეგზარხოსის ნიკონის მოკვლის შეთქმულებაში მონაწილეობა მიიღო. მალე დააპატიმრებენ მეორე ქართველ მღვდელ-მთავარს, ვითომ და ნიკონის მოკვლის შეთქმულებაში "მონაწილეს", იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდსაც."

## გაზეთი "ჩვენი საქმე," 1909 წელი. 24 თებერვალი. № 17. გვ. 4.

### მუშათა შორის

ამიერ კავკასიის რკინის გზის ბუფეტების მოსამსახურეთა ცხოვრებიდან. რა საშუალებას არ მიმართეს ხაზეინებმა, მხოლოდ კი ურჩ მოსამსახურეებისთვის ჩამოერთმიათ ის მცირე შეღავათები, რომლებითაც იგინი დღემდე სარგებლობენ. არ დარიდებიან გარეშე ძალის

დახმარებისაც. ამ ბოლო დროს მათ აუსრულდათ დიდი ხნის ნატვრა, თფილისის ბუფეტი ხელში იგდო ს. ჩახავამ და ძველი მოსამსახურეები დაითხოვა, რომლებიც როგორც ხაზეინები ამბობენ, "ასულელებდნენ" დანარჩენ სადგურის მოსამსახურეთ. აქ მარტო ს. ჩახავა როდი მოქმედებდა მას ხელს უწყობდნენ ყველა ისინი, ვინც რამეს გამოელოდა რკინის გზის ბუფეტის მოსამსახურეთა დამარცხებით. სხვა სადგურის ხაზეინები რის თანამგრძნობი იქნებოდნენ თფილისელი ხაზეინის, თუ იმის გამარჯვებათ არ გამოიყენებდნენ და ს. ჩახავას უმცროს ძმობას მაინც არ გაუწევდნენ. მათ ჩახავას ტაქტიკა გადაიტანეს, ადრე შეითვისეს, მაგალითისთვის შორს არ წავალთ: ამ დღეებში სადგურ მცხეთის ბუფეტის მოიჯარადრე ბატონმა **ვანო გეგეჭკორმა** დაითხოვა ერთი მუშა და როცა მიზეზს შეეკითხნენ, ბრძანა: "მე არ შემიძლია კომიტეტის თავმჯდომარე ვიყოლიო ბუფეტშიო. უპარტიო ეკონომიური პროფესიონალური კავშირის წევრობას ადმინისტრაციაც კი ნებას რთავს, მცხეთის მებუფეტესთვის ის კონსპირაციულ კომიტეტს წარმოადგენს. წინათ სადაო საკითხებს შერეული კომისია არჩევდა. ასეთ კომისიაზე ხაზეინმა ბრძანა: "აქ სუდი არ არის, წადით და სუდში მიმართეთო." ასეთი მაგალითების შემდეგ რაღა დარჩენიათ მოსამსახურეთ იმის მეტი, რომ კავშირი გაამაგრონ და ბრძოლით მოპოვებული უფლებები არ განამტკიცონ. მოსამსახურეებმა ეს კარგათ შეიგნეს და ხელი მოკიდეს კავშირის რეორგანიზაციას.

დ. სამხვთელი.

## გაზეთი "ჩვენი საქმე," 1909 წელი, 8 აპრილი, № 28, გვ. 4.

რუბრიკა: წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! "ჩვენი საქმის" 17 №-ში დაბეჭდილი ვინმე დ. სამხვთელის კორესპონდენციის საპასუხოთ გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი. აღნიშნული კორესპონდეცია თავიდან ბოლომდე სიცრუეს შეიცავს. ის "მუშა," რომელზედაც ბატონი სამხვთელი ლაპარაკობს, ჩემი უფლებით არ დამიჭერია, არამედ მივიღე მოწინავე მუშების წინადადებით სამზარეულოს მოსამსახურეთ. სამწუხაროთ, ის აღმოჩნდა მეტათ უსუფთაო, რაზედაც მას შენიშვნას აძლევდნენ ჩემთან ერთათ თვით მოსამსახურეები, მაგრამ ის კი ამის პასუხათ გამოჯავრებით კიდევ უარესათ იქცეოდა: ნავთის მაგივრათ პლიტაში ერბოს ხმარობდა და ნავთს ხომ საზღვარიც არ ჰქონდა. სამხვდელი ამბობს, ვითომ მე ხსენებულ "მუშის" წინადადებაზე, რომ საქმე კომისიას გაერჩია, უარი მეთქვას, ნამდვილად კი სანამ მას დავითხოვდი, მე თვით მივეცი წინადადება თფილისიდან მოწინავე მუშები მოეყვანა ჩვენი

უთანხმოების გასარჩევათ, მაგრამ ის თფილისში ერთი კვირის ტყუილათ სეირნობის შემდეგ, ისევ მარტო მომადგა კარზე და ანგარიშის გასწორება მომთხოვა, რაიც კიდეც ავასრულე ზედმეტი ორი მანეთის (გზის ფულად) შეძლევით. დამისახელოს ბატონმა სამხვდელმა ერთი მუშა მაინც, რომელიც უკომისიოთ მიმეღოს ან დამეთხოვნოს. რაც შეეხება იმას, თითქო მე მეთქვას: "ეს შემიძლია კომიტეტის თავმჯდომარე ვიყოლიო ბუფეტშიო, ესეც მტკნარი სიცრუვეა და ამის თქმა ჩემი მხრივ დიდი პატივისცემა იქნებოდა ხსენებულ "მუშისათვის," რომელიც ასეთი სახელის ღირსი არ არის.

სადგურ მცხეთის ბუფეტის მოიჯარადრე **ვასილ გეგეჭკორი**

ჟურნალი "ჯეჯილი," 1909 წელი. **№** 6. გვ. 3-4.

## მწუხრი

**(ვუძღვნი დიდ მგოსანს აკაკის)**



აყვავებულსა მიდამოს,
მთას შემოსილსა მწვანითა,
ჩუხჩუხა-ანცსა წყაროსა,
მობუტბუტესა მღერითა,-
ბულბულმა სტვენა-ჭიკჭიკი
შეუწონ-შეუხმატკბილა
და ნაზ გალობით
შვენებით მოსილა ეს დილა!
ვაშ, სალამური...ხმა ნაზი,
დახეთ გულს რა რიგ ათრთოლებს;
ნეტა ვიცოდე ვინ უკრავს,
ან ვინ დამღერის ამ სიტყვებს:
"მთა არის ჩემი სახლ-კარი,
მდელო ლოგინი-საწოლი:
დავდივარ ტყე-ტყე, მთა და მთა
უტოლ-მეგობროდ, ობოლი!
მაგრამ ბარელებს მით ვჯობნი,
რომ ვარ მე თავისუფალი,




ბუნების წიაღს შევხარი,
თვით ვარ ბატონი-უფალი!
მეც დავსახლდები, შევიძენ
ოჯახსა საბედნიეროს:
ვინც მტრულის თვალით მიცქეროდა
არ უზღავ სამაგიეროს.
ღმერთო მომასწარ იმ დღეებს
გაამოს, სანეტაროსა,
რომ ბოლოს მაინც ტანჯულმა
ამ გულმა გაიხაროსა!
ტკბილ-ხმოვან, ნაზსა სალამურს:
მწყემსი დამღეროდა ამ სიტყვებს
ხან დაჰყურებდა მოზრდილ ცხვრებს
და გრძნობდა შვებას საამურს!

ლადო გეგეჭკორი

**გაზეთი "მომავალი," 1909 წელი, 26 სექტემბერი, № 25, გვ. 3.**

რუბრიკა: ახალი ამბები

თავადი გ. ამილახვარი და გლეხები.

როგორც ამას წინათ ვწერდით, თავადი გ. ამილახვარი გუბერნატორის დადგენილების თანახმად სოფელ დეისის და ჩილის (ამჟ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი) მცხოვრებთ 58 ათას მანეთს ახდევინებდა. სოფლელებმა ამას წინათ მიმართეს დეპუტატ **ე. გეგეჭკორს** დახმარებისათვის. **ე. გეგეჭკორმა** შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის (მეფის ნაცვალი) წინაშე. გუშინ დეპუტატი **ე. გეგეჭკორი** და ორივე სოფლის წარმომადგენელნი შუამდგომლობის პასუხის გასაგებათ თფილისში ამოვიდნენ და ვინც ჯერ არს ინახულეს. დეპუტატ **ე. გეგეჭკორის** შუამდგომლობა ნამესტნიკს დაუკმაყოფილებია, გუბერნატორის დადგენილება და სოფლელებს 58000 გადასახადისაგან გაუთავისუფლებია.

დრამა ფულის შესახებ.

დეპუტატმა **ე. გეგეჭკორმა** მიიღო გურიის სხვადასხვა კუთხიდან რამდენიმე დეპეშა,

რომელშიაც გლეხობა სთხოვდა ე. **გეგეჭკორს** – ეშუამდგომლა ქუთაისის გენ. გუბერნატორის წინაშე შეაჩერონ წარსული წლების დრამის ფულების მოკრებაო. ე. **გეგეჭკორმა** 24 სექტემბერს ინახულა ქუთაისის გუბერნატორი და ამ საქმის შესახებ მოლაპარაკება იქონია. ე. **გეგეჭკორმა** სხვათა შორის მიუთითა ეპისკოპოს ლეონიდეს და გურიის სამღვდელოების თხოვნაზე, სადაც ეს უკანასკნელი უარს აცხადებენ დრამა ფულებზე და ითხოვენ ხალხი არ შეეწუხებინათ. გუბერნატორმა ამაზე დეპუტატს ე. **გეგეჭკორს** დაახლოვებით შემდეგი უპასუხა: ქუთაისის ადმინისტრაციას ისედაც ბევრი საქმეები აქვს, რომ დრამის ფულების შესახებ თავი არ იცხელოს, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ თვით სამღვდელოება დაჟინებით მოითხოვს წარსული წლების დრამის ფულის დაუყოვნებლივ გადახდას და ასეთ კანონიერ თხოვნას მე გვერდს ვერ ავუვლით. შემდეგ დეპუტატმა ე. **გეგეჭკორმა** გაუმეორა ჯურუყვეთის (ამჟ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) საზოგადოებიდან ეგზეკუციის გაყვანის შესახებ თხოვნა; გუბერნატორი შეპირდა პირველ ოქტომბრიდან ჯარი აუცილებლათ გაყვანილი იქნებაო.

გაზეთი "მომავალი," 1909 წელი, 30 ოქტომბერი, № 53, გვ. 1.

ფინლანდიის საკითხის გარშემო

მთელი ევროპის და რუსეთის საზოგადოებრივი ყურადღება ამ ჟამათ მიპყრობილია ფინლანდიის ბედ-იღბალზე. რუსეთის მოწინავე ელემენტები გაოცებული ინტერესით თვალ-ყურს ადევნებენ მთავრობის პოლიტიკას, ამ ტერიტორიულათ მეტად პატარა, მაგრამ კულტურულათ მოწინავე მხარეში; დღემდის სტოლიპინის მთავრობა დროთა ვითარების გამო, ძალაუნებურათ იძულებული იყო თავისი ნამდვილი ულტრა რეაქციონური მისწრაფებანი კონსტიტუციონალურ მანტიაში გაეხვია და ფინლანდიაში აშკარა აგრესიული პოლიტიკაზე დროებით უარი ეთქვა. მან დღეს გაიმარჯვა საშინაო პოლიტიკის სფეროში და მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ თავისი ისტორიული მისია ლოღიკურ დასკვნამდე მიიყვანოს... მხოლოდ პოლიტიკურ ბალღებისთვის არ იყო აშკარა, რომ ფინლანდია, ეს ერთად-ერთი კუთხე, სადაც კიდევ ბჟუტავს თავისუფლების მნათობი, სადაც ჯერ კიდევ ედგა სული 1904–1905 წლებში გაღვიძებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას – რომ ეს მხარე დაკარგავდა ყოველივეს, როცა რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობა შესუსტდებოდა, ამ მხრივ ფინლანდიის ბედ-იღბალი და ისტორია საყურადღებოა განსაკუთრებით მათთვის, ვინც ყოველ გზაჯვარედინზე გაჰკივის ადგილობრივ ინტერესებისთვის და საზოგადოთ, მთელი იმპერიის ინტერესებიდან გამოყოფაზე; ახლა მაინც ადვილათ დაინახავს ვინც სრულიად მოკლებული არაა საზოგადო მოვლენების ობიექტურათ დაფასების უნარს, რომ ვისაც სურს თავისუფლება და კეთილდღეობა,

ამ თუ იმ ხალხის, მან უნდა მთელი თავისი ენერგიით, მთელი თავისი ცოდნით ეცადოს საერთოდ, მთელი რუსეთის განახლებაზე; დავუბრუნდეთ ისევ კითხვას.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ საშინელ სახიფათო მომენტში ფინლანდიის საზოგადოებამ მეტად დიდ პოლიტიკურ სიდინჯეს და უნარს იჩენს... ის ერთ-ერთი კუთხეა მთელ ქვეყანაზე, პოლიტიკური უფლებებით ასე ფართოთ სარგებლობენ ქალები: სეიმში რამოდენიმე ქალია დეპუტატათ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელი. სეიმი თავისი შემადგენლობით მეტად დემოკრატიული, სახალხო წარმომადგენლობაა და მით უმეტეს განცვიფრებაში მოჰყავხარ იმ გარემოებას, რომ ასეთი დემოკრატიული საარჩევნო კანონის თანახმად ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს რუსეთის იმპერიის ერთ კუთხეში, სადაც თავისუფალი საზოგადოებრივი აზრი დიდ დანაშაულობათ არის ცნობილი. ისეთ სახელმწიფოში, როგორიც რუსეთია, ფინლანდია და მისი მდგომარეობა მართლაც უდიდესი წინააღმდეგობა ამ სახელმწიფოს სინამდვილის ამ მხრივ, როგორც წინათაც ვთქვით, ბიუროკრატიულად ცდილობს ეს წინააღმდეგობა შეასწოროს, მას უნდა ერთ უუფლებობის კალაპოტში მოაქციოს მთელი რუსეთის იმპერია, უკანასკნელი ზომები ამ მისწრაფებას აშკარად ჰყოფს; ყველა ეს იმის მაჩვენებელია, თუ რა გზას დაადგა ბიუროკრატია. ფინლანდიის ყველა პოლიტიკური პარტიები და საზოგადო ჯგუფები შესაფერ მზადებაში არიან. სუმოტერიანთა პარტია, რომელიც ბობრიკოვის დროს რუსეთის მთავრობას მხარს უჭერდა და ყოველ მის სურვილების ცხოვრებაში გატარებას ცდილობდა, დღეს ეს პროტესტის გზას დაადგა, მათი ლიდერი დანიელსონი კალმარი სრულიად არ ფარავს თავის უკმაყოფილებას; თავის თავად ცხადია, რომ სხვა პარტიები: “მლადოფინები” და სოციალ-დემოკრატები შესაძლო წინააღმდეგობას გაუწევენ ფინლადიის ავტონომიის მოწინააღმდეგეთ.

სოციალ დემოკრატიული პარტია უდიდესი პარტიაა ფინლანდიაში, მას 83 ე. ი. ნახევარზე ცოტა ნაკლები, წარმომადგენლები ჰყავს სეიმში. მისი გავლენა ფინლანდიელებზე განუსაზღვრელია, ეს პარტია, როგორც წინეთ, ისე ახლაც ბელადობს კონსტიტუციის და ავტონომიის დამცველთა ლაშქარს, ის ამზადებს ფინლანდიის სხვადასხვა კუთხეებში საპროტესტო მიტინგებს, სადაც გამოაქვთ სათანადო რეზოლუციები; მან მიმართა პროტესტით სოციალისტთა საერთაშორისო ბიუროს და სხვ. ამ დღეებში სოციალ დემოკრატიულ ფრაქციას პეტერბურგში ეწვია სეიმის სოციალ დემოკრატიული ფრაქციის ბელადი ცნობილი დეპუტატი სიროლა ორი თავისი ამხანაგით; სიროლამ გააცნო სოციალ დემოკრატიულ ფინლანდიის მდგომარეობა და სოციალ დემოკრატიული პარტიის უახლოესი ნაბიჯები; ხანგრძლივი თათბირის შემდეგ კრებამ გადაწყვიტა, არ იქნას მიღებული ჯერ-

ჯერობით, სანამ კიდევ უფრო არ გამოირკვევა საქმეთა ვითარება, რაიმე კონკრეტული ზომები; შემდეგ კი, იმოქმედოს ორივე ფრაქციამ შეთანხმებით, როგორც ამას მოითხოვს პოლიტიკური მომენტის ინტერესი. არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა მასალის შეკრება რათა ფრაქცია მომზადებული დახვდეს მომავალ შეტაკებას დუმის უმრავლესობასთან, რომელიც, როგორც კი საჭირო იქნება ბიუროკრატიისათვის თავის სანქციას მიანიჭებს ფინლანდიის საქმეთა შესახებ.

დასასრულ დეპუტატმა სიროლამ ფინლანდიის სოციალ დემოკრატიული პარტიის სახელით მადლობა გამოუცხადა დუმის სოციალ დემოკრატიულ ფრაქციას ფინლანდიის ინტერესების მედგარი და ენერგიული დაცვისათვის წარსულ სესიაში ფინლანდიის საქმეთა შეკითხვის დროს.

პეტერბურგი. **ევგენი გეგეჭკორი.**

## გაზეთი "დროება," 1910 წელი, 8 იანვარი, № 5, გვ. 3.

რუბრიკა: მოწერილი ამბები

პეტერბურგი (რუსეთის ფედერაცია). 28 დეკემბერს რამდენმა ქართველმა სტუდენტმა ვინახულეთ ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც თხუთმეტ დღეზე მეტია პეტერბურგშია. იგი ჩამოსულა საექიმოდ და ეხლა შედარებით სხვა დროისა უფრო უკეთესად გრძნობს თავს. ბინად ალექსანდრე-ნეველის ლავრაშია და დარჩება მთელი ერთი თვე, სანამ სრულიად განიკურნებოდეს. სიხარულით მიგვიღო და ბევრიც გვემასლაათა.

ანტონ მიტროპოლიტს უთქვამს ეპისკოპოს კირიონისათვის, სინოდში შემოსულია შუამდგომლობა ნამესტნიკისა (მეფის ნაცვალის) შესახებ იმისა, რომ თქვენ ათონში წასვლის ნება დაგრთონ და სინოდს საწინააღმდეგო არა ექნება-რაო. ამაზე ეპისკოპოს კირიონს უპასუხნია, რომ როდესაც გთხოვთ მაშინ უარი მითხარით და ეხლა მეც არ ვიცი, წავალ თუ არაო. როგორც გვითხრა, მას 1902 წელს უთხოვნია ათონში წასვლის ნება, მაგრამ მაშინ უარი უთქვამთ; შეშინებიათ, სხვა სარწმუნოებისა არ მიიღოსო. ეპისკოპოსი კირიონი ეხლაც დიდად მოხარული იქნება, თუ ნება დართეს ათონში წასვლისა. რამდენიმე თვით სიამოვნებით წავიდოდი ათონშიო. როგორც მისივე სიტყვებიდან სჩანს, ათონში მისი წასვლა საჭიროც არის და სასარგებლოც, რადგან იქაურ ქართულ მონასტრის აწეწილ საქმეებს მოწყობა სდომებია.

ეპისკოპოს კირიონს დიდი შრომა გაუწევია თავის თხზულების დასაწერად, რომელიც ეხლა-ხან იბეჭდება ტფილისში. თხზულება რუსულად არის დაწერილი, ამ სათაურით: "Культурная роль Иверии Въ истории Руси" ("ივერიის კულტურული როლი რუსეთის

ისტორიაში"). ეპისკოპოსმა კირიონმა სთქვა: ათასზე მეტი სიტყვა მოვსძებნე ოსურ ენაში ქართული ენიდან გადაღებულიო. ამ სიტყვების ლექსიკონი ახალ შრომას ბოლოში ექნება ჩართული.

ეპისკოპოსმა კირიონმა, სხვათა შორის, ისიცა სთქვა, რომ მე მაქვს მდიდარი ბიბლიოთეკა ქართულ სიძველეთა და საისტორიო წიგნებისა, რომელიც ხუთი ათასი მანეთი ღირს და აგრეთვე მუზეუმი... ბიბლიოთეკა, მანამ ცოცხალი ვარ თითონ მჭირია, არავის გადავცემ. მუზეუმში ჰქონია ძველთა-ძველი ფული, დავით კურაპალატის დროისა და ბევრი სხვა არქეოლოგიური ნაშთი.

ეხლა ჩვენ უნდა ვეცადოთ, – სთქვა ყოვლად სამღვდელო კირიონმა, – ჩვენი ენა არ წაირყვნეს, მტკიცედ იქნეს დაცულიო. ეპისკოპოსი კირიონი მხნედ გრძნობს თავს, ვერ მოჰქანცა იგი ტანჯვამ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალშიაც არ მოაკლებს თავის ზრუნვას და ყურადღებას მასავით ტანჯულ სამშობლოს.

შობას და შობის წინა დღეს აქ ძალზედ ციოდა. სიცივე 20-25 გრადუსამდის ავიდა, რაც ქართველებისთვის საგრძნობელია.

უნივერსიტეტთან არსებული ქართული სათვისტომო მართავს ქართულ საღამოს; საღამო გაიმართება იანვრის თვეში. არჩეულია კომისია, რომელიც შეუდგა საქმის მოწყობას.

ლ. გეგეჭკორი

## გაზეთი "ახალი სხივი," 1910 წელი, 9 თებერვალი, № 5, გვ. 4.

რუბრიკა: წერილი რედაქციის მიმართ

თქვენს პატივცემულ გაზეთ "ახალი სხივის" პირველ ნომერში მოთავსებული იყო სადგურ მცხეთიდან კორესპონდენცია, რომელიც მეხება მე და რომელშიაც გადმოცემულია, რომ მე ვცემე და მძიმეთ თავში დავჭერი მესამე კლასის მებუფეტე. სიმართლის აღსადგენათ ამ ინციდენტის შესახებ გთხოვთ მოათავსოთ მახლობელ ნომერში შემდეგი ჩემი შენიშვნა. 29 დეკემბერს, 1909 წელს, მცხეთის მთავრობის მამასახლისმა და მე მივიღეთ ცნობა, რომ ვითომ გაქცეულს ბუფეტის მსახურის შავლაძის ოთახი. თანახმად შავლაძის და მისი "ადვოკატის" **ივანე გეგეჭკორის** მესამე კლასის ბუფეტში ლაქიათ მსახურის ჩვენებისა, მე და მამასახლისმა გავჩხრიკეთ ორი ბინა, სადაც ვერაფერი ვერ აღმოვაჩინეთ, **ივანე გეგეჭკორმა** განაცხადა, რომ კიდევ უნდა რამდენიმე ბინა გავჩხრიკოთ.



მაშინ წინადადება მივეცი, რომ მე უნდა ოქმი შევადგინო მეთქი და სისხლის სამართლის 940 მუხლი გამოვუცხადე. ოქმში შევიტანე ვისზედაც ეჭვი მქონდათ, თან ავუხსენი 940 მუხლის ძალა (თუ ვინიცობაა ტყუილი გამოდგა იმათი ეჭვი, პასუხის გებაში იქნებიან მიცემული ტყუილი ცნობის მიცემისათვის). **ივანე გეგეჭკორმა** დაიწყო ყვირილი, – ზედმეტია ოქმის შედგენა და ხელის მოწერაო. ვისზედაც ჩვენ გიჩვენებთ, თქვენ მოვალე ხართ გაჩხრიკოთ და დაატუსაღოთო. ამ ნიადაგზე ჩვენ მოგვივიდა შელაპარაკება და **გეგეჭკორმა** შეურაცხყოფა მომაყენა, მე ვერ მოვითმინე და პასუხი გავეცი, მაგრამ საქმე იქამდის კი არ მისულა რომ თავში დამეჭრა, როგორც ჩემ მიერ ზემოხსენებული დამტკიცდება გამოძიებით.

მიხეილ ჭუხრაძე

**გაზეთი "ახალი სხივი," 1910 წელი, 14 მარტი, № 33, გვ. 3.**

უკანასკნელი ფოსტა

დეპუტატმა **გეგეჭკორმა** მოსკოვიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: "მოსკოვში (რუსეთის ფედერაცია) მყოფი უკრაინელი სტუდენტები, აღშფოთებულნი არიან სახელმწიფო დუმის პრეზიდიუმის მოქმედებით, ღრმა მადლობას უცხადებს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას და შრომის ჯგუფს, რომლებმაც თავს იდვეს მოსწავლე ახალგაზრდობის დაცვა."

**გაზეთი "ახალი სხივი," 1910 წელი, 20 მარტი, № 38, გვ. 1.**

**ივანე** პეტრეს ძე **გეგეჭკორი** (სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი), **ოლღა** ფილიპეს ასული **გეგეჭკორისა**, თავადნი ავქსენტი, კონსტანტინე, გრიგოლი ხახუის ძენი კნეინა ესმა მანუჩარის ასული, ვალერია გრიგოლის ასული და ეპრაქსია სიჩინოს ასული ფალავები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას: პირველი უძვირფასესი დედისა, მეორე დედამთილისა, მესამენი საყვარელი დისა და მეოთხენი მულისა **მართა** ხახუს ასული **გეგეჭკორისა.**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე თავის ოჯახში სოფელ მარტვილში. გამოსვენება კვირას, 21 მარტს 3 საათზე, დაკრძალვა ნახარებოუს მონასტერში.

**გაზეთი "ჩვენი გაზეთი," 1910 წელი, 11 აპრილი, № 10, გვ. 2.**

დეპეშა

პეტერბურგი. კავკასიის ნამესტნიკს (მეფის ნაცვალი). კოპია "ჩვენ გაზეთს." წარსული წლის სექტემბერში გენერალი შატილოვის გადაწყვეტილებით ქუთაისის გუბერნატორის

დადგენილება შორაპნის (ამჟ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) მაზრის სოფელ ჩდილის (ამჟ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი) მცხოვრებ გლეხთაგან 58 მანეთის გადახდევინების შესახებ გიორგი ამილახვრის სასარგებლოთ უკანონოთ იქნა ცნობილი. მაშინ ამილახვარს წინადადება მიეცა თავისი ზარალი სასამართლოს წესით ეძია. ახლა ჩვენ დეპეშა მივიღეთ, რომ ბოქაული სტრაჟნიკების (ჩაფრების) საშუალებით ახდევინებს გლეხებს ხსენებულ ფულს ამილახვრის დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნით მიჰყავთ გლეხების მარჩენალი საქონელი, საოჯახო ნივთები და სხვა. ვინაიდან ასეთი მოქმედება ადმინისტრაციისა აშკარათ არღვევს 1906 წლის უმაღლესათ გამოცემულ ბრძანებას, – გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რათა შეჩერებულ იქმნას შორაპნის ადმინისტრაციის უკანონო განკარგულების სისრულეში მოყვანა, რომ შემდეგ, ნააღდგომევს, სახელმწიფო დუმაში შეკითხვის შეტანით გამოვარკვიოთ საქმის ვითარება.

დეპუტატები: **გეგეჭკორი** და ჩხეიძე

**გაზეთი "ჩვენი გაზეთი," 1910 წელი, 29 აპრილი, № 22, გვ. 4.**

რუბრიკა: წერილი რედაქციის მიმართ

„ახალი სხივის"-ს პირველ N-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია მცხეთიდან ბ. Д–ЛИ-ს, სადაც ის ჩემს შესახებ ყალბ ცნობებს აწვდის მკითხველ საზოგადოებას, ვითომ მე ვავიწროებდე მოსამსახურეებს და რაღაც სავაჭრო მონოპოლია მქონდეს. რადგან აღნიშნულ წერილში ჩემს შესახებ ყოველივე სიმართლეს მოკლებულია ამიტომ ვიწვევ ბ. Д – ЛИ სამედიატორო-სამართალში სადაც უნდა დამიმტკიცოთ ყოველივე ის რაც ჩემს შესახებ დაწერა. ვადას ვაძლევ ამ წერილის დაბეჭდვიდან ერთ კვირას. საქმე უნდა გაირჩეს ადგილობრივ.

ვასილ გეგეჭკორი

**გაზეთი "ჩვენი გაზეთი," 1910 წელი, 21 მაისი, № 41, გვ. 4.**

რუბრიკა: წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ შემდეგი: ბ. დ-ლი გამოვიწვიე სამედიატორო სამართალში, რომ მით დაემტკიცებინა პატივცემული მკითხველისათვის ჩვენი სიმართლე, მაგრამ ბ. დ-ლი იმის მაგიერათ, რომ დამეთანხმოს და თავის მხრით დანიშნოს მედიატორები მოყოლია თავის გამართლებას ვითომ კავშირიდან მოეთხოვოთ გაზეთის საშუალებით გავყოლოდი სამედიატორო სამართალში და ისიც რვაჯერ, ვითომ მე უნდა ვიცოდე ბ. დ-ლი იყოს სადაც შორს და მით ვადა დამენიშნოს მოკლე,

ვითომ მცხეთაში ადგილობრივ საქმის გარჩევა უხერხული იყოს და სხვადასხვა. ბ. დ-ლი! მიმითითეთ ერთი იმ გაზეთების ნომერზე რომლითაც მე მიწვევდენ სასამართლოში. თუ იმის იმედი გაქვთ, რომ თქვენს სიტყვებს უსაბუთოდაც დაიჯერებენ და ჩემსას კი საბუთითაც არა; თუ სამედიატორო სამართალში გამოსასვლელათ დრო ცოტა არის, თქვენ თითონ დანიშნეთ დრო. თუ მცხეთაში არ შეიძლება, დანიშნოთ თფილისში. სხვა რა გნებავთ! თქვენ გინდათ ბ-ნო დ-ლი შემაშინოთ მოწმეების ჩამოყვანით სამეგრელოდან და გურიიდან, რომ მათი ჩამოსვლის ხარჯი დამაკისროთ? მე სრულებით ამ თავით მეტათ მიმაჩნია ეგენი. თუ თანახმა ხართ ამ პირობებში სამართალზე, დანიშნეთ ადგილი და დრო საქმის გარჩევის! ამით ვსპობ თქვენთან ყოველივე კამათს საქმის გარჩევამდე. მე ვასახელებ მედიატორებათ ექიმს გოლა მორველოვს და მიხაილ ბუხრაძეს. დაასახელეთ თქვენი მედიატორები.

ვასილ გეგეჭკორი 17მაისი, 1910 წელი.

## ჟურნალი "განათლება," 1910 წელი, № 5, გვ. 246.

რუბრიკა: მოწერილი ამბები

პეტერბურგი. უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობის მატერიალური მდგომარეობა. – უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ახალ-გაზრდობის უმეტესი ნაწილი შიმშილს განიცდის, მატერიალურად დაქვეითებულია. მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც შეიძლება ბევრ სხვა შემთხვევებშიაც, პირველი ადგილი ქართველ მოსწავლე ახალ-გაზრდობას უნდა დაეთმოს. მატერიალური მდგომარეობა კერძოთ ქართველ სტუდენტებისა მეტად უნუგეშო სურათს წარმოადგენს. ყველაზე უფრო მდიდარიც რა არის ქართველ სტუდენტებში, იმასაც აღარ ყოფნის თვიდან თვემდის ფული და ზოგჯერ ისიც სხვებსავით დამშეულია. არ შეიძლება ითქვას საყველთაო ჩვენს მოძმეებზე: ვისაც ასეთები ჰყვანან, ისინი შეძლებისა და გვარად დახმარებას უწევენ თავიანთ ძმებს, შეძლებისა და გვარად-მეთქი ვამბობ და საქმეც სწორედ ამაშია; ეს შეუძლებლობა უშლის ხელს ყოველივე მათგანს მიაწოდონ ძმებს იმდენი, რამდენიც საჭიროა, თორემ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ცდას არ დააკლებენ!

სიღარიბე და შიმშილი, ლუკმა პურზე ფიქრი და ზრუნვა მძიმე ლოდივით თავს დაგვწოლია, სულს გვიხუთავს, გვიშლის ხელს სწავლას უფრო ღრმად ჩავსჭიდოთ ხელი, მეცნიერებას უფრო სწორის იმედებით გავსდიოთ. მოსწავლე ახალ-გაზრდობის თვითმკვლელობის გახშირებაში ბრალი შიმშილს უდევს, რომელიც ოპტიმისტს პესიმისტათ

ხდის და იმედებს უქარწყლებს. ბიოლოგიურად, ფიზიოლოგიურად, რა მხრითაც გაისინჯოთ, თუ კაცი დამშეულია, მას საქმის ხელის მოკიდება, გაძღოლა თუნდ ადვილ შესასრულებელ საქმისაც-კი, არ შეუძლია. აქედან, ცხადია, თუ სტუდენტი უზრუნველყოფილი არ იქნა, მას არ შეუძლია თავის საყვარელ საგანს ახლო გაეცნოს, უფრო შეიყვაროს! პირიქით ასეთ შემთხვევაში უიმედობა გიპყრობს და მეცადინეობაზე გული აღარ მიგიწევს. ან როგორ უნდა შეიძლო მეცადინეობა მაშინ, როდესაც შიმშილისაგან კუჭი გეწვის, არ იცი ხვალემდის გაატენ ცოცხალი თუ არა, არც ის იცი ხვალ რა მოგელის? ეს თავსამტვრევი კითხვები, ცხადია, დიდ დროს ართმევს მეცადინეობაში გართულ ადამიანს და საქმეზე გულს უცრუებს.

პეტერბურგში (ამჟ. სანკტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია) თუ ასე, სხვა ქალაქის ქართველი სტუდენტობა უფრო უარეს მდგომარეობაშია. ერთმა პეტერბურგის სამხედრო მედიკურ აკადემიის სტუდენტმა ამ სასწავლო წლის ნოემბერში მიიღო თავის ტომსკელ (ქალაქი რუსეთის ფედერაციაში) ამხანაგ ტეხნოლოგისაგან შემდეგი შინაარსის წერილი...

მოგიყვები ჩემს ამბავს. "ტომსკიდან შემატყობინეს ქუთაისში მიღებული ხარო. ეს კარგი, მარა ეხლა ფულის შოვნა იყო საქმე. დიდი წვალების შემდეგ, როგორც იყო ვიშოვნე სწავლის ფული და გავემგზავრე. ეხლა გზის ფული მინდოდა; ზოგი ვისესხე, ზოგიც ნაცნობებმა მიწილადეს და 7 თუმნით გავუდექი გზას პირველ ენკენისთვეს. 30 მანეთი ბილეთში მივეცი, 8 მანეთი ბარგში, ტომსკში რომ ჩამოვედი 20 მანეთამდე მქონდა. აქ სასწავლო ნივთების ყიდვა დამჭირდა და კიდევ სხვა რამეების, ვიყიდე ესენი და ცარიელი დავრჩი. ერთი კვირის შემდეგ მომივიდა 3 თუმანი, ვიყიდე სასწავლო და სხვა ნივთები, რომლების ყიდვა ამ წინანდელი 20 მანეთით მოვახერხე, დიასახლისს ოთახის ქირა მივეცი და ისევ ცარიელი დავრჩი, მას შემდეგ არაფერი მომსვლია. რაღა სიცოცხლეა, ჩემო ძმაო, ამისთანა სიცოცხლე. ერთი მითხარი თუ ძმა ხარ, – რა მეცადინეობა შეიძლება მაშინ, როცა კაცს შიმშილით კუჭი გეწვის. რამოდენიმე ხანი დავდიოდი"სტოლოვკაში" და იქ ვსადილობდი. ეხლა-კი დღეს მეთვრამეტე დღეა, რაც მე სადილი არ მიჭამია. შემარცხვინოს ღმერთმა ცოლ-ამხანაგებში გამოწყვეტილი ვიარო, თუ მე ამას ტყუილს ვამბობდე. თუ არ გჯერა, შეგიძლია მოსწერო მ. ქ-ს, ტ-ს, ბ- ს, ი-ს და გაიგებ მართალია ეს, თუ ტყუილი. ჩემს საჭმელს შეადგენს დილას და საღამოს ჩაი და პური.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეგენიც არ მაქვს ხშირად, თორემ სადილს ვინღა ჩივა. ავდგები დილა ადრიან, ჩავიცვამ, დავიხურავ და გავრბივარ ინსტიტუტისაკენ,



დიასახლის ვეუბნები სამოვარი არ დადგა, მეჩქარება და მის ადუღებას ვერ მოვუცდი თქვა. კაცო, კი არ მეჩქარება მართლა, მარა აბა სხვა რა უნდა უთხრა, როცა არც შაქარი, არც პური და არც ფული არ მაქვს რომ ვიყიდო... და რაღ მინდა რომ ადუღებული წყალი შემოიტანოს. ამას წინად ცოტა დამაგვიანდა და დიასახლისმა მომასწრო სახლში სამოვრის შემოტანა, ახლა რა უნდა მექნა. ავდექი, გამოვავლე სტაქანს ცხელი წყალი, ერთი თუნუქის ჩაინიკი მაქვს და იმაში ჩავასხი. წინა ღამის პურის ნამცეცები იყო ქაღალდში ჩარჩენილი, ავიღე და ეს პურის ნამცეცები მაგიდაზე დავყარე, ვითომ ვჭამე და შემდეგ უთხარი წაიღე თქვა; შენ მეტყვი, თუ ასე გიჭირს ამხანაგებს რად არ ეტყვი, ისინი მოგცემენო, კი, ძმაო, ერთხელ მოგცემენ, ორჯერ და სამჯერ, მარა სულ ყოველთვის ხომ ვერ მარჩენენ, ოცი და ოცდა ხუთი დღის განმავლობაში. იმათ თვითონ ყოფნისთ და ჩემი სარჩენი-კი არ აქვთ... ისევ მეხმარება მ. ქ. ხან რვა კაპიკს მაძლევს დღეში, ხან ორ შაურს, ამ ფულით დილას და საღამოს პურს ვიყიდი და მეტი მე არ მინდა. შიმშილით არ მოვკვდები და სხვას თავი დავანებოთ. სახლში რომ მივსწერო ასე ჩემი საქმე და ფული გამომიგზავნეთ-თქო, რა გამოვა. ვიცი ვერაფერს იშოვნიან, შევაწუხებ მარტო და ის გამოვა. ასე რომ მგონებოდა არ წამოვიდოდი, მაგრამ არ ვიცოდი. ქუთაისში რომ ტეხნიკი არის დ. წ-ი თუ იცი, ის დამპირდა თუმანს გამოგიგზავნი თვეშიო, ერთი კიდევ ბ-ძე არის ხუთ მანეთს ყოველ თვე გაგიგზავნიო, ხუთ მანეთს კიდევ სახლიდან გამომიგზავნიდნენ და ოც მანეთით მე კარგად ვიცხოვრებდი, მარა გამომიშვეს, ძმაო, აქეთ და ქე მომატყუეს. სახლიდან წერილი მომივიდა, დედა და მამა მითვლის, არავინ არაფერი მოგვცა, რომ დაგვპირდნენ, ეს სამი თუმანი ეხლა რომ გამოგიგზავნეთ, ვისესხეთო, თორმეტი თუმნის გირავო მივეცით ამ სამ თუმანში და თვეში თუმანში ცამეტ შაურს სარგებელს ვაძლევთო. თუ გინტერესება შემომითვალე და იმ წერილს გამოგიგზავნი. ასეა ძმაო საქმე, თუ არ მოვკვდი შიმშილით ხომ კარგი, თუ არა რა ვუყოთ: თავს ზევით ძალა არ არისო ნათქვამია... შენი ძმა და ამხანაგი ც.” (*)

ჩემის აზრით, ვინც ნივთიერად უზრუნველ ყოფილი არ არის, ნუ მიემგზავრება რუსეთის გადაკარგულ ქალაქებში. რასაკვირველია სწავლა კარგია, მაგრამ რას შესძენს სამშობლო ქვეყანას რუსეთიდან დაბრუნებული, ჭლექით დაავადმყოფებული, რომელიც დღე-დღეზე სიკვდილს მოელის. უმჯობესია, ვისაც საშვალება არა აქვს სამშობლოშივე დარჩეს და

თავისი მცირე ცოდნით დაეხმაროს ხალხს, ვიდრე რუსეთის სუსხი სიცივით თავი მოიწამლოს. ამ შემთხვევაში უზნეო კეთილმყოფლებაზე დანდობა, რომელთაც დაპირება შეუძლიათ და ასრულება კი არა, საიმედო არ არის.

ლადო გეგეჭკორი

(*) ეს წერილი, რომელიც გვისურათებს ჩვენებურს სიტყვით ქველმოქმედებას და სტუდენტების გაჭირვებულ მდგომარეობას, რედაქციაში ინახება. რედ.

## გაზეთი "სახალხო გაზეთი," 1910 წელი, 18 ივნისი, № 35, გვ. 4.

რუბრიკა: მოწერილი ამბები

ქ. ფოთი. მართალია ფოთი ჭაობიანი ადგილია, ზოგ აქაურ ქუჩებზე ისე ვერცკი გაივლის ადამიანი, რომ ტალახში მოისვაროს და ბაყაყთა მომხიბლავ ორკესტრით არ დასტკბეს, - მით უკეთეს საღამოობით, მაგრამ სწავლა-განათლების საქმეში-კი დამერწმუნეთ, ფოთს ასეთი ჩამორჩენილობას ვერ შევსწამებთ. სწავლა-განათლების გზაზე ჭაობი სულ თუ არა, ცოტათი მაინც ამოაშრეს. ამაში ქალაქის თვითმართველობასაც იღებდა მონაწილეობას და კერძო პირებიც. ამ სამი წლის წინეთ დაარსდა სავაჟო გიმნაზია, რომელსაც, როგორც საშუალოს, ისე გურიის ყოველი მხრიდან მრავლად აწყდებიან სწავლის მოსურნენი. გიმნაზიაში ჯერ სულ ხუთი კლასია, მომავალ წლიდან მეექვსე გაიხსნება. სწავლა კარგად სწარმოებს. ხელმძღვანელები კარგები არიან; იშვიათად გაიგონებთ აქაურ საზოგადოებაში იმათდამი საყვედურს. როგორც გადმომცეს, ახლო მომავალში დირექტორი თავის მოწაფეებით მიემგზავრება ოდესაში (უკრაინა) შავი ზღვით. ამ რიგად, ყმაწვილები გაიცნობენ სახელოვან კოლხიდის საუკეთესო ადგილებს, რომელთა გაცნობის საშუალებას სხვები, მათზე უფრო მოწიფულნიც, მოკლებულნი იყვნენ და არიან; მრავალია ჩვენში მოღვაწე და მწერალი, რომელთაც კოლხიდა და მისი მშვენიერი ბუნება არ გაუცვნიათ.

აქაური საქალებო გიმნაზია, წინად პროგიმნაზია, ეხლა დამთავრებულ გიმნაზიად უნდა ჩაითვალოს, რადგან წელს მეშვიდე კლასი იყო გახსნილი, რომელიც უკვე დაამთავრეს ქალებმა. ზოგი იმათგანი უმაღლეს სასწავლებელში აპირებს სწავლას.

აქაურ სამკითხველო-ბიბლიოთეკას არსებობის დიდი ისტორია აქვს. მე მხოლოდ ბოლო წლების ამბები მინდა მოკლეთ მოგახსენოთ. წინად შენობის უქონლობის გამო დიდი წუწუნი ჰქონდათ ატეხილი. შენობა ააგეს, მაგრამ ეხლაც არ არის საქმე რიგზე მოყვანილი. ძალიანაც რომ მოინდომოთ ხეირიან ქართულ წიგნებს ვერ იშოვით: არ არის

დ. გურამიშვილის, ალ. ჭავჭავაძის, ორბელიანების და სხვათა ნაწერები, ილიას და აკაკის ნაწერები ნახევარიც არ არის; რაც შეეხება ძველ მწერლობას, ამაზე ნურას მკითხავთ. ვისრამიანის გარდა სხვა არაფერი მოიძებნება. მგონი გასულ წელს აპირებდენ ქართულ წიგნების შეძენს, მაგრამ, არ ვიცი რა მიზეზით, ჯერ არაფერი სჩანს. ჩემი აზრით, საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა შეიძინონ ქართული წიგნები.

ფოთელ გულ-უხვ საზოგადოებაში საქმის მოგვარება ადვილი საქმეა, ერთ ლატარია-ალეგრიდან მოგებულ ფულით სულ ადვილად შეივსება ქართული წიგნების დანაკლისი. მაგალითად, ამას წინად ქ-ნ ნ. ლოლუას მიერ თავის ახლად გახსნილ პროფესიონალურ სკოლის სასარგებლოდ გამართულ ლატარია-ალეგრის კაი ძალი ხალხი დაესწრო, შემოსავალიც ჯეროვანი იყო. სჩანს საზოგადოება პატივს სცემს ამ ახლად დაწყებულ საქმეს, პროფესიონალურ სკოლას. სკოლა ერთი წელიწადია არსებობს და ეხლაც საქმე კარგად სწარმოებს. ლატარიაში ჩადებული იყო მოწაფე ქალების მიერ ლამაზად მოქსოვილი და მშვენივრად მოქარგული სხვა-და-სხვა ნივთები, რაც უტყუვრად მოწმობს იმას, რომ ქ-ნი ნ. ლოლუა არ იშურებს შრომას რიგიანად შეასწავლოს ჭრა-კერვა და ქსოვა-ქარგვა თავის მოწაფეებს.

ლ. გეგეჭკორი

## გაზეთი "სახალხო გაზეთი," 1910 წელი, 25 ივნისი, № 41, გვ. 3.

რუბრიკა: მოწერილი ამბები

ფოთი. ქართველ ინტელიგენტების ცუდ თვისებას სიზარმაცე და მცონარეობა შეადგენს. უცხო ქვეყნებში ქართველების შესახებ კარგ აზრისანი არიან; ისინი ჩვენ ნიჭიერ ხალხად გვთვლიან და გაკვირვებაში მოდიან, როდესაც ღრმად გაცნობის შემდეგ ხელში რჩებათ სულ ერთიან მცონარე და ზარმაცი კაცი.

ფოთელი ინტელიგენტებიც არ ჩამოუვარდებიან სიზარმაცეში ჩვენი ქვეყნის სხვა მხარის ინტელიგენტებს, მეტსაც გეტყვით, სხვებსაც კი აჯობებენ. არც ერთი საკულტურო დაწესებულება არ არსებობს, ან უკეთ ვსთქვათ, არ ხეირობს ამ კურთხეულ ქალაქში.

სახალხო უნივერსიტეტის შესახებ ხსენებაც აღარ არის, დრამატიულ საზოგადოების შესახებ საქმემ ჩაილურის წყალი დალია. ყოველივე ჩვენგანმა იცის, თუ რა საჭირო და სასარგებლო, არა თუ მარტო ქალაქებისთვის, არამედ დაბებისთვისაც სახალხო უნივერსიტეტი. ლექციების კითხვას, რომელსაც სახალხო უნივერსიტეტი იაფ ფასად მოაწყობდა, დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო აქაურებისთვის, უფრო-კი ღარიბ

ხალხისთვის და მუშებისთვის რომელნიც მოწადინებულნი არიან ცოტათი მაინც არის განვითარდნენ, შეიგნონ ცხოვრების ავი და კარგი მხარე... მაგრამ ამას ყველაფერს მოკლებულნი არიან, რადგან ჯერ ერთი იშვიათად იკითხება აქ ლექციები და მეორეც თუ იკითხება გადიდებულ ფასებით, რაიც ღარიბ მუშებისთვის მეტად მიუწდომელი არის. განა ადგილობრივ ინტელიგენციებისთვის დიდ გასაჭირს შეადგენს აიღონ ნებართვა და მოაწყოს სახალხო უნივერსიტეტი? ადვილი საქმეა ყოველივე ეს, მაგრამ სიზარმაცე თავისას არ იშლის!

დრამატიულ საზოგადოების საჭიროების შესახებ ჯერ კიდევ შარშან ვწერდი. იმ დროს ამის შესახებ აქაურ ინტელიგენციაში რაღაც მითქმა-მოთქმა იყო, თითქოს სურდათ ეს საზოგადოება დაარსებულიყო, მაგრამ გავიდა დრო და საქმეც მიიჩქმალა. დრ. საზოგადოების დაარსება, დღესაც, ვიმეორებ, საჭირო და სასარგებლოა. ზოგი დროს აქ ძალიან გაახშირეს წარმოდგენების მართვა. თბილისიდან და ქუთაისიდან ჩამოსულ არტისტებმა გამართეს წარმოდგენები. ეს, რასაკვირველია, სასიამოვნოა, მაგრამ ამავე დროს არა სასიამოვნო და უსარგებლოა, რომელსაც აქაური ეგრედ წოდებული "სცენის მოყვარეები" მართავენ წარმოდგენებს, სდგამენ პიესებს, რომელთა შინაარსი ნახევარ მათგანს არ გაეგება, არ ესმის. თამაშობენ როგორც იტყვიან, "ჩალმერთებულად"; თავიანთ ურიგო თამაშით აიძულებენ აქაურებს თეატრს... და მე-კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ იქნება, თუ დრამატიული საზოგადოება იქნება საქმის გამგე და გამძღოლი. საზოგადოება ამას ყველაფერს ყურადღებას მიაქცევდა და თავიდანვე აიცილებდა შეცდომებს; ხალხსაც არ დაეზარებოდა თეატრში სიარული. მოთხოვნილება მუდმივ თეატრის დაარსებისა საკმაოდ მომწიფებულია აქაურ საზოგადოებაში: ზამთრობით კვირაში ერთი წარმოდგენა აქ სასარგებლოც იქნება და მომგებიანიც, ესეც, რასაკვირველია, ინტელიგენციების საქმეა. მაგრამ დალახვროს ღმერთმა, სულ ძილი და... მაგრამ აქ ძილი არაფერ შუაშია, ეს არის მხოლოდ, რომ სურვილი აღარ არის, ხალისი გამქრალია!

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფილიალური განყოფილება დაარსდა. გამგეობაც დიდი ხანია არჩეულია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ჯერ არაფერი სჩანს; მუშაობით თავს არავინ იწუხებს. სხვაგან ყველგან თითქმის დაბებშიაც-კი ყველ გაჩაღებული მუშაობა სწარმოებს. თუ იმით იმართლებენ თავს, რომ ზაფხულია და მუშაობა შეუძლებელიაო, ტყუილი თავის მართლებაა... ბატონი ბრძანდებით, ზამთარიც მალე დადგება და ვნახოთ მაშინ რას იზამენ!

ფოთში, სადაც კულტურული დაწესებულებანი აღარ არსებობენ, რუსული გაზეთი დაარსებულა და აპირობს თავისი არსებობა განაგრძოს. მე მოგახსენებთ ახალ

ყოველკვირეულ გაზეთ "Западное Закавказье"–ზე (დასავლეთ ამიერკავკასია), რომელმაც ეხლა ხან იწყო გამოსვლა და რომლის რედაქტორი ლ. დუდუჩავა ბრძანდება. რაღა გვიჭირს, ბედი გვწყალობს! გარუსებამდის ერთი ფეხის გადადგმაღა გვიკლია! როგორც მოწინავე წერილი გვამცნობს, მას გარკვეული "პროგრამა" არ ესაჭიროება: აქეთაც იქნება და იქეთაც, თუმცა გაზეთი გვპირდება ცხოვრების გარდაქმნას, ფოთის გაბედნიერებას – აშენებას. რასაკვირველია – რუსული გაზეთი ფოთში არაფერს სახეიროს არ გააკეთებს, მავნებლობის მეტს ვერას მოიტანს. უნდა ვინუგეშოთ თავი იმით, რომ ეს გაზეთიც ნეტა ხსენებულ "Ч. В." ვით სულს მალე განუტევებს ბუნებრივის სიკვდილით, დიახ, ბუნებრივის სიკვდილით.

ლ. გეგეჭკორი

## გაზეთი "საქმე," 1910 წელი, 10 სექტემბერი, № 8, გვ. 2–3.

რუბრიკა: ახალი ამბები

ფოთი. ხოლერამ ძლიერ იკლო, კარგა ხანია, რაც არავინ გამხდარა ავათ. გვეგონა, სრულიად გაქრა ეს სენი, მაგრამ 3 სექტემბერს სანიტარული ექიმის ცნობით, ხოლერის ნიშნებით ავათ გახდა "როსიის" საზოგადოების მუშა ვართან კირაკოსიანი, რომელიც თავის სურვილის თანახმად დატოვებულ იქნა სლობოდის ქუჩაზე, ხოიცდის სახლში. 3 სექტემბრიდან დღემდე ავათ არავინ გამხდარა.

– 4 სექტემბერს ადგილობრივ საზოგადო საკრებულოს დარბაზი პეტერბურგის (ამჟ. სანკტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია) ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის სტ. **ვლადიმერ გეგეჭკორმა** წაიკითხა ლექცია ამ თემაზე: "ნ. ბარათაშვილი და მისი პოეზია," საერთოთ ლექცია სუსტათ ჩატარდა. ლექტორს ძალიან ემჩნეოდა გამოუცდელობა. ლექციას ხალხი ცოტა დაესწრო.

## გაზეთი "სახალხო გაზეთი," 1910 წელი, 26 ოქტომბერი, № 141, გვ. 3.

ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან

პეტერბურგი. არ ყოფილა მაგალითი, ქართველ სტუდენტებს თავიანთი გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანოთ, რაც სათვისტომოს სხდომაზე გამოითქვა, რეალურად ცხოვრებაში სასურველად განეხორციელებინოთ. ამას გვიმტკიცებს ქართულ სათვისტომოს დღევანდელი ვითარება.

სათვისტომოს კრებაზე 15 ღვინობისთვეს, დღიურ წეს-რიგში შეტანილი იყო სხვათა შორის საკითხი იმის შესახებ, მიიღოს თუ არა სათვისტომომ მონაწილეობა საერთო სტუდენტების ორგანოში, რომლის გამოცემა განზრახულია. საქმე შემდეგში მდგომარეობს:

მომავალ სასულიერო ჟურნალის ინიციატორებს წინადადება მიეციათ სხვა და სხვა მოწინავე სათვისტომოებისათვის, – გამოეგზავნოთ თქვენი წარმომადგენლები ამ ჟურნალის გამოცემის შესახებ წინასწარ გამართულ თათბირზე დასასწრებლადო. პასუხები ჯერ-ჯერობით ასეთია: ყოველმა სათვისტომომ, რომელიც-კი მოისურვებს მონაწილეობა მიიღოს, უნდა შეიტანოს პაი ოცდა ხუთი მანეთი; ჟურნალი, ინიციატორების აზრით, მემარცხენე იქნება, ყოველ შემთხვევაში კადეტებზე მარჯვნივ არ გაივლის. ასეთი წინადადება ქართულმა სათვისტომომაც მიიღო. ამ საკითხზე ცხარე კამათი გაიმართა. ერთი რიგი ორატორებისა ამტკიცებდა მონაწილეობის მიღების საჭიროებას, მეორენი ამის წინააღმდეგნი იყვნენ და თავიანთ აზრს ასე ასაბუთებდნენ: რა-კი ჟურნალი პროგრესიულ ხასიათისა იქნება და იქ შესაძლებელია ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრმა სასულიეროებმა მიიღონ მონაწილეობა, ჩვენ სირცხვილად მივიჩნიეთ იმათთან მუშაობაო. ეს შეიძლება გამართლდეს, რადგან დღეს სულიერობა ფერისცვალებას განიცდის.

ერთმა ორატორმა იკადრისა, – რას ქვიან, ჩვენ-ჩვენი “მე” უნდა შევიტანოთ საერთო სფეროში, უნდა მივიღოთ მონაწილეობა ჟურნალის გამოცემაშიო. მაგ დალოცვილს, შინ ვერა გაუწყვია რა, თავისი “მე” სათვისტომოში ვერ განუმტკიცებია, სათვისტომო ვერ დაუყენებია სწორე გზაზე და სხვას რაღაცას ეპოტინება. კაცი იხრჩობოდა და ხავსს ეჭიდებოდაო, ნათქვამია – სწორედ ასე მოგვდის; ყველგან უნდა ჩავერიოთ, ყველაფერს ხელი უნდა წავაპოტინოთ და იმას კი ვერ ვამჩნევთ, რომ წყალში ვიძირებით. მონაწილეობის მიღება ამ საქმეში კარგია, მაგრამ, თუ გინდათ სხვას დაეხმაროთ, შინ საქმე მოაგვარეთ!

გადაწყვიტეს, გაეგზავნონ წარმომადგენელი განსაზღვრულ დირექტივებით, მაგრამ ვაი, თუ თავიანთ დირექტივებით კინწის კვრით გამოაბრუნონ ეს წარმომადგენელი და უთხრან: უკაცრავად, ჩვენ მოგიწვიეთ და თუ გსურთ, ჩვენ გაგვიგონეთ, თუ არა და მიბრძანდით აქედანაო. შესაძლებელია ასეც მოხდეს!



დღიურ წეს-რიგში ბოლო საკითხად დასმული ეთნოგრაფიულ საღამოზე მონაწილეობის მიღება ამის სურვილი ერთხმად გამოითქვა. საჭიროც არის მონაწილეობის მიღება და ის კომისია, რომელიც ამ მიზნით იქმნა ამორჩეული, აქედანვე უნდა ეცადოს საქმე კარგად მოაგვაროს, თორემ შარშანდელებურ თუ მოუვიდათ, უმჯობესია თავი მიანებონ. ეთნოგრაფიულ საღამოზე ქართულ განყოფილების მოწყობას

თვით ტრადიციულ ქართულ სალამოზე არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს, არ უნდა შეგვრცხვეთ!..

წინედაც მითქვამს და ეხლაც გავიმეორებ, საჭიროა კონცერტებზე ყველა ორატორი ქართულად ლაპარაკობდეს (ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ განათლებულებს, თავიანთ სამშობლოში, საკუთარ ოჯახშიც კი მეტ ბარგად მიაჩნიათ ქართული ენა. **ასოთ ამწყობი**). მეტი ყველანი რუსულად ლაპარაკობენ; რუსული კი ზოგ მათგანს ისე ეხერხება, როგორც მე ჩინური. ნუ თუ გადავგვარდით ისე, რომ ორი-სამი წინადადება ქართულად ვერ გამოთქვამს?

ლადო გეგეჭკორი

## გაზეთი "საქმე," 1910 წელი, 31 ოქტომბერი, № 31, გვ. 1.

საკვირველება მეოცე საუკუნისა-კვირას, 31 ოქტომბერს

დიდუბეში გაიმართება წარმოდგენა ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდისა **ლევ-სამსონი** ალექსანდრე ჭაბუკას-ძე **გეგეჭკორი** სასახლის მსახიობი მათი უმაღლესობის სპერსიის (სპარსეთის) შახის კარის ავგანისა. **გეგეჭკორი** ყველგან განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა. თავისი ძმის მუშაობისათვის მიღებული აქვს 15 ოქროს და ვერცხლის ჟეც. მენდალი. არაჩვეულებრივი უმაწვილი, **გეგეჭკორი** მეორეჯერ აჩვენებს ქალ. თბილისში განსაცვიფრებელ ხელოვნურ ვარჯიშობას ამ პროგრამით:

1) **გეგეჭკორი** დაიჭერს პირში ცხენოსან კაცს (25 ფუთს); 2) გულზე დაიდგამს 10 ფუთი ნზინდამს, რომელზედაც მჭედლები ცხელი რკინისაგან დიდრონი ჩაქუჩებით გააკეთებენ ცხენის ნალებს; 3) **გეგეჭკორის** გულზე დასჭედენ ცხენს; 4) **გეგეჭკორს** ორი ცხენები გაუწევენ ხელს; 5) **გეგეჭკორი** დალეწავს ცხელ რკინას; 6) ხელებით დაამტვრევს სპილენძის შაურიანებს; 7) ასწევს ცალი ხელით 3 კაცს; 8) **გეგეჭკორი** უჩვენებს საზოგადოებას იაპონურ ვარჯიშობას, რითაც განცვიფრებაში მოჰყავს დამსწრენი; 9) **გეგეჭკორი** გაიმეორებს ზოგიერთ ძველ № №; 10) **გეგეჭკორი** ითამაშებს ლეკურს ხანჯლებით, ყველა ამის შემდეგ **გეგეჭკორი** იჭიდავებს კავკასიურათ, შემდეგ გაიმართება კავკასიური ჭიდაობა საჩითალო საავათმყოფოს სასარგებლოთ. იჭიდავებენ:

1) მიხაკო კურხული და მიხაილ ჩაგოროვი; 2) **ალექსანდრე გეგეჭკორი** და მიხაილ პოლუეგინი; 3) გიორგი დათუაშვილი (გორელი) და ვასო კოშკელაშვილი (ნავთლუღელი); 4) თადო კაკაშვილი და კოლა რუსიშვილი; 5) ირაკლი კახელი და იაგორ ოსიაშვილი; 6) ვანო ყასაბი და მიტრო ედიშერაშვილი; 7) გიგუცა პოვრიშვილი და ვარდენ მერაბაშვილი. გარდა ამისა იჭიდავებენ ჭიდაობის მოყვარულნიც.

ჯიდაობა დაიწყება საღამოს 5 საათზე. კრუგი განათებული იქნება. პატივისცემით

**გეგეჭკორი.**

ადგილების ფასი: ლოჟა კუპონებით 6 მან; 1 რიგი 80 კაპ; 2-3 და 4 რიგი 60 კაპ; გალერეა 30 კაპ. დაუკრავს ზურნა და სამხედრო მუზიკა.

ადმინისტრაცია.

### გაზეთი "სახალხო გაზეთი," 1910 წელი, 13 ნოემბერი, № 154, გვ. 2.

მივიწყებული საფლავი (წერილები პეტერბურგიდან).

უდროოდ წუთისოფელს გამოსალმებულს ჩვენს ნიჭიერ მგოსანს გრიგოლ აბაშიძეს აღარ ეღირსა სამშობლოში დამარხვა. — "და ამ დღიდან მხოლოდ სატრფოდ ჩემს სამშობლოს აღვიარებ"-ო! — სთქვა მან ერთს თავის ლექსში. მაგრამ პოეტს ბედმა ისე უმუხთლა, რომ აღარც პირველმა სატრფომ უპატრონა მას სიკვდილის ჟამს და აღარც მეორე სატრფომ-სამშობლომ, — რომლის გაღმერთებაში დალია სული, — აღარ მოინდომა რიგიანი განსასვენებელი ადგილი მიეჩინა თავის ერთგულ, თავ-განწირულ შვილისათვის.

ვინც ქართულ ლიტერატურას გაეცნო, იმას ეცოდინება, თუ როგორი პოეტი იყო გრიგოლ აბაშიძე. უმაღლეს სწავლის მისაღებად პოეტი გრ. აბაშიძე პეტერბურგს (რუსეთის ფედერაცია) ჩამოვიდა. თავის ავადმყოფობას საკმაოდ გრძნობდა განსვენებული, მაგრამ მაინც არა სცხრებოდა; უმაღლეს სწავლას ღრმად მოწყურებული იყო, რომ შემდეგ სამშობლოსთვის, ამ თავის "მშვენება-სატრფოსათვის," რიგიანი სამსახური გაეწია. მაგრამ არა თუ ავადმყოფს, პეტერბურგში კარგად მყოფსაც უჭირს ცხოვრება, აქაურ ყოველმხრივ მოწამლული ჰაერის ატანა. ჩვენი პოეტი-კი ადრიდანვე უკურნებელ სენით-ჭლექით იყო შეპყრობილი. პეტერბურგი ჭლექიანობისათვის მომწამლავია ჰაერით და მდებარეობით და 1903 წელს, ჯერ ნორჩი, უფურჩქნელი პოეტი, პეტერბურგში ყოფნის დროს, იმსხვერპლა ულმობელმა სენმა. სიკვდილმა მოგვიტაცა ერთი საუკეთესო ადამიანთაგანი, რომელიც ყოველ მხრივ — თვისებით, გრძნობით, ნიჭით, — განსხვავდებოდა უბრალო მოკვდავთაგან.

პოეტი გრიგოლ აბაშიძე დამარხულია პეტერბურგის სასაფლაოზე, რომელსაც სახელად "ვოლკოვის სასაფლაო" ჰქვიან, რუსეთის დიდებულ მოაზროვნე მწერლის მიხაილოვსკის გვერდით. ამავე სასაფლაოზე დამარხულია სხვა გამოჩენილი მწერლები და კრიტიკოსები: ბელინსკი, დობროლიუბოვი, გლებ უსპენსკი, ნადსონი და სხვა, რომელთა საფლავზე ძვირფასი ძეგლებია ამართული. ჩვენი პოეტის საფლავი კი ოდნავ მოსჩანს, მისვლისთანავე შეატყობთ, რომ იგი უპატრონოდ არის მიგდებული. ერთი უბრალო ხის ჯვარი აღუმართავთ

საფლავზე და ზედ სახელი და გვარი რუსულად წააწერიათ; არა აქვს წარწერა "პოეტი," და გარეშე მნახველი, რასაკვირველია, ვერც კი მიხვდება, რომ იქ პოეტის გვამი განისვენებს.

ერთ ქართველ მნახველს ჯვარზე ფანქრით წაუწერია: – მოველ, თანამემამულევ, თაყვანი ვეცე შენს მივიწყებულ საფლავსო; სხვებს კიდევ რუსულად წაუწერიათ: "Спи, славный грузинский поеть, возле мирового Михайловскаго." მე კი ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ამ მნახველებმა ყურადღება არ მიაქციეს საფლავის ვითარებას, თორემ აქამდის რად არ ამცნეს ეს გარემოება სხვებს. რუსებში დიდის პატივისცემით ეპყრობიან თავიანთ მწერლებს, უვლიან იმათ საფლავებს, უდგამენ ძეგლებს. მართალია, გრიგოლ აბაშიძე – ერთად ერთი აქ დამარხული ჩვენი პოეტი, რუსის მწერლებივით "დიდი კაცი" ვერ გახდა, მაგრამ იმას მაინც ვერ უარვყოფთ, რომ იგი ნიჭიერი მგოსანი იყო. ამიტომ საჭიროა ყურადღება მიექცეს მის, მართლაც, მივიწყებულ საფლავს!

მადლობის ღირსია სტუდენტი ი. ლომაური, რომელმაც ამას წინად ქართულ სამეცნიერო წრის კრებაზე შეიტანა საკითხი გრიგოლ აბაშიძის საფლავის შესახებ. სამეცნიერო წრემ იქონია ამაზე მსჯელობა, მაგრამ რაკი წრე მარტოკა ვერას გახდება, დაადგინეს: შევიდნენ ამ წინადადებით სათვისტომოში, რომ მეტ ნაწილმა ქართველ სტუდენტებისამ მიიღოს ამ საქმეში მონაწილეობა. სათვისტომოს სხდომა მალე გაიმართება და ეს საკითხიც გარკვეულ ხასიათს მიიღებს.

მაგრამ მე მინდა ქართველ საზოგადოების ყურადღება მივაქციო ამ გარემოებას. სანამ სტუდენტები რამეს იზამენ, მეტი არ იქნება ამ დიდიდგან სამშობლოშივე ეცადნენ ამ საქმის მოგვარებას. საჭიროა შედგეს კომიტეტი, რომელიც გამონახავს რაიმე წყაროს – რაიმე თანხას, – ან არა და შემოწირულობით შეაგროვებს ტოტაოდენ ფულს, რომ ან სამშობლოში იქმნეს გადატანილი გრ. აბაშიძის ნაშთი, ან აქვე ძეგლი დაიდგას. თორემ ისე საფლავის მიტოვება, როგორც ეხლაა, თავისივე თავის შერცხვენა იქნება ქართველებისათვის უცხოთა თვალში!

ლადო გეგეჭკორი.

**ალმანახი № 1, "საახალწლო მილოცვები," 1911 წელი, 1 იანვარი.**

რუბრიკა: პროვინცია

დაბა ნაოლალევი (სამეგრელო). შარშან დეკემბრის დამლევში, ადგილობრივმა ინტელიგენციამ ზოგიერთ ვაჭრების თანადასწრებით გამართა კრება, რომელსაც მიზნათ ქონდა უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს დაარსება ჩვენს დაბაში. კრების ეს სურვილი

ძალე განხორციელდა. ამა წლის თებერვლის დამლევში აგებულ იქმნა ბულვარში პაცარა, მაგრამ საკმარისად ლამაზი შენობა, რომელშიდაც მოათავსეს სამკითხველო. ამ უკანასკნელ დღეებში ხსენებული სამკითხველო იმყოფებოდა უკიდურეს მდგომარეობაში მატერიალურის მხრივ, მაგრამ ამ კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოიყვანა ის ადგილობრივმა სცენის მოყვარულებმა, რომლებმაც ქალბატონ დ. ჟორდანიასი თაოსნობით 12 დეკემბერს გამართა სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენა. დადგმულ იქმნა ორი მოქმედებიანი კომედია “გაცრუებული იმედი,” წარმოდგენის ბოლოს წაიკითხა სცენები დ. მესხმა; რომელიც სპეციალურად ამისთვის იყო მოწვეული ქუთაისიდან. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა: კარგნი იყვნენ ს. ზარალოვის როლში დ. ასათიანი და მეუღლე მისი – **ნ. გეგეჭკორი.** დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ საერთო ანსამბლს, ეტყობოდა მხოლოდ გრიმის უქონლობა. მართალი უნდა ვსთქვა, რომ პროვინციაში ასეთი მწყობრად და ლამაზად მოწყობილი წარმოდგენა იშვიათი მოვლენაა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. ბილეთები ქალბატონ ი. დ. ჟორდანიას მეცადინეობით სხვა ადგილებშიაც იყო გაყიდული გარდა ნაოლალევისა და ამიტომაც შემოსავალი 160 მანეთამდე ავიდა. ასე, რომ ხარჯის გარდა სამკითხველოს დარჩება 100 მანეთამდე.

თუ ჩვენი ინტელიგენცია არ დაიზარებს და წელიწადში ორჯერ-სამჯერ გამართავს ასეთ წარმოდგენას სამკითხველოს სასარგებლოდ ხალხსაც ასიამოვნებს და ჩვენს ნორჩ სამკითხველოსაც სასურველ ნიადაგზედ დააყენებს.

– ჩვენს საზოგადოებას დიდი ხანია სურს გაეხსნა ფოსტის განყოფილებასთან ტელეგრაფი.

ამ დღეებში ესეც განხორციელდა და ეხლა ეს კულტურული დაწესებულებაც მოქმედებს აქ.

ალფა

## გაზეთი “მნათობი,” 1911 წელი, 26 აგვისტო, № 10, გვ. 2.

ღია წერილი ბ. ულმობელს

ბ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შეკითხვას:

გაზეთ “კოლხიდის” № 117 ბ. ულმობელმა მოათავსა ყარიბის საპასუხო წერილი, რომელშიდაც სხვათა შორის სწერდა “გაიხსენეთ “ესდეკების” დეპუტატები როგორ წაიყრუებენ ხოლმე ყურს როდესაც სახელმწიფო სათათბიროში სამშობლო ენაზე ჩამოვარდება ლაპარაკი.” როგორც ამ ამონაწერიდან სჩანს ბ. ულმობელს სახეში ჰყავდა ქართველი დეპუტატები მე და ნ. ჩხეიძე. ამისთვის მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს წინადადება მივსცე



პატივცემულ ავტორს დაასახელოს თუნდაც ერთი შემთხვევა, როდესაც ჩვენ "წავიყრუეთ" მშობლიური ენის შესახებ, მასთან ბ. ყოლმობელს სრული უფლება აქვს ეს შემთხვევა ეძიოს როგორც სახელმწიფო სათათბიროს პლენუმის ანგარიშებში ისე კომისიის და პოდკომისიის ოქმებში. თუ ასეთი შემთხვევას თქვენ დაასახელებთ, მაშინ მე სრული ზნეობრივი და იურიდიული უფლება მეძლევა თქვენ საქციელს და სიტყვებს შესაფერისი სახელი ვუწოდო.

ევგენი გეგეჭკორი

გაზეთი "შინაური საქმეები," 1911 წელი, 25 სექტემბერი, № 30, გვ. 8–9.

რას გვწერენ? ფოთიდან

– მამაო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩვენს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ "შინაური საქმეებში".

8 ამა თვისას ღმრთისმშობლის შობის დღეს ქ. ფოთის ნ. ლოლუას ასულის პროფესიონალურ სკოლის სადმრთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი **გიორგი გეგეჭკორი**, სკოლის გამგე ნ. ლოლუა, მასწავლებელნი აგრაფინა კანდელაკი და სხვა მასწავლებლები სკოლის მოწაფე ქალიშვილებითურთ დილით ფოთიდან გავემგზავრენით ესკურსიით მოსალოცავად თეკლათის ღმრთისმშობლის დედათა მონასტერში. ამ დღეს ადგილობრივ მღვდლებთა შორის მწირველი იყო მღვდელი **გიორგი გეგეჭკორიც**. წირვაზედ მწყობრად ქართულად გალობდნენ მონასტრის დები და მათთან ჩვენი სკოლის მოწაფენიც. წირვის შემდეგ მღვდელმა **გიორგი გეგეჭკორმან** დღესასწაულის დროს შესაფერი სიტყვა წარმოთქვა და ბოლოს სავანის დებს მიულოცა მათთან სავანის გამგედ ახლად გამორჩეული დედა ნინოს იღუმენიას ხარისხზე აყვანა. ბოლოს სიტყვით მიმართა თვით პირად დედა იღუმენიას, მიულოცა მონასტრის გამგებლობა და იღუმენიას ხარისხზე აყვანა. უსურვა ტვირთმძიმე მოვალეობა მისი ღმრთის სახელით განამართლოს სათნოდ ღმრთისა და სასარგებლოდ ქრისტეს ეკლესიისა.

რადგან ადგილობრივ ორკლასიან სკოლის შეკეთება უკვე მოსწრებული იყო, ამისთვის ამ დღეს ნაწირევს სკოლის შენობაში ყველას თანდასწრებით სწავლის დასაწყისი პარაკლისი გარდახდილ იქმნა ადგილობრივი მღვდლის პეტრე ბაკურაძისაგან. აქაც მღვდელმა გიორგიმ თანახმად დედა იღუმენიასა თხოვნის ადგილობრივ მოწაფეთა ქალიშვილებს დამოძღვრებითი სიტყვით მიმართა და ყველა მოსწავლე და მასწავლებლებს

დაურიგა ნაკურთხი პატარა ხატები და ჯვრები ყელზე დასაკიდი. შემდეგომ დედა იღუმენია ნინომ, თვითონ დაგვარონია და გვაჩვენა ყველა ეკლესიის და მონასტრის შესანიშნავი სანახავები. შესანიშნავი სანახავია წმ. ძველი ათონიდან მოსვენებული დიდი ღმრთისმშობლის ხატი და ეკლესიის სიწმინდე მორთულობანი. აგრეთვე საუცხოო სანახავია წყაროს წყლის შორიდან მონასტერში ამოსატანი მანქანა და იქაურ მოსწავლე ქალიშვილებითა ხელოვნება: ნაქარგი, ნაქსოვი და ნაკერი ფეხსაცმლები. მონასტერს დიდი მშრომელი და მოღვაწე ხელი ეტყობა.

დედა იღუმენია ნინო ამზადებს ადგილობრივ შკოლის ეკლესიას საკურთხად. კანკელის და აღსავლის კარისთვის დახატული ხატები უკვე დამზადებული აქვს, მარა სხვები ჯერ-ჯერობით აკლია ახალ საკურთხ ეკლესიას. მონასტერს შესაფერი შემოსავალი ნივთიერ საშვალებით ეტყობა არა აქვს და ეს აფერხებს ცოტათი საქმეს. დედა იღუმენია და დანი მონასტრისანი ღმრთის სახელით და კეთილ მოსურნე და შემწე პირებთა იმედით გულს მაინც არ იტეხენ მონასტრის წინ წაწევის და გამშვენების შესახებ და დაუღალავად ზრუნავენ მონასტრის საკეთილდღეოდ. დიდს მადლობას ვსწირავთ დედა იღუმენია ნინოს და მონასტრის დებს ჩვენი მიღებისა და უზომო პატივისცემისათვის. ამ დღეს სადილის შემდეგ ოთხ საათზე დედათა მონასტრიდან ჩვენ ჩვენის მოწაფეებით წამოვედით მამა მღვდელმონაზონ ალექსი შუშანიასთან. აქ მისვლამაც დიდი ზნეობრივი გავლენა იქონია ჩვენზე. პირველად ეკლესიაში შევედით, რომლის საუცხოო სისუფთავემ გაგვაკვირვა.

მერე მამა გიორგის წინამძღოლობით მასწავლებლებმა ვინახულეთ თავის კელიაში მამა ალექსი. სწორეთ მოგახსენოთ მისმა ნახვამ და მასთან საუბრობამ სულიერად აღგვაფრთოვანა. მამა გიორგიმ სთხოვა მამა ალექსის ეკსკურსანტ მოწაფეთა ნახვა და მათი კურთხევა. მამა ალექსი სიხარულით გამოვიდა თავის კელიიდან ეკლესიის კარიბჭის წინ შეკრებილ მოწაფეებთან და ყველანი აკურთხა, დალოცა და დამოძღვრა შესაფერი სიტყვებით. აქვე ვინახულეთ მამა მღვდელმონაზონი დოროთე, მოწაფე მამა ალექსისა, ერობაში დიმიტრი ვაჭარავა, რომელმაც დაუტევა ვაჭრობა და სამკვიდრებელისაგან თვისისა აღაშენა აქ აგურის მშვენიერი ტაძარი და დღეს ისიც აქ მოღვაწეობს.

საღამოს ახალსენაკის სადგურიდან ყველა ექსკურსანტები ღმრთის მადლით მშვიდობით და დაუბრკოლებლად სულიერათ ნასიამოვნები ჩამოვედით ქ. ფოთში.

მასწავლებელი ა. ჭ.

## გაზეთი "ბათუმის გაზეთი," 1911 წელი, 20 ოქტომბერი, № 77, გვ. 4.

რუბრიკა: წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი პატივცემული "ბათუმის გაზეთის" მე-71 ნომერში მოთავსებულია წერილი ბ-ნი "ნაცანებელის," რომელიც მე ტყუილ უბრალოდ ცილსა მწამებს და მკითხველი საზოგადოებას შეცდომაში შეყავს. ბ-ნი "ნაცანებელი" სწერს ვითომც მე მუშებს კანტორაში წარსადგენ ჩეკს თავის დროზე არ ვაძლევდე. მასალების გადმოზიდვა, დაწყობა, ვაგონების დატვირთვა, ამ სამუშაოზედ არავითარი ნიხრი არ არსებობს და ისე ამუშავებს, როგორც მას სურს. მასალების გადმოზიდვა-დაწყობა აქ აქვს მინდობილი დღიურ მუდმივ მუშებს, რომლებიც დღეში 1 მან. 30 კაპ. ღებულობენ. ვაგონების დატვირთვა შეშით ღირს 2 მან. მასალით 6 მან. ამისი ფასები ყველა მუშებმა კარგათ იციან. რაც შეეხება ჩეკის მიცემას, ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ვინმე მუშას თავისი მინდობილი საქმე გაეთავებინოს და კანტორაში წარსადგენი ჩეკი მაშინათვე არ მიეღოს. ის მუშები, რომლებიც მინდობილ საქმეს განსაზღვრულ ვადაში ვერ გაათავებენ, ჩეკს მაშინ ღებულობენ როცა მინდობილ ნამუშევარს გაათავებენ. რაც შეეხება ფულის მიღებას მე არაფერს ვიტყვი და უმჯობესი კი იყო ბ-ნი "ნაცანებელი," თუ მან არ იცოდა, შეეკითხოდა რომელიმე მუშას თუ ფულს როგორ ნაღდათ ურიგებენ აქაურ მუშებს. ამისათვის ვიწვევ ბ-ნ "ნაცანებელს" სამედიატორო სამართალში და ვთხოვ დამიმტკიცოს ყველა ის ბრალდებები, რომელიც მან მოათავსა ჩემს შესახებ "ბათუმის გაზეთში."

ივანე გეგეჭკორი

## ჟურნალი "კლდე," 1913 წელი, 3 თებერვალი, № 6, გვ. 9-11.

აკაკი ქართულ საღამოზე პეტერბურგში

ვეებერთელა დარბაზი სათავად-აზნაურო კრებულისა ხალხით გაჭედილია. აი კარებთან გამოჩნდა ღმრთაებრივი სახე მადლიანი პოეტისა. ვერცხლის ძაფების ჯალამა ნაზათ ბიბინებს, გაბრწყინებულ სახეზე სიხარულის და აღელვების ციალი დასრიალობენ. მას გარს ახვევია ქულაჯებში გამოწყობილი, ქუჩუჩა თმიანი თანამემამულეთა გუნდი. მანდალინა შესწყდა. დარბაზმა უკან მოიხედა, ზეზე წამოიჭრა და ტაშმაც დაიგრიალა. პოეტის შეხვედრა ოვაციად გადაიქცა. ტაშის ცემის აკომპანიმენტით პოეტი პირველ რიგში მიაცილეს. ეს პოეტი გახლდათ აკაკი წერეთელი. მეტად ეფექტური და მეგრძნობიარე იყო ეს მომენტი.

მერმე ასეთი მომენტი იყო, როცა მოეწონა საზოგადოებას აგერეთვე მაკაროვი და

დოლონაძე, რომლებიც არა ერთხელ გამოიწვიეს და რამდენჯერმე გაამეორებინეს სხვადასხვა რაიონებში. ბოლოს გაიმართა ცეკვა — ლეკური, კინტოური, უზუნდარა. კავკასიური ცეკვა საზოგადოდ ძალიან მოსწონთ და რაღა თქმა უნდა ამ საღამოსაც მოეწონათ, მით უკეთეს, რომ წელს მოცეკვავეები საერთოდ კარგები იყვნენ, განსაკუთრებით ქალები.

საღამოს დამთავრების შემდეგ, როგორც შემოღებულია, გაიმართა ნადიმი. საკმაოდ დიდ ზალაში ჩამწკრივებული იყო პატარა სტოლები, რომლებთაც თავს დასტრიალებდნენ კელნერშებად ჩვენებური კურსისტები. მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ სტოლები არ ჰყოფნიდა. აი აქეთ, შუა ადგილას, ყველაზე უფრო საინტერესო სტოლია. სხედან: — პოეტი აკაკი, დეპუტატები: — ა. ჩხენკელი, მ. სკობელევი, ყოფილი დეპუტატი **გ. გეგეჭკორი**, პოეტის ვაჟი და ორიოდე კიდევ სხვა. ეს, ასე ვსთქვათ, იმავ დროს "პოლიტიკური" სტოლიცაა. სმენა და გაგონება — გაისმა ხმა. სტოლს ირგვლივ შემოეხვივნენ. ხალხი სმენად იქცა. ჭიქას იღებს დეპუტატი ჩხენკელი, რომლის საპასუხოთ პოეტი შემდეგს ამბობს: როცა მე და ჩემი ამხანაგები სამოქმედო ასპარეზზე გამოვედით მესამოცე წლებში, ისე ცოცხალი ვიყავით, რომ იძულებული შევიქენით ერთად გვევლო, ბავშვებივით ერთმანეთს ვებღაუჭებოდით და ეს იმიტომ, რომ ისედაც მცირე გუნდი კიდევ უფრო არ დაქუცმაცებულიყო. დღეს კი სხვა მდგომარეობაა. ჩვენ ერს წამოეზარდა ახალი თაობა და მისი რაოდენობა იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია წარმოდგენა, ამოდენა ხალხმა ერთად იაროს. ის უთუოდ უნდა დანაწილდეს და თვითეულმა თავის გზა აირჩიოს, მარა ყველა გზა ხომ რომში მიდის. ამ გზებზე სიარული ბოლოს და ბოლოს მაინც ერის სამსახურს მოასწავებს და მის განვითარებას ხელს უწყობს.

პოეტის სიტყვა ტაშის ცემამ დაჰფარა.

შემდეგი სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა სკობელევმა. როგორც იმ მხარის წარმომადგენელმა. რომლის საპასუხოთ პოეტმა სთქვა: მე დიდი სიამოვნება მაგრძნობინა თქვენმა სადღეგრძელომ. თქვენ ჭეშმარიტებას ბრძანებთ — ჩვენ მართლა რომ დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსის ერებთან. მართალია რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროთ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენა გვსურს ხელის-ხელ ჩაკიდებით სიარული, არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა.

დარბაზმა ტაშის ცემით დაიგრიალა.

აკაკის ამ სიტყვამ, რუსულად წარმოთქმულმა როგორც შინაარსით, ისე თავის პოეტური

ფორმით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ დროს მოვიდა სალამოში მონაწილე ცნობილი არტისტი მაკაროვი. გაუმარჯოს ქართველი ერის საყვარელს შვილს აკაკის — შემოსძახა მან სავსე ჭიქით და ზედ თავის ხავერდის ხმით ისეთი მრავალჟამიერი მიაყოლა, რომ დარბაზი ცაში ზანზარებდა.

მაკაროვის შემდეგ მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა რუსულად **ივანე გეგეჭკორმა**. მე ბედნიერი ვარ — ამბობს ის, რომ სწორედ აქ, რუსეთის სატახტო ქალაქში, ვადღეგრძელო ის, ვინც შეადგენს ჩვენი ერის სიამაყეს. თქვენი სიტყვა ერთა სოლიდარობაზე მით უფრო საგულისხმოა, რომ ის ითქვა აქ, რუსეთის ცენტრში. თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ იმ ერს, რომელმაც ასეთი დიდებული მგოსანი წარმოშვა, ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა; რომ ის შესძლებს თავისი წვლილი შეიტანოს საკაცობრიო კულტურის სალაროში და მით შესაფერი საპატიო ადგილი დაიჭიროს კაცობრიობის კრებულთა შორის. ჩვენ მტკიცედ და შეურყევლად გვწამს ჩვენი ერის მომავალი. მან ეს უკვე დაგვიმტკიცა ახლო წარსულში, როცა ის ასე მედგრად გამოვიდა ბრძოლის ველზე. ამ მომავლის დაახლოვება, უფრო ადვილად მიხწევა კი მას შეუძლია რუსეთის სხვა ერებთან მჭიდრო კავშირით. მაშ გაუმარჯოს ამ კავშირს.

ყოფილი დეპუტატის სიტყვას დასტური დასცა დამსწრეთა მხურვალე ტაშმა. **გეგეჭკორის** შემდეგ მოკლე სიტყვით მიმართა პოეტს არტისტმა დოლიძემ და შემოსძახა. მას ბანი და მოძახილი მიაყოლეს დამსწრეთ და ისეთი მრავალჟამიერი გაისმა, რომ ყველანი ექსტაზში მოვიდა. ტაშის ტემას დასასრული არ ჰქონდა.

ვახშამმა, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოეტის პატივსაცემ პატარა დღესასწაულად გადაიქცა, დილის ხუთ საათამდე გასტანა. ხუთ საათზე პოეტი ბინაზე გაემგზავრა და საზოგადოებაც დაიშალა. სალამოს დაესწრო დეპუტატი გელოვანიც.

„მერცხალი" № 23.

პეტერბურგი.

(ვბეჭდავთ სტილის შეუცვლელად და მხოლოდ ცოტაოდენი ორთოგრაფიის შესწორებით).

**გაზეთი „სახალხო გაზეთი," 1913 წელი, 14 აპრილი, № 968, გვ. 4.**

რუბრიკა: წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! აგარაკ აბასთუმანში, 2 აპრილს ავადმყოფ მგოსნის იროდიონ ევდოშვილის სასარგებლოდ გამართულ სალიტერატურო საღამოდან სულ შემოვიდა 140 მან. და ორი შაური. დაიხარჯა 30 მან. და 96 კაპ. დარჩა 109 მან. და 14 კაპ. გაახლებთ რა

ამ ფულს, გთხოვთ გადასცეთ ავადმყოფ მგოსანს.

ყოველმხრივ მადლობას მოვახსენებ იმ პირთ, რომელთაც დიდად შეიწყვეს ხელი სალამის გამართვაში. აქაური მოაგარაკე ქართველები წრფელ სალამს უძღვნიან მგოსან ევდოშვილს და უსურვებენ მალე განკურნებას.

ლადო გეგეჭკორი

## გაზეთი "თემი," 1913 წელი, 16 სექტემბერი, № 140, გვ. 4.

### ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

"ნაკადული" № 15 (მცირე წლოვანთათვის), ამ ნომერში სხვათა შორის, მოთავსებულია პატარა მასალა იროდიონ ევდოშვილის შესახებ. ეს მასალა მეტად საყურადღებოდ მიმაჩნია და ამიტომ მოვიყვან მას სრულად. "ჩემო პატარა მეგობარო! თქვენ ხშირად წაგიკითხავთ ამ პატარა ჟურნალში მგოსნის იროდიონ ევდოშვილის მიერ გრძნობით დაწერილი ლექსები და მშვენიერი საყმაწვილო მოთხრობები. ეს ჩვენი საყვარელი მგოსანი დღეს ავად არის და ამ ზაფხულს სექიმოდ სააგარაკო ადგილს ცემს (ამჟ. ბორჯომის მუნიციპალიტეტი) გაემგზავრა. ქართველმა საზოგადოებამ გაიგო მისი ავადმყოფობის ამბავი და ისიც, რომ მგოსანი სიღარიბეს, ხელმოკლეობას განიცდის, ამიტომ ყველა ეხმარება მგოსანს, ყველა შემწეობას აძლევს მას და უსურვებენ ავადმყოფობისგან მალე განთავისუფლებას. საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში გაიმართა და დღესაც იმართება მგოსნის სასარგებლოდ სალიტერატურო საღამოები. ერთი ასეთი ლიტერატურული საღამო ახალგაზრდა მგოსანმა **ლადო გეგეჭკორმა** ქართველ სტუდენტების დახმარებით გამართა 2 აგვისტოს აგარაკ აბასთუმანში (ამჟ. ადიგენის მუნიციპალიტეტი). სალიტერატურო საღამომ კარგად ჩაიარა. ხალხს ძალიან მოეწონა თქვენი ამხანაგის ათი წლის ვასიკო ჯიშვილის მიერ გრძნობით წაკითხული **ლადო გეგეჭკორის** ლექსი "სალამი," რომელიც ამ ნომრის თავშია დაბეჭდილი, უსურვეთ თქვენც პატარებო თქვენ კარგ მასწავლებელს და საყვარელ მგოსანს იროდიონ ევდოშვილს განკურნება, რათა მან კვლავაც ბევრი დასწეროს ლექსები და მოთხრობები. შეუთვალეთ სალამი, გაამხნევეთ! თქვენი მეგობარი ლეონარდო."



იროდიონ ევდოშვილის შესახებ, რომ მეტიც დაბეჭდილიყო და უფრო კარგადაც ჩვენ, რასაკვირველია, მადლობის მეტს არას ვეტყოდით, როგორც რედაქციას ისე ავტორსაც, მაგრამ ზემო ამონაწერს თუ დავუკვირდებით დავინახავთ, რომ ამავე დროს ეს ერთნაირი რეკლამაა

**ლადო გეგეჭკორისთვის**, სარეკლამო წერილებს მეტადრე საყმაწვილო ჟურნალში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, მით უფრო არ უნდა დაბეჭდილიყო ეს, რომ იგივე ლექსი **ლადო გეგეჭკორისა** დასტამბულია იმავე ნომერში.

ჩვენ დროში, როდესაც მწერლობა და პოეტობა ერთნაირ ავადმყოფობად გადაიქცა, მოსალოდნელია არა თუ ამ წესით "მგოსნის" სახელის მოხვეჭა, არამედ სხვა უფრო დაბალი ხარისხის საშუალებათა ხმარებაც კი.

რუ-ილ.

## ჟურნალი "ჭინჭარი," 1913 წელი, 24 ოქტომბერი, № 4, გვ. 8.

რუბრიკა: წერილი რედაქციას

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი ჟურნალის – "ჭინჭარის" საშუალებით ვინმე "ბუჯგუტი," ჩვენ ქვემორე ხელის მომწერთ შესახებ ძლიერ ცუდ ხმას ავრცელებს საზოგადოებაში; სრულებით დაუმსახურებლად სახელს გვიტეხს, რომლისათვის მას ეხება კანონი 1039 სტ. ძალით. გთხოვთ თქვენივე ჟურნალის საშუალებით დაგვისახელოთ – თუ ვინ არის ბუჯგუტი; წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნებით თქვენვე გამოგიწვიოთ სამართალში იმავე სტატიის ძალით. პატივისცემით: დეკანოზი კლემენტი ჭანტურია, მღვდელი იოანე ბობოხიძე, **მღვდელი გიორგი გეგეჭკორი.**

თქვენო მეუფებავ! "ბუჯგუტის" ვინაობას ვერ გაცნობებთ, რადგან რედაქციებს არა აქვთ კანონით საქმის გამოურკვევლად საჯაროდ გამოაცხადონ ავტორის ვინაობა. თუ სრულებით დაუმსახურებლად სახელს გიტეხავთ და ცუდ ხმებს ავრცელებს ჩვენი კორესპონდენტი თქვენს შესახებ, ეს ჩვენთვის დიდად სამწუხაროა და არც მოვეფერებით კორესპონდენტს, ხოლო ნუთუ თქვენ ის გაგიკეთებსთ სახელს საზოგადოების თვალში – რედაქტორი ან ავტორი ზემოხსენებული სტატიით დაისჯოს? ვფიქრობთ რომ არა. ამიტომ თუ მედიატორული წესით გაიმართლებთ თავს, ჩვენც ვალიარებთ თქვენს უდანაშაულობას და გავრისხავთ კორესპონდენტს, ხოლო თუ სუდს (სასამართლო) მიმართავთ, – როდესაც ავტორი ვერ წარმოადგენს თავის სიტყვების დასამტკიცებელ საბუთებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებს პასუხს რედაქტორის მაგიერ.

"ჭინჭარის" რედაქცია

## ჟურნალი "სასოფლო გაზეთი," 1914 წელი, 12 იანვარი, № 2, გვ. 15.

დამშეულთათვის შემოწირულება

პეტერბურგის (ამჟ. ქალაქი სანკტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია) სამოსამართლო

პალატის ნაფიც ვექილთა საბჭოს ათასი მანეთი შეუწირავს დასავლეთ საქართველოში დამშეულთა სასარგებლოთ. ეს ფული გამოეგზავნება ყოფილ დეპუტატს **ივანე გეგეჭკორს**.

### ჟურნალი "თეატრი და ცხოვრება," 1914 წელი, 5 ღვინობისთვე, № 31, გვ. 12.

დაიწვა ძველი – გაუმარჯოს ახალს!

დეპუტატი **ივანე გეგეჭკორი** დეპეშით სწერს "ახალ აზრს": "სტიქიურმა უბედურებამ მძიმე ლახვარი დასცა მშობლიურ თეატრს. ცეცხლმა გაანადგურა დიდი ხნის შრომის ნაყოფი. მაგრამ სასოწარკვეთილებას არ უნდა მივეცეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ხალხის ძლიერი აღფრთოვანება შესძლებს მის ხელახლა აღდგენას. ვსდებ ამ საქმისათვის ჩემს წვლილს – 25 მანეთს."

### ჟურნალი "თეატრი და ცხოვრება," 1915 წელი, 22 მარტი, № 12, გვ. 15.

რუბრიკა: ქართული სახიობა

დ. ზუგდიდში რამდენიმე კაცის მეთაურობით შესდგა დრამატული წრე ქართული წარმოდგენების სამართავად. ასეთი წრის დაარსება დიდი ხანია საჭირო იყო და დიდს სამსახურსაც გაუწევს საზოგადოებას, თუ თავის მოვალეობას ღირსეულად აასრულებს. მტკიცედ გვწამს, ეს პირნი, რომელთაც უკისრიათ ეს საპასუხისმგებლო საქმე, თავიანთ დანიშნულებას არ უმტყუნებენ და მკვიდრ ნიადაგს მოუპოვებენ ადგილობრივ ქართულ სცენას, ვუსურვებთ მხნეობასა და გამარჯვებას.

ძიკი გეგეჭკორი

### გაზეთი "სამშობლო," 1915 წელი, 3 მაისი, № 71, გვ. 3.

რუბრიკა: ახალი ამბავი

მესამე სახელმწიფო სათათბიროს წევრად ნამყოფმა **ივანე გეგეჭკორმა** სენაკისა და ზუგდიდის მაზრების დამშეულთა დამხმარე კომიტეტებს გაუგზავნა თითოს ათას-ათასი მანეთი. ეს ფული ბატონმა **გეგეჭკორმა** ამ მიზნისათვის მიიღო პეტროგრადის სატეხნიკო საზოგადოებიდან.

### ჟურნალი "თეატრი და ცხოვრება," 1916 წელი, ენკენისთვის 11, № 37, გვ. 12-13.

ხონის თეატრის მოკლე ისტორია (ათი წლის იუბილეს გამო)

ხონში პირველი წარმოდგენა გაუმართავთ 1865 წლის იანვრის 24-ში. უთამაშნიათ დ. ერისთავის პიესა "გაყრა". სხვა წყაროებიდან ვიცით, რომ აღნიშნული წლის შემდეგ

ხონში დიდი გამოშვებით მოუწყვიათ წარმოდგენები, ხოლო 1897 წლიდან წარმოდგენების მართვა მოუხშირებიათ. წარმოდგენებში მონაწილეობა მიუღიათ 10 პიროვნებას. მართალია ხსენებული წარმოდგენები ზემოთ დასახელებულ პირთ უმართიათ დიდი-გამოშვებით, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ამ წარმოდგენებმა ნიადაგი მოუმზადეს იმ ჯგუფს, რომელმაც მოქმედება დაიწყო ამ ათი წლის წინად.

1907 წელს რაჟდენ წივწივაძემ ააშენა თავის ხარჯით ხის თეატრი, რომელსაც მაშინ ზოგიერთები დაცინვით "ბალაგანს" ეძახდნენ. ამავე დროს თავი მოიყარა სცენის მოყვარეთა ჯგუფმა 18 კაცის შემადგენლობით, მათ შორის იყო **მაცრონა გეგეჭკორი.** ამათ თავიანთ შორის აირჩიეს გამგეობა, რომელმაც მოიწვია რეჟისორად ნიკო გვარაძე, რომელიც დიდი სიყვარულით მოეკიდა საქმეს. ის არა თუ რეჟისორობდა და თამაშობდა, არამედ აწყობდა სცენას, დაეძებდა სცენის მოყვარეთ და ყოველ მხრივ ხელს უწყობდა ახლად დაწყებულ საქმეს. პირველი წარმოდგენა ამ ჯგუფმა გამართა 1907 წლის 19 მაისს. წარმოადგინეს "ცხოვრების გმირი". ამ წარმოდგენის შემოსავალი იყო 33 მანეთი და 90 კაპიკი.

საქმის დაწყების შემდეგ სცენის მოყვარეთა ჯგუფი გადიდდა, დამხმარე წევრთა რიცხვიც გამრავლდა. მოემატნენ 31 ადამიანი, უმეტესობა ზემო ჩამოთვლილ პირებისა დღემდის თავს დასტრიალებენ ჩვენს თეატრს და მის აყვავებას სწირავენ დროს და ენერგიას. ამათში არიან ისეთნიც, რომელნიც ყოველ წლივ მუშაობენ დღიდან თეატრის დაარსებისა. ხსენებულ ჯგუფს გაუმართავს სულ 135 წარმოდგენა, შემოსავალი ჰქონია 6450 მანეთი. ხონში ამ ჯგუფს მოუწვევია თითქმის ყველა, ჩვენში ცნობილნი მსახიობნი, ზოგნი რეჟისორად, ზოგნი მსახიობად.

წლევანდელ მეათე სეზონს ხელმძღვანელობდა ახლად დაარსებული დროებითი საზოგადოების გამგეობა. დღიდან ხონის თეატრის სვე-ბედი დროებითი საზოგადოების ხელშია. ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოების გამგეობა ენერგიულად განაგრძობს მუშაობას და მოახერხებს სახალხო სახლის საძირკვლის ჩაყრას მაინც, რომლის საჭიროებას მეტად მწვავედ გრძნობს ყველა ხონელი.

ილია რუხაძე

**გაზეთი "სახალხო ფურცელი," 1917 წელი, 13 იანვარი, № 770, გვ. 4.**

რუბრიკა: წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ: ა) **ეკატერინე** ნიკოლოზის ასულს **გეგეჭკორისას**, რომელმაც გასული წლის სექტემბერში, ჩემი შკოლის თანამგრძნობთა დახმარებით, გამართა ლატარია-

ალლეგრი და შკოლამ მიიღო არაჩვეულებრივი შემოსავალი; ამასთან თავისი ხარჯით მოეწყო შკოლაში ელექტრონის განათება, ორასი მანეთის ღირებული და ძალიან მზადაა შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს შკოლის გაუმჯობესებას. ბ) მამა **გიორგი გეგეჭკორს**, რომელმაც შემოსწირა შკოლას სახელმძღვანელო წიგნები და რომელიც ჩვენთან ერთად ძალიან დაუღალავად შრომას ეწევა ჩვენი შკოლის საკეთილდღეოდ. გ) ვალენტინა თავად ბესარიონ ჩიჩუას ასულს, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ასწავლა ჩვენს მოწაფეებს ქართული ენა. დ) თავად მ. ჩიჩუასა ანჩაბაძის ასულს, რომელმაც შკოლას შემოსწირა ათი მანეთი. ე) ზინა ზაქარიას ძეს კალანდარიშვილს, რომელმაც შემოსწირა ათი მანეთი. ვ) ნიკოლოზ ივანეს ძე როსტომაშვილს, რომელმაც უსასყიდლოდ მოუწყო შკოლის შენობას ელექტრონის განათება.
ფოთის პროფესიონალური ქალთა კერძო სასწავლებლის გამგე ნოციო ბახვა ლოლუას ასული.

**გაზეთი "სახალხო ფურცელი," 1917 წელი, 6 ივნისი, № 881, გვ. 4.**

რუბრიკა: წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომლებმაც თანაგრძნობა გამოიცხადეს და ჩვენდამი რწმუნებულ ჩვენი სამზრუნველო ქ. ფოთის ნ. ლოლუას პროფესიონალურ საქალებო შკოლის სასარგებლოდ შემოსწირეს ფული: სხვებთან ერთად **ეკატერინე გეგეჭკორისამ** 50 მანეთი, **გრიშა გეგეჭკორმა** მეუღლით 45 მან. **ლადო გეგეჭკორმა** 10 მან. **ე. გეგეჭკორმა** 5 მან. სულ 246 მან. ამ ფულით ელექტრონის განათება მოვაწყეთ შკოლაში მომუშავე შეგირდებისთვის, რისთვისაც ჩვენთან ერთად გამგე შკოლისა ნ. ლოლუაც ყველა შემომწირველთ უგულითადეს მადლობას მიუძღვნის.

მზრუნველი ფოთის პროფესიონალურ შკოლისა **ე. გეგეჭკორისა**

**ჟურნალი "განათლება," 1917 წელი, ივნისი-ენკენისთვე, № 6-7, გვ. 354-356.**

მისი უწმინდესობა საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსი კირიონ მეორე

(ბიოგრაფიული ცნობები)

პატრიარქ-კათალიკოსი კირიონი (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი), დაიბადა 10 გიორგობისთვეს 1855 წელს, ქ. ტფილისში. ტფილისის სასულიერო სემინარია პირველ მოწაფედ გაათავა 1876 წელს, კიევის (ამჟ. უკრაინის დედაქალაქი) სასულიერო აკადემია ღმრთის მეცნიერების კანდიდატის ხარისხით 1880 წელს დაასრულა. მარიამობისთვის 1880 წელს გიორგი საძაგლიშვილს ოდესის (ამჟ. უკრაინა) სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ



ეზავნიან. 1883 წელს სამშობლოში დაბრუნდა და თელავის სასულიერო სასწავლებელში დაინიშნა. ამის გარდა მსახურობდა გორისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლებში და შემდეგ ტფილისის სასულიერო ქალთა საეპარქიო სასწავლებელში. ცოლშვილის სიკვდილის შემდეგ 1896 წელს აღიკვეცა ბერად და ჩაიბარა ქვაბთა-ხევის მონასტრის წინამძღვრობა. 1898 წელს აკურთხეს ეპისკოპოსად ალავერდის კათედრაზე. 1901 წელს ეპისკოპოსი კირიონი გორის ეპისკოპოსად დაინიშნა.

ცხოვრებაში გამოსვლიდანვე კირიონი თავის ძალღონეს ანდომებდა სამშობლო ეკლესიის წარსულის კვლევა-ძიებას და ზრუნავდა მის აყვავებისათვის. 1901 წლიდან იწყება ეპისკოპოს კირიონის არაჩვეულებრივი დევნა რუსის სასულიერო მთავრობის მიერ, ადგილიდან ადგილზე გადაყვანა და შევიწროება. ეპისკოპოსი კირიონი 1904 წელს ორიოლის (რუსეთის ფედერაცია) ეპარქიაში გადაყავთ, 1906 წელს სოხუმის ეპარქიაში, ხოლო 1907 წლის 27 იანვარს, კოვნოს (ამჟ. ქალაქი კაუნასი, ლიტვა) ეპარქიაში გადაჰყავთ საიდანაც ზამთარში 1908 წელს სულ მთლად დაითხოვეს უეპარქიოთ; აქედან ეპისკოპოსი კირიონის ნამდვილი წამება იწყება. უკანასკნელ ქართველ კათოლიკოზ ანტონ მეორის შემდეგ წამების ჯვარი, ეპისკოპოს კირიონს ხვდა. სიცივე, შიმშილი, მონასტრიდან მონასტერში დევნა, უდაბნოში ცხოვრება, ყოველ წამს სიკვდილის მოლოდინში ყოფნა – აი ეპისკოპოს კირიონის ცხოვრების შინაარსი.

პირველად უადგილოდ დატოვებული ეპისკოპოსი ჟანდარმების თანხლებით კურიაჟის (ხარკოვის გუბერნია. ამჟ. დერგაჩოვის რაიონი, ხარკოვის ოლქში, უკრაინა) მონასტერში გაგზავნეს. აქ ათი თვე არც გააჩერეს, ისე სინოდისაგან ბრძანება მოუვიდათ – სანაქსარის (ტამბოვის გუბერნია. ამჟ. ტემნიკოვის რაიონი, რესპუბლიკა მორდოვია, რუსეთის ფედერაცია) უდაბნოში გადაიყვანეთო. იანვარში ავადმყოფი ეპისკოპოსი ჟანდარმებით მოსკოვის (რუსეთის ფედერაცია) გზით სანაქსარის უდაბნოში მიიყვანეს, სადაც ცივ ნოტიო ოთახში მოათავსეს და გადაცმული პოლიციელნი მიუჩინეს თვალყურის მადევნებლად.

რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობას კირიონი ნიშანში ჰყავდა ამოღებული და არავითარ ცილისწამებას არ ერიდებოდა მის დასაღუპავად და საქართველოს ეგზარხოსის ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობაც კი დასწამეს. ამგვარმა ცილისწამებამ, როგორც საქართველო, აგრეთვე დემოკრატიული ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა აღაშფოთა, რომელსაც ამ ცილისწამების შესახებ პრესის წარმომადგენელნი **ევგენი გეგეჭკორი** (მაშინ ის

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად იყო) შეეკითხნენ, მან უპასუხა: "ეს ველური და შეუსაბამო ბრალდებაა. ბრწყინვალე პიროვნება ეპისკოპოს კირიონისა მის მტერთ მოსვენებას არ აძლევს, მის სახელს რომ ჩირქი მოსცხონ, საშუალებას არ ზოგვენ; ეპისკოპოსი კირიონი ქართველ საზოგადოებაში თვალსაჩინო პიროვნებაა, ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანია ავტოკეფალიისათვის, რასაც სინოდში გაბედულად იცავდა. ყველა ამას მთავრობა ვერ დასთმობდა და დევნა გამოუცხადა"... ამ დევნამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო რომ ბელგიიდან "ადამიანის უფლების დაცვის ლიგის" თავმჯდომარემ, დეპუტატმა ჟორჟ ლორანსმა ბრიუსელიდან 10 მარტს, 1909 წელს ყოფილ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვს სთხოვა დაეცვა ეპისკოპოს კირიონის პიროვნება წამებისაგან, მაგრამ ვერც საზღვარ-გარეთის და ვერც შინაურმა გამოსარჩლებამ ვერ შეუმსუბუქა ეპისკოპოს კირიონს ტანჯვა. დეკანოზ ი. ვოსტორგოვის სიტყვები: "ეპისკოპოს კირიონს ჩავახრჩობ და მთელ საქართველოს სისხლით მოვრწყავთ" (გაზეთი "რეჩი" № 42, 15 მარტი, 1908 წელი) რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობას უნდოდა სისრულეში მოეყვანა.

სანაქსარის უდაბნოშიც დიდხანს არ დასტოვეს და ხერსონესის (ყ. ხერსონესი (გაგარინის რაიონის ადმინისტრაციული ტერიტორია ქ. სევასტოპოლში) ყირიმი, უკრაინა), მონასტერში გადაზავნეს. სადაც 1915 წლამდე დაჰყო.

უკულმართმა პირობებმა, დევნა წამებამ ეპისკოპოსის კირიონს ენერგია ვერ გასტეხა, სამშობლოს სიყვარულს გულში ატარებდა და სამშობლოს მოწყვეტილმა მეცნიერულ კვლევა ძიებას მიჰყო ხელი. ამ ხნის განმავლობაში ეპისკოპოსმა კირიონმა კაპიტალური წიგნი დაწერა: "Культурная роль Иверіи вь исторіи Руси." ამ წიგნის გარდა მრავალი ნაშრომი აქვს მწყემსმთავარს, რომელთა გამო ისტორიის მკვლევართა შორის კირიონს მეცნიერ-არქეოლოგის სახელი აქვს მოხვეჭილი.

1915 წელს ეპისკოპოს კირიონს ეპარქიის მმართველობის უფლება დაუბრუნეს და პოლოცკის და ვიტებსკის (ამჟ. ქალაქები ბელორუსიაში) ეპარქია ჩააბარეს, სადაც ამ უკანასკნელს თვემდე მსახურებდა. მაგრამ სამშობლოს ნახვის ნებას მაინც არ აძლევდნენ. ეპისკოპოს კირიონის განთავისუფლებას აღტაცებით შეხვდა როგორც საქართველო, აგრეთვე რუსეთის სატახტო პრესაც, სადაც მას საქართველოს ეკლესიისათვის წამებულ ეპისკოპოსად და არქეოლოგ მწიგნობრად იხსენიებდნენ.

ეპისკოპოსი კირიონი უხვ ქველმოქმედთაგანადაც ითვლება. მისი დახმარებით მრავალ ქართველ ყმაწვილს მიუღია უმაღლესი სწავლა, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. ბევრსაც დახმარებია ისე. ძნელად მოიპოვება ისეთი ქართველი კულტურული, თუ საქველმოქმედო საზოგადოება, რომლისთვისაც ეპისკოპოს კირიონს უხვად არ შეეწიოს

ფული.

მრავალი წლობით შეძენილი ნუმიზმატიკური კოლექცია და წიგნთსაცავი ეპისკოპოსმა კირიონმა ქართველთ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწირა, რაც ჩვენის მუზეუმის მშვენებას შეადგენს. მრავალი კეთილი და მამულიშვილური ღვაწლი მიუძღვის კათალიკოს კირიონს. ყოველისავე ჩამოთვლა მოკლე ბიოგრაფიულ ცნობაში შეუძლებელია.

კირიონმა მთელი თავისი სიცოცხლე საქმით თუ სიტყვით სამშობლოს შესწირა და დღემდის მისთვის იღწვოდაც არ უღალატნია.

მოხუცი, მაგრამ ენერგიით სავსე კათალიკოსი კირიონი, დღესაც მზად არის შესწიროს თავი სამშობლოს ბედნიერებას.

(ჩვენი ქვეყანა)

გაზეთი "სახალხო საქმე," 1917 წელი, 4 ოქტომბერი, № 67, გვ. 3.

ცეცხლის განელება.

რევოლუციის პირველ ხანებს, თავისუფლების გამოცხადებას, ხალხი აღტაცებით შეხვდა: დიდი და პატარა, კაცი და ქალი, მუშა, გლეხი, ინტელიგენტი, თავადი თუ აზნაური, ჩარჩი, ვაჭარი, მდიდარი, ღარიბი, ყველა ჩაება საერთო ფერხულში; ყველამ დაინაწილა საერთო სიხარული და აღტაცება, უკუაგდო პირად საქმეებზე ზრუნვა და იგი საქვეყნოზე გადაიტანა მსხვერპლად. ყველა გარდაიქმნა, გადასხვაფერდა.

სასიცოცხლო ნიშან-წყალ მოკლებულ ინტელიგენციას უნარი მიეცა მუშაობისა, აღტყინდა, ფრთა შეისხა და ინტენსიურ მუშაობას ჩაავლო ხელი; ბევრი ცეცხლეული სიტყვა წარმოითქვა. გლეხობა და მუშები, მთელი არმია საბედნიერო მომავლის მოლოდინში დარაჯად დაუდგა რევოლუციით მოპოვებულ უფლებებს. პურისა და ზავის მოლოდინში ყველა, როგორც ერთი კაცი, ისე დადგა, დაირაზმა, ძალი მოიცა, შეიშმუშნა!

ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა, თანაუგრძნეს რევოლუციას, სათავეში მოექცნენ სახალხო საქმეს მათ ძველი მთავრობის დამხობა იდღესასწაულეს, რადგან იმაში ჰპოვებდნენ მიზეზს რუსეთის ამ მსოფლიო ომში დამარცხებისას. ისინი არამც და არამც არ მოელოდნენ, თუ მათი აზრით, – "უბრალო" პოლიტიკური აქტი, ასეთ გრანდიოზულ ხასიათს მიიღებდა, რევოლუცია ასე გაღრმავდებოდა, მასა გულ-მხურვალე მონაწილეობას მიიღებდა, – და კიდევაც რამოდენიმე ხნის შემდეგ, თავი რომ თავის ადგილას ვერ იგრძნეს, სამოღვაწეო ასპარეზი დატოვეს.

სოციალისტებმა რევოლუცია თავისად გამოიყენეს. იმ თავითვე ფართო თავისუფლება

გამოაცხადეს. პოლიტიკური მოთხოვნილება ხალხისა ნახევრად დააკმაყოფილეს: ამნისტია, სიკვდილით დასჯის მოსპობა და სხვა. მიმართეს აგრეთვე გერმანიის პროლეტარიატს მოწოდებით ზავის დასამყარებლად მაგრამ, რა წამს ეს წინადადება უკუგდებულ იქმნა, სეტევით პოლიტიკას დაადგნენ.

პირველი შეცდომა ეს იყო, მაგრამ ამაზე უფრო გაცილებით დიდი შეცდომა, რომელიც ახალი მთავრობის მოქმედებას თან სდევდა იმ თავითვე იყო ერთი ის, რომ ეროვნებათა სრული თავისუფლება არ იქნა გამოცხადებული. და მეორე, არ ნაკლებ მნიშვნელოვანი ორჭოფული დამოკიდებულება ბურჟუაზიულ ელემენტებთან. ამან და გავლენიან პარტიებში მომხდარმა აზრთა სხვა-და-სხვაობამ და განხეთქილებამ შეიტანა რევოლუციონერულ დემოკრატიაში არევ დარევა და მხედრობაში ინდიფერენტიზმი. რომელიც გამოიხატა 3 და 4 ივლისის შეიარაღებულ გამოსვლაში, ჯარის უკან დახევაში, ფრონტის გარღვევაში.

პურის და ზავის მომლოდინე არმია და დემოკრატია შეტევას და სიმშვიდის გადაეღობა წინ და ადვილი ასახსნელია ამის შემდეგ, თუ რად წამოჰყო თავი იმავ ბურჟუაზიამ "რევოლუციის პირველი ჯარის კაცის" წინამძღოლობით, რომელსაც რევოლუციის უკან დაბრუნება სწადდა და რომელიც საამისო ნიადაგს უკვე მომზადებულად სთვლიდა.

მაგრამ წარსული იმედ გაცრუილში დემოკრატიამ მაინც კიდევ ენერგიულად დაიცვა რევოლუციის უფლებები, კიდევ ერთხელ იშიშვლა ხმალი, ნათლად გამოსთქვა მთელი ძალა უფლების ხელში ჩაგდების სურვილი. ხოლო დღეს ისევ-ისე ძველებურ სურათს ვხედავთ. დღეს დემოკრატიის წარმომადგენელთა თათბირი ბურჟუაზიას ეპატიჟება მზად გაშლილ სუფრაზე. ამიტომ თუ პირველ დემოკრატიას, ვითა ლომი, დაეტაკა და გასთელა, მეორეს, რომელიც, თუ საქმის ვითარება არ შეიცვალა, ადვილი მოსალოდნელია გამოჩნდეს, შეიძლება დემოკრატია პასიურად შეხვდეს.

რევოლუცია ზევიდან დაიწყო და, როგორც უკვე მიღებული ფაქტი, ისე გადაეცა ფართო დემოკრატიას, რომელმაც იგი გაზარდა, გააღრმავა, გააძლიერა და დარაჯად დაუდგა. მაგრამ, როდესაც მთავრობის მარჯვნით გადახრა შეამჩნია, პურისა და ზავის ნაცვლად თითქმის ვერეფერი მიიღო, გარდა უბრალო პოლიტიკური თავისუფლებისა, სრული ეროვნული თავისუფლების ნაცვლად დევნა და შევიწროება განიცადა და რაც უმთავრესია, სიკვდილით დასჯა, ეს ბარბაროსული დროის ინსტიტუტი, კვალ იქმნა აღდგენილი, — აქტივობა პასივობად შეეცვალა და უკმაყოფილოდ ხელები ჩაიქნია.

დღეს ისევ ზევიდან იწყება მუშაობა. რევოლუციის სადავე ხალხს არ უჭირავს ხელში. იგი მას გამოსტაცეს და ბურჟუაზიულ ელემენტებს სთავაზობენ. ეს გარემოება კონტრ-რევოლუციას ნიადაგს განუმზადებს და ამ ხელად კი ადვილი მოსალოდნელია, რომ

დემოკრატია რევოლუციას არ გამოექომაგოს, რადგან მოიღალა ლოდინით, გულის გამაწყალებელი ლოდინით. პური და ზავი, აი რა სურს დემოკრატიის უმრავლესობას და რადგან ვერც ერთს და ვერც მეორეს დროით ვერ ღებულობს, რევოლუციონური ცეცხლიც გაუნელდა. ვერ ვამჩნევთ წინანდელ გატაცებას თვით მოწინავეთა შორისაც — ნი. მუშებში და გლეხებში პასივობა ინდიფერენტიზმი მაგრად იკიდებს ფეხს. გაიარეთ სოფლად, ჩაიხედეთ გლეხების გულში, დაუახლოვდით მათ, გაითვალისწინეთ მათი სადღეისო მოთხოვნილებები საერთო არევ-დარევის და ომის გამოისობით გამოწვეული, ანდა გადით ქალაქის ქუჩებში, ჩასწვდით მუშების ნაღვლიან სახის შინაარს, გაეცანით მათ ოჯახის გარემოებას კაცის დამამცირებელ სიმშილ-წყურვილით გამოწვეულს და ყოველივე ზემოდ გამოთქმულ აზრს სავსებით გაიზიარებთ.

ეხლა მხოლოდ ისინი-ღა შერჩენ რევოლუციას ნამდვილ დარაჯად, რომელნიც წინადაც, თავიდანვე მის გასამარჯვებლად ციხეს, სიცივეს, სიმშილს, წყურვილს და კატორღას არ უშინდებოდნენ. ეს მწარე სინამდვილეა! ამიტომ, თუ არ გვსურს მთლად ჩაქრობა რევოლუციონურ განელებულ ცეცხლისა, სინამდვილეს ღია თვალით უნდა შევხედოთ. საჭიროა: ორჭოფულ პოლიტიკის უკუგდება, რადიკალური ცვლილებების განხორციელება, დამფუძნებელ კრების სასწრაფოდ მოწვევა, რათა სახელმწიფოს გარკვეული სახე მიეცეს, სიკვდილით დასჯის მოსპობა, ეროვნებათა სრული განთავისუფლება ფართო ავტონომიის მინიჭებით და რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის ფედერაციულად მოწყობა.

ყოველივე ეს საჭირო საქმეა, რადგან რევოლუციონური ცეცხლი ნელდება და შეიძლება მალე კიდევაც ჩაქრეს!

ლადო გეგეჭკორი.

გაზეთი "სახალხო საქმე," 1917 წელი, 21 ოქტომბერი, № 82, გვ. 3.

ყოველ თვე

რუსეთის ბიუროკრატიულ წესწყობილების დამხობა-დაქცევაში უმთავრესი როლი ითამაშა ომმა და იმის მიერ გამოწვეულმა სხვადასხვა გარემოებამ. ომმა გამოაშკარავა და საქვეყნოდ გამოიტანა სიდუხჭირე, ფუქსავატობა და მეტის-მეტად მწვავე ბიუროკრატიზმი ძველი მთავრობისა, რომელმაც თანდათანობით უზარმაზარი რუსეთის სახელმწიფო დაღუპვის კარამდე მიიყვანა. ავსტრია-გერმანიის ფრონტზე სისტემატიურმა დამარცხებამ, ოსმალეთის ფრონტზე მძინვარე გამუდმებულმა შიმშილმა, ღალატმა და მრავალ სხვა მიზეზებისა გამო გამოწვეულ არეულობამ თვით უკიდურეს მონარქისტ-ბიუროკრატთა სქელკანიანი შუბლიც

ნი გააბრაზა და აწინდელი ცხოვრების – მართვა-გამგეობისა, გარდაცვლა, გადასხვაფერების საჭიროება შეუშხაპუნა.

უკიდურესი მემარჯვენე, "კაცი-ჭამია" პოლიტიკით გაჟღენთილი და ებრაელთა პოგრომების მრავალჯერ მომწყობ-ხელმძღვანელი ებრაელ ჯარისკაცებს გადაეხვია და შეჰყვირა "გაუმარჯოს ებრაელებსო". მანვე მონაწილეობა მიიღო და კარგად ჩაატარა მკვლელობა რუსეთის წესწყობილების აუტანელ სიმყრალისა, რაიცა რევოლუციის რამოდენიმე თვით წინ მოხდა და რომლის ფარული ზრახვა-მოღვაწეობის გამოაშკარავებამ დააჩქარა რევოლუცია და კიდევ ერთხელ ნათელჰყო თვით მონარქისტების, მეფის უზომო მოერთგულეთათვის, არსებულ წესწყობილების გარდაქმნის საჭიროება.

რომელსაც სახელმწიფო სათათბიროს ბურჟუაზიულმა წევრებმა უარი მიიღეს მეფისაგან პასუხისმგებელ სამინისტროს შედგენაზე, რომელზედაც ამყარებდნენ მომავალში ხსნის იმედებს, აიძულეს მეფე ტახტზე ხელი აეღო და ძმისთვის გადაეცა. მაგრამ რა წამს ეს ყოველივე იგრძნეს რევოლუციონერ ინტელიგენტებმა და გაწვრთნილმა დემოკრატიამ, ჯარისკაცად დარაზმულმა, წესწყობილების სადავეს ხელი ჩაშჭიდეს და თავისკენ გადახარეს; და, იმ თავითვე შეუდგნენ ძალა-უფლების თავისად შენარჩუნებას.

ახალმა მთავრობამ მალამო ვერ დასდო ხალხის ტკივილებს. პრაქტიკულ გადადგმის მაგივრად და დემოკრატიის რეალურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ნაცვლად, მან დეკლარაციებისა და მოწოდებების წერას მოანდომა მთელი ენერგია და დრო. ხალხი ზავს მოელოდა, ხოლო მთავრობა შეტევითი პოლიტიკას აწარმოებდა: "ომით მშვიდობიანობამდე". ხალხი შიმშილს განიცდიდა, ხოლო მთავრობა ამ დროს ომის უკეთ წარმოების საჭიროებისათვის ზრუნავდა და თუ რამ სურსათ-სანოვაგე გააჩნდა, სულ ომსა და ომიანობას უძღვნიდა. დიდ შეცდომად უნდა ჩაეთვალოს რევოლუციონურ მთავრობას ძალა-ენერგიის გარება, ორი კურდღლის დაჭერისაკენ ლტოლვა: რევოლუციის გაღრმავება-განმტკიცების ღრმა სურვილი და ომის წარმოება. მთავრობას ამ საქმეში ორჭოფობა გამოაჩნდა. ან ომი, ან რევოლუცია; ორივე ერთად, მით უფრო რუსეთში, სადაც რკინის გზის სიქესატეს განიცდიან და სურსათ-სანოვაგე ვერ გადაუზიდავ-გადმოუზიდავთ, წარმოუდგენელია; ყოველ შემთხვევაში ამას ვერ შესძლებს დღევანდელი სუსტი, ორად დაყოფილი, ერთი-მეორეს მოქიშპე მთავრობა.



მარტოდენ დეკლარაციების წერამ და მთავრობის მიერ პოლიტიკურ სწორ ალღოს გამოუძებნელობამ გამოიწვია პეტროგრადის (ამჟ. სანკ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია) პროლეტარიატის 3 და 4 ივლისის გამოსვლებში. ამ უკანასკნელმა კიდევ თავის მხრივ გზა გაუხსნა ტარნოპოლთან (ამჟ. ტერნოპოლი, ქალაქი დასავლეთ უკრაინაში) გერმანელთა დარაზმულ ჯარს, რამაც ისედაც განსაცდელში ჩავარდნილი რუსეთი უფრო უარეს მდგომარეობაში ჩააგდო და კონტრ-რევოლუციონერთა ქვეყნის სურვილებს ფრთა შეასხა. მთავრობამ კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოსასვლელ მოსკოვის (რუსეთის ფედერაცია) თათბირის მოწვევაში დაინახა; მაგრამ 12 აგვისტოს მოსკოვის თათბირმა, სადაც წარსდგა რუსეთის ყველა წრისა და ჯარის ხალხის წარმომადგენელი უფრო უარესი სურათი გადაიშალა, რამაც სულ მცირედი ხნის შემდეგ გამოიწვია კონტრ-რევოლუციონერთა გამოლაშქრება "რევოლუციონერ ჯარის კაცის" მეთაურობით, რომლის ხმალს ისევ-ისე დემოკრატიამ წვერი გადაუტეხა და მიწაში ჩაფლო.

სირცხვილეულმა დამარცხებამ კადეტი მინისტრების სამინისტროდან გასვლა გამოიწვია. დემოკრატიის უმრავლესობამ წმინდა წყლის დემოკრატიულ მთავრობის შედგენა მოისურვა და საუმჯობესოდ დაინახა. საქმე კიდევ უფრო გამწვავდა და ამ ხელად დემოკრატიულ თათბირის მოწვევაში დაინახეს გამოსავალი. სწორედ ერთი თვის შემდეგ 14 სექტემბერს კვლავ თათბირი მოეწყო პეტროგრადში და იყო არა საყოველთაო მთელი რუსეთისა, არამედ მისი დემოკრატიისა. ამ თათბირმა არსებითად არაფერი შეცვალა. ისევ სიტყვები, ისევ დეკლარაციები და ისევ-ისე კოალიციური მთავრობა, რომელიც ხალხის ფართო სურვილებს ვერ დააკმაყოფილებს და ალბათ თავის წინაპრებსავით უდღეური გამოდგება. როგორი იქნება იგი? ხან ასეთი ხან ისეთი. ანუ რომ "ყოველ თვეო მანასეო, ხან ასეო, ხან ისეო"! ეხლა კიდევ დამფუძნებელ კრებისთვის ემზადებიან, რომელიც ნოემბრის დამლევს შეიკრიბება და რომელმაც, ვეჭვობ, გამოხატოს სავსებით ხალხის და სხვადასხვა ეროვნებათა მისწრაფება – სურვილები.

ამ უთავბოლო თავის მცვრევალ რევოლუციონურ მთავრობას იმ თავითვე აცდენდა, რომ იგი სხვა გვარ პოლიტიკურ გეზს დასდგომოდა. მთავრობას იმ თავითვე უნდა დაეგმო იმპერიალიზმი; ჯარის ნაციონალიზაცია, რომელიც ძლივს ეხლა იქმნა ნება დართული, ადრევე უნდა გამოეცხადებულიყო და რაც მთავარია, რუსეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებებს უნდა მინიჭებოდათ სრული პოლიტიკური თავისუფლებები. აბა, მაშინ ნახავდნენ, წამოპყოფდა თუ არა თავს და საჭირო იქნებოდა არა ყოველ თვიური თათბირები, მოარულ სენად გადაიქცეოდა თუ არა დეზერტირობა და გამეფდებოდა თუ არა ანარქია, რომელსაც ეხლა

სხვადასხვა ქალაქებში დარბევა-აწიოკების და არეულობის სახით ვამჩნევთ.

დღესაც საჭიროა რევოლუციონერმა მთავრობამ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, თუ სურს მთავრობას რუსეთში კვლავ არ სუფევდეს ანარქია და სახელმწიფოს გარკვეული წესწყობილების სახე მიეცეს, საჭიროა, მანამ მთელი რუსეთის დამფუძნებელი კრება იქნებოდეს მოწვეული, მოწვეულ იქმნეს სხვადასხვა ეროვნებების ადგილობრივი დამფუძნებელი კრებები, რომელნიც ფართო დემოკრატიის სურვილებს დააკმაყოფილებენ, გაეცნობიან და შემდეგ წარსდგებიან საერთო დამფუძნებელ კრებაზე. თორემ უამისოდ, ადვილად შეიძლება, დამფუძნებელი კრება ხალხმა ისევ დაშალოს და ყოველ თვიურ თათბირებს ვერ ავცდეთ, რადგან ხსნა რუსეთისა მხოლოდ და მხოლოდ ეროვნებათა თავისუფლება ფედერაციულ რესპუბლიკაა.

ლადო გეგეჭკორი

### გაზეთი "ერთობა," 1918 წელი, 3 იანვარი, № 1, გვ. 1.

ღრმათ დამწუხრებული დედა ალათი, მეუღლე ნინა, ძმა ვასილი, რძალი ნადია და ეფროსინე, სიძე დომენტი რევია, ბიძაშვილები **ალათი და გიორგი გეგეჭკორები** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 30 დეკემბერს სადგურ მცხეთაში გარდაიცვალა **ელიზბარი** სიმონის ძე **გეგეჭკორი.** პანაშვიდი ყოველ დღე 6 საათზე. გამოსვენება ხუთშაბათს, 4 იანვარს, ბინიდან მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში. დაკრძალვა მოხდება წირვის შემდეგ მცხეთის სასაფლაოზე.

### გაზეთი "ერთობა," 1918 წელი, 18 იანვარი, № 13, გვ. 2.

საზავო მოლაპარაკება

ამიერ კავკასიის კომისარიატმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა არზრუმში (ერზერუმი, თეოდოსიოპოლი (ძვ. ქართულ წყაროებში კარნუ-ქალაქი). ამჟ. თურქეთის რესპუბლიკა), კავკასიის მხედრობის სარდალს გენერალ ოდიშელიძეს.

ვეჰიბ-ფაშის წინადადებისა, რომელიც თქვენ დეპეშით გვაცნობეთ იანვრის 1-ლის თარიღით, გადაეცით ოსმალეთის სარდალს ვეჰიბ-ფაშას შემდეგი:

ბ-ნო გენერალო! ამიერ კავკასიის მთავრობა გაეცნო თქვენს წინადადებას, რომლის გამოგზავნა თქვენ მონდობილი გქონდათ ოსმალეთის მთავარ სარდლის ენვერ-ფაშისაგან. უპირველესად ამიერ კავკასიის მთავრობა სწერს, რომ პასუხის გამოგზავნა დაუგვიანდა მისდაუნებურად.

როგორც თქვენ დიდათ დაინტერესებულია ადრე ამის დამთავრებაში და მშვიდობიანობის

დამყარებაში. მაგრამ ამიერ კავკასიის მთავრობა ვერ დაგიმალავთ, რომ მას არ შეუძლიან დამოუკიდებლად და ცალკე აღძრას მოლაპარაკება სამშვიდობო პირობის შესახებ. ამიტომ იმას ამ საგნის თაობაზე მოლაპარაკება აქვს რუსეთის რესპუბლიკის სხვა ავტონომიურ მთავრობებთან. იმედია პასუხს სამი კვირის განმავლობაში მივიღებთ და მაშინ ჩვენ პასუხსაც არ დავაგვიანებთ.

ამიერ კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე **ე. გეგეჭკორი**

### გაზეთი "ერთობა," 1918 წელი, 26 იანვარი, № 20, გვ. 2.

სპარსეთის მდგომარეობა

ამიერ კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე **ევგენი გეგეჭკორი** სასწრაფო დეპეშით შეეკითხა გენერალ ბარათოვს-თუ რა მიზეზებით გაგზავნა მან გილიანის პროვინციის (ამჟ. გილანის ოსტანი (პროვინცია), ირანის ისლამურ რესპუბლიკაში), სოფელ კიაზიმში ყაზახები და რა იყო მიზეზი სპარსეთის მთავრობის მიერ პროტესტის განცხადებისა.

### გაზეთი "ერთობა," 1918 წელი. 6 თებერვალი.№ 29. გვ. 2.

ზავი ოსმალეთთან

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა 1 თებერვლის კრებაზე ოსმალეთთან ზავის შესახებ შემდეგი დაადგინა.

1) ძირითად დირექტივებს და ზავის პირობებს იმუშავებს ამიერ-კავკასიის კომისარიატი.

2) ამიერ-კავკასიის კომისარიატმა უნდა აირჩიოს კომისია, რომელიც დანიშნულ ვადაზე ოსმალეთს ამიერ-კავკასიის კომისარიატის პასუხს შეატყობინებს. 3) ამიერ-კავკასიის კომისარიატმა უნდა აირჩიოს კომისია, რომელიც გამოარკვევს ზავის დებულებებს და შეკრებს მასალას მოხსენებისთვის, რომელსაც ამიერ-კავკასიის კომისარიატი გააკეთებს სეიმის წინაშე. 4) ამიერ-კავკასიის კომისარიატმა უნდა იკისროს ოსმალეთთან წინასწარი მოლაპარაკების დაწყება დრო და ადგილის და დელეგაციის შემადგენლობის შესახებ.

ყველა ეს კომისარიატმა აცნობა ვეხიბ-ფაშას.

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ერზერუმში (ამჟ. თურქეთის რესპუბლიკა) ოდიშელიძეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: "გთხოვთ შეატყობინოთ ოსმალეთის ჯარების სარდალს შემდეგი: "უფალო გენერალო! ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელით მე თქვენ შეგატყობინებთ, რომ ზოგიერთი გარემოებების გამო ჩვენ საბოლოო პასუხს სამი კვირის შემდეგ შეგატყობინებდით. დღეს ამიერ-კავკასიის მთავრობა მზად არის შეუდგეს საზავო მოლაპარაკებას, ძირითად დირექტივებს და ზავის პირობებს შეიმუშავებს ამიერ-კავკასიის

სიძე, როგორც მთელი ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შეიკრიბება 10 თებერვალს. გატყობინებთ რა ამას, უფალო გენერალო, გთხოვთ სასწრაფოთ გვაცნობოთ დელეგაციის შემადგენლობა და მოლაპარაკების დრო და ადგილი. ჩვენი წარმომადგენლების შემადგენლობას ამ დღეებში გაცნობებთ. გარწმუნებთ, უფალო გენერალო, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობას სურს მშვიდობიანი და კეთილი განწყობილება ჰქონდეს ოსმალეთთან და იმედი გვაქვს ჩქარა დავასრულებთ სამშვიდობო მოლაპარაკებას, რომ ორივე მხარე დაკმაყოფილებული იქნეს.

გთხოვთ კეთილი ინებოთ და პასუხი შეგვატყობინოთ.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე **ე. გეგეჭკორი.**

## გაზეთი "საქართველო," 1918 წელი, 14 თებერვალი, № 36, გვ. 3.

### საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან

**გეგეჭკორის** პასუხი. თებერვლის 12-ს ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ **ევ. გეგეჭკორმა** შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა: "აზრუმი. ჯარის უფროსს გენერალ ოდიშელიძეს. გთხოვთ საჩქაროთ გადასცეთ ოსმალეთის ჯარების სარდალს, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატი საჭიროთ სცნობს დელეგაციების შესახვედრ ადგილათ დაინიშნოს ტრაპიზონი. თუ ოსმალეთის მთავრობას რაიმე მიზეზის გამო ვერ სცნობს ამას მოსახერხებლად, მაშინ სხვა ადგილად რომელიმე ნეიტრალური პუნქტი უნდა დაინიშნოს. ჩვენი დელეგაცია გაემგზავრება ტრაპიზონში 17 თებერვალს საღამოს. გაცემულია შესაფერი განკარგულება რათა ოსმალეთის ნაღმოსანს ნება დაერთოს ტრაპიზონში შესასვლელად.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე **ევგენი გეგეჭკორი.**

ეს პასუხი ამიერ-კავკასიის თავმჯდომარემ აცნობა აგრეთვე უკრაინის ცენტრალური რადის გენერალურ სეკრეტარიატს.

## გაზეთი "ალიონი," 1918 წელი, 25 თებერვალი, № 15, გვ. 4.

### ზავი ოსმალეთთან

ოსმალთა დელეგაციის წამოსვლა.

ბათუმის ციხის კომენდანტი თებერვლის 21-ს თარიღით შემდეგს იტყობინებოდა: "ვეხიბ-ფაშას სახელობაზე გამოგზავნილი **ევგენი გეგეჭკორის** დეპეშა მივიღე. დღეს რაზმი-ბეის გადავეცი." ღამის 8 საათზე იგივე დეპეშა ნაღმოსნით გადაეცა ტრაპიზონში (თურქეთი) გენერალ კოლოსოვსკის, იგი იტყობინებოდა: "ჩემთან ოსმალთა მესამე ლაშქრის უფროსისაგან ოფიცერი მყავდა და მაცნობა: ოსმალთა დელეგაციები კერასუნდიდან (ჭანეთი ან ლაზეთი.

ამჟ. თურქეთის აზიური ნაწილი) და სტამბოლიდან (ამჟ. თურქეთი) ხვალ გამოემგზავრებიან. ტრაპიზონში მოვლენ მარტის 4-ში (ახალი სტილით).

## გაზეთი "ახალი სხივი," 1918 წელი, 25 თებერვალი, № 19, გვ. 4.

რუბრიკა: წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გამგეობის სახელით უღრმესი მადლობა გადაუხადო იმ პირთ, რომლებმაც მარცვილის უფასო სამკითხველოს ფულით თუ გაზეთის გამოწერით დახმარება აღმოუჩინეს. აი მათი შემომწირველთა სია: **ს. ვ. გეგეჭკორმა** ხუთი მანეთი, **ნადეჟდა გეგეჭკორისამ** ჟურნალი "სხივი", **ალ. გეგეჭკორმა** – "გლეხი კაცის ისტორია".

გამგეობის წევრი ს. ჯალაგანიძე

## გაზეთი "ერთობა," 1918 წელი, 27 თებერვალი, №47, გვ. 1.

უზომოდ დამწუხრებული მეუღლე **თამარა** მოსეს ასული **გეგეჭკორისა**, ძმები: სერაპიონი, ნიკო და რძლები **ქუქული და ნინო გეგეჭკორები** შვილებითურთ, სიმამრი და სიდედრი მოსე და მარიამი აროშიძენი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და ამხანაგებსა, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **პეტრე** კონსტანტინეს ძე **გეგეჭკორი**. გამოსვენება ბინიდან სამშაბათს 27 თებერვალს 10 საათზე, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 16, წირვა და პანაშვიდი კალაუბნის ეკლესიაში. დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე ამავე დღეს.

## ჟურნალი "პირველი ნაბიჯი," 1918 წელი, 14 ივლისი, № 19, გვ. 302-303.

ჟურნალის ფონდი

ჩვენმა რედაქციამ მიიღო ჟურნალის ფონდის გასაძლიერებლად ამხანაგ დიმიტრი ელენტისაგან "ბრანევიკ" № 1-ზე მყოფ ამხანაგებში შეგროვილი ფული. 22-მა პიროვნებამ, თითომ 10 მანეთი შემოსწირა, მათ შორის არიან **ლავრენტი გეგეჭკორი** და **გიორგი გეგეჭკორი**. 10-მა პირმა გაიღო თითომ 5 მანეთი და 1 პიროვნებამ 6 მანეთი შემოსწირა, სულ-276 მანეთი.

მონდ. დიმიტრი ელენტი

## გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა," 1918 წელი, 6 აპრილი, № 11, გვ. 6.

რუბრიკა: განცხადებები

თბილისის მესამე მომრიგებელ სასამართლოს ბოქაული, ა. ა. **გეგეჭკორი** ამით აცხადებს, რომ 18 აპრილს ამა 1918 წლის დილის ათ საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობით ყიდვა ვიკულა ცაბურჩინსკის მოძრავი ქონებისა: ფურგუნებისა, ეტლისა და სხვა ნივთებისა, ეს ქონება დაფასებულია 1450 მანეთად.

საჯარო ვაჭრობა მოხდება დიდუბეში, გლდანის ქუჩაზედ, სახლი № 4.

სასამართლოს ბოქაული ა. **გეგეჭკორი**. ძ. № 156

## ჟურნალი "პირველი ნაბიჯი," 1918 წელი, 18 აპრილი, № 24, გვ. 379-380.

ჯავშნიანი მატარებელი № 1. (წერილი გომიდან).

12 ივლისს, მთავრობის განკარგულებით ჩვენ გავემგზავრეთ სადგურ ხაშურში, № 1 ჯავშნიანი მატარებლით, რომლის დანიშნულება იყო, ხაშურიდან გორამდე წეს-რიგის დაცვა. უფრო ხშირად ჩვენ გვიხდებოდა დგომა სადგურ გომში (ამჟ. სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტში), საიდან აქ მოდიოდა ხმა, რომ ახლო მდებარე სოფლებში პროვოკატორები დაძრწიან. მისვლისთანავე ბოროტმა პირებმა გაავრცელეს ხალხში ხმა, თითქოს ჯავშნიანი მატარებელი მისულიყოს აქ თავადების დასახმარებლად, რომ მათ უნდათ მიწის ლალის აკრეფა და სხვა... ამიტომ ჯავშნიან მატარებლის ხელმძღვანელმა, ხუნდაძემ, მოიწვია ადგილობრივი კომისარის დახმარებით საზოგადო კრება კვირას, 14 ივლისს, რომ ხალხისათვის აეხსნა ჩვენი აქ მოსვლის მიზანი და გაეფანტა ის უსაფუძვლო პროვოკაციული ხმები, რომელიც პროვოკატორებმა გაავრცელეს. მიუხედავად იმისა, რომ კრების მოსაწვევად ყოველივე ზომები იყო მიღებული — ბოროტმა პირებმა აქ მაინც იმუშავეს სალაპარაკო და ხალხს ეუბნებოდნენ, რომ აქ მიგიტყუებენ და მერმედ ტყვიის მფრქვევლებით დაგხვრეტავენ და სხვა... პროვოკაციამ საკმაოდ გაჭრა და ხალხი ნაკლებათ დაესწრო, მაგრამ კრება მაინც შესდგა, რომელსაც სხვათა შორის დაესწრო გომის რაიონის კომისარი ნ. სიხარულიძე. კრება გახსნა ვ. თავდგირიძემ, რომელმაც მიუწოდა დამსწრეთ ეთქვათ აქ, კრებაზე, თუ რაში გამოიხატებოდა მათი უკმაყოფილება. პირველად ილაპარაკა ნ. სიხარულიძემ, რომელმაც გააცნო ხალხს, თუ რა ბოროტებას ჩადიან ისინი, რომლებიც ავრცელებენ ასეთ პროვოკაციულ ხმებს და მიუთითა ერთ აქ მდგომ ოსზე, რომელიც თითქოს მოწინააღმდეგეთ გამოდიოდა, აუხსნა ხალხს, თუ ვისგან შესდგება ჩვენი მთავრობა, ვინ არიან წითელი გვარდიელები და სხვა... შემდეგ ილაპარაკა

თავდგირიძემ, რომელმაც ახსნა დამსწრეთ ჯავშნოსანის მისვლის მიზანი და რა სამსახური გაუწია ჯავშნიანმა მატარებელმა ხალხს...

მან მოუწოდა, რომ არ აჰყოლოდნენ პროვოკატორებს და არ გამოეწვიათ ძმათა სისხლის ღვრა, რომელსაც შეიძლება დასამარებაც მოჰყვეს... ამით დასრულდა კრება და ჩვენც ჯავშნიანი მატარებლითვე მიხაილოვისკენ (ახლ. ხაშური) გავემგზავრეთ, რომ სწრაფი ზომების მიღებაა საჭირო, რომ რაიონები გაიწმინდოს პროვოკატორებისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი მოწამლულია პროვოკატორების მიერ და არავინ უწყის, თუ სანამდე მივა საქმე...

ჯავშნიანი მატარებლის მოსამსახურე **გ. გეგეჭკორი**

## გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა,” 1918 წელი, 27 აპრილი, № 26, გვ. 6.

რუბრიკა: განცხადებები

თბილისის მესამე მომრიგებელ სასამართლოს ბოქაული ა. ა. **გეგეჭკორი** აცხადებს, რომ 5 ენკენისთვეს 1918 წ. დილის ათ საათზედ დანიშნულია მიცვალებულის გიორგი სულხანის ძე ზაალიშვილის მოძრავი ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა. ამ ქონებას შეადგენს სხვა და სხვა მელნის გასაკეთებელი წამლები, ხის ავეჯი, ბოთლები, მელანი და სხვა ნივთები. საჯარო ვაჭრობა მოხდება დიდი მთავრის ქუჩაზედ, სახლი 69. ეს ქონება დაფასებულია 400 მან.

## ჟურნალი “ეშმაკის მათრახი,” 1919 წელი, № 3, გვ. 12-13.

სალამი

მხურვალე სალამი ჩვენს სიამაყეს სახალხო გვარდიას. 12 გეკემბერი ყოველი გულწრფელი დემოკრატიისთვის ბრწყინვალე დღესასწაულია. ბევრი ლამაზი სიტყვები დაიხარჯა და იხარჯება ამ რევოლუციის ხანაში. ბევრი უკვე ცრიუზიმათ იქცა, თავიც მოგვაბეზრა, მაგრამ როცა ჩვენ სახალხო გვარდიის დღეს საერთო დღესასწაულათ აღვიარებთ, მხოლოდ გადაგვარებულ და ბოაზმოიულ ელემენტებს თუ ალუძრავს ეჭვს ჩვენი სიტყვების გულწრფელობაში. მართლადაც, განა ვისმესთვის საიდუმლოა, რომ თუ ჩვენმა რესპუბლიკამ დააღწია თავი ათასგვარ უბედურებას, თუ მასზედ მოღერილმა ლახვარმა თვით მტრის გული გაანგმირა, თუ ჩვენი თავისუფლების დროშა დღესაც თავმომწონედ ფრიალებს და რესპუბლიკის შინაურ და გარეშე მტრებს მოსვენებას არ აძლევს, ეს გახლავსთ ისტორიული დამსახურება ჩვენი სახალხო გვარდიისა. ეს ლამაზი სიტყვები არ არის, ეს

არის რეალური ფაქტი და ამას, შეეცადოს ვინმე დაუმტკიცოს წინააღმდეგი. ამას ამოწმებს საქართველოს საზღვრებზე გარეშე მტრებთან ბრძოლაში დანთხეული წმინდა სისხლი. ჩოლოქი, ბორჩალოს მაზრა, კავკავის გზა, სოხუმი, გაგრა და ბევრი სხვა. აი ის ადგილები სადაც შეუპოვარ დარაჯად უდგა საქართველოს თავისუფლებას სახალხო გვარდია, რომლის მჭრელი შინაურ მტერსაც გმირავდა. ცხინვალში, დუშეთში და სხვაგან, სადაც თითო მუჭა ავანტიურისტებს ჰქონია სურვილი ჩვენი ხალხი გადაესროლა ანარქიის მორევში, ყოველთვის თავის დროზე მეხად მოვლენია ჩვენი გვარდია ხალხის მტრებს.

ახლა არ არის დრო ჩვენი ხალხის პოლიტიკური უნარის ისტორიის წერისა, მაგრამ ერთი რამ აშკარად უნდა იქნას ცნობილი: საქართველომ შესძლო ხალხის თავისუფლების დაცვა მიენდო თვით ამავ ხალხის შეიარაღებულ საუკეთესო შვილებისათვის და დღემდის ეს იყო ნამდვილი გარანტია ჩვენი თავისუფლებისა და მომავალშიც ეს იქნება თავდები ჩვენი სრული გამარჯვებისა.

**ევგენი გეგეჭკორი**

## გაზეთი "ახალი საქართველო," 1919 წელი, 9 ივლისი, № 4, გვ. 3.

დეკრეტი ბინებიდან სავაჭრო, საწარმოვო და სახელოსნო დაწესებულებათა აყრის შესახებ

(არა ოფიციალური)

1. დროებით, სანამ არ გამოიცემა შესაფერისი კანონი, ბინათა შესახებ, სასამართლო განყოფილებებში შეწყდეს გარჩევა ბინიდგან აყრის საქმეებისა, ხოლო თუ სასამართლომ ასეთ საქმეზე განაჩენიც გამოიტანა მისი ასრულება შეჩერდეს. ეს მუხლი შეეხება სავაჭრო დაწესებულებებს, საწყობებსა და კანტორებს.

2. ეს დეკრეტი ძალაშია დამფუძნებელ კრების მიერ მისი მიღების შემდეგ.

ხელს აწერენ: დამფუძნებელი კრების თავჯდომარე, უფროსი ა. ლომთათიძე.

მთავრობის თავჯდომარის მოადგილე **ევგენი გეგეჭკორი**

## ჟურნალი "მუშათა ცხოვრება," 1919 წელი, 12 ოქტომბერი, № 10, გვ. 16.

სანდრო მაისურაძის სახელობის ბიბლიოთეკის გახსნა

კვირას, 28 სექტემბერს, მოხდა სანდრო მაისურაძის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საზეიმო გახსნა, პროფესიონალურ კავშირთა შენობაში. საზეიმო გახსნას დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, საგარეო საქმეთა მინისტრი **ე. გეგეჭკორი**, დამფუძნებელი კრების წევრები, სახალხო გვარდიის შტაბის წევრები და პროფესიონალურ კავშირების, პრესის და დემოკრატიულ საზოგადოებრივ ორგანიზაციების

წარმომადგენელნი.

კრება გახსნა პროფესიონალურ კავშირთა ცენტრის თავმჯდომარემ ალ. ჩახტაძემ. საზეიმო მუსიკამ შეასრულა ეროვნული ჰიმნი. თავმჯდომარემ მოკლე სიტყვით აღნიშნა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა მნიშვნელობა. პროლეტარიატის ეს პირველი სამკითხველო, სახალხო გმირის სანდრო მაისურაძის სახელობაზე, მუშათა კლასს მუდამ ბრძოლის სიმბოლოდ ექნება და ერთის მხრივ ბრძოლასა და მეორეს მხრივ ცოდნის შეძენით – კულტურულ ამაღლებით – იგი მიაღწევს მიზანს – სოციალიზმსო.

თავმჯდომარემ აგრეთვე აღნიშნა, რომ ამ სამკითხველოს გახსნა – ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რასაც სხვებიც უნდა მიჰყვესო.

კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ბრძოლის ველზე სახალხო საქმისთვის დაღუპულ სანდრო მაისურაძის უკვდავ ხსოვნას. მუსიკამ შეასრულა სამგლოვიარო ჰიმნი.

შემდეგ იყო მილოცვანი: მთავრობის სახელით მისალმა **ე. გეგეჭკორი**, დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით – რ. არსენიძე, სახალხო გვარდიის სახელით – ვ. ჯუღელი, სახალხო უნივერსიტეტის სახელით – გ. ნათაძე, სოჭის ოლქის დემოკრატიის სახელით – ცვანგერი.

გახსნას ხალხი ბლომად დაესწრო. კრება დაიხურა 1 ნახ. საათზე ეროვნული ჰიმნით.

### გაზეთი "ივერია," 1919 წელი, ქრისტეშობისთვის 20, № 32, გვ. 4.

კორესპონდენციები

მარტვილის მონასტერი. მარტვილის მონასტრის პირველი სამირკველი ჩაჰყარა ქრისტე მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა და იქვე აღიმართა ჯვარი თვისი ქრისტიანობისა. აქვე ბერ მონაზონმა ბაგრატმა მეოთხე საუკუნის დასასრულს აღაგო ეკლესია, რომლისთ სიმშვენიერე და მაღალი ხელოვნება ადამიანს აოცებს. მარტვილის მონასტრის ლამაზი მოყვანილობა, ხელოვნება, კარებთან ვეებერთელა მარმარილოს მრგვალი სვეტები და საოცრად გამოყვანილი ცოცხალი ფოთლები, ყვავილები, ყურძნის მტევნები, ღმერთისმშობელი და სხვა. ეკლესიის კედლები, მისი სიმშვენიერე ჰხიბლავს ადამიანს, სიხარულის ცრემლსა ჰგვრის ეს ყალიბი ხუროთ-მოძღვრული ხელოვნება.

ხოლო უპატრონობით კედლიდან და წინა კარზე ჩამოვარდნილი ვეებერთელა მარმარილოს სვეტები და უფრო კი სახურავის უქონლობისა გამო გაბზარული გუმბათი, რომლიდან ჩამოსული წვიმა მთელ შენობას დანგრევას უქადის, გულს გვიკლავს.

დღეს უკვე სრულიად მივიწყებული მარტვილი, განთქმული იყო საქართველოში თვისი ძვირფასი სამკაულებით, როგორიც იყო, მსხვილ ბრილიანტი და სხვა ძვირფასი

თვალმარგალიტებით მოყრილი ხატებით, ჯვრებით, სახარებით, მრავალ პატრიარქ-კათალიკოსთა ოქრო-მკერდით მოქსოვილ და ბრილიანტ მოყრილ შესამოსებით, ასეთივე მიტრებით, კვერთხებით და სხვა მეფეებთა შესამოს-სამკაულებით, მაგრამ დღეს მონასტერს ამათი ხსოვნაღა დარჩა, ვინაიდან რუსის მთავრობამ, ზოგი ქურდულად და ზოგიც მონასტრის ბედ-იღბლის გამგე მღვდელ მთავრობის “გულკეთილობით” რუსეთში გადაზიდეს; რუსებს არც ზოგიერთი ჩვენი მღვდელ-მთავრები ჩამორჩნენ და რაც მოეწონებოდათ თვითონ ითვისებდნენ. ამ საქმეში პირველი ადგილი ეჭირა სულ-მნათ მარტვილის ეპისკოპოსს გრიგოლს და მის კარისკაცებს ძმები ლევანი და დიმიტრი მასხულიებს, რომლებმაც, როგორც მიწა-მამული, აგრეთვე სამკაულებიც მიითვისეს მონასტრისა. შემდეგ ამ 118 წელიწადში მარტვილის მონასტერს სულ სამი ეპისკოპოსიღა ჰყავდა გულ-შემატკივარი. სულ-მნათი გაბრიელი, მეორე ჭყონდიდელი ამბროსი და მესამე ყოვლად უწმინდესი კათალიკოსი ლეონიდე, უკანასკნელმა 1904 წელს, მამა კაპიტონ გაწერელიას დახმარებით, შეაგროვა მარტვილის სხვა და სხვა საკურთხევლებში დაფანტული 4 ოქროს მკერდით მოქსოვილი და ბრილიანტ მოყრილი შესამოსები, ლიირები და სხვა ძვირფასი საჭურჭლენი, რომელნიც ზემოხსენებულ პირების ხელებს გადაარჩენიათ და მონასტრის მეორე სართულის სალაროში შეინახა, რომლის გასაღები, შემდეგ კანონიერ სიის შედგენის დეკანოზ კაპიტონ გაწერელიას ჩააბარა, ხოლო მარტვილის მონასტრის გუმბათი, რომელიც უხსოვარ დროიდან სქელი სპილენძით იყო გადახურული და რომელიც თავის სასარგებლოდ მოახმარეს სულ-მნათ ეპისკოპოსი გრიგოლმა და ხსენებულმა მასხულიებმა, ამა წელიწადს ეპისკოპოსი ლეონიდემ თავისი ხარჯით გადახურა თხელი თეთრი თუნუქით, რომელმაც დროთა განმავლობაში ვერ გაუძლო, დაიმტვრა სახურავიდან ჩამოსულმა წვიმამ გუმბათი დააზიანა, რომლიდან ჩამომავალ წვიმამ, როგორც მწერს პატივცემული დეკანოზი **გიორგი გეგეჭკორი**, კედლებსაც საშიშ მდგომარეობას უქადის. მიხედვით ამისა გულის ტკივილით ნამდვილი შვილების, ქართველების და არა იმ ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომელმაც, ამ უდიდეს ძველს ქართველთა ამაყობისას, უკანასკნელი წისქვილიც კი ჩამოართვა და მით სიმშილით შეწუხებულებში ბერებში სოფლად კარი და კარ მათხოვრად გაუშო მღვდელ-მსახურების სახით, ყურადღება მიაქციონ მარტვილის მონასტერს, ხოლო ბატონებს ივანე გომართელს და თევზაიას, რომლებიც შეჰყრიდა მამა კაპიტონ გაწერელიას და მარტვილის ბერებს, ეკლესიის შეკეთების თანხის გადადებისათვის შუამდგომლობას მთავრობასთან, განახორციელონ თავიანთი დაპირება.

კ. მარტვილელი

### გაზეთი "სახალხო საქმე," 1920 წელი, № 429, გვ. 2.

მთავრობის დეპეშები (ლორდ კერზონს)

გარეშე საქმეთა მინისტრმა ლონდონში (დიდი ბრიტანეთი) მინისტრს ლორდ კერზონს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: ქართველი ხალხი ღრმა კმაყოფილების გრძნობით და არა ჩვეულებრივი სიხარულით შეხვდა უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების ცნობას. რესპუბლიკის მთავრობა უღრმეს მადლობას გიძღვნით თქვენ ამ აქტში თქვენ მიერ გამოჩენილი ინიციატივისათვის, რომელსაც საქართველოსათვის დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს და გამოსთქვამს რწმენას, რომ ის ენერგიული დახმარება, რომელიც თქვენ აღმოუჩინეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინების საქმეს, ბრწყინვალე სტიმულად იქნება იმ გულწრფელ და მეგობრულ დამოკიდებულების განმტკიცებისათვის, რომელიც არსებობს დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს რესპუბლიკას შორის.

ე. გეგეჭკორი

### გაზეთი "სახალხო საქმე," 1920 წელი, 10 აპრილი, № 499, გვ. 4.

რუბრიკა: ახალი ამბები

– პიესა "გეგეჭკორი," შალვა დადიანისა. ამ კვირაში ტფილისის ქართული დასი შ. დადიანის მეთაურობით – მიემგზავრება შემდეგ დაბა ქალაქებში: ხაშურს, სამტრედიას, ოზურგეთს, ხონს, აბაშას, ფოთს, ბათუმს, სოხუმს, ზუგდიდს და სხვ. წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა შალვა დადიანისა "გეგეჭკორი," სამეგრელოს წარსული ცხოვრებიდან. დასში არიან: შალვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი (შალვა დადიანის მეუღლე), ვიქტორ გამყრელიძე, სისო ჟივიძე, პავლე ფრანგიშვილი, ვ. მაცაბაძე, ვ. ჟიქია, აბდუშელი, ივერიელი და სხვ.

**P. S.** ქართველი მწერალი და დრამატურგი შალვა დადიანი დაიბადა 1874 წელს ზესტაფონში, ხოლო მისი საგვარეულოს სოფელი არის ბეთლემი (ამჟ. სენაკის მუნიციპალიტეტი). პიესა "გეგეჭკორი" – ისტორიული, ლეგენდაა სამეგრელოს წარსულიდან, დაწერილია ქართლში სოფელ წვერში 1915 წელს (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი).

ამ პიესაში დაპირისპირებულნი არიან ხალხის ფართო მასები და მაღალი წრის საზოგადოება. გეგეჭკორი, რომელსაც უცხოეთში მიუღია განათლება, ვერ ურიგდება არსებულ სოციალურ უსამართლობას, ჩაგვრას, დუხჭირ ცხოვრებას და იგი სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებს ამ წრეს, მისი იდეალია თავისუფლება და თანასწორობა.

(შ. დადიანი – პიესები. 1923 წელი, გვ. 305 – 360).

## გაზეთი "მუშა," 1924 წელი, 10 მაისი, № 440, გვ. 5.

### მიშა გეგეჭკორის ხსოვნას

1918 წლის აპრილში მოვიდა ხონის ორგანიზაციაში **მიშა გეგეჭკორი** და მოითხოვა შეიარაღებული პარტიზანები. ხონის ორგანიზაცია ამ განცხადებას შეეგება აღფრთოვანებით და მისცა საიმედო ამხანაგები, რომლებიც სიცოცხლეს არ დაიშურებენ მუშათა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

რაზმი ღამით გაემგზავრა ნაოღალევში (მარტვილის რაიონი). აქ სოფლები აიღო რაზმმა და მენშევიკები განდევნა იქიდან. მალე რაზმის გარშემო შემოიკრიბა მშრომელი გლეხობა და ჯარიდან განთავისუფლებული ამხანაგები.

როცა საკმაოდ მოვგროვდით, გავემგზავრეთ სოხუმისაკენ. მოკლე ხანში სამურზაყანოში (გალის რაიონის ტერიტორია) გავედით. სოფელ-სოფელ ჩვენს რიგებს ემატებოდა ახალი ძალები. მაგრამ ანაკლიაში (ამჟ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) მენშევიკების ჯალათმა ვ. ჯუღელმა გადმოსხა თავისი გვარდიელები და გადაგვიჭრა გზა სოხუმისაკენ. ამავე დროს თავს დაგვესხა მენშევიკური გვარდია გამოგზავნილი ზუგდიდიდან.

იძულებული გავხდით გავმაგრებულიყავით ლაბა გორდში (ამჟ. ხონის მუნიციპალიტეტი) და აქ უნდა შემოგვერთებოდა **ს. გეგეჭკორის** რაზმი. **მ. გეგეჭკორი** წავიდა ლეჩხუმში ორგანიზაციების მოსაწყობად, ჩვენ კი **საშა გეგეჭკორის** და კოწია ჯავჯანიძის მეთაურობით გავემგზავრეთ ვლადიკავკავისაკენ (რუსეთის ფედერაცია).

ვლადიკავკავში შემოგვიერთდა ჯავშნიანი ავტომობილი კოწიას მეთაურობით. მოგზაურობის დროს კოწია იმსხვერპლა მენშევიკებისაგან გასროლილმა პირველმა ტყვიამ. ამ დროს მიშას რაზმს მოუხდა ბრძოლა მენშევიკებთან. ბრძოლის დროს მიშა ტყვედ ჩაუვარდა მენშევიკებს. გახარებულმა მტერმა მიშა დახვრიტა.

ასე გამოასალმეს სიცოცხლეს მენშევიკების დაქირავებულმა ყაჩაღებმა ეს ძვირფასი ამხანაგი.

აკაკი ფირცხალაძე

## გაზეთი "მუშა," 1925 წელი, 7 თებერვალი, № 31, გვ. 4.

### ექსპლოატატორებს მაინც არ არ მიელო ბოლო

რამოდენიმეჯერ დაწერილა წერილები ჩვენს გაზეთებში იმის შესახებ, რომ ბათომის მიმართულებით მდებარე სადგურების ბუფეტების ზოგიერთი მოიჯარადრეები ეწევიან მუშა-ხელის ექსპლოატაციას და მათ შორის უპირველესი ადგილი უჭირავს სადგურ მცხეთის მოიჯარადრეს, რომელიც რამოდენიმე მუშას ამუშავებს 8 საათის მაგივრად 15 საათი და

არც ერთ მათგანს არ აძლევს არც დაზღვევისა და არც კავშირის წევრობის უფლებას, რის გამო მუშები მოკლებულნი არიან საექიმო დახმარებას, უფასო წამლებით სარგებლობას და სხვა.

წასული წლის სექტემბრიდან მცხეთის სადგურის ბუფეტის მოიჯარადრესთან მსახურობდა 17 წლის ახალგაზრდა ვინმე **ვალერიან გეგეჭკორი**, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში უხდებოდა მუშაობა დილის 7 საათიდან ღამის 15 საათამდე და ზოგჯერ ღამეებიც გაუთენებია. დღეს ეს ამხანაგი დღე და ღამე მუშაობით, ცემენტის იატაკზე ფეხზე დგომით და ცუდი კვებით გახდა ავად, ის საექიმო დახმარებისათვის ტფილისში ჩამოვიდა, ეს ახალგაზრდა არის ობოლი და სრულიად უპატრონო, არ გააჩნია არავინ, რომელსაც შეეძლოს მისი მოვლა, მაგრამ სადაც არ მიმართა ყველგან დაზღვევისა და კავშირის წევრობის წიგნაკი მოსთხოვეს, რაიც მას არ აღმოაჩნდა და კერძოთ რომ იაქიმოს მას ამის სახსარი არ აქვს, ვინაიდან მისი ოთხ-ნახევარი თვის სამსახურისათვის სამუშაო ხელფასად მისმა დამქირავებელმა მას მხოლოდ 20 მანეთი მისცა.

ავადმყოფს, როგორც ექიმების შემოწმებიდან სჩანს ამ ჟამად ფილტვების სისუსტის ნიშნები აქვს, რაიც საჭიროებს სასწრაფო საექიმო დახმარებას და შესაფერ მოვლას. ექიმები ურჩევენ ქალაქ სოხუმში გამგზავრებას.

ამისათვის ქალაქ ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს კომუჯრედმა შუამდგომლობა აღძრა ტფილისის კომკავშირის კომიტეტის წინაშე **ვ. გეგეჭკორისათვის** საჭირო დახმარების აღმოჩენისათვის. ავადმყოფობა ძლიერდება და სერიოზულ ხასიათს ღებულობს, მოუვლელობის და უპატრონობის გამო.

დარწმუნებული ვართ, რომ კომკავშირის კომიტეტი მიიღებს სასწრაფო ზომებს ამ საქმის გამოსარკვევად და აიძულებს ხსენებული სადგურის მოიჯარადრეს, ნივთიერი დახმარება გაუწიოს ამ ამხანაგს და ამით იხსნას სიკვდილისაგან.

ამასთან თვით კომკავშირის კომიტეტმაც რომ გაუწიოს დახმარება **ვ. გეგეჭკორს**, ხსენებული მოიჯარადრე მაინც უნდა მიეცეს პასუხის გებაში, შრომის კანონების დარღვევისა და ექსპლოატაციისათვის.

მუშკორი ვასო ოჭკურელი

გაზეთი "მუშა," 1925 წელი, 10 თებერვალი, № 33, გვ. 8.

რუბრიკა: წერილები რედაქციის მიმართ

პატივცემულო ამხ. რედაქტორო! "მუშა"-ს № 31-ში მოთავსებულია წერილი მუშკორ ვანო ოჭკურელისა სათაურით: "ექსპლუატატორებს მაინც არ მოელო ბოლო, "სადაც მე

გამოყვანილი ვარ ისეთ ადამიანად, ვისაც "პირველი ადგილი უჭირავს" "მუშა-ხელის ექსპლოატაციის" საქმეში. ამის დასამტკიცებლად მოთხრობილია ისტორია ვინმე "ახალგაზრდა კომკავშირელის **გეგეჭკორისა.**" რომელიც თურმე, ნ/წ. სექტემბრიდან ჩემთან მსახურობდა, "მუშაობდა დილის 7 საათიდან ღამის 15 საათამდე" და "დღე და ღამე მუშაობით, ცემენტის იატაკზე ფეხზე დგომით და ცუდი კვებით ავად გახდა."

ხსენებული **გეგეჭკორი** არის "ობოლი და სრულიად უპატრონო," მას "არავინ გააჩნია," უკეთ, არც გააჩნდა, ვიდრე ჩემთან დაწინაურდებოდა. ეს კი მოხდა არა ნ.წ. სექტემბერში, როგორც წერილშია ნათქვამი, არამედ ნოემბერში, როდესაც ჩემს ტფილისში ყოფნის დროს ჩემთან მოვიდა ჩემი შორეული ნათესავი, ჭაბუკი **ვალერიან გეგეჭკორი** და შემომჩივლა, რომ ის უკიდურეს გაჭირვებას განიცდის – უდედმამოს, პატრონი არავინ გააჩნია, ადგილი ვერ უშოვია. მეც შეძლებისდაგვარად დავეხმარე მას.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ჩემი ტფილისში ხელმეორედ ჩამოსვლის დროს, **ვ. გეგეჭკორმა** კვლავ მომმართა ისეთივე თხოვნით. მეც, რა კი ვნახე, რომ ყმაწვილს ცხოვრების სახსარი არა ჰქონდა, მშიერ-ტიტველი დაიარებოდა და თან ავადმყოფი იყო, გადავწყვიტე ჩემთან წამეყვანა, შეძლებისდაგვარად შემენახა, მანამ სადმე მოეწყობოდა. ყმაწვილიც სიხარულით დაეთანხმა ჩემს წინადადებას და მე ის ჩემთან წავიყვანე, ჩავაცვი, დავახურე, როგორც კი შევძელი. თან სხვადასხვა დროს ნაწილ-ნაწილ 130 მანეთი მივეცი არა როგორც მოსამსახურეს და არა როგორც გასამრჯელო, არამედ როგორც შეძლებისდაგვარი დახმარება უპატრონო, უადგილო, ჩემთან შემოკედლებულს ავადმყოფს ნათესავს. ამასთან, ვიღებდი რა მხედველობაში ჭაბუკის ავადმყოფობას, საჭმელ-სასმელსაც კი საგანგებოს, დიეტის მიხედვით ვაძლევდი.

ორიოდ თვის ჩემთან ყოფნის შემდეგ, ყმაწვილი ჩემგან წავიდა – აზრადა ჰქონდა კომკავშირის საშუალებით სოხუმში სახელმწიფო ხარჯზე გაემგზავრება. ყველაფერს მოველოდი ამის შემდეგ და არა ექსპლოატაციის სახელის დარქმევას. დარწმუნებული ვარ, რომ თვით **ვალერიან გეგეჭკორიც** ვერ უარჰყოფს, რადგან მზრუნველობით ვეკიდებოდი მას ჩემთან ყოფნის დროს. ამიტომ სრულიად დაუმსახურებლად მიმაჩნია ექსპლოატაციის სახელი და მოვითხოვ, რათა საქმე გამოძიებულ იქმნას შრომის ინსპექციის მიერ და ჩემს პატიოსან სახელს მოეხსნას უსაფუძვლო ბრალდება.

ვასილ სვიმონის ძე **გეგეჭკორი.**

**რედაქციის შენიშვნა:** ჩვენ მივაქცევთ შრომის ინსპექციის ყურადღებას ამ საქმისადმი და მოვითხოვთ, რომ საქმის გამოძიების დროს მოწვეულ იქნეს ჩვენი რედაქციის

წარმომადგენელიც.

## გაზეთი "საბჭოთა მასწავლებელი," 1939 წელი, 9 დეკემბერი, № 112, გვ. 3.

იაკობ გოგებაშვილი (დაბადებიდან 100 წლის იუბილესათვის)



იაკობის სახელს ყველა ჩვენთაგანი მოწიწებით, სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს და ეს პატივისცემა სამართლიანად დაიმსახურა ამ ყანგარო ადამიანმა.

იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი ეკუთვნის ჩვენს სახელოვან მესამოციანელთა პლეადას. იგი სწორედ იმ დროს გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე, როცა საქართველოსა და რუსეთში შავბნელი რეაქცია მეფობდა, როცა იდევნებოდა მშობლიური ენა და ყველაფერი ის, რაც ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას უწყობდა ხელს. იაკობი ნახევარი საუკუნის მანძილზე თავისი ერის მშრომელი მასის გათვითცნობიერების სამსხვერპლოზე იფერფლებოდა.

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა 1840 წელს, 15 ნოემბერს (ძველი სტილით), სოფელ ვარიანში (გორის მაზრაში), ღარიბი მღვდლის ოჯახში. პირველ-დაწყებითი სწავლა იაკობმა გორის სასულიერო სასწავლებელში მიიღო. შემდეგ იგი გადაყვანილ იქნა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელსაც ამთავრებს 1862 წელს და როგორც საუკეთესო მოწაფე, სახელმწიფო ხარჯზე იგზავნება კიევის (უკრაინა) სასულიერო აკადემიაში. მაგრამ ავადმყოფობის გამო, იაკობი ორი წლის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და თავდაპირველად გადაეშვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

1865 წელს იაკობმა პირველად გამოსცა "ანბანი," 1867 წელს "ბუნების კარი," ხოლო 1868 წელს "დედა ენა."

სახელმძღვანელოების შედგენასთან ერთად იაკობი ცნობილია, როგორც პედაგოგიკის თეორეტიკოსი. იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში იგი გამოდიოდა პროგრესული პედაგოგიური იდეებით, რომელთა ძირითადი საფუძველი მშრომელთა ფართო მასისათვის მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღება იყო.

ყველასათვის ნათელია, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს საბავშვო ლიტერატურის შექმნა. ამიტომ ყოველი მოწინავე ერის ცხოვრებაში ასეთი ლიტერატურა ყველაზე გვიან ვითარდება. იაკობი, გრძნობდა რა ამ დანაკლისს, ამ დარგშიც ენერგიულად მუშაობდა. მან დაწერა არა ერთი და ორი საბავშვო მოთხრობა, რომლის ფონი ისტორიულ წარსულში ქართველი ხალხის ცანჯვა-წამება და გმირობა იყო.

იაკობი ცნობილია, როგორც იშვიათი პრაქტიკის მასწავლებელი და სკოლის ხელმძღვანელი.

მიუხედავად მისი მოღვაწეობის მრავალფეროვნებისა, იგი მაინც მაღალ პედაგოგად რჩებოდა.

იაკობ გოგებაშვილში ჰარმონიულადაა მოცემული ღრმა მოაზროვნე, პროგრესული პედაგოგიკის თეორეტიკოსი, იშვიათი პრაქტიკოსი მასწავლებელი, სასკოლო საქმის საუცხოო ორგანიზატორი და ამასთანავე მოსწავლე ახალგაზრდობისადმი უდიდესი ალღოს მქონე ადამიანი. მისმა კალამმა შექმნა საუცხოო საბავშვო მოთხრობები, მან გამოსცა ხალხისათვის ხელმისაწვდომი იაფფასიანი სახელმძღვანელოები და ამასთანავე იგი, როგორც ჟურნალისტი, გვერდში ამოუდგა საქართველოს მესამოცინელთა შესანიშნავ პლეადას. ამიტომ იაკობ გოგებაშვილი საქართველოსათვის პესტალოციც იყო და პედაგოგიური აზროვნების ამაღორძინებელიც XIX საუკუნეში. ყოველივე ამისთვის ეზიზღებოდათ ის მეფის ყურმოჭრილ მოხელეებს და ცდილობდნენ მის თავიდან მოშორებას.

იაკობი სასტიკად იბრძოდა ისეთი სასწავლებლების წინააღმდეგ, რომელთა მიზანდასახულება მეფის მთავრობისათვის საჭირო ჩინოვნიკებისათვის მომზადება იქნებოდა. ასეთ სკოლებს იაკობი საჯაროდ ჰკიცხავდა. მაშინდელ დროში ცნობილი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლებს გოგებაშვილმა უწოდა "მღვდლურად მორთული კუბო, შიგნით გაჭყლეტილი უსულო ძვლებით," რომელიც "ნაყოფს კი სრულიად დამპალსა და შხამს ისხამს."

მშობლიური ენის სწავლებას გოგებაშვილი მოითხოვს ყველა ერის ბავშვებისათვის, – "სწავლა ყველამ მშობლიურ ენაზე უნდა მიიღოს"– ამბობდა იგი.

იაკობს არ გაჩნდა საკუთარი ოჯახი, მისი ერთადერთი ახლობელი, შვილივით გაზრდილი ძმისშვილი იყო, რომლისთვისაც თავისი ქონებიდან არაფერი დაუტოვებია და ასე უთქვამს: "სხვებსაც ნუ ეწყინება, ყველაფერი ხალხმა მომცა და ისევ ხალხსავე უნდა დავუბრუნოთო."

ილ. გეგეჭკორი

გაზეთი "საბჭოთა აფხაზეთი," 1940 წელი, 5 თებერვალი, № 29, გვ. 3.

საქართველოს დიდი პოეტის ა. წერეთლის გარდაცვალებიდან
25 წლისთავის გამო ერთი დღით სხვიტორში

საჩხერიდან სამი კილომეტრის დაშორებით, იქ, სადაც მდინარე ჩიხურა თავის ანკარა ტალღებს მოაჩხრიალებს, ერთ პატარა გორაკზე ლამაზად წამოჭიმულია 106 წლის წინათ როსტომ წერეთლის მიერ აგებული სახლი, სადაც ამ 100 წლის წინათ დაიბადა საქართველოს საამაყო მწერალი – აკაკი წერეთელი.

ამ სახლის აივნიდან ხელისგულივით ჩანს სოფელ სხვიტორის მთელი მოსახლეობა და ჩიხურის ველმა მდებარე მთებში, ველებში და გორაკებში, რაც მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს.

სახლი ორსართულიანია. ზედა სართულის ერთ პატარა ოთახში დაბადებულა და იმავე ოთახში გარდაცვლილა დიდი პოეტი – აკაკი. ეს ოთახი მას განსაკუთრებით უყვარდა და ყოველთვის, როდესაც კი იგი სხვიტორში ამოვიდოდა, ამ ოთახში ისვენებდა და აქვე მუშაობდა.

დღეს აქ მოწყობილია პატარა მუზეუმი; უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, აკაკის ოთახი. ყოველი ნივთი იმ ოთახში იმ წესზეა დალაგებული, როგორც ეს დარჩენილა პოეტის გარდაცვალების დროს. ყოველი ნივთი ფაქიზად არის მოვლილი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პოეტის ჩაცმულობა: ქუდი, პალტო, ფეხსაცმელები, ხალათი, ჯოხი, რომელსაც პოეტი მუდამ თან ატარებდა. პოეტის ეს მორთულობა მე მახსოვს 1911 წლიდან, როდესაც იგი ესტუმრა "ჯეჯილის" რედაქციას.

განსაკუთრებით საინტერესოა საწერი მაგიდა. აქ მან დაწერა თავისი თხზულებების საუკეთესო ნიმუშები.

მგოსნის დაბადებიდან 100 წლის შესრულებასთან დაკავშირებით აქ უნდა მოეწყოს დიდი მუზეუმი. შენობა საკმაოდ დიდია და მუზეუმს შეიძლება მიეცეს მხარეთმცოდნეობის განხრა. ეს საჭიროა, რადგან ახლა საჩხერე ცალკე რაიონად არის გამოყოფილი. ამ რაიონში მრავალი სიძველეა, რომელთაც სჭირდება დაცვა და შესწავლა, რაც უნდა დაევალოს ამ მუზეუმს. მარტო "მოდინახის" ციხე და მისი ისტორია კმარა იმისათვის, რომ აქ მეტად საინტერესო და ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები და ძეგლები იქნეს აღმოჩენილი და შესწავლილი.

ლადო გეგეჭკორი

გაზეთი "საბჭოთა მასწავლებელი," 1940 წელი, 25 სექტემბერი, № 85, გვ. 3.

იაკობ გოგებაშვილი და ქართველი ქალი



იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ჩვენში სკოლების სიმრავლესა და სწავლისადმი სწრაფვას და დასძენს: "მღვდლის ცოლებიც (ფოფოდია) ვალდებულნი იყვნენ, გამართული ჰქონოდათ შინაური სკოლები წერა-კითხვის გასავრცელებლად მოზარდ ქალებში." შემდეგ ამბობს: "ქალებში კი, რომელნიც წიგნის ცოდნის სიყვარულით მუდამ გამოჩენილნი

იყვნენ, წერა-კითხვის უცოდინარს ძნელად შეხვდებოდა კაცი."

საერთოდ საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისიდან ცარიზმის გამარუსებელმა პოლიტიკამ, როგორც ნ. ჭარიათაშვილი ამბობდა: "ქარმან ჩრდილოისამან ყველაზე პირველ გარდაუცვალა მათ გული ცხოველ."

განსაკუთრებით ჩვენი მაღალი წოდების ქალები დაქანდნენ გადაგვარების გზაზე და ჩაეფლნენ უქნარობის მორევში. იაკობ გოგებაშვილი – ეს დიდი პატრიოტი უცქეროდა რა ყოველივე ამას, თავისებური სარკაზმით, აღნიშნავდა, რომ მეფის დროის "სასწავლებლებში ზრდიდნენ დამახინჯებულ "რუსნიკებსა," რომელთაც არც ქართული იციან ხეირიანად, არც რუსულში არიან დახელოვნებულნი, რომელთაც სამშობლო თითქმის სძულთ და კაცობრიობასაც, რასაკვირველია, არაფრად ეპიცნავებათ." შემდეგ გულისტკივილით წერს: "არც ერთს სხვა ერის ქალების აღზრდაში არ არის ისე უდიერად და უგუნურად უარყოფილი დედაენა და ყველაფერი მშობლიური, როგორც ქართველი ქალების აღზრდა-სწავლაში, მეორე მხრით, არსად ნასწავლი ქალობა ისე დაქვეითებული არ არის, როგორც ჩვენში; ისინი მოკლებულნი არიან სულს, ადამიანურ აზროვნებასა, მაღალს მისწრაფებასა."

ასეთი ხალხის აღზრდისათვის თუ სკოლის ხელმძღვანელობას აბარებდა გოგებაშვილი, არც მათ აღმზრდელ დედებს უსვამდა თავზე ხელს და მათ "ველურ დედებს" ადარებდა.

გადაგვარებულ და უქნარა მაღალი წოდების ქალთაგან, თავის სასახლოდ, მუდამ ანსხვავებდა გოგებაშვილი დაბალი წოდების ქალს, "მაღალი წოდების ქალი ბევრად უკან ჩამორჩება ახლანდელს უბრალო წოდების ქართველ ქალსაც, რომელიც თავის სფეროში ძალაა და არა უძლურება."

ქართველ ნასწავლ ქალებს თავგამოდებით მოუწოდებდა იაკობ გოგებაშვილი, რომ "ყურადღება დაამყარონ საგნების გონივრულად შეთვისებას და მეცადონ ქართული ენის ლიტერატურის და ისტორიის საფუძვლიანს შეთვისებას." თუ ასე არ შეიარაღდებოდნენ ისინი, ვინმე მაკარიძის ქალივით დაღუპვას უწინასწარმეტყველებდა მათ. ამ მაკარიძის ქალს, იაკობ გოგებაშვილისავე თქმით, საშუალო განათლება მიღებული ჰქონია, პატიოსანი გზით შრომა სდომებია, მაგრამ რუსულ სკოლაში, როგორც ქართველისათვის, ადგილი არ მიუციათ, მშობლიური ენა ჯეროვნად არ სცოდნია და ულუკმაპუროდ დარჩენილს დამბაჩით მოუკლავს თავი. ზოგი ნასწავლი ქალი აცილებს მაკარიძის ქალის ბედსო, ამბობს გოგებაშვილი, მაგრამ უსახსრონი იძულებული იქნებიან: "გაჰყვნენ ცოლად პირველსავე მამაკაცსა, რომელიც კი მათ შერთვას ისურვებს და ხშირად ვარდებიან იმ ქვარს პირუტყვულს ცხოვრებაში, რომელიც სიკვდილზე ნაკლებს ბოროტებას არ შეადგენს." ქართული ენითა და ლიტერატურის ცოდნით შეიარაღებული ქართველი ქალი "ადვილად დაადგება პატიოსანს და

სასარგებლო შრომას, ადვილად იპოვნის დამოუკიდებელს სახსარს ცხოვრებისათვის."

გოგებაშვილი განათლებულ ქალებს მოუწოდებს მშრომელთა აღმზრდელ სკოლებში მუშაობისაკენ, სადაც "დიდად უჭირთ ერთგულნი მოღვაწენი. ამ გვარს მოღვაწეობას, ამ გვარის სამსახურს უმაწვილი და ნასწავლი ქალები უკეთესად გასწევენ, ვიდრე ვაჟები," უმეტესი ნაწილი ამერიკის სკოლებისა ქალების ხელშია – აღნიშნავს გოგებაშვილი და განაგრძობს: ჩვენშიაც შეუძლიათ ჩვენს ქალებს ასეთი საქმე გააკეთონ "და ამასთან დაიცვან საკუთარი დამოუკიდებლობა და თავისუფლება."

ასე ზრუნავდა ეს დიდი ადამიანი ქართველი ქალის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებაზე.

ი. გეგეჭკორი

გაზეთი "ინდუსტრიული ქუთაისი," 1940 წელი, 27 ოქტომბერი, № 251, გვ. 2.

იაკობ გოგებაშვილი და 1905 წელი



1905 წლის რევოლუციამ თუ ყველა შავ-ბნელი ძალები დააფრთხო, სამაგიეროდ ყველა პროგრესიული მოაზროვნენი აღაფრთოვანა და მომავლის იმედი გაუღვიძა. მშრომელთა მასის გულწრფელი მოსარჩლენი ცდილობდნენ ამ მოძრაობის მშრომელთა საკეთილდღეოდ გამოყენებას.

ჩვენი დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი უდიდესი სიხარულით შეეგება მუშათა მძლავრ მოძრაობას და შეეცადა ეს მოძრაობა თავისუფალი სკოლების შესაქმნელად გამოეყენებია. იგი გვევლინება არამარტო როგორც პროგრესიული მოაზროვნე უდიდესი პედაგოგი და თავისუფალი სკოლის მოტრფიალე, არამედ როგორც დიდი პოლიტიკური მოაზროვნე.

ცნობილია, რომ 1905 წლის რევოლუციის დროს ბევრი გატაცებული იყო. პარლამენტა-რიზმით. ზოგნი ღრმად არ უკვირდებოდნენ საკითხს, ზოგსაც კი პარლამენტარიზმი მშრომელთა თვალის ასახვევად უნდოდა და ამიტომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას ბედნიერებად სთვლიდნენ. პარლამენტარიზმით ამ საერთო გატაცების დროს იაკობ გოგებაშვილი ისტორიული ფაქტებით ამტკიცებს, რომ პარლამენტი ჩაგრულებს ბედნიერებას ვერ მოუტანს და დაპყრობილ ერებს კი პარლამენტი ტანჯვის მეტს არაფერს მისცემს. მაგალითისათვის იგი ეხება პარლამენტარიზმის ტიპიურ ქვეყანას – ინგლისს და წერს: "ირლანდია იმავე პარლამენტმა იმდენად შებორკა, იმ ზომამდე შეავიწროვა, რომ მცხოვრებთა რიცხვმა ერთი-ორად იკლო მასუკან, რაც ამ ეგრეთწოდებულ "ზურმუხტის

კუნძულზე" ინგლისის პარლამენტი გააბატონა." ასევე ჩაგრავს მცირე ერებს პრუსიის (გერმანია) პარლამენტი, ხოლო ფრანგების შესახებ წერს: "რა გვარათ ჩაგრავდა და ჩაგრავს თვით საფრანგეთის რესპუბლიკის დემოკრატიული პარლამენტი არაბულ ენასა და არაბულ სკოლას, ესეც ყველამ უწყის. მაგრამ ექნება ზოგმა მაინც არ იცოდეს, რომ ეს დემოკრატიული პარლამენტი ამაღიარებელი თანასწორობისა, ნებას არ აძლევდა და არც აძლევს ბრიტანელებს, თავის დასავლეთის მოძმეებს, რომლებიც ლაპარაკობენ კულტურულ ენაზე, ჰქონდეთ თავისი ეროვნული სკოლა." ამერიკის კონგრესის შესახებ ი. გოგებაშვილი ამბობს: "თუ ევროპიდან ამერიკას გადავალთ, იქაც ვიხილავთ რესპუბლიკის კონგრესის საშინელ ეგოიზმს. ამ კონგრესმა მიწასთან გაასწორა და თითქმის აღმოფხვრა ადგილობრივი წითელკანიანი ხალხები, რომლებიც უსათუოდ თავისებურ წვლილს შეიტანდნენ კაცობრიობის კულტურის სალაროში, სამართლიანობით რომ მოქცეოდა მათ შეერთებული შტატების კონგრესი."

ამის შემდეგ, სრულიად ბუნებრივია, რომ იაკობ გოგებაშვილი პარლამენტს სალაყბოს უწოდებს, "სადაც სოფისტურად მთავარი ერის წარმომადგენელთა მიერ მცირე ერების ცარცვა-გლეჯას, თავის ნციონალურს "რაზბოინიკობას," ავაზაკობას" და ი. გოგებაშვილს ღრმად სწამდა, რომ მეფის რუსეთის სახელმწიფო სათათბირო არავითარ სიკეთეს არ მოუტანდა ხალხს.

იაკობ გოგებაშვილის დიდბუნებოვნება იმით გამოიხატება, რომ ის არ ივიწყებს მშრომელთა ჩაგვრის ძირითად მიზეზს – სოციალურ უკუღმართობას და კვლავ იმეორებს ამის შესახებ ჯერ კიდევ 1881 წელს გამოთქმულს შემდეგ სიტყვებს: "კაცობრიობა ვერას გზით ვერ ეღირსება კეთილდღეობას და ნორმალურ კულტურულ განვითარებას, ვიდრე ძირიანად არ შეიცვლება აწინდელი წესწყობილება, რომლის წყალობით გამეფებულია ისეთი უდიდესი ნივთიერი უთანასწორობა, რომ ერთი მხარე ჰყარს სიმდიდრისაგან და მეორე – სიღატაკისაგან.

აი როგორი ფიქრებით შეეგება 1905 წლის რევოლუციას ჩვენი საამაყო პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი.

ი. გეგეჭკორი

**გაზეთი "სახალხო განათლება," 1954 წელი, 17 მარტი, № 11, გვ. 4.**

სკოლის დამსახურებულ მასწავლებელთა რიგებს გამოაკლდა სენაკის პედაგოგიური სასწავლებლის უხუცესი მასწავლებელი **ვალერიან** ივანეს ძე **გეგეჭკორი**, რომელიც ექვს ათეულზე მეტი წლის მანძილზე დაუცხრომლად ემსახურებოდა სახალხო განათლების

კეთილშობილურ საქმეს.

**ვალერიან გეგეჭკორი** დაიბადა 1843 წლის 15 აპრილს სოფელ მარტვილში. 1891 წელს მან დაამთავრა ქუთაისის პროგიმნაზია. 1892 წელს დაინიშნა მარტვილის ორკლასიან სასწავლებელში სიმღერის მასწავლებლად. **ვ. გეგეჭკორი** სენაკის პედაგოგიურ სასწავლებელში მუშაობდა ამ სასწავლებლის დაარსების პირველი დღიდან გარდაცვალებამდე.

ახალი თაობის აღზრდის საქმეში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის მას მიენიჭა საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება და დაენიშნა პერსონალური პენსია.

სახალხო განათლების ასპარეზზე ვალმოხდილი მხცოვანი მოღვაწისა და გულისხმიერი აღმზრდელ-მასწავლებლის **ვალერიან** ივანეს ძე **გეგეჭკორის** ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მის მადლიერ მოსწავლეთა და მრავალრიცხოვან მეგობართა შორის.

ამხანაგების ჯგუფი.

გაზეთი "სახალხო განათლება," 1956 წელი, 31 ოქტომბერი, № 44, გვ. 4.

გარდაიცვალა მოწინავე პედაგოგი და შესანიშნავი ადამიანი **ილია** ლუკას ძე **გეგეჭკორი**, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმწიკვლოდ ემსახურებოდა მოზარდთა თაობის აღზრდის საქმეს.

**ი. გეგეჭკორი** დაიბადა ქუთაისში 1895 წელს, ღარიბი მჭედლის ოჯახში. ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობს სხვადასხვა დაწესებულებაში და ამავე დროს ისმენს ლექციებს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში. შემდეგ ის შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელსაც 1936 წელს ამთავრებს.

ამ დროიდან **ი. გეგეჭკორი** იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი მუშაობს ქვემო ავჭალის საშუალო სკოლაში, შემდეგ თბილისის მე-40 და 93-ე საშუალო სკოლებში და ბოლოს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

**ილია გეგეჭკორი** 12 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის მოსწავლეთა სასახლის ქართული ლიტერატურის კაბინეტთან არსებულ მოძმე ხალხთა ლიტერატურის შემსწავლელი წრეების მუშაობას, სადაც ქართველ, რუს, სომეხ, აზერბაიჯანელ და სხვა ეროვნების ბავშვთა შორის ღრმად ნერგავდა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის დიად იდეებს. პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ფრონტზე თავდადებული მუშაობისათვის **ი. გეგეჭკორი**

დაჯილდოებული იყო მედლებით და სიგელებით.

ყურისხმიერი ადამიანისა და უნიჭიერესი პედაგოგის – **ილია გეგეჭკორის** ნათელი სახე მუდამ დარჩება მისი მეგობრებისა და აღზრდილების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

## გაზეთი "თბილისი," 1958 წელი, 30 მაისი, № 114, გვ. 2.

### როსტომისეული სასახლე

არქიტექტურული ძეგლებიდან თბილისში თითქმის სულ არ არის შემორჩენილი სასახლის ტიპის ნაგებობანი. ეს, რა თქმა უნდა, იმით როდი აიხსნება, თითქოს ასეთი ხასიათის შენობები არ იყო. პირიქით, არის ცნობები არა ერთი და ორი სასახლის არსებობის შესახებ, მაგრამ მტერთა ურიცხვი შემოსევის შედეგად ისინი დანგრეული და დამწვარია.

ყველაზე დაწვრილებითი ცნობები შემონახულია როსტომ მეფის (1632-1658წწ) მიერ აგებული სასახლის შესახებ. როსტომი ბავშობისას მძევლად წაუყვანიათ ირანს, სადაც მას მაჰმადიანობა მიუღია. ქართლში გამეფების შემდეგ იგი ცდილობდა გარეგნულად მაინც ირანული ადათ-ჩვეულების დანერგვას ქვეყანაში. სასახლეც აღმოსავლურ ყაიდაზე აუგია. ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილიც წერს: "როსტომმა თავისთავისათვის აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლე მტკვრის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა."

უკვე როსტომის სიკვდილის შემდეგ, ვახტანგ V-ის მეფობის დროს ფრანგმა მისიონერმა შარდენმა საქართველოში მოგზაურობისას ინახულა თბილისიც და აღწერა იგი. მის მიერ მოცემული ჩანახატი, ფაქტიურად ქალაქის უძველესი ხედია. შარდენმა, როგორც ჩანს, თავის "გეგმაზე" კონტურებით გადაიტანა და პირობითი ნიშნებითაც აღნიშნა იმდროინდელი თბილისის თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი არქიტექტურული ძეგლი. ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ შარდენის ჩანახატზე ამ თუ იმ ძეგლის ხედი ძალზე გავს იმ დროიდან დღემდე შემორჩენილი ნაგებობების, ანდა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ თბილისის გეგმაში კონტურებით მოცემულ ზოგიერთი შენობის ხედს. ასე, მაგალითად: სიონი, ანჩისხატი, ე. წ. ათეშგა, ვანქის საკრებულო და სხვა ნაგებობები ნამდვილად ჩახატულია ნატურიდან.

შარდენს მეტად დაწვრილებით, შუქ-ჩრდილებითაც კი ჩაუხატია როსტომის სასახლის ხედი: იგი გავს ვახუშტის მიერ ჩახატულ სასახლეს. ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ მასში სასახლის სახე რეალურად არის მოცემული. უშუალოდ სასახლის გამოსახულება სავსებით შეესაბამება შარდენის წერილობით აღწერასაც: "სასახლე უდაოდ ერთ-ერთი

უმშვენიერესი ნაგებობაა ქალაქში. აქ არის დიდი დარბაზები, რომელთა ფანჯრები გადაჰყურებს მდინარეს და დიდსა და მშვენიერ სასახლის ბაღს; აქ სასახლის გვერდით არის დიდი საფრინველეები, რომლებშიც სხვადასხვა ჯიშის მრავალი ფრინველია; მრავალი მწევარ-მეძებართა საძაღლეები და საუკეთესო საბაზიერო. სასახლის წინ მდებარეობს ოთხკუთხა მოედანი, რომელზედაც თავისუფლად მოთავსდება ათასი მხედარი. ის გარშემორტყმულია დუქნებით და ემიჯნება დიდ ბაზარს."

შარდენის ამ ცნობას ადასტურებს პლ. იოსელიანის მიერ გამოცემული სასახლის აღწერაც: "სასახლეს 65 საჟენი (1 საჟენი = 2, 134 მეტრს) სიგრძე ჰქონდა. მისი საძირკველი, აგურის სქელი კედლით, ამოყვანილი იყო უშუალოდ მტკვრის კლდოვანი ნაპირიდან. პირველი – ბნელი სართული, დაფუძნებული კლდეზე, მთლიანად გადახურული იყო აგურის თაღით და ასრულებდა სარდაფისა და მაცივრის დანიშნულებას. მეორე სართული – აღმოსავლეთით მიმართული, მღვიმისებური მაღალი ფანჯრებით, აგრეთვე თაღებით იყო გადახურული. კედლები შემკული იყო ნიგარებით, ქვებით, სარკეებით და ხის ტოტების მხატვრული გამოსახულებებით. აქ მოთავსებული იყო ამ სასახლის სიმდიდრე, ხალიჩები და სხვა. ამ ოთახებს "სალარო" ერქვა. მესამე მთავარი სართული – მეფის, დედოფლის და უფლისწულებისათვის იყო განკუთვნილი; იგი 32 დიდი და მცირე დარბაზისა და ოთახისაგან შედგებოდა.

...მეფის საჯინიბო ჩრდილოეთის მხარეს ებჯინებოდა და თავისი კვარცხლბეკით მდინარის კლდოვან ნაპირს ეკვროდა. სასახლის მოედანზე მარმარილოს შადრევანი იყო აღმართული... წყალი წავკისის მთებიდან იყო გადმოყვანილი. ორი მარმარილოს ლომი სასახლის ბაღის მოსარწყავად განკუთვნილი წყლის ორ ნაკადს ისროდა პირიდან. პატარა შენობაში მოწყობილი იყო აბანო, სადაც გოგირდის მინერალური წყალი იყო გაყვანილი თბილისის მინერალური წყლის სათავე აუზიდან... აბანოს იატაკი მთლიანად მარმარილოთი იყო დაგებული."

არსებობს ცოტაოდენი განსხვავება შარდენის და პლ. იოსელიანის აღწერილობებში, მაგრამ ეს განსხვავება თამამად შეიძლება მიეწეროს დროთა განმავლობაში წარმოებულ განახლებებით და სამშენებლო ხასიათის სამუშაოებს. შარდენის ცნობისმოყვარე თვალს არ გამორჩებოდა ორი ორსართულიანი ფლიგელი, მისი აქ ყოფნის დროს რომ უკვე აშენებული ყოფილიყო. სხვა ასეთი ხასიათის ცვლილებები შეიძლება ამავე მიზეზით აიხსნას.

ვახტანგ V-ს შემდეგ როსტომისეულ სასახლეში სხვა მეფეებსაც უცხოვრიათ და თავისი გემოვნების მიხედვით შეუკეთებიათ შენობა. კერძოდ, არსებობს ცნობები, რომ

ერეკლე II-ის დროს რუს ხელოსანს ერთ-ერთ დარბაზში ღუმელი აუგია და ამიტომ მას ღუმელის ოთახი ეწოდა.

შედარებით მცირე ცნობებია შემორჩენილი სასახლის შიდა ხედის შესახებ. შარდენმა აღწერა მეფის სასახლეში გამართული ქორწილი, რომელსაც იგი ესწრებოდა. მისი ყურადღება მიიპყრო მრავალმა ოქროსა და ვერცხლის სასმისმა და მდიდრულმა ჭურჭელმა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მას ერთი დარბაზის გარდა არაფერი უნახავს, ძნელია წარმოვიდგინოთ დარბაზების მორთულობა და სიმდიდრე. შესაძლებელია სწორედ ამ სიმდიდრემ მიიზიდა კრწანისის ომის შემდეგ (1795 წელი) აღა-მაჰმად-ხანის მეომრები, რომლებმაც ეს შესანიშნავი ნაგებობა გაძარცვეს, ააოხრეს და დაანგრიეს.

აქ (ერეკლეს მოედანზე), სადაც ოდესღაც როსტომისეული სასახლე იყო, (ამჟ. საქართველოს საპატრიარქოს ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს) სასახლის კომპლექსის ნაწილი დღემდე შემორჩენილი, ეს ზარაფხანა ყოფილა თურმე მოთავსებული.

ა. გეგეჭკორი.

თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერი მუშაკი.

## გაზეთი "შრომის დროშა," 1940 წელი, 9 მაისი, № 54, გვ. 4.

### ამჟამად შემოქმედებით შრომას ეწევიან

მეორე მსოფლიო ომში თავისი წვლილი შეიტანეს მარტვილის რაიონის სახელოვანმა შვილებმა. ისინი გმირულად იბრძოდნენ დიდსამშობლოს ყოველი მტკაველი მიწისათვის, არაერთი გმირის სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე, მაგრამ ბევრი მათგანი ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს.

ბრძოლის სახელოვანი გზა განვლეს ნაფაზაოელმა **გრიშა გეგეჭკორმა**, მარტვილელმა სარდიონ კვესელავამ და კურზუელმა ფოთე ახალაიამ. ისინი ამჟამად შემოქმედებითს შრომით საქმიანობას ეწევიან.

მ. ქიქავა

## გაზეთი "თბილისის უნივერსიტეტი," 1940 წელი, 20 ნოემბერი, № 35, გვ. 4.

ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა ჩვენი უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ბიბლიოთეკის გამგე, ფრანგული ენის მასწავლებელი **თინა** ნიკოლოზის ასული **გეგეჭკორი.**

**თინა** გეგეჭკორი დაიბადა 1917 წელს თბილისში, ცნობილი ფთიზიატრის პროფესორ **ნიკოლოზ გეგეჭკორის** ოჯახში.

1948 წელს თინამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ-ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ფრანგული განყოფილება და იმავე წელს სამსახური დაიწყო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში კლასიფიკატორად, შემდეგ კი გადაყვანილ იქნა მშობლიური ფაკულტეტის ბიბლიოთეკის გამგედ. აღნიშნული ბიბლიოთეკით სარგებლობენ პროფესორ-მასწავლებლები, ასპირანტები, თანამშრომლები და სტუდენტები. მათთან ურთიერთობაში იგი იჩენდა დიდ გულისხმიერებას.

**თინა გეგეჭკორი** იყო მაღალი კვალიფიკაციის ერუდირებული ადამიანი. ენერგიული და კეთილსინდისიერი მუშაკი, პირდაპირი ამხანაგი, აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წლების განმავლობაში **თ. გეგეჭკორი** იყო უნივერსიტეტის პროფესიულ კომიტეტთან არსებული ქალთა საბჭოს წევრი, ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიების ინიციატორი.

ყველა ჩვენთაგანისათვის დიდად გულდასაწყვეტია **თინა გეგეჭკორთან** სამუდამოდ განშორება. მისი ნათელი ხსოვნა მარად გაგვყვება დიდი ადამიანური სითბოს მოსაგონრად.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა,

დასავლეთ-ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

**გაზეთი "სახალხო განათლება," 1975 წელი, 18 ივნისი, № 46, გვ. 2.**

პროფესიის ერთგული კაცი

**რამზი გეგეჭკორს**, მხნესა და ხალისიან კაცს, ცხოვრების მიზნად ახალგაზრდობის აღზრდა გაუხდია. რუსთავის მე-16 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში უყვართ, დიდი თუ პატარა ცოდნასა და გარჯას უქებს.

**რ. გეგეჭკორი** მე-16 სასწავლებელში 15 წელიწადია მუშაობს. გუშინდელივით ახსოვს თავისი პირველი გაუბედავი ნაბიჯები საწარმოო სწავლების ოსტატს. მონდომებისა და დიდი ჯაფის მიუხედავად ხშირად ვერ იღებდა სასურველ შედეგს. თვითონაც ჯერ ისევ ყმაწვილს, უჭირდა გულისხმიერი საუბარი ახალგაზრდებთან. საერთო ენას გულდასმით ეძებდა, ყოველთვის კი ვერ პოულობდა. პირველი პური კეციაო, გაგონილი ჰქონდა, ამიტომ არ იტეხდა გულს. შრომას უმატებდა და მომავლისაკენ იმედის თვალით იცქირებოდა. გარჯაში დრო ჩქარა გადიოდა. ყოველ ახალ დღეს ახალი სიხარული მოჰქონდა. გამოცდილება უმრავლდებოდა, მუშაობა ადვილი და სახალისო ხდებოდა.

მე-16 სასწავლებელი 1966 წელს ქალაქის ახალ რაიონში გადაიტანეს. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ფრონტის ჯარისკაცმა სულგრძელად იტვირთა ახალმოსახლეობასთან დაკავშირებული თავისი წილი ჯაფანი. დაუზარელი ოსტატი ყველგან იყო და ყველაფერს

ასწორებდა. მეუღლეს, რომელიც ახლა ამავე სასწავლებელში მუშაობს, შვილების აღზრდაში შველოდა, სასწავლებლის კაბინეტ-ლაბორატორიებს მართავდა; პროფესიულ-ორიენტაციულ მუშაობაშიც პირველი იყო. ყოველი სასწავლო წლის დაწყების წინ მშობლიურ ჩოხატაურის რაიონს ფეხდაფეხ შემოივლიდა და ქართული ქიმიის სასახელოდ ახალგაზრდობაში მჩქეფარე მუშაობას ეწეოდა.

გ. კაპანაძე

## გაზეთი "სოფლის ცხოვრება" 1945 წელი, 19 ნოემბერი, № 243, გვ. 4.



გარდაიცვალა საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გარდაბნის მებოსტნეობის საცდელი სადგურის უფროსი მეცნიერი მუშაკი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი **მიხეილ** თადეოზის ძე **გეგეჭკორი.**

**მ. თ. გეგეჭკორი** დაიბადა 1905 წელს, მარცვილის რაიონის სოფელ ზედა ნაგვაზაოში, გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ ნაგვაზაოში, ხოლო საშუალო – თბილისში. 1931 წელს დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და დატოვებულ იქნა ასპირანტურაში. 1933–1936 წლებში მივლინებული იყო მოსკოვში (რუსეთის ფედერაცია) სასუქების და ნიადაგმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრებისთანავე 1936 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1937–1942 წლებში მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიის ლაბორატორიაში ასისტენტად, ხოლო 1943-დან 1949 წლამდე – ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ მუშაკად. 1949 წლიდან **მიხეილ გეგეჭკორი** მუშაობდა საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გარდაბნის მებოსტნეობის საცდელი სადგურის უფროს მეცნიერ მუშაკად.

**მ. თ. გეგეჭკორი** ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა მინდვრისა და ბოსტნეული კულტურების განოყიერების და სალექციის საკითხებზე. მის კალამს ეკუთვნის 32-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მის მიერ გამოყვანილი პამიდორის ახალი სასალათო ჯიში – "საიუბილეო (გ-2)" დიდ მოწონებას იმსახურებს და ფართოდ ინერგება წარმოებაში.

**მიხეილ გეგეჭკორი** იყო უმწიკვლო, გულისხმიერი მუშაკი. იგი თავის ცოდნასა და ენერგიას არ ზოგავდა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა აღსაზრდელად, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა ინსტიტუტისა და საცდელი სადგურის კოლექტივში. ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვებული იყო მედლებით და საპატიო სიგელებით.

სპეტაკი ადამიანის, ერუდირებული მეცნიერის მ. თ. **გეგეჭკორის** ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო,
მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,
გარდაბნის მებოსტნეობის საცდელი სადგური.

## უხვად რომ გვქონდეს პომიდორი

საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტის გარდაბნის მებოსტნეობის საცდელი სადგურის მრავალი წლის დაკვირვების შედეგად გამოიმუშავეს სასალათე პომიდორის ჯიშ "ბუდიონოვკას" მაღალი აგროტექნიკური ღონისძიებანი, მათ შორის აღსანიშნავია განოყიერების რაციონალური ხერხი, რაც ნაყოფის მოსავალს 50–80 პროცენტამდე ზრდის, ამავე დროს 4–5 დღით აჩქარებს სიმწიფეს და აუმჯობესებს ნაყოფის ქიმიურ შემადგენლობას (მშრალ ნივთიერებას ზრდის 1–1,5 პროცენტით).

ჩითილების რგვის დროს ორგანული, მინერალური სასუქების და მიკროელემენტ ბორაკის მცირე დოზების ნარევის გამოყენებით, ჭიგოზე აკვრითა და სხვლით საცდელ ნაკვეთზე პომიდორის მოსავალმა ჰექტარზე 700–800 ცენტნერს მიაღწია, წარმოებაში კი მოსავალი 500 ცენტნერი იყო.

როგორც აღრეული სეზონისათვის, ისე გვიან შემოდგომაზე მაღალხარისხოვანი სასალათე პომიდორის უხვი მოსავლის მოყვანისათვის ზრუნვა საკვალსათბურო მეურნეობიდან იწყება. ძლიერი და სტანდარტული ჩითილის გამოყვანა და მაღალკონდიციური თესლი უხვი მოსავლის მიღების წინაპირობაა..

კარგი და ხელსაყრელია პომიდორის აღრეული ჯიშების დანერგვა წარმოებაში. მაგრამ მარტო აღრეული ჯიშის მცირე მოსავლიანი პომიდორი, რომელიც ვეგეტაციას ამთავრებს 15–20 აგვისტოს, საკმარისი არ არის, საჭიროა ამავე დროს ყურადღება მიექცეს აგრეთვე პომიდორის საშუალო და საგვიანო ჯიშების დანერგვას წარმოებაში, საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ წლის ყველა სეზონში გვქონდეს პომიდორის ნაყოფი, განსაკუთრებით სასალათე პომიდორი. ვერც ერთი აღრეული ჯიში ვერ შეცვლის თბილისისა და რუსთავის ზონებში გავრცელებულ საშუალო-აღრეული პომიდორის ჯიშს – "ბუდიონოვკას," რომელიც კარგად ეგუება ამ ზონების კლიმატურ და ნიადაგურ პირობებს. საჭიროა ამ ჯიშის გავრცელება აგრეთვე პიდროპონიკურ მეურნეობაშიც, რომ სასალათე პომიდორი გვქონდეს ზაფხულშიც და ზამთარშიც.

მცენარე უნდა დაჩითილდეს მეჩხერად და გადაირგოს მინდვრად არა უადრეს 28–29

აპრილისა. ასეთი მოზრდილი ჯიშის პამიდორი ისე უნდა დაირგას, რომ რიგებს შორის მანძილი უდრიდეს 80 სანტიმეტრს. მცენარეთა შორის კი 70 სანტიმეტრს. დარგვის დროს ბუდნებში ან მწკრივში შეგვაქვს ორგანულ-მინერალური სასუქების და მიკროელემენტების ნარევი, სარწყავ პირობებში მთელი წლიური ნორმა. მინერალური და მიკროსასუქების ნარევი ერთ ბუდნაში შეგვაქვს 40 გრამის ანგარიშით (სუპერფოსფატი 3 გრამი, აზოტოვანი და კალიუმიანი სასუქები 6-6 გრამი). ამის მიხედვით ჰექტარზე ნავარაუდევია სუპერფოსფატი 600 კილოგრამი, ამონიუმის გვარჯილა 130 კილოგრამი, კალიუმქლორი 100 კილოგრამი და ბორაკი 3 კილოგრამი. განოყიერების ამ პირობებში მცენარე დარგვისთანავე უნდა მოირწყას, შემდეგ ირწყვება საჭიროებისამებრ. მოსავლის აღების პერიოდში კი რწყავენ ნაყოფის ყოველ მოკრეფის შემდეგ. ასევე დროულად უნდა აიკრას და გაისხლას. ჭიგოზე პირველი აკვრა ხდება 15-20 მაისიდან. მაისში ეცვლება ამონაყარები ისე, რომ ძირზე რჩება 1 ან 2 მთავარი ღერო. შემდეგი აკვრა და გასხლვა ტარდება საჭიროების მიხედვით, ქვედითი ნაზარდებისა და ზედმეტი ღეროების განმეორებით გამოღების პერიოდში. გასხვლისას მცენარის სიძლიერის მიხედვით მასზე ვტოვებთ 2-4-5 მთავარ ღეროს.

ნიადაგის გაფხვიერება და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა ეწყობა მორწყვის შემდეგ, როგორც სტიმულატორი და სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის კარგი ღონისძიება, შედეგიანია ბორდოს სითხე. ამ მხრივ დიდად ეფექტურია ცინების ხსნარის შესხურება ეს ხსნარები უნდა შესხურდეს 15-20 მაისიდან სამ-ოთხჯერ, მორიგეობით ყოველ 10 დღეში ერთხელ.

(მ. გეგეჭკორი – უხვად რომ გვქონდეს პამიდორი. გაზეთი "სოფლის ცხოვრება," 1965 წელი, 30 მაისი, № 126, გვ. 2.

მ. გეგეჭკორი, ა. კალანდაძე – სიახლე მებოსტნეობაში. გაზეთი "სამგორი," 1973 წელი, 27 დეკემბერი, № 149, გვ. 3).

გაზეთი "სახალხო განათლება" 1977 წელი, 8 მარტი, № 20, გვ. 3.

მზესავით მაღლა...

კოლხეთის დაბლობზე წარმომართული გრანდიოზულ დასახლებებს შორის გალი ჩიტის ბუდესავით პატარა მეჩვენება. ეს იქნებ იმიტომ არის, რომ ძალიან მიყვარს იგი, როგორც ნაფუძარი და როგორც ნააკვნარი. ამ ნააკვნართან ამოსულ ყვავილებს მინდა მოვეფერო, მივეალერსო და ამ დროს ზოგჯერ ჭინჭარი მიკბენს სრულიად უსაფუძვლოდ.

ეგ არაფერი, ნააკვნარი მაინც ნააკვნარია და მისი არ შეყვარება დანაშაულია საკუთარი სინდისის წინაშე. გალისა და გალელების სიყვარულმა ჩამიყვანა იმ დღეს გალში. შრომაში გამარჯვებულთათვის ჯილდოების გადაცემას დაემთხვა ჩემი ჩასვლა.

თურმე, შენი სახელიც ეწერა იმ დიდებულ ადამიანთა სიაში, **ირა გეგეჭკორი**, გალის მეოთხე საშუალო სკოლის მასწავლებელი... "საპატიო ნიშნის" ორდენმა იელვა შენს მკერდზე და რა თქმა უნდა, სახე გაგებადრა. ნორჩთა გულებისაკენ გზის გაკაფვა შეგძლებია, თუ არა ეს გზა, წყალშია ჩაყრილი უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა, წლების განმავლობაში ნაკითხული ლიტერატურა.

ესეც პოლიტიკური აღზრდის ერთ-ერთი მაგალითია, სკოლა, საზოგადოება, ოჯახი, აი, შენი მოქმედების ასპარეზი, შრომაში გამარჯვებულო.
ძნელად აღსაზრდელთა ჯგუფი ჩაგაბარეს თურმე. ეს წინასწარ-განზრახვით, პედაგოგიურ აქტივთან შეთანხმებით გაატარა დირექციამ. იმედი ჰქონდათ შენი და იმიტომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება.

გავიდა დრო და სული კალაპოტში ჩადგა, გამოსასწორებელი გამოსწორდა. რა ძალა, რა ენერგია გქონია შე დალოცვილისშვილო! არავითარი ყვირილი, არავითარი წყევლა-კრულვა არ გაუგონიათ ადამიანებს შენი პირიდან ამოსული. ადამიანობამ, დედაშვილურმა გრძნობამ, ბავშვებმა რომ დაინახეს, გაგამარჯვებინა.

ახლა გასავლელი გზა უფრო ნათელია, უფრო საიმედოა, თუმცა არც უკან მოხედვაა უსიამოვნო გრძნობების აღმძვრელი. სკოლა, ისევ სკოლა... სულ ამის შესახებ მელაპარაკები. ვიცი, ხუთასზე მეტი მოსწავლე და ორმოცდაათამდე მასწავლებელია თქვენს სკოლაში. თაობა, რომელმაც თქვენ და თქვენი კოლეგები ზრდით, ნამდვილად შექმნის ბედნიერ ცხოვრებას.

იპოლიტე გამსახურდია

(იპ. გამსახურდია – აღზრდის სამსახურში. გაზეთი "საბჭოთა აფხაზეთი," 1976 წელი, 30 დეკემბერი, № 256, გვ. 3).

გაზეთი "ლიტერატურული საქართველო," 1977 წელი, 2 დეკემბერი, № 50, გვ. 1.

შუა ანუ დიღმის კართან

ყოველ ქალაქს თავისი მომღერალი, თავისი აპოლოგეტი ჰყავს. ტოლედოს ელ გრეკოს სახელს უკავშირებენ, მავრებმა ანდალუზიის ქალაქები კორდოვა, გრანადა და სევილია (ქალაქები ესპანეთში). ვერ დაითვლება პარიზის (საფრანგეთი) თაყვანისმცემელი და

მომღერალი. გაიხსენეთ ვაშინგტონ ირვინგის წიგნი ნიუ-იორკზე (ამერიკის შეერთებული შტატები), ანდრე მორუას წიგნი პარიზზე, ჟორჟ როდენბახის წიგნი ბრიუგეზე (ბელგია)...

თბილისის სახელს ფილოსოფოსს უკავშირებენ. მაგრამ ფილოსოფოსის გარდა კიდევ ბევრი მომღერალი ჰყავდა.

მითუმეტეს, უნდა შეგვენარჩუნებინა როგორმე ძველი ქალაქი, შუასაუკუნეების ქალაქი, რომელსაც ყოველ ქვეყანაში თვალისჩინივით უფრთხილდებიან და თუ დანგრეულია, ზუსტად თავდაპირველი სახით აღადგენენ ხოლმე. ნაკრძალად უნდა გამოგვეცხადებინა და ისე უნდა გავფრთხილებოდით, როგორც ყოველი ერი უფრთხილდება წარსულის დიდებულ ნაშთს.

განა დასანგრევი იყო აბოს ნიში, ყველა თბილისელისათვის წმინდათაწმინდა ადგილი, სადაც მუდამ სანთელი ენთო. რომელი ქალაქი გაიმეტებდა ლურჯი მინანქრით მოჭიქულ მეჩეთს, რომლის სანახავად მაჰმადიანები შორეული ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ და მთელი მეჩეთის ყიდვა და გადატანაც კი უნდოდათ სპარსელებს. ეს მეჩეთი ხომ ერთიან ანსამბლს ქმნიდა და მეტეხს გაღმიდან უყურებდა. ამ მეჩეთში ღვთისმშობლის ქრისტიანული ხატიც კი ეკიდა და აბა, რომელ მეჩეთში ჰკიდია ქრისტიანული ხატი? განა დასანგრევი იყო ის ორი პატარა ხიდი, ანუ კოლორიტული... ერთი სიტყვით ისე უნდა მოგვევლო ამ უბნისათვის, როგორც უვლიან შუასაუკუნეების ქალაქებს ევროპაში.

ახლახან გამომცემლობა "ნაკადულმა" გამოსცა ისტორიკოს თეიმურაზ ბერიძის მეტად საინტერესო წიგნი, რომელშიც თავმოყრილია ისტორიული ცნობები ძველი თბილისის უბნების შესახებ. ამ წიგნში ვკითხულობთ, რომ ძველი თბილისი სამი ნაწილისაგან შედგებოდა. ეს სამი ნაწილი იყო თავად ტფილისი, კალა და ისანი. გარეთუბანში გამოდიოდა თბილისის ჩრდილო-დასავლეთ კედელში დატანებული სამი კარი – "კოჯრის", შუა ანუ დიღმის", და "ქვემო ანუ წყლის".

"შუა ანუ დიღმის" კარი თურმე დაახლოებით დღევანდელი პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩების შესაყარზე მდებარეობდა. სწორედ ამ კარის ნანგრევებია, ახლა რომ გარშემო მიწა მოუსუფთავეს და ყველას დასანახად დგას კოლმეურნის მოედნის (ამჟ. ორბელიანის მოედანი) გვირაბის ჩასასვლელთან ახლად შეკეთებული და სხვადასხვაფრად შეღებილი ძველი თბილისური აივნიანი სახლების წინ.

აქ, ამ სახლში ცხოვრობდნენ ნაღვლიანი და მხიარული თაობები, აქ ფეთქავდა და კვალს ტოვებდა გარდასული საუკუნეების ხან გამძაფრებული და ხან მოდუნებული პულსი. ჩვენთვის ძვირფასია პატარა ქუჩებისა და ქუჩაბანდების, კრამიტიანი სახურავების, ნესტიანი

და დამსხდარი ხელების უბრალო და ამაღლებული პოეზია.

ჩვენი ქალაქის წარსული წმინდათა-წმინდაა ჩვენთვის და თუ თბილისს ხვალაც ასე მოუვლიან და მის წარსულს არ წარმოაჩენენ, სასიქადულო იქნება როგორც დღევანდელი, ისე მომავალი თბილისელებისათვის.

გივი გეგეჭკორი

გაზეთი "დროშა," 1948 წელი, 29 აპრილი, № 52, გვ. 4.

მისი მეორე მშობლიური ენა



არიან ადამიანები, რომლებმაც მთელი თავიანთი ცხოვრება ბავშვთა აღზრდის საქმეს მოახმარეს. გასაკვირი როდია, რომ ისინი თავიანთ შეგნებული ცხოვრების აზრს სწორედ მათ სწავლა-აღზრდისათვის გაწეულ შრომაში ხედავენ. ასეთია **თამარ გეგეჭკორი**, რომელიც ამ საპატიო საქმეს სამ ათეულ წელზე ემსახურება.

ჩვეულებრივ სამართლიანად ამბობენ ხოლმე, კარგი მასწავლებელი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ვინც საფუძვლიანად არის დაუფლებული თავის საგანს, ფართოდ განათლებულია, უყვარს ბავშვები და ღრმად იცნობს მათ ბუნებას, პატივს სცემს მასწავლებლის პროფესიას და ზნეობრივად სანიმუშო, სამაგალითო მოქალაქეა. ამ კატეგორიის პედაგოგთა პლეადას მიეკუთვნება **თ. გეგეჭკორი**. იგი ახლოა ბავშვთან, აჯილდოებს მათ და მაცს ყურადღებას უნარიანად წარმართავს ცოდნის შეგნებულად ათვისებისათვის და როგორც აღმზრდელმა, მასწავლებელმა, საყოველთაოდ აღიარებით პედაგოგიური ოსტატობის მწვერვალს მიაღწია.

... გეგმაშეწონილი, თანმიმდევრული, ბეჯითი და გონიერი მუშაობის შედეგად **თამარ გეგეჭკორმა** გულრიფშის რაიონის სოფელ ქვემო ბაბუშარის რვაწლიანი სკოლა თანამედროვე მოთხოვნილებათა მიხედვით რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების სანიმუშო კერად აქცია. დასახელებული სკოლა ამ დარგში საუკეთესო სახელსა და ღირსებას ინარჩუნებს. გულრიფშის რაიონში და მის ფარგლებს გარეთაც. ამიტომ არის, ყველა მოწინავე სკოლა, რუსული ენის და ლიტერატურის მოწინავე მასწავლებელი ცდილობს მიჰბაძოს თამარს, მიიღოს მისგან რჩევა-დარიგება.

როცა ამ დამსახურებაზეა ლაპარაკი, მხედველობაში გვაქვს საქმის პრაქტიკული მხარე და თეორიული ასპექტები. მთელი ის საქმიანობა, რასაც რუსული ენის სწავლების სრულყოფილად დანერგვისათვის ეწევა **თამარ გეგეჭკორი**, მეცნიერული, თეორიული გზით არის გააზრებული და დასაბუთებული. მოსწავლეებში ინტერნაციონალური სულისკვეთების

განსაკუთრებულად **თ. გეგეჭკორი** ხშირად ატარებს საუბრებს. მათ აცნობს ჩვენი ხალხის ეროვნულ ტრადიციებს.

**თამარ** ანდრიას ასულ **გეგეჭკორს** თმაზე ვერცხლისფერი შეეპარა, მაგრამ სკოლისა და ნორჩების გარეშე არ შეუძლია სიცოცხლე. მან კარგად იცის, რომ ბავშვები ჩვენი ხვალინდელი დღეა. მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში თავდადებულმა შრომამ თამარს დიდი ნდობა მოუპოვა. სწორედ ამიტომაა, რომ მის მკერდს მთავრობის მრავალი ჯილდო ამშვენებს. ვინ იცის რამდენი ქების სიგელი და ფასიანი საჩუქარი მიუღია, მაგრამ მისთვის ყველაზე დიდ ჯილდოს აღზრდილების სიყვარული წარმოადგენს.

დ. დადიანი

**(თ. აკობია – ამაგდარი. გაზეთი "დროშა," 1945 წელი, 18 დეკემბერი, № 151, გვ. 3).**

## გაზეთი "ახალი კოლხეთი," 1949 წელი, 23 იანვარი, № 9, გვ. 3.

### ვალმოხდილი ძმები

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, 11 საბრძოლო და შრომითი წარჩინების მედლის კავალერს **ო. გეგეჭკორს** თავის ავტობიოგრაფიულ ნუსხაში არაერთი ღირსსახსოვარი ამბავი აქვს შეტანილი. 1940 წლის უღრუბლო შემოდგომაზე ფოთიდან ერთ ნავში 54 ახალგაზრდა გაუწვევიათ არმიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად. მათ შორის იყო **ოთარ გეგეჭკორი.**

ჯერ ესტონეთის ქალაქ ვოლკავიშკში ფორმირებულ მე-8 არმიაში გაუმწესებიათ, ხოლო შემდეგ – **ო. გეგეჭკორი** გაუგზავნიათ რიგის (ლატვია) საავიაციო სასწავლებელში, რომლის დამთავრებისთანავე ომიც დაიწყო და **ოთარ გეგეჭკორი** ქალაქ ტარტუს (ესტონეთი) 65-ე საავიაციო ესკადრილიაში მოხვედრილა სინოპტიკოსად. ესკადრილიას ევალებოდა კავშირი დაემყარებინა არმიებს შორის და ამასთანავე, ღამით დაებომბა მტრის წინა ხაზის განლაგებანი.

მტრის ჯარის ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში ჩვენს ნაწილებს განკარგულება მიეცათ შეგროვილიყვნენ ესტონეთის დედაქალაქ ტალინში და ბალტიის ზღვაზე გემებით სასწრაფო ევაკუირება მოეხდინათ ლენინგრადში (ამჟ. სანკტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია). რამდენიმე გემიდან მხოლოდ ერთ ჩავიდა იქ. ამ გემზე იყო **ო. გეგეჭკორიც.**

განაწილების მიხედვით იგი მე-13 საავიაციო არმიის შტაბს სწვევია, სადაც შეხვედრია პოლიტგანყოფილების უფროსს გენერალ ა. შანშეშვილს, რომელიც კარგი დახასიათების მქონე ქართველი მეომარი, უფროსი სერჟანტი. გენერალი გულთბილად გამასპინძლებია ოთარს და გაუგზავნია იგი ლენინგრადის კომენდანტის აეროდრომზე მეტეოსადგურის

უფროსად. ამ აეროდრომზე განლაგებული იყვნენ მოიერიშე და ბომბდამშენი პოლკები, აგრეთვე მოიერიშე თვითმფრინავების ამწყობი ბაზა. მთელი შემადგენლობა მხარში ედგა ოთარს და საჭირო თადარიგს უწევდა, ხოლო გენერალი ყოველ მისვლისას კითხავდა, როგორ მიმდინარეობდა სამსახური, ხომ არ ჭირდებოდა რაიმეში დახმარება.

ლენინგრადის ბლოკადის მძიმე პერიოდში მეომრები უაღრესად დიდ მამაცობას, სიმტკიცეს და გამბედაობას იჩენდნენ, რთულ საბრძოლო გარემოცვაში სადღეღამისო სამსახურმა **ოთარ გეგეჭკორი** დროებით მწყობრს ჩამოაშორა და ოთხი თვე ჰოსპიტალში მკურნალობდა. შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა თავის ნაწილს და პირნათლად ასრულებდა მხედრულ მოვალეობას.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ო. **გეგეჭკორი** სხვადასხვა წლებში მუშაობდა მეზღვაურთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ, ნავსადგურის, ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხნის, საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ექსპლუატაციის განყოფილების უფროსად.

სამშობლოს წინაშე ასევე ღირსეულად მოიხადა ვალი ოთარის უმცროსმა ძმამ ვახტანგმა, რომელიც არმიაში გაწვევამდე ჯერ კოლხეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მოწინავე ხარატი იყო, ხოლო შემდეგ სევასტოპოლიდან (უკრაინა) ევაკუირებულ გემთმშენებელ ქარხანაში მუშაობდა.

ვახტანგი იბრძოდა მე-5 სატანკო არმიის მე-20 კორპუსის 53-ე ბრიგადაში. ის იყო დაზგის ტყვიამფრქვევის № 1 მეომარი და მისაბაძი მებრძოლი, რომელიც დაჯილდოებული იყო მედლით "მამაცობისათვის" და წითელი ვარსკვლავის ორდენით. 1944 წლის 2 ნოემბერს ვახტანგი ლატვიის მიწაზე ქალაქ ლიბავსკუასთან გამართულ ბრძოლაში მამაცურად დაეცა.

ეს სამწუხარო ამბავი ყველაზე ადრე არმიაში მყოფ ოთარს გაუგია, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ სამხედრო კომისარიატიდან შეიტყვეს მამამ და დამ, მაგრამ დედისათვის ის ბოლომდე გაუმხელელი დარჩა. ამით მათ – შინმოუსვლელმა ღიმილის ბიჭმა – უჭკნობი დიდების გვირგვინი დაიდგა.

კ. კომახიძე

გაზეთი "ქუთაისი," 1979 წელი, 24 მაისი, № 100, გვ. 2.

მამაცი მებრძოლი

იგი დაიბადა ქალაქ სოჭში (რუსეთის ფედერაცია), დაბა მარტვილიდან ბედის საძიებლად წასული მუშა-კაცის **როდენ** ცოციას ძე **გეგეჭკორის** ოჯახში. სოჭის ქართული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უმაწვილი ევგენი იწყებს მუშაობას რძის კომბინატში



მცვირთავი მყშიდან და დაიწყო ცხოვრების სარბიელზე გამოსვლა, შრომისადმი კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ იგი გახადა აქტიური საზოგადო მოღვაწე. 25 წელია ბაქოში (აზერბაიჯანი) ცხოვრობს და მოღვაწეობს ჩვენი სახელოვანი თანამემამულე **ივანე** რაჟდენის ძე **გეგეჭკორი**, რომლის ბიოგრაფიის ყოველი ფურცელი აღსავსეა სამშობლოსადმი წრფელი სიყვარულით, მაღალი საშემსრულებლო დისციპლინით, საკუთარი თავისადმი დიდი მომთხოვნელობით, დიდი მოქალაქეობრიობით.

18 წლის ჭაბუკი არმიის რიგებში გაიწვიეს. იგი წარმატებით სწავლობდა უმცროს პოლიტხელთა კურსებზე. ამ დროს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. გულანთებულ მებრძოლს არასოდეს დაავიწყდება 1942 წელი როცა ლეიტენანტის წოდებით ფრონტული ცხოვრება დაიწყო და როგორც 51-ე მსროლელი დივიზიის, 214-ე საარტილერიო ბატარეის კომისარმა თავი გამოიჩინა შეუპოვრობით, საზრიანობით, თავგანწირვით... ერთი წლის შემდეგ 38-ე მსროლელი დივიზიის 214-ე საარტილერიო პოლკის ორგანიზატორად გადაიყვანეს, მალე ამ დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწეა. ვისაც კი ბრძოლებში უნახავს **ივანე გეგეჭკორი**, განცვიფრებას ვერ მალავს მისი მხედრული ნიჭით, რამაც არა ერთხელ მოუტანა გამარჯვება ფაშისტ დამპყრობლებთან შეტაკებაში, იგი ყველგან, ყირიმის პირველ და მეორე ფრონტებზე, კურსკის (რუსეთის ფედერაცია) შვერილზე, კიევის (უკრაინა) მისადგომებთან გამოირჩეოდა, როგორც ერთ-ერთი სწორუპოვარი მებრძოლი. ნიჭიერი პოლიტმუშაკი ულევი სიყვარულით სარგებლობდა მეგობრებში, სიტყვით და საქმით გმირობისა და თავდადების მაგალითს უჩვენებდა თანამებრძოლებს.

ქართველი ოფიცერი ორჯერ დაიჭრა ფრონტზე, მაგრამ ბრძოლის ველი კი ერთხელაც არ მიუტოვებია. დამთავრდა ომი და **ი. გეგეჭკორმა**, რომლის მკერდს ამშვენებდა დიდი სამამულო ომის მეორე ხარისხისა და ორი წითელი ვარსკვლავის ორდენები, მედლები, გამოცხადებული აქვს უმაღლესი მთავარსარდლის მრავალი მადლობა. კაპიტნის წოდებით სწავლა განაგრძო მოსკოვის (რუსეთის ფედერაცია) სამხედრო იურიდიულ აკადემიაში. აკადემიის დამთავრების შემდეგ **ი. გეგეჭკორს** ლენინგრადის (ამჟ. სანკტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია) სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებლის ფილოსოფიის მასწავლებლად გზავნიან. 1955 წელს ბაქოში გადმოჰყავთ, ჯერ კასპიის ფლოტილიის პოლიტგანყოფილების ლექტორია, ხოლო 1960 წლიდან – უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის უფროსი მასწავლებელი. 1962 წელს მას მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. 1969 წელს

**ევგენი გეგეჭკორმა** დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო 1971 წელს მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება. მის კალამს ეკუთვნის 50-ე გამოქვეყნებული ნაშრომი.

ასე იცნობენ და აფასებენ აზერბაიჯანში ჩვენს თანამემამულეს, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტს და კეთილშობილ მოქალაქეს **ევგენი გეგეჭკორს**.

გ. იოსებიძე

**(წყალტუბოს საქალაქო გაზეთ "დროშის" ყოფილი პასუხისმგებელი მდივნის მურთაზ კანკაძის სტატია – სახელოვანი თანამემამულე. გაზეთი "შრომის დროშა," 1978 წელი, 26 დეკემბერი, № 154, გვ. 3).**

**გაზეთი "თბილისი," 1982 წელი, 11 მაისი, № 110, გვ. 4.**



გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული გეოლოგი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი **ლეონიდე** არკადის ძე **გეგეჭკორი**. დაიბადა 1908 წელს თბილისში. 1931 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი და იმ წელს დაიწყო მუშაობა ამიერკავკასიის სამთო-გეოლოგიური ტრესტის პარტიის უფროსად.

მეორე მსოფლიო ომის წლებში მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1946 წლიდან მუშაობდა მარმარილოს დამამუშავებელი ქარხნის დირექტორად, ხოლო შემდეგ ტრესტ "კავკასნახშირგეოლოგიის" განყოფილების გამგედ. შემდეგ იყო ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გეოლოგიური საძიებო კანტორის უფროსი, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს გეოლოგიურ საძიებო კანტორის მთავარი ინჟინერი.

სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ადამიანის **ლეონიდე გეგეჭკორის** ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგების და მეგობრების გულში.

საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო,
სამთო გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების საწარმოო სამმართველო

**გაზეთი "სოფლის ცხოვრება," 1986 წელი, 31 აგვისტო, № 202, გვ. 4.**

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული აგრონომი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი **ალექსანდრე** არკადის ძე **გეგეჭკორი** დაიბადა 1910 წელს. 1936 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

1935 წლიდან მუშაობას იწყებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის სისტემაში. ჯერ იყო მარნეულის, შემდეგ კი ასურეთის (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) მარცვლეული კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო ნაკვეთის გამგე.

მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, საიდანაც დაბრუნდა II ჯგუფის ინვალიდი. საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა 2 საბრძოლო ორდენით და 5 მედლით.

სოფლის მეურნეობის დარგში ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი მუშაობისათვის არაერთხელ იყო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე.

სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი **ალექსანდრე გეგეჭკორის** ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს შორის.

სახაგრომრეწვთან არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების
ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის ინსპექცია



**გაზეთი "თბილისი," 1990 წელი, 24 თებერვალი, № 47, გვ. 4.**

გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერი **გიორგი** თომას ძე **გეგეჭკორი.** დაიბადა 1904 წელს. დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

მუშაობდა ტრესტ "საქჩაიში", ფაბრიკების მთავარ ტექნოლოგად და დირექტორად, სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკად. მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები.

ღვაწლმოსილი მუშაკისა და ღირსეული მოქალაქის **გიორგი გეგეჭკორის** ხსოვნა დარჩება მის თანამოსაქმეთ და ახლობლების გულში.

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ
გამოკვლევათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

**ჟურნალი "უცხოური ენები სკოლაში," 1990 წელი, № 3, გვ. 91-93.**

ვალმოხდილი, დამსახურებული



თბილისში, ჩიტაძის ქუჩის თავში დგას ერთი ჩვეულებრივი შენობა, სადაც ამ 125 წლის წინათ ბინა დაიდო წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელმა. მას შემდეგ სასწავლებელმა მრავალჯერ იცვალა სახელწოდება, შინაარსით კი იგივე რჩებოდა – მაღალ უშრეტად

ჩქეფდა სახელოვან პედაგოგთა აღმზრდელობითი მოღვაწეობა. დღეს ამ უხნესი სკოლის კედლებში ინგლისური ენის სპეციალური სწავლების თბილისის 47-ე საშუალო სკოლა შესანიშნავ პედაგოგთა კოლექტივით განაგრძობს სასწავლებლის სახელოვან ტრადიციას.

**თინათინ** იასონის ასული **გეგეჭკორი** სრულიად ახალგაზრდა შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ინგლისური ენა ბავშობიდანვე შეუთვისებია, შეუყვარებია, პედაგოგობა კი ალბათ დედისაგან მიიღო მემკვიდრეობით და აი ქალბატონი **თ. გეგეჭკორი** ერთგულად და უანგაროდ ემსახურება ამ მეტად საპატიო პასუხსაგებ საქმეს. 1934 წლიდან 56 წლის განმავლობაში ამ გზით იარა უმწიკვლოდ. ეს მან შეძლო თავისი პატიოსანი შრომით. დღიდან გაღრმავებული სწავლების შემოღებისა თინათინი სათავეში ჩაუდგა 47-ე საშუალო სკოლას. იგი დაინიშნა დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

**თინათინ გეგეჭკორმა** 1962 წლიდან სკოლაში საფუძველი ჩაუყარა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას გაკვეთილებზე. სკოლაში მაღალ დონეზე იდგა კლასგარეშე წრეების მუშაობა. ქალბატონი თინათინი სათავეში ედგა დიდ პედაგოგიურ საქმიანობას. მისმა თანმიმდევრულმა და დაუზარელმა შრომამ მრავალი ჯილდო მოუტანა სკოლას როგორც რესპუბლიკაში, ისე მის გარეთ.

ამ წარმატებაში სკოლის კოლექტივთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის სასწავლო ნაწილის გამგეს, ინგლისური სწავლების ხელმძღვანელს **თინათინ გეგეჭკორს.**

**თ. გეგეჭკორი** არის ინგლისური ენის გაღრმავებული სწავლების სახელმძღვანელოს ავტორი. **თინა გეგეჭკორმა** ორი ათეული წელი უხელმძღვანელა სკოლაში ინგლისური ენის სწავლებას. სიახლეების დანერგვა პროგრამული მასალის შეთვისებასა თუ მეთოდიკურ წვრთნაში პირველად 47-ე სკოლაში ხდებოდა. იგი მაგალითის მიმცემი იყო სხვა სკოლებისათვის, რომლებიც ჩვენს გამოცდილებას ეცნობოდნენ. ჩვენი სკოლის მასწავლებლებში ყველას დაუზარლად უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. ეს შესანიშნავი ტრადიცია ქ-ნ **თ. გეგეჭკორის** დიდი დამსახურებაა. ამ ვალმოხდილ პედაგოგს დიდი სიყვარულით იგონებენ მისი კოლეგები და მოსწავლეები.

ვენერა წვერავა

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდისტი

ლუიზა დუნდუა

თბილისის 47-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

**(ნ. ახობაძე – ასე გრძელდება დღენიადაგ. გაზეთი "სამშობლო,"**

**1991 წელი, 12 მარტი. № 5. გვ. 5).**

გაზეთი "თბილისი," 1990 წელი, 11 მარტი, № 57, გვ. 6.



ქართველ მშენებელთა ოჯახს გამოაკლდა შესანიშნავი სპეციალისტი და ორგანიზატორი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, მომხიბვლავი პიროვნება **მარლენ (ოთარ)** ნიკოლოზის ძე **გეგეჭკორი**. იგი დაიბადა 1924 წელს.

თბილისის რკინიგზის საინჟინრო-სატრანსპორტო ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა ქალაქ კრასნოდონში (ლუგანსკის ოლქი, უკრაინა) "კრასნოდონშახტმშენის" უფროს ინჟინრად. 1953 წლიდან მთელ რიგ საპროექტო-სამშენებლო ინსტიტუტებში ეკავა წამყვან ინჟინერ-კონსტრუქტორის თანამდებობა, ხოლო 1963 წელს იგი დაინიშნა "საქვაჭრობპროექტის" მთავარ ინჟინრად და დირექტორად. 1984 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო კანტორას.

სპეტაკი, უმწიკვლო მუშაკის, თავმდაბალი ადამიანის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი თანამოსაქმეების და მეგობრების გულში.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველო.

გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა," 2003 წელი, 2 სექტემბერი, № 233, გვ. 3.

გალის რაიონის 32 ქართულ სკოლაში სწავლა დაიწყო

სოხუმის ხელისუფლების იურისდიქციას დაქვემდებარებულ გალის რაიონის ტერიტორიაზე ახალი სასწავლო წელი 32 ქართულ სკოლაში დაიწყო, სადაც დღეიდან 326 პირველკლასელი შეუდგა სწავლას.

გალის რაიონის ქართულ ადმინისტრაციის განათლების განყოფილების გამგის **მერი გეგეჭკორის** ინფორმაციით, გალის რაიონის ტერიტორიაზე დღეისთვის 29 საშუალო, 2 არასრული და ერთი დაწყებითი სკოლა ფუნქციონირებს და მათში 4000 მოსწავლის სწავლა-აღზრდას 400-მდე პედაგოგი ემსახურება. მისივე ინფორმაციით, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებამდე გალის რაიონში 58 სკოლა ფუნქციონირებდა, სადაც 14000 მოსწავლის აღზრდას 1800 პედაგოგი ემსახურებოდა.

ჟურნალი "მებრძოლი საქართველო," 2006 წელი, 26 მაისი, № 36, გვ. 63.

საუკუნე იყოს ხსენება მისი

ქალბატონი **მართა გეგეჭკორი**-სტურუასი დაიბადა საქართველოში 1910 წელს,

გარდაიცვალა 2005 წელს, პარიზში (საფრანგეთი) და დაკრძალულ იქნა ლევილის ფრანგულ-ქართულ სასაფლაოზე.

**მართა გეგეჭკორი**-სცურუასი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის – **ევგენი გეგეჭკორის** – ქალიშვილი.



ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებში 1910-1917 წლებში სხვებთან ერთად იყვნენ:

გეგეჭკორი **პეტრე** კონსტანტინეს ძე, საზოგადოების თბილისის განყოფილების ნამდვილი წევრი 1910წლიდან.

გეგეჭკორი **ვლადიმერი**, საზოგადოების ფოთის განყოფილების წევრი 1913 წლიდან.

გეგეჭკორი **ოლღა** ფილიპეს ასული, საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრი 1913 წლიდან.

გეგეჭკორი **გრიგოლ** ალექსანდრეს ძე, საზოგადოების წევრი 1914 წლიდან.

გეგეჭკორი **ნიკო**, საზოგადოების წევრი 1914 წლიდან.

გეგეჭკორი **ალექსი** სამსონის ძე, საზოგადოების არმავირის (ამჟ. როსტოვის ოლქი, რუსეთის ფედერაცია) განყოფილების წევრი 1915 წლიდან.

გეგეჭკორი **კონდრატე** ნესტორის ძე, საზოგადოების სენაკის განყოფილების ნამდვილი წევრი 1915 წლიდან.

გეგეჭკორი **სიმონ** იორდანეს ძე, საზოგადოების სამტრედიის განყოფილების წევრი 1915 წლიდან.

გეგეჭკორი **არკადი** ალექსანდრეს ძე, საზოგადოების ნამდვილი წევრი 1916 წლიდან.

გეგეჭკორი **ერმილე**, საზოგადოების სამურზაყანოს (გალის რ-ნი) განყოფილების წევრი 1916 წლიდან.

გეგეჭკორი **ესტატე** ნიკოს ძე, საზოგადოების სამურზაყანოს განყოფილების წევრი 1916 წლიდან.

გეგეჭკორი **ვალერიან** ივანეს ძე, საზოგადოების სენაკის განყოფილების ნამდვილი წევრი. 1916 წლიდან.

გეგეჭკორი **ილია** ივანეს ძე, საზოგადოების სამურზაყანოს განყოფილების წევრი 1916 წლიდან.

გეგეჭკორი **მარიამ** დავითის ასული, საზოგადოების ნამდვილი წევრი 1916 წლიდან.

გეგეჭკორი მელ. კონსტანტინეს... საზოგადოების სამურზაყანოს განყოფილების წევრი 1916 წლიდან.

გეგეჭკორი **ოლღა** სპირიდონის ასული, საზოგადოების სამურზაყანოს განყოფილების წევრი 1916 წლიდან.

გეგეჭკორი ს. საზოგადოების კავკავის (ამჟ. ვლადიკავკაზი,ოსეთი, რუსეთის ფედერაცია) განყოფილების ნამდვილი წევრი 1916 წლიდან.

**გეგეჭკორი ირაკლი** ბაქარის ძე, საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრი 1917 წლიდან.

**გეგეჭკორი კლიმენტი** ნესტორის ძე, საზოგადოების სენაკის განყოფილების ნამდვილი წევრი 1917 წლიდან.

**გეგეჭკორი კონსტანტინე**, საზოგადოების სამურზაყანოს განყოფილების წევრი 1917წლიდან.

**გეგეჭკორი პარასკევა** იაკობის ასული, საზოგადოების სენაკის განყოფილების ნამდვილი წევრი 1917 წლიდან.



**გეგეჭკორი გიორგი** მერაბის ძე დაიბადა 1861 წელს სამეგრელოში, სოფელ მარტვილში მრავალშვილიანი გლეხის ოჯახში. ადრიანად დაობლებულმა გიორგიმ თავისი ცხოვრება სიყრმიდანვე ეკლესიასა და ღვთის სამსახურს დაუკავშირა. მან წარჩინებით დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი, რის შემდეგაც იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე), რომელიც იმ პერიოდში სამეგრელოს ეპარქიასაც განაგებდა, ახალგაზრდა გიორგი მარტვილის ტაძარში მედავითნედ განაწესა.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში გიორგი დაქორწინდა ეკატერინე ქავთარაძეზე და მათ სამი ვაჟი – ვლადიმერი, გრიგოლი და ნიკოლოზი შეეძინათ.

1886 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლ დადიანმა იგი დიაკვნად აკურთხა და ფოთის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის კრებულში დაადგინა. ამ ხარისხში მან 16 წელი იმსახურა და საზოგადო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

1900 წლის 5 ნოემბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ფოთის საკათედრო ტაძარში დიაკონ გიორგის მღვდლად დაასხა ხელი და ამავე ტაძრის კრებულში დანიშნა; ახლად ნაკურთხი მოძღვარი ეპისკოპოსმა ალექსანდრემ დალოცა და სამკერდე ვერცხლის ჯვარითაც დააჯილდოვა.

1901 წელს მეუფე ალექსანდრემ მამა გიორგი საგვერდულით, ხოლო 1904 წლის 12 თებერვალს ეკლესიაში ერთგული და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დააჯილდოვა;

1905 წელს მღვდელი გიორგი გურია-სამეგრელოს ეპარქიის სანთლის ქარხნის წევრად აირჩიეს; ამავე წელს 1 მარტს მას სკუფია უბოძეს და 1909 წლის 6 მაისს კამილავკა

უწყალობეს; 1913 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დააჯილდოვეს.

1910 წელს გახდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების ნამდვილი წევრი.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში მამა გიორგის დეკანოზის წოდება მიენიჭა და ჭყონდიდის ეპარქიის მარტვილის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. დეკანოზი გიორგი, როგორც ერთ-ერთი უხუცესი და გამოცდილი მოძღვარი, დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა. იგი, როგორც ჭყონდიდის ეპარქიის დელეგატი ესწრებოდა საეკლესიო კრებებს და აქტიურად მონაწილეობდა საეპარქიო საქმეებში.

1926 წლის 9 მარტს დეკანოზ გიორგის თავმჯდომარეობით შეიკრიბა ჭყონდიდის საეპარქიო კრება, რომელზეც განიხილეს 1921 წელს გელათში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კრებაზე მიღებული ერთ-ერთი საკითხი, რომლის თანახმადაც ჭყონდიდის ეპარქიის მმართველს ჩამოერთვა მიტროპოლიტის პატივი. სამწყსო მოითხოვდა უფლებების აღდგენას, რადგან უძველესი დროიდან, როდესაც საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია დაყოფილი იყო 35 ეპარქიად, ჭყონდიდელ მიტროპოლიტს პირველი ადგილი ეკავა კათოლიკოს-პატრიარქის შემდეგ. კრებამ დაადგინა: ეთხოვოს სრულიად საქართველოს საეკლესიო საბჭოს რწმენის აღდგენის ხანაში დაუბრუნდეს ჭყონდიდის კათედრას მიტროპოლიტის პატივი.

დეკანოზი **გიორგი გეგეჭკორი** 1930 წლის 20 მაისს მშობლიურ სოფელში, საკუთარ სახლში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა და დაკრძალულია მარტვილის საკათედრო ტაძრის ეზოში.

**(ლ. ტოგონიძე, გ. მაჩურიშვილი – XVIII-XX საუკუნეებში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა, 2012 წელი, გვ. 230).**



**გეგეჭკორი ვლადიმერ (ლადო)** გიორგის ძე დაიბადა 1888 წლის 14 მაისს მარტვილში. მისი მეუღლე იყო საქართველოს დამსახურებული პედაგოგი თამარ გელოვანი. ცოლ-ქმარი მოღვაწეობდა ბაქოში (აზერბაიჯანი). ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ბაქოს თეატრის სპექტაკლებში. მეუღლესთან ერთად **ლადო გეგეჭკორი** 1915 წლიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილების წევრი იყო და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოების საქმიანობაში.



**გელოვანი-გეგეჭკორი** თამარ ასლანის ასული (ნინინა) დაიბადა 1893 წელს. მან დაამთავრა წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის ქალთა გიმნაზია. გათხოვდა რა **ვლადიმერ** გიორგის ძე **გეგეჭკორზე**, საცხოვრებლად გადავიდა ქალაქ ბაქოში, სადაც დაწყებით სკოლაში პედაგოგად მუშაობდა. ცოლ-ქმარი აქტიურად მონაწილეობდნენ ბაქოს თეატრის სპექტაკლებში. ქალბატონი თამარი გახლდათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილების წევრი 1915 წლიდან და აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოების საქმიანობაში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი რუსული ენის და ლიტერატურის განხრით. იგი იყო საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, დაჯილდოვდა ლენინის ორდენით; გარდაიცვალა 1977 წელს და დაკრძალულია თბილისში.

## I მსოფლიო ომი და გეგეჭკორები



პირველმა მსოფლიო ომმა, რომელიც 1914 წელს დაიწყო, სრულ ოთხ წელს გასტანა. მილიონობით ხალხი დაიხოცა ამ ომში. ბევრი ადამიანი მოსწყვიტა ომმა თავის პირად საქმეს და სხვაგან გადასტყორცნა. **ივანე** (კიწი) **გეგეჭკორი**, რომელიც მაშინვე გაიწვიეს ჯარში, იბრძოდა ოსმალეთის, ავსტრიისა და გერმანიის ფრონტებზე. 1916 წელს ქალაქ ყოფ. დვინსკის (ამჟ. დაუგავპილსი, ლატვია) ახლოს იგი დაიჭრა და გადაგზავნილ იქნა ბათუმის ჰოსპიტალში; გამოჯანმრთელების შემდეგ ის წარგზავნეს 205 სამეთაურო ნაწილში, რომელიც მაშინ ბათუმში იდგა. ის ამ სამეთაურო ნაწილის ხაზინადარად იქნა გაწესებული იმავე 1916 წელს. 1917 წელს მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ, იგი აირჩიეს მეთაურთა კომიტეტის თავმჯდომარედ. დემობილიზებული იყო 1918 წლის დასაწყისში.

**(ლ. გეგეჭკორი – ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები, 1958 წელი, II წიგნი, გვ. 59).**



**გრიგოლ** გიორგის ძე **გეგეჭკორი**, ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1907 წელს სწავლას აგრძელებს ნოვოჩერკასკის (როსტოვის ოლქი, რუსეთის ფედერაცია) საინჟინრო-მელიორაციის ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1914 წელს

გაწვეულ იქნა მეფის მოქმედ არმიაში.

ოსმალეთის საზღვრებზე იგი ხელმძღვანელობდა თავდაცვის ნაგებობათა და გზების გამყვან მშენებლობას. მალე თავისი ინჟინრული გამჭრიახობითა და ინიციატივით სამხედრო ხელმძღვანელთა მადლობა და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა.

**(დოცენტი ჭ. ტოგონიძე – გამოჩენილი ქართველი ინჟინერი. ჟურნალი "მეცნიერება და ტექნიკა," 1967 წელი, № 10, გვ. 10–11).**



**ნიკოლოზ** გიორგის ძე **გეგეჭკორი**, ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1909 წელს შევიდა პეტერბურგის (ამჟ. რუსეთის ფედერაცია) სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1914 წელს. ახალ კურსდამთავრებული ექიმი გაიწვიეს მეფის არმიაში, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. აქ მან მდიდარი გამოცდილება მიიღო დაჭრილ მეომართა მკურნალობისას. ოსმალეთის ფრონტზე დაჭრილ ჯარისკაცებს მკურნალობდა, ტკივილებს უმსუბუქებდა. ყველგან მონდომებით მუშაობდა ახალბედა ექიმი, რისთვისაც მრავალი ჯილდო დაიმსახურა.

**(პროფესორი მ. ნოდია – ნიკოლოზ გეგეჭკორი. ჟურნალი "საბჭოთა მედიცინა" 1940 წელი, № 3, გვ. 63).**

## სამგლოვიარო ბარათები და დეპეშები

1915 წლის26 იანვარს საჩხერიდან თბილისში მოვიდა სამწუხარო დეპეშა:

**"მრავალტანჯულმა ჩვენმა სამშობლომ დაჰკარგა თავისი სიამაყე – ნაშუადღევს პირველ საათზე მშვიდათ გარდაიცვალა აკაკი."**

ამ თავზარდამცემმა ცნობამ ელვის სისწრაფით მოიარა მთელი საქართველო და შავი ძაძებით შემოსა იგი!

**დაბა ცაგერი.** დიდათ დაგვამწუხრა ქართველი ერის სიამაყის მგოსან აკაკის გარდაცვალებამ. ვურთებთ ჩვენს ცრემლებს საერთო გლოვას. გადავიხადეთ პანაშვიდი მოწაფეებითურთ, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო.

მასწავლებელი **რაჟდენ გეგეჭკორი**

## აკაკის დასაფლავება მთაწმინდაზე 1915 წლის 8 თებერვალს

## სიტყვა ევგენი გეგეჭკორისა:

“მოქალაქენო! ამ საშინელ და დიდათ სერიოზულ დროს, როცა მსოფლიო გახვეულია ცეცხლის ალში, როცა ორი მხრით ჩვენ მტერი გვადგია და თვითოეული ჩვენგანი მხოლოდ ფიქრობს ბრძოლის ველზე გასულ შვილზე, ძმაზე და ნაცნობ მეგობარზე, როცა გლოვის ბნელ ზეწარით გადაფარებულია მთელი ჩვენი პატარა ქვეყანა, აი, ამ დროს, უცებ, რაღაც ჯადოსნური ძალით დაივიწყა ჩვენმა ხალხმა გლოვა და მიეცა განუზომელ მწუხარებას, შეიმოსა ძაძით ერთი პირის დაკარგვის გამო.

ეს პირია თქვენ წინაშე მდებარე დიდებული ცხედარი, ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი. თქვენ უნდა გენახათ ის აყვავებული ხალხი, კაცები, ქალები და ბავშვები, რომელნიც ხვდებოდნენ ძვირფას ცხედარს მთელ ამ შორ გზაზე საჩხერიდან თბილისამდე და მუხლ-მოდრეკით, დამწუხრებული სახით თაყვანსა სცემდნენ წმინდა ნეშტს; უნდა გენახათ თვალცრემლიანი, აქვითინებული სოფლის მცხოვრებნი, რომ გეთქვათ: მოკვდა საქართველოს უდიდესი შვილი და მის წმინდა ცხედარს მოკრძალებით საუკუნო სამარემდის აცილებს მადლიერი ერი. ეს იშვიათი სახალხო გლოვა არ არის გლოვა მოწყობილი მეთაურთა და ჯგუფთა მიერ წინდაწინ განზრახული; არა, ეს არის გლოვა სტიქიური, მასის სულისკვეთების ამოხეთქვა, შეუჩერებელი ბუნებრივი საერთო დამწუხრება. რაშია საქმე? როგორ დაიმსახურა ერთმა კაცმა ასეთი გულწრფელი სახალხო გლოვა, ასეთი დიდი, განუზომელი სიყვარული? რა იყო აკაკი ხალხისათვის და ხალხი აკაკისათვის?

მხოლოდ ორი მგოსანი მიუახლოვდა ყველაზე უფრო ახლო ქართველ ერის სულიერ განძს, მის შინაგან წმიდათა-წმინდას, მის გრძნობებს და ნაციონალურ ტემპერამენტს. ისინი შევიდნენ ნაციის უხილავ სალაროში, ჩასწვდნენ მის სიღრმეს და გამოიტანეს იქიდან საუკეთესო მარგალიტები და შემდეგ ის გამშვენებულ-განსპეტაკებული, საუცხოო მუსიკალური პოეზიით გარდაქმნილი ხალხსავე უკანვე დაუბრუნეს და ციური ჩანგებით გამოსჭედეს ეროვნული ორგანიზმი.

ეს ორი მგოსანია რუსთაველი და აკაკი. საჭირო იყო რვა საუკუნე, რომ რუსთაველს მისცემოდა ღირსეული მემკვიდრე. თავისი მოტივებით, თავისი ჩანგებით და ეს ორი მგოსანი განსხვავდებიან ისე, როგორც განსხვავდება მათი ეპოქა. აკაკი მეთორმეტე საუკუნეში იქნებოდა რუსთაველი, რუსთაველი მეცხრამეტე საუკუნეში იქნებოდა აკაკი. რა იყო აკაკის პოეზიის მთავარი პანგი? რის სამსახურათ გამოიყენა მან თავისი ზეციური ნიჭი? რას უგალობდა ის? აკაკი საზოგადო ასპარეზზე გამოვიდა სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი მშრომელი ხალხი მონობის მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა და ისიც მთელი თავის

ძალღონით ეკვეთა ამ საშინელ ბოროტებას. შემდეგ იმსხვრევა მონობის ჯაჭვი და ის ღვთაებრივ, სულის წარმტაც ჰანგებით უმღერის თავისუფალ ელინის შვილს. ამ უკანასკნელში ის ხედავს იმ მაცხოვრებელ ძალას, რომელმაც უნდა შეუცვალოს ძირიან-ფესვიანად ელფერი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას და გაუკვალოს ქართველ ხალხს ფართო გზა საკაცობრიო იდეალისაკენ. თავისუფალი ელინის შვილი ცოდნით აღჭურვილი, – აი, რა დაედო საფუძვლად მის ღვთაებრივ პოეზიას. ახალმა ეპოქამ წარმოშვა ჩვენში საზოგადო დაწესებულებები, ბანკები, პრესა, თეატრი და ჩვენც ვხედავთ დიდებულ მგოსანს ცხოვრების ყველა დარგებში "დროების" დემოკრატიულ ჯგუფის მებაირახტრეთ. ის ებრძვის შეუპოვრად ყველა იმათ, ვინც ამეფებდა ზრუნვას ჩინ-ორდენებზე და პირადულ ინტერესებზე. მისი მწვავე და იმავე დროს ცხებილი სატირა მუსრს ავლებს და საშინელ არევ-დარევას იწვევს ქვემძრომ ფლიდ "რუსეთუმეთა" ბანაკში.

დგება ისტორიული ხანა 1905 წელი და ამოძრავებული ხალხი მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ და საყვარელი აკაკი აქაც იმავე დემოკრატათ და ოპოზიციონერათ ევლინება სამშობლო მხარეს, რადგანაც მას სწამდა, რომ წყალი ხორცს ჭამს და სისხლი სულს.

მოქალაქენო, ჩვენი უკვდავი აკაკი თავის უკვდავ ლექსებით უგალობდა თავისუფლებას, როგორც თვითეულ პირს, ისე მთელ ერს; თავისუფალი ხალხი თავისუფალ სამშობლოში – აი, მისი დროშა. მხოლოდ მისი ძლიერი სიმები არა ნაკლებ ღელავდა სხვა დაჩაგრულ ერთათვის. ის იყო პატრიოტი ამ სიტყვის კეთილშობილური მნიშვნელობით. ერთა შორის თანასწორობა და ურთიერთ შორის სამართლიანი, მშვიდობიანი მეზობლობის დამყარება, ეს არის მისი ნაციონალური ჰანგების მთავარი სარჩული. დიდებული მგოსანი ბოლომდის შერჩა "დროების" დებულებას. "ერთად დგომით ავშენდებით, ცალ-ცალკე დგომით დავიქცევით" და განა ეს საამდროვო ლოზუნგი არ არის? განა დღესაც, ამ საერთო ქარცეხილის დროს, არ გვჭირია ერთად დგომა და ერთმანეთის ხელის შეწყობა? განა კავკასიის ერებში არ საჭიროებენ ძმურათ ხელის ჩაკიდებას და საერთო მტერთა წინააღმდეგ შებრძოლებას? დიახ, მოქალაქენო, ჩვენი სიამაყე აკაკი არ იყო მომხრე დაჩაგვრის და განადგურებისა და ეს დროშა არის იგივე დროშა კავკასიის ინტერნაციონალური დემოკრატიის. აკაკის გენიოსურმა შემოქმედებამ, მისმა ღვთაებრივმა პოეზიამ დაუმტკიცა მთელ განათლებულ კაცობრიობას, რომ უკვდავია ერი, მისი წარმომშობი, რომ ქართველ ერს ჯერ არ უთქვამს უკანასკნელი სიტყვა.

მშრომელი ხალხის სახელით მუხლს ვიდრეკ შენი ცხედრის წინაშე და ვაცხადებთ, რომ ერთად ერთი მგოსანი უკანასკნელი საუკუნისა, რომელიც ღირსია საჯაროთ დაფნის

გვირგვინით შემკობისა, მსგავსათ ძველი საბერძნეთის გმირებისა, შენ ხარ, ძვირფასო ჩვენო საყვარელო აკაკი.”

**(გ. შარაძე – აკაკის სიკვდილი და დასაფლავება, 2007 წელი, გვ. 219; 370).**

## გენერლები საქართველოდან



**გეგეჭკორი ევგენი** პეტრეს ძე დაიბადა 1881 წლის 1 თებერვალს მარტვილში, არისტოკრატიულ ოჯახში. იგი მამით წარჩინებული აზნაურის, ხოლო დედით–თავადის ასულის შვილი გახლდათ. ის იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, იურისტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი; 1918 წლის იანვარ–აპრილიდან–საქართველოს სამხედრო მინისტრი; 1918 წლის 26–მაისიდან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1921 წლის 18 მარტიდან ემიგრაციაში წავიდა. გარდაიცვალა 1954 წლის 5 მაისს; დაკრძალულია ლევილში (საფრანგეთი).



**გეგეჭკორი ალექსი** (საშა) ალექსანდრეს ძე დაიბადა 1887 წლის 5 დეკემბერს სოფელ ნაოდალევში (ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი) აზნაურის ოჯახში. საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. 1921–22 წლებში იყო თბილისის რევკომის (რევოლუციური კომიტეტი) თავმჯდომარე და საქართველოს რევკომის წევრი; 1922–23 წლებში – საქართველო სსრ შინაგან საქმეთა სახელმწიფო კომისარი; 1924 წლიდან–საქართველოს მიწათმოქმედების სახელწიფო კომისარი, ერთდროულად 1922 წლიდან–საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს (სახალხო კომისართა საბჭო) თავმჯდომარის მოადგილე. იყო საკავშირო ცაკის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) და საქართველოს სსრ ცაკის წევრი. დაჯილდოებული იყო წითელი დროშის ორდენით. 1928 წლის 7 ივნისს 10 საათსა 30 წუთზე თავი მოიკლა საცხოვრებელ ბინაში ჯონქაძის ქ. № 12–ში.

**(გაზეთი “კომუნისტი” 1928 წელი, 9–10 ივნისი, №№ 132;133, გვ. 2; 3.**
**ლ. დოლიძე – გენერლები საქართველოდან. 2003 წელი, გვ. 535; 607).**

## 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში

1924 წლის 3 და 13 სექტემბერს სენაკის მაზრის საინფორმაციო პუნქტმა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებითა და აჯანყებასთან კავშირისთვის გაუსამართლებლად დახვრიტა 144 კაცი, რომელთა შორისაც იყვნენ:

მეგეჭკორი კონდრატე ნესტორის ძე, (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

მეგეჭკორი ნესტორ მარკოზის ძე, (დახვრიტეს 13 სექტემბერს).

**(ლ. ჯიქია – 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში. 2011 წელი, გვ. 422; 428).**

## რეპრესირებული მეგეჭკორი

**დაბადების თარიღი და ადგილი:** **მეგეჭკორი ნიკოლოზ** ლუარსაბის ძე დაიბადა 1884 წელს, თერჯოლის (ჩხარის) რაიონის სოფელ თერჯოლაში.

**სოციალური წარმომავლობა:** აზნაური;

**გაასამართლა:** შინსახკომის მე-5 განყოფილების სამეულმა

**მუხლი:** 58-7, 58-8, 58-11.

**სასჯელის ზომა:** დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

**სხდომის თარიღი:** 03. 03. 1938 წელი.

**დახვრეტის თარიღი:** 03. 04. 1938 წელი.

## II მსოფლიო ომი და მეგეჭკორები

### 1941-1945 წლებში დაღუპულნი **მარტვილის** რაიონიდან

**მეგეჭკორი აპოლონ** პოტაპის ძე – დაიღუპა 1941 წელს.

**მეგეჭკორი ალექსანდრე** ვლადიმერის ძე, დაიბადა 1904 წელს – დაიღუპა 1942 წელს.

**მეგეჭკორი შარყ** ნიკოლოზის ძე, დაიბადა 1908 წელს – დაიღუპა 1942 წელს.

**მეგეჭკორი ვლადიმერ** ტიმოთეს ძე, დაიბადა 1910 წელს – დაიღუპა 1942 წელს.

**მეგეჭკორი შალიკო** ისიდორეს ძე, დაიბადა 1921 წელს – დაიღუპა 1942 წელს.

**მეგეჭკორი ემილიანე** პავლეს ძე, დაიბადა 1905 წელს – დაიღუპა 1943 წელს.

**მეგეჭკორი სევერიან** თათეოზის ძე, დაიბადა 1908 წეკს – დაიღუპა 1943 წელს.

**მეგეჭკორი ვახტანგ** ლევანის ძე, დაიბადა 1910 წელს – დაიღუპა 1943 წელს.

**მეგეჭკორი კარლო** ლავრენტის ძე, დაიბადა 1920 წელს –დაიღუპა 1943 წელს.

**მეგეჭკორი ვალიკო** ბეგლარის ძე, დაიბადა 1922 წელს – დაიღუპა 1943 წელს.

**მეგეჭკორი მამია** ანდრიას ძე, დაიბადა 1915 წელს – დაიღუპა 1945 წელს.

მარტვილის რაიონის სოფელ **ინჩხურიდან**:

**გეგეჭკორი იონა** ალექსანდრეს ძე, დაიბადა 1915 წელს – დაიღუპა 1941 წელს.

**გეგეჭკორი ვასილი** თედოს (თადას)ძე, დაიბადა 1900 წელს – დაიღუპა 1942 წელს კალინინის მხარეში (ამჟამად ტვერის ოლქი, რუსეთის ფედერაცია), მოლოდოტუდსკის რ-ნი (ამჟამად ოლენინის რ-ნი), სოფელ აჟეევოში.

**გეგეჭკორი ისაკი** იასონის ძე, დაიბადა 1917 წელს – დაიღუპა 1942 წელს.

**გეგეჭკორი დავით** (კოლია) ბეგის ძე, დაიბადა 1919 წელს – დაიღუპა 1942 წელს.

**გეგეჭკორი კონსტანტინე** ბეგის ძე, დაიბადა 1919 წელს – დაიღუპა 1942 წელს.

**გეგეჭკორი დათიკო** ბეგლარის ძე, დაიღუპა 1942 წელს.

**გეგეჭკორი პლატონ** ნიკოლოზის ძე, დაიბადა 1899 წელს – დაიღუპა 1943 წელს.

**გეგეჭკორი ელვარდი** დავითის ძე, დაიბადა 1907 წელს – დაიღუპა 1943 წელს.

**გეგეჭკორი დომენტი** ანტონის ძე, დაიბადა 1913 წელს – დაიღუპა 1943 წელს.

1830-იან წლებში დასახლება აჯიმუშკაიში (ქალაქ ქერჩიდან მდებარეობს 5 კილომეტრში, ყირიმის ნახევარკუნძული, უკრაინა), მოიპოვებოდა სამშენებლო კირქვა, სადაც გამოიყენებოდა როგორც ღია კარიერები, ასევე დახურული შახტები. ამან გამოიწვია შემდგომში გვირაბების (კატაკომბების) ქსელის გაფართოება. აქ სამი ქვის სამტეხლოა, რომლებიც ერთმანეთისაგან 1-1,5 კილომეტრის დაშორებით მდებარეობენ, ყველაზე დიდია შუა ანუ ცენტრალური ქვის სამტეხლო; ისინი მიწის ზედაპირიდან 10-25 მეტრის სიღრმეზე არიან განლაგებული და დასერილია გვირაბებით; შედგება მიწისქვეშა დარბაზებისა და ლაბირინთებისგან, რომლებიც მიწისქვეშა ნაწილში გადაჭიმულია დაახლოებით 10 კილომეტრამდე. მიწისქვეშა კატაკომბებში საკმარისი იყო კაცს შუქი ჩაქრობოდა, რომ უკან ვეღარ გამოვიდოდა, წყვდიად ლაბირინთებში დაიღუპებოდა. აქ ტემპერატურა მთელი წლის მანძილზე 8-11 გრადუსია.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დირექტივის თანახმად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭომ 1942 წლის დასაწყისში მიიღო დადგენილება 414-ე ქართული მსროლელთა დივიზიის შექმნის თაობაზე.

თავდაცვის უბნის შეცვლასთან დაკავშირებით 1942 წლის თებერვალში 414-ე დივიზიისა და მსროლელი პოლკების შტაბები მოთავსდნენ სოფელ აჯიმუშკაის ჩრდილოეთ განაპირა მხარეს; მეორე მსოფლიო ომის დროს ქერჩი გერმანიისა და საბჭოთა ჯარების ბრძოლის ადგილი იყო. აქ ფრონტის ხაზი ოთხჯერ გადიოდა. გერმანელთა ერთ-ერთი შეტევის შედეგად ალყაში მოექცა საბჭოთა ჯარების დიდი ნაწილი, რომელთაც აჯიმუშკაის ქვის

სამტეხლოებს შეაფარეს თავი. აქვე იყვნენ ავადმყოფები, დაჭრილები, ჰოსპიტალის მომსახურენი, ადგილობრივი მცხოვრებლებიც – ქალები, მოხუცები, ბავშვები, სულ-13000-მდე ადამიანი, მათ შორის-10 ათასი სამხედრო მოსამსახურე.

აჯიმუშკაის მიწისქვეშა ცენტრალური გარნიზონის ქართველი მებრძოლებიდან გამორჩეულია **შოთა** არსენის ძე **გეგეჭკორი.**



იგი დაიბადა 1914 წელს; იყო პედაგოგი, სერჟანტი. **შოთა გეგეჭკორი** მიწისქვეშა გარნიზონის ჯოჯოხეთურ პირობებში თავგანწირვით იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ და მნიშვნელოვან ზიანსაც აყენებდა მათ. ამის თაობაზე გარნიზონის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი ლევოველი (უკრაინა) ნიკოლოზ ვილჩენკო წერს: "სიამაყით ვიგონებ ქართველ მეომრებს, რომლებიც მამაცურად ებრძოდნენ მტერს აჯიმუშკაის კატაკომბებში, ისინი მოულოდნელად ესხმოდნენ მტერს თავზე, იბრძოდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. გაბედულებითა და მამაცობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახალგაზრდა ქართველი მეტყვიამფრქვევე **შოთა გეგეჭკორი.**"

ერთ-ერთ მორიგ ბრძოლაში **შოთა გეგეჭკორმა** თავის ტყვიამფრქვევით მტერს გასაქანი არ მისცა, მისი რამდენიმე იერიში უკუაქცია, ბევრი გერმანელი მოკლა. მოწინააღმდეგე გაშმაგდა და მთელი თავისი ცეცხლი შოთას ტყვიამფრქვევის წინააღმდეგ მიმართა.

"ერთ-ერთი იერიშის დროს შოთას ტყვიამფრქვევთან მოწინააღმდეგის ყუმბარა გასკდა. საშინელი აფეთქების ტალღამ ზევით აისროლა იგი; კონტუზირებული **გეგეჭკორი** ფეხზე ადგა და კვლავ ეცა თავის ტყვიამფრქვევს, რათა ცეცხლი შეეგებებინა მოწინაღმდეგისთვის, მაგრამ აქ ბედმა უმუხთლა – მოწინააღმდეგის ტყვიით მოკლული დაეცა 1943 წელს," – იგონებს გარნიზონის მთავარი რაციის უფროსი, ბაქოელი (აზერბაიჯანი) თედორე კაზნეჩევი.

აჯიმუშკაის გმირი იყო **გეგეჭკორი გივი.** აგრეთვე 335 მებრძოლი საქართველოდან.

დაახლოებით 13 ათასი ადამიანიდან, რომლებმაც თავი შეაფარა აჯიმუშკაის კატაკომბებს, 170 დღიანი ალყის შემდეგ ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 48 პირი.

ომის შემდეგ 1966 წელს ქერჩის ისტორიულ-კულტურული ნაკრძალის აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოებში ისტორიის მუზეუმად გამოცხადდა, ხოლო თვითონ ქერჩში ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმში მოწყობილია "აჯიმუშკაის გმირთა" სურათების გალერეა.

ქერჩის მახლობლად სოფლებში გლაზოვკასა და იურკინოში დაკრძალულია 640 ქართველი მეომარი, რომელთა შორის არიან **გეგეჭკორი ალექსი** იოსების ძე და **გეგეჭკორი**

არტემ არჩილის ძე.

(ვ. ჯანჯღავა – 414-ე წითელდროშოვანი, 1977 წელი, გვ. 445.
ნ. ცქიტიშვილი – გმირული მიწისქვეშა გარნიზონი, 1985 წელი, გვ. 197-220).

გეგეჭკორი **ბუხუტი** ნიკოლოზის ძე, დაიბადა 1905 წელს – დაიღუპა 1944 წელს.

გეგეჭკორი **მიხეილ** (მიშა) სამსონის ძე, დაიბადა 1919 წელს – დაიღუპა 1944 წელს.

გეგეჭკორი **ვახტანგი** ალექსანდრეს ძე.

გეგეჭკორი **პორპი** ანტონის ძე.

## ზუგდიდის რაიონი

**გეგეჭკორი** (ნაპო) **აპოლონი** იაკობის ძე დაიბადა 1920 წელს სოფელ დარჩელში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). დამთავრებული ჰქონდა ქ. ბათუმის საფინანსო-საბუღალტრო ტექნიკუმი. 1941 წლის ივნისში გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში. იგი იბრძოდა ქერჩში ლეიტენანტის სამხედრო ჩინით. ქერჩისათვის წარმოებული ბრძოლების დროს **ნ. გეგეჭკორი** დაიჭრა მძიმედ. ის სამხედრო ჰოსპიტალში მკურნალობდა. გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ ფრონტზე იყო, სადაც 1943 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

**გეგეჭკორი** (ჩექერი) **იროდიონი** იაკობის ძე, 1941 წლის ივნისში გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში. 1942 წლის ზამთარში ქერჩში განხორციელებული სადესანტო ოპერაციის მონაწილე იყო. 1000 მეომრიდან ცოცხლად გადარჩენილა ოთხი მძიმედ დაჭრილი. ქერჩის სამხედრო ჰოსპიტალში გადაუყვანიათ და ორივე ფეხზე მუხლის არეში გაუკეთებიათ ამპუტაცია. შაავადმყოფო მტერს დაუბომბავს, რაღაც იღბალზე გადარჩენილა და თვითმფრინავით ქ. თბილისის საავადმყოფოში გადაუყვანიათ. ი. **გეგეჭკორი** 1943 წლის მიწურულს შინ დაბრუნდა.

**გეგეჭკორი შოთა** ტარასის ძე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსიდან გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში. იბრძოდა მინსკში (ბელორუსია), სევასტოპოლში, ყირიმსა და უკანასკნელად 1942 წლის აპრილ-მაისის თვეში ქერჩში (უკრაინა) წერტილი დაესვა მის საბრძოლო ბიოგრაფიას. **(გრ. ჯღერია – დარჩელი. 2015 წელი, გვ. 167-170).**

გეგეჭკორი **აპოლონ** გერმანეს ძე, დაიბადა 1918 წელს – დაიღუპა 1941 წელს.

გეგეჭკორი **ვარლამ** ნიკოლოზის ძე, დაიბადა 1900 წელს – დაიღუპა 1942 წელს.

გეგეჭკორი **ბაგრატ** ივანეს ძე, დაიბადა 1905 წელს ზუგდიდში, – დაიღუპა 1942 წელს.

გეგეჭკორი **შალვა** ნესტორის ძე, დაიბადა 1906 წელს – დაიღუპა 1942 წელს.

გეგეჭკორი **კოკი** აკაკის ძე, დაიბადა 1919 წელს სოფ. ჭითაწყარში, – დაიღუპა 1942 წელს.

გეგეჭკორი ვლადიმერ მუხრანის ძე, დაიბადა 1908 – დაიღუპა 1943 წელს.

გეგეჭკორი სერიოჟა აკაკის ძე, დაიბადა 1920 წელს – დაიღუპა 1943 წელს.

გეგეჭკორი შოთა ილიას ძე, დაიბადა 1923 წელს ზუგდიდში, – დაიღუპა 1943 წელს.

გეგეჭკორი ვლადიმერ გაძის ძე, დაიბადა 1915 წელს სოფ. კახათში, – დაიღუპა 1944 წელს.

გეგეჭკორი სევერიან ეგნატეს ძე, დაიბადა 1923 წელს – დაიღუპა 1944 წელს.

გეგეჭკორი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, დაიბადა 1925 წელს – დაიღუპა 1944 წელს.

გეგეჭკორი საშა გუგუს ძე, დაიბადა 1925 წელს – დაიღუპა 1944 წელს.

გეგეჭკორი ჟორა ვლადიმერის ძე, დაიბადა 1925 წელს – დაიღუპა 1945 წელს.

გეგეჭკორი თომა გერმანეს ძე, დაიბადა 1914 წელს სოფ. ცაიშში.

## ქ. თბილისი

გეგეჭკორი ვლადიმერ ტიმოთეს ძე, დაიბადა 1910 წელს – დაიღუპა 1942 წელს.

გეგეჭკორი დავით თომას ძე, დაიღუპა 1942 წელს.

გეგეჭკორი შალვა ივანეს ძე, დაიღუპა 1942 წელს.

გეგეჭკორი შალვა ნიკოლოზის ძე, დაიღუპა 1942 წელს.

გეგეჭკორი სევერიან თადეოზის ძე, დაიღუპა 1943 წელს.

გეგეჭკორი სერგო გიორგის ძე, დაიღუპა 1944 წელს.

გეგეჭკორი გიორგი ტიმოთეს ძე, დაიღუპა 1945 წელს.

გეგეჭკორი თეიმურაზ არკადის ძე, დაიღუპა 1945 წელს.

## გუდაუთის რაიონი

გეგეჭკორი რაჟდენ მიხოს ძე, დაიღუპა 1943 წელს.

გეგეჭკორი სევერიან ივანეს ძე, დაიღუპა 1943 წელს.

გეგეჭკორი სევასტი ლავრენტის ძე, დაიღუპა 1943 წელს.

## ოჩამჩირის რაიონი

გეგეჭკორი სულე ნიკოლოზის ძე, დაიბადა 1902 წელს – დაიღუპა 1942 წელს.

გეგეჭკორი შალვა ერმილეს ძე, დაიბადა 1914 წელს – დაიღუპა 1943 წელს.

## ქ. ბათუმი

გეგეჭკორი ანტონ თოფანის ძე, დაიბადა 1910 წელს – დაიღუპა 1944 წელს.

გეგეჭკორი ბაგრატ იონას ძე, დაიღუპა 1943 წელს.

## ქ. სოხუმი

გეგეჭკორი ვლადიმერ არსენის ძე,დაიღუპა 1943 წელს.

## გაგრის რაიონი

გეგეჭკორი ვარლამ ნიკოლოზის ძე, დაიღუპა 1942 წელს.

### გალის რაიონი

მემეჯკორი არტემ არჩილის ძე, დაიღუპა 1944 წელს.

### გორის რაიონი

მემეჯკორი ირაკლი სიმონის ძე, დაიბადა 1911 წელს – დაიღუპა 1942 წელს.

### შინ დაბრუნებულნი სოფელი ინჩხურიდან

მემეჯკორი გრიშა ფარნას ძე, დაიბადა 1900 წელს, გარდაიცვალა 1965 წელს.

მემეჯკორი აკაკი ალექსის ძე, დაიბადა 1904 წელს, გარდაიცვალა 1976 წელს.

მემეჯკორი გიორგი (გიოჩა) იასონის ძე, დაიბადა 1908 წელს. გარდაიცვალა 1981 წელს.



მემეჯკორი ალექსანდრე (ვაჯუ) ვლადიმერის ძე, დაიბადა 1904 წელს, გარდაიცვალა 1982 წელს.

მემეჯკორი კაკია ერასტოს ძე, დაიბადა 1903 წელს, გარდაიცვალა 1985 წელს.

მემეჯკორი შალიკო ფარნას ძე. დაიბადა 1903 წელს, გარდაიცვალა 1988 წელს.

მემეჯკორი კალისტრატე ბეგლარის ძე, დაიბადა 1915 წელს, გარდაიცვალა 1988 წელს.

მემეჯკორი ალექსანდრა (შურა) ალექსის ასული, დაიბადა 1916 წელს, გარდაიცვალა 1998 წელს.



მემეჯკორი ვარლამ არსენის ძე, დაიბადა 1917 წელს, გარდაიცვალა 1998 წელს.

### შინ დაბრუნებულნი:

მემეჯკორი მერაბ ვლადიმერის ძე, დაიბადა 1919 წელს, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში 1942–43 წლებში.



**გეგეჭკორი სერგო** ლავრენტის ძე, დაიბადა 1924 წელს, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. გარდაიცვალა 2000 წელს.

**საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი** (ენციკლოპედია)



**გეგეჭკორი ვალერიან** ივანეს ძე დაიბადა 1870 წლის 15 აპრილს მარტვილში. ლოტბარი, მომღერალი, ქართული ხალხური სიმღერის ოსტატი. მამა ადრე გარდაეცვალა და მისი აღზრდა ბიძამ, მღვდელმა **გიორგი გეგეჭკორმა** ითავა.

სწავლობდა მარტვილის სამრევლო სკოლაში, 1891 წელს გიორგიმ ვალერიანი ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში შეიყვანა სასწავლებლად, 1892 წელს მარტვილის მონასტრის გვერდით, ფიცრულ შენობაში სადაც სამრევლო სკოლა იყო მოთავსებული, სიმღერა-გალობისა და ტანვარჯიშის მასწავლებლად დააწყებინა მუშაობა. მოგვიანებით ვალერიანმა სენაკის სასულიერო სასწავლებელში იმავე საგნებისა და ვიოლინოს მასწავლებლად განაგრძო მუშაობა, სადაც გარდაცვალებამდე ასწავლიდა კიდეც.

1898 წლის ზაფხულში ცოდნის გასაღრმავებლად იგი გაემგზავრა კიევ-პეჩორის ლავრაში (უკრაინა), სადაც სიმღერა-გალობის გადასამზადებელი კურსები დაამთავრა.

ვალერიანი ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა ყოფილა და სიმღერა-გალობის გარდა სხვა გატაცებებიც ჰქონია. ის ძალიან კარგი მობურთალი, ლელოს მოთამაშე ყოფილა.

**ვალერიან გეგეჭკორი** კიდევ ერთი ნიჭით გამოირჩეოდა, ძალიან კარგი კალიგრაფი იყო. ვინაიდან, იმ დროს საბეჭდი მანქანები ჯერ კიდევ უცხო ხილი იყო, სენაკის სასწავლებელში მდივან-მწიგნობრის მოვალეობას ასრულებდა.

**ვალერიან გეგეჭკორი** დასავლეთ საქართველოს ხალხური მუსიკის მოღვაწეთა შორის იყო პირველი, ვინც იმ პერიოდში კლასიკური მუსიკალური განათლება მიიღო და იმ დროს საქართველოს ცნობილ მომღერლებსა და ლოტბარებს: ძ. ლოლუას, კ. **გეგეჭკორს**, რ. შელეგიას, ნ. ჩაჩიბაიას, ნ. ხურციას, ბ. აბშილავას, ვ. მიმინოშვილსა და სხვებს მუსიკალური ნოტების წერა-კითხვა შეასწავლა.

ახალ სენაკის სასულიერო სასწავლებელი გადაკეთდა პედაგოგიურ ტექნიკუმად და აქ

იმ დროს მუშაობდა სიმღერა-გალობისა და ვიოლინოს მასწავლებლად საქართველოს დამსახურებული პედაგოგი **ვალერიან გეგეჭკორი**, რომელიც ასწავლიდა ნოტების კითხვასა და მცირე საფუძველს უყრიდა სიყვარულს მშობლიური სასიმღერო ხელოვნებისადმი.

1903 წელს თბილისში გალობის მასწავლებელთა ყრილობა ჩატარდა, რაც გამოიწვია ქართული საგალობლების შევიწროვებამ. იმ პერიოდში სასულიერო სასწავლებლებსა და ტაძრებში ძირითადად რუსული გალობა ისწავლებოდა, რის გამოც შეშფოთებული მგალობლები ამ შეკრებაზე თავიანთ სატკივარს გამოთქვამდნენ. ყრილობაზე იმ დროს ყველა გამოჩენილი პიროვნება იღებდა მონაწილეობას, მათ შორის იყო **ვალერიან გეგეჭკორიც**, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ვალერიანი იმ პერიოდის მუსიკალური წრის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი წარმომადგენელი იყო.

**ვალერიან გეგეჭკორს** ცოლად ჰყავდა ლუბა დადიანი, რომელთანაც შეეძინა შვიდი შვილი. ვალერიანი ზედმიწევნით თავმდაბალი პიროვნება ყოფილა. მას ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც გადაეცა სენაკის სასულიერო სასწავლებელს.

ვ. გეგეჭკორი გარდაიცვალა 1954 წლის 17 მარტს 84 წლისა. დაკრძალვის ადგილი უცნობია.

**(ლ. გეგეჭკორი – ხალხური სიმღერის მოამაგენი. 2007 წელი.**
**“ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები.” – “სამეგრელო.” 2007 წელი, II წიგნი.**
**ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. 2015 წელი, გვ. 101).**

**თეიმურაზ გეგეჭკორი** – დაიბადა და მოღვაწეობდა სოფელ მარტვილში.

მარტვილში ცხოვრობდნენ შესანიშნავი მგალობლები: დიტო ჯალაგანიძე, მისი ვაჟი ანდრია, **პეტრე** და **თეიმურაზ გეგეჭკორები** განთქმული მომღერლები იყვნენ. **თეიმურაზ გეგეჭკორს** მარტვილში მარტო დიტო ჯალაგანიძე ჯობდა სიმღერა-გალობის ცოდნაში.

**თეიმურაზ გეგეჭკორი** ძალიან ნიჭიერი კაცი ყოფილა; იმ დროს არ არსებობდა სპორტის სახეობა, რომელსაც ის არ ფლობდა: იყო მონადირე, ცხენოსანი, მებადური, მობურთალი. ამასთან საეკლესიო და ხალხური სიმღერა-გალობის უბადლო ოსტატი გახლდათ. დიტო ჯალაგანიძე საპისკოპოსო წირვისას ის, არ იმღერებდა, თუ **თეიმურაზ გეგეჭკორს** გვერდით არ ამოუყენებდნენ. – ძალიან მოსწონდა თეიმურაზის პირველი ხმა და მისი შესრულების ოსტატობა.

თეიმურაზი ძალზე მომლხენი და ხელგაშლილი კაცი ყოფილა. მას პატარა დუქანი ჰქონია გახსნილი, რომელსაც ძალიან ხშირად თურმე მღვდლები – ლაზარე და ანდრია ჯალაგანიძეები სტუმრობდნენ. საერთოდ მარტვილელი მღვდლები შეძლებულად ცხოვრობდნენ, აქ ბევრი მღვდელი იყო მგალობელი; საჭყონდიდო ადგილს ეტანებოდნენ,

ეპისკოპოსის გარშემო ყოფნა ეწადათ.

განსაკუთრებული სანახავი ყოფილა თეიმურაზი თევზაობის დროს. მდინარე აჩაჩაში მის თევზაობას თურმე ძალიან ხშირად გრიგოლ ეპისკოპოსიც ესწრებოდა. თეიმურაზი თხუთმეტამდე კარგ მოცურავე ახალგაზრდას შეარჩევდა და თან წაიყვანდა; როცა ნანადირევი დოვლათიანი გამოდგებოდა, თეიმურაზი ყველა მონაწილეს თანაბრად ჩამოურიგებდა ნადავლს, იშვიათად, მაგრამ მაინც მოხდებოდა ისე, თევზი ნაკლებად გამოიხიდებოდა, მაშინ თეიმურაზი ყველაზე უფრო გაჭირვებულ მეზობლებს უწილადებდა თავის წილს (იგი უაღრესად კეთილშობილი იყო, ქვრივ-ობლების გამკითხავი).

თეიმურაზს ჰყავდა ერთი ქალიშვილი ნინო, რომელიც მოგვიანებით ლავრენტი ბერიას მეუღლე გახდა.

თეიმურაზის უფროსი ძმა ალექსანდრე ძალიან განათლებული, დინჯი და გონიერი კაცი ყოფილა. მას თურმე "სოფლის მედიატორს" ეძახდნენ, რადგან მეზობლებში ნებისმიერი სადავო საკითხის გადასაჭრელად მას მიმართავდნენ. ალექსანდრე დინჯად, კრიალოსნის ჩამარცვლით, ჯერ ერთ მხარეს მოუსმენდა, შემდეგ – მეორეს, დაფიქრდებოდა, სადავო საკითხს ღრმად ჩასწვდებოდა და რასაც გადაწყვეტდა, ის მოდავეთა შორის კანონად მიიჩნეოდა. მოდავენი ერთი მეორეს ხელს ჩამოართმევდნენ და ისე მოიქცეოდნენ, როგორც მათ ალექსანდრემ უკარნახა.

ალექსანდრე ოჯახში ძალიან ჭირვეული კაცი ყოფილა, მას ცოლად ჰყოლია ბაბალე ემხვარი, რომელსაც მეზობლები მოთმინებასა და ამტანობას უქებდნენ. ბაბალე ძალიან ლამაზი და ცანადი ქალი იყო და შვილებიც, განსაკუთრებით ცნობილი რევოლუციონერი **საშა** და მისი და **ნადია გეგეჭკორები,** სილამაზით დედას დაემსგავსნენ.

ალექსანდრემ ღრმა სიბერემდე მიაღწია და ოთხმოცდაათს გადაშორებული გარდაიცვალა.

**გეგეჭკორების** ამ განშტოების თითქმის ყველა წარმომადგენელი შესანიშნავად მღეროდა და გალობდა.

**("ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები." – "სამეგრელო." 2007 წელი, II წიგნი).**

ქართული ხალხური სიმღერის ოსტატთაგანი ჩომახია ხშირად კერძო საუბარში და აგრეთვე თავის ავტობიოგრაფიაში იხსენიებდა ვინმე **იოსებ გეგეჭკორს** სოფელ აბასთუმნიდან (ამჟ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), რომელსაც ხალხური სიმღერების დარგში ბადალი არ ჰყოლია, მაგრამ სიმღერის გადმოცემაში ძუნწი ყოფილა. იგივეს ადასტურებს ლოტბარი ნიკოლოზ ხვიცია.

**(ლ. გეგეჭკორი – ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. 1954 წელი, გვ. 112, სქოლიოში).**



მეტად გრძელი და შინაარსიანია **ივანე (კოწი) ბესარიონის ძე გეგეჭკორის** განვლილი შემოქმედებითი გზა: იგი დაიბადა 1886 წელს 25 აპრილს ზუგდიდში, იმ დროისათვის მოწინავე ოჯახში.. 1896 წლიდან მღეროდა სკოლის გუნდში, ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 16 წლის ყმაწვილი მასწავლებლად დანიშნეს. ბავშვობიდანვე სიმღერებში გაწაფულსა და მუსიკალურ წრეში გაზრდილს მუსიკის გაკვეთილებიც მიანდეს.

1904 წლიდან სოხუმში ძუკუ ლოლუას ეთნოგრაფიულ ანსამბლშია. ძუკუსთან ერთად იგი აქტიურად აგროვებს მუსიკალურ ფოლკლორს დასავლეთ საქართველოს რაიონებში... შემდეგ 1905 წლიდან – ნ. ყორყმაძის გუნდშია. 1917 წლიდან დააარსა და ხელმძღვანელობდა ქართული ხალხური სიმღერის გუნდებს ბათუმში, სენაკში, მარტვილში, ბანძაში ქვალონში, სოხუმში, გალში. 1923 წელს ძუკუ ლოლუასთან ერთად ქუთაისში საფუძველი ჩაუყარა ეთნოგრაფიულ გუნდს და ძუკუს გარდაცვალების შემდეგ 1929 წლამდე ხელმძღვანელობდა მას. 1930-31 კვლავ აფხაზეთშია. 1934 წელს ქალაქ გალში აყალიბებს მეჩონგურეთა ანსამბლს. მოღვაწეობდა ზუგდიდშიც. 1938 წლიდან აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს ხელმძღვანელობს. 20-ზე მეტი ანსამბლი ჰყავს ჩამოყალიბებული სხვადასხვა დროს **კოწი გეგეჭკორს.** მისი აღზრდილები დღესაც ნაყოფიერ შემოქმედებას ეწევიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

1946 წელს ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის **კოწი გეგეჭკორს** საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა. – ხალხის დაუშრეტელი გენია იყო მარად ჩემი უპირველესი მასწავლებელი, – ამბობს **კოწი გეგეჭკორი**; დღესასწაულები, ქორწილები, დღეობები, სახალხო შეკრებილობა – აი, ის ძირითადი დასაყრდენი, რომლითაც სწავლობდა იგი ქართული სიმღერის ეშხსა და ლაზათს.

სწორედ ამიტომ იცნობს იგი ასე კარგად ქართული პოლიფონიური სიმღერის ყველა შტოს: ქართლ-კახური სიმღერის სიდარბაისლესა და სიღრმეს, გურული სიმღერის სიმკვირცხლე-სიმძაფრეს, ფშავ-ხევსურულის სინარნარეს, სვანური სიმღერის ომახიანობას, აფხაზურის – მოქნილობას და მეგრული სიმღერის სიტკბოსა და ლირიულობას. მათ შორის აღსანიშნავია: "ბექია", "მათეია", "ჩქინი მაგანა დო კვერი", "სიმღერა ტრაქტორზე", "ბალჩა დო ვარდი", "სიმღერა ძუკუ ლოლუაზე", "მა სი ვარდი", "ამუსერი სო დომირჩა", "მარებელი", "ჩაგუნა", "სიმღერა საქართველოზე", "სიმღერა თბილისზე" და მრავალი სხვა.

30 ნოემბერს აფხაზეთის ფილარმონიის საზაფხულო თეატრში ნამდვილ დღესასწაულს გავდა **კოწი გეგეჭკორის** დაბადებიდან 75 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 55 წლისადმი

მიძღვნილი სალამი. მრავალი მისალოცი დეპეშა იქნა მიღებული იუბილარის სახელზე. იუბილარმა დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, მისი შრომის ეგზომ დაფასებისათვის. დასასრულ გაიმართა კონცერტი. კვლავ სასიამოვნოდ გაისმა **კიწი გეგეჭკორის** პოპულარული სიმღერები.

(ვ. გეგეჭკორი – ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. 1958 წელი, გვ. 54.
ა. შოთაძე – ჩონგურისა და სიმღერის ოსტატი. გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი," 1961 წელი, 3 დეკემბერი, № 238, გვ. 4.
ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. 2015 წელი, გვ. 102).

**გეგეჭკორი მიხეილ** (მიშა) პოლიტიკოსი. ყოფილი მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერი სამეგრელოდან; 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე მუშაობდა ჭიათურასა და სოხუმში; 1907 წელს პოლიტიკური საქმიანობის გამო დაპატიმრებული იყო.

დაიღუპა დუშეთის ამბოხების დროს 1918 წელს.

(ი. იმედაშვილი – ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი. 1801–1952 წწ. ტ. I ა–დ. 2018 წელი, გვ. 534).



**გეგეჭკორი ალექსი (საშა)** ალექსანდრეს ძე დაიბადა 1887 წელს სოფელ ნაოღალევში (ამჟ. მარტვილის მუნიციპალიტეტი).

რევოლუციური მოძრაობის მონაწილე კავკასიაში. რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება 1902 წლიდან. კომპარტიის წევრი 1908 წლიდან.

პარტიულ მუშაობას ეწეოდა ბაქოში (აზერბაიჯანი), თბილისში, დასავლეთ საქართველოს რაიონებში, ჩელიაბინსკში, დონის-როსტოვში (რუსეთის ფედერაციის ქალაქები). ის მრავალჯერ იყო დაპატიმრებული. 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ასტრახანის (რუსეთის ფედერაცია) გადასახლებაში მოუსწრო. 1918 წლის თებერვალში მონაწილეობდა დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობაზე ქუთაისში, სადაც საბრძოლო შტაბის თავმჯდომარედ აირჩიეს. იყო საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი რაჭაში, თეთრგვარდიული ბანდების წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური მონაწილე თერგის ოლქში (რუსეთის ფედერაცია). 1918 წელს დაინიშნა კავკასიის რევოლუციური წესრიგის დაცვის კომისრად. იმავე წლის შემოდგომაზე თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში სტანიცა არხონსკაიასთან (ყოფილი თერგის ოლქი, რუსეთის ფედერაცია) მძიმედ დაიჭრა და მარჯვენა ფეხი მოკვეთეს. 1919 წლის ოქტომბერში საქართველოს მენშევიკურმა

მთავრობამ იგი დააპატიმრა, წაყენებული ბრალდებით დახვრეტა მოელოდა. განთავისუფლეს 1920 წლის მაისში საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

**(ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1977 წელი, ტომი 3, გვ. 30. თბილისი – ენციკლოპედია. 2002 წელი, გვ. 370).**



**გეგეჭკორი ვლადიმერ (ლადო)** გიორგის ძე დაიბადა 1888 წლის 14 მაისს სოფელ მარტვილში. საბავშვო მწერალი, მუსიკალური მოღვაწე, " ხალხური სიმღერის მემატიანე" აღიარებული.

იგი ავტორია ლექსთა კრებულებისა, აგრეთვე წიგნებისა "ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები" (I-IV წიგნი, 1954-1969 წწ), რომელშიც გამოვლენილი და აღნუსხულია 80-მდე ქართველი სიმღერის ოსტატი. "ხალხური სიმღერის მოამაგენი" (2007 წ). **ვლადიმერ გეგეჭკორი** გარდაიცვალა 1980 წელს და დაკრძალულია თბილისში.

**(თ. მესხი – ხალხური მუსიკის მსახური. ჟურნალი "ხელოვნება," 1991 წელი, № 6. ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. 2015 წელი, გვ. 102).**



**გეგეჭკორი გრიგოლ** გიორგის ძე დაიბადა 1890 წლის 17 ნოემბერს სოფელ მარტვილში მაშინდელი დროისათვის განათლებულ ოჯახში. მამამისი **გიორგი გეგეჭკორი** ჟურნალ "მწყემსის" კორესპონდენტი იყო და ხალხის სწავლა-განათლებისათვის ბევრს ზრუნავდა.

გრიგოლის ერთი ძმა ნიკოლოზი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის (რუსეთის ფედერაცია) სამხედრო-სამედიცინო აკადემია, ცნობილი ექიმი-თერაპევტი იყო. მან დიდი შრომა გასწია ლიკანის (ბორჯომის მუნიციპალიტეტი) ცნობილი სანატორიუმის მშენებლობისათვის, რომელიც მისივე ინიციატივით გაიხსნა. შემდგომში იგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში თერაპიულ კლინიკას ხელმძღვანელობდა. მეორე ძმა **ლადო გეგეჭკორი**, რომელმაც პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, ცნობილი მწერალი-ლიტერატორი და საზოგადოებრივი მოღვაწეა.

**გ. გეგეჭკორმა** ბავშობა მშობლიურ სოფელში გაატარა. ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1907 წელს იგი უმაღლესი განათლების მისაღებად

მიემგზავრება როსტოვის ოლქში და შემდეგ ქალაქ ნოვოჩერკასკის (რუსეთის ფედერაცია) საინჟინრო-მელიორაციის ინსტიტუტში. გრიგოლი სწავლის წლებში ზაფხულობით ჩამოდიოდა საქართველოში და 1912-1913 წლებში მუშაობს აბასთუმანში (ადიგენის მუნიციპალიტეტი), აბაზინდის (ერთ-ერთი უბანია აბასთუმანში) სანატორიუმის მშენებლობაზე ინჟინრის თანაშემწედ. ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, I მსოფლიო ომის დროს იგი გაიწვეულ იქნა მოქმედ არმიაში.

1923 წელს იგი, როგორც პრაქტიკულად გამოცდილი სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლად გახსნილ პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე მიიწვიეს. ის იყო ერთ-ერთი პირველი ლექტორთაგანი, რომელიც მშობლიურ ენაზე კითხულობდა ლექციებს მელიორაციისა და ჰიდროტექნიკაში. ამავე საგნებს იგი პარალელურად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ქალაქ განჯის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმში ასწავლიდა.

იმ დროს დიდმის ველი, სადაც ბოსტნეულის უხვი მოსავლისათვის შესანიშნავი ბუნებრივი პირობები არსებობდა, მოკლებული იყო სარწყავ წყალს. ინჟინერმა **გ. გეგეჭკორმა** შესანიშნავად გადაჭრა ეს მტკივნეული საკითხი. მან შეადგინა დიდმის სარწყავი არხის გეგმა და თვითონვე უხელმძღვანელა მის გაყვანას.

1925-1926 წლებში საქართველოში იწყებოდა კიდევ ერთი – დოღლაურის ველის საგამოკვლევო-ტოპოგრაფიული სამუშაოები. არხს სათავე ახალდაბაში (ბორჯომის მუნიციპალიტეტი) დაედებოდა და მოსარწყავად ქვემო ქართლის მიდამოების ათასობით ჰექტარ გადამწვარ მიწებს. აქაც საპასუხისმგებლო საირიგაციო სამუშაოების ხელმძღვანელობა ინჟინერ გრიგოლს მიენდო და დავალება კვლავ მაღალ დონეზე შეასრულა.

1928 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება კოლხეთის ჭაობის ამოშრობის სამუშაოების დაწყების შესახებ. ამ მეტად რთულ უბანზე მუშაობის ხელმძღვანელობა **გ. გეგეჭკორს** დაევალა. ამ საქმის უკეთ გასაცნობად ქართველი ინჟინერი მივლინებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კოლორადოს შტატში, სადაც მან წელიწადნახევარი დაჰყო და საფუძვლიანად გაეცნო ჭაობის ამოშრობის ტექნიკას, საიდანაც ახალი ცოდნითა და გამოცდილებით გამდიდრებული დაბრუნდა და 1930 წლის მეორე ნახევარში სათავეში ჩაუდგა დიდ სამუშაოებს ფოთისა და ყორათის (ხობის მუნიციპალიტეტი) მასივებში.

შვიდნახევარ წელიწადს მუშაობდა **გრიგოლ გეგეჭკორი** კოლხიდმშენის მთავარ ინჟინრად. ამ ხნის განმავლობაში შეძლო კოლხეთის ჭაობიან ტერიტორიაზე 20 ათასი ჰექტარი მიწის დაშრობა და 20-კილომეტრიანი მაგისტრალის გაყვანა.

იგი პირველი ქართული ტექნიკური ჟურნალის "მეცნიერება და ტექნიკა"-ს ერთ-ერთი დამაარსებელია. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. ფოთში ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმს და ერთ-ერთ ქუჩას **გ. გეგეჭკორის** სახელი ეწოდა. იგი რეპრესირებულია 1937 წელს.

**კოლხეთის პირველი დამპყრობნი, გაზეთი "ახალი კოლხიდა," 1967 წელი, 5 ივლისი, № 79, გვ. 2.**

აქვე აღსანიშნავია ინჟინერ გ. გეგეჭკორზე გამოქვეყნებული სტატიები სხვადასხვა გაზეთებში და წიგნში:

**(ვ. ჯანიაშვილი – ამაგდარი მამულიშვილი, გაზეთი "სოფლის ცხოვრება," 1967 წელი, 8 ივლისი, № 158, გვ. 3.**

**დოცენტი ბ. ტოგონიძე – გამოჩენილი ქართველი ინჟინერი, ჟურნალი "მეცნიერება და ტექნიკა," 1967 წელი, № 10, გვ. 10-11.**

**ბ. ტოგონიძე – პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, გაზეთი "სამგორი," 1967 წელი, 10 დეკემბერი, № 143, გვ. 3.**

**პროფესორი ნ. დანელია, დოცენტი ბ. ტოგონიძე – გამოჩენილი ინჟინერი, გაზეთი "ახალგაზრდა კომუნისტი," 1970 წელი, 17 ნოემბერი, № 137, გვ. 3.**

**დოცენტი ბ. ტოგონიძე – გამოჩენილი ქართველი ინჟინერი, გაზეთი "ახალი კოლხეთი," 1970 წელი, 1 დეკემბერი, № 143, გვ. 3.**

**ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1977 წელი, ტომი 3, გვ. 30).**

## კოლხიდმშენი

ოდესღაც სამეგრელოში არსებობდა ზღაპარი "ყომყორის" შესახებ. ეს იყო ყვითელი, ავსუნიანი, ჯოჯოსებური არსება, რომელიც ჭაობში ბინადრობდა. იგი ჩუმად მიეპარებოდა ხოლმე ადამიანს, გულღვიძლში გაუჯდებოდა, წვეთ-წვეთობით გამოსწოვდა სისხლს, თავის სიყვითლეს გადასდებდა და მერე სულსაც ამოხდიდა...

"ყომყორი" მალარია იყო. დედაბრები შელოცვით "მკურნალობდნენ" ყომყორშეყრილს, ადამიანები კი იტანჯებოდნენ და იხოცებოდნენ.

... ცხრაასიან წლებში ნიკო ნიკოლაძის ნათელმა გონებამ შემოანათა "ყომყორის" სამეფოში. მან, წამოაყენა პირველად "ყომყორის" წინააღმდეგ ბრძოლის, კოლხეთის ჭაობის ამოშრობის იდეა. მაგრამ იმ დროისათვის ამ იდეას ჯერ კიდევ არ ჰქონდა კონკრეტული სახე, არ იყო ჩამოყალიბებული პროექტებში და საინჟინრო ნახაზებში. მეფის ბატონობის

დროს ნიკო ნიკოლაძის დიდ ოცნებას რეალური საფუძველი ჰქონდა.

კოლხეთის დაბლობში, რომელსაც უჭირავს 220 ათასი ჰექტარი სივრცე მოთავსებულია შავი ზღვის სანაპიროზე ქობულეთიდან გულრიფშამდე. ...უხსოვარ დროს კოლხეთში არგონავტები მოდიოდნენ ოქროს ვერძისათვის. ოქროს ვერძი არის კოლხეთის დაბლობის უძვირფასესი ნიადაგი, მათი მოცავება და ნალექება შეუძლებელია.

კოლხეთში დღეისათვის ამოშრობილია 18.000 ჰექტარი, არხების საერთო სიგრძე 450 კილომეტრს უდრის. გაყვანილია 35 კილომეტრი გზა, მათ შორის 12 კილომეტრი გაყვანილია ძველად გაყვანილ ჯებირზე (ყორათი, შუა ხორგა და სხვ. ამჟ. ხობის მუნიციპალიტეტი). წვიმების და წყალდიდობების დროს დიდდება მდინარეები, ისინი გადმოდიან ნაპირებზე და ავსებენ ველებს, სახნავ-სათესებს, ტყეებს. ახლა მდინარეთა ნაპირებზე გაყვანილია დაახლოებით 100 კილომეტრი ჯებირი, რაც ადგილებს იცავს საშინელი წყალდიდობებისგან. ასეთი წყალდიდობა იყო, მაგალითად: 1923 წელს, როდესაც მდ. რიონმა და ხობმა დაჰფარა მთელი ტერიტორია ამ მდინარეთა შორის. 1921 წლის წყალდიდობის დროსაც ქალაქ ფოთის ქუჩებში მიდიოდა 1, 5 მეტრის სიღრმის წყალი. ამჟამად ფოთი – კოლხეთის ცენტრი – გარშემოვლებულია 5, 5 კილომეტრის სიგრძის ჯებირით, რაც ქალაქს სავსებით იცავს წყალდიდობისაგან. თითონ ქალაქში ჩატარებულია ამოშრობის სამუშაოები, რამაც გააჯანსაღა იგი.

გაშლილია მუშაობა მდინარე რიონის კალაპოტის შესაცვლელად. ახალ არხზე, რომელშიაც გაივლის რიონი, შენდება უზარმაზარი ხიდი (რკინიგზის), მისი აგება ამ წლის ბოლოს დამთავრდება. ...რთული მელიორაციული სისტემა შესაძლებლობას მოგვცემს მდინარე რიონის შესართავთან ამოვაშროთ 3200 ჰექტარი. მდინარიდან გაყვანილია რამდენიმე არხი, ერთიმეორის პარალელური, რომელთა საშუალებით წყალდიდობის დროს რიონის ღვრიე წყალი ლამს გაიტანს. ლამი წარმოადგენს საუკეთესო სასუქს სუბტროპიკული მცენარეებისათვის, ეს ლამი რჩება დიდ სივრცეზე, ხოლო სუფთა, "გადამუშავებული წყალი" წყალსაშვებებით მიდის მდინარე პალიასტომში, იქიდან კი არხით შავ ზღვაში. ერთი მუჭა ლამი საკმარისია ლიმონის ხის გამოსაკვებად.

ფოთის რაიონის მეორე უბანი ცნობილია როგორც კოღოებიანი, წყრომლიანი და ჭაობიანი. ახლა აქ უკვე დარგულია გრეიფრუტის პირველი მცენარეები. კოლხეთის დასახლება დაიწყო. ამოშრობილ 18.000 ჰექტარიდან 60 პროცენტი უკვე გადაეცა ადგილობრივ მოსახლეობას.

საქართველოში ნოყიერი მიწა მცირეა. ჩაის, რამის და სუბტროპიკულ-ეთეროვან კულტურების სივრცეების გაფართოვება ჯერჯერობით ერთგვარად შეზღუდულია. კოლხეთის

ნიადაგი და ჰავა გვაძლევს უფართოეს შესაძლებლობას იმისათვის, რომ აქ განვავითაროთ სუბტროპიკული მეურნეობა.

კოლხეთში ჩვენ გვექნება ციტრუსები: ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, გრეიფრუტი; აქ ჩვენ გვექნება ჩაის პლანტაციები. კოლხეთი მოგვცემს ნედლეულს საფეიქრო მრეწველობისათვის. ეს არის რამი, ახალზელანდიური სელი, დრაცენა; პარფიუმერიისა და საშაქარლამო მრეწველობისათვის: გერანი, ლიმონის სორგო. კეთილშობილი დაფნა კოლხეთის ნიადაგში იპოვის საჭირო სინოყიერეს. აქ გაიხარებს ლაქის, ფანქრის, საპონის ხეები. ბამბუკის ტყე მაღლა აისვეტება. უმაღლესი ევკალიპტი თავიანთი თვისების გამო ამოაშრობს ნიადაგს, ამოსწოვავენ ზედმეტ წყალს. ამას გარდა, ევკალიპტის ტყე იქნება საიმედო ქარსაფარი.

გრიგოლ გეგეჭკორი

კოლხიდმშენის მთავარი ინჟინერი. ორდენოსანი.

**(გაზეთი "მუშა," 1936 წელი, 5 აპრილი, № 79, გვ. 2).**



– უნდა გიყვარდეს შრომა, შენი პროფესია, ამაშია მასწავლებლის გამარჯვების მთელი საიდუმლოება! – ეს სიტყვები ჩაესმა **თამარ გეგეჭკორს**, როცა მან პირველად მოჰკიდა ხელი მასწავლებლობის საპატიო პროფესიას... ახლაც თვალწინ უდგას თ. **გეგეჭკორს** იმ ადამიანის ნაოჭიანი სახე, რომელმაც შეასმინა მას ეს გონივრული სიტყვები. ეს იყო 1910 წლის 1 სექტემბერს. მრავალი წელია, რაც თამარი მასწავლებლად არის და ეს შთამაგონებელი დარიგება არასოდეს დავიწყებია...

ვის შეუძლია იმის დათვლა, თუ ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე რამდენი გაკვეთილი ექნება გადაცემული, რომელთა ჩასატარებლად დიდი მუშაობა და წინასწარი მომზადება იყო საჭირო. ადვილი როდია, რომ ყოველ გაკვეთილზე მისცე მოსწავლეს ახალი რამ, **თამარ გეგეჭკორი** კი ამას ახერხებდა. ამასთან იგი ოსტატურად ათავსებდა პედაგოგიურ მუშაობას საზოგადოებრივ საქმიანობასთან, კიდევაც დაიმსახურა მოსწავლეთა მხურვალე სიყვარული.

თ. **გეგეჭკორმა** უმცროსი კლასების სკოლის მასწავლებლობით დაიწყო, უმაღლესი განათლება მუშაობისაგან მოუწყვეტლივ მიიღო და ბევრ სკოლაში ყოფილა ხელმძღვანელ სამუშაოზე.

– უნდა გიყვარდეს შრომა, შენი აღსაზრდელი ბავშვები, შენს მიერ არჩეული პროფესია.

– აი რა ანიჭებს შენს შრომას სრულ ღირსებას, ხოლო პედაგოგს – ნამდვილ სიხარულს! ახლა სხვებს არიგებს და შთააგონებს ყველა პენსიაზე მიმავალი, ჭაღარით მოსილი **თამარ გეგეჭკორი**...

ეს ამბავი გვამცნო კალენდრის ფურცლებმა, რომელზეც წერია: 80 წლის წინათ დაიბადა ქართველი პედაგოგი ქალი **თამარ** ასლანის ასული **გეგეჭკორი**. იგი დაიბადა 1893 წელს. ნახევარი საუკუნე პედაგოგიურ სარბიელზე მხოლოდ მას შეუძლია მოათიოს, ვინც ჭეშმარიტად მოწოდებულია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. თავად 1910 წელს დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი და სრულიად ახალგაზრდა, 17 წლის **თამარ გეგეჭკორი** დაინიშნა და იმავე წლიდან ბაქოს ქართულ სკოლაში ასწავლიდა ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ბაქოს სკოლის მასწავლებლად. აზერბაიჯანში მომუშავე ქართველ მასწავლებელთა ეს ჯგუფი დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდა.

1918 წელს თ. **გეგეჭკორი** თბილისში გადმოდის. მალე მისი სახელი პოპულარული გახდა დედაქალაქის განათლების მუშაკთა შორისაც. 1946 წელს მას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. ორმოცდაათიან წლებში, მისი გულის კარნახით ბევრი რამ გააკეთა, კრწანისის რაიონის თბილისის 64-ე სკოლაში მისი თაოსნობით შექმნა და შესანიშნავი პედაგოგიური კაბინეტი გაიხსნა.

**თამარ გეგეჭკორი** 80 წლისა შესრულდა. მას შერჩა ჩვეული მხნე, კეთილშობილური იერი. ნახევარი საუკუნე გაევლო სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობებზე, იყო კლასის დამრიგებელიც და დედაც, მეგობარიც და თანაცოლიც. დიდთან – დიდი, პატარასთან პატარა, გამგები, მგრძნობიარე, მკაცრიც და სათნოც, თბილი სიტყვაც იცოდა და თუ საჭირო იყო, ფრაზას პილპილსაც მოაყრიდა. ეს კარგი მოქართულე, დარბაისელი და ჩვენი პედაგოგიური აზროვნების სახელოვანი წარმომადგენელი. ახლა რამდენი ახალგაზრდა მასწავლებელი აღუზრდია, დახმარებია, რამდენს ამოდგომია მხარში! სიზარმაცეს არავის აპატიებდა და ბეჯითისათვის დახმარება არასოდეს დაუშურებია თამარ მასწავლებელი მიდის ყველგან, ყველასთან და ირგვლივ აფრქვევს სითბოს მშობლიურ მზერას აპყრობს თავის აღზრდილებს, რომლებსაც იმ ბედნიერ წუთებში აღმზრდელებს გულით დალოცავენ. რვა ათეული წელიწადი ვერ აშინებს ახალგაზრდების მოამაგეს, გული კვლავაც სკოლისაკენ მიუწევს...

(გ. ესებუა – პორტრეტი. გაზეთი "სახალხო განათლება," 1956 წელი, 24 ოქტომბერი, № 43, გვ. 1.

შ. შენგელი – უბერებელი. გაზეთი "სახალხო განათლება" 1943 წელი, 5 ოქტომბერი, № 80, გვ. 2.

ნ. საყვარელიძე – ღვაწლმოსილი მანდილოსანი. გაზეთი "ახალგაზრდა კომუნისტი" 1943 წელი, 6 ოქტომბერი, № 119, გვ. 4.

კ. კვეიძე – კვლავ სკოლაზე, ბავშვებზე ფიქრებით. გაზეთი "თბილისი" 1943 წელი, 10 ოქტომბერი, № 238, გვ. 3).



გეგეჭკორი მავრა ზურაბის ასული დაიბადა 1900 წლის 16 აპრილს ქ. ქუთაისში. გეოგრაფიის მასწავლებელი.

1920 წელს დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზია და მუშაობა დაიწყო მასწავლებლად ქალთა პროფესიონალურ სკოლაში.

1921 წელს საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში და მუშაობა დაიწყო განათლების კომისარიატში სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფილების მდივნად. იმავე წლიდან 1934-მდე მუშაობდა თბილისის მე-8 შრომის სკოლაში არითმეტიკის მასწავლებლად. 1930-1934 წწ. სწავლობდა თსუ პედაგოგიკის ფაკულტეტზე. 1934-1936 წწ. მუშაობდა განათლების სამინისტროს პედაგოგიკის და პედოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლაბორანტად, შემდეგ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1935-1960 წწ. ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-3 საშუალო სკოლაში (ახლა 23-ე სკოლა) ასწავლიდა გეოგრაფიას. სკოლაში მუშაობასთან ერთად (1942-1959 წწ.) იყო თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გეოგრაფიის კაბინეტის გამგე. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, თბილისის განათლების პედაგოგიური კაბინეტის მიერ ჩატარებულ კონფერენციებზე კითხულობდა ლექციებს და მოხსენებებს გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკაში. წერდა და აქვეყნებდა პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებში მეთოდოლოგიური ხასიათის წერილებს. იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების აქტიური წევრი. 1951-1960 წწ. ხელმძღვანელობდა კლასგარეშე გეოგრაფიული განათლების სექციას, კითხულობდა მოხსენებებს საზოგადოების წევრთა საჯარო სხდომებზე. აწყობდა ნორჩ გეოგრაფთა დღეებს, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენებს.

დაჯილდოებული იყო ორდენებით, მედლებით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, "სახალხო განათლების წარჩინებული მუშაკი"-ს ნიშნით, განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სკოლის

დამსახურებული მასწავლებლის წოდება 1946 წელს. მ. **გეგეჭკორი** გარდაიცვალა 1971 წელს.

**(გაზეთი "სახალხო განათლება" 1971 წელი, 16 ივნისი, № 48, გვ. 4.**
**ენციკლოპედიური ცნობარი – ქართველი მოგზაურები, გეოგრაფები,**
**ბუნების მკვლევარნი. 2003 წელი, გვ. 64).**



**გეგეჭკორი ოთარი** დაიბადა 1917 წლის 30 იანვარს მარტვილში. ხელოვნების მუშაკი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. 1937-41 წლებში სწავლობდა ლენინგრადის (ამჟ. სანქტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია) კინოსარეჟისორო ინსტიტუტში.

1941-56 წლებში მუშაობდა თბილისის კინოსტუდიაში. 1956 წლიდან "ქართულ ფილმში" მოღვაწეობდა, როგორც ხმის ოპერატორი. გახმოვანებული აქვს მხატვრული ფილმები; "მაიაკოვსკი იწყებოდა ასე" (1958), "ჭიაკოკონა" (1961), "ჯარისკაცის მამა" (1964), "გიორგობისთვე" (1966), "ფიროსმანი" (1969), "ჩერმინი" (1970), "იყო შაშვი მგალობელი" (1970), "დაისი" (1971), "ჩარი-რამა" (1972), "ლამის ვიზიტი" (1974), "მელის ლეკვები" (1977), მულტიპლიკაციური ფილმები: "საყვირი შემდეგ" (1959), "მამაცი ვაჟა" (1965), "ო, მოდა, მოდა" (1968), "ახალი მთვარე" (1972), "ყინულის პაპის საჩუქარი" (1974). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. გარდაიცვალა 103 წლის ასაკში.

**(საქართველო – ენციკლოპედია. 1997 წელი, I ტომი, გვ. 543).**



**გეგეჭკორი მერაბი** ვლადიმერის ძე დაიბადა 1919 წლის 23 აპრილს სოფელ მარტვილში. ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი 1972 წლიდან.

1940 წელს დაამთავრა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. იმავე წელს ჩაირიცხა რუსთაველის სახელობის თეატრის დასში. 1946-47 წლებში-ბათუმის თეატრში.

1947 წლიდან კვლავ რუსთაველის სახელობის თეატრშია. იგი წარმატებით ასრულებდა სახასიათო როლებს, გამოირჩეოდა უშუალობით, იუმორით, პროფესიული კულტურით. რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე შექმნილი სახეებიდან აღსანიშნავია; გალუცკინი (ოსტროვსკის "ზოგჯერ ბრძენიც შეცდება"), ციგერო (შანშიაშვილის "ხევისბერი გოჩა"), ხოჯა სოლეიმანი (მოსაშვილის "ჩაძირული ქვები"), აკაკი ბერი (სოლოვიოვის "დიდი ხელმწიფე"), ზედამხედველი ("ადამიანებო, იყავით ფხიზლად," ფუჩიკის

მიხედვით), გვადი ბიგვა (კიაჩელი "გვადი ბიგვა"). კინოფილმებში შესრულებული აქვს როლები; თავადი ("ქეთო და კოტე," 1948 წელი), კონცო ("მაგდანას ლურჯა," 1955 წელი), მელიტონ ჭალანჩივაძე ("ეთერის სიმღერა," 1955 წელი), პაპა ნიკა ("არდადეგები," 1969 წელი). სისტემატურად მონაწილეობდა რადიო და სატელევიზიო გადაცემებში, გამოდიოდა ესტრადაზე;

მ. **გეგეჭკორი** გარდაიცვალა 1977 წელს, დაკრძალულია თბილისში საბურთალოს პანთეონში.

**(ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1977 წელი, ტომი 3, გვ. 30.**
**თბილისი – ენციკლოპედია. 2002 წელი, გვ. 371).**

## მერაბ გეგეჭკორის ხსოვნას

**მერაბ გეგეჭკორი** იმ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნოდა, უფრო ნაკლებს რომ ღებულობენ ცხოვრებაში, ვიდრე ამის უფლებას მათი ნიჭი, მათი პროფესიული მონაცემები აძლევენ. **მერბ გეგეჭკორი** იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, ბევრს რომ გასცემენ, გაცილებით ნაკლებს ნაკლებს კი ღებულობენ სანაცვლოდ.

ის არ იყო პატივმოყვარე, არასოდეს იბრძოდა საგანგებოდ პირადი კეთილდღეობისათვის. მას, კეთილსა და უანგაროს, თავმდაბალსა და კაცთმოყვარეს, სხვისი წარმატებაც დიდ სიხარულს ჰგვრიდა და განა მარტო თავისი მეგობრების, თავისი თეატრის გამარჯვებები ახარებდა – ყველა ქართული თეატრის, ყველა ქართველი მსახიობისა. ყოველ, თუნდ მცირე წარმატებასაც კი სიამოვნებით ულოცავდა ყველას. ყურადღებიანი იყო, ნაშრომს, ნამოღვაწარს უსათუოდ დააფასებდა. არც ერთი თეატრის წარმოდგენას უნახავს არ დატოვებდა. ყველასათვის იპოვნიდა თბილ სიტყვას.

მადლობელი ვარ შენი, ძმო მერაბ ჩემო შემოქმედებისადმი ასეთი გულისხმიერი ყურადღებისათვის, მარტო შენი, უწყებრივი კი არა, ყოველი ქართული თეატრის ყველა თეატრალური მოვლენისადმი სითბოსა და ინტერესისათვის. ჩვენ ყოველთვის გვემახსოვრება შენი შემოქმედება, შენი ნათელი სახელი, შენი კაცური კაცობა!

გიგა ლორთქიფანიძე

**(გაზეთი "ლიტერატურული საქართველო" 1977 წელი, 25 მარტი, № 13, გვ. 4).**



**გეგეჭკორი გიორგი (გოგი)** ვლადიმერის ძე დაიბადა 1923 წლის 23 თებერვალს თბილისში; მსახიობი; საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, საპატიო ნიშნის 3 ორდენი,

ღირსების ორდენი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია, საქართველოს სახელმწიფო პრემია.

1944 წელს დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. იმავე წლიდან იყო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი, სადაც 120-მდე როლი შეასრულა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მ. მრევლიშვილის პიესაში "ბედი მგოსნისა" განსახიერებული ნიკოლოზ ბარათაშვილის როლი; სპექტაკლი დიდხანს არ ჩამოსულა სცენიდან და საოცარი პოპულარობა მოუტანა მსახიობს; შემდეგ იყო დონ სეზარი ("დონ სეზარ დე ბაზანი"), მეფე ("ჯინჭრაქა"), ჰამლეტი, გლოსტერი, ბაკინგემი ("ჰამლეტი")," "მეფე ლირი," "რიჩარდ მესამე"). ნ. დუმბაძის "საბრალდებო დასკვნაში" ტიერან გულოიანის როლი ხუთასზე მეტჯერ ითამაშა. დ. კლდიაშვილის "სამანიშვილის დედინაცვალი", სადაც პლატონ სამანიშვილის როლს ასრულებდა, საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა თეატრისთვის და უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაშიც წარმატებით წარმოადგინეს; მოღვაწეობდა კინოსა და ტელევიზიაში; კინოეკრანზე, ტელეფილმებში და რადიოდადგმებში 100-მდე როლი აქვს შესრულებული. გადაღებულია კინო ფილმებში: ლევანი ("ჭრიჭინა," 1954 წელი), ვახტანგი ("აბეზარა," 1956 წელი), ნესტორი ("ეთერის სიმღერა," 1956 წელი), ნიკო ("ქალის ტვირთი," 1957 წელი), ბესარიონი ("წარსული ზაფხული," 1959 წელი), მამა ("არდადეგებზე," 1962 წელი), ლოგიკის მასწავლებელი ("ჩემი მეგობარი ნოდარი," 1967 წელი), დირიჟორი ("ჩარი-რამა," 1972 წელი), ფარმაცევტი ("ვერის უბნის მელოდიები," 1973 წელი), დათიკო ("აურზაური სალხინეთში," 1975 წელი), გალაქტიონი ("ბაკულას ღორები," 1976 წელი), ჩაჩიკა ("ნატვრის ხე," 1976 წელი), საბა ("ბათა ქექია," 1978 წელი), სანდრო კაპიძე ("დათა თუთაშხია," 1978 წელი), მოსე ("კაცია ადამიანი," 1979 წელი), ჯანდიერი ("ფესვები," 1987 წელი), ივერთ მონასტრის ბერი ("ანთიმოზ ივერიელი," 2001 წელი).

გარდაიცვალა 2003 წლის 11 მარტს. დაკრძალულია თბილისში დიდუბის პანთეონში.

(ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1977 წელი, ტომი 3, გვ. 30. ვინ ვინაა საქართველოში; ქართული ბიოგრაფიული ცნობარი, 1996-97 წლები, გვ. 56).



**გეგეჭკორი სერგო** ლავრენტის ძე (ბერია სერგო ლავრენტის ძე) დაიბადა 1924 წლის 24 ნოემბერს თბილისში. ინჟინერი, სამხედრო პირი, ინჟინერ-პოლკოვნიკი;

1947 წელს დაამთავრა ლენინგრადის (ამჟ. სანქტ-პეტერბურგი რუსეთის ფედერაცია) კავშირგაბმულობის სამხედრო-ელექტროტექნიკური

აკადემია. მონაწილეობდა თეირანის (1943 წელი, ირანი), იალტის (1945 წელი, ყირიმი) და პოტსდამის (1945 წელი, გერმანია) კონფერენციების მომზადებაში (ასრულებდა სპეციალურ სამხედრო დავალებებს). ომის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს საკონსტრუქციო ბიუროში, სადაც შექმნა რამდენიმე ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემის პროექტი. მისი ხელმძღვანელობით (მთავარი კონსტრუქტორი) შეიქმნა რამდენიმე ტიპის რაკეტული სისტემა, მათ შორის ქალაქ მოსკოვის (რუსეთის ფედერაცია) საჰაერო თავდაცვის სისტემა, აგრეთვე ხომალდსაწინააღმდეგო, "ჰაერი-ჰაერის" და სხვა კლასის რაკეტები. 1950 წელს მიენიჭა სსრკ-ის სახელმწიფო პრემია. გახდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1952 წელი). წარდგენილი იყო სოციალისტური შრომის გმირობაზე, მაგრამ მამის, ლავრენტი ბერიას დაპატიმრებასთან დაკავშირებით, 1953 წელს **სერგო გეგეჭკორიც** დააპატიმრეს, ჩამოართვეს ყველა წოდება და ჯილდო. 1954 წელს რუსეთის ტექნიკური ინტელიგენციის მოთხოვნით გაათავისუფლეს და სამუშაოდ გააგზავნეს სვერდლოვსკში (ამჟ. ეკატერინბურგი, რუსეთის ფედერაცია), სადაც განაგრძო ახალი სარაკეტო სისტემების დამუშავება. მთავრობის გადაწყვეტილებით იგი სიცოცხლის დანარჩენ წლებში დედის გვარს (**გეგეჭკორი**) ატარებდა. 1964 წლიდან მუშაობდა უკრაინაში. 1990 წლიდან იყო უკრაინის მანქანათმშენებლობის კიევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტ "კომეტის" დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი. 1991 წლიდან აქტიურად თანამშრომლობდა ქართველ სპეციალისტებთან. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

ს. **გეგეჭკორი** გარდაიცვალა 2000 წლის 11 ოქტომბერს.

**(საქართველო – ენციკლოპედია, 1997 წელი, ტომი I, გვ. 543.**
**გამოჩენილი ინჟინრები და მეცნიერები, 2012 წელი, გვ. 40-41).**



**გეგეჭკორი ლამარა** დაიბადა 1931 წლის 13 აპრილს თბილისში. 1958 წელს ფ. შოპენის სახელობის პიანისტთა კონკურსის ლაურეატი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1977 წელი), პროფესორი (1980 წელი).

1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენების ფაკულტეტი და თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია. 1967 წელს მისი ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა უცხოურ ენებზე ზეპირმეტყველების ლაბორატორია, რომელიც 1982 წელს გადაკეთდა უცხოური ენების ინტენსიური სწავლების რესპუბლიკურ ცენტრად. 1988 წლიდან იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფრანგული ენის კათედრის გამგე. მას დამუშავებული აქვს უცხოური ენების ინტენსიური სწავლების ახალი მეთოდური სისტემა, რომელმაც პოპულარობა მოიპოვა საზღვარგარეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა ჰ. ფოგტის "ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა."

**ლ. გეგეჭკორი** გარდაიცვალა 1995 წლის 31 მარტს.

**(საქართველო – ენციკლოპედია, 1997 წელი, ტომი I, გვ. 543).**



**გეგეჭკორი** გივი ილიას ძე დაიბადა 1933 წლის 24 იანვარს თბილისში. ქართველი პოეტი და მწერალი, 1963 წლიდან მწერალთა კავშირის წევრი, 1977 წლიდან მწერალთა კავშირის ლიტკონსულტანტი; 1995 წელს მიენიჭა აკაკი წერეთლის პრემია, 1998 წელს-შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. 1958-1977 წლებში მუშაობდა ჟურნალ "ცისკრის" პოეზიის და პროზის განყოფილების გამგედ. 1952 წელს პირველი ლექსები გამოაქვეყნა ალმანახ "პირველ სხივში." 1963 წელს გამოსცა ლექსთა პირველი წიგნი "მზიანი დღე." მას ეკუთვნის პოეტური კრებულები; 1968 წელს-"ახალი აბზაცი," ფრანგი პოეტების თხზულებათა თარგმანები (კრებ. "ფრანგული პოეზია"), 1971-წელს "ჩემი დღესასწაულები, "1972 წელს-გ. აპოლინერის "ლექსები," 1973 წელს-"ჩიტების გამოღვიძება," 1974 წელს-"მეორე მდინარე," 1985-წელს წერილების კრებული "სიკეთის ტოტი," 1900 წელს-"ფრანგული პოეზიის ანთოლოგია," 1995 წელს ლექსების ერთტომეული. 1997 წელს საბავშვო წიგნი "ილია ჭავჭავაძის ცხოვრება." 1998 წელს-ლექსების კრებული "შუქი ფერმიხდილი თვალის," წერილები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. მისი ლექსები თარგმნილია; რუსულ, უკრაინულ, ესტონურ, პოლონურ, ჩეხურ, სერბულ ენებზე. **გ. გეგეჭკორი** გარდაიცვალა 2002 წელს.

**(ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1977 წელი, ტომი 3, გვ. 30).**

ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ "ᲛᲣᲭᲐᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ"

## ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ

თუ ერების სამსჯავროზე
ერმა უნდა სიტყვა მისი
თქვას, დაიცვას საქართველოს
რუსთაველის ღაღადისი.

რადგან ისტორიის გზებზე
თუ ქართველმა კაცმა სცოდა,
ყველაფერს გამოისყიდის
მხოლოდ რუსთაველი შოთა.

თუ კაცი ჰკლა, თუ იქურდა,
თუ იფლიდა, თუ იმრუდა
და თუ არ გამოილია
ბელზებელი და იუდა.

თუ ქვეყანას გადაუდგა,
თუ იმრუშა,თუ ილოთა,
ყველაფერს გამოისყიდის
მხოლოდ რუსთაველი შოთა.

საქართველო მუდამ მისი
ლალადისით დაირაზმა,
მან პირჯვარი გადაგვსახა
და გვასხურა აიაზმა.

ჩვენი გზა და ისტორია
არის ჯვარცმა და გოლგოთა,
მერამ ჩვენი გარდამოხსნა
რუსთაველი არის შოთა.

და თუ ერთხელ სიცხემ მზისა
მოაკლდება ჩვენთვის კორონსს,

ჩვენს გაწირულ სულებს უნდა
რუსთველმა უპატრონოს.

გივი გეგეჭკორი. 1982 წელი.



**გეგეჭკორი ვახტანგი** დაიბადა 1938 წლის 18 მისს სოფელ ნოჯიხევში (ამჟ. ხობის მუნიციპალიტეტი), ინჟინერი, აფხაზეთის დამსახურებული ინჟინერი.

1963 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი.

1963-70 წლებში მუშაობდა საქართველო მშენებლობის სამინისტროს № 6 სამშენებლო ტრესტის სამმართველოს ინჟინრად, მთავარ ინჟინრად; 1970-1972 წლებში-აფხაზეთის ტურიზმის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ; 1972-1978 წლებში-აფხაზეთის კურორტებისა და ტურიზმის ობიექტების მშენებლობის გაერთიანებული დირექციის დირექტორად; 1978-1982 წლებში-სამშენებლო-სარემონტო სამმართველო "აფხაზკურორტრემმშენის" უფროსად; 1982-1992 წლებში იყო სოხუმის მერიის მშენებლობის განყოფილების უფროსი; 1997 წლიდან-სამშენებლო გაერთიანება "საქგვირაბმშენის" ბაზალეთის პროექტის მთავარი მენეჯერის მოადგილე.

მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით აშენდა ახალი ათონის მღვიმეების ტურისტული კომპლექსი, 500-ადგილიანი ტურისტული კომპლექსები სოხუმში, ოჩამჩირეში, გუდაუთასა და მიუსერაში (გუდაუთის რაიონი); ტურისტული ბაზების საძინებელი კორპუსები ახალ ათონში (გუდაუთის რაიონი), აგუძერასა (გულრიფშის რაიონი) და გუმისთაში (სოხუმის რაიონი), სპორტული ნაგებობა ბიჭვინთაში, კემპინგი გაგრაში, ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ბაზალეთში და მრავალი სხვა. გარდაიცვალა 2015 წელს.

**(საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია, 2014 წელი, გვ. 128).**



**არნოლდ გეგეჭკორი** დაიბადა 1940 წლის 16 იანვარს ქალაქ ოზურგეთში. მეცნიერი, ბიოლოგი, ბიოგრაფი, ჟურნალისტი, მოგზაური, პუბლიცისტი და ჩოხოსანი.

ოზურგეთში ადგილობრივ სკოლაში სამი წელი სწავლობდა, შემდეგ საშუალო სკოლა ვერცხლის მედალზე თბილისში დაამთავრა. არნოლდის მამა **მიხეილ გეგეჭკორი**, აგრონომ-სელექციონერი იყო და მისი ზეგავლენით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩააბარა გამოცდები, შემდეგ ასპირანტურაში სწავლის დროს კი უნივერსიტეტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის განხრით დაიწყო სწავლა. ჰქონდა ბიოლოგისა და ჟურნალისტის დიპლომები.

1963 წლიდან ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-ფაუნისტურ ექსპედიციებს კავკასიაში, ცენტრალურ აზიაში, ციმბირში, შორეულ და ახლო აღმოსავლეთში. მოვლილი აქვს

დედამიწის ყველა ბუნებრივი ზონა; 32 წლის განმავლობაში საქართველოს ტელევიზიის “პირველ არხზე” უძღვებოდა გადაცემას “ბუნების კარი”; 1966 წელს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში; გახდა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, 1985 წელს სანკტ-პეტერბურგის (რუსეთის ფედერაცია) ზოოლოგიის ინსტიტუტში; ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

1970–2005 წლებში იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის ზოოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; 1985 წელს და 1994 წელს მიღებული აქვს “ბუნების დამცველის” ოქროს მედალი; 1989–2005 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ზოოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, რამდენიმე დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსი, 600-მდე ნაშრომის ავტორი; სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა უცხოეთში: მიწვეული პროფესორი (Visiting Professor) ლექცია-სემინარების კურსით; მიწვეული მკვლევარი (Visiting Researcher): 2000 წელს მონაშის უნივერსიტეტი (მელბურნი, ავსტრალია); 2000 წელს კალიფორნიის მეცნიერებათა აკადემია (სან-ფრანცისკო, აშშ); 2000 წელს მეხიკო-სითის ავტონომიური უნივერსიტეტი (მექსიკა); 2000 წელს კიტოს უნივერსიტეტი (ეკვადორი); 2000 წელს დარ-ეს-სალამის უნივერსიტეტი, ტანზანიის ეროვნული პარკი (ტანზანია); 2000–2001 წწ. კემბრიჯის (დიდი ბრიტანეთი) საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ დასახელებულ იქნა “წლის საერთაშორისო პიროვნებად”, სათანადო დიპლომითა და ღირსების ვერცხლის მედლით; 2000, 2002–2003 წწ. ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტი (UNSW) (სიდნეი, ავსტრალია); 2000–2003 წწ. ნაირობის უნივერსიტეტი (კენია); 2009 წელი გრეიფსვალდის უნივერსიტეტი (გერმანია);

2005 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრის ხელმძღვანელი; 2006 წლიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის მრჩეველი საგანმანათლებლო დარგში; 2011 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის – “ეკოლოგიის” ხელმძღვანელი;

მიღებული აქვს: 1998 წელს – საქართველოს სახელმწიფო პრემია; პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია; იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია; 1999 წელს – ღირსების ორდენი; 2000 წელს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი; 2013 წელს – ღირსების ორდენი.

ა. გეგეჭკორი გარდაიცვალა 29 მაისს 2021 წელს 81 წლის ასაკში.

# გენი – სიცოცხლის ძაფი

თითოეულ ცოცხალ ორგანიზმში არსებობს რაღაც შინაგანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მცენარიდან მცენარის ან ცხოველიდან ცხოველური ორგანიზმის წარმოშობას. ჩანასახიდანვე ყველა ცოცხალ ორგანიზმში მოცემულ ამ ფაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს მსგავსიდან მსგავსის წარმოქმნას, გენეტიკური ფაქტორი ეწოდება.

მართალია, მსგავსება მშობლებსა და მომდევნო თაობებს შორის ძალიან დიდია, მაგრამ აბსოლუტური მაინც არ არის. მაგალითად, ისინი განსხვავდებიან თმის, თვალების ან კანის ფერით, სიმაღლით, სახის ნაკვთებით. რასთან არის დაკავშირებული ყოველივე ეს?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხს გვაძლევს ბიოლოგიის ერთ-ერთი ახალგაზრდა დარგი – გენეტიკა. იგი სწავლობს მემკვიდრეობასა და ცვალებადობას, ანუ თაობებში მსგავსების შენარჩუნებასა და ცოცხალ ორგანიზმთა მემკვიდრეობის მრავალფეროვნებას. ორგანიზმის თითოეულ ნიშანს (ფერი, თმიანობა, სიმაღლე და სხვ), რომელიც თაობებში მემკვიდრეობით გადაეცემა, შეესაბამება ცალკეული მემკვიდრული ფაქტორი, ანუ გენი. გენების საშუალებით წარმოებს ორგანიზმში მემკვიდრული ნიშნების გადაცემა-ტრანსლაცია.

გენთა ერთობლიობა ქმნის გენოტიპს. თუ რამდენად გამოვლინდება გენთა ეს ერთობლიობა ორგანიზმში გარეგნულად, ეს დამოკიდებულია გარემოს მთელ რიგ ფაქტორებზე. მაგალითად, ცალკეული ადამიანის გენოტიპში შეიძლება მოცემული იყოს სხვადასხვა უნარის გენები: მუსიკის, მათემატიკის, მხატვრობისა და ა. შ. მაგრამ პრაქტიკულად მათი რეალიზაცია შეიძლება არ მოხდეს ორი მიზეზით – ერთი იმიტომ, რომ თითოეული უნარის (ნიჭის) გამოვლინებას არ ჰყოფნის გენთა გარკვეული ჯგუფი, ანდა გენების მხრივ ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ პიროვნებას არ შეექმნა სათანადო გარემო პირობები ამ უნარის პრაქტიკული განხორციელებისათვის. ავიღოთ ასეთი მაგალითი: თუ მონადირე ძაღლის ლეკვს ყნოსვის უნარი არ გამოუმუშავეთ, მისგან ჩვეულებრივი ეზოს ძაღლი დადგება.

სად იმყოფებიან ორგანიზმში მემკვიდრული ნიშნების გადამცემი ეს გენები? თუ ადრე გენი აღიარებული იყო როგორც მხოლოდ სიმბოლო და ორგანიზმის რომელიმე ნიშანს გარკვეულ გენს მიაწერდნენ, მეოცე საუკუნის ათიან წლებში მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ გენი პრაქტიკულად არსებობს, მატერიალურია და მოთავსებულია უჯრედის ბირთვის იმ უბნებში, რომლებსაც ქრომოსომებს უწოდებენ. გენს რთული ქიმიური სტრუქტურა, ორმაგი სპირალის ფორმა და რაც მთავარია, თვითგაორების ანუ რეპლიკაციის უნარი აქვს. გაორების შედეგია სწორედ ის, რომ შვილეული უჯრედი ემსგავსება მშობლიურს, შთამომავლობა –

მშობლებს. ფორმით, ქიმიური შედგენილობითა და ფუნქციით გენები ყველა ორგანიზმში ერთმანეთის მსგავსია როგორც უმდაბლებში, ისე უმაღლებში.

როგორ ახდენენ გენები უჯრედში სათანადო ინფორმაციათა იმგვარად განაწილებას, რომლის მიხედვითაც წარმოიქმნება, დავუშვათ, სპილოს უჯრედი, ქსოვილი, ორგანო და თვით ორგანიზმი და არა ჟირაფისა? თურმე გენის, ამ რთული ქიმიური ნაერთის ცალკეული მოლეკულა შეიცავს ქიმიურ ინსტრუქციათა სპეციფიკურ ჯგუფს. იგი გენში ჩაწერილია პირობითი ენით – კოდით, რომელიც სულ ოთხ პირობით ნიშანს შეიცავს და მათი კომბინაცია მორზეს ანბანის მსგავსად, გვაძლევს ინფორმაციათა მრავალფეროვნებას, გენის მოლეკულა ამ ინფორმაციების საშუალებით "უბრძანებს" უჯრედს შეასრულოს უამრავი ინსტრუქცია. სხვანაირად, გენი თავისებური ქიმიური "პროგრამაა," რომელიც განსაზღვრავს უჯრედის სტრუქტურასა და ფუნქციას, მასზე დამოკიდებული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემული ორგანიზმი სპილოსი იქნება თუ ჟირაფისა. გენს თამამად შეიძლება ვუწოდოთ სიცოცხლის ძაფი. ცალკეული გენი, შეიძლება შევადაროთ რამდენიმე ასეული რგოლისაგან აგებულ ჯაჭვს, სადაც თუნდაც ერთი რგოლის გადაჯგუფებას ორგანიზმის რომელიმე ნიშნის (მაგალითად, ფერის, ფსიქიკის, ხმის, და ა. შ.) გენეტიკურ ცვლილებამდე, ანუ მუტაციამდე მივყავართ.

საკმარისია იმ გენთა სტრუქტურაში, რომლებიც მხედველობას განაპირობებს, მოხდეს მცირეოდენი ცვლილება, რომ ადამიანი დაიბადოს თანდაყოლილი დალტონიზმით, ე. ი. ვერ არჩევდეს ფერებს. ძალუძს თუ არა თანამედროვე მეცნიერებას ხელოვნურად მოაშოროს ორგანიზმს სერიოზული ავადმყოფობის გამომწვევი ზოგჯერ ერთადერთი არანორმალური გენი ან გენში შეიტანოს სათანადო კორექტივი? ჯერჯერობით ადამიანებში, ისევე როგორც ყველა სხვა მრავალუჯრედიან ორგანიზმში, არათუ გენის, არამედ ქრომოსომის გაყოფაც კი შეუძლებელია იმის გამო, რომ ისინი მჭიდროდ არიან გადახლართულნი უჯრედის სხვა კომპონენტებთან. მეცნიერებმა მაინც ნახეს გამოსავალი. მათ კვლევისათვის აიღეს ისეთი ობიექტი, რომელიც მხოლოდ ცილის გარსში გახვეული ნუკლეინის მჟავის, ანუ გენებისაგან შედგება. ასეთი "შიშველი გენები" ბუნებაში კი ვირუსებია.

ამას წინათ სამმა ამერიკელმა მეცნიერმა – ბეკვითმა, შაპირომ, აირონმა – უდიდეს წარმატებას მიაღწია. სათანადო ბაქტერიაზე, რომლის გენთა ჯგუფი ყველაზე კარგად იყო შესწავლილი, დაასახლეს ვირუსები (ფაგები), რომლებთაც გენების მოტაცების არაჩვეულებრივი უნარი აქვთ. ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე კი ამ ვირუსებიდან სუფთა სახით გამოყვეს "მოტაცებული" გენები. ამ წარმატების სრულყოფა დიდ პერსპექტივებს

სახავს განსაკუთრებით მედიცინის დარგში. მაგალითად, იზოლირებულ გენში შეგვიძლია მომავალში მოვახდინოთ სასურველი ცვლილება, შემდეგ კი ამ გენით "დავაპროგრამოთ" სათანადო ვირუსები. მემკვიდრეობითი, თანდაყოლილი ავადმყოფობით (უსინათლობა, სიყრუე, გონებრივი სიჩლუნგე, ფსიქიკური მოვლენები და ა. შ.) ან კიბოვანი სიმსივნით დაავადებული ადამიანის არანორმალურ უჯრედებში ასეთი ვირუსების შეყვანა შესაფერის ცვლილებებს იწვევს და საბოლოოდ აჯანსაღებს უჯრედებს.

რატომ ხდება ეს? ვინაიდან ვირუსიც და უჯრედიც ერთნაირ მჟავას ანუ გენს შეიცავენ, ამიტომ უჯრედი მასში შეჭრილ ვირუსს "სტუმართმოყვარულად" იღებს, როგორც მისთვის სასარგებლო ნივთიერებას. სინამდვილეში კი ვირუსი "დივერსანტია", რომელიც ართმევს უჯრედს გენს თავის ფუნქციებს და აიძულებს მას შეასრულოს მისი "ბრძანებანი". ასეთი გზით ვირუსი იწვევს უჯრედის როგორც ქიმიურ, ისე სტრუქტურულ ცვლილებებს. არანაკლები მნიშვნელობა აქვს აღნიშნული აღმოჩენის სრულყოფას სოფლის მეურნეობის დარგშიც. გენთა სათანადო ჯგუფში წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით გამოწვეული ცვლილებებით საგრძნობლად შეიძლება გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, შემსუბუქდეს და გაცილებით ნაყოფიერი გახდეს სელექციონერთა შრომა კულტურულ მცენარეთა და შინაურ ცხოველთა ძვირფასი ჯიშების გამოყვანაში.

სამწუხაროდ, იმავე სუფთა სახით გამოყოფილ გენში გამოწვეული ცვლილებებით შეიძლება დიდი უბედურება დავატეხოთ თავს კაცობრიობას. ამჟამად ფანტაზია როდია მასობრივი მოსპობის ისეთი ვირუსის მიღება, რომლის მსგავსი დღემდე ცნობილი არ არის. ასეთი ვირუსებით ინფექცირებული ბაქტერიებით სავსე ყუმბარასთან ატომური ბომბიც კი ბავშვის სათამაშოდ მოგვეჩვენება, ვინაიდან ვირუსების გავრცელება ათასჯერ გადამტანებს რეაგენტების საშუალებით ეპიცენტრიდან როგორც დროში, ისე სივრცეში კოლოსალური სისწრაფით ხდება. საზარელია აგრეთვე იმის გაფიქრებაც, რომ შეიძლება შეიქმნას და განვითარდეს "გენეტიკური ინჟინერია" – გონებაჩლუნგი, პასიური მუშა-ხელის წარმოება, რაც თავის დროზე გერმანელი ფაშისტების ოცნებას წარმოადგენდა.

ჯერჯერობით ზემოთჩამოთვლილი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, ვიმეორებთ, მხოლოდ მომავლის პერსპექტივაა, რომლის პრაქტიკულად განხორციელებამდე მეცნიერებს ჯერ კიდევ არა ერთი სიძნელე დარჩათ გადასალახავი. საქმე ის არის, რომ არც ისე ადვილია სასურველი ცვლილებების გამომწვევი კომბინაციის მიღება 6,500 რგოლისაგან (ნუკლეოტიდისაგან) აგებული გენის რთულ სტრუქტურაში. როგორც ვხედავთ, დღევანდელი

გენეტიკა უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის ჯანმრთელობასა და ბედნიერებასთან, თუ მსოფლიოს ხალხები სათანადოდ გამოიყენებენ მის მიღწევებს.

არნოლდ გეგეჭკორი

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,

საქართველოს სახ. მუზეუმის ყოფილი მეცნიერი თანამშრომელი.

გაზეთი "კომუნისტი," 1970 წელი, 5 სექტემბერი, № 207, გვ. 4.

აქვე აღსანიშნავია ა. გეგეჭკორის მიერ გამოქვეყნებული სტატიები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში:

(ა. გეგეჭკორი – ხევის ბუნებას გაფრთხილება უნდა, გაზეთი "დარიალი," 1977 წელი, 10 მარტი, № 31, გვ. 4.

ა. გეგეჭკორი – ღრუბლებს ზემოთ თუშეთია, ჟურნალი "საქართველოს კომუნისტი," 1981 წელი, № 9. გვ. 89.

ა. გეგეჭკორი – ბუნება სკულპტორი, ჟურნალი "საბჭოთა ხელოვნება," 1983 წელი, № 5, გვ. 123-126.

ა. გეგეჭკორი – ჩვენი ტყეების ბინადრები, გაზეთი "წიგნის სამყარო," 1983 წელი, 14 სექტემბერი, № 17, გვ. 3.

ა. გეგეჭკორი – "მიწურვილ იყო ზაფხული..." გაზეთი "თბილისი," 1985 წელი, 27 აპრილი, № 198, გვ. 4.

ა. გეგეჭკორი – წეროებიც ტირიან, გაზეთი "თბილისი," 1985 წელი, 12 ოქტომბერი, № 236, გვ. 4-5.

ა. გეგეჭკორი – შემოდგომა, გაზეთი "ლიტერატურული საქართველო," 1985 წელი, 1 ნოემბერი, № 44, გვ. 1.

ა. გეგეჭკორი – ცის ნობათი, გაზეთი "თბილისი," 1985 წელი, 13 ნოემბერი, № 259, გვ. 6.

ა. გეგეჭკორი – ფრთოსანი "არისტოკრატი," გაზეთი "თბილისი," 1986 წელი, 15 თებერვალი, № 39, გვ. 4-5.

ა. გეგეჭკორი – მეცნიერება პირველ წვეთზე, გაზეთი "თბილისი," 1986 წელი, 24 თებერვალი, № 46, გვ. 4-5.

ა. გეგეჭკორი – მცირე ფართობი ფანჯარასთან... გაზეთი "თბილისი," 1986 წელი, 13 სექტემბერი, № 211, გვ. 5.

ა. გეგეჭკორი – ზამთრის "იეროგლიფი," გაზეთი "თბილისი," 1986 წელი,

12 დეკემბერი, № 285, გვ. 4.

ა. გეგეჭკორი – ვითომ მხდალია კურდღელი? გაზეთი "თბილისი," 1987 წელი, 7 იანვარი, № 4, გვ. 4.

ა. გეგეჭკორი – უჩვეულო სილამაზე, გაზეთი "კომუნისტი," 1989 წელი, 2 ივნისი, № 127, გვ. 4.

ა. გეგეჭკორი – მდინარეთა დედოფლებში, ჟურნალი "დროშა" 1990 წელი, № 5, გვ. 13).

ტყეების ქომაგი

იქ, სადაც მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალები გარინდებულან, "მთაში – ტყე დანაბინდები, ტყეში – ქორბუდა ირმები" დანავარდობენ, სადაც მარგალიტებად დამსხვრეული თუ აქაფებული მდინარეები მოჩქუხან, ხშირად შეხვდებით ტყეების საოცრებათა მესაიდუმლეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს **არნოლდ გეგეჭკორს**, რომელსაც ფეხდაფეხ აქვს დავლილი საქართველოს ამერ-იმერი, მისი მთები და ველები. მერე კი ეს ტყეების ტრფიალი ხანგრძლივი ექსპედიციებიდან ბრუნდება ათასი ჩანაფიქრითა და შთაბეჭდილებებით, ჩანაწერებითა და იდეით; ფოტოფირებით, რომლებშიც აღბეჭდილია ტყეების საოცრებანი, ადამიანის თვალით აღმოჩენილი უამრავი ფანტაზია...

ფოტოხელოვნება **არნოლდ გეგეჭკორისათვის** მხოლოდ გატაცებაა, ტყეების ტრფიალი. იგი, როგორც აღვნიშნეთ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია, მუშაობს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში განყოფილების გამგედ, არის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, თხუთმეტი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი, მთარგმნელი (ინგლისურიდან თარგმნა ნობელის პრემიის ლაურეატის ჯიმს უოსტონის "ორმაგი სპირალი"), გამოქვეყნებული აქვს 70-მდე სამეცნიერო სტატია და უამრავი პუბლიკაცია ტყეების დაცვის შესახებ. ამადაც იყო, რომ ტყეების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა იგი დააჯილდოვა ოქროს ნიშნით – "ტყეების ქომაგი".

ლეილა ნოდია

**(გაზეთი "სამშობლო" 1986 წლის აგვისტო, № 18, გვ. 7).**



**გეგეჭკორი ზურაბი** დაიბადა 1941 წლის 31 ოქტომბერს ოზურგეთში. ეკონომისტი, თანამდებობი პირი, 1980 წლიდან – რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი.

1965 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის-ორგანიზაციის ფაკულტეტი. 1965-

1971 წლებში იყო კოლმეურნეობის ეკონომისტი, საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე,ასპირანტი, მეცნიერ-თანამშრომელი; 1974-1991 წლებში სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგე, ცკ (ცენტრალური კომიტეტი) ინსტრუქტორი, საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი; 1991-1997 წლებში-საქართველოს სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე, მიწის რესურსებისა და კადასტრის კომიტეტის თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი; 1997-2004 წლებში მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

**(ვინ ვინაა საქართველოში – ქართული ბიოგრაფიული ცნობარი, 1998-1999 წლები, გვ. 81).**



**გეგეჭკორი გიორგი** დაიბადა 1958 წლის 27 აპრილს ოზურგეთში. ინჟინერ-მშენებელი. საქართველოს სამეფო კლუბის წევრი, ჩოხოსანთა დასის წევრი.

1981 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტი. 1981-1983 წლებში იყო "საქჰიდროპროექტის" ინჟინერი; 1983-1990 წლებში სოფლის მეურნეობის სამმართველოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების წამყვანი ინჟინერი; 1990 წელს ოზურგეთის საკრებულოს მდივანი; 1990-1995-1998 ოზურგეთის საკრებულოს წევრი; 2004 წლიდან გურიის მხარის რწმუნებულის მოადგილე, 2007-2014 წლებში-გურიის სამხარეო ადმინისტრაციის რეგიონული განვითარების სამსახურის უფროსი.

**(ვინ ვინაა საქართველოში – ქართული ბიოგრაფიული ცნობარი, 2006 წელი, გვ. 109).**



**გიორგი** გიორგის ძე **გეგეჭკორი** დაიბადა 1958 წლის 23 ნოემბერს ქალაქ თბილისში. ხატვა დაიწყო ცნობილი ქართველი მხატვრის ელენე ახვლედიანის სახელოსნოში.

1974-1977 წლებში სწავლობდა იაკობ ნიკოლაძის სახელობის თბილისის სამხატვრო სასწავლებელში. 1977 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე. 1985-1988 წლებში მუშაობდა საკავშირო სამხატვრო აკადემიის თბილისის ფერწერის შემოქმედებით სახელოსნოში ურა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. 1989-1993 წლებში მუშაობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის პედაგოგად.

1983 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში. საქართველოს თეატრებში გაფორმებული აქვს

ოცდახუთი სპექტაკლი. 1993 წელს მიენიჭა კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის დრამატული თეატრში განხორციელებული ალბერ კამიუს “კალიგულას” სცენოგრაფიისთვის.

მხატვარი **გ. გეგეჭკორი** ინტენსიურად მუშაობს პორტრეტის ჟანრში; შესრულებული აქვს მრავალი ჯგუფური და ინდივიდუალური პორტრეტი. 1995 წლიდან მუშაობს ქართველ მეფეთა და მოღვაწეთა პორტრეტების სერიაზე და შექმნილი აქვს ამ სერიის 40-მდე ძალიან მაღალი ხარისხის ნამუშევარი. მისი ფერწერული ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში, დაწესებულებაში და კერძო კოლექციებში.

**გიორგი გეგეჭკორი** არის მსახიობ **გოგი გეგეჭკორის** შვილი, მუსიკათმცოდნისა და პუბლიცისტის **ლადო გეგეჭკორის** შვილიშვილი, სასულიერო პირის, დეკანოზ **გიორგი გეგეჭკორის** შვილთაშვილი.

## ქართველები უცხოეთში



**გეგეჭკორი ევგენი** პეტრეს ძე დაიბადა 1881 წლის 1 თებერვალს სენაკის მაზრის სოფელ მარტვილში. საშუალო განათლება მიიღო და 1902 წელს დაამთავრა ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია.

1902 წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის (რუსეთის ფედერაცია) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1906 წელს დაამთავრა. მოსკოვში სწავლის პერიოდში, 1903 წლიდან სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში ჩაება. სტუდენტობის პერიოდშივე მიიპყრო უნივერსიტეტისა და მოსკოვის ინტელექტუალური საზოგადოების ყურადღება თავისი ნიჭიერებით, მჭერმეტყველებითა და სიდარბაისლით. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს უცვლელი თავმჯდომარე იყო და აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტურ მოძრაობაში.

1904 წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. 1904 წელს ჟანდარმერიამ დააპატიმრა და პარტიის წევრობის გამო პასუხისგებაში მისცა. 1905 წლიდან მუშაობდა რსდმპ (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) “მენშევიკების” ფრაქციაში.

1907 წელს, სწავლის დასრულების შემდეგ, დაბრუნდა სამშობლოში და ვექილად დაიწყო მუშაობა სენაკის მაზრაში და მოკლე ხანში ერთ-ერთი საუკეთესო ადვოკატის სახელი დაიმკვიდრა; მას არ აკმაყოფილებდა რუსული სასამართლო წარმოება; ქართული

ენისა და სამართლებრივი ტრადიციების იდეოლოგებმა კი მის შინაგან პოლიტიკას ინდობდა, მუშაობდა ნაფიცი ვექილის თანაშემწედ ქუთაისის საოლქო სასამართლოში, პარალელურად აგრძელებდა პოლიტიკურ საქმიანობას სენაკის მაზრის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში.

1907 წელს ქუთაისის გუბერნიიდან აირჩიეს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად, სადაც მუშაობდა 1912 წლამდე. მან თავი გამოიჩინა როგორც კარგმა ორატორმა, პრინციპულმა პოლიტიკურმა მოღვაწემ. იგი სოციალურ-დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. მისი გაბედული გამოსვლები და სათათბიროში წამოყენებული მოთხოვნები ევროპული პრესის ყურადღებას იპყრობდა, იგი იცავდა პოლონეთის და ფინეთის უფლებებს. **ევგენი გეგეჭკორის** სახელი ცნობილი გახდა საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობისთვისაც.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ გაჩნდა ამიერკავკასიის ხალხების გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების იმედი. ამ პერიოდში **ევგენი გეგეჭკორი** ქუთაისის გუბერნიის დროებითი მთავრობის კომისრად დაინიშნა. ის აგრეთვე, იყო ამიერკავკასიის მენშევიკ-ესერთა პირველი მოწვევის ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე. შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადავიდა და არჩეულ იქნა კავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა საოლქო სარევოლუციო ცენტრის თავმჯდომარედ.

1917 წელს როდესაც "მენშევიკური" ფრაქციის სიით არჩეულ იქნა რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატად. ამავე წლის 14 ნოემბრიდან ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარედ იქნა დანიშნული და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად აირჩიეს.

1918 წლის 22 იანვარს შეიქმნა "ამიერკავკასიის სეიმი," რომელმაც ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარედ აირჩია **ე. გეგეჭკორი.** მასვე მიანდეს საგარეო მინისტრის მოვალეობის შესრულება. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა პირველ მსოფლიო ომში კავკასიის ფრონტიდან გამოქცეული რუსი ჯარისკაცების უმტკივნეულო ევაკუაცია შიდა რუსეთში. ამასთან ერთად იგი თავისი გამჭრიახობით ტაქტიანად აგვარებდა ამიერკავკასიაში შინაური მშვიდობიანობის დამყარების და შესაფერისი რეფორმების ცხოვრებაში გატარების, მჭიდროდ თანამშრომლობდა ანტანტის ბლოკის დიპლომატებთან. (ანტანტა ფრანგულად ნიშნავს –"თანხმობას" – იგი იყო ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელიც ჩამოყალიბდა 1904-1907 წლებში, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის ბლოკის წინააღმდეგ).

**ე. გეგეჭკორმა** 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს. ის იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი; 1918 წლის 2 ივნისს დაინიშნა საქართველოს

დამოუკიდებელი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად, ხოლო შემდეგ შეთავსებით იუსტიციის მინისტრის პოსტიც დაიკავა. იყო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს მთავრობაში იგი ერთ-ერთი მთავარი გადაწყვეტილებების მიმღები და ავტორიტეტული ფიგურა იყო. მთავრობასთან შეთანხმებით, საგარეო დიპლომატიური კორპუსი პარიტეტულად დაიკომპლექტა და მასში, გარდა სოციალ-დემოკრატებისა, შეიყვანა სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები და ანარქისტები. კომუნიკაციის საშუალებათა უქონლობის გამო, საგარეო საქმეთა მინისტრი ძირითადად თბილისში მყოფ ევროპელ დიპლომატებთან ურთიერთობდა.

1919 წლის 12 მარტს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით და იგი წარმოადგენდა ცენტრისტულ მიმართულებას.

ახალი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ამოცანა იყო მოეწესრიგებინა საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობანი გარე სამყაროსთან; მან, პირველ რიგში, დიდი შრომა გასწია ჩვენს მეზობლებთან სადაო საკითხების მოსაგვარებლად და კავკასიის ერთა შორის მეგობრობის განსამტკიცებლად. **ევგენი გეგეჭკორი** იყო (სომხეთ-საქართველო-აზერბაიჯან-მთიელების) კონფერენციების მომწყობი. მან არაერთხელ შეასრულა შუამავლის როლი სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, ხვდებოდა რა, რომ ერთიანი კავკასია იყო დამოუკიდებლობის დაცვის მთავარი პირობა. სომეხ-აზერბაიჯანელთა ზანგეზურის მაზრაში (დღევანდელი სიუნიქი, ირანთან მოსაზღვრე სომხეთის სამხრეთი ნაწილი) შეტაკებების შეჩერების შესახებ მყისიერად აცნობდა საქმის კურსში მისიებს და მათ ჩარევას მოითხოვდა. საგარეო საქმეთა მინისტრის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო საქართველოს იურიდიული ცნობა ანტანტის თუ სხვა სახელმწიფოების მიერ.

1920 წლის სექტემბრიდან იგი გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში; იმყოფებოდა იტალიაში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში; შეხვედრები გამართა ამ ქვეყნების უმაღლეს ხელისუფლებთან, გააცნო მათ საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა და მოითხოვა ყველასაგან საქართველოს იურიდიული ცნობა.

1921 წლის 27 იანვარს, როცა **ევგენი გეგეჭკორი** ჯერ კიდევ პარიზში იმყოფებოდა მან საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან, მოკავშირეთა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, იტალია და იაპონია) უმაღლესი საბჭოს დადგენილებით მიიღო წერილი-ნოტა, რომლითაც აცნობებდნენ საქართველოს დეიურე ცნობას. "ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღე იყო" – ამბობდა **ევგენი გეგეჭკორი**.

1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ, დამფუძნებელი კრების დადგენილების თანახმად, **ე. გეგეჭკორმა** მთავრობის სხვა წევრებთან ერთად საქართველო დატოვა და საზღვარგარეთ გაემგზავრა. ის დასახლდა პარიზში (საფრანგეთი) და განაგრძო ბრძოლა საქართველოს ინტერესების დასაცავად. ემიგრაციაში აქტიურობდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებსა და აქციებში მონაწილეობას საქართველოს დეოკუპაციის საკითხის გადასაწყვეტად; ბევრს მოგზაურობდა (იტალია, შვეიცარია); იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს წევრი.

1924 წელს ჟენევაში (შვეიცარია) შეიქმნა საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი, რომელმაც ტრადიციად გაიხადა თითქმის ყოველ გაზაფხულზე ერთ-ერთი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის მიწვევა ერთა ლიგის სადგომ ქალაქში.

1926 წელს პოლონეთის აქტიური მხარდაჭერით ჩამოყალიბდა კავშირი საქართველოს, მთიელთა და უკრაინის ემიგრანტულ მთავრობებსა და პარტიებს შორის და შეიქმნა "კავკასიის გათავისუფლების კომიტეტი," რომელმაც ჟურნალებში ბეჭდვა დაიწყო ფრანგულ ენაზე. თურქეთის და აზერბაიჯანის ფაქტორის გამო მოძრაობას არ შეუერთდნენ სომხური ემიგრანტული ორგანიზაციები.

1927 წლის მაისისთვის ჟენევაში მიწვეული იყო **ევგენი გეგეჭკორი**; კომიტეტის მიერ შედგენილი პროგრამით ჟენევის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მას უნდა წაეკითხა სახალხო ლექცია სათაურით "საქართველოს მომავალი." ჟენევაში მაშინ ეკონომიკურ კონფერენციაზე იმყოფებოდა საბჭოების დელეგაცია. პოლიცია შიშობდა, რომ **ევგენი გეგეჭკორის** საჯარო გამოსვლა გადაიქცეოდა მრისხანე სახალხო პოლიტიკურ მანიფესტად რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ და დიპლომატიური გართულების შიშით, უნივერსიტეტში დანიშნული საჯარო ლექცია გაუქმდა.

1927 წლის ოჯახური ტრაგედიის – მცირეწლოვანი ვაჟის გარდაცვალებით გამოწვეული მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოყენებით, საბჭოთა სპეცსამსახურები აქტიურად ცდილობდნენ **ევგენი გეგეჭკორის** გადაბირებას, მის გამოყენებას ქართული ემიგრაციის დასაშლელად.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულისას საბჭოთა სპეცსამსახურები ცდილობდნენ საქართველოს მთავრობის წევრების, მათ შორის – **ევგენი გეგეჭკორის** დარწმუნებას, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში, თუმცა უშედეგოდ.

1951 წელს **ევგენი გეგეჭკორი** ემიგრაციაში ჩამოყალიბებულ "ქართულ ეროვნულ საბჭოში" შედიოდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულებისა და "ცივი ომის" დაწყების შემდეგ,

1952 წლის 16 ოქტომბერს, ბოლშევიზმისაგან გამანთავისუფლებელი ამერიკული კომიტეტის (რუსეთის ხალხების განთავისუფლების ყოფილი ამერიკული კომიტეტი) ორგანიზებით მიუნხენში (გერმანია) შეიქმნა ანტიბოლშევიკური ბრძოლის საკოორდინაციო ცენტრი, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკური ძალები საერთო პლატფორმით და ისინი ამერიკულ კომიტეტთან დაეკავშირებინა. ორგანიზაციებს შორის მოლაპარაკებებში ქართული მხარის წარმომადგენლად აქტიურად ჩაერთო **ივანე გეგეჭკორი**.

1953 წლის 10 ივლისს ქალაქ ტეგერნზეეში (მიუნხენის მახლობლად, ბავარიის მხარეში, გერმანია) დასრულდა საკოორდინაციო ცენტრის ფორმირება; ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ შემათანხმებელი კომისიის მცდელობა **ივანე გეგეჭკორის** ხელმძღვანელობით უშედეგო აღმოჩნდა კომპრომისის მისაღწევად.

**ივანე გეგეჭკორი** გარდაიცვალა 1954 წლის 5 ივნისს პარიზში და დაკრძალულია ლევილის (საფრანგეთი) ქართველთა სასაფლაოზე. დაკრძალვის მთელი პროცესის დროს **ივანე გეგეჭკორის** კუბოს საქართველოდან ჩამოტანილი ეროვნული დროშა ჰფარავდა. მისმა შვილიშვილმა რუსუდან სცურუამ საფლავში ერთი პეშვი სამშობლოს მიწა ჩააყოლა და თურმე კვნესით მიაყოლა; "აჰა, ამისთვის იბრძოდი და წაიღე თანო"...

(გ. შარაძე – უცხოეთის ცის ქვეშ, 1993 წელი, ტომი III, გვ. 4–15.
რ. დაუშვილი – ქართველები უცხოეთში, 2012 წელი, წიგნი I, გვ. 57).

## საქართველოს ექიმები



**გეგეჭკორი ნიკოლოზ** გიორგის ძე დაიბადა 1891 წელს სოფელ მარტვილში. მისი მამა – **გიორგი გეგეჭკორი** მღვდელი იყო, ბოლოს მას დეკანოზობაც ებოძა. იგი მარტვილის მონასტერში ეწეოდა მღვდელმსახურებას, ხოლო შემდეგ, როცა უკვე გურია-სამეგრელოს საეპარქიო ერთეული შეიქმნა და ჯუღიდელის რეზიდენციად ფოთი იქნა მიჩნეული, ისიც ფოთში გადაიყვანეს. ნიკოლოზის დედა – კატო სოფელ ძველ სენაკში (სენაკის მუნიციპალიტეტი) იყო დაბადებული, ვახტანგ ქავთარაძის ოჯახში. კდემამოსილი ადამიანი, ერთთავად ოჯახს იყო გადაგებული, სულ იმას ცდილობდა, რომ შვილები ღირსეულად აღეზარდა, დღეური სიკეთე არ დაეკლო მათთვის... **გიორგი გეგეჭკორმა** და კატო ქავთარაძემ სამი ვაჟი აღუზარდა სამშობლოს, სამივე საიქადულო და საამაყო მამულიშვილი. უფროსი – **ვლადიმერი** (ლადო) **გეგეჭკორი** – ცნობილი საბავშვო მწერალი და მუსიკალური მოღვაწე; შუათანა – **გრიგოლ გეგეჭკორი** –

გამოჩენილი ინჟინერ-მელიორატორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, 1928 წლიდან კოლხეთის ველის სამელიორაციო სამუშაოთა უფროსი და მთავარი ინჟინერი; უმცროსი – **ნიკოლოზ ყიფშიძე** – თვალსაჩინო მეცნიერ-თერაპევტი და საზოგადო მოღვაწე.

**ნ. ყიფშიძე** ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1909 წელს შევიდა პეტერბურგის (ამჟ. სანკ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია) სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. რომელიც დაამთავრა 1914 წელს. აკადემიის დამთავრებისთანავე პირველ მსოფლიო ომში გაიწვიეს. სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1917 წლის თბილისში ჩამოდის და მუშაობას იწყებს რკინიგზის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგედ. ნიჭიერმა ექიმმა აქ მრავალი ახალი მეთოდი დანერგა სამკურნალო პრაქტიკაში.

ახალგაზრდა სპეციალისტი თავიდანვე დაინტერესდა ტუბერკულოზთან ბრძოლის პრობლემებით. იგი საზღვარგარეთ მიავლინეს და 1923 წელს მუშაობდა პეტროგრადის, 1925-1927 წლებში ბერლინისა (გერმანია) და პარიზის (საფრანგეთი) თერაპიულ კლინიკებში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ **ნ. ყიფშიძე** შეუდგა ფთიზიატრიის აქტუალური საკითხების მეცნიერულ შესწავლას. იგი ერთ-ერთი პირველი ფთიზიატრია, რომელმაც ეფექტურად და ფართოდ გამოიყენა ხელოვნური პნევმოთორაქსი და ასობით ტუბერკულოზით დაავადებულ ადამიანს დაუბრუნა ჯანმრთელობა.

მისი თაოსნობით 1927 წელს გაიხსნა სანატორიუმი ლიბანში (ბორჯომის მუნიციპალიტეტი). იგი იყო პირველი დირექტორი ამ სანატორიუმისა, რომელიც ტუბერკულოზთან ბრძოლის პირველ მძლავრ კერას წარმოადგენდა საქართველოში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მინერალური წყლების "სქურისა" და "ლუგელას" სამკურნალო თვისებების შესწავლასა და გამოყენებაში.

ლიბანიდან თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიულ კათედრაზე გადასვლის პერიოდში **ნ. ყიფშიძე** პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა მეცნიერულ და პრაქტიკულ მუშაობას. ამ პერიოდში მიენიჭა დოცენტის წოდება. 1930-1933 წლებში მუშაობდა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა კათედრაზე. 1933 წელს იგი არჩეულ იქნა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტის დიაგნოსტიკის კათედრის გამგედ.

1937 წელს **ნ. ყიფშიძემ** დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე – "ღვედკეცას გულზე მოქმედების საკითხისათვის." მის კალამს ეკუთვნის სამ ათეულზე მეტი მეცნიერული ნაშრომი. მასვე ეკუთვნის ფთიზიატრიის სახელმძღვანელო.

შემწყნარილი, ძმები **გრიგოლ და ნიკოლოზ გეგეჭკორები** ავბედითმა 1937 წელმა ყოვლად უსამართლოდ იმსხვერპლა და სიცოცხლე მოუსწრაფა მათ. ბრალი დასდეს ჯაშუშობაში, უცხოეთის დაზვერვასთან კავშირში, ძირგამომთხრელ დივერსიულ-მავნებლურ მუშაობაში, ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობაში.

როცა თავისი ვაჟიშვილების გრიგოლისა და ნიკოლოზის დაპატიმრების ამბავი შეიტყო, დედას – ქალბატონ ნატო ქავთარაძე-გეგეჭკორს გული გაუსკდა... უსამართლო რეპრესიები განიცადეს დაპატიმრებულთა მეუღლეებმაც...

აქვე აღსანიშნავია ნ. გეგეჭკორზე გამოქვეყნებული სტატიები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში:

(ექიმი მ. გაბელია – მოვიგონოთ ლუგელა, გაზეთი "თბილისი," 1962 წელი, 9 ივნისი, № 135, გვ. 2.

პროფესორი მ. ნოდია – გაზეთი "კომუნისტი," 1969 წელი, 20 აპრილი.

სანატორიუმ "ლიკანის" მთავარი ექიმი, საქართველოს დამსახურებული ექიმი პ. კაპანაძე – შესანიშნავი მკურნალი და მოქალაქე, გაზეთი "ბორჯომი," 1969 წელი, № 85, გვ. 3.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ა. იოსავა – ემსახურებოდა ხალხს, სამშობლოს! გაზეთი "სოფლის ცხოვრება," 1970 წელი, 13 მარტი, № 60, გვ. 3.

მოგონებათა ფურცლებიდან – გაზეთი "მედიცინის მუშაკი," 1970 წელი, 24 აპრილი, № 14, გვ. 2.

პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ზ. მაისურაძე – მკვლევარი, პედაგოგი, პროფესორი, გაზეთი "ახალგაზრდა კომუნისტი," 1972 წელი, 19 ოქტომბერი, № 126, გვ. 2.

პროფესორი მ. ნოდია – ნიკოლოზ გეგეჭკორი, ჟურნალი "საბჭოთა მედიცინა," 1970 წელი, № 3, გვ. 63.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1977 წელი, ტომი 3, გვ. 30.

ფელიქს დანელია – ნიკოლოზ გეგეჭკორი, ჟურნალი "საქართველოს სამედიცინო მოამბე," 1993 წელი, № 3, გვ. 42–45).

## მუცლის ტიფი და მასთან ბრძოლა

რუბრიკა: ექიმის საუბარი

სიტყვა ტიფი ბერძნულია და ქართულად იგი ნიშნავს ბურუსს, ნისლს. ასეთი სახელწოდება იმიტომ მისცეს, რომ ტიფის დროს ავადმყოფი თითქოს ბურუსშია გახვეული.

მუცლის ტიფის გამომწვევი არის ტიფის ჩხირი, აღმოჩენილი მეცნიერ ებერთის მიერ 1880 წელს. ტიფით დაავადება ხდება მაშინ, როდესაც ეს მიკრო-ორგანიზმები შეიჭრებიან ადამიანის ნაწლავებში. ტიფის ჩხირები ჩვეულებრივად მრავლად მოიპოვება დაავადებულის განავალში, ზოგჯერ-შარდშიც. ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა აქვს კიდევ იმ გარემოებას, რომ ხშირად ავადმყოფთა განავალში, რომელთაც უკვე გადაუტანიათ მუცლის ტიფი, რამდენიმე თვის განმავლობაში მოიპოვება ჩხირი.

საშიშია აგრეთვე ის ავადმყოფიც, რომელიც იოლი ფორმითაა დაავადებული და თითქმის არც გრძნობს თავს ავად. მის განავალში მრავლად მოიპოვება ტიფის გამომწვევი ჩხირები-ბაქტერიები. ცხადია ასეთი ავადმყოფი უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენს ინფექციის გავრცელების მხრივ, ვიდრე მძიმე-მწოლიარე ავადმყოფი, რომლის დიაგნოზიც ნათელია და რომლის დროსაც ხმარებულია ტიფის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები.

ტიფის გავრცელების მხრივ საშიშია ის პირნიც, რომელნიც იყვნენ ავად ტიფით, მორჩნენ, კლინიკურად სავსებით ჯანსაღი არიან. მაგრამ მათ განავალში და განსაკუთრებით-ნაღვლის ბუშტში მაინც მოიპოვება ტიფის ჩხირი. არის აღწერილი შემთხვევები (და არც ისე იშვიათად), როდესაც ტიფის ჩხირი უპოვნიათ განავალში და ნაღველში, განკურნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ და წლის შემდეგაც კი.

მთავარი წყარო, რომლის საშუალებითაც ეს ავადმყოფობა ვრცელდება არის ტიფით დაავადებულის განავალი, ამიტომ თუ სისუფთავე არ არის დაცული, შესაძლებელია ტიფის ჩხირები მოხვდნენ საჭმელ-სასმელში და გამოიწვიონ ახალი დაავადება. აუდუღებელი წყალი, რძე, გაურეცხავი ხილი, ბუზები წარმოადგენენ ავადმყოფობის მთავარ გამავრცელებელ საშუალებას.

ადვილი მისახვედრია, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს ტიფიანი ავადმყოფი, მეტადრე სოფელში სადაც არც კანალიზაციაა და არც კარგი წყალსადენი. ასეთ შემთხვევაში განავალს აქცევენ მინდორში, ორმოებში, საიდანაც სითხესთან ერთად შესაძლებელია ბაცილები მოხვდნენ ახლოს მდებარე ჭაში, ან მდინარეში და ვინც ასეთ წყალს იხმარს აუდუღებლად უსათუოდ დაავადდება ტიფით. ამგვარად, როგორც ვხედავთ მთავარი გავრცელების წყარო მუცლის ტიფისა არის-ტიფიანი ავადმყოფის განავალი. ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა ვებრძოლოთ მუცლის ტიფის გავრცელებას უპირველეს ყოვლისა, ასეთი ავადმყოფი დაუყოვნებლივ უნდა მოვათავსოთ საავადმყოფოში, სადაც ყველა საშუალება არსებობს ტიფის გავრცელების აღსაკვეთად.

ისე, როგორც სხვა დაავადებებთან, მუცლის ტიფთან ბრძოლა თითოეული ინტელიგენტის

ვალია, რომლებმაც მედიცინის მუშაკებთან ერთად, იზრუნონ სანიტარული კულტურისათვის, სისუფთავისათვის.

ექიმი ს. მემეჭკორი

**(გაზეთი "კომუნიზმის გზით," 1943 წელი, 14 ოქტომბერი, № 36, გვ. 2).**

## თავის ქალას ოსტეოგენეზური დეფორმაციის შემთხვევა

თავის ქალას ტრავმული დაზიანების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კრანიოგრაფიულ გამოკვლევას. კრანიოგრამაზე აღმოჩენილი ცვლილებები ნათელს ფენს ავადმყოფობის კლინიკურ სურათს და ხშირად, გარკვეულ დახმარებას გვიწევს რაციონალური მკურნალობის განსაზღვრაში.

ქალა-ტვინის ტრავმულ დაზიანებათა შორეული შედეგების შესწავლისას ჩვენ შეგვხვდა თავის ქალას ოსტეოგენეზური დეფორმაციის იშვიათი შემთხვევა, რომელიც კრანიოგრაფიული გამოკვლევით მრავალჯერ კვალიფიცირებული იყო, როგორც ტრავმული ჰნევმოცეფალია, მოგვიანებით კი დადგენილ იქნა თავის ქალას ძვლებისა და ნაკერების განვითარების თავისებური მანკი.

ქალას დეფორმაცია, რომელიც განვითარებისა და გაძვალების პროცესის შეფერხებასთან არის დაკავშირებული, წარმოადგენს ნერვული რეგულაციისა და ტროფიკული მოშლილობის შედეგს. ამ ცვლილების განმაპირობებელი მიზეზებიდან ზოგიერთი ავტორი მიუთითებს ინფექციურ და ტოქსიკურ ფაქტორებზე, კვების დარღვევით. უხეშად იგი გახანგრძლივებული რაქიტის შედეგია. ამ მხრივ მნიშვნელობას აძლევენ აგრეთვე თანდაყოლილ სიფილისს, მშობლების ალკოჰოლიზმს. გახანგრძლივებული და შორსწასული ფორმის რაქიტის შედეგად ვითარდება ტიპიური დეფორმაცია შუბლის ძვლის წინ გამოდრეკით, მისი სიმაღლისა და განივი ზომების გადიდებით, რასაც "ოლიმპიურ" შუბლს უწოდებენ. ზოგჯერ ადგილი აქვს შუბლის ბორცვის ერთმხრივ ზრდას, რასაც შედეგად მოსდევს თავის ქალას ასიმეტრია. ცალკეა გამოყოფილი ე. წ. დუნდულოსმაგვარი დეფორმაცია, რომლის დროს ქალას ზედა უკანა ნაწილი საკმაოდ ღრმა ღარით და გვერდითი ამობურცულობებით გაყოფილია შუა ხაზზე. ზოგიერთი ავტორი მიუთითებს ქალას ასეთი დეფორმაციის სიფილისურ (თანდაყოლილი) ეტიოლოგიაზე, თუმცა ანალოგიური ცვლილებები აღინიშნება შორსწასული რაქიტის მეტ წილ შემთხვევებში.

ჩვენ მიერ აღწერილი ქალას დეფორმაციის შემთხვევა შეიძლება დუნდულოსმაგვარ დეფორმაციას მივაკუთვნოთ. თავის ქალას ასეთი ოსტეოგენეზური დეფორმაციის შემთხვევა კი

იშვიათობაა, რის გამოც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მისი აღწერა.

ექიმი მ. **გეგეჭკორი**, ექიმი გ. შარაშიძე.

**(ჟურნალი "საბჭოთა მედიცინა," 1962 წელი, № 5, გვ. 50-52).**

## ხალხის ჯანმრთელობის გუშაგი

1956 წლიდან ექიმი **გალინა გეგეჭკორი** დადგა სოფელ ორბეთის (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე, დადგა და თავისი მადლიანი ხელიც დაატყო. სოფელში არ არსებობდა ამბულატორია, მისი ინიციატივით და რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების დახმარებით შესყიდულ იქნა კეთილმოწყობილი შენობა, რომელშიც მოთავსებულ იქნა ამბულატორია და აფთიაქი. ამ კეთილშობილურმა ღონისძიებამ კიდევ უფრო მეტი ხალისი და ენერგია შემატა შრომისმოყვარე ექიმს და ექთნებს თ. აფციაურს, ზ. დავიდოვასა და ნ. ზანგურაშვილს.

მათი სამუშაო ოთახის კარზე ვერ დაინახავთ მუშაობის დროის აღმნიშვნელ წარწერას. მათთვის სულ სამუშაო საათებია; განა მოუთმენს გული ექიმს **გ. გეგეჭკორს**. რომ მასთან მივიდეს ავადმყოფი, რა დროც არ უნდა იყოს და დახმარება არ აღმოუჩინოს? განა დაეძინება იმ ღამეს, რომ შეატყობინონ ვინმეს ბინაზე ავადმყოფის შესახებ და მაშინვე არ ინახულოს? ამიტომ შეხვდებით მას ხშირად პატარა ხელჩანთით ხელში მიმავალს ავადმყოფის ბინაზე. გალინა მარტო ბინაზე მისვლით და წამლების გამოწერით როდი კმაყოფილდება, თუ ნახავს მძიმე ავადმყოფს; უტარებს ყოველგვარ მკურნალობას და ღამეებს უთევს მას.

დიახ, სწორედ ასეთი შრომით იმარჯვებენ კარგი ადამიანები, ასეთი შრომით დაიმსახურეს ხალხის პატივისცემა და სიყვარული. ეს ოთხი ადამიანი ასეულების ჯანმრთელობას დარაჯობს. მათი მკურნალობის შემდეგ დაუბრუნდნენ შრომას ორბეთელი მშრომელები.

ზ. გიგაური

**(გაზეთი "ლენინური გზა," 1964 წელი, 5 აპრილი, № 42, გვ. 4).**

## ანგინა

რუბრიკა: ექიმი გვირჩევს;

ანგინა მწვავე ინფექციური დაავადებაა, ამით უმრავლესად ავადდებიან სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვები და მოზრდილები 40 წლის ასაკამდე; რასაკვირველია, დაავადება გვიან ასაკშიცაა შესაძლებელი. ანგინის გამომწვევია მრავალნაირი ჩირქებადი ბაქტერიებში,

დაავადებას ხელს უწყობს აგრეთვე, ორგანიზმის საერთო ან ნაწილობრივი გაციება. ზოგჯერ ანგინა ზოგადი დაავადების სიმპტომს წარმოადგენს, მაგალითად: ქუნთრუშა, დიფტერია, ათაშანგი და სხვა.

დაავადება იწყება საერთო უქეიფობით, ყელში ფხაჭნის ტკივილის შეგრძნებით, რომელიც ძლიერდება ნერწყვის გადაყლაპვისას. სიცხე თანდათან მატულობს და თან ძლიერდება ნერწყვის გამოყოფა, ავადმყოფს ხმა ეცვლება – "ცხვირში ლაპარაკობს". ყელის ლორწოვანი გარსი შეწითლებულია და შესიებულია (კატარალური ანგინა). ზოგჯერ შესიებულ შეწითლებულ ნუშისებურ ჯირკვლებზე გაჩნდება პაცარ-პაცარა მოთეთრო ჩირქოვანი საცობები (ფოლიკულარული ანგინა). ზოგჯერ ეს ჩირქოვანი ბუშტუკები ერთდებიან, სკდებიან და წარმოიქმნიან თხელ ჩირქოვან ნადებს (ლაკუნარული ანგინა). დროულად ჩატარებული მკურნალობის შედეგად დაავადება, თუ იგი რაიმე გართულებებით არ მიმდინარეობს, 5-6 დღეში გამოჯანმრთელებით მთავრდება.

ეს არის ანგინით დაავადების კლასიკური სურათი. მაგრამ ყოველთვის ას უბრალოდ და უშედეგოდ როდი გაივლის ხოლმე იგი. სამწუხაროდ, ის ხშირად იძლევა არასასიამოვნო გართულებებს, როგორიცაა: ყელის დაჩირქება, ყურის ანთება, თირკმლების ანთება. ზოგჯერ ანგინის გამომწვევი ბაქტერიები შეიჭრებიან სისხლში და იწვევენ სისხლის მოწამვლას (სეფსისს). ანგინის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი გართულებათაგანია რევმატიზმი. ამიტომ რევმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იწყებოდეს ანგინების წინააღმდეგ ბრძოლით.

დაავადების ასაცილებლად საჭიროა ბავშვის ორგანიზმის თავიდანვე გაკაჟება: ფიზიკური კულტურა, ტანვარჯიში, ტანის დაზელვა გრილი წყლით, სუფთა ჰაერზე ყოფნა. ყველა ეს ღონისძიება აძლიერებს ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობას სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ. თუ ანგინით დაავადდა ოჯახის რომელიმე წევრი, იგი აუცილებლად უნდა განცალკევდეს ოჯახის სხვა წევრისაგან და განსაკუთრებით ბავშვებისაგან. დაავადებულს უნდა მივუჩინოთ თავისი ჭურჭელი, პირსახოცი და სხვა ნივთები. დაუყოვნებლად უნდა გამოვუძახოთ ექიმს. თვითნებურად დაწყებული მკურნალობა არაა რეკომენდირებული. ზუსტად და განუხრელად შევასრულოთ ექიმის რჩევა-დარიგება და სამკურნალო დანიშნულებები. დროულად ვუმკურნალოთ დაავადებულ კბილებს და ღრძილებს, ე. ი. მოვსპოთ დაავადების განვითარების შესაძლებელი კერები. ავადმყოფი ბავშვი არავითარ შემთხვევაში არ ავაყენოთ ლოგინიდან ექიმის ნებართვის გარეშე. გვახსოვდეს, რომ სულფამიდური პრეპარატებისა და ანტიბიოტიკების შემდეგ ბავშვის მდგომარეობა 2-3 დღეში უმჯობესდება. სიცხე ნორმამდე დადის, მადა გაეხსნება, მაგრამ ასეთი გაუმჯობესება არ ნიშნავს სრულ განკურნებას.

ანგინით დაავადებული სავსებით განკურნებულად ჩაითვლება მაშინ, როცა ანთების ყველა ხილული მოვლენები, როგორიც ნუშისმაგვარ ჯირკვლებში, ასევე ყელის ლორწოვანაზე სრულიად გაქრება, როცა ავადმყოფს სისხლის სურათში არავითარ პათოლოგიურ გადახრას არ აქვს ადგილი. ყველა ამას გულდასმით ირკვევს მკურნალი ექიმი და იძლევა დასკვნას სრული განკურნებისა. ანგინის გადატანის შემთხვევაში, ყოველ 10–12 დღეში ერთხელ, უნდა ვაჩვენოთ ექიმს, ე. ი. უნდა იმყოფებოდეს დისპანსერული მეთვალყურეობის ქვეშ. ასეთი პერიოდული გასინჯვები გვაძლევს საშუალებას დროულად აღმოვაჩინოთ რომელიმე შესაძლებელი გართულება და არ მივცეთ მას განვითარების

საშუალება.

**ს. გეგეჭკორი.**

აფხაზეთის დამსახურებული ექიმი

**(გაზეთი "დროშა," 1969 წელი, 14 აგვისტო, № 96, გვ. 4).**

## ვირუსული გრიპი და მისი პროფილაქტიკა

რუბრიკა: ექიმის საუბარი

ვირუსული გრიპი არის მწვავე ინფექციური დაავადება, რომელიც ხშირად ეპიდემიურ ხასიათს ღებულობს. ის მიეკუთვნება აეროვან და წვეთოვან ინფექციების ჯგუფს. ვირუსული გრიპის სხვადასხვა სახეებია, რომლის გამომწვევი ფილტრში გამავალი ვირუსია. გრიპი ინფლუენცა ცნობილია უძველესი დროიდან.

ავადმყოფობა იმიტომ ვრცელდება სწრაფად, რომ ინფექცია ჰაერის საშუალებით გადადის ერთი ავადმყოფიდან მეორეზე. გრიპის ფარული ხანა ძალიან მოკლეა; ადამიანი მისგან უეცრივ ხდება ავად, აძლევს მას მაღალ სიცხეს; ავადმყოფობა იწყება შემცივნებით თავის, წელის, სახსრების, თავის ტკივილით, სინათლეზე არ ესიამოვნება შეხედვა, აქვს ხველა მშრალი, ფხაჭნის კისერზე და გულმკერდზე. დახველების დროს ავადმყოფი გრძნობს საერთო სისუსტეს; მას შეემჩნევა ტუჩებზე გამონაყარი; შეიძლება დაერთოს აგრეთვე პირსაქმება და ნაწლავების აშლილობა. ასეთ დროს აუცილებელია ჩაწოლა, წინააღმდეგ შემთხვევაში იძლევა მთელ რიგ გართულებებს, რაც ავადმყოფობას ამძიმებს.

გრიპით დაავადებაზე ეჭვის მიტანისას საჭიროა ავადმყოფი იყოს იზოლირებულად-გამოცალკევებით. ავადმყოფმა უნდა მიმართოს ექიმს; დაავადების გართულების შემთხვევაში ავადმყოფი უნდა მოთავსდეს საავადმყოფოში.

გრიპი რომ თავიდან ავიცილოთ, აუცილებელია ვაქცინის მიღება, სკოლებში გაკვეთილების შორის შესვენების გახანგრძლივება, საკლასო ოთახების განიავება, საავადმყოფოების, საზოგადოებრივი ობიექტების, მოსახლეობის საცხოვრებელი ბინებისა და სხვა თავშესაყრელ ადგილების ქლორიანი კირის ხსნარით დასველებული ტილოთი დასუფთავება. ავადმყოფობის ერთი ადამიანიდან მეორეზე გადასვლის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა შევიხვიოთ ცხვირპირი ოთხფენიანი მარლით. ეს განსაკუთრებით აუცილებელია საავადმყოფოებში, კვებით ობიექტებში და საბავშვო დაწესებულებებში.

გრიპით დაავადებულებმა ამ დაავადებით შეპყრობისთანავე უნდა მიმართონ ექიმს, ამ უკანასკნელმა კი უნდა დააზუსტოს ავადმყოფობის მიმდინარეობა და შეურჩიოს ისეთი წამლები, რომლებიც აუცილებელია გაჯანსაღებისათვის. ავადმყოფის გასინჯვის გარეშე ზერელე დიაგნოზის დასმა, აგრეთვე ისეთი წამლების გამოწერა, რომელიც სათანადოდ არ იმოქმედებს, ყოვლად დაუშვებელია.

თ. მემეჭკორი

გალის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი

გაზეთი "ლენინელი," 1970 წელი, 12 თებერვალი, № 18, გვ. 4.

(მ. მემეჭკორი – ვერიდოთ გრიპს, გაზეთი "ავანგარდი," 1971 წელი, 7 დეკემბერი, № 144, გვ. 3.

მ. მემეჭკორი – გვახსოვდეს გრიპის სახე, გაზეთი "ავანგარდი," 1977 წელი, 26 ნოემბერი, № 141, გვ. 3).

## გახსოვდეს პროფილაქტიკის ძალა

როგორც ცნობილია, კუჭ-ნაწლავთა მწვავე დაავადებები – მუცლის ტიფი, პარატიფები, დიზენტერია და ქოლერა უფრო ხშირად თავს იჩენენ ზაფხულსა და შემოდგომაზე. ინფექციების გავრცელება უმთავრესად ხდება საკვებისა და წყლის საშუალებით, თუ კი ისინი გასენიანებული იქნებიან ზემოაღნიშნული რომელიმე ინფექციის გამომწვევი ბაქტერიებით. ეს ბაქტერიები ადამიანის ორგანიზმში ადვილად შეიძლება შეტანილ იქნან გაჭუჭყიანებული ხელებითაც – ჭამის დროს. დაავადების მოსახლეობაში გამავრცელებელი არიან ხსენებული სენით შეპყრობილი ადამიანები ან ბაქტერიო-ვიბრიონო მატარებლები. ავადმყოფის ორგანიზმიდან გამოყოფილი ბაქტერიების აქტიურ გადამტანად ბუზები ითვლებიან. რა წესების დაცვაა საჭირო, რომ კუჭ-ნაწლავთა მწვავე დაავადება არ გავრცელდეს მოსახლეობაში?

იმ ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიების გარდა, როგორიცაა ავადმყოფის საჩქარო

ჰოსპიტალიზაცია, დაავადებულთა კერების შესწავლა-გამოკვლევა, დეზინფექციის ჩატარება, ავადმყოფთან კონტაქტირებულ პირთა ლაბორატორიულად გამოკვლევა, მათი ფაგირება და სხვა. რასაც სანიტ-ეპიდემიოლოგიური სადგური აწარმოებს; დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ზოგადი სანიტარული ღონისძიებების დაცვას: ნიადაგის, ჰაერის, ბინების, სასმელი წყლის, აბანოების, ზღვისა და საბანაო აუზების მიმართ სანიტარული წესებისა და რეჟიმის, პირადი ჰიგიენის წესების დაცვას, ბუზების მოსპობას და სხვა. ყველა შეგნებულმა ადამიანმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კუჭ-ნაწლავთა დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების საქმეში.

დიზენტერიის გამომწვევი ბაქტერია გარემოში საკმაოდ ბევრია. ისინი ადვილად ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას თეთრეულზე, ტანსაცმელზე, ბავშვების სათამაშო საგნებზე და სხვა. ეს ბაქტერიები ხელების საშუალებით შეიძლება გადატანილ იქნას პირის ღრუში ან საკვებ პროდუქტებზე, ამიტომ ხელების სისუფთავის დაცვას განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს. ჭურჭელი გარეცხეთ ცხელი წყლით, ხილსა და ბოსტნეულს კარგად გარეცხვის შემდეგ (გამდინარე წყლით უკეთესია) უნდა გადაავლოთ ადუღებული წყალი. არ დალიოთ აუდუღარი რძე, გახსოვდეთ, რომ დუღილის დროს ბაქტერიები და სხვა მიკროორგანიზმები ისპობიან.

როგორც ცნობილია, ადამიანის სიცოცხლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს წყალს. უხარისხო წყალი შეიძლება გახდეს კუჭ-ნაწლავთა მწვავე დაავადებების მოსახლეობაში გავრცელების მიზეზი, ამიტომ საჭიროა წყაროების, წყალსატევების (მდინარეების, გუბეების, ტბებისა და სხვა) გაწმენდა-გაუსნებოვნება. ღია წყალსატევები ბაქტერიებით შეიძლება გაბინძურდეს წვიმის ან თოვლის დნობის დროს. ჭებში წყლის გაბინძურება ხდება იმ შემთხვევაში, როცა ახლოს არის საპირფარეშო ან სასუქის საწყობები და სხვაგვარი დანაგვიანება. ამიტომ სანიტარული წესების დარღვევები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ინდივიდუალური და საერთო მოხმარების საპირფარეშოების წესიერ მოწყობას და გამუდმებით სისუფთავის დაცვას, დეზინფექციის სისტემატიურად ჩატარების საქმეს. ცხადია რომ საპირფარეშოები განსაკუთრებით საშიშ ადგილებად ითვლებიან იმ მხრივ, რომ ბუზებმა შეიძლება აქედან გაავრცელონ სხვადასხვა დაავადებების გამომწვევი ბაქტერიები. კანალიზებულ ადგილებში სუფთად შენახული, როგორც ინდივიდუალური, ისე საერთო ხმარების საპირფარეშოები ნაკლებად საშიშია ამ მხრივ, ვიდრე არაკანალიზირებულ ადგილებში მოწყობილი საპირფარეშოები.

სოფლებში საპირფარეშოები უნდა იყოს მოწყობილი ღრმა, დახურულ ბეტონირებულ ორმოზე, დაცილებული ბინებიდან 50 მეტრის მოშორებით და ხმარების პერიოდში სისტემატურად უნდა მოისხურდეს სადეზინფექციო საშუალებები. ორმოს ავსების შემდეგ უნდა გადაიტანონ ახალ ორმოზე, ხოლო ძველი ორმო უნდა დამიწდეს დეზინფექციის ჩატარებით, რათა ბუზებს არ ჰქონდეთ საშუალება სიბინძურის გადატანისა.

კუჭ-ნაწლავთა ინფექციების, კვებითი მოწამვლის და ადამიანთა ჭიებით დაავადების თავისდროული გაფრთხილება ასევე ბევრადაა დამოკიდებული სავაჭრო ქსელის, საზოგადოებრივი კვების და წყალმომარაგების ობიექტების, ასევე ბავშვთა დაწესებულებების მუშაკების კულტურასა და ჯანმრთელობაზე. ამისათვის ყველგან და გამუდმებით სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვა და ყველა მუშაკის დაწესებულ ვადებში სამედიცინო და ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარება აუცილებელია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანება ქოლერის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრების ჩატარების შესახებ მოსახლეობაში. მეცნიერების მიერ დადგენილ იქნა, რომ ქოლერის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრები საიმედო საშუალებაა. აცრები უკვე დაწყებულია ქალაქ გაგრისა და მისი რაიონის მოსახლეობას ე. ჭ. დეკრეტირებულ ჯგუფში. ისინი პირველ რიგში გახლავთ საზოგადოებრივი კვების და წყალმომარაგების ობიექტების გამწმენდ ნაგებობათა, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა და ტრანსპორტის მუშაკები, ასევე სასტუმროებში, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მომუშავე პერსონალი. ყველა ჩამოთვლილი მუშაკებისათვის აღნიშნული აცრების მიღება აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა.

აქ ჩამოთვლილი სანიტარულ-ჰიგიენური წესების სისტემატურად დაცვა-გატარება ცხოვრებაში მოგვცემს საშუალებას, რათა აცილებულ იქნას კუჭ-ნაწლავთა მწვავე დაავადებების გავრცელება ჩვენს მოსახლეობაში. ამ საერთო მიზნის მისაღწევად საჭიროა მედიცინის მუშაკებს აქტიური დახმარება გაუწიოს საზოგადოებრიობამ, ყველა შეგნებულმა ადამიანმა.

მ. ი. გეგეჭკორი,

გაგრის რაიონის სან. ეპიდ. სადგურის მთავარი ექიმი.

**(გაზეთი "ავანგარდი," 1972 წელი, 16 მაისი, № 57, გვ. 4).**

# ბლერი

რუბრუკა: ექიმის საუბარი

ბლერი კანის მწვავე გადამდები დაავადებაა, რომელსაც იწვევს ცხოველური პარაზიტი – ბლერის ტკიპი. დაავადებული ადამიანიდან ბლერის ტკიპი ჯანმრთელი ადამიანის კანზე გადადის ხელის ჩამორთმევით, საერთო ხელსახოცითა და ტანსაცმლით, პატარა ბავშვების ერთ ლოგინში წოლით და სხვა საშუალებებით. ბლერის ტკიპი გადადის რა ადამიანის ჯანმრთელ კანზე, ირჩევს მის ნაზ ადგილებს: ხელების თითებშუა, მხრის და წინა მხრის შიდა ზედაპირის, მუცლის კანს, სარძევე ჯირკვლების ქვემოთ, სასქესო ორგანოების მიდამოს. სახე, ზურგი და თავის თმიანი ადგილები ჩვეულებრივ დაუზიანებელი რჩება. თუ დაავადება განუვითარდა პატარა ბავშვს და განსაკუთრებით, ჩვილ ბავშვს, მაშინ დაავადება შეიძლება მოედოს სახესაც და თავს, რადგან მათი კანი ძალზე ნაზია.

ბლერის ტკიპი კანზე გადასვლის შემდეგ შეიჭრება კანში. აქ დედალი ტკიპი მოძრაობს, იცვლის ადგილს და თავის სავალ გზაზე სდებს კვერცხებს. ასეთ კანს თუ დააკვირდებით ადვილად შეიმჩნევა მუქი წინწილაკების ძეწკვი, რომელსაც ნაკაწრის ან ნაფხანის მსგავსი ფორმა აქვს. ამ წერტილებზე წარმოიშობა პატარა გამჭვირვალე ბუშტუკები, რომლიდანაც ხელის მოჭერისას სითხე გამოდის. დაავადებას ახასიათებს კანის შემაწუხებელი ქავილი, რომელიც ღამით ძლიერდება. თუ მკურნალობა დროზე არ იქნა ჩატარებული, ქავილი იმდენად შემაწუხებელია, რომ შეიძლება გამოიწვიოს ნერვული სისტემის მოშლა. კანის ქავილის შედეგად წარმოშობილი ნაკაწრები შეიძლება გაბინძურდეს და გაჩნდეს ჩირქგროვები – მუწუკები. თუ ბლერი მიღებულია მთელ ტანზე და დიდი ხნის განმავლობაში უკურნებელია, შესაძლებელია ეს ჩირქგროვები იმდენად ბევრი იყოს, რომ გამოიწვიოს კანის და საერთოდ მძიმე დაავადებანი სისხლის მოწამვლის ჩათვლითაც კი.

ძნელია ბლერის მორჩენა?

ბლერის მორჩენა ადვილია თუ დროზე და გულმოდგინედ დაიწყებთ მკურნალობას. ბლერის სამკურნალოდ არსებობს ბევრი სხვადასხვა წამალი, მალამოებისა და სითხის სახით, რომლებიც ავადმყოფს კურნავენ რამდენიმე დღეში და 40 წუთშიაც კი. მხოლოდ დაავადებულებმა დროულად უნდა მიმართონ ექიმს, რომელიც დაავადების გავრცელების, სიმძიმის, ორგანიზმის და ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის მიხედვით გამოუწერს ამა თუ იმ წამალს და შეურჩევს მკურნალობის მეთოდს. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს ასე არ ხდება. ჯერჯერობით ხალხში დარჩენილია (აქა-იქ, რასაკვირველია) ცრუ შეხედულება ზოგიერთი დაავადების მიმართ, როგორიცაა ბლერი, ქეცი, ვენერიული სნეულება და სხვა. თუ

ადამიანი დაავადდა ფილტვების ანთებით, რადიკულიტით ან სხვა ავადმყოფობით ყველას გასაგონად ითხოვს საექიმო დახმარებას, მკურნალთა განსაკუთრებულ ყურადღებას – მიშველეთ, მომარჩინეთო. მაგრამ ძალზე იშვიათად გაიგონებთ: არიქა ბლერი, ქეცი ან მითუმეტეს რომელიმე ვენერიული სნეულება შემეყარა და მიშველეთო. თუმცა ყველასათვის ცნობილია, რომ ვენერიული დაავადებები ყოველთვის სქესობრივი გზით არ გადადის.

ეს ასეთმა ცრუ მოსაზრებამ, ყალბმა თავმოყვარეობამ, ყოვლად გაუმართლებელმა მორიდებამ შეიძლება ბლერით დაავადებული ერთი ბავშვი გახადოს მთელი კლასის, სკოლის, ინტერნატის ან მეზობლების მასიური დაავადების წყარო. მეორე არასასურველი მოვლენა, რომელსაც ექიმები ვხვდებით ხოლმე, არის თვითმკურნალობა. ზოგჯერ ავადმყოფი მოგვმართავს ან მოგვიყვანს ბლერით დაავადებულ ბავშვს კანის ძლიერი გაღიზიანებით, მაღალი სიცხით, რომელიც გამოწვეულია სახლში მკურნალობით, სხვადასხვა პირთა (მხოლოდ არა ექიმის) რჩევით დამზადებული წამლებით – დანაყული ნიორის, გოგირდის ფაფის და სხვა რაღაც ბალახების გამოყენებით.

ერთი სიტყვით, თვითმკურალობა ყოვლად დაუშვებელია და მავნეა. წამალს იმიტომ ჰქვია წამალი, რომ დაავადება მოსპოს, ორგანიზმს ვნება არ მოუტანოს. ამიტომ ბლერის საეჭვო ნიშნების გამოჩენისთანავე გირჩევთ მიმართოთ ექიმს., ავადმყოფი განაცალკევოთ ჯანმრთელი პირებისაგან, გულმოდგინედ ჩაატაროთ ექიმის დანიშნული მკურნალობა და შეასრულოთ მისი რჩევა-დარიგება.

ს. გეგეჭკორი,

აფხაზეთის დამსახურებული ექიმი.

**(გაზეთი "დროშა," 1974 წელი, 11 ივნისი, № 70, გვ. 4).**

## მუდამ სიხარული, გამარჯვება

ჩვენს ხალხს რა დაავიწყებს იმ ავადმოსაგონარ 1941 წელს, როცა სამშობლოს ცაზე შავი ღრუბელი ჩამოწვა. მამული საშველად უხმობდა ვაჟკაცებს. სამშობლოს დასაცავად აღსდგა ქალი თუ კაცი. სხვებთან ერთად მარტვილის რაიონის ქალებიც იბრძოდნენ მომხდური ფაშისტების წინააღმდეგ. ზოგი ფრონტის წინა ხაზზე იყო, ზოგიც ჰოსპიტალში თავს დასტრიალებდა დაჭრილ ვაჟკაცებს. მათ რიცხვს ეკუთვნის ინჩხურელი **შურა გეგეჭკორი**.

იგი თბილისში ევაკოჰოსპიტალში იმყოფებოდა, სადაც რამდენიმე წელი მუშაობდა მედდად. ეს დრო მის ცხოვრებაში ყველაზე დაძაბული იყო. იგი თავს დასტრიალებდა

დაჭრილ მებრძოლებს, ზრუნვას არ აკლებდა, მათ სასთუმალთან აღამებდა და ათენებდა. რა დაავიწყებს მას იმ დღეთა განცდებს და ამოშლის მისი მეხსიერებიდან დაჭრილთა კვნესა-მუდარას, მათს ვედრებას, თხოვნას გადაერჩინათ სიკვდილისაგან.

ამჟამად **ქ. გეგეჭკორი** მუშაობს მარტვილის რაიონის ცენტრალურ საავადმყოფოში მედსტატიკოსად. 28 წელია, რაც იგი კეთილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. გამრჯე ქალი გარკვეული წარმატებებით ეგებება მედიცინის მუშაკთა დღეს. იგი ამ დღეს ულოცავს თანამოსაქმეებს და უსურვებს მარად უღრუბლო იყოს ჩვენი სამშობლოს ცა, მუდამ სიხარული სუფევდეს ყველას სახლში.

გ. ცანავა

**(გაზეთი "შრომის დროშა," 1945 წელი, 14 ივნისი, № 71, გვ. 3).**

## ცოფი და მისი პროფილაქტიკა

რუბრიკა: ექიმის საუბარი

ცოფი ცენტრალური ნერვული სისტემის მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელიც გადაეცემა ადამიანს ავადმყოფი ცხოველის მიერ კბენისას. ცოფის ვირუსი იმყოფება დაავადებული ცხოველის თუ ადამიანის ტვინის ქსოვილში, აგრეთვე ცხოველის ნერწყვში. ბუნებაში ცოფის ვირუსის რეზერვუარებია ცხოველები: მგელი, ტურა, ძაღლი, კატა და იშვიათად მობალახე ცხოველები და ფრინველები.

ძირითადი მნიშვნელობა ცოფის ეპიდემიოლოგიაში ძაღლებს აქვს, რადგან ყველაზე ხშირად ადამიანები ავადდებიან ცოფიანი ძაღლის კბენისა და ლოკვის შედეგად. ძირითადი რეზერვუარი ცოფის ვირუსის მტაცებელთა ოჯახიდან მგლებია, ხოლო შემაკავშირებელი რგოლი მტაცებლიდან ადამიანზე ცოფის ვირუსის გადაცემაში ძაღლია. ძაღლის – ოჯახისა და მეურნეობის მცველის ინფიცირება (დაავადება) ხდება ღამით მგლის შემოჭრისას დასახლების ადგილებში ან ტყეში. გამომჟღავნებული ცოფი როგორც ცხოველებში, ისე ადამიანებში სიკვდილით მთავრდება.

ცოფით დაავადებული ადამიანი ეპიდემიოლოგიურად, ე. ი. დაავადების გავრცელებისათვის საშიში არ არის. გაცოფებული ადამიანი სასიკვდილოდ არის განწირული. ცოფიანი ცხოველის მიერ კბენის ან დალოკვისას კანზე თუ ლორწოვან გარსზე უმნიშვნელო ჭრილობის თუ გაფხაჭნისას ორგანიზმში მოხვდება ცოფის ცოცხალი ვირუსი, რადგან ახლოა თავის ტვინთან ნაკბენი ადგილი, იმდენად ავადმყოფობის ინკუბაციური (ფარული) დაავადების გამომჟღავნების პერიოდი მოკლეა. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მდიდარია ინერვაცია

ინფექციის შეჭრის კერებთან, იმდენად მეტია დაავადების შესაძლებლობა. დაავადების განვითარებაში გარკვეულ როლს ასრულებს ორგანიზმის რეაქტიულობაც.

ცოფის ვირუსი განსაკუთრებით აზიანებს ნერვულ სისტემას, რითაც აიხსნება საყლაპავი და სასუნთქი კუნთების კრუნჩხვები, ძლიერი ოფლიანობა და ნერწყვის დენა. ცხოველებში ცოფის ინკუბაციური პერიოდი უდრის 15–20 დღეს. დაავადება მიმდინარეობს პერიოდებით. დაავადების ორ ფორმას ვარჩევთ: მძვინვარეს, წყნარს ანუ პარალიზურს. გარდა ამისა, ცხოველებში შეიძლება ადგილი ქონდეს აბორტულ და ატიპიურ ფორმებსაც. ძაღლებში ყოველთვის სჭარბობს მძვინვარე ფორმა. ინკუბაციური პერიოდის დამთავრების შემდეგ იწყება წინამორბედი ანუ პროდრომული ნიშნები: ცხოველს ეცვლება ყოფაქცევა, ხშირად ყმუის, ან ჭამს, განკერძოებულია, ნაკლებად ალერსიანია და მეტად ბრაზიანი. ხშირად ყლაპავს ნაფოტს, ჩხირს, ლურსმანს და სხვა.

პროდრომები საშუალოდ გრძელდება 1–2 დღეს. ამ პერიოდში ხშირად ილოკავს ნაკბენ ადგილს, რომელიც განმეორებით ანთებად სურათს იძლევა, შემდეგ ცხოველს ეწყება ძლიერი ნერწყვის დენა, უძლიერდება წყურვილი და წყლის შიში, აგრესიული ხდება, სრულიად უმიზეზოდ ეცემა და კბენს ზოგჯერ პატრონსაც, გარბის და ტოვებს სახლს უმიზნოდ. იწყება პარალიზური სტადია, ვითარდება საყლაპავი კუნთებისა და სუნთქვის ორგანოების დამბლები (დადამბლდება კიდურები, პირველ რიგში უკანა ფეხები) და 7–8 დღეში ცხოველი კვდება.

ადამიანის ცოფის ინკუბაციური პერიოდი 30–50 დღეს უდრის, იშვიათად 2–3 კვირამდე, ასევე შეიძლება გაგრძელდეს ერთ წლამდე. ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია კბენის ადგილსა და ხასიათზე. ასევე მოკლე ინკუბაციაა ბავშვებში.

ინკუბაციის (ფარული) პერიოდის დამთავრების შემდეგ ავადმყოფი ნაკბენ ადგილზე გრძნობს ყრუ ტკივილებს და ქავილს. დანაწიბურებული-შეხორცებული ნაკბენი წითლდება, შეშუპდება, ავადმყოფი უჩივის უძილობას, დისპეპსიურ მოვლენებს, შეკრულობას, აპათიური ხდება და შეპყრობილია სიკვდილის შიშით, ტემპერატურა უწევს 37–37,3 გრადუსამდე, უარს ამბობს საჭმელზე, ერღვევა სუნთქვის რითმი, წყლის მოთხოვნა აქვს, მაგრამ ვერ სვამს, ე. ი. ეშინია წყლის და აქედან წარმოიშობა წყლის შიში (ჰიდროფობია). მსგავსი კლინიკური ნიშნები შეიძლება ვნახოთ ტეტანუსის, თეთრი ცხელების ატროფიით მოწამვლის დროს. ღნიშნული ნიშნების გამომჟღავნება – ეს უკვე დაგვიანებული შემთხვევაა, ძალზე

მძიმეა და განკურნება უიმედოა.

თ. გეგეჭკორი,

გალის რაიონის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი.

**(გაზეთი „ლენინელი," 1976 წელი, 15 აპრილი, № 40, გვ. 3-4).**

## ომგადახდილი მანდილოსნები



**ქსენია გეგეჭკორი** ბავშვობიდან ოცნებობდა ადამიანის მკურნალი გამხდარიყო. ძალიან გაუხარდა კიდეც, რომ ექთანის კვალიფიკაცია მიიღო და მარტვილის რაიონული საავადმყოფოს სამშობიარო სახლში დაიწყო მუშაობა. ჯერ პრაქტიკას მივიღებ, სწავლას მერე მოვასწრებო – ფიქრობდა 24 წლის ახალგაზრდა მედდა, მაგრამ...

მოწმენდილ ცაზე ომის ღრუბლები გამოჩნდა, სამშობლოს საფრთხე დაემუქრა. ქსენია, ომის დაწყების მეორე დღესვე ჩადგა მამულის დამცველთა რიგებში. იგი როგორც ექთანი, ქ. თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში დატოვეს და ათმეთაურად დანიშნეს. პირველად გაუჭირდა ახალგაზრდა გოგონას 61 მძიმედ დაჭრილი ავადმყოფის მოვლა, მაგრამ რა უნდა ექნა, ღამეებს თეთრად ათენებდა, მზრუნველობას არ აკლებდა დაჭრილ მეომრებს.

დიახ, ძალიან უჭირდა ექთანს ასეთი მძიმე ავადმყოფების მოვლა, მაგრამ იყო ვიღაც, ვისაც მასზე უფრო მეტად უჭირდა მაშინ; შეიძლებოდა წუთებს გადაეწყვიტა დაჭრილი ჯარისკაცების სიცოცხლის ბედი. ელოდნენ, შველას ითხოვდნენ, საშველად იხმობდნენ **ქსენია გეგეჭკორს** და ვინ იცის, რამდენ დაჭრილს გაუვლია ქალბატონ ქსენიას ხელში, რამდენი დაჭრილი მეომრისათვის არ დაუბრუნებია საკუთარი სისხლიც კი, როცა ეს საჭირო იყო. სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ქალი ახლა სოფელ ინჩხურში ცხოვრობს და აქვე მუშაობს. იგი 2 შვილის მზრუნველი დედაა და ერთი შვილიშვილის მოსიყვარულე ბებია.

17 წლის გოგონა იყო თამარ წოწორია, რომელიც მობილიზაციით ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. 1943 წელს, ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესრულების დროს შტაბის მანქანას, რომელშიც თ. წოწორია იჯდა, მატარებელი დაეჯახა. ერთი თვე უგონოდ იწვა სამხედრო ჰოსპიტალში. არავინ ელოდა მის გადარჩენას, მაგრამ ახალგაზრდულმა ენერგიამ სასწორი სიცოცხლისაკენ გადახარა და კვლავ სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. შემდეგ სოფელ ინჩხურში დაბრუნდა და მეორე მსოფლიო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი თამარ წოწორია ინჩხურის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობს. იგი ერთადერთი გოგონას მზრუნველი დედაცაა.

ვილოცავთ ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს – 8 მარტს, ომგადახდილო მანდილოსნებო.

რ. სილაგავა

**(გაზეთი "შრომის დროშა," 1977 წელი, 8 მარტი, № 29, გვ. 3).**

## ნემსი – მკურნალი

ნემსურ თერაპიას (ნემსის ჩხვლეტით მკურნალობის მეთოდი) ორი ათას წელზე მეტია იცნობენ სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობისას. ჩინეთის სახალხო მედიცინის ჩასახვისთანავე დაიწყეს დაავადებათა ნემსით მკურნალობა. მკურნალობის ამ მეთოდმა მე-6 საუკუნეში გავრცელება ჰპოვა იაპონიაში, კორეაში, ვიეტნამში, აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში და ფაქტიურად, საუკუნეთა მანძილზე ადამიანთა ფართო მასებისათვის ერთადერთ მისაწვდომ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენდა...

ნემსური თერაპიის მეთოდს იცნობენ ევროპის, აზიისა და ლათინური ამერიკის 30-ზე მეტ ქვეყანაში. უკვე დაგროვილია დიდძალი ლიტერატურა, რომელიც მკურნალობის აღნიშნული მეთოდის თეორიასა და პრაქტიკას ეხება. ჩვენს ქვეყანაში ნემსით მკურნალობის მეთოდის გამოყენება 1956 წლიდან დაიწყეს. ჩვენი მეცნიერები იყვნენ ჩინეთში და ამის შემდეგ ექიმები (უმეტესწილად – ნევროპათოლოგები და თერაპევტები) სპეციალიზაციას გადიოდნენ ნემსურ თერაპიაში.

გამოკვლევათა შედეგები ადასტურებენ, რომ ნემსური თერაპია წარმოადგენს რეფლექტორული თერაპიის თავისებურ მეთოდს, რომელსაც საფუძვლად უდევს რთული ნეიროჰუმორალური მექანიზმი. ნემსური თერაპია სპეციფიკური თავისებურებებით განსხვავდება რეფლექტორული, კერძოდ, ფიზიკური თერაპიის ყველა სხვა მეთოდისაგან და მისი ზემოქმედების ზონა ძალზე მცირეა, წერტილოვანია.

აღსანიშნავია, რომ ღიზიანდება არა მარტო კანის მგრძნობიარე დაბოლოებანი, არამედ, მნიშვნელოვანწილად, ღრმა მგრძნობელობის ელემენტებიც (პროპრიო, ბარო, ანგიორეცეპტორები), რომლებიც ქსოვილშია მოთავსებული და ეხება შეყვანილი ნემსის გზაზე. ავერენტული იმპულსები, რომლებიც წარმოიქმნება კანის სიღრმეში, კუნთებსა და ძარღვებში მოთავსებული ნერვულ დაბოლოებათა ნემსით გაღიზიანებისას, გადაეცემა ნერვულ გზებს და ერთვება ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადასხვა დონეზე.

დადგენილია, რომ ნემსით ჩხვლეტით საპასუხო რეაქციის ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს რეტიკულარულ სუბსტანციას და ჰიპოთალამუსს, სადაც მოთავსებულია ორგანიზმის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სისტემის რეგულაციის ფუნქციის ცენტრები.

სწორედ ამით აიხსნება ამ მეთოდით მკურნალობის ზემოქმედების საერთო დიაპაზონი. ამ მკურნალობის მეთოდის შესწავლისას დიდი ყურადღება ექცეოდა ე. წ. "აქტიური წერტილებით" ზემოქმედების ლოკალიზაციას. ადამიანის ორგანიზმში სულ 700-მდე ბიოლოგიურად აქტიური წერტილია, რომელთაგან თითოეულს თავისი სახელწოდება, ზუსტი ანატომიური განლაგება და დანიშნულება აქვს. მათგან ძირითადია 190 წერტილი. ამ წერტილებში ნემსების შეყვანისას წარმოიქმნება წვის, ტეხვის, დენის გატარების და სხვა მოქმედების შეგრძნება. თუ ნემსით ჩხვლეტა ნეიტრალურ წერტილში მოხდა, ზემოთ დასახელებული მოქმედება არ იგრძნობა.

ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქის კლინიკებში, საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში ათასობით ავადმყოფმა იმკურნალა აღნიშნული მეთოდით. დაგროვდა დიდძალი კლინიკური მასალა, რომელიც ცხადყოფს ამ მეთოდის განსაკუთრებით კარგ ეფექტურობას ისეთ ავადმყოფობა მკურნალობისას, როგორიცაა პერიფერიული ნერვული სისტემის (რადიკულიტი, ნევროლოგია, ნევრიტი), ვეგეტაციური ნერვული სისტემის, ნევროზის, ბრონქიალური ასთმის, თავის ტვინის არაქნოიდიტი და სხვა დაავადებანი.

მკურნალობის მეთოდი უბრალოა და ეკონომიური, არ მოითხოვს ძვირადღირებულ აპარატურას და პრეპარატებს. ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ნებისმიერ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. ნემსური თერაპია მხოლოდ იმ შემთხვევებში გამოიყენება, როცა ფიზიკური და მედიკამენტური მკურნალობის მხრივ არ ახლავს უარყოფითი, საწინააღმდეგო მოვლენები. მკურნალობის მეთოდი სხვადასხვანაირია. დაყოვნებით – ნემსის შეყვანა თანდათანობით ხრახნივით მკურნალობენ რადიკულიტს, ნევრიტს, სამწვერა ნერვის ნევრალგიას, სახის ნერვის პერიფერიულ დამბლას, ნევროზს, მიგრენოზულ ტკივილებს, ბრონქიალურ ასთმას და სხვას.

აღგზნებითი მეთოდი – სწრაფი ზედაპირული ჩხვლეტაა. იგი გამოყენებულია კრუნჩხვისას, გონების დაკარგვისას, შოკის დროს.

ნემსები სხვადასხვა ზომისაა – 2 სმ-დან 12 სანტიმეტრამდე: ოქროსი, ვერცხლისა და უჟანგავი ფოლადისა. მკურნალობისას ნემსებს 20-30 წუთს, ერთ საათს, ზოგჯერ მთელი დღე-ღამის მანძილზე სტოვებენ სამკურნალო წერტილებში. კარგ ეფექტს იძლევა ნემსური თერაპიის შეხამება მოწვასთან. ტარდება მკურნალობის სამი კურსი.

აფხაზეთის რესპუბლიკური საავადმყოფოს ნევროლოგიურ განყოფილებაში ნემსით ჩხვლეტის მკურნალობა 1959 წლიდან ტარდება და ეს მეთოდი სულ უფრო და უფრო გავრცელებას პოულობს. ავადმყოფებს ამბულატორიულად მკურნალობენ. ჩვენ 544

ავადმყოფს ვუმკურნალეთ ამ მეთოდით, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

ბაბულია გეგეჭკორი,

აფხაზეთის რესპუბლიკური საავადმყოფოს ნევროლოგიური განყოფილების გამგე,

აფხაზეთის დამსახურებული ექიმი.

**(გაზეთი "საბჭოთა აფხაზეთი," 1977 წელი, 31 მარტი, № 64, გვ. 4).**

## ზღვის სიკეთე

მზის ცხოველმოქმედების სხივები დასაბამიდანვე მიაჩნდა ადამიანს საკუთარი ჯანმრთელობის საიმედო გუშაგად... ამიტომაა აფხაზეთის შესანიშნავ კურორტებს – სადაც ყველაზე უხვმზიანი ცა, მთის მაცოცხლებელი ჰაერი და ზღვა ითვლება ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორად – უამრავი მოაგარაკე რომ ეტანება. შემოდგომისა და ზამთრის პერიოდში ჩვენი ორგანიზმი მოკლებულია შესაძლებლობას უშუალო კონტაქტი ჰქონდეს მზესთან, რომლის ულტრაიისფერი სხივებიც სიცოცხლისათვის აუცილებელი ვიტამინებით გვამდიდრებენ. ზამთრის პერიოდში კი ჩვენს ორგანიზმში ე. წ. "ვიტამინური შიმშილი" წარმოიშობა, რაც თავისთავად იწვევს სასიცოცხლო პროცესების გაუარესებას, სისხლის მიმოქცევის ძარღვების დასუსტებას, სხვადასხვა დაავადებათა წინააღმდეგ ჩვენი ორგანიზმის ბრძოლის უნარიანობის დაკნინებას.

გაზაფხული დადგება თუ არა, მზეს, ჰაერსა და ზღვას ეტანება ყოველი ჩვენგანი. საზაფხულო საკურორტო სეზონი კი მზისა და ზღვის აბაზანების მიღების, მათი სამკურნალო ზემოქმედების მაქსიმალური გამოყენების ყველაზე ხელსაყრელ პერიოდად ითვლება... აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მზეც და ზღვაც ჩვენი მეგობარი და ჯანმრთელობის უებარი მალამოა, თუ მას გონივრულად გამოვიყენებთ. არასწორი გამოყენებით კი შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მივაყენოთ საკუთარ ჯანმრთელობას. გაგრაში, მათ შორის ჩელუსკინელთა სახელობის სანატორიუმში ვიყენებთ კლიმატურ პავილიონებს, რომელთა დანიშნულებაა ავადმყოფებს საშუალება მისცეთ ზღვის სიკეთით ისარგებლონ იმ დროსაც კი, როცა მათ სძინავთ.

რა არის ზღვის სიკეთე? ბევრ მოაგარაკეს ჰგონია, მზეზე თუ გაირუჯება და ზღვის წყლით გაგრილდება, ესაა ყველაფერი... სინამდვილეში კი ზღვასთან ხშირი სიახლოვე, განსაკუთრებით კი მისი ღელვის დროს – შესაძლებლობას გვაძლევს ვისუნთქოთ ჰაერით, რომელიც ზღვის ტალღების მიერ წყლის მტვერით არის გაჯერებული, ამ მტვერში კი არეულია ჩვენი ორგანიზმისათვის აუცილებელი ისეთი ძვირფასი მარილები, როგორიცაა

ბრომი, იოდი, ქრომი, კალიუმი, კალციუმი, ნატრიუმი, ფოსფორი, მაგნიუმი და ა. შ. რომლებსაც ბუნებრივი ინჰალაციის სახით ვღებულობთ სასუნთქი ორგანოების მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილი მარილებით ზღვის სანაპიროს ჰაერი გაჟღენთილია ზღვისპირიდან დაწყებული 15-20 მეტრის მანძილზე. სწორედ ამ ზონაშია გაშენებული ჩვენი კლიმატური პავილიონები, რომელთა საძინებელი პალატები ღია ვერანდებით ზღვის მხარეზე ისეა მოქცეული, რომ იქ ზღვის შხეფით გაჟღენთილმა ჰაერმა თავისუფლად შეაღწიოს.

ამ მარილებით მდიდარი ზღვის სუფთა ჰაერით სუნთქვა დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ზღვის ტალღების ხმაური, ნებიერი იქნება ეს თუ თავაწყვეტილი, ამშვიდებს ნერვებს, სიმხნევეს მატებს ადამიანს. ასეთ გარემოცვაში ძილი იმდენად ღრმაა და უშფოთველია, რომ კლიმატურ პავილიონში გატარებული რამდენიმე დღის შემდეგ, 18-22 პროცედურის მიღების შედეგად, სანატორიუმიდან გამოჯანსაღებული ეწერებიან ავადმყოფები, რომლებიც წლების მანძილზე უჩიოდნენ თავის ტკივილსა და უძილობას, რაც, როგორც ყოველთვის, თან ახლავს ნერვული სისტემის მოშლას, შინაგან ორგანოთა დაავადებას, ცხოვრების რიტმის ხანგრძლივ დარღვევას.

ჩვენი სანატორიუმის კლიმატურ პავილიონს ერთდროულად შეუძლია 50 კაცს გაუწიოს მომსახურება – შარშან 512 ავადმყოფმა აღიდგინა აქ ჯანმრთელობა. 1977 წლის ექვსი თვის მანძილზე ამ პავილიონის პაციენტთა რიცხვმა 380-ს მიაღწია, ხოლო თითო ავადმყოფს 18-22 პროცედურა აქვს მიღებული კლიმატური მკურნალობის სახით, რამაც შესამჩნევად აამაღლა ჩვენი ჯანმრთელობის კერაში სანატორიული მკურნალობის ეფექტურობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, ზღვის პირას გაშენებული კლიმატური პავილიონების გამტარუნარიანობა სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს გაგრაში სამკურნალოდ ჩამოსულ იმ ავადმყოფთა მოთხოვნას, რომელთაც კლიმატურ პავილიონებში ძილი, სხვა სამკურნალო პროცესებთან ერთად, აუცილებლად ესაჭიროებათ. ამ მხრივ კიდევ მეტია გასაკეთებელი იმ მოაგარაკეთათვის, რომლებიც კურორტზე სამკურნალოდ უსაგზუროდ ჩამოდიან და რომელთა რიცხვიც ყოველწლიურად იზრდება. ჩემი აზრით, სანატორიუმებთან ამჟამად არსებული კლიმატური პავილიონების გაფართოებასთან ერთად უნდა ვიფიქროთ საკურორტო პოლიკლინიკასა და ამბულატორიებთან ასეთი პავილიონების მოწყობაზეც (რასაკვირველია სამეურნეო საწყისებზეც).

ჩვენს სანატორიუმს, რომელიც წლების მანძილზე საბაზო სანატორიუმად ითვლებოდა გაგრაში, მდიდარი გამოცდილება აქვს შეძენილი კლიმატური მკურნალობის დარგში და ამ

გამოცდილების მეცნიერული შედეგების გამოყენებისათვის სასარგებლო შრომას ეწევიან შესანიშნავი კურორტოლოგები და ამიტომაა კლიმატური მკურნალობის ენთუზიასტებს, ჯანმრთელობის პავილიონის დიასახლისებს გულთბილ მადლობას რომ უბარებენ მათი მადლიერი დამსვენებლები და პაციენტები.

მ. მემეჭკორი,

აფხაზეთის დამსახურებული ექიმი,

ჩელუსკინელთა სახელობის სანატორიუმის მთავარი ექიმი.

**(გაზეთი "საბჭოთა აფხაზეთი," 1944 წელი, 23 აგვისტო, № 163, გვ. 3).**

## ვერიდოთ კუჭ-ნაწლავთა მწვავე დაავადებებს

რუბრიკა: ექიმი გვირჩევს

ინფექციური სიყვითლე მწვავე დაავადებაა, რომელიც შეიძლება მოსახლეობაში გამოვლენილ იქნას წლის ყველა დროს. თუ დაცული არ იქნა ყველა საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური წესი, აღნიშნული დაავადება ადვილად შეიძლება გავრცელდეს მოსახლეობაში. დაავადების გამავრცელებლად მოსახლეობაში ითვლებიან აღნიშნული სნეულებებით შეპყრობილი ადამიანები ან ბაქტერიომატარებლები. ავადმყოფის ან ბაქტერიომატარებლის ორგანიზმიდან ჯანმრთელ ადამიანებზე ბუზებს გადააქვთ.

ეს მავნე მწერები ასხდებიან რა ინფექციური სიყვითლის ბაქტერიების შემცველ განავალს, გადაფრინდებიან საკვებ პროდუქტებზე და თავიანთი თათებით ავრცელებენ ჩამოთვლილი სენების გამომწვევ ბაქტერიებს. ასეთი გასენიანებული პროდუქტის მიღების შემდეგ, ცხადია, ადამიანები ადვილად შეიძლება გახდნენ ავად.

და, ყველა შეგნებულმა ადამიანმა კარგად იცოდეს და ატარებდეს პირად საქმიანობაში ყველა ის საჭირო ღონისძიებას, რაც კუჭ-ნაწლავთა მწვავე დაავადებებისაგან საიმედოთ დამცველი საშუალებებია. ხელების სისუფთავის დაცვას უაღრესად დიდი ჰიგიენური მნიშვნელობა ენიჭება. ხელის კანზე განსაკუთრებით კი ფრჩხილებთან დიდი რაოდენობით გროვდება ჭუჭყი – სხვადასხვა დაავადებების (მათ შორის ჭიებით დაავადებებისაც) გამომწვევი ბაქტერიები.

კუჭ-ნაწლავების აშლილობის დროს თვითმკურნალობა საზიანოა, რაც ხშირად ქრონიკული დიზენტერიის გამომწვევ მიზეზად ითვლება. ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ ექიმის დანიშნულების გარეშე მითითებულ საშუალებებს ზოგჯერ შეუძლიათ დროებით შეაჩერონ კუჭ-ნაწლავის აშლილობა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს ავადმყოფის განკურნებას.

ექიმი კი კვალიფიციურად შეისწავლის ავადმყოფს, დასვამს სწორ დიაგნოზს და სათანადო მკურნალობასაც დანიშნავს.

მ. გეგეჭკორი,
ქალაქ გაგრის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.
**(გაზეთი "ავანგარდი," 1948 წელი, 29 ივლისი, № 90, გვ. 4).**

## სათნოების მადლი



არიან პიროვნებები, რომლებიც თავიანთი უპრეტენზიო არსებობით, ცხოვრების წესით ყველაფერს ადამიანურს ჩვეულებრივობის საბურველში ახვევენ და ჩვენც ძალზე ჩვეულებრივად აღვიქვამთ მის ყოველდღიურობას, მის უანგარო ზრუნვას არა მარტო ოჯახის წევრებსა თუ მეგობრებზე, ახლობლებზე, არამედ სრულიად უცხო ადამიანებზეც. უჩვეულოდ არ გვეჩვენება მისი გულისხმიერება, უდიდესი პასუხისმგებლობა სულ პატარა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო წვრილმანის მიმართაც; მოგვწონს, როცა თხოვნასა თუ დავალებას დროულად, რომ იტყვიან, ძირსდაუშვებლად შეასრულებს, თანაც ისე, იოტისოდენადაც არ გაგრძნობინებთ; – იქნებ ძნელი იყო მისთვის ამ საქმის გაძღოლა! ასეთების გვეიმედება, სწორედ მაშინ გვახსენდებიან, როცა გვჭირდებიან და ისინიც უმალ გვერდში დაგვიდგებიან, სიტყვით და საქმით ძალას შეგვმატებენ და ეს ყოველივე ჩვენთვის, ირგვლივ მყოფთათვის ჩვეულებრივი ამბავია...

მაგრამ რა ძნელია, როცა უეცრად დადგება ასეთი ადამიანის არყოფნის ჟამი და მის ადგილას უაზრო სიცარიელე დაისადგურებს. აი მაშინ ამ არყოფნის საშინელების წინაშე უძლური, ყველაფერს ნათლად, გამოკვეთილად ვხედავთ, ვგრძნობთ... და ვამბობთ, რომ ყოველივე ზემოთქმულს ერთი სახელი აქვს: დიდბუნებოვნება. ეს კიდევ მეტად განგვაცდევინებს მეგობრის დაკარგვის ტკივილსა და სიმწარეს.

აი ასეთი ტკივილი დააქვთ ამ დღეებში **ნინო გეგეჭკორის** ნათესავებს, მეგობრებს, უბრალოდ ნაცნობებს. როგორ უყვარდა თავისი საქმე, ბავშვები – იტყვიან გულდაწყვეტით და ყველაფერი ნათელია. ბავშვების სიყვარული, მათზე ზრუნვა, მათს აღზრდაში გატარებული წლები უკვე თავისთავად მეტყველებენ ნინოს კეთილ ბუნებაზე. უყვარდა ბავშვები. ამასვე იმკიდა პატარებისა და მათი მშობლებისაგან. ვინ დათვლის, დღეს ჩვენს ქალაქში ნინოს მადლიერებით აღსავსე რამდენი ახალგაზრდა დააბიჯებს.

ისინი იზრდებოდნენ...

**ნინო გეგეჭკორი** კი იჯდა თავის კოპწია კაბინეტში და საათობით უმეორებდა პატარებს ერთი და იგივეს, ასწავლიდა გამართულ მეტყველებას. ასე იყო მე-9, მე-13, მე-14 პოლიკლინიკებში. გოგონებსა და ბიჭებს მიუხაროდათ ლოგოპედის ნათელი ოთახისაკენ – შინაგანი, მხოლოდ ბავშვისათვის დამახასიათებელი გუმანით გრძნობდნენ სათნოებას, სიკეთეს. ამაში ბავშვები არასოდეს ცდებიან.

ეს რომ ასე იყო, არაერთხელ დაუმოწმებია ნინოს თავისი ცხოვრების წესით, მრწამსით, ნორჩებისათვის უანგაროდ გაღებული სისხლით, სულის ნაწილით. აკი ხაზგასმით არის კიდეც აღნიშნული მის მისამართით მე-9 პოლიკლინიკის ხელმძღვანელობის ბრძანებაში: "კეთილშობილური, პატრიოტული საქციელისათვის, სისხლის უსასყიდლოდ გაღებისათვის გამოეცხადოს მადლობა..."

ამიტომ განიცდიან ნინოს უდროოდ დაკარგვას არა მარტო ოჯახის წევრები და ახლობლები...

ამიტომ შეიგრძნობენ სხვებიც ასე მწვავედ არყოფნის ტკივილს.

**(გაზეთი "თბილისი," 1985 წელი, 16 მარტი, № 63, გვ. 4).**

## ასლან გეგეჭკორი



გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ექიმი, სამედიცინო სამსახურის გადამდგარი პოლკოვნიკი **ასლან** ვარლამის ძე **გეგეჭკორი**. იგი დაიბადა 1920 წელს.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ არმიაში განვლო გზა ექიმიდან შენაერთის სამედიცინო სამსახურის უფროსამდე. დაამთავრა ლენინგრადის (ამჟ. სანკტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია) სამხედრო-სამედიცინო აკადემიაც. მუშაობდა ჰოსპიტლის უფროსად, თბილისის 24-ე პოლიკლინიკის მთავარ ექიმად.

დაჯილდოებული იყო მეორე მსოფლიო ომის ორივე ხარისხის, ორი წითელი ვარსკვლავის, "საპატიო ნიშნის" ორდენებით, მრავალი მედლით.

ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან **ასლან გეგეჭკორი** – შესანიშნავი სპეციალისტი, პრინციპული და გულისხმიერი ადამიანი.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანდაცვის სამმართველო,

21-ე პოლიკლინიკის კოლექტივი.

**(გაზეთი "თბილისი," 1990 წელი, 18 მარტი, № 112, გვ. 4).**

## ვარდო გეგეჭკორი



გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ვარდო გეგეჭკორი-ჭირიკაია. დაიბადა 1915 წელს, მარტვილში, მოსამსახურის ოჯახში. 1939 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტებში ექიმ-თერაპევტად, ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს ორდინატორ-თერაპევტად, მარტვილის რაიონის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმად და რაიონის წამყვან მეან-გინეკოლოგად.

**ვ. გეგეჭკორი** იყო კეთილსინდისიერი, გულისხმიერი, თავმდაბალი პიროვნება, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ახასიათებდა საქმისადმი სიყვარული, ავადმყოფებისადმი მზრუნველი, გულთბილი დამოკიდებულება; იგი სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა ექიმის ფიცისა, მდიდარ გამოცდილებას უშურველად გადასცემდა ახალგაზრდა მუშაკებს.

შესანიშნავი მოქალაქისა და პიროვნების, ამაგდარი ექიმის **ვარდო გეგეჭკორი**-ჭირიკაიას ხსოვნა მარად დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი

**(გაზეთი "სოფლის ცხოვრება," 1990 წელი, 19 დეკემბერი, № 144, გვ. 4).**

### ...და კვლავ ავადმყოფთან მიეჩქარება!

კაბინეტში საავადმყოფოს სპეციფიკური სუნი დგას, თვალისმომჭრელად ელვარებენ საიდუმლოებით მოცული მონიკელებული საექიმო იარაღები. ვინ იცის, რამდენისთვის შეუნარჩუნებიათ სიცოცხლე მათი შემწეობით. ოთახში წამდაუწუმ შემოდიან თეთრხალათიანები, ყველას თავთავისი საქმე აწუხებს.

პირადად გვსურდა გავცნობოდით, თორემ ისედაც მრავალი გვსმენოდა მისი დიდი, კეთილშობილური საქმიანობის, მისი ღრმა ადამიანური გულის, ყოვლისშემძლე თითების შესახებ... ალბათ თვით პატივცემული ექიმი-გინეკოლოგი **ვარდო გეგეჭკორი** ამდენს არ მიამბობდა საკუთარ თავზე...

ვისმენ გამოცდილი სპეციალისტების საუბარს და ცოცხლდებიან დღეები, რომლებსაც ასეთი დიდი ამაგი დასდო გინეკოლოგმა **ვ. გეგეჭკორმა**, რომელიც ოთხი ათეულ წელზე მეტია ემსახურება კეთილშობილურ საქმეს. ვინ მოთვლის რამდენისათვის დაუბრუნებია მის დალოცვილ მარჯვენას თითქმის ჩამქრალი სიცოცხლე, ვინ იცის რამდენმა ახალშობილმა მისი შემწეობით იხილა დღის სინათლე.

260 დედამ იმშობიარა წელს მარტვილის რაიონის სამშობიარო სახლში, აქედან 8 ტყუპი დაიბადა, ბავშვის გარდაცვალების არცერთი შემთხვევა არ ყოფილა. ჭეშმარიტად შესანიშნავი მიღწევაა!... დიახ, ექიმ **ვარდო გეგეჭკორს** ყველა ავადმყოფთან მიეჩქარება!

ო. ხუხუა

**(გაზეთი "სოციალისტური სოფელი," 1961 წელი, 10 სექტემბერი, № 108, გვ. 3).**



**გეგეჭკორი მანანა (მაკა)** – დაიბადა 1961 წლის 12 დეკემბერს. ექიმი-რეპროდუქტოლოგი.

1978-1984 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

1984-1988 წლებში მუშაობდა კლინიკურ ორდინატურაში – ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, ენდოკრინოლოგ-გინეკოლოგად;

1998 წელს სამედიცინო აკადემიის ბაზაზე გაიარა რეპროდუქტოლოგიის კურსები.

2003 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე "ჰიპოთალამური სინდრომის სხვადასხვა ფორმების კლინიკო-ჰორმონული მახასიათებლები".

2004 წელს მიენიჭა სამეცნიერო წოდება – მედიცინის დოქტორი.

საექიმო პროფესიული საქმიანობას სტაჟი იწყებს 1992 წლიდან, როგორც ექიმი – რეპროდუქტოლოგი, ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

1998-2000 წლებში იყო – "კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, გუნდური მუშაობის პრინციპები" პროგრამის – მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის – ფარგლებში, ფონდი – ღია საზოგადოება – საქართველოს, ტრენერი;

1999 წლიდან მუშაობს – რეპროდუქციული სამსახურების და ინფორმირებულობის გაუმჯობესებისთვის, ტრენინგი ექიმების, ექთნების, მოსახლეობის და ფარმაცევტებისთვის, ტრენერი.

2000-2002 წლებში იყო – ოჯახის დაგეგმვის, ეფექტური კომუნიკაციისა და კონსულტირების, JHPIEGO Corporation, John Hopkins Universiti, ნაციონალური მასტერ-ტრენერი;

2001-2003 წლებში იყო – ანტე და პოსტნატალური დახმარების კურსის, Safe-Motherhood Curatio Internacional Foundation and MSH (Management Sciences for Health), ნაციონალური მასტერ-ტრენერი;

2001-2014 წლებში იყო – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის, მეანობა-გინეკოლოგია-რეპროდუქტოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი;

2002-2005 წლებში იყო – პროექტის "სასიცოცხლო უნარ-ჩვევები და ჯანსაღი ცხოვრების წესი საქართველოს საჯარო სკოლებში", საშუალო ჯგუფის წევრი, თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, განათლების სამინისტრო, UNICEF (იუნისეფი);

2003-2009 წლებში იყო – პროექტის ანტე პოსტნატალური დახმარების კურსის, ოჯახის დაგეგმვა, ეფექტური კომუნიკაცია და კონსულტირების, JSI – Jhon Snow Institute of Traning and Research, Healthy Women in Georgia, მასტერ-ტრენერი, საშუალოთა ჯგუფის წევრი, სახელმძღვანელოების, კურიკულუმების შექმნა, რეცენზირება.

2007 წლიდან მუშაობს – რეზიდენტურის პროგრამების, რეზიდენტებთან თეორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებზე;

2008-2009 წლებში იყო – პროექტის "მოზრდილთა სწავლების თანამედროვე პრინციპები და ფუნდამენტური საფუძვლები" JSI – Jhon Snow Instite of Training and Research, ყირგიზეთის სამედიცინო პროფილის და საქართველოს თსსუ-ს სასწავლო პროგრამებში ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდების სასწავლო პროგრამის ფარგლებში, თბილისის სამედიცინო პოსტდიპლომური განათლების კურსის ფარგლებში.

2011 წლიდან მუშაობს – UNFPA პროგრამის ფარგლებში, ოჯახის ექიმების ტრენინგი – ანტე და პოსტნატალური დახმარების კურსი, ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდები, "ონკოსიფხიზლე და პრევენციული სკრინინგული ტესტები" კახეთის რეგიონში, ტრენერი.

2012 წლიდან მუშაობს – ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ამბულატორიული სამსახურის ხელმძღვანელად.



**გეგეჭკორი ნანა** დაიბადა 1980 წელს ქალაქ გალში. იგი მეოთხე თუ მეხუთე კლასში იქნებოდა აფხაზეთში საომარი მოქმედებები რომ დაიწყო და მის ოჯახს გალიდან თბილისში მოუწია გადაბარგება. ძველი, ლაღი ცხოვრებიდან ნანას მოგონებების გარდა, არაფერი დარჩა.

სკოლა რომ დაასრულა, გადაწყვიტა, თანამედროვე კარდიოლოგიას დაუფლებოდა. სამწუხაროდ, მაშინ საქართველოში ამის ასპარეზი არ იყო და ამიტომ ქვეყნის დატოვება მოუწია. დასავლეთ ევროპაში ვერ ისწავლიდა – არც ინგლისური იცოდა და არც ამის ფინანსური სახსრები ჰქონდა.

ნ. **გეგეჭკორი** 2002 წელს წავიდა მოსკოვში (რუსეთის ფედერაცია) და იქ გამგზავრება და ცხოვრება უფრო გაუმარტივდა. შემდეგ უმაღლესი ქულებით ჩაირიცხა და ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში, ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრში, მიიღეს ორდინატურაში. იქვე ასპირანტურაში დარჩენის შემოთავაზებაც მიიღო. სწავლის საფასური მოუხსნეს და ასპირანტურის პირველივე წელს თანამშრომლადაც აიყვანეს. ასე შემორჩა ამ კლინიკაში და ნაყოფიერი ცხრა წელიწადი გაატარა.

ნანა დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში, შემთხვევით თავის მომავალ მეუღლეს შეხვდა, ისიც აფხაზეთიდან დევნილია და ნიუ-იორკში (ამერიკის შეერთებული შტატები) ცხოვრობს. მან გააცნობიერა, რომ ამერიკაში ნულიდან იწყებდა თითქმის ყველაფერს, აქ უცხოურ დიპლომს და ხარისხს არ აქვს შესაბამისი სტატუსი. სამედიცინო ლიცენზიის მოსაპოვებლად გამოცდები უნდა ჩაებარებინა, შემდეგ კი ახლიდან უნდა გაევლო რეზიდენტურა.

**ნანა გეგეჭკორმა** ორსულობისას ინგლისური ისწავლა, შემდეგ კი წელიწადნახევარი გამოცდებისთვის ემზადებოდა და საბოლოოდ, სამედიცინო ლიცენზიაც აიღო, რეზიდენტობამდე ერთი ეტაპი აშორებდა – აუცილებელი იყო სამ სხვადასხვა ექიმთან პრაქტიკის გავლა და ამერიკული კლინიკური გამოცდილების მიღება.

შემდეგ ნიუ-იორკის ყველაზე პრესტიჟულ კლინიკა "მაუნთ სინაიში" პრაქტიკანტად კი არა, პოსტ-სადოქტორო მკვლევრად დაამტკიცეს და შესთავაზეს ძირითადი საქმიანობის გარდა მაგისტრიც გამხდარიყო. სწავლის ღირებულება სრულად დაუფინანსეს და ორი წლის თავზე პოსტ-სადოქტორო კვლევაც დაასრულა და მაგისტრატურაც. თან, მისმა სამაგისტრო ნაშრომმა წლის საუკეთესო თეზისის ჯილდოც მოიპოვა. შემდეგ მოხვდა რეზიდენტურაში, რომლის დასრულების შემდეგ, კარდიოლოგიას დაუბრუნდა მაიმონიდის ჰოსპიტალში, რომელიც მდებარეობს ნიუ-იორკის შტატში.

ი. ვაჩიბერიძე,

**(ჟურნალი "სარკე" 2018 წელი, № 16, გვ. 62).**

## საქართველოს სპორტსმენები



**გეგეჭკორი ოთარი** დაიბადა 1933 წლის 28 ოქტომბერს თბილისში. მწვრთნელი, პედაგოგი. 1984 წლიდან-საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, 1990 წლიდან-სპორტის ვეტერანთა კავშირის წევრი, 1998 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

1958 წელს დაამთავრა ფიზკულტურისა და სპორტის ინსტიტუტი. 1959-1972 წლებში იყო ახალციხის "მესხეთის" გუნდის უფროსი მწვრთნელი, 1972 წლიდან-საფეხბურთო სკოლა "ნორჩი დინამოელის" გენერალური დირექტორი; საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის I, II, III ადგილის მფლობელი; ჩოხელის თასის მფლობელი, დაჯილდოვებულია ცენტრალური საბჭოს სიგელით 1983 წელს და სპორტული რეზერვების მომზადებისათვის-1984 წელს; განათლების სამინისტროს მადლობის სიგელით საკავშირო სპარტაკიადაზე ნაკრები გუნდების წარმატებაში განსაკუთრებული წვლილისათვის-1985 წელს; "დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს საპატიო სიგელით 1988 წელს. საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკია 2002 წლიდან.

**(ვინ ვინ არის საქართველოში – ქართული ბიოგრაფიული ცნობარი, 2006 წელი, გვ. 109).**

**გეგეჭკორი ავთანდილი** – კლასიკური ჭიდაობა, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი 1970 წლიდან, საზოგადოება "განთიადი" – ბათუმი.



**გეგეჭკორი ვლადიმერი** – ნიჩბოსნობა (აკადემიური), სსრ კავშირის სპორტის ოსტატი 1971 წლიდან, საზოგადოება "სპარტაკი" – მცხეთა.

ს უ რ ა თ ზ ე: აკადემიური ნიჩბოსნობის ორადგილიანი წყვილმოსასმელიანის ეკიპაჟი: **ვ. გეგეჭკორი** და დ. ლოლუა.

**(გაზეთი "ლელო," 1974 წელი, 4 ივნისი, № 109, გვ. 2).**

**გეგეჭკორი ვახტანგი** – ნიჩბოსნობა (სლალომი), სსრ კავშირის სპორტის ოსტატი 1976 წლიდან, საზოგადოება "ლოკომოტივი" – თბილისი.

**გეგეჭკორი თეიმურაზი** – ნიჩბოსნობა (სლალომი), სსრ კავშირის სპორტის ოსტატი 1978 წლიდან, საზოგადოება "ლოკომოტივი" – მცხეთა.




**გეგეჭკორი ლევანი** იოსების ძე – ფეხბურთელი. დაიბადა 1994 წლის 5 ივნისს მარტვილის მუნიციპალიტეტში. მარჯვენა მცველი, ასევე შეუძლია დაცვის მარცხენა ფლანგზე თამაში. 2102 – 2015 წლებში თამაშობდა მარტვილის საფეხბურთო კლუბ "მერანში", 2015 – 2016 წლებში ქობულეთის სპორტულ კლუბ "შუქურაში", 2017 წელს საჩხერის სპორტულ კლუბ "ჩიხურაში", 2017 წელს თბილისის სპორტულ კლუბ "დინამოში", 2018 წელს რუსთავის სპორტულ კლუბ "რუსთავში", 2018 – 2019 წლებში ქუთაისის სპორტულ

კლუბ "ტორპედოში;" 2019 წლიდან თამაშობს ბათუმის სპორტულ კლუბ "დინამოში". საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში მისი დებიუტი შედგა 2017 წელს ბელორუსიასთან ამხანაგურ მატჩზე. სულ ნათამაშევი აქვს 202 მატჩი, გატანილი აქვს 10 გოლი.

## ზუგდიდში ფეხბურთის მოკლე ისტორია

ზუგდიდში ფეხბურთის დაარსებიდან 90 წელი შესრულდა. სპორტის ამ სახეობამ ჩვენს ქალაქში არსებობა გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, როდესაც ადგილობრივმა ახალგაზრდებმა ლეო ჭედიამ და პიერ კობახიძემ (შემდგომში ცნობილი მხატვარი) ბათუმში იხილეს შეხვედრა ადგილობრივ მეზღვაურებსა და ინგლისის "ალბიონის" მეზღვაურებს შორის. ზუგდიდელმა ყმაწვილებმა შეისწავლეს თამაშის წესები, მოედნის ზომები, შეიძინეს ბურთი, ფორმები და მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულებმა ჩამოაყალიბეს გუნდი "მერცხალი". 1919 წლის 20 მაისს "მიურატების მინდორზე" (დღევანდელი სტადიონის ტერიტორია) გაიმართა თამაში "მერცხალსა" და რუსეთის გარნიზონის სამხედრო გუნდთან, რომელიც 2-1 ზუგდიდის სასარგებლოდ დამთავრდა. ზუგდიდელთა გუნდის მწვრთნელი იყო აჩო კობახიძე. ამ მატჩით საფუძველი ჩაეყარა ზუგდიდში ფეხბურთის დაბადებას.

1936 წელს საქართველოში ჩატარდა პირველი ჩემპიონატი და 1937 წლიდან ზუგდიდი აქტიურად მონაწილეობდა მასში. პირველ წარმატებას ზუგდიდელებმა 1951 წელს მიაღწიეს, როცა გუნდმა მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა. 1964 წელს "ენგურჰესის" სახელწოდებით მოასპარეზე ზუგდიდის გუნდმა საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. ჩემპიონ სხვებთან ერთად გახდა **ემზარ გეგეჭკორი.**

რევაზ საჯაია

**(ჟურნალი "ლია ბოქლომი" 2010 წელი, № 10, გვ. 30).**

## სოფელ ინჩხურის ისტორიიდან




სოფელი ინჩხური სამეგრელოში მარტვილის მუნიციპალიტეტში, კალამყნასა და ტაბაკონას მთის შეფენაზე მდებარეობს. ადგილი ბორცვიანი ზეგანია. ნიადაგი ჩრდილო ნაწილში-ქვიანი, ქვემო ნაწილში კი-შავმიწა-ქვიშნარი, უხვმოსავლიანია. სოფელში სათავეს იღებს მდინარე ინჩხია, ხოლო ლებაჩეს ინჩხურის ცენტრისკენ გამოყოფს მდინარე აბაშა.

სოფელი ინჩხური შედგება შემდეგი უბნებისაგან; ლებაჩე, ცუცაურა (ან დიდი ინჩხური) და პატარა ინჩხური. სოფელში ცაბაკონას მთა წვიმების გამო ხშირად მეწყერიანდება, ჩამოიქცევა ხოლმე. სახელწოდებაც აქედანაა წარმომდგარი (მეგრულად ირჩხუკ-ირეცხება). გადმოცემით, თითქოს ვიღაც ქალს რისხვით შეუძახია; "დიირჩხი ანი, გვალო დიირჩხი" (ჩამოირეცხე, ანი მთლად ჩამოირეცხე), ეს სახელწოდება უკავშირდება ასევე პატარა მდინარე ინჩხისას, რომელიც სათავეს სოფელ ინჩხურში, ცაბაკონას მთიდან იღებს, 400 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან და სოფელ ინჩხურის ტერიტორიაზე მიემართება სოფელ საელიოს დასაწყისამდე, შემდეგ კი-მდინარე აბაშას უერთდება. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან მოკლე მდინარე-დაახლოებით 6 კილომეტრი სიგრძისაა, მაინც საკმაოდ მრავალფეროვანი ხეობა აქვს. ამ პატარა, მაგრამ წყალუხვ მდინარის ხეობის ზედა წელი სოფელ ინჩხურის (ცაბაკონის მთის) სამხრეთის კალთისეულ ბორცვებზე გაშლილი ცუცაურამდე და ვიწრო ჯორომებიან აუზს ქმნის. ეს მდინარე ლივლივით ჩამოუყვება საფეხურებად დაწყობილ კალაპოტის ლოდს და საინტერესო სანახავია.

დღეს ხეობის ზედა წელზე მასიურად გვხვდება მუხის, თელის და წიფელის ასწლოვანი კორომები, ხოლო ყჩავების ნასახლარის ზემოთ წაბლის და რცხილის ტყეებია. როგორც აღვნიშნეთ მდინარე ინჩხია სათავეს ცაბაკონას მთიდან იღებს, რომელიც სოფელ ინჩხურში მდებარეობს. იგი სამხრეთის მცირე კალთისეული განტოტებაა ეგრისის მთაგრეხილისა; თხემზე ცაბაკივით (მაღლა) გაშლილი, მცირე ველიანი ტაფობით, ოდითგანვე უღრანი ტყით დაფარული მცირე ღელეებით, ლოდა და შავბნელი გამოქვაბულებით იგი უხსოვარი დროიდან როკაპის სამყოფ ადგილად მიუჩნევია ქართველ კაცს. როკაპი ქალად ჰყავდათ წარმოდგენილი მეგრელებს (როკაპი აგრეთვე ბროზიანი, ავი ქალის სინონიმია).

როკაპი ეშმაკების მეფეა, ეშმაკები მისი შიკრიკებია, მისდამი დაქვემდებარებული ავსულებია, რომლებიც ადამიანთა საზიანოდ მოქმედებენ. აქ როკაპი ქვესკნელში ზის, საიდანაც ყურში ცეცხლის ალი ამოდის; ცეცხლთან წევს, გამოულევლად აქვს საზრდო. ის ეშმაკთა მიერ მიტაცებული ადამიანების ნაწილებია; ეშმაკები როკაპის მადის დასაცხრომლად დაძრწიან, აჯადოებენ ადამიანებს, ყლაპენ გულ-ღვიძლს და დატვირთულნი საწნახელით მიეშურებიან ცაბაკონასაკენ, საწნახელს კი ქვესკნელის თავზე აპირქვავებენ, ხოლო თვითონ ქვესკნელიდან ამომავალი ჯოჯოხეთური ცეცხლის ირგვლივ როკაპის მეთაურობით იწყებენ ეშმაკეულ როკვას დილამდე. დილას როკაპი ქვესკნელში ძვრება, ხოლო ეშმაკები მელებზე ამხედრებულნი ცარიელი საწნახელით, ბრუნდებიან უკან სოფლებში და დილის ნათელს ხვდებიან ადამიანის სახით და საქმიანობით.

ეშმაკეულთა დასამშინებლად ხალხი ჯვარს იყენებდა. საინტერესოა ისიც, რომ ცაბაკონის მთის ირგვლივ ვხვდებით ადგილთა ისეთ სახელწოდებებს, როგორიცაა ჯვარფერდი, ჯვარდული, ქეჯვარი, ჯვარი. განსაცვიფრებელია აგრეთვე ცაბაკონის მთის გასწვრივ 10 გუმბათოვანი 10 ეკლესიის არსებობა, რომლებიც მაცხოვრისა და წმინდა გიორგის სახელობისა იყო. ამ ეკლესიების დიდი ნაწილი დღეს დანგრეულია. ამრიგად, ცაბაკონა და მისი მიდამოები საკულტო ადგილიცაა და ამავდროულად ეშმაკეულთა ცენტრიც იყო. გარდა ამ წარმართული ლეგენდისა სოფელში არსებობს ნანგრევები ისტორიული ძეგლებისა, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს "ნათურქუ ქვაბი."

ნათურქალი გამოქვაბული, "ნათურქუ," ზემოთ კალამყნის მთის ბოლო კიდურზე მდებარეობს, იგი ბუნებრივი გამოქვაბულია 20 მეტრის სიმაღლეზე. მისი წინაპირი ქვითკირით არის ამოშენებული, დატანებულია პატარა კარი და სათოფურები. აქედან სოფლის მცხოვრებლებმა გაიტანეს ორი დიდი ქვევრი, რომელზედაც ასომთავრული წარწერებია. მოხუცების ნაამბობიდან ირკვევა, რომ ეს ადგილი შიშიანობის დროს, თურქების შემოსევებისას ხალხის სამალავს, ციხესიმაგრეს (ბუნებრივს) წარმოადგენდა, რომელიც თურქებს ერთხელაც ვერ აუღიათ.

საინტერესოა და მოხსენიების ღირსია აგრეთვე სოფელში გავრცელებული გამოთქმა;

**"დადია მოზოჯუნდუა დო**
**ბაჩია შარის გიაჩოქუდუა"**

("დადიანი მობრძანდებოდა
ბაჩილავა კი დაჩოქილი იცდიდა").

ეს გამოთქმა გადმოცემით ასე წარმოგვიდგება: ისტორიულად სოფელი ინჩხური და სოფელი გაჭედილი დადიანების საკუთრება ყოფილა. დადიანებს ამ მხარეში თავად ჩიქოვანები და აზნაური შავდიები ჰყოლია. ერთხელ, ბაჩილავას გვარს (ბაჩილავები სოფელ ინჩხურის განაპირას სახლობდნენ, ოდითგანვე დადიანების ყმები ყოფილან) შეურაცხყოფა მიაყენა თურმე შავდიას ვაჟმა. ამით აღშფოთებულმა ბაჩილავებმა იჩივლეს, მაგრამ დასჯით ისევ ერთ-ერთი მომჩივანი ბაჩილავა დასაჯეს და ბორკილდადებული ერთი თვე ჰყავდათ დამწყვდეული დილეგში.

განთავისუფლების შემდეგ ბაჩილავამ გადაწყვიტა დადიანის პირადად ნახვა, რათა მოეთხრო მისთვის ეს ამბავი, რომელიც მას თავს გადახდა. დადიანი თავის სასახლეში, რომელიც სოფელ სალხინოში მდებარეობს, ორი გზით დადიოდა: პირველი – მთებით, რომელსაც "დადიაშ ნაშარუს" ეძახიან და მეორე-სოფელ ინჩხურის გავლით. სწორედ თავის

სოფელში გადაწყვიტა ბაჩილავამ, დადიანს დალოდებოდა. ერთი კვირა უცდიდა ბაჩილავა(დაჩოქილი) თავის ბატონს დადიანს, მაგრამ მას მეორე გზით ევლო, ბაჩილავა გაწბილებული დარჩენილა. ასე შემორჩა სოფელს ეს გამოთქმა.

უსამართლობით უკმაყოფილო ბაჩილავებმა სამეგრელოს 1856-1857 წლების გლეხთა აჯანყებაში მიიღეს მონაწილეობა და შავდიებს პასუხი აგებინეს ყველაფრისთვის.

საყურადღებოა ისიც, რომ ერთ-ერთმა ბაჩილავამ, ძიკომ, შექმნა უტუ მიქავას სალაშქრო ჰიმნი "აბა ულა." ძიკო, უტუს ლაშქრის ერთ რაზმს ხელმძღვანელობდა, მან თურმე აქ იმღერა პირველად ეს სიმღერა, რაც შემდეგ უტუს ლაშქრის საერთო სიმღერად იქცა;

"აბა ულა ჯიმალეფი
ყაზახიში სქუალეფი
აბა, ულა, აბა ულა
ვარა, რჯგინა ვარა ღურა."

სოფელში მშვენიერებით და სილამაზით განთქმულია მდინარე აბაშის ხეობა. ეს მდინარე სათავეს სოფელ ბალდიდან იღებს; მდინარის მცირე მონაკვეთი სოფლის ტერიტორიაზე ჭორომებიანია და ვიწრო კალაპოტში მიედინება. ამ ხეობის ერთ ნაწილს ოფუცხოი ჰქვია; ეს ადგილი ყაჩაღებისა და მხეცთა საბუდარი ყოფილა და ხალხსაც ოფუცხოეთ, ესე იგი ჩქარა გასარბენ ადგილად მიუჩნევია. ასეთი უცნაური ადგილი მეტად ლამაზიცაა, თავისი პირვანდელი ბუნების მშვენებით; მდინარისპირა კლდეებიდან გადმოჰქუხს ჩანჩქერები, თვალისმომჭრელი სილამაზით ავსებს მდინარის სანახებს; ბუნებრივი სილამაზის გარდა მდინარე განთქმულია კალმახით.

მდინარე აბაშა, ფიქრობენ რომ ნახსენებია სტრაბონთან. "მდინარე ფაზისი დაბლობში ღებულობს სხვა მდინარეებს, რომელთა შორის არის გლავკოსი და ჰიპოსი. გლავკოსი არის სტრაბონის ცნობით მდინარე აბაშა, ჰიპოსი კი–ცხენისწყალი (სტრაბონი წარმოშობით ბერძენია პონტოდან, მოღვაწეობდა დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 64-63 წლიდან – ახალი წელთაღრიცხვის 23-24 წლებში)." მდინარე აბაშის შესახებ და კერძოდ, მდინარეში კალმახზე მიუთითებს არქანჯელო ლამბერტი, რომელიც ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში შემდეგ კი – სამეგრელოში 1633-1653 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კათოლიკური სარწმუნოების გასავრცელებლად. არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოში.

მდინარე აბაშაში ბევრი თევზი მოიპოვება, განსაკუთრებით – კალმახი. ამას ადასტურებს დიდი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1756 წლები). მის კაპიტალურ ნაშრომში "აღწერა სამეფოსა საქართველოსა," აღნიშნულია: **"მდინარე აბაშა**

გამოსვლის კავკასს ოდიშსა და სვანეთს შორის და დის ჩრდილოდამ სამხრით, არა არს მას შინა თევზი, თვინიერ კალმახისა." ამ ადგილებს "ოფუცხოი," ჩქარად გასასვლელი ეწოდება. დადიანებმა ყურადღება ადრიდანვე მიაპყრეს იმ ადგილს, სადაც დღეს სოფელი გაჭედილის ხიდია, რომელიც სოფელ ინჩხურსა და გაჭედილს აკავშირებს. უნდა ვიფიქროთ, რომ XVII საუკუნეში ლევან II დადიანმა (1611-1657 წლებში) გააჩეხვინა ტყე და ბერძენ ოსტატებს გააკეთებინა აგურის ერთთაღიანი ხიდი. ამით შეიკრა აბაშის ორივე ნაპირი (ბერძენი ოსტატების შთამომავლები სოფელ გაჭედილში დღესაც ცხოვრობენ). XIX საუკუნის მეორე ნახევარში დადიანებმა ტყე გააჩეხვინეს და "ოფუცხოის" ბუნებით მშვენიერ ადგილას, მცირე, ორთვალიანი ქვითკირის სააგარაკო სახლი დაადგმევინეს. აქვე – ტინის ნაპრალებში ჩადგეს ორთვალიანი წისქვილი, რომელიც დღესაც მოქმედია. წისქვილთან ახლოს გააკეთებინეს კალმახსაშენი აუზი და მცირე სათევზაო; წისქვილიდან მოშორებით, მდინარის ნაპირებამდე ჩაიყვანეს ქვის კიბეები რომელიც დღესდღეობით 60 საფეხურისაგან შედგება. ის იყო დროებითი საზაფხულო (სააგარაკო) ადგილი, რომელსაც დადიანები ფლობდნენ. ამ ადგილებს აქ მოსახლე ბაჩილავები მეთვალყურეობდნენ.

ამ ადგილების სილამაზე აღნიშნულია გაზეთ "დროებაში" 1871 წლის 31 ივლისის № 30-ში. ასევე ამას აღნიშნავს "ივერია" 1893 წლის 4 ივნისის № 140-ში, ასევეა ცნობა სოფელში გავრცელებული ხოლერის ეპიდემიის შესახებ. "ივერიის" ფურცლებზე 1893 წლის 21 აგვისტოს № 179-ში დაცულია ცნობა სოფელზე. გაზეთ "ცნობის ფურცელში" 1899 წლის 18 აპრილის № 800-ში აღნიშნულია, რომ მღვდელი როდიონ ჯალაგანიძე ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს განკარგულებით, გადმოყვანილია სოფელ აბაშიდან სოფელ ინჩხურში. მდინარე აბაშის ხეობა იმითაც არის საინტერესო, რომ, აქ 1922-1928 წლებში ააშენეს საქართველოში რიგით მეორე ელექტროსადგური აბჰესი.

სოფლის ტერიტორიაზე ტოპონიმიკური სახელებიდან აღსანიშნავია **"თამარის ნადარბაზევი"** – ტოტნეს ნასახლარი, სადაც 1957 წელს ექიმმა გიორგი წოწორიამ აღმოაჩინა ეკლესიის ქვა (ნამტვრევი), რომელზედაც არის წარწერა "შოთასა." ეს წარწერებიანი ქვა აკაკი შანიძემ XII საუკუნით დაათარიღა.

**გოშქარი** (გოშქანი) – მდებარეობს აბჰესის აუზთან. აქ თურმე ხალხის თავშესაფარი ადგილი ყოფილა, სადაც წყდებოდა სოფლის საჭირბოროტო საკითხები. აქ შეკრებილა ფარული თავყრილობა უტუ მიქავას ლაშქარში მიმავალი გლეხებისა, ხოლო 1905 წლიდან კრებებს მართავდა თურმე **საშა გეგეჭკორი**.

**ნოქაიაქენი** (ნაქალაქარი) – აქ გაჭედილის ხიდის აგებისას XVII საუკუნეში

დადიანების განკარგულებით, მოუწყვიათ სამჭედლოები, დუქნები და საწვრილმანო. აქ თურმე ხალხი სავაჭროდ დადიოდა და მას ქალაქს უწოდებდნენ.

**შონიფონი** (სვანის ფონი) – ფონი მდინარე აჭაშაზე, სადაც შურისძიებას გამოქცეულ სვანს გადაულახავს მდინარე და დადიანს შეხიზვნია სალხინოს.

**პაპახირიზენი** (მღვდლის სახიზარი) – აქ შეუფარებია თავი ჟამიანობის შიშით გადაკარგულ მღვდელს.

**ნამარანუ** (ნამარნალი) – ადგილი, სადაც უჩავების გვარის სათემო მარანი ყოფილა ოდესღაც, 16 ოჯახის სალოცავი, ქვევრთა სამანი.

**ნაშეფუ** (ნახეფარი) – დადიანების გზაზე გორდიდან სალხინოსკენ მთაში გაშლილი ველია, სადაც ყმები მართავდნენ ლხინს და გზაზე სეფას აწყობდნენ. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

**ნოჯიხენი** (ნაციხარი) – აქ ადგილთა ასეთი სახელწოდება კიდევ ორია.

**მესარონი** – სალოცავი ადგილი.

**ნაკურცანუ** – გზა სადაც კურცნიანი ცხენებით დაჰქონდათ თეთრი მიწა გასაყიდად.

**დიეკი** (დილეგი) – აქ ურჩი ყმების საწამებელი ადგილი ყოფილა.

**ნამანცხვარე** – მაცხოვრის ხატის სასვენი. დღეს მხოლოდ უძველესი ნაგებობის ნანგრევებილაა დარჩენილი, მაღალ ბორცვზე, რომლის კულტურულ ფენაში ნეოლითისა და ენეოლითის იარაღებს პოულობდნენ. მას თამარის სასახლესაც ეძახიან. გადმოცემით თითქოსეს ეკლესია თამარის განკარგულებით აუშენებიათ.

**საჩიქვანო** – ჩიქოვანთა სამფლობელო, მათი საძოვრები.

**დადიაშ ნოხორი** – დადიანის ნასახლარი.

**ჯუონიშ ჯინჯი** – მუხის ძირი, ნალოცვარი ადგილი.

**ქორთუსქუაში ნოხორი** – ქართველიშვილების ნასახლარი.

ასევე სოფელში უნიკალური კოლხური ვაზის ჯიშების არსებობაზე მიუთითებს სოფელში შემორჩენილი ვაზის ჯიშთა სახელები, რომლებიც ახლა სოფლის რამდენიმე ადგილს ეწოდება.

შონური – ვაზის ჯიში (ძველკოლხური), დღეს თითქმის გადაშენებულია.

ჯოლინა – ვაზის ჯიში (ჯოლი) მაღლარი, ყოფილა გადაშენების გზაზე.

კიჭოური – ვაზის ჯიში, გადაშენებულია.

ჩერგვალ (თეთრი მრგვალი) – ვაზის ჯიში მაღლარი.

ხოლო ვაზის ჯიშები როგორიცაა; ადესა (იზაბელა), ნოვა, კაჭიჭი, ფართო გამოყენებაშია

მოსახლეობაში;

სოფელმა ინჩხურმა საქართველოს აღუზარდა ისეთი გამოჩენილი ადამიანები როგორებიცაა; X საუკუნის ჰიმნოგრაფი (კომპოზიტორი) იოანე მინჩხი (გიორგი II-ს აფხაზთა მეფის თანამედროვე 922-957) და საქართველოს წამებული პატრიარქი ამბროსი (ხელაია) 1861-1924 წლებში.

სოფელი განთქმულია ძვირფასი ხის ჯიშებით, სასარგებლო წიაღისეული სიმდიდრეებით.

აქ მოიპოვება კირქვის ფენილები, არსებობს ტყვიის და კალის გამოუყენებელი საბადოები. აგრეთვე ვხვდებით გუმბრინის მდიდარ საბადოს.

ასეთია ეს პატარა სოფელი, ინჩხურის ბუნება და მისი ისტორიული ღირსშესანიშნაო - ბანი, რომელთა ხილვით აღტაცებაში მოდის მნახველი.

ზვიად წოწორია

**(ზ. წოწორია – სოფელ ინჩხურის ისტორიიდან, გაზეთი "მახარია" 2004 წელი, № 7-8, გვ.12).**

## ინჩხურის ტოპონიმია



ინჩხურის საჯარო სკოლა

ინჩხურის თემი მდინარეების – აბაშისა და ინჩხის აუზში მდებარეობს და სამ სოფელს – დიდ ინჩხურს (ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტი ტუტაურა), პატარა ინჩხურს და ლებაჩეს აერთიანებს.

დიდი ინჩხური ზღვის დონიდან 280-460 მეტრის სიმაღლეზეა, მდინარე ინჩხის ორივე ნაპირზე;

პატარა ინჩხური მოიცავს ტაბაკონას მთისძირში, ტობეშის შემოგარენში მდებარე ტერიტორიას და ზღვის დონიდან 300 მეტრის სიმაღლეზეა.

ლებაჩე (ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტი ებაჩე) აბაშის მარჯვენა მხარეს, კალამონას მთის ფერდობზე, ზღვის დონიდან 210 მეტრზეა.

ტოპონიმი "ინჩხური" (ინძგური) მოხსენიებულია XVIII საუკუნის გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის იოჰან-ანტონ გიულდენშტედტის ნაშრომში (1962 წელი, გვ. 323).

საინტერესოა აგრეთვე 1789 წლის 4 იანვრით დათარიღებული ისტორიული დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ ერთგული სიყვარულისა და "კეთილმოქმედების" გამო გრიგოლ კაცია II-ის ძე დადიანს "სასურველი" ბიძისთვის, გიორგი ოტიას ძე დადიანისთვის უბოძებია "გიორგი ახვლედიანისეული ინჩხურის სასახლე მისის სასახლით, სახლით, კარით ადგილ მამულით... ამასთან ერთად აზნაური დეგბუაძე სეხნიელა თავისის ქონებით და სამის მისის

კომლის კაცით. მეორე აზნაურიშვილი ქართველიშვილი აბალკოჩი და... ორის მისის კომლის კაცით და ყოველისავე მისის ქონებით. ერთი მოსახლე გიორგელა გეგია მისის სახლ-კარით, ხუხულა გეგია მისის სახლ-კარით, ხელოსანი (მოხელე, მამასახლისი) ყჩავა თომიხილი მისის სახლ-კარით, მახარია ქაცარავა თავის სახლ-კარით, ჯოლორია ჩქუფია მისის სახლ-კარით, ჭუჭულა ფუტკარაია თავისის სახლ-კარით, ერთი კიდევ სახასო მოჯალაბე მამაშია მაესაია, ესენი ყველა თავის სახლ-კარით, ცოლ-შვილით, ძმით და ძმის ცოლ-შვილით, მამულ ადგილით, ტყით, წყლით, შესავალ-გამოსავლით და ყოველისავე ქონებით.”

(ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიემ). ხელნაწერთა განყოფილება, საქმე № 1143).

მხარეთმცოდნე გივი ელიავას თქმით, ხანგრძლივი წვიმების დროს ცაჭკონის მთას მეწყერიანობა ახასიათებს, მთის კალთები ჩამოიქცევა, ჩამოირეცხება ხოლმე-ინჩხუ (1977 წელი, გვ. 144). აქვე მკვლევარს მოყვანილი აქვს გადმოცემა; “ვიღაც ბებერ ქალს რისხვით შეუძახნია; დიირჩხი, ანი, გვალო დიირჩხი (ჩამოირეცხე, ანი, მთლად ჩამოირეცხე), (დასახელებული ნაშრომი 1977 წელი, გვ. 114).

“ინჩხური” წყლის თვისებების აღმნიშვნელი ტოპონიმია და ორი დამოუკიდებელი სიტყვის შეერთებითაა მიღებული. “უინჩხურუ” მეგრულში იგივეა, რაც “უიწყლივით ცივი” (წყალი). სოფლის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტის –“ინჩხირის,” რომელიც ორწევრიანი კომპოზიტის, მეორე წევრად შეგვეძლო “ჩხიირი” გვეგულისხმა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ “უინჩხ(ე)ირი” აღნიშნავს ჩახრიალას; ჩხრიალა ნაკადულს; ჩხრიალით მომდინარე წყალს... ოიკონიმის ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია “ინჩხირი.” მაგალითად: შეკითხვაზე – “სოური მურქი”? (საიდან მოდიხარ?), მეგრულად უპასუხებენ –“ინჩხირიშე.” “სოორდი”? (სად იყავი?) – “ინჩხირს ვორდი” (ინჩხირში ვიყავი).

ინჩხურში, ცაჭკონის მთის სამხრეთ კალთაზე იღებს სათავეს მდინარე ინჩხია, რომელიც მიედინება საელიავო-მარცვილის ტერიტორიაზე და მარცხენა მხრიდან შეერთვის აბაშას. მდინარის სიგრძე დაახლოებით 4-5 კილომეტრია. “ინჩხიაშკიდე” სახნავის სახელწოდებაა ინჩხიის მარცხენა მხარეს; “ჯიჯე ინჩხია” არხი მდინარე ინჩხიის ტოტია საელიავოში; “ინჩხიაჯაე” მდინარე ინჩხიის ნაპირებს ეწოდება საელიავოში; “ინჩხიაშდუდი” ღელეა დიდ ინჩხურში და ასე შემდეგ.

სოფლისა და მდინარის სახელწოდებებში “ინჩხირი” და “ინჩხია,” სავარაუდოდ, შეიძლება მცენარის სახელწოდებასაც დავუკავშიროთ (სამეგრელოში “თუნთიშ კუდელსაც” ეძახიან). ო. ქაჯაიას “მეგრულ-ქართულ ლექსიკონში” ვკითხულობთ; “ინჩხილ-ი (ინჩხილს)

ბოტანიკაში მცენარეა ერთგვარი." ავტორს მოტანილი აქვს საილუსტრაციო მასალა, წიგნიდან – "ქართული ხალხური სიტყვიერება"; ...ართი ქაცარი ქოპუნდუ დო ინჩხილს მოუდიარე... (ერთი ციკანი მყავდა და ინჩხილზე ვაძოვეე... (ო. ქაჯაია, II, 2002 წელი, გვ. 89).

როგორც ჩანს, "ინჩხი(ლ/რ)ი," "ინჩხი(ა)" თავდაპირველად მდინარეს ან მდინარისპირა საბალახოებს ერქვა, სადაც ეს მცენარე ხარობდა, მეტონიმიის გზით კი დასახლებული პუნქტის სახელწოდებად ქცეულა. ოდენ მცენარეთა სახელების ტოპონიმად ქცევის არაერთი შემთხვევაა დადასტურებული სამეგრელოში.

**(ი. კეკელია – მარტვილის რაიონის ოიკონიმია, 2010 წელი, გვ. 40).**

## ეტიმოლოგიური ძიებანი

ეტიმოლოგია ენათმეცნიერების დარგია, რომელიც სწავლობს სიტყვის წარმომავლობას, შედგენილობასა და თავდაპირველ მნიშვნელობას. ამჟამად ენობრივი ლექსიკის მხოლოდ გარკვეული ნაწილი გვაინტერესებს: ტოპონიმები და ჰიდრონიმები, გეოგრაფიულ ადგილთა და მდინარეთა (წყალთან დაკავშირებული) სახელები.

ინჩხური, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი და პატარა ინჩხურის ძველი სახელწოდებაა (ქსე, ტ. 5). სამწუხაროდ, ენციკლოპედიაში მოხსენიებული არაა ამგვარივე ზიარი სახელის მქონე ჰიდრონიმი ინჩხია. ინჩხური – სოფლის სახელწოდებაა, ინჩხია – მდინარისა და მათ მტკიცე მეცნიერული საფუძველი გააჩნიათ.

ინჩხური, ჰიდრონიმი და ტოპონიმი, ყველასგან არასწორი ფორმითაა ოფიციალურ წყაროებში. სოფლისა და მდინარის მამაპაპეული სახელია ინჩხირი, რომლისგანაც მომდინარეობს ჰიდრონიმის კნინობითი ფორმა ინჩხია და თანამედროვე სახელი სოფლისა ინჩხური. სიტყვა ორწევრიანი კომპოზიტია.

ჩვენი სხვა, ადრინდელი თვალსაზრისის თანახმად (იხ. ჟურნალი "აია" 1998 წელი, № 2, ო. ხუხუა, "ზიარი ჰიდრონიმები და ტოპონიმები ისტორიულ კოლხეთში," გვ. 63–69), იქ, სადაც პატარა მდინარე უერთდება დიდს, მათ შორის მოთავსებულ ტერიტორიას მოსალოდნელია და უნდა ერქვას პატარა მდინარის სახელი. ესაა კანონზომიერება და ამას გამონაკლისები არ გააჩნია. ასეა ამ შემთხვევაშიც – სადაც ინჩხირი//ინჩხია უერთდება აბაშას. ტოპონიმის გაფართოება ან დავიწროება ჩვეულებრივი მოვლენაა და ეს ცნობილია ენათმეცნიერებაში.

რაზე მიგვითითებს მდინარის სახელი ინჩხია?

ჩვენი დაკვირვებით, კოლხურ სამყაროში "ია" დაბოლოების მქონე ყველა ჰიდრონიმი(მდინარე) პატარა ღელეა. არცერთ დიდ მდინარეს არ მოეპოვება "ია" დაბოლოება. ესაა კანონზომიერება, რომელსაც გამონაკლისები არ გააჩნია.

მეგრულად მდინარეს "წყარი" ჰქვია (ხობწყარი, ცხენწყარი, ცეხირწყარი და ა. შ.), უფრო პატარას – ღალი (ღელე), უფრო მცირეს – ნოღალია, ნოღაია, კიდევ უფრომცირეს – სქური, წყუ, წყურგილი...

ზემოთ წარმოდგენილი "ინჩხია" ჰიდრონიმის მსგავსი სახელია "ჭაჩხვია." თავისი წყალუხვობის მიუხედავად იგი თორმეტიოდე კილომეტრის სიგრძით და ფაქტიურად იმავე სოფელში მთავრდება, სადაც იწყება და მიერთვის აბაშას მარცხნიდან. ამდენად, მას აკლია მდინარისათვის აუცილებელი სიგრძე, მანძილი.

ამდენად, ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშების განხილვით დავრწმუნდით, რომ მათი ეტიმოლოგია, სემანტიკა შესაძლებელია აიხსნას მხოლოდ იმ ენით, რომლის წიაღშიც წარმოშობილან; ესაა კოლხური (მეგრული) ენა. დავრწმუნდით იმაშიც, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ სახელის (ჰიდრონიმის, ტოპონიმის) ზუსტ ფიქსაციას.

ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ომარ ხუხუა

**(ო. ხუხუა – ეტიმოლოგიური ძიებანი, გაზეთი "მახარია," 2005 წელი, № 4, გვ. 15).**

საქართველოში **გეგეჭკორთა** დიდ-პატარის, ქალისან-მანდილოსნის საერთო რაოდენობა ათას ექვსას ერთს (1601 სული) აჭარბებს, აქედან; გვარის ყველაზე დიდი და ძირძველი სამკვიდროა ინჩხურის თემი, ძირითადად-**პატარა ინჩხური**.

საქართველოში **გეგეჭკორები** ცხოვრობენ:

**სამეგრელოში სულ – 560 სული.** მათ შორის: მარტვილი – 281 სული, ზუგდიდი – 171 სული, ფოთი – 29 სული, აბაშა – 27 სული, სენაკი – 25 სული, ხობი – 21 სული, ჩხოროწყუ – 4 სული, წალენჯიხა – 2 სული.

**ქ. თბილისში – 539 სული.**

**აფხაზეთში სულ – 240 სული.** მათ შორის: სოხუმი – 67 სული, გალი – 60 სული, გაგრა – 30 სული, გულრიფში – 30 სული, ოჩამჩირე – 26 სული, გუდაუთა – 25 სული, ტყვარჩელი – 2 სული.

**იმერეთში სულ – 91 სული.** მათ შორის: ქუთაისი – 46 სული, სამტრედია – 23 სული, წყალტუბო – 8 სული, ჯიათურა – 8 სული, ბაღდათი – 3 სული, საჩხერე – 2 სული, ზესტაფონი – 1 სული.

**ქვემო ქართლში სულ – 47 სული.** მათ შორის: რუსთავი – 34 სული, ბოლნისი – 10 სული, გარდაბანი – 3 სული.

**აჭარაში სულ – 42 სული.** მათ შორის: ბათუმი – 34 სული, ქობულეთი – 8 სული.

**გურიაში სულ – 27 სული.** მათ შორის: ოზურგეთი – 21 სული, ჩოხატაური – 6 სული.

**სამცხეში სულ – 19 სული.** მათ შორის: ბორჯომი – 12 სული, ახალციხე – 3 სული, დმანისი – 3 სული, ასპინძა – სული.

**კახეთში სულ – 15 სული.** მათ შორის: თელავი – 8 სული, გურჯაანი – 2 სული, ლაგოდეხი – 2 სული, საგარეჯო – 1 სული, სიღნაღი – 1 სული, ყვარელი – 1 სული.

**შიდა ქართლში სულ – 5 სული.** მათ შორის: გორი – 2 სული, კასპი – 1 სული, ქარელი – 1 სული, ხაშური – 1 სული.

**მცხეთაში – 5 სული.**

**ლეჩხუმში – 2 სული.** ცაგერი – 2 სული.

**საზღვარგარეთ სულ – 9 სული.**

(კ. კვაჭანტირაძე – ქართული და ქართულ-ებრაული გვარ-სახელები, 2017 წელი, გვ. 110.
საქართველოს საგვარეულოთა კავშირი "გვარი და გვარიშვილობა" –
გვარსახელები საქართველოში, 2018 წელი, გვ. 200).



ღმერთმა ამრავლოს გეგეჭკორთა გვარი!